თომას ჰარდი

ტეს დ'ერბერვილი
უბიწო ქალი

ინგლისურიდან თარგმნა მერი ამაშუკელმა

პირველი ფაზა
ქალწული

I

ვარდობის თვის მიწურულში, მიმწუხრის ჟამს, ვიღაც შუახნის კაცი შესტონიდან შინ — მარლოტისაკენ მიმავალ გზას გასდგომოდა: სოფელი მარლოტი ბლეკმორისა თუ ბლეკმურის ველის პირზე გაშლილიყო, რამდენს არა ცდილობდა მგზავრი, მოჩართული ფეხები მაინც აცაბაცა მისდიოდა და პირდაპირ სიარულის ნაცვლად გზის მარცხენა მხარეზე მიხანხალებდა. მიდიოდა კაცი და დროდადრო თავს ძალუმად აკანტურებდა, თითქოსდა რაღაც ფიქრების დასადასტურებლადო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ახლა არც არაფერზე ფიქრობდა გარკვეულად. მკლავზე კვერცხის ცარიელი კალათი ეკიდა, ქუდის ხაო აბურძგვნოდა, ფარფლის ის ადგილი, სადაც ცერი ხვდებოდა ქუდის მოხდისას, სულმთლად გაჰქუცვოდა. გზად ნაცრისფერ ჭაკზე ამხედრებული ხანში შესული მღვდელი, შემოეყარა. მოჩაქჩაქებდა ღვთის მსახური და თან ღიღინებდა რაღაცას.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა კალათიანმა.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, სერ ჯონ, — არ დაახანა მღვდელმა პასუხი.

ქვეითმა კიდევ გადადგა ერთი-ორი ნაბიჯი, მერე შედგა და უკან მოიხედა.

— სერ, ბოდიშს მოვიხდი კადნიერებისათვის, მაგრამ ჩვენ წარსულ ბაზრობაზეც შევხვდით ერთმანეთს, სწორედ ეს ხანი იყო და ეს ადგილი. მე მშვიდობა გისურვეთ, თქვენც დღევანდელივით ასე მიპასუხეთ: მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, სერ ჯონი.

— სწორი ბრძანებაა, — დაუდასტურა მღვდელმა.

— ასე იყო ერთხელაც, ამას წინებზე, დიდი-დიდი, ერთი თვე თუ იქნება მას შემდეგ.

— შეიძლება.

— ჰოდა, სერ, ერთი ეს მიბრძანეთ, რად გინებებიათ ჩემთვის „სერ ჯონის“ დაძახება აგერ უკვე მერამდენედ. მე ხომ ერთი საწყალი მეწვრილმანე ჯეკ დარბეიფილდი ვარ და მეტი ღმერთს ჩემთვის არა გამოუმეტებია რა.

მღვდელმა თავისი ჭაკი მისკენ მიაგდო.

— ეგრე მომეგუნება, — გადაუგდო სიტყვა და მცირე ყოყმანის შემდეგ დასძინა, — საქმე ის არის, სერ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ერთი საგრაფოს ახალი ისტორიისათვის საგვარეულო ნუსხის ძებნაში მოულოდნელად დიდ ამბავსაც გადავაწყდი. მე სტეგფუტლეინელი ანტიკვარი და ტრინგჰემის მოძღვარი გახლავართ. დარბეიფილდ, ნუთუ მართლა არ იცით, რომ დ'ერბერვილების იმ უძველესი, რაინდული გვარის პირდაპირი და ჭეშმარიტი ჩამომავალი ბრძანდებით, რომელთა შტოც როგორც ბეტლიმს სააბატოში შემონახული ნუსხებიდან ირკვევა, თავის სათავეს ვილჰელმ დამპყრობელთან ერთად ნორმანდიიდან ჩამოსული ცნობილი და კეთილშობილი რაინდის სერ პეგან დ'ერბერვილიდან იღებს?!

— არაფერი ამის მსგავსი აქამდე ჩემს ყურებს არა სმენია, სერ.

— ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. აბა, წუთით ასწიეთ თავი, ერთი თვალი შევავლო თქვენს სახეს. დიახ, ლაპარაკი ზედმეტია, ეს ნამდვილად, რა თქმა უნდა, მცირედ დაკნინებული და გაუხეშებული, მაგრამ ჭეშმარიტი დ'ერბერვილის ცხვირ-პირია. თქვენი წინაპარი ერთი იმ თორმეტ რაინდთაგანი იყო, ვინაც ხელი შეუწყო ნორმანდიაში ლორდ ესტრემავილს ხელში ჩაეგდო გლამორგანშირი. თქვენს მამა-პაპათ ინგლისის მთელ ამ ნაწილში ჰქონდათ მამულები. მათი სახელები გვხვდება მეფე სტეფენისდროინდელ სამეფო ხაზინადარის ნუსხებში. მეფე ჯონის მეფობის ხანაში ერთი თქვენი გვარის ჩამომავალი ისეთი შეძლებული ყოფილა, ადგილ-მამულებიც კი უბოძებია „ჰოსპიტალიერთა ორდენის“ რაინდებისათვის. ხოლო ედუარდ მეორის დროს თქვენი პაპის პაპა ბრაიანი ვესტმინსტერის დიდ საბჭოში მიუწვევიათ. თქვენ ცოტა არ იყოს, დაკნინდით ოლივერ კრომველის ხანაში, მაგრამ მალე ვითარება კვლავ შეიცვალა და კარლოს მეორის დროს მეფისადმი ერთგულებისათვის აღგაზევეს „სამეფო მუხის ორდენის“ რაინდებად. თქვენი გვარის ყოველ თაობაში იყო სერ ჯონი. ჰოდა რაინდობაც რომ ბარონეტობასავით მემკვიდრეობით გადასულიყო, როგორც ეს ძველ დროში იყო, და რაინდობა მამიდან შვილს გადასცემოდა, თქვენ ახლა სერ ჯონი იქნებოდით.

— მაგას რას ბრძანებთ!

— ერთი სიტყვით, — დაასკვნა მღვდელმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიტყლაშუნა მათრახი ფეხზე, — ძნელად თუ მოიძებნება ასეთი დიდებული გვარი მთელს ინგლისში.

— დამევსოს თვალები, ნუთუ მართლა?! — შესძახა დარბეიფილდმა, — მე კიდევ დავჩერჩეტებ აქ წელიწადი და თორმეტი თვე, თითქოს ერთი ვიგინდარა ვიყო... დიდი ხანია მამაო ტრინგჰემ, რაც ეს ამბავი იცით? — ღვთისმსახურმა აუხსნა: რამდენადაც მას შეუძლია განსაჯოს, ეს ამბავი კარგა ხანია დავიწყებას მიეცა და ძნელი სათქმელია, ვინმეს კიდევ ახსოვდეს იგი. რაც შეეხება მას, ეს კვლევაძიება გასულ გაზაფხულზე დაიწყო, როცა დ'ერბერვილთა გვარის ბედით დაინტერესებულმა, შემთხვევით საზიდარზე დარბეიფილდის გვარის წარწერა შენიშნა. ამ გარემოებამ სურვილი აღუძრა გამოეძია მისი პატრონის ჩამომავლობის ამბავი და მანამ არ მოეშვა საქმეს, ვიდრე საკუთარი ვარაუდის სისწორეში არ დარწმუნდა.

— თავდაპირველად გადავწყვიტე, არ შემეშფოთებინეთ ასეთი უსარგებლო ამბით, — განაგრძო მან, — მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენი გონება ყოველთვის ვერ იმორჩილებს გრძნობას. მე მეგონა, ზოგი რამ მაინც იცოდით ამის შესახებ.

— დიახ, ერთი-ორჯერ მეც მომიკრავს ყური, ჩვენს ოჯახებს დიდებული ცხოვრება უნახავთ ბლეკმურში ჩამოსვლამდეო, მაგრამ ყურიც არ გამიბერტყია, ვფიქრობდი, იმას თუ ამბობენ, რომ ერთ დროს ორი ცხენი გვყავდა, ახლა კი ერთიც ძლივს დახანხალებსმეთქი. სახლში კი მიგდია ერთი ვერცხლის კოვზი და ძველი, ამოჭრილი ბეჭედი, მაგრამ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რა დიდი ბედენაა კოვზი და ბეჭედი?! უყურეთ ერთი, მე და კეთილშობილი დ'ერბერვილები ერთი სისხლი და ხორცი არა ვყოფილვართ?! ბევრჯერ გამიგონია, ჩვენს პაპის პაპას დიდი საიდუმლოება ჰქონდა და ერთხელაც არ წამოსცდენია, საიდან იყო გადმოხიზნულიო. გავკადნიერდები და გკითხავთ, მამაო, სად ხრჩოლავს ჩვენი ოჯახების კვამლი, ესე იგი, მაინტერესებს, ახლა სადა ვცხოვრობთ?

— აღარსადაც აღარ ცხოვრობთ. გადაშენდით.

— ოო, ეგ ვერაფერი შვილი კარგი ამბავია!

— დიახ... როგორც ცრუ საოჯახო ქრონიკები იუწყებიან, თქვენი გვარი გადაშენდა მამაკაცთა ხაზით, — გადაგვარდა. გაქრა.

— ეს მაინც მიბრძანეთ, სად განვისვენებთ?

— კინგსბირ-საბ-გრინჰილში წყება-წყებადაა ჩამწკრივებული თქვენი აკლდამები და გუამნი თქუენნი პარბეკის მარმარილოს თაღებქვეშ განისვენებენ.

— ჩვენი საგვარეულო მამულები და სასახლეები სადღაა? — აღარაფერი გაგაჩნიათ.

— ოჰ, აღარც მიწები გვაქვს?

— არც ერთი გოჯი მიწა ახლა თქვენს ბარობაზე აღარაა. თუმცა ოდესღაც როგორც მოგახსენეთ, სახნავ-სათესი ბარაქიანი გქონდათ, რადგან თქვენი გვარი მრავალრიცხოვანი იყო და უამრავი შტოსაგან შედგებოდა. ამ საგრაფოში კინგსბირის, შერტონის, მილპონდის, ლალსტედის, ველბრიჯის მთელი მამულები სულ თქვენი იყო.

— როგორ გგონიათ, დაგვიბრუნდება ოდესმე ჩვენი საკუთრება? — რა მოგახსენოთ... ამის თქმა მე არ შემიძლია.

— რას მირჩევთ სერ, როგორ აჯობებს, როგორ მოვიქცე? — იკითხა დარბეიფილდმა მცირე დუმილის შემდეგ.

— არაფერს, შვილო ჩემო, სრულიად არაფერს, გარდა იმისა, რომ განიწმინდეთ სული თქვენი იმაზე ფიქრით, თუ „როგორ ეცემიან ძლიერნი ამაქვეყნისანი“. ეს ამბავი ახლა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ისტორიკოსისა და გენეალოგიების შემსწავლელთათვის თუღა წარმოადგენს რაიმე ინტერესის საგანს, სხვა ყოველი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. აქაურ საგრაფოს მცხოვრებთა შორის ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც თქვენს გვარს თავისი მაღალი ჩამომავლობით არაფრით ჩამოუვარდება. ახლა კი — ღამე ნებისა, შვილო ჩემო.

— სერ ტრინგჰემ, იქნებ წამობრძანებულიყავით, ამ ამბის აღსანიშნავად თითო ჭიქა ლუდი გადაგვეკრა. „ანკარა წვეთში“ ღმერთივით ლუდი აქვთ, თუმცა კი როლივერისეული ვერ იქნება, მაგრამ...

— არა, გმადლობთ, დღეს არა, სხვა დროს იყოს. გეტყობათ, თქვენ საკმაოდ გისიამოვნებიათ უკვე, — მიუგო მოძღვარმა და თავის გზას გაუდგა, თან ფიქრობდა, ნეტავი გონივრულად თუ მოვიქეცი, რომ ეს ამბავი გავანდეო.

თვალს მიეფარა თუ არა პასტორი, საგონებელში ჩავარდნილმა დარბეიფილდმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა, იქვე, გზის პირად, მწვანედ მოხასხასე მიწაყრილზე ჩამოჯდა და ცარიელი კალათა წინ დაიდგა. რამ დენიმე წუთსაც არ გაუვლია, რომ შორს ყმაწვილი გამოჩნდა. ბიჭი იმ გზას მოჰყვებოდა, რომელსაც დარბეიფილდი ადგა. მან ხელი ასწია, ყმაწვილმა ნაბიჯს აუჩქარა და მალე გაუპირისპირდა კიდეც.

— ბიჭო, აბა ხელი დაავლე კალათას. საქმეზე უნდა გამეგზავნო. აყლაყუდა ყმაწვილმა ერთი შეუბღვირა, მერე შეუტია:

— ვითომ ვინა ბრძანდებით, ჯონ დარბეიფილდ, რომ ხელს მიქნევთ, თან მბრძანებლობთ და ბიჭოსაც მეძახით, თქვენ ისევე კარგად მოგეხსენებათ ჩემი სახელი, როგორც მე თქვენი.

— შენ იცი, იცი შენა? საიდუმლოა... საიდუმლო! აბა, ახლა დაემორჩილე ჩემს ბრძანებას და რაც გითხრა, შეასრულე!.. თუმცა, ფრედ, რა მაქვს შენთან დასამალი. საიდუმლო ისაა, რომ მე კეთილშობილი წარმოშობისა ვარ... ეს ამბავი სულ ახლახან, ამ საღამოს გავიგე.

განაცხადა ესა და დარბეიფილდი განცხრომით გაიშოტა ზიზილებით მოფენილ მიწაყრილზე.

— სერ ჯონ დ'ერბერვილი. აი, ვინ გახლავარ! — განაგრძობდა გაშოტილი, — ესე იგი, ვიქნებოდი, რომ რაინდები ახლა უწინდებურად ბარონეტები იყვნენ; ჩემი ავანჩავანი ისტორიაშია შესული. გაგიგია, ყმაწვილო, ასეთი ადგილი — კინგსბირ-საბ-გრინჰილი?

— კი, რამდენჯერ ბაზრობაზეც ვყოფილვარ გრინჰილში.

— კეთილი და პატიოსანი. ჰოდა, სწორედ ქალაქ გრინჰილის ეკლესიის ეზოში მარხია...

— აბა, რა ქალაქი ეთქმის? მე რომ იქ ვიყავი, ერთი გასაცოდავებული, მიყრუებული ადგილი იყო, და მეტი არაფერი.

— ქალაქია ის თუ არა, ახლა მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ყმაწვილო, საქმე ის არის, რომ ამ ეკლესიის ეზოში უზარმაზარტონიან ტყვიის კუბოებში, ჯავშნებსა და ძვირფას სამოსელში გახვეული ასობით ჩემი წინაპარი ასვენია. საუთ-უესექსის საგრაფოში ძეხორციელი ისეთი არავინ მოიძევება, რომ თავის გვარში ჩემზე დიდებული და კეთილშობილი მიცვალებულები ჰყავდეს.

— ო, რასა ბრძანებთ!

— ჰოდა, აბა, ნუღარ აყოვნებ, მოკიდე ხელი კალათს და მარლოტის გზას დაადექი. ტრაქტირ „ანკარა წვეთში“ მოახსენე, ცხენი და ეტლი გამომიგზავნონ მალე. ეტლს ზედ ერთი ბოთლი რომიც მოაყოლონ ჩემს ანგარიშში. როცა ამ საქმეს მორჩები, კალათა შინ მომიტანე, ჩემს დედაკაცს უთხარი, თავი დაანებე ჭიჭყნას, აღარ გჭირდება, დამელოდე, ვიდრე მოვალ, შენთვის ახალი ამბები მაქვს სათქმელი-თქო.

რაკი შეატყო ბიჭი ყოყმანობდა, დარბეიფილდმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ორიოდე საცოდავი შილინგიდან, რომელიც შიგ ეყარა, ერთი ამოაძვრინა და ბიჭს გაუწოდა.

— აჰა, შენ გასამრჯელო, ყმაწვილო. ახლა კი სხვაგვარად დატრიალდა ბიჭი.

— კეთილი სერ ჯონ, მადლობას მოგახსენებთ. კიდევ ხომ არაფერს ინებებდით, სერ ჯონ?

— უთხარით იქ, იმათ, შინ: ვახშმად ბატკანი შემიწვან. თუ ვერ იშოვიან, სისხლის ძეხვი იყოს, ვინძლო ვერც ეგ იშოვონ, მაშინ კუჭმაჭი გააკეთონ და ეგ იქნება, ჯანდაბას.

— კეთილი, სერ ჯონ.

ყმაწვილმა ის იყო კალათს ხელი წამოავლო და წასასვლელად გაემზადა, რომ სოფლის მხრიდან სასულე ორკესტრის ხმა მოისმა:

— რა ამბავია? — იკითხა დარბეიფილდმა, — ჩემ პატივსაცემად ხომ არ უკრავენ ნეტა?

— ქალთა კლუბის სეირნობაა დღეს, სერ ჯონ. თქვენი ქალიშვილიც ხომ მაგ კლუბშია.

— ჰო, მართლა, სულ გადამავიწყა ყველაფერი ამ კეთილშობილმა ფიქრებმა. აბა, ნუღარ აყოვნებ, წადი ახლა მარლოტში და შეახაზირებინე ეტლი. გავემგზავრები და დავხედავ ერთი იმ კლუბს.

ყმაწვილი წავიდა. დარბეიფილდი კი ჩამავალი მზის სხივებით აფერადებულ ბალახებსა და ზიზილებში გაწოლილი იცდიდა. კარგა ხანს არავის გაუჭაჭანებია გზაზე. მხოლოდ ორკესტრის შორეული ხმები მეტყველებდა ადამიანის არსებობას ამ ლურჯი ბორცვებით შემოჯარულ ველზე.

II

სოფელი მარლოტი განმარტოებულ, ტურისტებისა და პეიზაჟისტების მიერ მეტწილად ჯერ კიდევ ფეხდაუდგამ (თუმცა სულ რაღაც ოთხიოდე საათის სავალზე იყო ლონდონიდან), ბორცვების ჯაჭვით შემოზღუდულ როგორც ზემოთა ვთქვით, ბლეკმორისა თუ ბლეკმურის კეკლუცი ველის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში იყო გადაშლილი.

— თუ ამ ველის გაცნობა გსურთ, უცილოდ იმ ბორცვების მწვერვალებიდან უნდა გადმოხედოთ, რომელიც გარს აკრავს. თან ეცადეთ, მარჯვე დრო შეურჩიოთ, რომ გადამწვარ-გადაბუგული ზაფხულის გვალვიანი დარი არ დაგესწროთ. ცუდ ამინდში მის მივარდნილ, უდაბური ადგილების საცალფეხო, მიხვეულ-მოხვეულ, ატალახებულ ბილიკებზე თუ უმეგზუროთ დაიწყებთ ხეტიალს, შეიძლება სამდურავიც წამოგცდეთ.

— ეს ნოყიერი და შემოფარგლული ქვეყნის ნაწილი, სადაც არასოდეს იხრუკება ველი და არა შრება წყარო, სამხრეთიდან დაცუ-

ლია ციცაბო ცარცის ქედით, რომელიც ჰემბლდონ ჰილის, ბალბეროუს, ნეტკომ ტაუტის, დოგბერის, ჰაი სტოისა და ბაბ დაუნის მწვერვალებს ქობად გასდევს. სანაპიროდან მისული მოგზაური გადაივლის თუ არა ერთ-ორ მილს ჩრდილოეთისაკენ ამ კირის ფერდობებსა და ხნულებზე, უეცრად ერთ-ერთ ზეგანს მიადგება. განცვიფრებული და აღტაცებული უჭვრეტს თავის ფეხქვეშ რუკასავით გადაშლილ სამყაროს, რომელიც ასე დიდად განსხვავდება მის მიერ გამოვლილი ქვეყნის ნაწილისაგან: მან უკან ჩამოიტოვა ბორცვები, მზით გაბრწყინებული მინდვრები, ისეთი ვრცელი და გაშლილი, გეგონებოდათ, უკიდეგანოაო. გზები და ბილიკები თეთრად მოჩანდა, ცოცხალი ღობეები დაგვალული იყო: ბუჩქებს ტოტები ერთმანეთში გადაეხლართათ, ჰაერი სუფთა იყო და გამჭვირვალე. აქ კი, ამ ველზე. თითქოსდა, ქვეყანა სულ სხვაგვარად, უფრო მცირე, კოხტა მასშტაბით აუგიათ და კეკლუცად გაუწყვიათო. მინდვრებიც საბალახოებივით პატარ-პატარებია, მათი სამანებიც — ცოცხალი ღობეები — ხასხასა ბალახზე გადაჭიმულ მუქი მწვანე ფერის ძაფისაგან დაწნულ ბადეებს ჰგვანან. ჰაერი ქვევით მომთენთავია და ისეა შერეული ლაჟვარდის ფერში, რომ, მხატვრების თქმისა არ იყოს, შუა ნაწილიც კი მოლურჯო ელფერს იკრავს. შორს კი ჰორიზონტი მუქი ლილისფერია. სახნავი მიწები ცოტაა და თითქმის მთელ მიდამოს ერთი მთლიანი ბალახისა და ხეების მწვანე, სქელი საფარველი გადაჰფენია, შეუმოსავს დაბალ-დაბალი ბორცვები და მაღალი მთებით შემოფარგლული დაბლობი.

— აი, ასეთი გახლავთ ბლეკმურის ველი.

ეს მიდამოები ისტორიულად უფრო ნაკლებ საინტერესო როდია, ვიდრე ტოპოგრაფიულად. ოდესღაც ეს ველი „თეთრი ირმის ტყის“ სახელით ყოფილა ცნობილი, ეს სახელი თურმე ერთი საინტერესო ლეგენდიდან მოდის: მეფე ჰენრი III მეფობის დროს, ვინმე თომას დე ლა ლინდსს მშვენიერი თეთრი ირემი მოუკლავს, ეს ირემი მანამდე თურმე მეფეს ჰყოლია გამომწყვდეული, მაგრამ შეჰბრალებია და გაუშვია. ამის გამო თომას დე ლა ლინდი დაუსჯიათ და დიდძალი ფული გადაუხდევინებიათ. იმ ხანებში და თურმე არც ისე დიდი ხნის წინათაც ეს ადგილები გაუვალი, დაბურული ტყეებით ყოფილა დაფარული, მისი კვალი დღემდეა შემორჩენილი: ფერდობები აქა-იქ მუხნარითა და შერეული ტყითაა შემოსილი, ხოლო საძოვრებზე უზარმაზარი გამოფუტუროებული ხეები აღმართულა საჩრდილობლებად.

ტყეები გაქრა, მაგრამ ამ ხეების ჩრდილში გაჩენილი ზოგიერთი ადათი კვლავ შემორჩა იქაურობას. ზოგი მათგანი, რა თქმა უნდა,

ძლივსღა ღაფავს სულს, მაგრამ მაინც ცოცხლობს შეცვლილი ან შენიღბული სახით. იმ ნაშუადღევს, მაგალითად, შეგეძლოთ გეხილათ „ვარდობის დღის“ ცეკვა, რომელსაც საკლუბო დღესასწაულს, ან, როგორც იმ მხარეში იტყოდნენ, „საკლუბო სეირნობას“ უწოდებდნენ.

„საკლუბო სეირნობა“ მუდამ დიდად საინტერესო მოვლენა იყო მარლოტის ახალგაზრდობის ცხოვრებაში. თუმცა მისი ჭეშმარიტი აზრი მაინც შეუცნობელი რჩებოდათ სეირნობის მონაწილეებს. ამ დღესასწაულის თავისებურება იმდენად ის კი არ იყო, ყოველწლიურად ცეკვებისა და სეირნობის ჩვეულება რომ შემოინახა, არამედ უფრორე ის, რომ პროცესის მონაწილენი მხოლოდ და მხოლოდ ქალები იყვნენ. მამაკაცთა კლუბებში ასეთი დღესასწაულები იშვიათი როდი იყო, მაგრამ თანდათან გადადიოდა, კვდებოდა ეს ძველისძველი ადათი. სუსტი სქესის ბუნებრივმა მოკრძალებამ და სიმორცხვემ, თუ ნათესავი მამაკაცების სარკასტულმა დამოკიდებულებამ მოუსპო ქალთა კლუბებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდნენ (და თუკი ასეთი კიდევ მოიძევებოდა სადმე მარლოტის გარდა) სიხალისე და ბრწყინვალება, მხოლოდ მარლოტის კლუბიღა ცოცხლობდა და ჯერ კიდევ მართავდა დღესასწაულებს ადგილობრივი ცერერას პატივსაცემად. ასეული წლების წინ მართავდა ეს კლუბი სეირნობებს და ახლაც აგრძელებდა ამ ადათსა და წესს.

პროცესიის ყველა მონაწილეს თეთრი კაბა ეცვა, რაც იმ წარსული დღეების საამო გადმონაშთი იყო, როდესაც სიხალისე და მისი ერთურთის სინონიმები იყვნენ; იმ დროის წინამორბედი დღეებისა, როდესაც შორსგამჭვრეტის ჩვევამ ელვარება დაუკარგა ემოციას. თავდაპირველად პროცესიამ წყვილ-წყვილად შემოუარა სოფელს. იდეალი და სინამდვილე, ცოტა არ იყოს, წაკინკლავდნენ, როცა მზემ თავის შუქი მოჰფინა პროცესიას, და ნათლად გამოისახა მისი ყოველი მონაწილე მწვანე ღობეებისა და სუროშემოხვეული სახლების ფონზე, რადგან, თუმცა ყველას თეთრი კაბა ეცვა, ვერ ნახავდით ორ ერთნაირ თეთრ ფერს, ზოგის კაბა თუ თოვლივით ქათქათებდა, ზოგს სილურჯე დაჰკრავდა, ზოგს კი, მომეტებულად ხნიერებს რომ ეცვათ და, ვინ იცის, წლების მანძილზე ხელუხლებლადაც კი ედოთ სკივრში, მკვდრისფერი ედო, ვინ უწყის, იქნებ, გიორგის დროინდელიც კი იყო:

გარდა თეთრი კაბებისა, მათ ისიც ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, რომ ყოველ ქალსა და ქალიშვილს მარჯვენა ხელში ქერქგაც-

ლილი ტირიფის ჯოხი ეკავა, მარცხენაში კი თეთრი ყვავილების თაიგული. ტირიფის ქერქის გაცლასა და თაიგულისათვის ყვავილების შერჩევაზე თითოეულს თავად უნდა ეზრუნა.

პროცესიაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე შუახნისა და, ერთიორი ხანგადასული მანდილოსანიც. მათი გახერხეშებული, შევერცხლილი თმა და დანაოჭებული, დროთა უკუღმართობის დაღდასმული სახეები თუ გროტესკული არა, საოცრად თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ზრუნვითა და გამოცდილებით დატვირთულ, დამძიმებულ უკვე იმ ასაკს მიღწეულ თითოეულ ქალზე, როცა ჩვეულებრივ ამბობენ: „სიცოცხლე სიხარულს აღარ მანიჭებსო“, გაცილებით მეტის გაგება და მოთხრობა შეიძლებოდა, ვიდრე ახალგაზრდებზე, მაგრამ მოდით, თავი ვანებოთ ხნიერებს იმათი გულისათვის, ვის ძარღვებშიაც სიცოცხლე დუღს და გადმოჩქეფს.

ახალგაზრდა ქალიშვილები შეადგენდნენ პროცესიის უმრავლესობას. მათი საუცხოო თმები ოქროსფრად, შავად და წაბლისფრად ბზინავდნენ მზეზე. ზოგს მომნუსხავი თვალები ჰქონდა, ზოგს კოხტა ცხვირი, ვის — ლამაზი პირი და ნატიფი აღნაგობა, და ძალზე ცოტას , თუკი ასეთი საერთოდ ერია ვინმე — ყველაფერი ერთად. გამოფენაზე გამოსული გოგონები ისე წრუპავდნენ ტუჩებს, ისე იწურებოდნენ და ვერ მალავდნენ სიმორცხვეს, რომ აშკარად ეტყობოდათ, ამდენ თვალთა ერთად მზერას შეუჩვეველი ჭეშმარიტი სოფლელი გოგონები იყვნენ.

ყველას თანაბრად ათბობდა მზე, რომლის სხივებშიც თბებოდა მისი სული, რაღაც ოცნება, სიყვარული, ან, და ბოლოს, რაღაც ბუნდოვანი შორეული იმედი, რაიც იქნებ ხმებოდა კიდეც და ძლივსღა ლიცლიცებდა უნიადაგობის გამო, მაგრამ მაინც ფეთქავდა, ვითარცა ფეთქავენ და ცოცხლობენ საერთოდ იმედები, ამიტომაც იყვნენ ისინი დღეს ასე უდარდელნი და ბევრი — მხიარულიც კი.

პროცესის მონაწილეებმა გარს შემოუარეს „ანკარა წვეთს“ და, ის იყო ფართო გზიდან პატარა ჭიშკრისაკენ გადაუხვიეს მინდორზე გასასვლელად, რომ ერთმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! შეხედე, ტეს დარბეიფილდ, ეს მამაშენი არაა ეტლით რომ მოდის?!

პროცესიის ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ თავი მოაბრუნა. კოხტა და ლამაზი გოგონა ჩანდა. არა, იქნებ სხვებზე ლამაზი არც იყო, მაგრამ მთრთოლავი, მინდვრის ყაყაჩოსავით ტუჩები და ფართო, უმანკო თვალები ეშხს მატებდა მის სანდომიანსა და მოხდენილ გარეგნობას. თმებზე წითელი ბაბთა შემოეკრა და შეეძლო ეამაყა კიდეც თავისი გამორჩეული მოკაზმულობით მთელ ამ ერთიანად

თეთრ შეკრებულობაში. უკან მოიხედა თუ არა, გოგონამ თვალი მოჰკრა გზაზე ეტლით მომავალ დარბეიფილდს. ეტლი „ანკარა წვეთისა“ იყო, კოფოზე იდაყვამდე სახელოებაკაპიწებული, გრუზათმიანი, კუნთმაგარი გოგონა იჯდა, იგი ამ დუქნის ერთი დარდიმანდი მსახური გახლდათ. დუქანში მისთვის განკუთვნილ ფაქტიტუმის როლს ასრულებდა და, თუ საჭირო გახდებოდა, ხან მეჯინიბედ იქცეოდა, ხანაც ლაქიად. დარბეიფილდი ნებივრად გადაწოლილიყო ეტლში, თვალები განცხრომით მიელულა და ნელი რეჩიტატივით ღიღინებდა.

— მე... მაქვს... დიდი... საგვარეულო... აკლდამა კინგსბირში და ჩემი წინაპარი... რაინდები... განისვენებენ... იქ... ტყვიის... კუბოებში!

ყველა აქირქილდა. ყველა — ერთის გარდა, რომელსაც ტესს ეძახდნენ. ეტყობოდა, გოგონა სირცხვილისაგან იწვოდა, რომ მამამისი ასე სახალხოდ იმასხარავებდა თავს.

— გზაში დაღლილა და შინ მიჰყავთ, სხვა აბა, რა უნდა იყოს, — თქვა მან ნაჩქარევად, — ჩვენი ცხენი დღეს ისვენებს...

— ღმერთო, რა ბოთე ხარ, ტეს! — გადაულაპარაკა ამხანაგმა, — ვერა ხედავ, კაცი გამობრუჟულია, ეტყობა, ბლომად ყლაპა ბაზარში. ჰა, ჰა!

— იცოდეთ, ნაბიჯსაც აღარ გადმოვდგამ თქვენთან, თუ კიდევ დაგიცინიათ მისთვის! — იყვირა ტესმა და სიწითლემ ლოყებიდან მთელ სახესა და კისერზე გადაუარა. თვალები ცრემლებით აევსო, მზერა მიწაზე გადაიტანა. მეგობრები მიხვდნენ, რომ გული ატკინეს, კრინტი აღარ დაუძრავთ და კვლავ მწყობრად განაგრძეს გზა. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ტესს ერთხელ კიდევ მოებრუნებინა თავი და გაეგო, რას ნიშნავდა მამამისის სიტყვები, თუკი საერთოდ შეიძლებოდა რაიმე აზრი ჰქონოდა მათ, ამიტომ პირდაპირ შემოღობილი მინდვრისაკენ გაემართა, სადაც ცეკვა უნდა გამართულიყო. მინდორზე, რომ გავიდნენ, ტესმა სძლია თავს, დაკარგული სულიერი წონასწორობა აღიდგინა; თავის მეზობელს წკეპლას ურტყამდა და კვლავ ჩვეულებრივად ტიკტიკებდა.

თავისი ცხოვრების ამ ასაკში ტესი ემოციებით ავსებულ გარეგნულად შეუფერავ ერთ უბრალო ჭურჭელს მიაგავდა. თუმცა სოფლის სკოლაში სწავლობდა, მთლიანად მაინც ვერ გათავისუფლებულიყო ადგილობრივი დიალექტისაგან, რომლის თავისებურება მეტწილ ბგერა ე-ს დამახინჯებულ გამოთქმაში მდგომარეობდა. გამომხატველობით ეს ბგერა არაფრით ჩამოუვარდება ადამიანის მეტყველების სხვა ბგერებს. ტესის მსუქან, მარწყვისფერ გაბუტულ

ტუჩებს, რომლითაც ესოდენ ხშირად გამოთქვამდა ამ ბგერას. ჯერ კიდევ არა ჰქონდათ თავისი გამოკვეთილი ფორმა. როგორც კი ტესი სიტყვას დაამთავრებდა და პირს მოკუმავდა, ქვედა ტუჩი ზედას მიებჯინებოდა და თითქოს უცნაურად ასწევდა ზევით.

ტესის სახეში ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა რაღაც ბავშვური დღესაც კი, როდესაც თავისი მოხდენილი, ლამაზი ქალურობით აღვსილი კეკლუცად მოაბიჯებდა ამხანაგებს შორის, მისი მშვენიერი ღაწვები თერთმეტი წლის გოგონას მოგაგონებდათ, მოციმციმე თვალებში ზოგჯერ ცხრა წლის პაწიას გულუბრყვილობა მოუჩანდა ხშირად.

მაგრამ იშვიათად თუ ვინმე შეამჩნევდა, დაფიქრებითაც თითქმის არავინ დაფიქრებულა ამაზე. ძვირად თუ ვინმე, ისიც უცხოთაგანი, შედგებოდა ერთ ხანს მისი სინორჩით მოხიბლული და გული დასწყდებოდა, რომ შეიძლებოდა მეტად ვეღარც ეხილა იგი. ყველა სხვა დანარჩენთათვის კი ერთი სოფლელი პირმშვენიერი გოგო იყო და მეტი არაფერი.

აღარსად მოსჩანდა დარბეიფილდის ტრიუმფალური ეტლი და აღარც ხმა ისმოდა მისი საიდანმე. პროცესის მონაწილენი მიუახლოვდნენ დანიშნულ ადგილს და გაჩაღდა ცეკვა. რაკი შეკრებულობაში მამაკაცები არ ერენ, ქალები ცეკვავდნენ ერთმანეთთან, მოგვიანებით კი, როცა სამუშაო დღე დამთავრდა, სოფლის კაცები, მთელი იმ მხარის მამაკაცებთან და შემთხვევით გზად მოხვედრილ გამვლელებთან ერთად საცეკვაო მინდორთან შეჯგუფდნენ და, ეტყობოდათ, წინააღმდეგი არ იყვნენ, საერთო ფერხულში ჩაბმულიყვნენ.

მაყურებელთა შორის სამი უცხო ყმაწვილი გამოირჩეოდა. აშკარა იყო, უფრო მაღალი წრის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ყმაწვილებს მხრებზე პატარა ზურგჩანთები ეკიდათ, ხელში კი მსხვილი ჯოხები ეჭირათ, საერთო იერი და განსხვავებული ასაკი იმას მიანიშნებდა, რომ უდავოდ ძმები უნდა ყოფილიყვნენ, — ასეც იყო სინამდვილეში. მათ შორის უფროსს ქორეპისკოპოსის ტანსაცმელი — თეთრი ჰალსტუხი, მოკლე ჟილეტი და ვიწრო ფარფლებიანი ქუდი ემოსა. მეორე ჩვეულებრივი სტუდენტი ჩანდა, ხოლო მესამის გარეგნობაში, რომელიც, ეტყობოდა, უმცროსი უნდა ყოფილიყო, თითქმის ვერაფერს შენიშნავდით განსაკუთრებით დამახასიათებელს, თუმცა მის თვალებსა და ჩაცმულობაში იგრძნობოდა რაღაც დაუოკებელი, შეუზღუდავი, რაც აშკარად მეტყველებდა, რომ ჭაბუკს ჯერ კიდევ ვერ მიეგნო გარკვეული პროფესიონალური კალაპოტისთვის. კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, იგი მზადაა ხელი მოჰკი-

დოს, რომელიც გნებავთ საქმეს, რაც კი მის გულისყურს მიიპყრობ-სო.

ქალაქ შესტონიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გეზი სამ-ხრეთ-დასავლეთისაკენ ავიღეთ და გვინდა სამების დღესასწაულე-ბის არდადეგებზე ბლეკმურის ველი და მისი მიდამოები შემოვია-როთო, — უთხრეს ძმებმა შემთხვევით გაცნობილებს და ფართო გზი-დან შემოსასვლელ ჭიშკარს მიადგნენ. დიდად დაინტერესებულნი კითხულობდნენ, რად გაუმართავთ ეს ცეკვა, ან ყველას თეთრი კაბა რატომ აცვიაო.

უფროსი ძმები, ეტყობოდათ, არ აპირებდნენ დიდხანს აქ შეყოვ-ნებას, მაგრამ მესამე, როგორც ჩანდა, გაართო უმამაკაცებოდ მო-ცეკვავე ქალების გუნდის ცქერამ და წასვლას არ ჩქარობდა. მოიხ-სნა ზურგჩანთა, დადო ჯოხთან ერთად გზის პირას ბუჩქებთან და ჭიშკარი შეაღო.

— რას აპირებ, ენჯელ? — კითხა ძმას უფროსმა.

— მინდა ერთი გავინავარდო. ცოტას წავუცეკვებ. განა თქვენ კი არ დარჩებით, ერთი-ორი წუთით? — დიდ დროს არ წაგვართმევს.

— არა, არა, რა სისულელეა?! — წამოიძახა მაშინვე პირველმა, — გამოდი ახლა და იცეკვე საქვეყნოდ ამ სოფლელი ქაჯების ჯოგში, რას იტყვიან, ვინმემ რომ დაგვინახოს, რას იტყვიან! წამო, წამო, დროზე, თორემ სანამ სტაურკესტლამდე მივალთ, შემოგვაღამდება. მანამდე კი, აბა, სად გაათევ ღამეს. ესეც არ იყოს რაკი გავისარჯე და წამოვიღე ეს წიგნი, ერთი თავი — „აგნოსტიციზმი და ოპოზიცია“ — ხომ მაინც უნდა წავიკითხოთ დაძინებამდე.

— კარგი, მაშინ იარეთ და ხუთ წუთში დაგეწევით. ნუ დამელოდე-ბით. სიტყვას გაძლევთ, დაგეწევით, ფელიქს.

უფროსმა ძმამ ენჯელის ზურგჩანთაც წამოიკიდა, რომ უფრო მსუბუქად ევლო და მალე წამოსწეოდა უკან დარჩენილი, და ორივე-ნი უწადინოდ გასცილდნენ. უმცროსი მინდორზე გავიდა.

— მეტად სამწუხაროა, ძვირფასებო, — მოუბრუნდა იგი შესვენე-ბის დროს, თავის მახლობლად მდგარ ორსა თუ სამ გოგონას, — რომ არსად ჩანან თქვენი კავალრები!

კაცები ჯერ არ დაბრუნებულან სამუშაოდან, საცაა მოვლენ კი-დეც, მანამ ხომ არ ისურვებდით ჩვენს კავალრობას, — შესთავაზა ერთმა უფრო თამამმა გოგონამ.

— სიამოვნებით, მაგრამ მარტო მე, აბა, რას გავხდები ამდენ გო-გონებში.

— სულ არაობას ერთი სჯობია. ძალზე მოსაწყენია, როცა ქალი

ქალთან დააბოტებს... არავინ მოგხვევს ხელს მაგრად, არავინ მიგიკრავს მკერდზე. აბა, ახლა აირჩიეთ ვინც გნებავთ.

— შშშ... ნუ ჩაციცვდი! — გააჩერა მეორემ, უფრო მორცხვმა.

რაკი მიწვევა მიიღო, ყმაწვილმა კაცმა თვალი გადაავლო გოგონებს, შეეცადა ვინმე აერჩია, მაგრამ ეს ასე იოლი საქმე როდი იყო; დღევანდლამდე არც ერთი მათგანი არ ენახა. ლამის პირველივე შემხვედრი აირჩია. ეს ის გოგონა როდი აღმოჩნდა, მას რომ ელაპარაკებოდა — რა იმედი კი ჰქონდა! — არც ტეს დარბეიფილდი გახლდათ. ვერც დიდებული წარსული და ვერც სხვა მემკვიდრეობითი ნიშნები დ'ერბერვილებისა ვერა შველოდა ჯერჯერობით ტესს ცხოვრებაში. თვით უბრალო გლეხის გოგონებთან შედარებითაც ვერ ხდიდა მას უფრო მიმზიდველს კავალრების თვალშიც კი. ვერაფერი ბედენაა ნორმანდიული სისხლი, თუ კაცს ვიქტორიანული სიმდიდრე არ გაგაჩნია.

გოგონა, რომელმაც სხვები დაჩრდილა, სულაც არ იყო დიდებული წარმოშობისა, მაგრამ დახეთ, ახლა ყველას შეშურდა მისი ბედი. ამ საღამოს ის ხომ პირველი იყო მრავალთა შორის, რომელსაც კავალერთან ცეკვის ბედნიერება ხვდა წილად! თქვენ წარმოიდგინეთ ისეთი ძლიერია ხოლმე მაგალითის ძალა, რომ ყმაწვილები, რომლებიც დიდად არ მოიჩქაროდნენ საცეკვაო მინდვრისაკენ. სანამ მეტოქე არ გაუჩნდათ, ახლა ერთბაშად მოაწყდნენ აქაურობას და სულ მალე უამრავი წყვილი გაჩნდა მოედანზე. ბოლოს ყველაზე უკანასკნელი ჯოჯოც კი არ დარჩენილა უკავალროდ.

ეკლესიის ზარებმა ჩამოჰკრეს, ყმაწვილმა კაცმა განაცხადა: ჩემი წასვლის დროა, სულ გადამავიწყდა რომ ძმებს უნდა დავწეოდიო. ოდნავ გასცდა თუ არა მოცეკვავეთა გუნდს, მყის ტეს დარბეიფილდს დაადგა თვალი. რა დასამალია და, ტესის დიდრონ თვალებში, ცოტა არ იყოს, წყენა ჩამდგარიყო, რატომ მე არ ამირჩიესო! ახლა ვაჟმაც ინანა, — მისი ბრალია! რად დაიმორცხვა, — გაივლო გულში და გასცილდა საძოვრებს: დაკარგული დრო რომ აენაზღაურებინა, სირბილით დაუყვა დასავლეთისაკენ მიმავალ ბილიკს, მალე გადაირბინა ღარტაფი, ფერდობს აჰყვა და ბორცვზე ავიდა, ძმებს მაინც ვერ წამოეწია. შედგა, სული მოითქვა, უკან მოიხედა: შორს, მწვანე მინდორზე, ისევ ტრიალებდნენ თეთრკაბიანი გოგონები და ვინ იცის, აღარც ახსოვდათ იგი.

აღარავის აგონდებოდა, გარდა, შესაძლოა, ერთისა. იგი ახლა განმარტოებით თეთრად მოჩანდა ღობესთან.

— ეს ხომ ის კარგი გოგონაა, მასთან რომ არ უცეკვია. თითქოს

არაფერი, მაგრამ ვაჟმა მაინც იგრძნო უნებურად რომ ქალი გულნატკენი დატოვა თავისი დაუდევრობით. რად არ გაიწვია საცეკვაოდ! რად არ გაიგო მისი სახელი! რა კდედამოსილი, რა საყვარელი, რა ნაზი ჩანდა თეთრ სიფრიფანა კაბაში. ახლაღა მიხვდა, რა სიბრიყვე მოუვიდა.

საქმეს აღარა ეშველებოდა რა. ყმაწვილი გატრიალდა, თავს ძალა დაატანა, რომ სწრაფი ნაბიჯით ევლო და ფიქრები გონებიდან განედევნა.

III

ტეს დარბეიფილდს კი ასე იოლად როდი დავიწყებია ეს ამბავი. კარგა ხანს ვეღარ მოახერხა ცეკვა. თუმცა კავალრები ბუზებივით ირეოდნენ ირგვლივ, მაგრამ ჰაი, რომ იმისი დარი არავინ იყო! აბა, რომელი საუბრობდა იმ ყმაწვილივით საამოდ! როცა მზის სხივებმა ფერდობზე მიმავალი უცხო ყმაწვილის გამოსახულება ჩანთქეს, მაშინღა ჩამოიბერტყა წამიერი სევდა და საცეკვაოდ გაჰყვა გასაწვევად გამოსულ ჭაბუკს.

ტესი დაბინდებამდე დარჩა თავის მეგობრებთან და სიამოვნებით ცეკვავდა. რაკი მის გულს ჯერ არავინ შეხებოდა, მთელ ტკბობას მუსიკის ტაქტზე მოძრაობა ანიჭებდა მხოლოდ. იგი ხედავდა მეგობარი ქალების „ტკბილ წამებას, მწარე სიხარულს, ნაზ ტანჯვასა და საამო სასოწარკვეთას“. მათ თაყვანსა სცემდნენ; ბოლოს იპყრობდნენ კიდეც. ტესმა კი არ უწყოდა რისი უნარი გააჩნდა თავად. ჯიგის დროს მისი ხელის მოსაპოვებლად ყმაწვილკაცების კინკლაობა მისთვის თავშესაქცევი იყო მხოლოდ. თუ ბიჭები მეტისმეტად გაცხარდებოდნენ, არც მათ დატუქსვას მოერიდებოდა.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა ტესი მინდორში, რომ უცებ მამამისის უცნაური საქციელი არ გახსენებოდა და შიშს არ აეტანა. მყის მოსწყდა გოგონების გუნდსა და სოფლის ბოლოს კოტეჯისაკენ გაეშურა.

როცა რამდენიმე ათეული ნაბიჯით მიუახლოვდა სახლს, კვლავ რიტმული ბაკიბუკი გაიგონა, ის კი არა, ახლახან რომ გამოსცდა, არა, სხვა, მისთვის ნაცნობი, კარგად ნაცნობი ბგერები! ხმა სახლიდან გამოდიოდა, — ქვის იატაკზე აკვნის ბაკიბუკი გაისმოდა — ვიღაცა თავგადადებული არწევდა აკვანს. ამას ზედ ერთვოდა ქალის სიმღერაც, გამალებით დაჰგალობდა იგი მძინარეს თავის საყვარელ „ჭრელი ძროხის ამბავს“.

ვნახე, იწვა ის მწვანე ჭალაში,

წამოდი, ტურფავ, გაპოვნინებ მე.

უცებ ერთბაშად შეწყდებოდა აკვნის ბაკიბუკიც, სიმღერაცა და მელოდიის ნაცვლად ქალის ხმამაღალი წამოძახილები გაისმოდა:

— შენ კი გამეზარდე, შვილო, და ღმერთმა დამილოცოს შენი ბრილიანტის თვალები, შენი ფუნთულა ბროლის ლოყები. შენი ალუბლისფერი ტუჩები, საყვარელი ფეხები, შენი პაწია ტანის ყველა ნაწილი.

— მერე ისევ გაისმოდა ბაკიბუკი და ,,ჭრელი ძროხის ამბავი". აი, ასეთ ვითარებაში შეაღო ოთახის კარი ტესმა, შედგა ზღურბლზე და თვალწინ გადაშლილ სურათს გადახედა.

სიმღერისდა მიუხედავად, ენით გამოუთქმელმა სევდამ მოჰბერა გოგონას ოთახიდან. ასეთი სადღესასწაულო დღის — თეთრი კაბების შარიშურის, ყვავილების ლამაზი თაიგულების, ტირიფის ჯოხების, მოლზე ცეკვა-ტრიალისა და უცნობისადმი აფეთქებული ნაზი გრძნობის შემდეგ ეს ყვითელი სევდა და ერთადერთი საცოდავი სანთლის მქრქალი შუქი, — რა მკვეთრი, რა ულმობელი წინააღმდეგობა და განა მარტო ეს?

ტესმა საოცარი, გამყინავი სინდისის ქენჯნა იგრძნო. იმის ნაცვლად, რომ შინ დროზე დაბრუნებულიყო და საოჯახო საქმეებში დედისათვის ხელი წაეშველებინა მინდორ-მინდორ იხეტიალა, ცეკვავდა და კუნტრუშობდა.

ბავშვებით გარშემორტყმული დედა ოთახში ისევე დახვდა, როგორც დატოვა ტაშტზე წახრილი იდგა და სარეცხს ჭიჭყნიდა, რომელსაც დღესხვალიობაში, ორშაბათიდან მუდამ კვირის ბოლომდე მიიტანდა ხოლმე. ტესმა კვლავ მტანჯველი სინდისის ქენჯნა იგრძნო. განა ამ ტაშტიდან არ იყო ამოღებული ის თეთრი კაბა, ასე დაუდევრად რომ ამოუთხუპნა კალთა ნამიან ბალახზე სეირნობის დროს? დედის ნაშრომ-ნაჯაფი ხელებით გაწურული და გაუთოებული კაბა!

როგორც ყოველთვის, ტაშტზე წახრილი მისის დარბეიფილდი ახლაც ცალ ფეხზე იმაგრებდა თავს, მეორეთი კი აკვანს ურწევდა პაწიას. ბევრის მომსწრე და მნახველ სარწეველას, რომელზეც აკვანი იდგა, წლების განმავლობაში ქვის იატაკზე ხახუნისა და ამდენი ბავშვის სიმძიმისაგან მთელი კავები გასცვეთოდა. რწევისას აკვანი ხტოდა და ყრმას სართავი დაზგის მაქოსავით ერთი გვერდიდან მეორეზე ისროდა. საკუთარი სიმღერით გატაცებული მისის დარბეიფილდი კი არწევდა და არწევდა აკვანს დილიდან საღამომდე ტაშტთან ჯაჯგურის შემდეგ კიდევ შემორჩენილი ძალით.

ბაკიბუკი, ბაკიბუკი, — კაკუნობდა აკვანი. სანთლის ალი პარპალებდა, ცეკვავდა, ხან აიწევდა, გაიწელებოდა, ხან ისევ დაიწევდა. წურწურით ჩამოსდიოდა წყალი დედას მკლავებიდან. სიმღერა მიაჭენებდა. მისის დარბეიფილდი კი ქალიშვილს შესცქეროდა. ახლაც, წვრილშვილში ყელამდე ჩამჯდარ ჟოან დარბეიფილდს თავდავიწყებით უყვარდა სიმღერა. რა ჰანგი უნდა შემოჭრილიყო ბლეკმურის ველზე გარესამყაროდან, რომ ტესის დედას ერთ კვირაში არ სცოდნოდა!

პირველი შეხედვისთანავე შეატყობდა კაცი, რომ ჯერ კიდევ არ დაეკარგა ამ ქალს ახალგაზრდული სიქორფე და მოხდენილობა. აშკარა იყო, მომხიბლაობა, რითაც ტესს შეეძლო დაეკვეხა, მეტწილ დედისგან მინიჭებული მადლი იყო და არა რაინდული ჩამომავლობის ისტორიული მემკვიდრეობა.

— მე დავარწევ აკვანს, დედა! — ალერსით უთხრა ქალიშვილმა, — თუ გინდა ტანსაცმელს გამოვიცვლი და სარეცხის გაწურვაში მოგეხმარები: მე მეგონა დამთავრებული გქონდა რეცხვა.

დედა როდი უჯავრდებოდა ტეს, რომ მარტო მიატოვა ამდენ ხანს და მის ანაბარად მიაგდო მთელი საოჯახო საქმეები. არც არასოდეს საყვედურობდა შვილს ამისათვის. კაცმა რომ თქვას, არც საჭიროებდა ტესის დახმარებას; ჩვეულებად ჰქონდა, რაც შეიძლება შეემსუბუქებინა დღიური შრომა და სახვალიოდ გადაედო საქმე. დღეს კი, რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივზე უფრო უდარდელი და მხიარული გახლდათ. ვერა და ვერ მიმხვდარიყო ტესი, რად შესცქეროდა რაღაცით შეფიქრიანებული და თითქოს აღტაცებული დედა ასეთი მეოცნებე თვალებით.

— ოჰ, როგორ მიხარია, რომ მოხვედი! — მიახალა დედამ მაშინვე, როგორც კი სიმღერის უკანასკნელი ბგერა ამოუშვა პირიდან.

— ახლა წავალ, მამაშენს მინდა მივაკითხო. რომ იცოდე, რა უნდა გიამბო... სული კბილით მიჭირავს, თვალები გადმოგცვივდება რომ გაიგებ (მისის დარბეიფილდი ჩვეულებრივად ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობდა, მისი ქალიშვილი კი, რომელმაც ლონდონელი პედაგოგის ხელმძღვანელობით ექვსკლასიანი ეროვნული სკოლის კურსი გაიარა, ორ ენაზე საუბრობდა. შინ მეტწილად — ადგილობრივ კილოკავზე, ხოლო სოფელს გარეთ კი უფრო მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან — ინგლისურ ენაზე).

— ჩემს არყოფნაში მოხდა რამე? — იკითხა ტესმა.

— ჰო.

— მაგიტომ ხომ არ იყო დღეს მამაჩემი ეტლში გამოჭიმული ბატონკაცივით. რად გააკეთა მამამ ეს. ლამის იყო მიწაში ჩავძვერი

სირცხვილისაგან.

— დიახ. არც ეგ მომხდარა უმიზეზოდ. იცი, თურმე, რაც კი საგრაფოში ხალხია, ჩვენ ყველაზე დიდგვაროვნები ვყოფილვართ... ჩვენს წინაპრებს ოლივერ კრომველამდე ბევრად უფრო ადრე უცხოვრიათ. ჯერ კიდევ თურქი წარმართების დროს, ჩვენ საკუთარი ძეგლები, აკლდამები, ფარები, გერბები და ღმერთმა უწყის, რა აღარა გვქონია. წმინდა ჩარლზის დროს „სამეფო მუხის რაინდებად“ აუღზევებიათ ჩვენი წინაპრები. ჩვენი ნამდვილი გვარი დარბეიფილდი კი არა და დ'ერბერვილი ყოფილა!... რაო, ჩემო კარგო, აგიფანცქალდა გული? ჰოდა, სწორედ ამიტომაც მობრძანდებოდა მამაშენი დღეს ეტლით, აბა, მაშ, მთვრალი კი არ იყო, ხალხი რომ ლაყბობდა.

— ძალიან მიხარია, დედა, მაგრამ, ვითომ ეს რამე შეღავათია ჩვენთვის?

— ო, რა თქმა უნდა! უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც კი ეს ამბავი ცნობილი გახდება, უდიდესი გადატრიალება მოხდება; აქ ჩამობრძანდება ეტლებით ისეთივე დიდგვაროვანი ხალხი, როგორიც ჩვენა ვართ: მამაშენმა ეს ამბავი ახლახან, შესტონიდან რომ ბრუნდებოდა, თურმე, მაშინ შეიტყო და ყველაფერი დაწვრილებით მიამბო.

— მამა სად არის ახლა? — იკითხა ტესმა უეცრად. დედამ სიტყვა ბანზე აუგდო და თავისი გააგრძელა:

— მამაშენს დღეს ექიმთან შეუვლია შესტონში. ექიმს უთქვამს, არავითარი ჭლექი შენ არა გჭირს, უბრალოდ, ქონი გაქვს გულზე მოდებული და ეგაა მთელი შენი სატკივარიო. აი, როგორაა თურმე, — თქვა ჟოან დარბეიფილდმა და ქაფიანი ცერი და საჩვენებელი თითი ისე მოკაკვა, რომ ასო „ჩ“ გამოეყვანა, მეორე ხელის საჩვენებელი თითი კი სანიშნებელ ჯოხად გამოიყენა, — ახლაო, — უთქვამს ექიმს მამაშენისთვის, — თქვენი გული აი, აქა და აქაა ქონით დაფარული. ეს ადგილი ჯერ თავისუფალია და როგორც კი აქაც ქონი დაგედებათ, — მისის დარბეიფილდმა თითების ბოლოები შეაერთა.

— ამქვეყნიდან ისე წახვალთ და გაქრებით, როგორც ჩრდილიო. თქვენო, შეიძლება ათ წელსაც გაძლოთ და შეიძლება ათ თვეში ან ათ დღეშიც კი მოკვდეთო.

ტესი შეშფოთდა.

— მამამისმა ასე ანაზდად მიაღწია სიდიადეს და ახლა ასევე უეცრად უნდა ჩაიკარგოს მარადისობაში?!

— კი, მაგრამ სად არის მამა!? — კვლავ იკითხა მან. დედამ მუდარის თვალი მიაპყრო შვილს.

— იცოდე, არ გაჯავრდე... საბრალო ისე მოქანცა პასტორისაგან

შეტყობილ ამბავზე ფიქრმა, რომ გადაწყვიტა, ერთ ნახევარი საათით როლივერთან შევივლი, ცოტა ჯანზე მოვალო. ხვალ ხომ ეს სკები უნდა წაიღოს. დიდგვაროვნები კი ვართ, მაგრამ ამ საქმის გადადება მაინც არ ივარგებს. ხომ იცი, შორი სავალია, შუაღამისას უკვე გზაზე უნდა იდგეს.

— ჯანზე მოვალო! — გაცხარდა ტესი და თვალები ცრემლებით აევსო, — ღმერთო ჩემო! მერე ამისათვის დუქანში წასვლა იყო საჭირო! კიდევაც რომ ექომაგები და კალთას აფარებ!

ტესის რისხვამ თითქოს აავსო მთელი ოჯახი და შიში და ძრწოლა მოჰგვარა ირგვლივ ყველასა და ყველაფერს. ავეჯს, მოპარპალე სანთელს, იქვე, ოთახში, მოხტუნავე ბავშვებსა და დედას.

— არა, კი არ ვექომაგები, — ითაკილა დედამ, — შენ მოსვლას ვუცდიდი, რომ ჯალაბისათვის მიგეხედა. ახლა წავალ, მივაკითხავ და წამოვიყვან.

— მე წავალ.

— არა, ტეს, ხომ იცი, შენი წასვლა წყლის ნაყვა იქნება.

ტესი აღარ გაუჯიუტებულა, კარგად იცოდა, რატომ იჩემებდა დედა წასვლას. წინასწარგანზრახული გასეირნებისთვის გამზადებული ჯაკეტი და შლიაპა უკვე სკამზე ეკიდა. გასეირნების დარდი უფრო ჰქონდა ჩვენს მატრონას, ვიდრე იმისა, ვისთვისაც მიდიოდა.

— ეს „ბედის წინასწარმეტყველი“ ფარდულში გაიტანე, — ხელებს იმშრალებდა, იცვამდა და თან ლაპარაკობდა ჟოანა.

„ბედის წინასწარმეტყველი“ — ძველისძველი სქელტანიანი წიგნი იქვე იდო მაგიდაზე, ჯიბით ხშირი ტარებისაგან ისე გაქუცულიყო, მინდორი აღარ შერჩენოდა და გახუნებული სტრიქონები შეჭმული გვერდების ბოლომდე გადიოდა. ტესმა წიგნი აიღო, დედა კი გზას გაუდგა.

დუქანში გამგზავრება გზააბნეული ქმრის საძებნელად, მთელი დღე ბავშვებთან თავმომაბეზრებელი და გულისგამაწვრილებელი დავიდარაბისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, ერთი ყველაზე სანუკვარი გასართობი იყო ხოლმე მისის დარბეიფილდისათვის. ქმრის გამოჭერა ოლივერის დუქანში, ერთი-ორი საათით მის გვერდით ჩამოფერხება და ბავშვებზე ზრუნვისა და ფიქრისაგან ცოტა მოსვენება — სწორედ დიდ ნეტარებას ჰგვრიდა. მაშინ თითქოს ბრწყინდებოდა, დაისის მზის სხივების ნათელი ეფინებოდა ცხოვრებას. ყველა ჯურის ტანჯვა-უბედურება და მთელი რეალური სინამდვილე რაღაც მეტაფიზიკური, ხელშეუხებელი ხდებოდა. სადღაც იკარგებოდნენ ეს ჯიუტი კონკრეტული ფაქტები, სულსა და გულს რომ აბეზრებენ და აწამებენ. ყოველივე გონებით ჭვრეტით კატეგორიაში გადადო და, —

შეგეძლო მშვიდად დაფიქრებულიყავი და განგესაჯა. ბავშვები, როცა ისინი აქვე, ცხვირწინ არა ხორხოცებდნენ, ცხოვრების სასურველ და საამო სამკაულებად იქცეოდნენ. ყოველდღიური ამბები და ზრუნვა, წარმოიდგინეთ, სანეტარო და თავშესაქცევიც კი ეჩვენებოდა კაცს. ასეთ დროს ჟოანს, ჩვეულებრივ, თითქოს რაღაც მისთვის კარგად ნაცნობი გრძნობისმაგვარი იპყრობდა, ოდესღაც რომ ჰქონდა, როცა ახლა ჯვარდაწერილი, მაშინ კი შეყვარებულის გვერდით იჯდა ხოლმე დუქანში, თვალს ხუჭავდა მის ყოველ ნაკლზე და სრულქმნილი შეყვარებულის მეტს ვერას ხედავდა.

პატარა ბავშვების ამარად დარჩენილმა ტესმა სამკითხაო წიგნი გაიტანა სარდაფში და ჩალაბულაში შეყარა. მისის დარბეიფილდს რაღაც უცნაური ცრუმორწმუნეობრივი ძრწოლა ჰქონდა ამ ჭუჭყიანი და დაქექილ-დაგლეჯილი წიგნისადმი. ღამღამობით შინ არასოდეს დატოვებდა. ამიტომ, დაეთათბირებოდნენ, ჭკუას ჰკითხავდნენ თუ არა, წიგნს მაშინვე გარეთ მიარბენინებდნენ. სწრაფად მოარული ცრურწმენებით თავგამოჭედილ, ზეპირადგადმოსული ბალადებისა და ფოლკლორის დიდი მცოდნე, ადგილობრივი კილოკავით მოსაუბრე დედასა და ექვსწლიან ეროვნულ სკოლაში ახალი პროგრამით განსწავლულ შვილს შორის, როგორც იტყვიან, ორასი წლის უფსკრული იყო, როცა ერთად იყვნენ, თითქოს ერთმანეთის პირისპირ ორი შორეული — იაკობინური და ვიქტორიანული ეპოქა იდგა.

„ნეტავ, რა უნდოდა გაეგო ან რას მოელოდა დღეს დედა ამ წიგნიდან? — ფიქრობდა ახლა ბაღის ბილიკზე მიმავალი ტესი, — და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი უდავოდ იმ ახალაღმოჩენილ ამბავთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ თუ საქმე მარტო მას შეეხებოდა, ამას კი ვერაფრით მოისაზრებდა. ტესმა მალე მოიშორა ფიქრები თავიდან და გამშრალი თეთრეულის დანამვას მიჰყო ხელი. თან თავისი ცხრა წლის ძამიკო აბრეჰემი და თორმეტი წლის დაიკო — ელიზა-ლუიზა მიიხმარა. გოგონას ხშირად ლიზა-ლუსაც ეძახდნენ. პატარები დასაძინებლად დააწვინეს. ტესსა და ოჯახის მომდევნო წევრს შორის ოთხ წელზე მეტი იყო სხვაობა. ამ ხნის მანძილზე დაბადებული ორი ბავშვი ბალღობაშივე დახოცილი — ყვნენ, ამიტომ ახლა პაწიებთან მარტოდ დარჩენილი ტესი დედასავით ექცეოდა მათ. აბრეჰემის მომდევნო ორი გოგო ჰყავდათ, — ჰოუპი და მოდესტი, მერე მოდიოდა სამი წლის ბიჭი, ნაბოლარა თოთო ბავშვი იყო, რომელსაც ეს-ეს არის ერთი წელი შესრულებოდა.

დარბეიფილდების ხომალდის ამ ექვსი უმწეო მგზავრის ბედ-იღბალი, ორი უფროსი დარბეიფილდის ქეიფზე იყო მთლიანად მინდო-

ბილი, — გართობა-თამაში იქნებოდა ეს, ნება-სურვილები, მათი ჯანმრთელობა თუ თვით სიცოცხლეც კი. თუ დარბეიფილდების სახლის ეს ორი მეთაური ინებებდა, რომ გემი უბედურებისაკენ — მარცხის, გინდაც შიმშილის, დამცირებისა თუ სიკვდილისაკენ — წარემართა, სატუსაღოში გამომწყვდეული ნახევარი დუჟინი პაწია, რომელთათვისაც არავის უკითხავს, უნდოდათ თუ არა სიცოცხლე და ისიც ასეთი ტიალი სიცოცხლე, — რაიც გარდუვალი იყო დარბეიფილდების უთავო სახლში, — იძულებული იყო გაეცურა მათთან ერთად. კაცმა არ იცის, საიდან გამოჩხრიკა პოეტმა ეს სიტყვები, დიდის ამბით რომ ღაღადჰყო: „ბუნებას წმინდა გეგმები აქვსო“, რა ვიცი დღეს ყველა დიდ ნიხრს ადებს მის ფილოსოფიას. ლექსებიც მსუბუქი და გამჭვირვალე აქვსო, რომ ჰკითხოთ.

ხანი გამოხდა, არც დედა ჩანდა, არც მამა. ტესმა გარეთ გამოიხედა და ფიქრით მარლოტს შემოუარა. სოფელი თვალებს ხუჭავდა. თანდათან ქრებოდა სანთლები და ლამპები. ტესმა გაწვდილი ხელი და თალფაქიც კი წარმოიდგინა, რომლითაც შუქს აქრობენ ხოლმე.

დედას წასვლა მამის მოსაყვანად იმას ნიშნავდა, რომ ახლა კიდევ ვიღაცა უნდა გადგომოდა ორივეს. ტესმა კარგად უწყოდა, რომ არაფერი წესია შერყეული ჯანის კაცი, რომელიც გათენებამდე გზაზე აპირებს დადგომას, შუაღამემდე დუქანში იჯდეს და თავის უძველეს დიდგვაროვნობას ზეიმობდეს.

— აბრეჰემ! — უთხრა ტესმა თავის უმცროს ძმას, — დაიხურე ქუდი და მიირბინე როლივერის დუქანში, გაიგე ერთი, რა დაემართათ დედასა და მამას. ხომ არ შეგეშინდება?

ბიჭი ცქვიტად წამოხტა ადგილიდან, კარი გამოაღო და ღამეში ჩაინთქა. ნახევარი საათი გავიდა, მაგრამ არც კაცი ჩანდა, არც ქალი, აღარც ბავშვი. თითქოს აბრეჰემიც, მისი მშობლებივით წყეულმა დუქანმა შეიტყუა.

— მე თვითონ უნდა წავიდე და ვნახო ერთი, რა დაემართათ, — თქვა ტესმა.

ლიზა-ლუ დასაძინებლად დაწვა. ტესმა კარი ჩარაზა და ბნელი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩით დუქნისაკენ გაემართა. ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ჩქარა ვერ ივლიდი ამ გზაზე, იგი ჯერ კიდევ იმ დროს გაეჭრათ, როცა არც მიწის თითოეულ დუიმს აფასებდნენ მამასისხლად და დროის საზომადაც ერთისრიანი საათი ჰყოფნიდათ.

IV

როლივერის დუქანს, სიგრძეზე გაჭიმულსა და უწესრიგოდ მიმოფანტულსახლებიანი სოფლის ბოლოში მდგარ ამ ერთადერთ ლუდხანას, მხოლოდ სპირტიანი სასმელების გატანითა და გაყიდვის უფლებით შეეძლო დაეკვეხა. რაკი შინ სმა კანონის დარღვევად ითვლებოდა, მუშტრებისათვის, რომ უფრო მოხერხებული ყოფილიყო ბაღის ღობეზე მავთულით ექვსიოდე დუიმის სიგანისა და ორი იარდის სიგრძის ფიცარი მიემაგრებინათ, რაც დახლის მოვალეობას ასრულებდა. ეს იყო და ეს ამ დუქნის მთელი მოწყობილობა. მწყურვალი მგზავრი მივიდოდა, დადგამდა ტოლჩას ფიცარზე. ნაჟური ეშხეფებოდა მტვრიან მიწას და ზედ პოლინეზიური ნაყშები გამოჰყავდა. ფეხზე ჩამოშეშებული მუშტრები კი იდგნენ და ნატრობდნენ ჭერქვეშ პატარა ჩამოსაჯდომს, რომ ცოტა ხნით მაინც ჩაემუხლათ.

ასე ისტუმრებდნენ გამვლელებს, მაგრამ დუქანს შინაური მუშტარიც ჰყავდა, რომელთაც იგივე სურვილები ამოძრავებდათ. ჰოდა, მოგეხსენებათ, გული გულობდეს და ქვას გახეთქავს კაცი.

მაღლა სართულზე, ფართო საწოლ ოთახში, ფანჯარაზე მჭიდროდ ნაქსოვი დიდი შალი ჩამოეფარებინათ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იგი დუქნის დიასახლისს მისის როლივერს ემსახურებოდა. ამ საღამოს აქ თორმეტიოდე სიხარულსმოწყურებულ კაცს მოეყარა თავი. ყველანი მარლოტის ამ განაპირა მხარის ახლომახლო მიდამოების ძველისძველი მცხოვრებნი და მისტერ როლივერის მუდმივი მუშტრები გახლდნენ.

— „ანკარა წვეთის“ სიშორე ხელმიუწვდომს ხდიდა ამ სრულუფლებიან სამიკიტნოს ფართოდ გაშლილი სოფლის განაპირა კუთხის მცხოვრებთათვის, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი მიზეზიც გახლდათ, მთავარი — სასმელის უხეირობა იყო. მუშტრებისათვის რომ გეკითხათ: როლივერთან სადმე, მივარდნილი სხვენის კუთხეში დალევა გერჩიოს, „ანკარა წვეთის“ მეპატრონის ფართო სახლში სმასაო.

სამივე მხრიდან შემოსხდომოდნენ სტუმრები საცოდავ ოთხბოძიან საწოლს, რომელიც ოთახში იდგა და სავარძლის მაგივრობას ასრულებდა. ორი კამოდზე შესკუპულიყო. ერთი მუხის მოჩუქურთმებულ ზანდუკზე წამოჯგიმულიყო, ორი დანარჩენი — პირსაბანზე, ერთი კიდევ ტაბურეტზე იჯდა. ერთი სიტყვით, ყველა მოთავსებულიყო, რამდენადაც შეეძლო, მოხერხებულად. ეს ის დრო და წამი გახლდათ, როცა მათმა სულებმა ნეტარების მიჯნას მიაღწიეს, სვიანნი და აყვავებულნი სხეულის გარსში ვეღარ ეტეოდნენ, გარეთ ისწრაფვოდნენ, ათბობდნენ ოთახს. ამის წყალობით ოთახიც, ავეჯიც თანდათან სულ უფრო მეტ დიდებულებასა და ბრწყინვალებას იძენდა.

ფანჯარაზე ჩამოკიდებული დამჩიჩული შალი ძვირფას გობელენად იქცა. კარადის სპილენძის სახელურები — კეთილშობილი ოქროს რგოლებად, ხოლო საწოლის ნაჭდევი მანები, რაღაც ნათესაურ კავშირში აღმოჩნდა სოლომონის ტაძრის დიდებულ სვეტებთან.

ტესს რომ დასცილდა, მისის დარბეიფილდი მალე მივიდა დუქანში. შეაღო წინკარი, გაიარა ქვედა სართულის ჩაბნელებული ოთახი, მერე კიბეზე გასასვლელი კარის კარგად ნაცნობი რაზა ხელით გააღო, ნელა აუყვა განათებულ ხვეულ კიბეს და როგორც კი უკანასკნელ საფეხურზე ააბიჯა ოთახში თორმეტივე შეკრებილი მას მიაჩერდა.

— ... მეგობრებო, ახლობლები მოგიწვიეთ, მინდა მცირედ გაგიმასპინძლდეთ საკლუბო დღესასწაულის აღსანიშნავად — მოსწავლე რომ დაზეპირებულ კატექიზმოს ჩააბულბულებს, ისე სხაპასხუპით მიაყარა დიასახლისმა ფეხის ხმის გაგონებაზე და კიბისაკენ გაიხედა, — ოჰ, თქვენა ხართ, მისის დარბეიფილდ? ღმერთო ჩემო, გული გადამიტრიალდა! ვიფიქრე, ვინმე მთავრობის კაცი თუ არის-მეთქი...

კონკლავის სხვა წევრები ღიმილითა და თავის კანტურით მიესალმნენ მოსულს. მისის დარბეიფილდი თავის მეუღლეს მიუბრუნდა. ჯონი იჯდა და ხმადაბლა უაზროდ თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა.

— ნურას უკაცრავად, მე არავიზე ნაკლები არ გეგონოთ ამ ახლომახლოში. უზარმაზარი საგვარეულო აკლდამის პატრონი გახლავართ კინგსბირ-საბ-გრინჰილში. მთელ უესექსში არავის მოეძევება ჩემზე წარჩინებული მიცვალებულები.

— ყური მიგდე, რა დიდებული აზრი მომივიდა, რომ იცოდე, — გადაუჩურჩულა გულარხეინმა ცოლმა, — მომისმინე, ჯონ, ვერა მხედავ თუ რა მოგივიდა?

ჯოანმა მუჯლუგუნი წაჰკრა ქმარს. ის კი ისე შეჰყურებდა, თითქოს ფანჯრის მინაში იცქირება და თავგამოდებულმა განაგრძო თავისი რეჩიტატივი.

— შშშ... ეგრე ხმამაღლა ნუ ღიღინებთ, ჩემო კარგო, — დატუქსა დიასახლისმა, — მეტი კი არ უნდათ, გამოტყვრება საიდანმე მთავრობის კაცი, წამომადგება თავზე და ბევრ ლაილაის კი არ დამიწყებს. ჩამომართმევს პატენტს და უყარე მერე კაკალი.

— ალბათ გიამბოთ, რა ამბავი დაგვატყდა თავს? — იკითხა მისის დარბეიფილდმა.

— ჰო, გვითხრა რაღაცა. როგორ ფიქრობთ, ვითომ გამოდნება რამე მაგ საქმიდან?

— ვინ იცის, — გონივრულად მიუგო მისის დარბეიფილდმა, — სულ არარაობას, მაინც ურიგო არ არის კარგი ეტლი მეზობლად გეგულებოდეს, თუნდაც გამორჩომის არაფერი იმედით იყო.

ჯონი ყველას გასაგონად ლაპარაკობდა. მერე ხმას დაუწია და ქმარს მიუბრუნდა.

— ეს ამბავი რომ მითხარი, მერე მომაგონდა, ტრენტრიჯში, ნაკრძალის პირზე დ'ერბერვილის ერთი დიდგვაროვანი და მდიდარი ქალი ცხოვრობს.

— ჰა, რაო? — იკითხა სერ ჯონმა ბურანში მყოფივით. ცოლმა გაუმეორა ნათქვამი.

— ვინ იცის ეს ჩვენი ნათესავიცაა, ჰა? — დასძინა მან და მერე გააგრძელა, — მოდი, ტესი გავაგზავნოთ გამოვეცნაუროთ.

— სწორს ამბობ, ხომ იცი იქ მართლა ცხოვრობს, როგორა თქვი? ჰო, აი, იმ გვარის ლედი. პასტორ ტრინგჰემს არც გახსენებია, მაგრამ, აბა, ის ჩვენთან რას მოვა, ალბათ ჩვენი გვარის რომელიმე, ნორმანდიის მეფის შემდგომ, ჰე, ვინ იცის, როდის გაჩენილი შტოს უმცროსი შთამომავალი იქნება.

სჯა-ბაასში გართულმა წყვილმა ვერც კი შენიშნა, როგორ შემოიტუზა ოთახში პატარა აბრეჰემი. იდგა ბიჭი და უყურყუტებდა რომ ხელსაყრელი შემთხვევა ჩაეგდო ხელში და ეთქვა შინ წამოდითო.

— ძალიან მდიდარი ქალია; და, რა თქმა უნდა, პატივს არ მოაკლებს ჩვენს ქალიშვილს, — არა ცხრებოდა მისის დარბეიფილდი.

— ჰოდა, ძალიან კარგიც იქნება. არ მესმის პირდაპირ, ერთი გვარის შვილებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ მიმოსვლა და ნათესაობა ერთმანეთში.

— რა კარგია, ყველანი ნათესავები ვიქნებით! — გაისმა საწოლქვეშიდან აღტაცებული აბრეჰემის ხმა, — ჩვენ სტუმრად წავალთ ხოლმე, როცა ტესი იქ გადავა საცხოვრებლად. ჩავიცვამთ შავ ტანსაცმელს, ეტლით ვისეირნებთ.

— საიდან გაჩნდი, ბიჭო, აქ? რაებსა როშავ? წადი, მოუსვი აქედან. კიბეზე ითამაშე, სანამ დედაშენი და მამაშენი მოიცლიან, ლაპარაკი ზედმეტია, აღარ უნდა ამას ზომა-წონა, ტესი აუცილებლად უნდა წავიდეს ჩვენს ნათესავ ქალთან. ტესი ისეთია, ვიცი, უსათუოდ მოიგებს მის გულს... თქმა არ უნდა. მერე კიდევ... ვინ იცის, ღმერთი მოწყალეა. შეიძლება ვინმე კეთილშობილი ჯენტლმენი გამოჩნდეს და შეირთოს ჩვენი ქალი. გეუბნები, ლაპარაკი არ უნდა, ასე იქნება, მე ვიცი.

— საიდან იცი?

— „ბედის წინასწარმეტყველით“ ვუმკითხავე და ასე ამოუვიდა...

ნეტავი ერთი გენახა, რა კარგი იყო დღეს ჩვენი ტესი. ჰერცოგის ქალივით ნაზი კანი აქვს.

— კი, მაგრამ, თვითონ რას ამბობს, წავა?

— ჯერ არაფერი მითქვამს. იმან ისიც არ იცის, თუ ასეთი დიდებული ნათესავი გვყავს. რას ამბობ, ქალს დიდგვაროვანი ქმრის შოვნის შესაძლებლობა ეძლევა, წასვლაზე იტყვის უარს?

— ტესს რას გაუგებ, ახირებულია.

— ნუ გეშინია, მოველაპარაკები, ეგ საქმე ჩემზე იყოს.

თუმცა მათი საუბარი სხვების გასაგონად არ იყო გამიზნული, მაგრამ გარსმყოფებმა მაინც მოჰკრეს ბევრ რაღაცას ყური. ჰოდა, დაასკვნეს, დარბეიფილდებს უფრო სერიოზული სალაპარაკო გაუჩნდათ, ვიდრე უბრალო მოკვდავებსა აქვთ, მათ სიყრმის შვილს კი, ეტყობა, ბედნიერი მომავალი ელისო.

— რა დიდებული გოგოა-მეთქი, ვფიქრობდი დღეს, როცა სხვებთან ერთად დასეირნობდა ტესი სოფელში, — შენიშნა, ხმადაბლა ერთმა ძველმა ლოთბაზარამ, — მაგრამ ფრთხილად იყოს ჟოან დარბეიფილდი, მშრალზე არ დასვას ქალიშვილმა.

ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვები გახლდათ და პასუხად კრინტი არავის დაუძრავს.

ეს იყო საერთო საუბარი გაიბა, რომ ქვედა სართულში ფეხის ხმა გაისმა.

— მეგობრებო, ახლობლები მოვიწვიეთ, მინდა მცირედ გაგიმასპინძლდეთ საკლუბო დღესასწაულის აღსანიშნავად.

— კვლავ მიაყარა დიასახლისმა სხაპასხუპით დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის მომარჯვებული ფორმულა და მერეღა გაიგო, რომ ტესი მოსულიყო.

დედის თვალებმაც კი შენიშნეს, რომ ეს ღვინის ოხშივარით გაჟღენთილი ოთახი, რომლის ატმოსფეროც სახედანაოჭებულ, დაჩაჩანაკებულ მოხუცებს თუ შეეფერებოდა, არაფრით ტესის უზადო, ქორფა სახეს არ უდგებოდა. ჰოდა, საჭიროც აღარ იყო საყვედურით აღსავსე ტესის შავი თვალების შეხედვა, რომ მამაცა და დედაც ცუხცუხით მიჰყვნენ უკან ტესს. კიბეებზე დიასახლისმა არ დაიზარა და თავისი ლოცვა-კურთხევა და გაფრთხილებები დაადევნა:

— უხმაუროდ წადით, გეთაყვა, უხმაუროდ, ჩემო კარგებო, თქვენი ჭირიმეთ, თორემ ჩამომართმევენ პატენტს და სდიე მერე უკან. იწანწალე სასამართლოში და ღმერთმა უწყის, კიდევ რას არ გადაეყრება მაგათ ხელში კაცი. აბა, ღამე მშვიდობისა, ჩემო კარგებო!

ერთად გაემართნენ შინისაკენ. მამის ერთ მკლავში ტესს გაეყა-

რა ხელი, მისის დარბეიფილდს — მეორეში. კაცმა რომ თქვას, ბევრიც არაფერი დაულევია. ალბათ იმის მეოთხედიც არ შებარებია, რასაც ჩვეულებრივ მსმელები კვირა დილით გეახლებიან, მერე ფეხიც არ შეეშლებათ, ისე მივლენ ეკლესიაში და ვითომ აქ არაფერიაო, მუხლს მოიყრიან ღვთის წინაშე, მაგრამ დასნეულებული ჯონ დარბეიფილდისათვის ამის დარი სულ პაწია ცოდვებიც მთებივით იზრდებოდა. სუფთა ჰაერზე გამოსულ ჯონს ისე მოერია სასმელი, ფეხზე ძლივს იდგა და მისი შემწეობით სამივენი ხან ლონდონისაკენ იზამდნენ პირს, ხან ბატუსაკენ შებრუნდებოდნენ. სწორედ რომ სასაცილო საყურებელი იყო; თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ ისე იშვიათად იხილავს ხოლმე ასეთ სცენას ცოტა მოგვიანებით შინისაკენ მიმავალი კაცი, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და, ბევრი ამის მსგავსი კომიკური სცენებისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს არც ამაში ერია ბევრი სასაცილო. ორივე ქალი ვაჟკაცურად ფარავდა ამ იძულებით გადახვევებსა და კონტრიერიშებს ჯონ დარბეიფილდის — მათი ბრალდებულის, აბრეჰემისა და თვით საკუთარი თავისაგანაც კი. ასეთის ვაიგიგლახით მიაღწიეს საკუთარი სახლის კარამდე. ოჯახის თავმა, სახლს მიუახლოვდნენ თუ არა, თავისი ძველებური სიმღერა წამოიწყო ისევ, თითქოსდა თავისი ახლანდელი საცხოვრებელი უბადრუკი სახლ-კარის შემხედვარეს გული უნდა გაიმაგროსო.

— მე საგვარეულო აკლდამა მაქვს კინგსბირში!

— გაჩუმდი... ნუ სულელობ, ჯეკი! — დატუქსა ცოლმა, — უწინ რამდენი შენისთანა დიდებული გვარი არსებობდა. გაიხედ-გამოიხედე, შეხედე ენკტელებს, ჰორსებს, გინდა აგერ ა, ტრინგჰემებს, რა შენზე ნაკლები ჩამომავლობისა იყვნენ, მაგრამ ახლა ხედავ, შენსავით გაღატაკებულები არიან. მადლობა ღმერთს, დიდებული გვარისა არა ვყოფილვარ და არც არაფერის სირცხვილი მაწუხებს.

— რაღაც მეტისმეტად დარწმუნებული ხარ მაგაში. შენ რომ გიყურებ, ასე მგონია, არც ერთ ჩვენგანს თავი ასე არ დაუმცირებია; განა შენ კი არა გყავდა გვარში ოდესღაც მეფეებიცა და დედოფლებიც?

ტესს წინაპრები როდი ადარდებდა ახლა.

— ეჰ, მეშინია, რომ მამა ვერ მოახერხებს გამთენიისას ადგომას და სკების წაღებას, — ვერ დამალა წუხილი და შეცვალა საუბარის თემა ტესმა.

— მე! ერთ-ორ საათში კენჭივით ვიქნები! — დააიმედა ცოლ-შვილი დარბეიფილდმა.

თვრამეტმა საათმა მოაწია, სანამ ყველანი დასაძინებლად მი-

ლაგ-მოლაგდნენ. გზას კი ორ საათზე მაინც უნდა დადგომოდა დარ-ბეიფილდი, რომ სკები კესტერბრიჯში დროზე, შაბათის ბაზრობის დაწყებამდე მიეტანა ვაჭრებისათვის. ადგილამდე — ოცი-ოცდაათი მილი — სულ მინგრეულ-მონგრეული გზა იყო, ბეხრეკი ცხენი კი ისე-დაც ძლივს ეზიდებოდა დანჯღრეულ ოთხთვალას. ორის ნახევარი იქნებოდა, მისის დარბეიფილდმა ტესისა და მისი უმცროსი და-ძმე-ბის საძინებელი ოთახის კარი რომ შეაღო.

ჯერ კიდევ ძილ-მღვიძარი ტესი ლოგინში წამოჯდა.

— როგორ იქნება, ვიღაცა ხომ უნდა წავიდეს, — გამოეპასუხა იგი, — ისედაც ძალიან დავაგვიანეთ სკების წაღება. საცაა ფუტკრის ყრა დამთავრდება და თუ კიდევ მომავალ კვირამდე გადავდეთ საქმე, მერე ვინღა იყიდის, ხელში შეგვრჩება და ეგ იქნება.

ისედაც შეფიქრიანებული მისის დარბეიფილდი სულ მთლად და-იბნა.

— იქნება გუშინ რომ შენთან ცეკვა უნდოდათ, ის ბიჭები არ დაგ-ვზარებოდნენ წასვლას, — შეეცადა გამოეძებნა გამოსავალი.

— რას ამბობ, არაფრის გულისთვის! — ამაყად განაცხადა ტესმა, მერე ხომ ყველას უნდა მოედოს ჩვენი გაჭირვების ამბავი, თავის მოჭრაა! თუ აბრეჰემი წამომყვება, მე თვითონ წავალ.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს დაეთანხმა დედა შვილის გან-ზრახვას. ოთახის კუთხეში მოკუნტული, შუა ძილში მყოფი პატარა აბრეჰემიც გააღვიძეს და თუმცა ჯერ კიდევ ამქვეყნად არ იყო, აიძუ-ლეს ჩაეცვა. ტესმაც გადაიცვა თვალისდახამხამებაში, აანთეს ფა-რანი და ორივენი თავლაში გავიდნენ. პატარა, დაფხავებული ოთ-ხთვალა უკვე დატვირთული იყო. ტესმა გამოიყვანა ოთხთვალაზე უარესად დაჩაჩანაკებული პრინცად წოდებული ცხენი.

საბრალო ცხენი შეცბუნებული აცეცებდა თვალებს წყვდიადში. შეჰყურებდა ფარანსა და ორ ადამიანს, თითქოს ვერ დაუჯერებია, რომ ამ შუაღამისას, როცა ყოველი სულიერი ჭერქვეშაა და მთელი დღის ნაჯაფ-ნაჯახირევი სულს იბრუნებს, აიძულებენ გამოვიდეს და ტვირთი ათრიოსო. ჩადეს პატრუქის მარაგი ფარანში, მიაკიდეს ოთ-ხთვალას იმ მხრიდან, რომელიც შარის პირისაკენ იყო მიქცეული და გაუდგნენ გზას. სანამ გზა გორაკზე ადიოდა, ცხენს გვერდით მიჰ-ყვებდნენ, არ უნდოდათ კიდევ უფრო დაემძიმებინათ ისედაც მი-ლასლასებული პირუტყვი. ტესმა და აბრეჰემმა, ერთმანეთის გასამ-ხნევებლად, თვითონვე გაითენეს დილა — ფარნის შუქზე კარაქიან პურს შეექცეოდნენ, თან მასლაათობდნენ, — დილამდე კი ჯერ კარგა დიდი დრო იყო. აქამდე ისე დაბორიალობდა აბრეჰემი, თითქოს ბუ-

რანშიაო. ახლა კი, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს გამოფხიზლდა და თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა კუნაპეტი ცის ფონზე უცნაურად გამომზირალ საგნებს. ერთ ხეს ბუნაგიდან გადმოსახტომად ყალყზე შემდგარ გააფთრებულ ვეფხვს ამსგავსებდა, მეორე — გოლიათის თავს აგონებდა.

ყავისფერი ლერწმის სახურავებიან სახლებში მიძინებული პატარა ქალაქი სტაურკესტლი რომ ჩამოიტოვეს, აღმართიც დამთავრდა. მარცხნივ მიწაყრილებით გარშემორტყმული, მთელ სამხრეთ უესექსსში უმაღლესი ბალბეროუსა და ჰილბეროუს ქედი აღიმართა. აქედან კარგა დიდ მანძილზე გზა ქვემოთ, დაბლა-დაბლა ეშვებოდა. ტესი და აბრეჰემი ოთხთვალაზე აცოცდნენ.

— ტეს, — წამოიწყო მცირე დუმილის შემდეგ დაფიქრებულმა აბრეჰემმა.

— რა იყო.

— არ გიხარია, დიდებულები რომ გავხდით?

— არც მაინცდამაინც.

— ჯენტლმენზე რომ გათხოვდები, ის ხომ გიხარია?

— რაო? — თავი ასწია განცვიფრებულმა ტესმა.

— რა და, იცი, თურმე ერთი ჩვენი დიდგვაროვანი ნათესავი ჯენტლმენზე გათხოვებს!

— მე? დიდგვაროვანი ნათესავი? საიდან გამოიგონე? სადა გვყავს ჩვენ დიდგვაროვანი ნათესავი, ბიჭო?!

— საიდან გამოვიგონე და, როლივერთან რომ გამიშვი წუხელ, ყური მოვკარი, დედა და მამა ლაპარაკობდნენ. იცი, რაო? ტრენტრიჯში თურმე ერთი ჩვენი მდიდარი ნათესავი ქალი ცხოვრობს. დედა ამბობდა, ტესი რომ წავიდეს მასთან და გამოეცნაუროს, აუცილებლად მოეწონება და მერე ვინმე ჯენტლმენზე გაათხოვებსო.

და უცებ გაჩუმდა, ფიქრებში ჩაიძირა. აბრეჰემი კი ტყიპინებდა და ტყიპინებდა, ოღონდ ელაპარაკა და ყურს უგდებდა თუ არა ვინმე, სულაც არ დაგიდევდათ. არც ტესის დაბნეულობისათვის მიექცია ყურადღება: სკებზე ზურგმიყრდნობილმა თვალები ზეცას მიაპყრო და ახლა ვარსკვლავებზე დაიწყო მსჯელობა. ცის მნათობები ცივად დასციმციმებდნენ წყვდიადით მოცულ სივრცეს და გულცივად დასცქეროდნენ ადამიანური არსებობის ამ ორ ანატკეჩს. შორს არიან ვარსკვლავები? ღმერთი იმათ იქითაა? — ახლა ამის გაგება მოისურვა აბრეჰემმა. რას არ მიედო ბავშვი, რას არ მოედო, მაგრამ აცლიდა და კვლავ იმას უბრუნდებოდა, რაც უფრო ძლიერ შეეხო მის ბავშვურ წარმოდგენებს, ვიდრე სამყაროს ეს საოცრებანი. ნეტავი დურ-

ბინდის საყიდელი ფული თუ ექნება ტესს, იმ ჯენტლმენზე რომ გათხოვდება და გამდიდრდება?.. რა ახლოს გამოჩნდება დურბინდში ვარსკვლავები! აგერ ა, ზედ ცხვირწინ იქნება ნეტლკომ-ტაუტივით.

ამ ახალმა საფიქრალმა, რომელიც თითქმის მთელ ოჯახს მოედო, ერთბაშად მოთმინებიდან გამოიყვანა ტესი.

— აბა, გეყოფა ახლა მაგაზე ფიქრი! — წამოიყვირა მან.

— შენ არა თქვი, ვარსკვლავები პატარა ქვეყნებიაო, ტეს? — ჰო.

— ჩვენი ქვეყნისნაირები არიან ისინიც?

— არ ვიცი, მაგრამ მე მგონია, ასეთები უნდა იყვნენ. ზოგჯერ ჩვენი ბაღის ვაშლებსა ჰგვანან. ყველა საღია და საუცხოო, თუმცა დამპალიც გამოერევა ხოლმე.

— ჩვენ რომელზე ვცხოვრობთ, ტეს, საღზე თუ დამპალზე? — დამპალზე.

— რა არი, რა, ამდენ საღში რაღა ჩვენ შეგვხვდა დამპალი? — მაშ.

— მართლა ეგრეა სინამდვილეში, ტეს? — დისაკენ შეტრიალდა და იკითხა ამ საოცარი ამბით გაკვირვებულმა ბიჭმა, — რა იქნებოდა, ტეს, საღზე მოვხვედრილიყავით?

— რა იქნებოდა და მამა ისე აღარ ასლუკუნებდა და აღარც ისე იფრატუნებდა, როგორც ახლა დააფრატუნებს ფეხებს. წუხელაც არ გამოთვრებოდა ისე, რომ სკების წაღების წელი აღარა ჰქონოდა დღეს, აღარც დედას დასჭირდებოდა ასეთი გაუთავებელი რეცხვა და ლაგება.

— შენც ალბათ მდიდარი ლედი იქნებოდი, აღარც ჯენტლმენზე გათხოვება დაგჭირდებოდა, აღარც არაფერი, არა, ტეს?

— ოო, კარგი, მორჩი, თავი დაანებე მაგაზე ლაპარაკს.

საკუთარ ფიქრებს მინდობილმა აბრეჰემმა მალე ჩასთვლიმა, ტესს დიდად არ ეხერხებოდა აღვირის ხმარება, მაგრამ გადაწყვიტა, ახლა როგორმე გაერთმია ამისთვის თავი, აბრეჰემს კი დაეძინა, თუკი ეძინებოდა, მოუწყო ძმას სკების წინ საბუდარივით ჩასაჯდომი, რომ არ გადმოვარდნილიყო, გამოართვა აღვირი და წინ გასწია.

პრინცი დიდ ყურადღებას როდი მოითხოვდა, ილაჯგაწყვეტილს ბევ რის თავი არცა ჰქონდა, აღარც ძმის ტიკტიკი უშლიდა ტესს ხელს ახლა, მიეყრდნო სკებს და ფიქრებს მისცა თავი. გზის გასწვრივ მდუმარე პროცესიასავით გაჭიმული ხეები და ბუჩქები თითქოს რეალობის მიღმა გათამაშებულ სცენებში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ჰაერის ყოველი შემთხვევითი ამოსუნთქვა რაღაც უსაზღვრო და მწუხარე სულის ამოოხვრა იყო, რომელიც თითქოს სივრცეში — სამყაროს, ხოლო დროში ისტორიას ემიჯნებოდა.

ტესმა პირადი ცხოვრების მოვლენათა ხლართებში სცადა გარკვევა. განა აშკარა არაა, რომ ფუჭი და ამაოა მამის ამპარტავნული ფიქრები, რა ჯენტლმენი, რის ქორწინება. დედას რომ წარმოუდგენია თავის გუნებაში. ის ჯენტლმენი ალბათ ზიზღით დაიმანჭება, როცა მათ სიღატაკეს ნახავს, აქირქილდება და დასცინებს სუდარებში გახვეულ მათ წინაპარ რაინდებს. ჰო, ჰო, ნამდვილად ასეთი იქნება ის ჯენტლმენი, რა უაზრობაა ყველაფერი! რაღაც უცნაურ სახეს იღებდა ირგვლივ ყოველი, ტესი ვეღარც დროის სვლას ამჩნევდა. უეცრად ძლიერმა დარტყმამ შეარყია და ერთბაშად გამოაფხიზლა ჩათვლემილი ტესი. ოთხთვალა შედგა.

კარგა მანძილი გამოუვლიათ თურმე, ყრუ კვნესა შემოესმა წინიდან, მსგავსი წუხილი არასოდეს გაეგონა ტესს, კვნესას ყვირილი მოჰყვა.

— შენ, ე, რომელი ხარ მანდ?

ოთხთვალაზე მიბმული ფარანი ჩამქრალიყო, მაგრამ სხვა, უფრო ჭანჭახა შუქმა შეანათა ტესს თვალებში, უბედურება მოხდა უთუოდ — გაუელვა თავში. ცხენის მოსართავი გზაზე გახირულ რაღაცას გადახლართვოდა.

თავზარდაცემული ტესი ოთხთვალიდან გადმოხტა. საშინელება წარმოუდგა თვალწინ. პრინცი კვნესოდა, — მამამისის საბრალო პრინცი. თქმა არ უნდა, დილის ფოსტით დატვირთული ორთვალა, როგორც ყოველთვის, ალბათ ისარივით მოჰქროდა გზაზე უხმაუროდ და უფარნოდ მოღოღიალე მათ ოთხთვალას დაეძგერა. როგორც ჩანდა, წვეტიანი ხელნა მახვილივით შეჭროდა საცოდავ პრინცს გულ-მკერდში, სასიკვდილო ჭრილობიდან ნაკადივით მოსჩქეფდა სისხლი და თქრიალით იღვრებოდა მიწაზე.

სასოწარკვეთილი ტესი მივარდა, ხელი დააფარა ჭრილობას, მაგრამ რას გახდებოდა. ალისფერმა სისხლმა შადრევანივით ამოასხა და მთელი სახე და ტანისამოსი სისხლში მოუსვარა. რაღა ჩარა იყო, უნდა მდგარიყო უმწეოდ და ეცქირა, როგორ იწრიტებოდა სისხლისაგან საბრალო პრინცი. ცხენი იდგა გახევებული, ვაჟკაცურად, ვიდრე ძალა ეყო, მერე კი მოწყდა და მოცელილივით დაენარცხა მიწას.

ფოსტალიონი მიუახლოვდა ჯერ ისევ თბილ პრინცს, შეეცადა გამოეხსნა და გამოეთრია, მაგრამ ცხენი უსულოდ ეგდო. რაკი ნახა, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, თავის მრთელსა და უვნებლად გადარჩენილ ცხენს მიუბრუნდა.

— სწორად არ მოდიოდით. აბა, რა გინდოდათ, გზის ამ მხარეს

რომ მოღანტალებდით. მე სხვა გზა არა მაქვს, ფოსტა უნდა მივიტანო ადგილზე. თქვენ ჯობია აქ დაიცადოთ, მოვახერხებ თუ არა გამოგიგზავნით მაშველს. შიში ნურაფრისა გექნებათ, სადაცაა გათენდება.

ორთვალამ გზა განაგრძო. ტესი კი დაჯდა და დაუწყო ლოდინი. ცა გაიცრიცა. ჩიტებმა ბუჩქებში შეიფრთხიალეს, მიდამო მხიარული ჟღურტულით აივსო. თეთრად გამოჩნდა სოფლის შარაგზა, მაგრამ ტესის მიტკლისფერი სახე უფრო თეთრი იყო გზაზე. უკვე დალეკერტებულ ვეებერთელა წითელი სისხლის გუბეს ფერადი აპკი გადაეკრა და ამომავალ მზის სხივებზე მრავალფერად აციაგდა.

გალუგებული პრინცი იქვე ეგდო უძრავად. თვალები ნახევრადღია დარჩენოდა საბრალოს. ჭრილობა კი ისეთი პატარა და უმნიშვნელო მოჩანდა, კაცი გაოცდებოდა, ნუთუ აქედან დაიწრიტა მთელი ის მაცოცხლებელი ძალა, რომელიც ძარღვებში ედგა საცოდავ ცხოველსო..

— ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი! — სასოწარკვეთილებით შესძახა ამ სურათის შემყურე გოგონამ, — მოსაკლავი ვარ, რა ეშველება დედას და მამას, რიღათი იცხოვრებენ, რიღათი ები! ები! — შეანჯღრია უმცროსი ძმა, რომელსაც გუდასავით ეძინა, არხეინად, — გაიგონე ვეღარ მივდივართ, პრინცი მოკლეს. ორმოცდაათი წლის კაცივით დაეღარა ბავშვური სახე პატარა აბრეჰემს, როცა ბოლოს ჩახვდა, რა უბედურება დატყდომოდათ თავს.

„გუშინ არ იყო, რომ ვხტოდი, ვცეკვავდი და ვიცინოდი! — ფიქრობდა თავისთვის ტესი, — თურმე რა სულელი ვყოფილვარ“.

— ეს იმიტომ მოხდა რომ დამპალ ვარსკვლავზე ვცხოვრობთ, არა, ტეს? — წაიზლუქუნა ცრემლნარევი ხმით აბრეჰემმა.

კარგა ხანს აღარ ამოუღიათ ხმა: ისხდნენ და იცდიდნენ დაყმედილები. ლოდინს კი ბოლო არ უჩანდა. როგორც იქნა, ცხენის ფლოქვების თქარათქური შემოესმათ. მალე ვიღაც კაცსაც მოჰკრეს თვალი — ფოსტალიონს სიტყვა არ გაეტეხა და საშველად სტოურკესტლის. ფერმის მოჯამაგირე და მუხლმაგარი ულაყი გამოეგზავნა. შეუბეს ულაყი პრინცის მაგიერ ოთხთვალას და სკები კესტერბრიჯის გზას გაუყენეს.

იმავე დღეს სამხრობის ჟამს ოთხთვალა კვლავ მობრუნდა უბედური შემთხვევის ადგილას. საბრალო პრინცი იქვე ეგდო თხრილში დილის მერე. ვერც გამვლელ-გამომვლელ ეტლებს წაეშალათ სისხლის კვალი ზედ შუა გზაზე. საცოდავი პრინცის მძორი ასწიეს, დააგდეს იმავე ოთხთვალაზე, რომელსაც ასე ცოტა ხნის წინ თავად

დააჩაქჩაქებდა ილაჯგაწყვეტილი. ჩამავალი მზის სხივები ირეკლებოდა ფეხებგაფშეკილი საბრალო პირუტყვის ნალებზე. ასე გამოიარა მან რვა თუ ცხრა მილი მარლოტამდე.

ტესი დაწინაურდა, რა ეთქვა, როგორ გაემხილა მშობლებისათვის დანაკლისის ამბავი? — ტესს ილაჯი არ ყოფნიდა ამის მოსაფიქრებლად. შვებით ამოისუნთქა საცოდავმა, როცა მათ სახეებზე ამოიკითხა, ვიცით, ვიცით, შენი თქმა აღარ გვინდა, ყველაფერი ვიცითო. მაგრამ განა ეს შველოდა მის გაჭირვებას? როგორ ეპატიებინა თავისათვის ასეთი უთაურობა?

სულ ტყუილად იკლავდა თავს საბრალო ტესი. თავმიცემულმა, უყაირათო და უთაურმა დარბეიფილდებმა დიდად როდი იდარდეს ეს სავალალო ამბავი. ასეთი ზარალი რომ რომელიმე გამრჯე ოჯახს ენახა, მერწმუნეთ, უფრო მეტად შეაშფოთებდა; თუმცა ამით ცოტა ხნით შეეშლებოდათ ხელი და მალევე გაიმართებოდნენ წელში. დარბეიფილდების ოჯახისათვის კი ეს ერთიანად დაქცევა-დანელება იყო, მაგრამ აინუნშიაც არ მოსვლიათ რისხვა-წყრომა, ან სამდურავი, ის კი არა, ერთი საწყენი სიტყვაც არ დასცდენიათ პირიდან, რასაც ვერ დააღწევდა გოგონა თავს, მის მშობლებს რომ ცოტა მეტად ჰქონოდათ მისივე დღეკეთილობის დარდი. ადამიანის შვილი არ კიცხავდა და არ აყვედრიდა ტეს, ისე როგორც თავად ამუნათებდა საკუთარ თავს.

როცა გამოირკვა, რომ დაბაღი და ტყავისმხდელი, რამდენიმე შილინგის მეტს არ იმეტებდნენ პრინცის მძორში, აქაოდა, ბეხრეკიაო, თქვენ რა გგონიათ, დარბეიფილდი განა ჯაბანი იყო, — მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

— არა, — განაცხადა მან ამაყად.

— მე არა ვყიდი ჩემი ბებერი მარქაფას ცხედარს, — როცა ჩვენ, დ'ერბერვილები, რაინდები გახლდით, ბოდიში და, ეგრე კატების ლუკმად როდი ვიმეტებდით ხოლმე ჩვენს ბედაურებს. გაუშვი, თავისი გახვრეტილი შილინგები თავად შეინახონ მაგრად ჯიბეში, გამოადგებათ! მთელი სიცოცხლე ისე მემსახურა, ერთხელ პირი არ შეურცხვენია და, აბა, აგრე ადვილად როგორ შეველევი მკვდარს.

მთელი მეორე დღე დარბეიფილდმა ისე მოწადინებით იმუშავა ბაღში პრინცის საფლავის გასათხრელად; როგორც თვეების განმავლობაში არ უჯაფია ოჯახის გამოსაკვებად. როცა საფლავი გათხარა, დარბეიფილდმა და მისმა თანამეცხედრემ გაბაწრეს ცხენი და გზაზე გაათრიეს, ბავშვებისაგან შემდგარი დამკრძალავი პროცესია კი ტაატით მიჰყვებოდა. აბრეჰემი და ლიზა-ლუ სლუკუნებდნენ, ვერც ჰოუპი და მოდესტი იკავებდნენ თავს და თავიანთ ღრმა ურვას

ხმამაღალი ზლუქუნით გამოხატავდნენ, ექო კი ბანს აძლევდა. როცა პრინცი ორმოში ჩააგდეს, გარს შემოადგნენ საფლავს. მარჩენალი ხელიდან გამოეცალათ. რაღა ეშველებოდათ!

— ცაში წავიდა? — სლუკუნით იკითხა აბრეჰემმა.

როცა დარბეიფილდმა მიწა მიაყარა ცხედარს, ბავშვები კვლავ აზლუქუნდნენ, ყველანი — ტესის გარდა. ცრემლი გაშრობოდა და სახე ისე გადატეტკოდა, იტყოდით თავი მკვლელი ჰგონიაო.

V

ვაჭრობის საქმე, რომელიც მეტწილად ცხენზე ეკიდა, უკუღმა დატრიალდა. აშკარა იყო, თუ სრული სიღატაკე არა, ოჯახს დიდი გაჭირვება ელოდა. დარბეიფილდი, როგორც იმ მხარეში იტყოდნენ, ერთი ლოხი, ხელგამოუვალი კაცი გახლდათ. არც ღვთისთვის ექნა განგებას და არც კაცისთვის. ზოგჯერ კი აითრევდა წელსა და ჯანზე მოსული ცოტას წაიმუშავებდა, მაგრამ აბა, შენს ნებაზე ხომ არ იყო სამუშაო და, მის იმედად ყოფნა რა ხეირს დააყრიდა კაცს. კიდეც რომ გამოჩენილიყო საქმე, ნიადაგ გარჯას მიუჩვეველი კაცი არც მაშინ იკლავდა თავს მუშაობით.

გაბოროტებული ტესი კი, — განა მან არ ჩააგდო მშობლები ამ გაჭირვებაში? — დღედაღამ იმის ფიქრში იყო, როგორ შემოევლო საქმისათვის, რითი დახმარებოდა ოჯახს. ჰოდა, აგერ დედამ წამოაშველა თავისი ფიქრები.

რას იზამ, შვილო, ჭირსაც უნდა გაუძლო და ლხინსაც, — უთხრა მან, — კაცი არ დაიკარგება. აგერ ხომ ხედავ, როგორ გაგვიხსნა ხელფეხი ჩვენი დიდგვაროვნობის ამბავმა: უკან არ დაიხიო, არ მოგერიდოს, მიმართე და შეაწუხე შენი მეგობრები. ნაკრძალის პირზე ერთი მდიდარი ჩვენი ნათესავი ქალი მისის დ'ერბერვილი ცხოვრობს. წადი იმასთან, გამოეცნაურე, სთხოვე, გაჭირვებაში ხელი გაგვიმართოს.

— გული არ მეუბნება წასვლას, დედა.

— უპასუხა შვილმა.

— მაგრამ რაკი ასეთი ნათესავი გვყოლია, ისიც დიდი ამბავია ჩვენთვის, თუ გულისხმიერად და მეგობრულად მოგვექცევა. დახმარებასა და ხელის გამართვას კი ნუღარ მოვთხოვთ.

— ვინ იცის, თვალშიც მოუხვიდე და სიკეთე არ დაგამადლოს. ესეც არ იყოს, იქნებ ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, კიდევ რამე გამოდნეს მისი გან: რა იცის კაცმა, რა არა ხდება. ათასი რამისთვის მომიკრავს ყური.

სხვა დრო ყოფილიყო, ტესმა იცოდა, როგორც აუკრავდა დედის ნება-სურვილს ხელს, მაგრამ ახლა რა ექნა, რომ ოჯახის უბედურების მიზეზს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, თუმცა ტესს მაინც ვერ გაეგო, რად იყო დედა ასე დარწმუნებული, და რად დაფოფინებდა ამ ფიქრებს მაშინ, როცა თავად დიდ სახეიროს ვერაფერს ხედავდა ამაში. ვინ იცის, დედამ უკვე მიიკითხ-მოიკითხა და შეიტყო კიდეც რომ მისის დ'ერბერვილი უბადლო სათნოებითა და გულმოწყალებით უხვად დაჯილდოებული ადამიანია. მაგრამ ფუ, რა საძაგლობაა ღარიბი ნათესავის როლი, — ფიქრობდა ამაყი ტესი.

— მე მგონია უმჯობესია, რამე სამუშაო გამოვძებნო, — წაიბუტბუტა თავისთვის.

— დარბეიფილდ, მე ჩემი ვთქვი, ახლა შენზეა სიტყვა, — მიუბრუნდა ჟოანი ქმარს, რომელიც მის უკან იჯდა და დედა-შვილის მუსაიფში არ ერეოდა — აი, თუ შენ იტყვი, წავიდესო — წავა.

სწორედ არ მეპიტნავება ჩემი შვილების ნათესავების კარდაკარ წანწალი. მე ჩემი გვარის უკეთილშობილესი შტოს ნაშიერი ვარ და თავის ფასიც უნდა ვიცოდე.

მამის მიერ წამოყენებული მიზეზი, რომელიც ვითომ მის სასიკეთოდ ლაპარაკობდა, ვერაფერი ნუგეში იყო ტესისათვის, პირიქით, უფრო ლიტონი ეჩვენა, ვიდრე საკუთარი წინააღმდეგობა და უარი.

— კარგი, დედა, რაკი მე მოვკალ ცხენი, — თქვა სიმწრით ტესმა, — მოვალეცა ვარ რაღაცა გავაკეთო. წავალ, მოვინახულებ იმ ჩვენს ნათესავ ქალს, მაგრამ ვთხოვ თუ არა ვთხოვ დახმარებას, ეგ ჩემზე იყოს. ჩემ გათხოვებაზე ფიქრი კი გემუდარები, დედა, თავიდან ამოიგდე, სისულელეა!

— აი, ეს მესმის, ტეს, კარგი სიტყვაა! — მოუწონა მამამ.

— ვინა თქვა, ეგრე ვფიქრობო? — გაიკვირვა ჟოანმა.

— მე მგონია, სულ ეს გიტრიალებს თავში, დედა, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც მივდივარ.

მეორე დილით ტესი ადრიანად გაუდგა გორაკზე წამომართული ქალაქის — ესტონისაკენ მიმავალ გზას, ჩაჯდა ფურგონში, რომელიც კვირაში ორჯერ მიდიოდა შესტონიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩეზბოროუში. ფურგონი გვერდით ჩაუვლიდა ტრენტრიჯს, რომლის მახლობლად მდებარეობდა უცნობი და იდუმალი მისის დ'ერბერვილის ადგილ-სამყოფელი.

ტესის გზა ამ დაუვიწყარი დილით ჩრდილო — აღმოსავლეთ ველის გორაკებს შუა იდო, აქ დაიბადა და ცხოვრობდა ტესი. ბლეკმურის ველი მისთვის მთელი სამყარო იყო, ადგილობრივი მცხოვრებნი კი ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობა. მარლოტის ჭიშკრიდან და

ღობეების ჭუჭრუტანებიდან უჭვრეტდა ტესი ჯერ კიდევ თავისი ბავშვობის შეუგნებელ ხანაში ამ ვრცელ ველსა და ის, რაც მისთვის იდუმალი და გამოუცნობი იყო იმ ხანაში, თითქმის ასევე იდუმალი და გამოუცნობი დარჩენილიყო დღესაც. დღენიადაგ გასცქეროდა ტესი თავისი ფანჯრიდან ციხე-კოშკებს, სოფლებსა და ჩამუქებულ თეთრ სახლებს, რომელთა თავზე ბორცვიდან მედიდურად გადმომდგარიყო ქალაქი შესტონი. მისი შენობების ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული ფანჯრები ლამპებივით ბრწყინავდნენ, არასოდეს ყოფილა ტესი ქალაქში. ველის პატარა ნაგლეჯი და მისი ახლომახლო მიდამოები ენახა მხოლოდ. მით უმეტეს, არასოდეს გაცილებია ველის მიდამოებს. მისი მომიჯნავე ბორცვების მოხაზულობას კი ტესი ისევე მშვენივრად იცნობდა, როგორც საკუთარი დედ-მამის სახეებს, მაგრამ რა ხდებოდა ამ ბორცვებს იქით, ტესი ამაზე იმ ცოდნის მიხედვით, თუ იმსჯელებდა, რომელიც ამ ერთი თუ ორი წლის წინ წარმატებით დამთავრებულ სასოფლო სკოლაში მიეღო.

— ბავშვობაში ტესი ძალზე უყვარდათ მის თანატოლ გოგონებს, სოფელში ხშირად დაინახავდით ერთ კბილა სამ განუყრელ მეგობარს. ტესი მუდამ შუაში იდგა თავისი ბადისებურსახეებიანი ვარდისფერ წინსაფრიანი შალის კაბით, რომელიც ისე გამოხუნებულიყო, კაცი ვერ იტყოდა, რა ფერისა იყო: მიაბიჯებდა აშოლტილ კანჭებზე შემდგარი ტესი, მუხლის თავებზე გამოხეული წინდები ეცვა, რომლებიც მაშინ ფერფლისფერი ჰქონდა, ცეცხლზე ჩაიდანის დასაკიდებელი კავებივით დახვეოდა. მის მხარდამხარ მომავალ გოგონებს წელზე შემოეხვიათ ხელები. ტესს კი მეგობრების მხრებზე გადაეწყო მკლავები.

— როცა ტესი წამოიზარდა და ამქვეყნის ავკარგში გაერკვა, რაღაც მალთუსიანურმა გრძნობამ შეიპყრო, აღიზიანებდა დედა, რომელიც ასე გულუხვად და უზრუნველად ჩუქნიდა და ჩუქნიდა პაწია დებსა და ძმებს მაშინ, როცა არც ისე ადვილი გახლდათ მათი მოვლა-პატრონო ობა. დედამისს ბედნიერ ბალღებზე მეტი აზრი და გონი როდი გააჩნდა, იგი დარბეიფილდების ისედაც მრავალრიცხოვანი ბედის ანაბარად მიგდებული ოჯახის კიდევ ერთი ბავშვი გახლდათ და თანაც უფროსი კი არა... და მაინც, რა თქმა უნდა, ტესს უყვარდა თავისი პაწია და-ძმები, ძალზე კეთილიც იყო მათდამი: შეძლებისდაგვარად რომ გაეწია მათთვის დახმარება, ტესმა დაამთავრა თუ არა სკოლა, მაშინვე მეზობელ ფერმაში დაიწყო ქირით მუშაობა თიბვისა და მკის ალოზე. ხან ძროხებს წველიდა, ხან კარაქს დღვებდა, ძროხის წველაში მაშინ გაიწაფა, როცა ჯერ კიდევ მამამისს ჰყავდა ძროხა. მოქნილთითება გოგონას ემარჯვებოდა კიდეც

ეს საქმე.

თითქოს ყოველდღიურად უმძიმდებოდა და აწვებოდა ტესის ნორჩ მხრებს ოჯახის მძიმე ჭაპანი, ჰოდა, ამიტომაც ტესის, სწორედ ტესისა, და არა სხვა ვინმეს წასვლა, როგორც დარბეიფილდების წარმომადგენლისა მისის დ'ერბერვილის მამულში, სავსებით ბუნებრივი იყო, აქვე უნდა დავძინოთ ის გარემოებაც, რომ დარბეიფილდები რაღა თქმა უნდა, შეეცადნენ რაც შეიძლება კარგი მხრით ჩვენებოდნენ ხალხს.

ტრენტრიჯის გზაჯვარედინზე ტესი ფურგონიდან ჩამოხტა და ფეხით აუყვა ნაკრძალისაკენ მიმავალ, ბორცვზე ამავალ გზას. მის პირზე კი, როგორც აუწყეს, მისის დ'ერბერვილის ადგილ-სამყოფელი, ეგრეთ წოდებული „კორდი“ უნდა ყოფილიყო. აქაურობა რაღაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ მამულს, არც ვრცელი მინდვრები იყო, არც გაშლილი საძოვრები და არც ჯიჯღინა ფერმერი ტრიალებდა ჯარასავით შიგ. მამულს, რომელსაც მეპატრონეცა და მისი ოჯახიც არმობითა თუ ალალმართლობით ქაჩავს და სწურავს, რაც შეუძლია, რომ როგორმე მეტი ცხოვრების საარსებო წყარო გამოადნოს მისგან. აქაურობა უფრო სხვა, უფრო მეტი რაღაც იყო, ერთი უბრალო, მხოლოდ და მხოლოდ სააგარაკოდ აგებული, ქალაქგარეთ მდგარი სახლი გახლდათ და სხვა არაფერი. ირგვლივ დამუშავებული მიწის ერთი აკრიც არ ჩანდა, მხოლოდ პატარა კარ-მიდამო და მეპატრონის მეთვალყურეობისა და მოურავის მზრუნველობის ქვეშ მყოფი პატარა ფერმისათვის საჭირო ნაკვეთი ერტყა. ეგ იყო და ეგ.

— ჯერ მთლიანად მარადმწვანე მხვიარა მცენარეებში ჩაფლული წითელი აგურის სადგომი გამოჩნდა. ტესს ის ეგონა სახლი, მაგრამ როცა გულისფანცქალით შევიდა გვერდით ჭიშკარში, ცოტაც გაიარა და ხეივნის მოსახვევამდე მივიდა, სახლიც დაინახა. ეტყობოდა, ახალი აშენებული უნდა ყოფილიყო. სულ ახალთახალი ჩანდა. სადგომივით ისიც მუქი წითელი ფერისა იყო და მკვეთრად ირჩეოდა ირგვლივ შემორტყმულ მარადმწვანე მცენარეებში. სახლს იქით, კარგა მოშორებით, თითქოს მქრქალი ფერების ფონზე აღმართული წითელი ნემსიწვერაააო, ნაკრძალის ნაზი, ლაჟვარდისფერი პეიზაჟი გადაშლილიყო.

— ჭეშმარიტად დიდებული ადგილი ინგლისის იმ აღარცთუ ისე ბევრგან შემორჩენილ პირველყოფილ დაბურული ტყეებისა, სადაც ჯერ კიდევ წააწყდება კაცი ასწლოვან ბერმუხებზე დრუიდურ ფითრს და სადაც ადამიანის ხელით დარგული კი არა, ბუნების ძალით აღმოცენებული გოლიათური ურთხელის ხეები ისევე დგანან, როგორც საუკუნეების წინ, ოდეს მათ ტოტებს მშვილდ-ისრებისათვის

სხეპავდნენ. ეს დაბურული ტყე, თუმცა „კორდიდან“ ასე კარგად მოჩანდა, სინამდვილეში ის საზღვრებს იქით იყო აღმართული.

ნათელი, საგულდაგულოდ მოვლილი და ნაპატრონები იყო ირგვლივ ყველაფერი ამ კარ-მიდამოში. ქვემოთ ფერდობზე ჭალისაკენ გაჭიმულიყო სათბურები, ირგვლივ ყველაფერი ფულზე ღაღადებდა. ფულს აგონებდა კაცს, სულ ცინცხალ, ახლახან მოჭრილ ბრჭყვიალა მონეტას. ავსტრიულ ფიჭვებსა და მარადმწვანე მუხებს იქით შემოფარგლული უახლესი ახოებით გამართული საჯინიბოები ისე დიდებულად აღმართულიყვნენ, გეგონებოდათ, სამფლობელოებიაო. იქვე საუცხოო კარავი გადაეჭიმათ, რომლის შესასვლელი პირდაპირ ტესს შემოჰყურებდა. თვალებადქცეული მიამიტი ტესი იდგა ხვინჭკით მოფენილი ბილიკის ბოლოში და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. არცკი შეუმჩნევია, როგორ მივიდა ამ ადგილამდე, — აი, თურმე როგორი ყოფილა აქაურობა, მე კი სულ სხვაგვარი წარმომედგინა, — ფიქრობდა იგი.

— აკი ჩვენი გვარი ძველთაძველიაო? აქ ყველაფერი სულ ახალთახალი ჩანს! — წაიბუტბუტა გულალალმა და მაშინვე ინანა, რომ ასე იოლად დაყაბულდა დედას აქ წამოსვლასა და ნათესავების გაცნობაზე, და არც კი ეცადა სადმე იქვე სახლთან ახლომახლო ეძია ბედი.

დ'ერბერვილების, ანუ სტოკ-დ'ერბერვილების, როგორც ისინი უწოდებდნენ თავდაპირველად საკუთარ თავს, — ამ მამულის ბატონპატრონთა ოჯახი მეტად უჩვეულო იყო ქვეყნის ამ უაღრესად ძველმოდური კუთხისათვის: პასტორი ტრინგჰემი ჭეშმარიტად სწორად ბრძანებდა: ჩვენი ფრატუნა დარბეიფილდი ერთადერთი პირდაპირი შთამომავალია დ'ერბერვილთა უძველესი გვარისა მთელ ამ საგრაფოსა და მის მიდამოებშიო. საჭირო რომ ყოფილიყო, ტრინგჰემი ალბათ იმასაც დასძენდა, და სხვათა შორის მშვენივრადაც უწყოდა, რომ სტოკ-დ'ერბერვილებს ისევე არაფერი ჰქონდათ საერთო ჭეშმარიტ დ'ერბერვილთა გვაროვნულ შტოსთან, როგორც თავად მას, მაგრამ არ შეიძლება კუთვნილი არ მიეზღოს — ეს ოჯახი სწორედ რომ საუკეთესო ხე გახლდათ იმ გვარის დასამყნობად, რომელიც ასე ფრიად საჭიროებდა განახლებას.

როცა აწ განსვენებულმა მოხუცმა მისტერ საიმონ სტოკმა, რომელიც პატიოსანი ვაჭარი გახლდათ (თუმცა ზოგისათვის რომ გეკითხათ — მევახშეაო), ჩრდილოეთში სიმდიდრე დააგროვა, განიზრახა, მემამულე გამხდარიყო და ადგილები შეეძინა სამხრეთ ინგლისში, რაც შეიძლება მოშორებით იქიდან, სადაც აღებ-მიცემობას აწარმოებდა. ამავე დროს, რაკიღა ცხოვრებას თავიდან იწყებდა,

რომელიმე ისეთი გვარის შეძენა მოიწადინა, რომელიც ასე მჭიდროდ არ იქნებოდა დაკავშირებული წარსული წლების იღბლიანი ვაჭრის სახელთან და თანაც მცირედ მაინც უფრო კეთილხმოვანი იქნებოდა, ვიდრე მისი მეტად ვულგარული გვარი იყო. თითქმის ერთი საათი სწავლობდა საიმონ სტოკი ბრიტანეთის მუზეუმში გადაშენებულ, ნახევრადგადაშენებულ, დავიწყებას მიცემულთა და გაღატაკებულ გვართა ისტორიებისადმი მიძღვნილ შრომებს, რომლებიც ინგლისის იმ ნაწილში ცხოვრობდნენ, სადაც მან ინება დასახლება. ერთ ხანს ძებნის შემდეგ მისტერ სტოკმა გადაწყვიტა, ყველა სხვა გვართან შედარებით დ'ერბერვილი არანაკლებ კეთილხმოვნად ჟღერსო, და ამიერიდან მის გვარს შეუერთდა ეს გვარი მის და მისი მემკვიდრეებისათვის უკუნითი უკუნისამდე. ამავე დროს მისტერ საიმონ სტოკი საკმაოდ წინდახედული კაცი გახლდათ, ჰოდა, როდესაც ახალ ძირზე ამყნობდა თავის გვარტომობას და არისტოკრატთა ნათესაურ კავშირებს თხზავდა, იმდენი გონიერება გამოიჩინა, რომ შიგ არც ერთი ისეთი ტიტული არ მოუხსენებია, რომელიც მკაცრი ზომიერების ფარგლებს დაარღვევდა.

არც საბრალო ტესი და არც მისი მშობლები, მათდა საუბედუროდ, ამ ფანტაზიის შესახებ, ბუნებრივია, არაფერს უწყოდნენ. წარმოდგენაც არა ჰქონდათ, რომ საერთოდ შესაძლო იყო ასეთი რამის სესხება. თუ სიმდიდრე და კეთილდღეობა შეიძლება ბედმა მიანიჭოს კაცს, — თვლიდნენ ისინი, — გვარი მაინც, ყოველ შემთხვევაში, დაბადებიდან დაჰყვება ხოლმე ადამიანს.

ტესი იდგა და კვლავ ყოყმანობდა გადასახტომად გამზადებული მცურავივით, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, ხელი აიღოს განზრახვაზე, თუ პირდაპირ გადაეშვას წყალში. ამ დროს კარვის ბნელი სამკუთხა გამოსასვლელიდან ვიღაც მაღალ-მაღალი ყმაწვილი კაცი გამოვიდა, ხელში ანთებული სიგარა ეჭირა.

ყმაწვილს შავგვრემანი სახე და ულაზათოდ მოხაზული სქელი, მაგრამ ლბილი და წითელი ტუჩები ჰქონდა. ზედა ტუჩზე სათუთად მოვლილი შავი ულვაშები გადაეპრიხა, თუმცა წლოვანებით ალბათ ოცდასამ-ოცდაოთხ წლისაზე მეტი არ იქნებოდა, მიუხედავად, ცოტა არ იყოს, ტლანქი გარეგნობისა, ჯენტლმენის სახეში, მის მოუსვენარ, უტიფარ თვალებში რაღაც თავისებური სიძლიერე გამოსჭვიოდა.

— მიბრძანეთ, ლამაზო, რით შემიძლია გემსახუროთ? — გამოემართა მისკენ ყმაწვილი კაცი და ქალს შეკრთომა რომ შენიშნა, დასძინა, — ნუ გრცხვენიათ, ბრძანეთ, მე მისტერ დ'ერბერვილი გახლავართ, ჩემი ნახვა გნებავთ თუ დედაჩემისა?

დ'ერბერვილთა გვარის ეს წარმომადგენელი და სახლიკაცი, კიდევ უფრო მეტად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ტესი მოელოდა, ვიდრე თვით სახლი და მამული. ტესი ვარაუდობდა, რომ ერთ, არცთუ მაინცდამაინც ახალგაზრდულ კეთილშობილებით აღსავსე კაცს შეხვდებოდა, რომლის სახეშიც შერწყმული იქნებოდა დ'ერბერვილთა გვარის ძველი ყველა განსხვავებული ნაკვთი. ეგონა, მისი გვარის და მთელი ინგლისის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის იეროგლიფებში წარმოდგენილ, მოგონებებით დაღარულ სახეს იხილავდა. მაგრამ ახლა რაღას იზამდა, ჰოდა, რაკიღა გზა აღარ იყო, სძლია თავს და უპასუხა:

— დედათქვენთან მოვედი, სერ.

— სამწუხაროა, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ დედაჩემს. ავად გახლავთ, — მიუგო გამოგონილი გვარის უკანასკნელმა წარმომადგენელმა მისტერ ალეკმა, იგი ახლახან განსვენებული ჯენტლმენის ერთადერთი მემკვიდრე და ვაჟიშვილი გახლდათ.

— არ შეგიძლიათ მიმსახუროთ მის ნაცვლად? საქმე გქონდათ რამე?

— არა, საქმე არა... ისე... არ ვიცი, რა გითხრათ! — გასართობად მოხვედით? — არა, სერ! რომ გითხრათ ასე გეგონებათ...

უეცრად ტესმა ისე მწვავედ იგრძნო საკუთარი მისიის უაზრობა, რომ მიუხედავად იმ მოწიწებისა, შიშისა და სირცხვილისა, რომელსაც ყმაწვილის წინაშე გრძნობდა აქ მოსვლის გამო, ღიმილმა გაუპო ვარდისფერი ბაგეები, — ამან დიდად მოხიბლა შავგვრემანი ალექსანდრი.

— ეს ისეთი სისულელეა! — წაიბურტყუნა ბოლოს ტესმა, — რომ ალბათ ვერც გეტყვით!

— არაფერია, მე ისე მიყვარს სისულელეები! აბა, აბა, მითხარით...

— ალერსიანად მიუგო მან.

— დედამ მთხოვა, წადიო, — განაგრძობდა ტესი, მე თვითონაც მინდოდა წამოსვლა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე გამოვიდოდა. მე თქვენთან გასაცნობად მოვედი, ჩვენ ნათესავები ვართ, სერ.

— ჰო, გაჭირვებული ნათესავები, არა? — დიახ.

— სტოკი? — არა დ'ერბერვილი, — ჰო, ჰო, დ'ერბერვილი უნდა მეთქვა.

— ჩვენი გვარი დაუმახინჯებიათ და ახლა დარბეიფილდებს გვეძახიან, მაგრამ უამრავი დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილი დ'ერბერვილები ვართ. წარსულის მცოდნეები ამბობენ ამას... და... ჩვენ ძველისძველი ბეჭედიც

გვაქვს, ზედ ფარი და ყალყზე შემდგარი ლომი ახატია, მის თავზე კი ციხე-დარბაზია გამოხატული. ერთი ძველებური კოვზიცა გვაქვს, ჩამჩასავით მრგვალია და ზედ ისეთივე ციხე-დარბაზი ახატია, როგორც ბეჭედს, მაგრამ ისეთი ძველია, დედა ცერცვის შეჭამანდს ურევს ხოლმე.

— ციხე-დარბაზი და ყალყზე შემდგარი ლომი ნამდვილად არის გამოხატული ჩემს გერბზე, — ზრდილობიანად მიუგო ალექსანდრმა.

— დედამ თქვა, ჩვენ აუცილებლად უნდა გავიცნოთ ერთმანეთიო... რადგანაც უბედური შემთხვევის გამო ხელიდან გამოგვეცალა ცხენი და... ჩვენი შტო უძველესი შტოა...

— დედათქვენის სურვილი სწორედ რომ დიდად მოსაწონია. მე მივესალმები მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, — ამ სიტყვებზე ალეკმა ისე შეავლო თვალი ტეს, რომ ტესი, ცოტა არ იყოს, აილეწა, — მაშასადამე, ჩემო ლამაზო გოგონი, მეგობრული ვიზიტით მობრძანდით, როგორც ნათესავი, არა?

— ჰო, მე მგონი ასეა, — კვლავ წაიბურტყუნა დარცხვენილმა ტესმა.

— კეთილი, მერე რა არის აქ ცუდი. ახლა ერთი ეს მიბრძანეთ, სადა ცხოვრობთ, ვინა ხართ და რა ხართ.

ტესმა მოკლედ უამბო თავისი ოჯახის ამბავი და მოსალოდნელი კითხვების პასუხად დასძინა, იმავე ფურგონით ვაპირებ უკან გაბრუნებას, რომლითაც მოვედიო.

— ის ფურგონი ჯერ კიდევ კარგა ხანს არ ჩამოივლის ტრენტრიჯის გზაჯვარედინზე, ხომ არ აჯობებდა დროს მოსაკლავად, მიგვევლ-მოგვევლო ჩვენს კარ-მიდამოში, ჩემო ლამაზო ბიძაშვილო?

ტესს ძალიან უნდოდა რაც შეიძლება მალე დაეღწია თავი აქედან, მაგრამ ყმაწვილი კაცი აღარ მოეშვა და ისიც დათანხმდა. მან იგი კორდისაკენ წაიყვანა, აჩვენა ყვავილნარი და ორანჟერეა, მერე ხეხილის ბაღში შეიყვანა და სათბურები დაათვალიერებინა, ჰკითხა, მარწყვი თუ გიყვარსო.

— მიყვარს, თუ მწიფეა, — უპასუხა ტესმა.

— მწიფეა, — მიუგო დ'ერბერვილმა და მარწყვის მოსაკრეფად დაიხარა. მოწყვიტა, მიაწოდა, კიდევ მოწყვიტა და კიდევ მიაწოდა. მერე ყველაზე მსხვილი „ბრიტანეთის დედოფლის“ ჯიშის მარწყვი შეარჩია და ყუნწით ტუჩებთან მიუტანა.

— არა, არა, — იუარა ტესმა და ხელი აიფარა ტუჩებზე, — ჩემი ხელით მოვწყვეტ.

— რა სისულელეა, — არ ეშვებოდა ყმაწვილი.

დარცხვენილმა ტესმა ოდნავ გააღო პირი და ტუჩებით მოსწყვიტა მარწყვი.

— ასე იხეტიალეს ბაღში ერთ ხანს. ტესი სიამოვნებით, თანაც რაღაც უწადინოდ ჭამდა ყველაფერს, რასაც დ'ერბერვილი სთავაზობდა. როცა მეტის შეჭმა ვეღარ შეძლო, ყმაწვილმა პაწია კალათა აუვსო მარწყვით და ორივენი ვარდის ბუჩქებისაკენ გამოემართნენ. დ'ერბერვილმა დაუკრიფა ყვავილები და გულზე დასამაგრებლად მისცა. თითქოს სიზმარშიაო, ტესი დანებდა ვაჟის სურვილს და როცა მეტი დასამაგრებელი ადგილი აღარ დარჩა ყმაწვილმა თავად გაუკეთა ვარდის ორი კოკორი შლიაპაზე, დანარჩენი კი გულუხვად დაუყარა კალათის თავზე. მერე საათს დახედა.

— ახლა კი დროა, — თქვა მან, — დანაყრდეთ და გზას გაუდგეთ, თუ გსურთ შესტონიდან მომავალ ეტლს დაუხვდეთ. წამოდით, შევეცდები გიშოვნოთ რაიმე საჭმელი.

სტოკ-დ'ერბერვილმა კვლავ კორდისაკენ წაიყვანა ქალი. იქ მცირე ხნით მარტო დატოვა კარავში, მალე მობრუნდა საუზმით ავსებული კალათითა და საკუთარი ხელით მიართვა: ცხადი იყო, ჯენტლმენს არ სურდა ეს სასაიმოვნო tete-à-tête მსახურებს დაერღვიათ.

— შეიძლება მოვწიო? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა, სერ.

კვამლის ბოლქვებში, რომელმაც აავსო კარავი, ჯენტლმენი თვალს ადევნებდა ქალიშვილს, — საყვარლად, თავისუფლად ილუკმებოდა ტესი. დროდადრო მიამიტად დახედავდა მკერდზე დამაგრებულ ვარდებს და არ უწყოდა, რომ ამ ლურჯი ნარკოტული ნისლის იქით მის დრამის „ტრაგიკული ბოროტმოქმედი“ დაბრძანებულიყო, იგი, ვინაც მისი ნორჩი ცხოვრების სპექტრის სისხლისფერ-წითელ სხივად უნდა ქცეულიყო.

ტესს ერთი რამ სჭირდა, რაც კარგს არაფერს უქადდა ახლა.

— ამაოდ კი არ შესცქეროდნენ ალეკ დ'ერბერვილის თვალები ასე დაჟინებით. ტესი ავსებისა და აყვავების ამ ხანაში უფრო მომწიფებული და დაქალებული ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. დედისაგან გადმოსცემოდა ქალიშვილს ეს თვისება მემკვიდრეობით. ხშირად წუხდა ხოლმე ტესი ამის გამო, ვიდრე მეგობრებმა არ დააიმედეს: მაგ ნაკლის უებარი წამალი ღრმაო, ტესი მორჩა საუზმეს და წამოდგა.

— ახლა შინ წავალ, სერ, — თქვა მან.

— რა გქვიათ? — ჰკითხა ალეკმა, როცა სახლს გამოსცდნენ და ხეივანში მიაცილებდა გოგონას.

— ტეს დარბეიფილდი. მარლოტიდანა ვარ.

— მაშ, თქვენებს ცხენი მოუკვდათ?

— მე მოვკალი ის საწყალი, — მიუგო ტესმა და თვალები ცრემლებით აევსო, როცა პრინცის სიკვდილის ამბავი უამბო დაწვრილებით, — და ახლა აღარ ვიცი, რით შევეწიო მამაჩემს.

— უნდა მოვიაზროთ რამე, მე ვერ გამოგადგებით? იქნებ, დედაჩემმა გამოგინახოთ საქმე. მაგრამ სისულელეებს თავი დაანებეთ და დ'ერბერვილობაზე კრინტი არ დაძრათ. „დარბეიფილდი“ ხართ. მორჩა და გათავდა. ეს სულ სხვა გვარია.

— უკეთესი არც მინდა, — ცოტა არ იყოს ამაყად მიუგო ტესმა.

ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, როდესაც მათ მაღალი როდოდენდრონებითა და წიწვიანი ხეებით დაბურული ხეივნის მოსახვევს მიაღწიეს, ვაჟი დაიხარა, თავი მიუახლოვა გოგონას სახეს, თითქოს... მაგრამ, არა, გადაიფიქრა და გაატარა ქალი.

ასე დაიწყო ეს ამბავი, ტესი რომ ღრმად ჩასწვდომოდა და შეეცნო ამ შეხვედრის ნიშნეულობა, ალბათ იკითხავდა ასე რად გამწირე, ღმერთო, რომ მაინცდამაინც ამ უცხო კაცის ხარბი მზერა მიმეპყრო და არა მავანისა, ვინაც უძრახველი იყო და სასურველი ჩემთვის, რაოდენადაც კი ძალუძ არს მსგავსის აჩენა ადამიანთა შორის. მაგრამ ის ერთადერთიც კი მის ნაცნობთაგან, ვინაც შესაძლო იყო ასეთი ყოფილიყო, ახლა მივიწყებას მიცემული მოგონებაღა იყო მხოლოდ.

იქნებ გეგმა ყოველი არსისა კეთილადაც იყო ჩაფიქრებული, მაგრამ, ვაი, რომ ავად აღსრულდება ხოლმე იგი. ძვირად თუ მოდის კაცი დაძახებაზე და იგი, ვისი შეყვარებაც ჯერ არს, გვეწვევა ესოდენ გვიან, ძუნწი ბუნება მალი-მალ როდი ეუბნება თავის საბრალო ქმნილებას: „აი, უყურე“, მაშინ როცა დანახვა ბედნიერების პოვნას ნიშნავს და ადამიანის ძახილზე: „სად?“ ძვირად თუ უპასუხებს: „აქო?“. სანამ დაქანცულსა და განაწამებს არ მობეზრდება თვალხუჭობანას თამაში. იქნებ ჩვენ დავინტერესდეთ, წაიშლება თუ არა ეს ანაქრონიზმი ადამიანის განვითარების უმაღლეს ეტაპზე დახვეწილი ალღოსა და სოციალური მექანიზმის უფრო სრულყოფილი ურთიერთმოქმედების შემწეობით, რომელიც ხან იქით მიგვაგდებს და ხან აქეთ. მაგრამ ასეთი სრულქმნის წინასწარმეტყველება კი არა და, გაფიქრებაც შეუძლებელია, ისიც საკმარისია, რომ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მილიონობით სხვა შემთხვევაში. სრულქმნილი მთელი ორი ნახევარი არ შეხვდა ერთმანეთს შესაფერ ჟამს. ერთი ნახევარი სულელურად, ბრიყვულად დაეხეტებოდა ერთ ხანს დე-

დამიწაზე, სანამ უღმერთოდ არ დაგვიანდა. ამ სამწუხარო შეგვიანებამ წარმოშვა ნაღველი, იმედგაცრუება, ელდა, შეჯახება და მარცხი — და აი, უცნაურად წარიმართა ადამიანის ბედი.

დაფიქრებული დ'ერბერვილი კარავში დაბრუნდა და ფეხებგადაჩაჩხული ჩამოჯდა სკამზე. სიამოვნება გადაჰფენოდა სახეზე.

— დალახვროს ეშმაკმა! — გადაიხარხარა უცებ, აი, სასაცილო ამბავი, თუ გინდა! ხა, ხა, ხა, მერე რა გოგოა!

VI

ტესი გორაკიდან პირდაპირ ტრენტრიჯის გზაჯვარედინისაკენ დაეშვა. არაფრისთვის მიუქცევია ყურადღება, დადგა და დაუწყო ლოდინი ფურგონს, რომელიც ჩეზბოროუდან ტრენტრიჯში ბრუნდებოდა. როცა ფურგონზე ავიდა, ვერ გაიგო, რა უთხრეს მგზავრებმა, თუმცა პასუხი კი გასცა მგონი. დაიძრა თუ არა ფურგონი, ტესი ისე ჩაიძირა ფიქრებში, არც ესმოდა რა ხდებოდა ირგვლივ.

მაგრამ ერთი თანამგზავრი სხვებივით უნებისყოფო როდი აღმოჩნდა, არ მოეშვა და მაინც გაუბა საუბარი:

— ნამდვილ თაიგულსა გავხართ, მერე რა ვარდები გაქვთ ამ ზაფხულის პირზე! — მაშინ კი მოეგო ტესი გონს და მიხვდა, რა საყურებელიც იქნებოდა გაკვირვებული გარეშე მაყურებლისათვის: ვარდები მკერდზე, ვარდები ქუდზე, ვარდებითა და მარწყვით სავსე კალათა — მაჩუქესო, განუმარტა სულ მთლად აჭარხლებულმა და დარცხვენილმა თანამგზავრებს. როცა თავი ანებეს, მან ქურდულად მოიძრო ქუდიდან ის ვარდები, რომელიც უფრო თვალში ეცემოდა კაცს, ჩადო კალათაში და ზემოდან ცხვირსახოცი გადააფარა. კვლავ ფიქრებში წასულმა თავი რომ დახარა, უეცრად მკერდზე დაბნეული ვარდის ეკლებმა მწარედ უჩხვლიტა ნიკაპზე. როგორც ბლეკმურის ველის ყველა მცხოვრები ტესიც ცრუმორწმუნე იყო — ცუდად ენიშნა ეს ამბავი და პირველად, მთელი დღის განმავლობაში, რაღაც ავმა აზრმა გაურბინა თავში.

ფურგონი მხოლოდ შესტონამდე მიდიოდა და ტესს ამ გორაკზე შეფენილი ქალაქიდან მარლოტამდე რამდენიმე მილი ფეხით უნდა ჩაევლო თავდაღმართი. დედამ ურჩია, თუ დაიღალო და სიარული ვეღარ შეიძლო, ღამე შესტონში გაათიე ჩვენ მოკეთესთანო, ტესი ასეც მოიქცა და შინ მხოლოდ მეორე დღის ნაშუადღევს დაბრუნდა.

როგორც კი სახლს მიუახლოვდა და დედის გაბადრულ სახეს მოჰკრა თვალი, მაშინვე მიხვდა, რაღაც მომხდარიყო მის აქ არ ყოფნაში.

— ყველაფერი ვიცი! ხომ გეუბნებოდი, კარგად ჩაივლის შენი სტუმრობა-მეთქი. ხედავ, როგორ გამიმართლდა!

— ჩემ აქ არ ყოფნაში მოხდა რამე? — მოღლილი ხმით იკითხა ტესმა.

დედამ თავმომწონედ შეავლო ქალიშვილს ეშმაკური მზერა და ხუმრობით განაგრძო:

— აუბნიე თავგზა, ხომ? — შენ რა იცი, დედა? — ბარათი მივიღე. ტესი დაფიქრდა: — ჰო, ამ ხანში კი მიიღებდა კაცი წერილს.

— იწერებიან... მისის დ'ერბერვილი იწერება: პატარა საფრინველეს მოვლა-პატრონობა მინდა ჩავაბაროო.

— აკვიატებული ჰქონია ფრინველების სიყვარული, მაგრამ იჰ, რაღაცა ხომ უნდა მოემიზეზებინა. ისე უნდა მიგიტყუოს, ვითომ დიდს არაფერს გპირდება. სინამდვილეში, ეტყობა, ნათესავად მიაჩნიხარ და ასეც უნდა რომ მიგიღოს — აი, რა არის ჩემო კარგო.

— კი მაგრამ, მე რომ არ მინახავს ის? — ვიღაცა ხომ ნახე, არა? — მისი ვაჟი შემხვდა.

— ხომ მიგიღო როგორც ნათესავი და ახლობელი? — ჰო... სულ ბიძაშვილოს მეძახდა.

— ასეც ვიცოდი! ჯეკ, გესმის, ბიძაშვილოს მეძახდაო, — დაუყვირა ჟოანმა ქმარს, — არ უნდა ამას ბევრი ლაილაი, ალბათ მოელაპარაკა დედამისს და ახლა ის გეპატიჟება.

— არ ვიცი, მოვახერხებ ქათმების მოვლას? — შეჭოჭმანდა ტესი.

— არ მესმის სწორედ, აბა, ვინღა მოახერხებს, შენ თუ არა. ქათმებს არ უვლი მთელი შენი დღე და მოსწრება? ჰოდა, რა საქმეშიც გაზრდილხარ და გაწაფულხარ კაცი, იმას სხვაზე უკეთ გააკეთებ ყოველთვის. მერედა, ვის რად უნდა შენი საქმე. ყასიდად მოიმიზეზეს ეს ქათმები, ვითომ რამე უნდა გაგაკეთებინონ, აქაოდა, არ იფიქროს, რომ ტყუილად ვასმევთ და ვაჭმევთო.

— მე რაღაც მაინც არა მგონია, რომ საჭირო იყოს ჩემი იქ წასვლა, — თქვა დაფიქრებულმა ტესმა, — ვისი დაწერილია ეს წერილი, მაჩვენე ერთი.

— ვისი დაწერილია და მისის დ'ერბერვილის. აჰა, ნახე.

მესამე პირში დაწერილი ბარათი მოკლედ აუწყებდა მისის დარბეიფილდს, რომ მისი ქალიშვილის სამსახურს ქალბატონი მიიღებს და გოგონას ფრინველებს მიანდობს მოსავლელად. ერთ პატარა მოხერხებულ ოთახსაც მიუჩენს საცხოვრებლად და არც კარგ გასამრჯელოს დაუკავებს, თუკი ერთგულად იმუშავებს.

— ჰმ, ესაა სულ? — თქვა ტესმა.

— აბა, რა იფიქრე, ერთბაშად ჩამოგეკიდებოდა კისერზე და ხვევნა — კოცნას დაგიწყებდა, თუ რა?

ტესმა ფანჯარას გახედა.

— ისევ ისა სჯობია შენთან და მამასთან დავრჩე აქ, — თქვა მან.

— ვითომ რატომ?

— ვერ გეტყვი, დედა, მართალი გითხრა, კარგად მე თვითონაც არ ვიცი, რატომ.

ერთი კვირა გავიდა ამ ამბის შემდეგ: საღამო ხანს ახლომახლო სოფლებში იოლი სამუშაოს ამაო ძებნით გაბეზრებული ტესი შინ ბრუნდებოდა — როგორ ოცნებობდა ტესი, ამ ზაფხულში იმდენი ფული მაინც დაეგროვებინა, როგორმე ცხენი ეყიდათ. ტესს კარის ზღურბლზე არ გადაებიჯებინა, რომ ერთ-ერთმა ბავშვთაგანმა ხტუნვა-ცეკვით ჩამოუარა ოთახს და მაშინვე მიახალა:

— აქ ჯენტლმენი იყო, აქ ჯენტლმენი იყო!..

ღიმილად დამდნარმა დედამ არ დააყოვნა და ტესს განუმარტა: მარლოტში ცხენით გამოუსეირნებია და მერე შემთხვევით გზად ჩვენთან შემოიარა მისის დ'ერბერვილის ვაჟმა. ფრინველების მომვლელმა ბიჭმა ვერ იხეირა და დედას აინტერესებს, აპირებს თუ არა ტესი ჩვენთან მუშაობასო, — იკითხა. თუ ტესი მართლა ისეთია, როგორიც ჩანს, კარგი გოგო უნდა იყოს და დარწმუნებულიცა ვარ, თავისი წონა ოქროს ფასიაო.

— მართალი გითხრა, — დასძინა მშობელმა, — სწორედ რომ ძალიანაა დაინტერესებული შენით.

ტესს ერთი წუთით გული აუჩქროლა ამ ამბავმა.

— რა კარგია, თუ მართლა ასე მოეწონა ამ უცხო კაცს. ჩერჩეტი! — დამცირებულად გრძნობდა თავს.

— ძალიან კარგია, თუ მართლა ასე ფიქრობს, — წაიბუტბუტა მან, — რომ ვიცოდე როგორ მეცხოვრება იქ, მართლა კი წავიდოდა კაცი.

— ძალიან ლამაზი ყმაწვილია! — არა მგონია, — ცივად მოუჭრა ტესმა.

— ახლა, შენი ნებაა, გინდა წადი, გინდა ნუ წახვალ. დამიჯერე რა, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა თითზე.

— მეც დავინახე! უჰ, როგორ ბრჭყვიალებდა! — წამოიძახა ფანჯრის რაფაზე მოკალათებულმა აბრეჰემმა.

— ულვაშებზე რომ გადაისვამდა ხელს, ისე ელავდა! მართლა, დედა, რატომ იკიდებდა სულ ულვაშებზე ხელს ჩვენი დიდებული ნათესავი?

— ერთი ამ ბავშვს უყურეთ, რეებს ამბობს? — წამოიძახა აღტაცებულმა დედამ.

— ალბათ თავის ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უნდოდა ეჩვენებინა — წაიბურტყუნა ფიქრებში წასულმა ჯონმა.

— ჰო, ვნახოთ, ვიფიქროთ, — თქვა ბოლოს ტესმა და ოთახიდან გავიდა.

— ერთბაშად არ მოიგდო ხელთ ჩვენი გვარის უმცროსი შტო! — მიუბრუნდა თავის თანამეცხედრეს და საუბარი გააგრძელა მატრონამ, — დიდი ბრიყვი იქნება, თუ ახლა ამ საქმეს ეგ ხელიდან გაუშვებს.

— არაფრად მეჭაშნიკება ჩემი შვილების სხვის კარდაკარ ხეტიალი, — თქვა მამამ, — გვარის უფროსი მე ვარ და სხვები აქეთ უნდა მოდიოდნენ ჩემთან.

— გაუშვი, ჯეკი, გაუშვი, — ალერსით უნდოდა დაეყაბულებინა საბრალო ბრიყვ ცოლს მეუღლე, — ხომ ხედავ, თავგზა აუბნევია ტესს მისთვის, ბიძაშვილს მეძახდაო! ისეთი პირი უჩანს ამ საქმეს, ნახავ, თუ ცოლად არ შეირთავს. ჩვენი ტესი ლედი გახდება. გამდიდრდება და მისი წინაპრებივით ფუფუნებაში იცხოვრებს.

ჯონ დარბეიფილდს უფრო გული ჰქონდა დიდი, თორემ საამისო ძალა ან ჯანმრთელობა სად გააჩნდა. ჰოდა, ცოლის ვარაუდი ჭკუაში დაუჯდა.

— ჰო, რა იცის კაცმა, იქნება მართლა ეგეთი გუმანი აქვს მისი ტერ დ'ერბერვილს, — იქნებ მართლა უნდა სისხლის გაკეთილშობილება გვარის უძველეს შტოსთან შეერთებით. დიდი ეშმაკია, ხომ იცი, შენი ტესი! ხედავ, თურმე რისთვის მიბრძანებულა იქა?

ტესი კი ამ დროს ფიქრიანი დაეხეტებოდა კინკრიჟას ბუჩქებსა და პრინცის საფლავის გარშემო. შინ შევიდა თუ არა, დედამ ისევ თავისი სიმღერა წამოიწყო.

— აბა, რას ფიქრობ, ტეს? — ჰკითხა მაშინვე.

— ნეტავ მისის დ'ერბერვილი მენახა, — თქვა ტესმა დანანებით.

— ეჰ, მე რომ მკითხო, თუ გადაწყვეტ და წახვალ, იმასაც ნახავ! მამამ ჩაახველა.

— არ ვიცი, რა გითხრათ! — აღელდა გოგონა, — მირჩიეთ, როგორ მოვიქცე და ისე ვიზამ. მე მოვკალი ბებერი პრინცი, ჰოდა, რაღაცა ხომ უნდა გავახერხო, რომ სამაგიერო ცხენის ყიდვა შეიძლოს კაცმა, მაგრამ... მაგრამ... რაღაც მაინცდამაინც არ მეპიტნავება ეს მისტერ დ'ერბერვილი.

ბავშვები, რომლებმაც თავიანთ პაწია თავებში ჩაიჭედეს ტესის წასვლა მდიდარ მოგვარეებთან (მათ ნათესაობაში კი, რაღა თქმა უნდა, ეჭვიც არ ეპარებოდათ) ერთგვარი ანაზღაურება იქნება და-

კარგული პრინცისაო, არ ეპრიანათ ტესის ყოყმანი, — ბუზღუნებდნენ და საყვედურობდნენ დას.

— ტესს არ უნდა წასვლა, არ უნდა ლედი გახდეს...

— დააბჩინეს პირები და გააბეს წუწუნი, — აღარ გვეყოლება ახალი ცხენი, ოქროს ფულები აღარ გვექნება, სათამაშოებს ვეღარ ვიყიდით... არც ახალი კაბა ექნება... აღარც ლამაზი იქნება ტესი!..

დედამ ბანი მისცა ბავშვებს. ჟოანი ხომ ვერასოდეს დააყენებდა საშველს, ვერაფრით მოაბამდა საქმეს თავს ოჯახში, ჰოდა, მუდამ გაწვალებული და გაჯახირებული იყო. თუმცა სინამდვილეში ბევრად უფრო იოლად შეიძლებოდა იმ საქმის თავის გართმევა. ახლაც ეს დაიხვია ხელზე და დაიწყო ჩივილი. ერთადერთი მამა ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს.

— წავალ, ამოღერღა ბოლოს ტესმა!..

— ჰოდა, ასე, ჩემო კარგო! შენისთანა მშვენიერი გოგონასათვის, ღმერთმანი, მარჯვე შემთხვევაა! — მაინც ვერ მოახერხა დედამ საბუკვარი იმედების დამალვა.

გაბრაზებულ ტესს სიმწრით ჩაეცინა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ცოტაოდენ ფულს იშოვის ალბათ კაცი. სხვისა კი ნურაფრის იმედი გექნება, დედა იცოდე, მეზობლებთან არ წამოგცდეს ასეთი სისულელე. , მისის დარბეიფილდი არაფერს დაჰპირებია ტესს. იმედი არა ჰქონდა, რომ ენას კბილს დააჭერდა, სტუმრის სიტყვებმა ისე გაამაყეს, აბა, რა მოათმენინებდა ანდა, რა შვილი იყო არაფერი ეთქვა.

ასე და ამგვარად მოგვარდა საქმე. გოგონამ მისწერა დ'ერბერვილებს, მზადა ვარ თქვენ სამსახურად, რა დღესა და საათშიც საჭირო ვიქნებიო. და პასუხიც დროზე მიიღო: — მისის დ'ერბერვილი მოხარულია მისი გადაწყვეტილებისა, ზეგ გამოაგზავნის ორთვალას ბარგის გადასაზიდად, რომელიც გორაკის თავზე დაელოდება და შეემზადოს ამ დღისათვის.

— მისის დ'ერბერვილის ხელწერა ძალზე მიაგავდა მამაკაცის ხელს.

— ორთვალა? — გულნაკლულად წაიბურტყუნა ჟოან დარბეიფილდმა, — განა არ შეეძლო ეტლი გამოეგზავნა თავისი ნათესავისათვის?!

რაკიღა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, ტესმა შვება იგრძნო, დაშოშმინდა. ვალს მოვიხდი, შედარებით მჩატე და იოლი შრომით მამას წავადგები და ცხენს ვაყიდვინებო, — ინუგეშებდა თავს. თუმცა ერთ დროს მასწავლებლის ადგილზე ოცნებობდა, მაგრამ მოგეხსენებათ: „კაცი სჯიდა, ღმერთი იცინოდაო“. სულიერად

ტესი უფრო მომწიფებული იყო დედამისზე და წუთითაც არ შეუხედავს სერიოზულად მისის დარბეიფილდის მატრიმონიალური იმედებისათვის. ქარაფშუტა ქალი ლამის ქალიშვილის დაბადების პირველი წლიდანვე დაეძებდა საბედოს მისთვის.

VII

გამგზავრების დღეს ტესს უთენია გაეღვიძა — ამ უკანასკნელ წამს, როდესაც გაყუჩებული ჭალა ჯერ კიდევ დუმს და მხოლოდ ერთადერთი მაცნე ჩიტუნა დაჭიკჭიკებს წკრიალა ხმით შემოგარენს, ღრმად დარწმუნებული: — გათენების დრო კარგად ვიციო. სხვები კი კრინტს არა სძრავენ, თითქოსდა ასევე დარწმუნებულნი მის შეცდომაში. საუზმობამდე ტესი ზევით იყო, ბარგს ალაგებდა. მერე კი ქვევით ჩავიდა თავის ჩვეულებრივ ყოველდღიურ კაბაში გამოწყობილი, საგარეო ტანსაცმელი კი ფრთხილად ჩადო სკივრში.

დედამ იუცხოვა: — ამ კაბით გინდა შენს ნათესავებთან სტუმრობა? — მე სამუშაოდ მივდივარ დედა! — მიუგო ტესმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, გაუქილიკა მისის დარბეიფილდმა და მერე რაღაც საიდუმლოს ხმით დასძინა, — თავდაპირველად იქნება მართლაც კი მოგცემს რაღაც სამუშაოს მოსაჩვენებლად... მაგრამ მე მაინც მგონია, ჭკუასთან ახლოს იქნება, თუ უკეთ გამოეწყობი და რაც შეიძლება კარგად ეჩვენები მასპინძლებს.

— კარგი, შენ უკეთ იცი დედა, — გულგრილად დაემორჩილა ტესი, — და მშობლისათვის რომ ეამებინა, მთლიანად მინებდა დედას, — რაც გენებოს, ის მიყავი, — დასძინა მან უშფოთველად.

მისის დარბეიფილდი აღაფრთოვანა შვილის თვინიერებამ.

ჯერ ტაშტი აიღო და ისეთი გულმოდგინებით დაბანა თავი, რომ გამშრალი და დავარცხნილი თმები ჩვეულებრივზე ორჯერ მეტად სქელი უჩანდა ტესს; მერე ორჯერ უფრო განიერი წითელი ბაფთა შემოუჭირა თავზე, ვიდრე სხვა დროს ეკეთა ხოლმე და ის თეთრი კაბა ჩააცვა, რომელიც საკლუბო დღესასწაულზე ეცვა. ჰაეროვანი განიერი კაბა უფრო მომწიფებულს აჩენდა გოგონას., ვიდრე სინამდვილეში იყო. ჰოდა, შეიძლებოდა კაცს ქალად მიეჩნია, თუმცა ჯერ სულ ბავშვი იყო.

— წინდის ქუსლი გახეული მაქვს, — თქვა ტესმა.

— იჰ, მოგცლია, რას დაეძებ გახეულ წინდას, ხომ არ ყვირის და! არც მახსოვს, ვინმეს დახეულ წინდებზე შემოეხედოს ჩემს ქალიშვილობაში. ოღონდ კი ერთი კარგი შლაპა მხურებოდა და მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა.

თავისი ქალიშვილის მშვენიერებით აღტაცებულმა და გაამაყებულმა დედამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, როგორც მხატვარმა მოლბერტისაგან, რომ მთლიანობაში აღექვა თავისი ქმნილება.

— ერთი შეგახედა შენი თავისთვის? — წამოიძახა მან, — შედარებაც არაა წეღანდელთან.

— რაკიღა ამ ერთ ციცქნა სარკეში წესიერად ვერაფერს ხედავდა ტესი მისის დარბეიფილდმა შავი ლაბადა ჩამოაფარა ფანჯარას გარედან და ასეთნაირად ფანჯრის მინა დიდ სარკედ გადააქცია, როგორც ამას ხშირად სჩადიან ხოლმე სოფლის ქალები. მერე ქმართან ჩავიდა, ქვევით ოთახში.

— აი, ნახე, დარბეიფილდ, — წამოიწყო გამარჯვებული კაცის ხმითა და იერით.

— გული ვერ გაუძლებს, შეუყვარდება, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები. მხოლოდ იცოდე, ბევრ ლაპარაკს ნუ დაუწყებ, ნურც სიყვარულზე ეტყვი რამეს და ნურც მომავალზე... ნეტა ახლავე არ შეჯდებოდეს ვირზე და არ გადათქვამდეს წასვლას, თორემ!.. თუ ღმერთმა ქნა და ყველაფერმა კეთილად ჩაიარა, აუცილებლად მივალ იმ სტეგფუტ-ლეინელ პასტორთან და მადლობას გადავუხდი იმ სიკეთისათვის, რაც იმან ჩვენ გვიყო. კარგი ადამიანი ყოფილა! — და მაინც, როდესაც განშორების საათი დადგა და ტესის მორთვა-მოკაზმვით გამოწვეულმა აღტყინებამ გაიარა, ჟოან დარბეიფილდს სულში შიში შეეპარა, რამაც უბიძგა მატრონას ქალიშვილის იმ ადგილამდე გაცილების სურვილი გამოეთქვა, სადაც ველიდან გარე სამყაროსაკენ მიმავალი გზა ციცაბოდ მიუყვებოდა გორაკს. გორაკის თავზე ტესი სტოქ-დ'ერბერვილების ორთვალას უნდა დალოდებოდა. ბიჭმა უკვე აიტანა ურიკათი ტესის სკივრი გორაკზე, რომ ორთვალას მოსვლის დროისათვის უკვე წინასწარ ყველაფერი გამზადებული ყოფილიყო, რაკი დაინახეს, დედა ქუდს იხურავდა ბავშვებმაც მოიწადინეს წასვლა.

— ჩვენც გავაცილებთ დაიკოს! რა კარგია, გათხოვდება ტესი! სულ კარგი კაბები ეცმევა! — გაჰყვიროდნენ ისინი.

— აბა, ასეთი ლაპარაკი აღარ გავიგონო! — შეუცაცხანა და-ძმებს წამოჭარხლებულმა ტესმა და სწრაფად მიუბრუნდა მშობელს, — რატომ უტენი ასეთი სისულელეებით ბავშვებს თავს, დედა?!

— ტესი ჩვენს მდიდარ ნათესავთან მიდის სამუშაოდ. უნდა დაგვეხმაროს, რომ ცოტაოდენი ფული დავაგროვოთ ცხენის საყიდლად, — შეეცადა მისის დარბეიფილდი მშვიდობა დაემყარებინა.

— ნახვამდის, მამა! — ტესს თითქოს რაღაცა აწვებოდა ყელში და ახრჩობდა.

— ნახვამდის, შვილო! — ასწია ჩამოყვინთულმა სერ ჯონმა მკერდზე ჩამოგდებული თავი. რა ქნას, ცოტა ზედმეტი გადაყლურწა ამ დილით განსაკუთრებული შემთხვევის აღსანიშნავად. იმედია, ჩემს ჭაბუკ მეგობარს უდავოდ მოეწონება თავისი გვარის ასეთი სანდომიანი და ეშხიანი წარმომადგენელი.

— ჰოდა, ასე უთხარი, წარსული დიდების შემდეგ გაკოტრებული, ტიტულს მოგყიდი-თქო, ჰო, ხელსაყრელ ფასად მოგყიდი-თქო, უთხარი, გესმის?

— იცოდე, არაფრით ათას გირვანქაზე ნაკლებად არ მისცე, — შეჰყვირა ლედი დარბეიფილდმა.

— უთხარი, ათას გირვანქად მოგცემ-თქო, და თუ ბევრს ილაპარაკებს, ცოტა იაფადაც დავუთმობ. ეს ტიტული იმას უფრო დამშვენდება, ვიდრე ჩემისთანა ღარიბ-ღატაკს. თუ უნდა, ას გირვანქადაც მივცემ. მხოლოდ იცოდეს, რომ ვაჭრობას არ დავუწყებ კაპიკებზე. უნდა ოთხმოცდაათი მომცეს, ჰა, ოცი იყოს. ოცი გირვანქა უკანასკნელი ფასია. დალახვროს ეშმაკმა, ბოლოს და ბოლოს ოჯახის სინდისი და ნამუსი ხომ ოჯახის სინდისი და ნამუსია, ჰოდა, იცოდეს, რომ ოც გირვანქას ერთ პენსაც არ დავაკლებ!

ტესს ცრემლებით ავსებოდა თვალები. დარდი და მწუხარება ახრჩობდა, ხმის ამოღება ვერ შეძლო, შეტრიალდა და სწრაფად გავარდა კარში.

დედა და შვილები ერთად გაუდგნენ გზას. ერთმა დაიკომ ერთ მხარეს ჩაჰკიდა ხელი, მეორემ — მეორე მხარეს, და ჩაფიქრებულები დროდადრო ისე აცქერდებოდნენ ტესს, როგორც გმირს, რომელმაც დიდი საქმეები უნდა მოიმოქმედოს. დედა უკან მიჰყვებოდა შვილებს. მთელი ეს ჯგუფი სურათს მოგაგონებდათ, სადაც უბიწო მშვენიერებას იქით-აქეთ უმანკოება ამოდგომოდა მხარში, უკან კი გულუბრყვილო პატივმოყვარეობა აფარებოდა. ასე იარეს ერთ ხანს, ვიდრე გორაკის ძირს არ მიაღწიეს. გორაკის თავზე უნდა დახვედროდა ტესს ტრენტრიჯის ორთვალა. ეს ადგილი იმისათვის შეარჩიეს, რომ ცხენი აღარ გაეწვალებინათ ციცაბო აღმართის ავლით. შორს, მიწყივ მიჯრილი ბორცვების იქით, მთაგრეხილების ფონზე შესტონის სახლები ფრიალო კლდეებივით მოჩანდა. კაცი არ ჭაჭანებდა თხემზე ამავალ გზაზე. მხოლოდ წინასწარ გაგზავნილი ბიჭი, დაყუნცულიყო ურიკაზე, რომელშიც ტესის მთელი ავლადიდება ეწყო.

— აქ დავიცადოთ, სადაცაა გამოჩნდება ორთვალა. აგერ, მოდის კიდეც! — თქვა მისის დარბეიფილდმა.

— დედა და და-ძმები ფაცაფუცით დაემშვიდობნენ ტესს და უკან

გამობრუნდნენ. ტესი ფერდობს აუყვა.

დედა-შვილებმა დაინახეს, როგორ მიუახლოვდა თეთრი ფიგურა ორთვალას, რომელზეც უკვე იდო ტესის სკივრი, ჯერ არ გასწორებოდა ტესი ორთვალას, რომ მაღლობზე ხეების ტევრიდან ეტლმა ამოყო თავი, აუარა გვერდი მოსახვევს, ორთვალასა და ტესის წინ შედგა. შემცბარი ტესი მოტრიალდა.

დედამ კარგად შენიშნა, — ახლადგამოჩენილი ეტლი უბადრუკ ორთვალას როდი წააგავდა, სულ ცინცხალი იყო და კრიალი გაუდიოდა. აღვირი ასე ოცდასამი — ოცდაოთხი წლის ყმაწვილს ეპყრა ხელთ, პირში სიგარა გაეჩარა, თავზე ახალმოდური კეპი ეხურა, ტანთ ყავისფერი მოსაცმელი და ასეთივე ფერის მოკლე შარვალი ეცვა, მაღალი საყელო და თეთრი ჰალსტუხი ეკეთა და ხელთ ყავისფერივე ხელთათმანები ემოსა. ერთი სიტყვით, ეს ის მოხდენილი ყმაწვილი კაცი გახლდათ, ამ ორიოდე დღის წინ რომ შეიარა დარბეიფილდებთან ტესის გუმანის გასაგებად.

აღტაცებულმა მისის დარბეიფილდმა ბავშვივით შემოჰკრა ტაში, თვალები დახარა, მერე ისევ დაუწყო თვალთვალი, ნუთუ ატყუებს წინათგრძნობა?..

— ამ ჯენტლმენმა უნდა გახადოს ჩვენი დაიკო ლედი? — იკითხა ყველაზე უმცროსმა ბავშვებში.

მუსლინის კაბაში გამოწყობილი ტესი უძრავად იდგა, ყურს უგდებდა ეტლის პატრონს და ეტყობოდა, რაღაცაზე ყოყმანობდა. მაგრამ ყოყმანი და ორჭოფობა კი არა და, აქ სხვა უფრო დამაფიქრებელი ამბავი იყო — ტესს შიში შეეპარა, უბადრუკი ორთვალათი წასვლა ერჩია, ეტლით გამგზავრებას. ყმაწვილი კაცი ეტლიდან ჩამოხტა და ეტყობოდა დაჟინებით სთავაზობდა ქალიშვილს ჩაჯექიო... შეფიქრიანებული ტესი უნებურად იქით შეტრიალდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ თავისი ახლობლები დატოვა. თვალი მოჰკრა მიმავალთა პატარა ჯგუფს და თითქოს რაღაცამ უბიძგაო, — განა მან არ მოკლა საბრალო პრინცი? — ერთბაშად ჩაჯდა ეტლში. ახალგაზრდა კაცი მყის მის გვერდით გაჩნდა, გადაუჭირა. ცხენს მათრახი, თვალისდახმამებაში ჩამოიტოვეს უკან ძლივს მოღანღალე ორთვალა, ტესის სკივრი რომ მოჰქონდა, და ბორცვებს იქით გაუჩინარდნენ.

როგორც კი ტესი თვალს მიეფარა, გულისამაჩუყებელი და საინტერესო სანახაობა გაქრა. ბალღებს თვალები ცრემლებით აევსოთ. ყველაზე პაწიას ტუჩები დაებრიცა და ღრიალი მორთო.

— რატომ წავიდა ტესი... არ მინდა... ნუ გახდება ლედი!..

პაწიას საქციელი გადამდები აღმოჩნდა. ერთმა მეორეს აუბა მხარი, მეორემ მესამეს და ბოლოს სამივე ერთად აზლუქუნდა.

შინისაკენ პირშემობრუნებული ჟოან დარბეიფილდის თვალები ცრემლებს დაენამა. მაგრამ ფეხი შედგა თუ არა სოფელში, თავს დაუწყო ჩიჩინი: ყოველი, რაცა ხდება, სვეკეთილობის მომასწავებელიაო... და მაინც იმ ღამით ლოგინში რომ წვებოდა, ოხვრა აღმოხდა. რაზე ოხრავო, — ჰკითხა ქმარმა.

— ეჰ, რა ვიცი რაზე ვოხრავ, იმას ვფიქრობ, იქნებ აჯობებდა ტესი სულაც არ წასულიყო-მეთქი.

— ახლა გვიანაა. მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა.

— გოგოს ბედი გაეხსნა და აბა, რა უნდა მექნა. ეჰ, თუმცა ნეტა შეიძლებოდეს უკან დაბრუნება, ღმერთმანი, არაფრით არ გავუშვებდი, სანამ კარგად არ გავიკითხ-გამოვიკითხავდი რა შვილია ის კაცი. მართლა ტესის ნათესაობა აინტერესებს, თუ უგვანო და უსაქციელოა ვიღაცა.

— ჰო, კაცმა რომ თქვას, კი უნდა გაგვეგო ეგ — წაიბურტყუნა სერ ჯონმა.

ჟოან დარბეიფილდი ახლა წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდა.

— მერე რა, ტესი უძველესი გვარის შვილია და გამონახავს მათთან საერთოს, თუ ჭკუით იქნება და კოზირს არ დაკარგავს. რა მოხდა, ახლა არ შეირთავს, მერე შეირთავს. ზედ არ ეტყობა, გაგიჟებულია კაცი. ჰოდა, მეტი რაღა გვინდა?

— რა კოზირი აქვს ტესს? დ ერბერვილების სისხლი?

— არა, ყეყეჩო, — რა კოზირი აქვს და თავისი ლამაზი სახე. მეც სულ ეგეთი არ ვიყავი?

VIII

მოიკალათა თუ არა ტესის გვერდით, ალეკ დ'ერბერვილმა მათრახი გადაუჭირა თავის ჰუნესა და ელვის უსწრაფესად გადააქროლა ბორცვების თხემებს გადაღმა. ორთვალა შორს ჩამოიტოვეს. ალეკი საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ქალს ყურში — ამრეცი არ ილეოდა, ირგვლივ უკიდეგანო სივრცე გადაშლილიყო. უკან მწვანე ველი გართხმულიყო.

— აქ აეხილა ტესს თვალი.

— წინ კი ნაცრისფერი სამყარო გადაჭიმულიყო, რომელზეც ტესმა მხოლოდ ის უწყოდა, რაც ტრენტრიჯში თავისი ხანმოკლე სტუმრობის დროს შეიტყო და გაიგო. მერე დამრეცი დაიწყო. თითქმის ერთი მილის მანძილზე ეშვებოდა.

მას შემდეგ, რაც მამამისის საბრალო ცხენი დაიღუპა, ბუნებით გაბედული ტესი მფრთხალი გახდა. მგზავრობა აკრთობდა, პატარა

წაფორხილება და უკვე შიშით სული ელეოდა. ჰოდა, ახლა სულ მთლად შეშფოთდა, ისე თავგამეტებით მიაქროლებდა მისი თანამგზავრი ეტლს.

— ვფიქრობ, თავდაღმართში უფრო ფრთხილად ჩახვალთ, სერ? — უთხრა ვითომ უდარდელად.

დ'ერბერვილი მოუტრიალდა. თავისი თეთრი მსხვილი კბილები დააჭირა სიგარას და ჩაიღიმა:

— რას ნიშნავს ეს, ტეს? — მოქაჩა ალეკმა სიგარა, — განა შეიძლება თქვენისთანა უშიშარმა გოგონამ ასეთი რამე იკითხოს? დაღმართში ყოველთვის დაოთხილი ჩამყავს ცხენი. იცით, რა კარგია ასე სიარული? ძალზე კარგ გუნებაზე აყენებს კაცს.

— მე მგონი, არც უმაგისოდ უნდა იყოთ ცუდ ხასიათზე.

— აფსუს! — გადააქნია ალეკმა თავი, — ახლა ორს უნდა გავუფრთხილდე. მე ხომ მარტო არა ვარ: არც ტიპის დავიწყება შეიძლება. იცით, როგორი ჭირვეულია ჩემი ტიბი?

— ტიბი ვინღაა?

— ჩემს ფაშატზე მოგახსენებთ. აი, ხედავთ, თავი როგორ მოაბრუნა და კუშტად შემომხედა, ვერ შეამჩნიეთ?

— ნუ მაშინებთ, სერ! — თავდაჭერილად მოუგო ტესმა.

— სულაც არ გაშინებთ. თუკი ვინმე მოიძევება ამქვეყნად, ვინაც ამ ცხენთან გააწყობს რამეს, ეს მე ვარ, თუმცა არ გეგონოთ, საერთოდ შეეძლოს ეს ძეხორციელს. მაგრამ თუკი მაინც ვინმე მოდრეკს და ალაგმავს მას, ერთადერთი მე ვარ.

— მერე რად გინდათ ასეთი ცხენი?

— აი, ეგ კი მართლა საკითხავია. მაგრამ, რა ვიცი, ალბათ ასეთი იყო ჩემი ბედი. ტიბმა უკვე შეიწირა ერთი ყმაწვილი კაცის სიცოცხლე და როცა ვიყიდე, კინაღამ მეც თან მიმაყოლა. მერე გიყვარდეთ, ისე მოვთოკე, კინაღამ ხელში შემომაკვდა, მაგრამ მაინც უზომოდ ჭირვეულია, ისეთი ჯიუტია, რომ მასთან საქმის დაჭერა ზოგჯერ იმას ნიშნავს, პირდაპირ თავი გადადო კაცმა.

ის იყო თავდაღმართს დაადგნენ. აშკარად ჩანდა, საკუთარ სურვილსა თუ დ'ერბერვილის ნებას დამორჩილებული ცხენი (ეს უკანასკნელი უფრო სარწმუნო იყო) ჩინებულად გრძნობდა, რა უგუნურებასაც მოელოდნენ მისგან და წაქეზება აღარ სჭირდებოდა. დაღმართში მიექანებოდნენ. ბორბლები ბზრიალასავით ზუზუნებდა. ეტლი ხან მარჯვნივ გადაქანდებოდა, ხან მარცხნივ. ალეკი წინ წახრილიყო. მის ცხვირწინ ტალღასავით ხან აიწევდა ცხენის გავა, ხან დაიწევდა. დროდადრო ბორბლები თითქოს რამდენიმე იარდის სიმაღლეზე ხტოდა, ქვები ტრიალ-ტრიალითა და შხუილით მიჰქროდა

სამანებს იქით. დღის შუქზე ელავდნენ ცხენის ფლოქვებიდან ავარდნილი ნაპერწკლები. ლარივით გაჭიმული გზა წინ მარაოსავით იშლებოდა. მზის კიდეებმა თითქოს იქით-აქეთ გაიწიეს გაპობილი ჯოხის ნახევრებივით და გვერდით ჩაუქროლეს.

ქარი ტყვიასავით იჭრებოდა ტესის თეთრი მუსლინის კაბაში, ახლად დაბანილი თმები ზურგზე სცემდა, როგორ უნდოდა დაეფარა შიში, და მაინც ჩაებღაუჭა დ'ერბერვილის აღვირში ჩაფრენილ ხელს.

— ხელი გამიშვით თორემ ორივეს ძირს დაგვანარცხებს! წელზე მომხვიეთ.

ტესი უსიტყვოდ დაემორჩილა. ასე დაეშვნენ ბორცვის ძირში.

მადლობა ღმერთს, ცოცხლები გადავრჩით, თქვენი უგუნურებისდა მიუხედავად, — თქვა სახეალეწილმა ტესმა.

— ჰო, როგორი ყოფილხართ, ტეს! — იწყინა დ'ერბერვილმა — სიმართლეს ვამბობ.

— უმადურო, უსაფრთხოდ იგრძენით თუ არა თავი მაშინვე გამიშვით ხელი.

ტესი წამითაც არ დაფიქრებულა, რას სჩადიოდა, როცა უნებურათ ალეკს წაავლო ხელი. მისთვის სულერთი იყო მამაკაცი იყო თუ ქალი, ქვა თუ ხე, ახლა კი გონს მოეგო. კრინტი აღარ დაუძრავს, ვიდრე მეორე ბორცვის თავზე არ ავიდნენ.

— აბა, ერთიც გავაჭენოთ! — დასძახა დ'ერბერვილმა.

— არა, — შეჰყვირა ტესმა; — გემუდარებით, სერ, კეთილგონივრულად მოიქეცით.

— კი მაგრამ, თუ ადამიანები საგრაფოს უმაღლესი ბორცვის თავზე არიან, ხომ უნდა დაეშვან იქიდან, — სიტყვა შეუბრუნა ალეკმა.

დ'ერბერვილმა მიუშვა ცხენს სადავეები და დაღმართს დაუყვა.

ეტლი კვლავ არახრახდა; ხან ერთ მხარეს გადაისვრიდა მგზავრებს, ხან მეორე მხარეს. დ'ერბერვილი მოუტრიალდა ტესს და ვითომ ხუმრობით დასცინა:

— აბა, ლამაზო, მომეხვიეთ, ერთი თქვენებურად მომეხვიეთ.

— არა, ჯიუტად მიუგო ტესმა და შეეცადა თავი ისე დაეჭირა, როგორმე არ შეხებოდა ალეკს.

— ნება მომეცით ერთხელ მაინც ვეამბორო თქვენს ბაგეს, ან ამ ალმოდებულ ღაწვებს, და ცხენს გავაჩერებ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გავაჩერებ.

უღმერთოდ გაოცებულმა ტესმა უკან გადაიწია, მაშინ ალეკმა კვლავაც მიუშვა სადავე და ეტლი ისევ არახრახდა.

— მართლა არ გააჩერებთ ცხენს? — შესძახა სასომიხდილმა ტესმა. რაკი ნახა რომ ალეკი თავისას არ იშლიდა. გარეული ნადირივით შესცქეროდა ტესის ფართო თვალები ალეკ დ'ერბერვილს. ღმერთო, რისთვის მორთო და მოკაზმა დედამ ასე ლამაზად.

— არ გავაჩერებ, ძვირფასო ტეს — მიუგო ალეკმა.

— ეჰ, არ ვიცი... როგორც გინდათ, ჩუმთვის სულერთია! — მწუხარედ ჩაილაპარაკა მან.

ალეკმა მოსწია სადავე და როდესაც ცხენმა სვლას უკლო, მოიწადინა ამბორი აღებეჭდა ტესის ლოყაზე. თანდაყოლილმა სიმორცხვემ აიძულა ტესი გაწეულიყო, ალეკს ხელში აღვირი ეჭირა, შებოჭილი იყო და ვერ გაუწია წინააღმდეგობა გოგონას მოულოდნელ საქციელს.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ახლა ორივე კისერს მოვიტეხთ.

— გაფიცხდა ტესის თავნება თანამგზავრი.

— აი, თურმე როგორი სიტყვის კაცი ბრძანებულხართ, პატარა კუდიანო, ხედავთ?!

— კარგი! — თქვა ტესმა, — რაკი არ მეშვებით, აღარ გავინძრევი, მე კი ვფიქრობდი, კეთილი, მუდამ ჩემი, — თქვენი ნათესავის, — ქომაგი და დამცველი იქნებოდით!

— დალახვროს ეშმაკმა ნათესავის აბა!..

— მე არ მინდა ვინმე მკოცნიდეს! — შეევედრა ტესი და მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა ლოყაზე. ტუჩები აუთრთოლდა, თუმცა თავს ძალას ატანდა, რომ არ ეტირა — ასე რომ მცოდნოდა ფეხს არ გამოვადგამდი აქეთ.

— მაგრამ გულის მაგივრად ქვა ედო ალეკ დ'ერბერვილს. ისეთი გახევებული იჯდა. ყმაწვილმა კაცმა არ დააყოვნა, ისარგებლა თავისი მდგომარეობით და აკოცა ქალს. სირცხვილისაგან ალეწილმა ტესმა ამოიღო ცხვირსახოცი და მყისვე გაიწმინდა ლოყა. თუმცა ტესმა ქვეშეუცნობლად მოიმოქმედა ეს, ალეკ დ'ერბერვილი მაინც შეურაცხყოფილი დარჩა.

— მეტისმეტად მგრძნობიარე ბრძანებულხართ, სოფლელი გოგოს კვალობაზე! — მიახალა მან.

ტესს არაფერი უთქვამს. ვერცთუ მაინცდამაინც ჩახვდა ნათქვამის აზრს. ეჭვიც არ შეჰპარვია თუ თავისი საქციელით შეურაცხყო ვინმე. შეეცადა ვაჟის ნაამბორევი იმდენად წარეხოცა, რამდენადაც ეს ფიზიკურად იყო შესაძლებელი, თუმცა ქვეშეცნეულად მაინც გრძნობდა, რომ ალეკი შემომწყრალი იყო, ხმას მაინც არ იღებდა, ჯიუტად იცქირებოდა წინ, სანამ ჩორთით მიდიოდნენ. ასე იარეს ნახევარი საათი, ვიდრე კვლავ თავზარი არ დაეცა; კიდევ ჰქონიათ

თურმე თავდაღმართი ჩასავლელი.

— ინანებთ! — წაიბურტყუნა შეურაცხყოფილმა ალეკმა და ისევ აღმართთა წკეპლა, — თუ კვლავაც არ დამნებდებით... მხოლოდ... ახლა იცოდეთ, უცხვირსახოცოდ უნდა გახვიდეთ იოლად.

ტესმა ამოიოხრა.

— კეთილი სერ... ოჰ! ნება მომეცით ქუდი გავისწორო, შემხვედრი ქარი უეცრად ტყვიასავით დაეჯახა და ტესის ქუდი შორს მოისროლა — აღმართი იყო და მაინც სწრაფად მიჰქროდნენ. დ'ერბერვილმა ცხენი შეაყენა. ქუდს ავიღებო და ძირს ჩამოხტა, ტესმა რომ ეს ნახა, არც აცია, არც აცხელა და მეორე მხრიდან გადაეშვა ძირს. გზას გაჰყვა უკან და ქუდს დასწვდა.

— ღმერთმანი უქუდოდ უფრო მომხიბლავი ხართ, ტეს, თუკი შესაძლებელია ოდესმე მომხიბლავი იყოთ, — გადახედა ეტლის ზურგს ზემოდან ალეკმა.

— აბა, ჩაჯექით! .. რა მოხდა?

ქუდი დაიხურა, ბაფთებით გამოინასკვა, ადგილიდან კი მაინც არ დაიძრა ტესი.

— არა, სერ! — გამომწვევად გაიღიმა, კბილები გააელვა და გამარჯვებულის კილოთი თქვა ტესმა, — მე აღარ ჩავჯდები ეტლში!

— რაო? არ გინდათ ჩემ გვერდით ჯდომა? — არ მინდა. ფეხით წავალ.

— ტრენტრიჯამდე ხუთი თუ ექვსი მილია ჯერ კიდევ.

— გინდაც ასი იყოს. მერე და, ჩვენ უკან ხომ მოდის ორთვალა.

— ოჰ, შე მაცთურო, განგებ გადააგდე ქუდი ხომ?! დავიფიცებ, რომ განგებ გადააგდე ტესის წინდაუხედავმა დუმილმა ეჭვი დაუდასტურა დ'ერბერვილს, დაუზოგავად დააყარა ალეკმა ლანძღვაგინება გოგონას. მერე მოულოდნელად მოზიდა სადავე და ცხენი ტყისაკენ მიაგდო, რომ ღობესთან მიემწყვდია, მაგრამ ვერ მოახერხა, თავად კი შეეშინდა, არ დავაშავოო.

— გრცხვენოდეთ ასეთი სიტყვებისა! — შეჰყვირა ღობეზე აცოცებულმა ტესმა, — მე თქვენ სულაც არ მომწონხართ, მეზიზღებით, მძულხართ! ახლავე შინ დავბრუნდები, დედაჩემთან.

გაჯავრებული ტესის დანახვამ ბრაზი გაუქარვა ალეკს და გულიანად გადაიხარხარა..

— მე კი ახლა უფრო მომწონხართ! — უთხრა ტესს, მოდით ზავი დავდოთ, მე ამიერიდან აღარასოდეს მოვიქცევი ასე, თქვენი ნებასურვილის გარეშე, ვფიცავ სინდისს!

ტესი მაინც არ დაყაბულდა. ეტლის გვერდით სიარულზე კი აღარ უთქვამს უარი. ასე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ისინი სოფელ

ტრენტრიჯს. დროდადრო ალეკი ღრმად სასოწარკვეთილი გამოთქვამდა სინანულს, რომ თავისი უგუნური საქციელით აიძულა ქალი ამოდენა მანძილი ფეხით გამოევლო. ტესს ახლა მართლა შეეძლო გულით მინდობოდა დ'ერბერვილს, მაგრამ რაკი ერთხელ მოატყუეს, ჯიუტად იდგა თავის ნათქვამზე, დაფიქრებული მოაბიჯებდა წინ, თითქოს უნდა მოისაზროს; კეთილგონიერება , ხომ არ იქნება, მოტრიალდეს და შინ დაბრუნდესო. მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცე იყო და ახლა უკან დახევა რამე სხვა უფრო დიდი საბაბის გარეშე ბავშვობად ეჩვენებოდა. განა ჭკუათამყოფელი იქნება, ან როგორღა, უნდა შეხედოს დედ-მამას თვალებში, რომ ასეთი სენტიმენტალური გრძნობების გულისათვის ხელი დაავლოს თავის სკივრსა და უკან გაბრუნდეს, ასე ერთი ხელის მოსმით დაანგრიოს ოჯახის აღორძინების გეგმა?

რამდენიმე წუთიც და გამოჩნდა „კორდის“ კარ-მიდამოს საკვამურები. მარჯვნივ განმარტოებულ მყუდრო კუთხეში, საფრინველე და ტესისათვის გამიზნული პაწია ქოხი იდგა.

IX

ფრინველთა საზოგადოების მთავარი სამმართველო, სადაც ტესს ზედამხედველის, საკვების მიმწოდებლის, მომვლელის, აქიმისა და მეგობრის როლი ეკისრებოდა. ერთ მოძველებულ ჩალით დახურულ კოტეჯში სუფევდა, რომელიც ნაბოსტნის ღობით შემორკალულ, დატკეპნილი სილის მოედანზე იდგა. კოტეჯი სუროებში ჩაფლულიყო, სქელ მხვიარებშემოვლებული საკვამურები ჩამონგრეულ ციხე-კოშკებს მიაგავდნენ ქვედა სართული მთლიანად ფრინველებს ჰქონდათ დათმობილი, თავაღერილი ფრთოსნები ისე ამაყად დაბაჯბაჯებდნენ ოთახებში, თითქოსდა ეს კოტეჯი მათი აგებული ყოფილიყოს და არა აწ მტვრად ქცეული მოიჯარადრეებისა, რომლებიც საძვალეებში განისვენებდნენ. ამ ძველ მესაკუთრეთა შთამომავალნი დიდად შეურაცხყოფილნი გახლდნენ, ეს კოტეჯი, ასე რომ უყვარდათ და მამასისხლად უღირდათ მათ წინაპრებს, და სადაც მათი გვარის რამდენიმე თაობას უცხოვრია კარგა ხნით ადრე, ვიდრე აქ ეს დ'ერბერვილები ჩამოეთესლებოდნენ. მისტერ სტოკ-დ'ერბერვილს, ხელთ უგდია თუ არა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება, ასე უდიერად საქათმედ გადაუქცევია ეს ღირსეული კოტეჯი. პაპაჩვენის დროს ეს კოტეჯი არც ქრისტიანთა სადგომად გახლდათ ურიგოო, — ბუზღუნებდნენ ისინი.

ოთახებში, სადაც ოდესღაც ათობით ახალშობილი ჭყაოდა, ახლა კვერცხებიდან ახლად გამოჩეკილი ჭუჭულების წიავ-წიავი გაისმოდა. იქ, სადაც დარბაისელ მიწათმფლობელთა სავარძლები თავს იწონებდნენ, ახლა ქათმების საბუდრები იდგა. ბუდუარი, სადაც უწინ ცეცხლი გიზგიზებდა და სითბოს ჰფენდა ირგვლივ, გადაყირავებული სკებით იყო სავსე და ჩასუქებული დედლები კვერცხებს დებდნენ შიგ. კოტეჯის წინ გაშლილი ნაკვეთი, რომელსაც დიდი მზრუნველობით ბარავდნენ ძველი მეპატრონეები თაობიდან თაობამდე გულისმომკვლელად იყო ერთიანად გადაჩიჩქნილი მამლებისაგან. ბაღს, რომელშიც კოტეჯი იდგა, ირგვლივ კედელი ერტყა და შიგნით მხოლოდ ჭიშკრიდან თუ შევიდოდა კაცი.

— მეორე დილით ტესმა საათზე მეტი მოანდომა მეურნეობაში ცვლილებებისა და გაუმჯობესებათა შეტანა-დანერგვას, სწორედ რომ დიდად გამოადგა ამ დარგში საკუთარი გამოცდილება. კაცი იფიქრებდა, მექათმის ქალიშვილიაო. უეცრად ჭრიალი გაისმა და მოფრიალებულ ჭიშკარში თეთრწინსაფრიანი მოახლე გამოჩნდა. ეტყობოდა, ბატონების სახლიდან მოდიოდა.

— მისის დ'ერბერვილმა ბრძანა, ქათმები მომიყვანეთო, — გადასცა ქალბატონის ნათქვამი მოახლემ და რაკი დაინახა ტესმა კარგად ვერ გაუგო, რას მოითხოვდნენ მისგან, დასძინა: — ჩვენი ქალბატონი ორმა მოხუცია, თვალის ჩინი დაკარგული აქვს, სულ მთლად უსინათლოა.

— უსინათლო! — გაიმეორა ტესმა.

კარგად ვერც კი მოასწრო ტესმა ჩაწვდომოდა არსს იმ ავისმომასწავებელი წინათგრძნობისა, რომელიც ამ ახალმა ამბავმა აღუძრა, მოახლე ქალის რჩევით ფაციფუცით დაავლო ხელი ორ ყველაზე ლამაზ, ჰამბურგის ჯიშის ქათამს და ბატონების სახლისაკენ მიმავალ გოგონას დაედევნა უკან, რომელსაც კიდევ ორი ქათამი ამოეღლიავებინა, თუმცა ბატონების სახლი კოპწიად გამართული და დიდებული იყო, მაინც ყველაფერში იგრძნობოდა, რომ მის ბინადართ მეტისმეტად უნდა ჰყვარებოდათ უტყვი არსებანი — ფრინველები; ირგვლივ ბუმბული იყო მიმობნეული და ბალახში ყველგან გალიები იდგა.

ქვედა სართულის სასტუმრო ოთახში ღრმა სავარძელში ჩაფლულიყო ასე, სამოცი წლის ჭაღარა ლედი. იგი ამ კარ-მიდამოს მეპატრონე და დიასახლისი გახლდათ. ქალი შუქისკენ ზურგშექცეული იჯდა. თავზე დიდი ჩაჩი ეხურა. მოხუცს დაბადებით უჩინოთა ან ხანგრძლივი დროის წინ ჩინდაკარგულთა სახე ჰქონდა, მსგავსად იმ ადამიანებისა, რომელთაც მხედველობა თანდათან ღალატობთ და

ცდილობენ შეინარჩუნონ იგი. ტესი მიუახლოვდა ლედის, ფრთოსნები აქეთ-იქით ჩამოუსკუპდნენ მკლავებზე.

— თქვენ ბრძანდებით ის ყმაწვილი ქალი, ჩემს ფრინველებს რომ უნდა მოუაროს? — იკითხა მისის დ'ერბერვილმა, როდესაც უცხო ფეხის ხმა შემოესმა, — იმედია ალერსსა და ზრუნვას არ მოაკლებთ ჩემს ლამაზებს. მოურავი მეუბნებოდა, ისეთი ქალი ჩანს, შეიძლება ენდოს კაციო. აბა, მაჩვენეთ ერთი, სადა გყავთ? ჰო, ეს ყოყლოჩინა, მაგრამ დღეს, ეტყობა ვერაა ქეიფზე, თუ იუცხოვა ახალი ხელი, ჩემი ფინაც გატრუნულა! რაო, შემიშინდით, კარგებო? არაფერია, სულ მალე შეგეჩვევიან.

სანამ ლედი ლაპარაკობდა, ტესმა და მოახლე გოგონამ მუხლებზე დაუსვეს ფრინველები. ასე ანიშნა მოხუცმა. მისის დ'ერბერვილი ეფერებოდა, თავიდან კუდამდე უსვამდა ხელს, ხან ნისკარტზე, ხანაც ბიბილოზე შეავლებდა. მამლებს ყელზე, ფრთებსა და დეზებზე, ეალერსებოდა. შეეხებოდა თუ არა, მაშინვე ყველას ცნობდა სათითაოდ, მოუსინჯავდა მომტვრეულ ფრთას ან გასვრილ ბუმბულს, ჩიჩახვს, — დაპურებული თუ არიან ჩემი ქათმებიო. და ყველაფერი სახეზე ეხატებოდა ლედის.

გოგონების მოყვანილი ქათმები კვლავ თავიანთ საბრძანებელში დააბრუნეს და მათ მაგიერ სხვები მოჰგვარეს. დათვალიერება მანამ გაგრძელდა, სანამ მოხუცს სათითაოდ არ წარუდგინეს იმხანად განსაკუთრებით გავრცელებული ჰამბურგის, ბენთამის, კოჰინის, ბრამას, დორკინგის და სხვა ჯიშის ყველა მისი საყვარელი მამალი და დედალი. როდესაც მოხუცს ქათამს დაუსვამდნენ მუხლებზე, თითქმის არასოდეს სცდებოდა მათ გამოცნობაში.

ამ ამბავმა ტესს მირონცხება მოაგონა; მისის დ'ერბერვილი თითქოს ეპისკოპოსი იყო, ქათმები — მირონცხებული ახალგაზრდობა, ხოლო თავად ტესი და მოახლე ქალი კი სამრევლო ეკლესიის მღვდელი და ქორეპისკოპოსი, რომლებიც თავიანთ სამწყსოს ეკლესიაში მოაცილებდნენ. ცერემონიის დამთავრებისას მისის დ'ერბერვილმა სახე მოჭმუხნა და ტესს მიუბრუნდა.

— თქვენ სტვენა იცით? — სტვენა, ქალბატონო? — დიახ, გეხერხებათ მელოდიური სტვენა?

ტესმა, ისევე როგორც სოფლელი გოგონების უმრავლესობამ, იცოდა სტვენა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ამ ოსტატობით მაინცდამაინც თავი არ მოჰქონდათ წესიერ საზოგადოებაში, რაღა ჩარა იყო, ადგა და მაინც ზრდილობიანად მიუგო, ვიცი.

— ყოველდღე უნდა უსტვინოთ. ჩემთან ერთი ბიჭი მუშაობდა, ძალიან კარგად უსტვენდა, მაგრამ წავიდა. ახლა თქვენ დაუსტვენთ

ხოლმე ჩემი გულწითელასათვის! რაკი ვერა ვხედავ, მიყვარს მათი ყურისგდება. სტვენით ისინი სიმღერას სწავლობენ. ელიზაბეტ აჩვენეთ, სადა გვაქვს გალიები: ხვალიდანვე შეუდექით ამ საქმეს თორემ სულ დაავიწყდებათ, რაც ისწავლეს: აგერ უკვე მერამდენე დღეა უპატრონოდ ყრიან.

— მისტერ დ'ერბერვილი უსტვენდა ამ დილით, ქალბატონო, — თქვა ელიზაბეტმა.

— ალეკი? ეგღა გვაკლდა! მოხუცს სახე ზიზღით დაემანჭა და კრინტი აღარ დაუძრავს.

ასე დასრულდა ტესის პირველი შეხვედრა თავის „ნათესავთან“. ქათმები კი მიაბრძანეს უკან თავიანთ ადგილ-სამყოფელში, მისის დ'ერბერვილის მოპყრობას დიდად როდი განუცვიფრებია ტესი, ამ უზარმაზარი კარ-მიდამოს მნახველი სულაც არ მოელოდა სხვაგვარ მიღებას, თუმცა ეჭვიც კი არა ჰქონდა, რომ მისის დ'ერბერვილმა სულაც არა უწყოდა რა მათ ნათესაობაზე. ერთს კი კარგად მიხვდა, აშკარა იყო, მოხუც ქალბატონსა და მის ვაჟიშვილს დიდი სიყვარულობა არა ჰქონიათ ერთმანეთში. მაგრამ ტესი აქაც ცდებოდა, მისის დ'ერბერვილი ერთადერთი დედა როდი გახლდათ, რომლის სიყვარული თავისი ნაშიერისადმი გულისტკივილითა და სიმწრით იყო შეზავებულ-შელამაზებული.

მიუხედავად პირველი დღის უსიამო შთაბეჭდილებებისა, დილით, როდესაც მზე ამობრწყინდა, ტესსაც გული გაუნათდა და თავი შინაურულად იგრძნო. ახარებდა თავისუფლება და სიახლე თავის ირგვლივ. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. სურდა მალე გამოეცადა საკუთარი ძალა ხელოვნებაში, რომელიც ასე მოულოდნელად მოსთხოვეს. დარჩებოდა თუ არ დარჩებოდა ამ ადგილზე სამუშაოდ, ეს ხომ მთლიანად ამაზე იყო დამოკიდებული. როგორც კი თავი დაიმარტოხელა კედლით გარშემორტყმულ ბაღში, ტესი ჩამოჯდა ქათმების გალიაზე, მონდომებით გამოზიდა ტუჩები და განიზრახა გაეხსენებინა დიდი ხნის მივიწყებული ხელოვნება. მაგრამ დახეთ, სულ გადავიწყებია სტვენა. უბერავდა სულს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ერთი სუფთა ბგერაც არ გამოუდიოდა, რაღაც იმქვეყნიურ, საიქიოს ხმებს გამოსცემდა.

ამაოდ ცდილობდა იგი, განცვიფრებული და გაოცებული იყო, — სად გაქრა ეს თანდაყოლილი ნიჭი. უეცრად თითქოს რაღაც შეინძრა სუროებში, სურო ქვის კედელსაც ისევე სქლად მოსდებოდა, როგორც კოტეჯს. მიიხედა, ხედავს ვიღაც დაეშვა კედლიდან მიწაზე. ეს ალეკ დ'ერბერვილი გახლდათ. გუშინდელს აქეთ, რაც მებაღეს ჩააბარა მისი თავი, მებაღემ კი სადგომი მიუჩინა, ტესს თვალი არ

მოუკრავს ალეკისათვის.

— სინდისს გეფიცებით! — შესძახა მან, — ჯერ არარსებულა არც ბუნებასა და არც ხელოვნებაში თქვენზე უმშვენიერესი ქმნილება, ჩემო „ბიძაშვილო“ ტეს.

— სიტყვა „ბიძაშვილო“ რაღაც ირონიულად ჟღერდა თითქოს, — გითვალთვალებდით კედლის იქიდან. მოუთმენლობის ქანდაკება დაბრძანებული კვარცხლბეკზე — აი, რა იხილეს ჩემმა თვალებმა. ქანდაკება მშვენიერ ბაგეებს ამოძრავებს, წინ გამოუზიდავს, თითქოს სასტვენად ემზადებაო, სულს უბერავს; ილანძღება ჩუმად გულში, არ ძალუძს გამოსცეს არც ერთი ბგერა და ჯავრობს რომ არ გამოსდის.

— ჯავრობდი, მაგრამ არ ვილანძღებოდი!

— აა, მე ვიცი რისთვისაც ვარჯიშობთ! გულწითელებისათვის ხომ?.. დედაჩემს სურს თქვენ გააგრძელოთ მათი მუსიკალური განათლება. რა ეგოისტობაა. თითქოსდა იოლი საქმე იყოს ამ წყეული დედლებისა და მამლების მოვლა. მე თქვენ ადგილას უარს ვეტყოდი.

— დედათქვენი დაბეჯითებით მოითხოვს ამას. ხვალისათვის უნდა მოვემზადო.

— აბა, აი, როგორ ყოფილა საქმე. რაკი ასეა, მე ჩაგიტარებთ ერთ-ორ გაკვეთილს.

— აჰ, არა, — იუარა ტესმა და ჭიშკრისაკენ დაიხია.

— ნუ გეშინიათ! სულაც არ ვფიქრობ თქვენთვის ხელის ხლებას. აი, უყურეთ, მე მავთულის ბადის აქეთ ვიქნები, თქვენ, თუ გინდათ, იქით დადექით და საფრთხის შიში აღარ გექნებათ. ახლა მიყურეთ! თქვენ მეტისმეტად წინა სწევთ ტუჩებს. აი, ასე უნდა.

აჩვენა ალეკმა და „ნუ მიწვდი ბაგეს“ სიმღერის მელოდიის სტვენა წამოიწყო, მაგრამ ტესი ვერ მიუხვდა გადაკრულ სიტყვას.

— ახლა თქვენ სცადეთ, — უთხრა დ'ერბერვილმა.

ტესი შეეცადა სიმშვიდე და უშფოთველობა შეენარჩუნებინა, მკაცრი სახე ქანდაკებასავით გაქვავებოდა, მაგრამ ალეკი როდი ეშვებოდა. ჰოდა, მისგან რომ როგორმე თავი დაეცვა, ბოლოს და ბოლოს მისდია მის რჩევას; ტუჩები გამოსწია, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ამოუშვა სუფთა ბგერა. დარცხვენილმა ჩაიცინა, მერე კი საკუთარი სიცილით განაწყენებული აილეწა.

ალეკი ამხნევებდა.

— აბა სცადეთ, ერთხელ კიდევ სცადეთ!

ტესი სერიოზული იყო, უღმერთოდ სერიოზული, ერთხელ კიდევ სცადა ბედი და აკი გამოუვიდა, — სუფთა, საამო ხმები გამოსცა.

ძალზე დიდი იყო წუთიერი წარმატებით გამოწვეული სიხარული, თვალები გაუფართოვდა და უნებურად შეჰღიმა ალეკს.

— აი, ასე! ახლა, რაკიღა ერთხელ ბიძგი მივეცით, საქმე მშვენივრად წავა წინ. ხომ გითხარით, არ მოგიახლოვდებით-მეთქი. ჰოდა, თუმცა ჯერ არც ერთ მოკვდავს წილად არა ხვდომია ასეთი ცთუნება, მე მაინც შევასრულებ ჩემს სიტყვას... ჰო, ერთი ეს მითხარით, ტეს, ძალზე გეუცნაურათ დედაჩემი?

— მე ხომ ჯერ არ ვიცნობ მას, სერ.

— ანკი როგორ არ მოგეჩვენებათ უცნაური, როცა გაიძულებთ უსტვინოთ მისი გულწითელებისათვის. მე დიდად არა მწყალობს, მაგრამ თუ კეთილად მოეპყრობით მის ფრთოსნებს, მერწმუნეთ მის დიდ კეთილგანწყობას დაიმსახურებთ. ნახვამდის, იცოდეთ არ მომერიდოთ და თუ პატარა წინააღმდეგობაც კი გადაგეღობებათ და ჩემი დახმარება იქნება საჭირო, არ გინდათ მმართველი, პირდაპირ ჩემთან მოდით.

ასე შეუდგა საქმეს ტეს დარბეიფილდი. ყოველი მომდევნო დღე პირველის განმეორება იყო თითქოს. ჩვეულებად გადაექცა გოგონას ალეკის გვერდით ყოფნა, რასაც ძალზე ცდილობდა ყმაწვილი კაცი. როცა კი მარტო დარჩებოდნენ, მხიარულად ემასლაათებოდა, ეხუმრებოდა, ჩემი ბიძაშვილიო — ეძახდა. ამან თანდათან გაათამამა ტესი, ჩამოიშორა სიმორცხვე ისე, რომ არ ჩაუნერგავს სხვა უფრო ნაზი გრძნობა. დამყოლიც გახდა. მარტოოდენ ალეკთან ურთიერთობის გამო კი არა, დედამისზე რომ იყო გარდუვალად დამოკიდებული იმიტომ, მაგრამ რაკიღა ეს ქალი უმწეო იყო მეტად, ალეკზე დამოკიდებულიც შეიქნა.

— როცა მელოდიური სტვენის ხელოვნებას დაეუფლა, ტესი დარწმუნდა, რომ მისის დ'ერბერვილის ოთახში გულწითელებისათვის სტვენა არცთუ ისე საძნელო საქმე ყოფილა, რადგან მუსიკალური დედის წყალობით უკვე იცოდა რამდენიმე სიმღერა, ეს სიმღერები კი ძალიან მოსწონდათ მის მგალობლებს. დილდილაობით გალიებთან სტვენა ბევრად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ბაღში ვარჯიში. რაკი ყმაწვილი კაცი ახლომახლო არ ეგულებოდა, ტესი მთელი მონდომებით გამოსწევდა ბაგეებს, მიადებდა გალიის ბადეს და უსტვენდა თავისი გულისყურიანი მსმენელების გასართობად.

მისის დ'ერბერვილს აბრეშუმის მიჩიგდანის განიერ საწოლზე ეძინა, გულწითელებიც იმავე ოთახში იყვნენ და, თუმცა თეთრად დაეწინწკლათ მთელი ავეჯი და ფარდაგები, თავისუფლად დაგრიალებდნენ, ერთხელ, ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ გალიებში გამომწყვდეულ ფრთოსნებს ტესი მორიგ გაკვეთილს გადასცემდა.

უეცრად საწოლიდან რაღაც ფაჩუნი მოესმა — ქალბატონი ოთახში არ იყო, მოიხედა შეშფოთებულმა და მიჩიგდანს იქით ფეხსაცმელების ჭვინტებს მოჰკრა თვალი. ტესს არ შეუწყვეტია სტვენა, მაგრამ ისე აურია მელოდია, მსმენელი, თუ კი ასეთი იყო, უთუოდ მიხვდებოდა რომ ტესი გრძნობდა მის იქ ყოფნას. ეს დღე იყო და ეს ყოველ დილით იცქირებოდა ტესი მიჩიგდანს იქით, მაგრამ ერთხელაც ვერავის წააწყდა, ეტყობოდა, ალეკ დ'ერბერვილმა გადაწყვიტა მეტად არ შეეშფოთებინა ქალიშვილი და ხელი აიღო ჩასაფრებაზე.

X

ყოველ სოფელს აქვს თავისი ადათ-წესი, თავისი კონსტიტუციისა და მორალის კოდექსი. ტრენტრიჯსა და მის შემოგარენში ბლომად ქარაფშუტა ქალი მოსახლეობდა, რაც „კორდის“ მამულის მეზობლობითა და მისი მეპატრონის ხასიათით უფრო აიხსნებოდა. მაგრამ ამ მიდამოებს სხვა უფრო დიდი ნაკლი გააჩნდა, — მეტისმეტად მტვრიანი და მწირი ადგილი იყო. ახლომახლო ფერმებში, რაზედაც არ უნდა ჩამოეგდოთ სიტყვა, ბოლოს მაინც იმას შესჩივლებდნენ ერთმანეთს, — ყაირათიანობას აქ ფასი არა აქვსო. გუთანსა და თოხზე გადამდგარი, სამუშაო ხალათებში გამოწყობილი მათემატიკოსები ბრწყინვალე გამოთვლებს აწარმოებდნენ და ამტკიცებდნენ, მოხუცებულობაში შესულ კაცს, მრევ ლის მიერ გაცემული შესაწევარი უკეთ უზრუნველყოფს, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე წვითა და დაგვით გადანარჩუნებული დანაზოგიო.

ამ ფილოსოფოსებს ყველაფერზე მეტად შაბათ საღამოობით — სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ჩეზბოროუში გასეირნება უყვარდათ. ეს ქალაქი, რომელიც ორი-სამი მილის მანძილზე მდებარეობდა, კარგა ხანია დაცემული და სახელდაკარგული იყო: ჩეზბოროუდან გამთენიის ხანს ბრუნდებოდნენ ისინი და მთელ კვირა დღეს ძილში აღამებდნენ, რათა დამოუკიდებელი ტრაქტირების ბატონ-პატრონი მონოპოლისტების მიერ, ლუდის სახელით შეტყუებული უცნაური ნარევით დარღვეული საჭმლის მონელების სისტემა აღედგინათ.

ტესი არასოდეს იღებდა მონაწილეობას ამ ყოველკვირეულ ღრეობებში, მაგრამ გათხოვილი ქალების დაჟინებული მოთხოვნით, რომლებიც მაინცდამაინც დიდად უფროსებიც არ იყვნენ ტესზე, რაკი, როგორც ყველგან, აქაც ადრიანად ქორწინდებოდნენ, დაყაბულდა წასვლას და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პირველი ნაბიჯი ბევ-

რად უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე გოგონა მოელოდა. სწორედ რომ ბედნიერება იყო საქათმეში მთელი კვირა გულისგამაწვრილებელი შრომის შემდეგ ამხანაგების გადამდები გართობა-მხიარულება. რაკი ტესმა ერთხელ ნავსი გატეხა, მეორედაც სიამოვნებით წავიდა, მერე კიდევ მოუნდათ გასეირნება და უკან არ დაიხია. კოხტა და მიმზიდველი, გაფურჩქვნილი ტესი, ჩეზბოროუს ქუჩებში მოსეირნეთა ეშმაკურ მზერას იპყრობდა. ჰოდა, თუ აქედან მარტო მიდიოდა ქალაქში, ცდილობდა იქიდან მარტო აღარ წამოსულიყო. აუცილებლად ამხანაგებს მოძებნიდა, რათა უხიფათოდ დაბრუნებულიყო შინ.

ასე გაგრძელდა მთელი ორი თვე. სექტემბრის დამდეგის მშვენიერი შაბათი ბაზრობის დღეს დაემთხვა. აკი ამიტომაც ტრენტრიჯელი მომლოცველები გაორკეცებული თავდავიწყებით მისცემოდნენ ღრეობას ტრაქტირებში.

სამუშაომ შეაყოვნა ტესი. მისი ამხანაგები უკვე კარგა ხნის ჩასულები იყვნენ ქალაქში, როდესაც იგი გზას გაუდგა. სექტემბრის საამო საღამო იდგა, ის დრო იყო, ოდეს დამავალი მზის ოქროსფერი სხივები შექმნიან ხოლმე მოლურჯო ჩრდილებსა და ჰაერი თავად ქმნის პერსპექტივას ისე, რომ არ საჭიროებს უფრო ხელშესახებ საგნებს, ვიდრე ერთმანეთში მორიალე ათასობით ფრთოსანი მწერია. აუჩქარებლად მიაბიჯებდა ტესი დაისის ნისლში.

ის იყო ბინდდებოდა, როცა ტესი ქალაქში შევიდა. ტესმა არცკი იცოდა იმ დღეს თუ ბაზრობა იყო. დღე იწურებოდა, გოგონამ ნაჩქარევად მიიარ-მოიარა ქალაქი, ზოგი რამ საჭირო წვრილმანი ნივთი შეიძინა და ჩვეულებისამებრ ვინმე ტრენტრიჯელი თანამგზავრის ძებნას შეუდგა.

პირველად ვერავინ მოახელა; ყველანი თავის ამკონავთან და ტორფით მოვაჭრესთან წასულიყვნენ. აქ, ამ განმარტოებულსა და მყუდრო ადგილას, იმისათვის მოეყარათ თავი, რომ, როგორც თავად ამბობდნენ „ცოტა ჯიგი წაეცეკვათ“. ეს კაცი სადღაც გადაკარგულში, ქალაქის ერთ მიყრუებულ ადგილას ცხოვრობდა. ვიდრე ტესი კითხვა-კითხვით ამ სახლს მიაგნებდა, ერთი ქუჩის კუთხეში დაყუდებულ ალეკ დ'ერბერვილს გადააწყდა.

— ჩემო ლამაზო, ასე გვიან აქ რა გინდა?! — გაიოცა ალეკმა. შინისაკენ მიმავალ მგზავრს ველოდებიო, — აუხსნა ტესმა.

— კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! — დაადევნა სიტყვა ალეკმა, როდესაც გოგონამ მიყრუებულ ქუჩაში გაუხვია.

ამკონავის სახლს მიუახლოვდა თუ არა, ვიოლინოს წრიპინი შე-

მოესმა — სახლის უკან ფარდულში ვიღაცა ჯიგის მელოდიას უკრავდა. მოცეკვავეთა ხმაური კი არსაიდან ისმოდა, ამ არემარეში, სადაც, ჩვეულებრივ, მუსიკას ნიადაგ მოცეკვავეთა ფეხების ბრაგაბრუგი ახშობს ხოლმე, ეს მეტად უჩვეულო იყო. შენობის წინა კარი ყურთამდე მოეფრიალებინათ, უკანა კარში, ტესმა საღამოს ბინდში ჩაფლული ბაღი დალანდა. კაკუნზე არავინ გამოხმაურებია, გაიარა სადგომი, ეზოს შენობისაკენ მიმავალ ბილიკზე გავიდა, — აქედან მოისმოდა ვიოლინოს წრიპინი.

ამ ნაგებობას, რომელიც ეტყობა, საკუჭნაოს მოვალეობას ასრულებდა, ფანჯარა არა ჰქონდა, ღია კარიდან ყვითელი შუქი გამოკრთოდა, მიუახლოვდა და მოპარპალე სანთლის შუქზე ამდგარი მტვრის კორიანტელი გაარჩია. ღია კარიდან სანთლების შუქი ღამის სიბნელეში სოლივით იჭრებოდა.

— საკუჭნაოში შეიხედა. გაცხარებულ ცეკვა-თამაშში გართული სილუეტები გაარჩია, ფეხის ხმა არ ისმოდა, — „მტვერში გახვეულიყვნენ“ და იმიტომ მთლად მტვრადქცეულ ტორფსა და ათასგვარ ნაგავში ამოგანგლულიყვნენ. ავარდნილი ბუღი ჯანღივით ჩაწოლილიყო საკუჭნაოში. გახურებულ სხეულთა ოხშივარში შერეული აშმორებული ტორფისა და ჩალის სუნი, რაღაც მცენარეულ-ადამიანური მტვრის ნაზავს ქმნიდა. ვიოლინოს საცოდავი წრიპინი სულ არ ეგუებოდა იმ თავდავიწყებას, როგორადაც აქ თავშეყრილი ადამიანები როკავდნენ. მოცეკვავენი ტრიალებდნენ და ახველებდნენ, ახველებდნენ და იცინოდნენ კაცი თვალს ვერ მიატანდა წამის უსწრაფესად მორიალე წყვილებს. ჩამოწოლილ ბურუსში კაცი იფიქრებდა, სატირები ჩახვევიან ნიმფებს, უთვალავი პანი ტრიალებს, როკავს ურიცხვ სირინგთან და ფუჭად დამაშვრალი ლოტოსი ამაოდ ცდილობს თავი დააღწიოს პრიაპსო.

ჟამიდან ჟამს თითო-ოროლა წყვილი გამოეთიშებოდა მოცეკვავეთა ტალღას და კარებთან ჩაიფერხებდა, რათა სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა, მაშინ სახიდან ნისლი გადაეყრებოდათ და ნახევარ ღმერთები თავიანთი პირვანდელი სახით ტესს ჩვეულებრივ მოკვდავებად, კარის მეზობლებად ესახებოდა. როგორ განიცადა ტრენტრიჯმა ასეთი შლეგური სახეცვლილება ორიოდე ჟამმოკლე საათში?!

კედლის გასწვრივ ჩარიგებულ მერხებსა და დატკეპნილი თივის ზვინზე რამდენიმე სილენა დაბრძანებულიყო. ერთ-ერთმა შეიცნო ტესი.

— გოგონები უკადრისობენ „შროშანაში“ ცეკვას, — მიმართა მან, — მაინცადამაინც დიდად როდი ეპიტნავებათ, რომ ქვეყანამ იცოდეს, ვინაა მათი ტურფა. ესეც არ იყოს, ტრაქტირს სწორედ იმ დროს

კეტავენ, როცა მოლხენილნი ცეკვის ეშხში შედიან. ჰოდა ამიტომაც ვიყრით თავს აქ. სასმელსაც აქვე მოვატანინებთ ხოლმე.

— როდისღა ფიქრობთ შინ წასვლას? — გაიოცა შეშფოთებულმა ტესმა.

— სადაცაა დავიშლებით. ეს უკანასკნელი ჯიგია.

ტესი დაჯდა და დაუწყო ლოდინი. აქა-იქ კანტიკუნტად გაისმა — დროა გზას გავუდგეთო. ძალზე ცოტა თუ აღმოჩნდა ამ სურვილის მომხრე. კვლავ ჩააბეს ჩარფუზანა. „ეს კი, ალბათ მართლა უკანასკნელი იქნება“ — გაივლო გულში ტესმა. მაგრამ ამ ცეკვას მეორე მოჰყვა. ტესი შეშფოთდა და აწრიალდა, მაგრამ რა ჩარა იყო, რაკი ამდენ ხანს ელოდა, ცოტაც უნდა მოეცადა, ბაზრობის მერე გზაზე ათასი მთვრალი მიეხეტებოდა, ღმერთმა უწყის იმათი თავი და კისერი, რა იცის კაცმა რა უტრიალებთ თავში. ნამდვილზე უმეტეს ტესს უხილავი საშიშროება აკრთობდა. მარლოტთან ახლოს ყოფილიყო, ასე არ შეეშინდებოდა შინ წასვლის.

— აბა რა განაღვლებს, სულიკო? — შეაგონებდა ხველა ატეხილი, ოფლით დაცვარული ყმაწვილი, რომელსაც კეფაზე გადავარდნილი ჩალის ქუდის ფარფლები წმიდანის შარავანდედით შემოვლებოდა თავზე.

— სად მიგეჩქარებათ? ხვალ კვირაა. წირვაზეც კარგად გამოიძინებს კაცი ეკლესიაში. მოდით, ვიცეკვოთ.

ტესს ცეკვა არ უყვარსო ვერ იტყოდა კაცი, მაგრამ აქ მაინც არ უნდოდა ეცეკვა. არადა სულ უფრო გახურდა თამაში. მტვრის ღრუბლით დაფარული მევიოლინეები თავგამეტებით აწრიპინებდნენ გადაბრუნებული ჯორათი, ან ხემის უკანა მხრით თავიანთ საკრავებს.

— მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ; სულს ძლივს ითქვამდნენ და მაინც ტრიალებდნენ.

წყვილები განუყრელად ცეკვავდნენ ერთად, თუკი ეს თავად სურდათ.

კავალრის, ან დამის შეცვლა იმას ნიშნავდა, რომ თავდაპირველი არჩევანი მარცხიანი გამოდგა. მაგრამ ახლა ყველა წყვილი უკვე გემოვნებით იყო შერჩეული. ჰოდა, დაიწყო ექსტაზი, ზმანება, რომელშიაც სამყაროს არსი მარტოოდენ გრძნობაა, ხოლო სინამდვილე მხოლოდ შემთხვევითი დაბრკოლებაა, რომელიც ხანიდან ხანს აკავებს იმ ქარაშოტს, რომელშიც გსურს თავდავიწყებით იტრიალო უსასრულოდ.

უეცრად რაღაცამ ბრაგვანი გაადინა; წყვილმა ფეხი წამოჰკრა და იატაკზე გაიშხლართა, წაქცეულებს მეორე წყვილი გადააწყდა და

ზემოდან გადაემხო. მტვრის ბუღი ავარდა. კორიანტელში ერთმანეთში გადახლართული მოფართხალე ხელ-ფეხიღა მოჩანდა მხოლოდ.

— შინ გაგისწორდები, შინ, ვაჟბატონო! — გაისმა ამ ორმომტრიალში იმ უგერგილო წყვილის ცალის, ბედუკუღმართი ქალბატონის ბუზღუნი, ვისი გამოისობითაც დატრიალდა უბედურება, ეს ქალი არა თუ დამა იყო ამ კავალრისა, მისი ახალგაზრდა მეუღლეც გახლდათ, — ტრენტრიჯში ახლად დაქორწინებულნი, ჩვეულებრივ, ერთად ცეკვავენ, ვიდრე არ განელდება მათი სიყვარული, და შემდგომაც, ოჯახებიანი მუდამ გაურბიან გასათხოვრებთან და საცოლეებთან ცეკვას. ღმერთმა უწყის, ვის ვისზე უჭირავს. თვალი.

ტესის ზურგს უკან წყვდიადში გაყურსულ ბაღში, ხმამაღლა სიცილი გაისმა და საკუჭნაოში ატეხილ ხითხითს შეუერთდა. ტესმა მოიხედა. სიგარის წითელმა შუქმა გაიელვა, სიბნელეში ალეკ დ'ერბერვილი იდგა, ტესს ანიშნებდა, გამოდიო, ტესი უხალისოდ გაემართა მისკენ.

— აქ რას აკეთებთ ასე გვიან, ლამაზო?

— გული გამიწვრილდა, სერ, რამდენი ხანია ველოდები, ვფიქრობდი, აი ახლა წამოვა ვინმე შინ, აი ახლა-მეთქი. ბნელა და არც გზა ვიცი ხეირიანად, მაგრამ ეტყობა, ესენი არც აპირებენ აქედან წასვლას, მე კი, მართალი გითხრათ, მეტი ცდის თავი აღარა მაქვს, — გაუზიარა თავისი წუხილი შორი გზითა და ფეხით სიარულით მოქანცულმა ტესმა.

— ჰოდა, ნუღარც დაიცდით. დღეს ცხენით ჩამოვედი, მაგრამ თუ „შროშანამდე“ წამომყვებით ფეხით, იქ ორთვალას დავიქირავებ და სახლამდე მიგიყვანთ.

ტესი დიდად აამა ალეკის თავაზიანობამ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა აქამდე ალეკისადმი თავისი უნდობლობა და ისევ მუშა ხალხთან ერთად არჩია შინ დაბრუნება. თუმცაღა რაც მართალია, მართალია, ძალიან აყოვნებდნენ. ჰოდა, დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ არა მსურს გაგსარჯოთო, მიუგო.

— ქალები შევიპირე, დაგიცდით-მეთქი და იციან რომ იმათი იმედით ვარ.

— კარგით, მის უკარებავ, როგორც გენებოთ...

ალეკმა მოუკიდა სიგარას და ტესს გასცილდა. როგორც იყო მოგინდათ მოცეკვავეებს, გვიანიაო, და გასამგზავრებლად დაიწყეს შეხაზირება: დაავლეს ხელი თავიანთ ფუთებს, კალათებს, ნახევარ საათში, როცა საათმა თორმეტის თხუთმეტი წუთი ჩამოჰკრა, ყველანი სოფლის გზაზე მოღანღალებდნენ, გზა აღმართში ადიოდა და

წყვდიადში ჩაფლული სოფლისაკენ მიემართებოდა.

სამი მილი ჰქონდათ გასავლელი მთვარით გაქათქათებულ, ისედაც თეთრ, მტვრიან გზაზე.

ტესი ჯოგად მიმავალი ხალხის შუაგულში მიაბიჯებდა. ხან ერთს მიეკედლებოდა, ხან მეორეს. მამაკაცებს, ცოტა არ იყოს, ზედმეტი გადაეყლურწათ და ახლა ღამის სუფთა ჰაერზე გამოსულები ქანავ-ქანავით მიბანცალებდნენ. ვერც ზოგიერთი ჭკუათხელი ქალი იდგა მაგრად ფეხზე — აგერ, შავგვრემანი, ყაჩაღანა კარ დარჩი, ეგრეთ წოდებული „პიკის ქალი“, დ'ერბერვილის ტურფა, მისი და ნენსი, ზედმეტ სახელად „წკენტის ქალი“ და ის, ცეკვის დროს შერცხვენილი პატარძალი მოქანაობდნენ გზაზე. ფხიზელ კაცს მათთვის რომ შეეხედა, მეტად მიწიერი მოეჩვენებოდა ისინი მაგრამ აბა, ერთი თავად მათთვის გეკითხათ, კი არ მოვდივართ მივფრინავთო, ასე ეგონათ. ღრმა ფიქრებში ჩაძირულნი გარე სამყაროს ერთ მთლიან, ჰარმონიულ, ნეტარ მრთელად შერწყმოდნენ ისევე დიდებულნი იყვნენ, ვითარცა მთვარე და ვარსკვლავები, ხოლო მთვარე და ვარსკვლავები ისევე მგზნებარენი იყვნენ, ვითარცა ისინი.

ტესს, რომელსაც ცოტა სიმწარე როდი ენახა მსგავსი ამბების გამო. მამისეულ სახლში, ამ სურათის ხილვამ გუნება მოუშხამა და მთვარის შუქით განათებულ გზაზე სეირნობის მიზეზის გამო, მაინც განაგრძობდა სიარულს.

ერთ ხანს დაფანტულები მიდიოდნენ გზაზე, ახლა კი მესერშემოვლებულ მინდორზე ბილიკისაკენ უნდა გადაეხვიათ. წინ მიმავალი ქალები ჭიშკართან შეყოვნდნენ, ამასობაში დანარჩენებიც წამოეწიენ და შეჯგუფდნენ.

ჯგუფის მეთაური „პიკის ქალი“ — კარი გახლდათ, მკლავზე მთელი კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგით ავსებული მოწნული კალათა ეკიდა. კალათა გვარიანად მოზრდილი და კარგა მძიმე იყო. წაღება რომ გაადვილებოდა, კარმა კალათა თავზე შეიდგა, დოინჯი შემოიყარა და წონასწორობით იჭერდა გადმოვარდნისაგან.

— კარ დარჩ, ნახე, რა მიგაღოღავს ზურგზე? — უთხრა უეცრად ვიღაცამ.

— ყველამ კარს შეხედა, ნაკეცებთან ღია ფერის ჩითის კაბაზე დაკლაკნილი, თითქოს შავი თოკის ნაგლეჯი კეფიდან წელს ქვემოთ გასდევდა მთელ სიგრძეზე ჩინელის ნაწნავივით.

— თმა ჩამოშლია, — თქვა ვიღაცამ.

არა ეს თმა არ იყო. კალათიდან გამოჟონილი შავი ნაკადი მთვარის ცივ უმოძრაო შუქზე სრიალა გველს მიაგავდა.

— ბადაგია, — გამოიცნო ერთმა მახვილი თვალის პატრონმა მატრონამ.

მართლაც ბადაგი იყო. საბრალო მოხუც ბებია კარს უყვარდა ეს ტკბილი, პირისჩასატკბარუნებელი სასმელი. საკუთარი ფუტკრის თაფლი რამდენიც გნებავთ, იმდენი ჰქონდა, მაგრამ ბებია კარს მაინცდამაინც ბადაგის სურვილი კლავდა. ჰოდა, შვილიშვილს უნდოდა მოულოდნელად გაეხარებინა ბებია. მაშინვე ჩამოიღო თავიდან კალათი შავგვრემანმა გოგომ, ბადაგიანი ქილა გატეხილიყო!

კარის ზურგის დანახვაზე ერთი სიცილ-ხორხოცი აუტყდა ყველას. ნაწყენი შავგვრემანი ქალი შეეცადა როგორმე ისე მოეშორებინა ეს ზედმეტი სამკაული, რომ მქირდავი ხალხის დახმარება არ დასჭირებოდა; ერთბაშად მოლზე გაწვა, დაებჯინა იდაყვებს და ბალახს ზურგით გაეხახუნა, რომ ბადაგი მოეცილებინა.

— ამაზე სულ გადაირივნენ, იცინოდნენ, იცინოდნენ, კვდებოდნენ სიცილით, ვიდრე ჭვალი არ დაადგათ. სიცილისაგან თავს ვეღარ იმაგრებდნენ; ხან ჭიშკარს მოეჭიდებოდნენ, ხან ბოძს, ხანაც ჯოხს. ჩვენმა გმირმა, რომელიც აქამდე წყნარად თავისთვის იყო, ამ გიჟური სურათის დანახვაზე თავი ვეღარ შეიკავა და აჰყვა სხვებს.

ერჩია ხმა არ ამოეღო. საბედისწერო აღმოჩნდა მისი ერთი გაცინება. ყური მოჰკრა თუ არა მუშა ხალხის ამ ველურ ხარხარში ტესის წკრიალა, თავშეკავებულ სიცილს, ერთბაშად იფეთქა პიკის ქალში ჩაბუდებულმა დიდი ხნის სიძულვილმა მეტოქისადმი, რომელსაც სიშმაგემდე მიჰყავდა იგი. ზე წამოიჭრა და ცხვირწინ აეყუდა თავის საძულველს.

— როგორ ბედავ დაცინვას, შე გომბიო, შენა! — უღრიალა.

— მართალი გითხრათ, ისე იცინოდნენ ყველანი, თავი ვეღარ შევიკავე.

— მოუბოდიშა ტესმა.

— რაკი ახლა იმ კაცის პირველი საყვარელი ხარ, ასე გგონია, ყველაზე უკეთესი ბრძანდები, არა? დამაცადე, ქალბატონო, დამაცადე! შენისთანას ბარე ორს ვაჯობებ! მიყურე ერთი, მე გიჩვენებ სეირს!

მოტრიალდა კარი, არც აცია, არც აცხელა და კორსეტის შეხსნა დაიწყო. შეძრწუნდა ტესი.

— კარს ერთი სული ჰქონდა, რომ მოეცილებინა ეს ჯოჯო.

— მთვარის შუქით გაბრწყინებულ ამ სოფლელ ლამაზმანს ისეთი უზადო და მშვენიერი მკერდი, მხრები და მკლავები ჰქონდა, გეგონებოდათ ბროლისაგან ჩამოუსხამთო. ქალმა მუშტები მოიმარჯვა და ტესისკენ წაიწია.

— მე არ ვიჩხუბებ! — მედიდურად თქვა ტესმა, — რომ მცოდნოდა ასეთი ბრძანდებოდი, ახლოსაც არ გაგეკარებოდი შენისთანა ქუჩის ქალს.

ამის თქმა იყო და ამ შავ დღეზე დაბადებული ლამაზმანის, ტესის თავზე სეტყვასავით წამოვიდა მრავალთა პირიდან წამოსული ლანძღვა-გინება, უფრო კი „წკნეტის ქალი“ ცხარობდა, ეტყობოდა, ალეკ დ'ერბერვილთან იმავე ურთიერთობაში მყოფ ქალს, რასაც პიკის ქალს მიაწერდნენ, გადაეწყვიტა ამ უკანასკნელთან ერთად გაეჩაღებინა ხელჩართული ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. მათ სხვა ქალებმაც აუბეს მხარი და ჭკუათხელებმა ასე ქარაფშუტულად გამოამჟღავნეს საკუთარი წყენა ტესისადმი, თუმცა ასე მხიარულად გატარებული საღამო რომ არა, ალბათ თითოეულ მათგანს ეყოფოდა გონი დაეფარა და დაემალა ყოველივე. დაუმსახურებლად ისჯება ტესიო — იფიქრეს და ქმრები და საყვარლები შეეცადნენ მშვიდობა ჩამოეგდოთ, დაეფარათ ტესი ავისმზრახველისაგან, მაგრამ რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი გადაასხესო, ისე მოხდა სწორედ.

შეურაცხყოფილი და შერცხვენილი იყო ტესი. ახლა უკვე აღარც იმისი ეშინოდა, რომ გვიანი იყო, არც შინ მარტო წასვლისა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა აქაურობასა და ამ ბრბოს. თუმცა მშვენივრად უწყოდა, რომ ბევრ მათგანს, რომლებიც უფრო უკეთესები იყვნენ მათში, თითზე იკბენდა და სანანებლად გაუხდებოდა დღევანდელი საქციელი. ამასობაში გაიმინდვრეს კიდეც. ტესმა ფეხი აითრია, უნდოდა ნელ-ნელა ჩამორჩენოდა სხვებს და გაქცეულიყო, რომ უეცრად გზის მოსახვევში ღობის სწორდასწორ უხმოდ მომავალი მხედარი გამოჩნდა.

— ალეკ დ'ერბერვილი ბრბოს გადაეღობა წინ.

— რა ეშმაკი გაღრიალებთ, მუშა ხალხო! — შესძახა.

— კარგა ხანს კრინტი არავის დაუძრავს, არც არად სჭირდებოდა ალეკს მათი ახსნა-განმარტება. ჯერ კიდევ კარგა შორს იყო, აყალმაყალს რომ მოჰკრა ყური. ფრთხილად გამოემართა მათკენ და იმდენი კი გაიგო, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა..

ტესი ჭიშკრის შორიახლო იდგა განზე. ალეკი მისკენ დაიხარა.

— შემომიჯექი უნაგირზე, — გადაუჩურჩულა მან, — და გავქუსლოთ ამ მჩხავანა კატებისაგან.

თავს დამტყდარი უსიამოვნებით გაოგნებულ ტესს ცოტაც და, ალბათ, გული შეუღონდებოდა. ასე არ ყოფილიყო, ალბათ ახლაც უარს ეტყოდა ალეკს შემოთავაზებულ დახმარებაზე, როგორც არა ერთხელ და ორჯერ უთქვამს. თვით მარტოობის გრძნობაც კი ვერ აიძულებდა სხვაგვარად მოქცეულიყო, მაგრამ ამჯერად ხელი იმ

დროს გამოუწოდეს, როცა მტრით ჩანერგილი შიში და აღშფოთება წამიერ მათზე გამარჯვების ყიჟინად შეიძლებოდა ქცეულიყო, ჰოდა, ტესი მინებდა შეუცნობელ გრძნობას, აძვრა ჭიშკარზე, დაადგა ფეხი ალეკის ჩექმის წვერსა და წამში ალეკის უნაგირზე მოკალათდა. წყვილმა უკვე კარგა შორს გაქუსლა სიბნელეში, ვიდრე გამომთვრალი ჩხუბისთავები მიხვდებოდნენ, როგორ გამოეცალათ კლანჭებიდან მსხვერპლი.

— „წკნეტის ქალსა“ და ახლახან ჯვარდაწერილი, შეზარხოშებული პატარძლის გვერდით მდგარ „პიკის ქალს“ სულ გადავიწყებოდა დალაქავებული კორსეტი, სამივენი დაჟინებით იცქირებოდნენ იქითკენ, საიდანაც სულ უფრო და უფრო ყრუდ მოისმოდა ცხენის ფლოქვების თქარათქური.

— საით იყურებით? — ჰკითხა ერთმა კაცმა, რომელიც ბაიბურშიც არ იყო, რა ხდებოდა იქ.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა შავგვრემანმა კარმა.

— ხი, ხი, ხი! — ახითხითდა საყვარელი ქმრის მკლავზე დაყრდნობილი შეჭიკჭიკებული პატარძალი.

— ხა, ხა, ხა, — ბანი მისცა კარის დედამ, ხელი გადაისვა ულვაშებზე და მოკლედ მოჭრა, — აი, ამას ჰქვია, ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო.

ესა თქვეს და ბუნების პირმშონი, რომელთაც ალკოჰოლის დიდი რაოდენობაც კი ვერაფერს აკლებდა, თავიანთ გზაზე წაღანღალდნენ. ბილიკი ველს ჭრიდა. ცოცხალ სხეულებთან ერთად წინ მიიწევდნენ ცვარზე მორიალე მთვარის შუქით შარავანდედმოსილი მათი ჩრდილები. თითოეულს საკუთარი ორეული ესახებოდა თვალწინ და არა სცილდებოდა, რა უხამსადაც არ ირწეოდა ერთი მხრიდან მეორეზე, განუყრელად იყო დაკავშირებული და თითქოს გარდასახავდა მას. უაზრო მოძრაობა, გეგონებოდათ, კიდევ უფრო აძლიერებდა მთვარის ნათებას, ადამიანთა ნასუნთქი, ალკოჰოლით გაჟღენთილი ოხშივარი განზავებული შემოგარენის, მთვარისა და ბუნების სულთან ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნიდა.

XI

მდუმარეთ მიჰქროდა ერთხანს დაოთხილი ცხენით წყვილი. ტესი მაგრად ებღაუჭებოდა თავის თანამგზავრსა და კვლავ გამარჯვების სიხარულს განიცდიდა, თუმცა მთლად უსაფრთხო როდი იყო მისი ზეიმი. ტესს არ გამოჰპარვია, რომ ისინი იმ ფიცხ ულაყზე არ ის-

ხდნენ ახლა, ალეკი რომ დააჯირითებდა ხშირად, ამიტომაც გულმაგრად იყო. ერთი გახლდათ მხოლოდ, — ძალზე მოუხერხებლად იჯდა უნაგირზე. ტესი შეევედრა ალეკს, ჩორთზე გადაეყვანა ცხენი და ალეკმაც შეუსრულა ქალს წადილი.

— რა კოხტად გამოვიდა ყველაფერი, არა, საყვარელო ტეს? — თქვა ალეკმა.

— ჰო, — მიუგო ტესმა, — ალბათ დიდად უნდა გიმადლოდეთ, არა? — მერე, მიმადლით? ტესი დუმდა.

— ტეს, რად არ გსიამოვნებთ ხოლმე, როდესაც გკოცნით? — მე მგონი იმიტომ, რომ... არ მიყვარხართ.

— დარწმუნებული ხართ მაგაში? — ზოგჯერ ვჯავრობ კიდეც.

— ო, აკი მეშინოდა ამისი, — შენიშნა ალეკმა და მაინც საწყენად არ დარჩენია ასეთი გულახდილობა: — რაც გნებავთ ის ყოფილიყო, ოღონდ გულგრილობა არა, — რატომ მაშინ არაფერი მითხარით, როცა გაგაჯავრეთ?

— მშვენივრად იცით რატომაც... იმიტომ, რომ თავს თავისუფლად ვერა ვგრძნობ.

— მე ხომ ბევრჯერ არ შემიწუხებიხარ ჩემი ყურადღებით.

— ზოგჯერ კი.

— რამდენჯერ? — თქვენ ჩემზე უკეთ იცით, ძალიან ხშირად.

— ყოველთვის, რამდენჯერაც ყურადღება გამომიჩენია თქვენდამი?

ტესი დადუმდა. დიდხანს მიდიოდა ცხენი ჩორთით, ვიდრე ღარტაფებიდან დაძრულ მქრქალ ნისლში არ გაეხვივნენ ორივენი. მთვარის შუქი ამ ბურუსში თითქოს უფრო ნათელი ჩანდა, ვიდრე მოკრიალებულ ჰაერში. ამ მიზეზითა თუ დაბნეულობის გამო, ან იქნებ იმიტომაც, რომ თვალები ებლიტებოდა, ტესმა ვერ შენიშნა, როგორ ჩაუარეს იმ ადგილს, საიდანაც ტრენტრიჯისაკენ მიმავალი ფართო შარაგზა სოფლის შუკისაკენ უხვევდა, მისმა თანამგზავრმაც, ვითომ აქ არაფერიაო, ისე აუქცია გვერდი იქაურობას.

ტესი უღმერთოდ მოიქანცა. მთელი კვირის მანძილზე, ყოველ დილით ალიონზე ხუთ საათზე დგებოდა და საღამომდე მუხლს არ ჩახრიდა. დღეს კიდევ ჩეზბოროუმდე სამი მილი ფეხით გაიარა, უცადა სამი საათი ამხანაგებს, იყო მოუთმენელ ლოდინში, — აი, ახლა წავალთ შინ, აი, ახლაო, არც არაფერი უსვამს, არც არაფერი უჭამია. აქეთ მომავალმა კიდევ ერთი მილი იარა ფეხით, მერე იყო და ატეხილმა აყალმაყალმა სულ მთლად მოუღო ბოლო. ახლა შუაღამის პირველი საათი იყო. ცხენიც ნება-ნება მიჩაქჩაქებდა, რულმოკიდებულმა ჩათვლიმა და წამით მიეყრდნო ალეკს.

დ'ერბერვილმა ცხენი შეაყენა. უზანგებიდან ფეხები გამოიღო, შემობრუნდა და რომ არ გადავარდნილიყო, წელზე მოავლო ტესს ხელი.

ტესი მყისვე თავდაცვაზე გადავიდა და მისთვის ჩვეული ქვეშეუცნობი გრძნობით შეპყრობილმა ხელი ჰკრა ალეკს. ალეკმა ძლივს შეიმაგრა თავი და მხოლოდღა იმიტომ არ მოადინა ძირს ზღართანი, რომ ცხენი, რომელზედაც ისხდნენ, ღონიერი კი იყო, მაგრამ ძალზე მშვიდიც გახლდათ.

— ეს უღმერთო უსამართლობაა! — შესძახა ალეკმა.

— არაფერი ცუდი არ განმიზრახავს, თქვენი დაჭერა მინდოდა მხოლოდ, რომ არ გადავარდნილიყავით.

ტესი უნდობლად შეყოყმანდა, ბოლოს გაიფიქრა, ეს მგონი, სიმართლე უნდა იყოსო, მოლბა და წყნარად უთხრა:

— მაპატიეთ, სერ.

— არ გაპატიებთ, ვიდრე არ მეცოდინება, რომ ოდნავ მაინც მენდობით. ღმერთო დიდებულო! — აფეთქდა იგი, — რაღა ვარ მე, თქვენისთანა ღლაპიც რომ ხელს მკრავს, აგერ უკვე სამი თვეა, აბუჩად იგდებთ ჩემს გრძნობას, გამირბიხართ, მლანძღავთ და მაგინებთ. არა, მე ამას ვეღარ ავიტან!

— ხვალ წავალ თქვენგან, სერ.

— არა, ვერ წახვალთ. კიდევ ერთხელ გეკითხებით დამიმტკიცებთ თუ არა, რომ მენდობით, და მომცემთ თუ არა ნებას, წელზე მოგხვიოთ ხელი! მომისმინეთ, ახლა მარტონი ვართ, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და თქვენ მშვენივრად იცით, რომ მიყვარხართ, ყველაზე კარგ გოგონად მიმაჩნიხართ ამქვეყნად. დიახ, ასეა. მიპასუხეთ, შემიძლია თუ არა მოგეპყრათ, როგორც შეყვარებულს?

გამწყრალმა ტესმა უკმაყოფილოდ ამოიფრუტუნა, უხერხულად აწრიალდა უნაგირზე, შორეთს გახედა და წაიჩურჩულა:

— არ ვიცი... მე მერჩია... როგორა ვთქვა ჰო-მეთქი, ან არა, როცა...

ალეკმა გადაწყვიტა ამოცანა; მოხვია ხელი ქალს, როგორც სურდა და ტესსაც აღარ გაუწევია წინააღმდეგობა. ასე მიდიოდნენ ისინი ნელა ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ვიდრე მოულოდნელად ტესმა არ იგრძნო, რომ სადღაც შორს, დაუსრულებლად მიდიოდნენ, უფრო შორს, ვიდრე ჩეზბოროუმდეა სავალი ფეხითაც კი. ესეც არ იყოს, ფართო გზას როდი მიჰყვებოდნენ, ვიწრო ბილიკით მიდიოდნენ.

— სადა ვართ? — იკითხა ერთბაშად ქალმა.

— ტყეში შევედით.

— ტყეში? რომელ ტყეში, ტყე როდისაა ჩვენს გზაზე.

— ინგლისის უძველეს ტყეში — ნაკრძალში ვართ. ნახე, რა ტურფა ღამეა და რატომ არ უნდა გავიხანგრძლივოთ სეირნობის სიამოვნება.

— როგორ მოახერხეთ ასეთი სიმუხთლე, — უთხრა ტესმა ეშმაკურად, თან შიშითაც, სათითაოდ გაუხსნა ვაჟს შეკრული თითები და შეეცადა თავი გაეთავისუფლებინა. თუმცა საშიშროება ემუქრებოდა, რომ არ. ჩამოცურებულიყო ცხენიდან.

— აი, ხომ გენდეთ და არც წინააღმდეგობა გამიწევია, რომ მესიამოვნებინა თქვენთვის, ვფიქრობდი, უზრდელად ვკარი ხელი და ვაწყენინე-მეთქი. ჰოდა, ახლა ჩამიშვით ცხენიდან, ფეხით წავალ შინ.

— ძვირფასო, შინ ფეხით მაინც ვერ წახვიდოდი, გინდაც ღამე ნათელი ყოფილიყო. უნდა მოგახსენოთ, რომ ტრენტრიჯიდან კარგა შორსა ვართ, ნისლი თანდათან უფრო სქლად მოიწევს და ვინ იცის, რამდენ ხანს მოგიწევთ ტყეში ხეტიალი.

— არაფერია, გევედრებით, ჩამსვით ძირს, — სულერთია, სადაც არ უნდა ვიყოთ, ოღონდ გამიშვით, ჩამოვიდე ცხენიდან, — ემუდარებოდა — კარგით, თანახმა ვარ, — მხოლოდ ერთი პირობით, — მე მოგიყვანეთ ამ მიყრუებულ ადგილას და, სულერთია, რასაც არ უნდა ფიქრობდეთ, ჩემი ვალია შინ მშვიდობით მიგიყვანოთ. თქვენი დაბრუნება ტრენტრიჯში მარტო შეუძლებელია, რადგან, უნდა გამოგიტყდეთ, მე თავადაც კარგად არ ვიცი, სადა ვართ. ისეა ყველაფერი ნისლში ჩაფლული, კაცი ვერ გაიგნებს გზას. სიამოვნებით შეგისრულებთ თხოვნას თუ დამპირდებით, რომ დამელოდებით აქვე, ცხენთან. მე კი წავალ, მივივლ-მოვივლი, დავხედავ, იქნებ სადმე გზას ან სახლს წავაწყდე და დაბეჯითებით გავიგო სადა ვართ. როდესაც დავბრუნდები და გზას გიჩვენებთ, შეგიძლიათ როგორც გენებებათ, ისე მოიქცეთ, მოისურვებ ფეხით წასვლას? — წაბრძანდით, მოისურვებ ცხენით წასვლას — ცხენით წავიდეთ.

ტესმა მიიღო ალეკის მიერ წაყენებული პირობები და ჩამოცურდა ცხენიდან, თუმცა ალეკმა მაინც მოასწრო ერთი კოცნა აეწაპნა და ისე გადამხტარიყო მეორე მხრიდან.

— ცხენი უნდა დავიკავო, არა? — იკითხა ტესმა.

— არა, არა, არაა აუცილებელი! — მიუგო ალეკმა და ხელი გადაუსვა აქოშინებულ პირუტყვს, დღეს საღამოს გვარიანად იჯაფა ჩემმა მერანმა, რომ თვალი გასაქცევად დაიჭიროს.

ალეკმა თავი მოუბრუნა ცხენს ბუჩქებისაკენ და როკზე მიაბა, მე-

რე ეტლის დასაჯდომივით თუ ბუდესავით რაღაც მოუწყო ღრმა ნეშოს გროვაში ქალს.

— აი, აქ დაჯექით, ფოთლები ჯერ დანოტივებული არ არის, ხანდახან მიხედეთ ხოლმე ცხენს და მეტიც არ უნდა, — უთხრა და წავიდა. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და შემდეგ ისევ უკან მობრუნდა.

— ჰო, მართლა ტეს, მამაშენს ახალი ულაყი ჰყავს, ვიღაცამ მისცა.

— ვიღაცამ? თქვენ! დ'ერბერვილმა თავი დაუქნია.

— ო, რა სიკეთე გაგიკეთებიათ! — წამოიძახა მან და გული ტკივილით შეეკუმშა, რა ჯანდაბად მაინცდამაინც ახლა შეექმნა მის სამადლობელოდ საქმე.

— ბავშვებს კიდევ სათამაშოები აქვთ.

— არ ვიცოდი, თუ იმათ რამეს უგზავნიდით — წაიჩურჩულა გულაჩვილებულმა ტესმა, — და ლამის მწყინს ეგ ამბავი, ჰო, ლამის მწყინს.

— რატომ ძვირფასო? — მე ისე მბორკავს.

— ტეს, ნუთუ ოდნავ, სულ ცოტათი მაინც არ გიყვარვართ?

— მე დიდად მადლობელი ვარ თქვენი, — უწადინოდ გამოუტყდა ქალი, მაგრამ არ...

ამის უეცარმა შეგრძნებამ, რომ ალეკს წადილი ამოძრავებდა, ტესი დააღონა. კურცხალი ნელა ჩამოუგორდა ლოყაზე, ერთს მეორე მოჰყვა, და ტესი ატირდა.

— კარგი ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო. ნუ ტირი, დაჯექი აქ და დამელოდე, ვიდრე მოვალ.

ტესი უდრტვინველად ჩაჯდა ფოთლების გროვაში და შეაჟრჟოლა.

— შეგცივდათ? — არა, არა... ცოტათი... ალეკი თითებით შეეხო ქალს და თითქოს ქაფში ჩაეფლოო.

— მხოლოდ ეს თხელი მუსლინის კაბა გაცვიათ? როგორ შეიძლება!

— ეს ჩემი ყველაზე საუკეთესო საზაფხულო კაბაა. როდესაც სახლიდან წამოველ ძალიან თბილოდა. რა ვიცოდი, თუ ასე ღამით მომიწევდა მგზავრობა.

— სექტემბერში გრილი საღამოები იცის. მომითმინეთ ერთი, — ალეკმა გაიხადა მსუბუქი პალტო და მზრუნველობით მოასხა მხრებზე. აი ასე, ახლა აღარ შეგცივდებათ, — დასძინა, — აქ დაისვენეთ, ჩემო ლამაზო, სულ მალე მოვბრუნდები.

ალეკმა მხრებზე პალტო მოუწია, შეუკრა და თავად ნისლში ჩა-

ინთქა. ნისლი პირბადესავით ეფინებოდა ხეებს. ტესს ესმოდა, როგორ შმაშურობდა ტოტები, როდესაც ალეკო ბექობზე ადიოდა. მერე ხმაური ისე მიყრუვდა, თითქოს ჩიტები ფაჩუნობენო, ბოლოს კი სულ ჩაკვდა, მთვარე ნელ-ნელა ჩაცურდა, მკრთალი ნათელი უფრო გაფერმკრთალდა და ფოთოლთა ნოხზე მოკალათებული, ფიქრებში ჩაძირული ტესი ვერ არჩევდა, სად დატოვა ალეკმა.

ალეკ დ'ერბერვილი ბექობზე ადიოდა. თავადაც არ უწყოდა, ნაკრძალის რომელ მხარეში იყვნენ. სიმართლე ითქვას, საათზე მეტია განუსჯელად იარეს. სეირნობა რომ გაეხანგრძლივებინა, ალეკი ხან საით გაუხვევდა ალალბედზე, ხანაც საით, და თვალი მთვარის შუქით გაბრწყინებულ ტესზე უფრო ეჭირა, ვიდრე გზის პირზე. ალეკი არ ჩქარობდა; ქანცგაწყვეტილ პირუტყვს მოსვენება სჭირდებოდა. ბექობიდან მომიჯნავე ველზე დაეშვა და შარაგზას მოჰკრა თვალი, იცნო შემოგარენი და ადგილსამყოფელიც გაარკვია. დ'ერბერვილი უკან შემობრუნდა, ამასობაში მთვარეც ჩავიდა და ისედაც სქელ ნისლში გახვეული ნაკრძალი წყვდიადში ჩაინთქა, თუმცა ალიონიც აღარ იყო შორს. წინ ხელგაწვდილი მიდიოდა, ტოტებს აქეთ-იქით სწევდა და გზას იკაფავდა წინ. ბევრი იბორიალა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ვერარა მანქანებით იმ ადგილს ვეღარ მიაგნებდა, საიდანაც წამოვიდა. ბევრი იხეტიალა, ხან იქით მიდგა, ხან აქეთ მოდგა, ხან ბექობზე ავიდა, ხან ძირს დაეშვა, ბოლოს რაღაც ფაჩუნი მისწვდა ყურს — ცხენი ორიოდე ნაბიჯზე იყო მისგან, უეცრად პალტოს სახელოს დააბიჯა ფეხი.

— ტეს! — შესძახა დ'ერბერვილმა.

პასუხი არავის გაუცია. ისეთი უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ერთადერთი თეთრი მუსლინის მქრქალი ღრუბელი ანათებდა ხმელი ფოთლების გროვაზე, მის ფერხთით სხვა დანარჩენი წყვდიადში იყო ჩაფლული; დ'ერბერვილი დაიხარა, — წყნარი, უშფოთველი სუნთქვა მოესმა. მუხლებზე ჩაიჩოქა და თავი დასწია, სახეზე თბილი სუნთქვა მოელამუნა. წამიც და მისი ლოყა ქალის ღაწვებს შეეხო. გოგონას ღრმად ეძინა. წამწამებზე ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ცრემლი.

მდუმარება და წყვდიადი გამეფებულიყო ირგვლივ ყოველზე. მათ თავზე აღმართულიყვნენ ნაკრძალის ასწლოვანი ურთხელები და მუხები, ფოთლებში შეყუჟული ჩიტები განთიადის წინა ღრმა ძილს მისცემოდნენ. გარშემო კურდღლები და ბაჭიები დახტოდნენ.

— იქნებ იკითხოთ, სადღა იყოო ამ დროს ტესის მფარველი ანგელოზი? სადღა იყოო განგება, ტესს რომ ასე ალალად სწამდა? თუ სხვა ღმერთებივით, ირონისტი ტიშბაიტისა არ იყოს, მუსაიფში იყო

გართული, ვიღაცას მისდევდა თუ მოგზაურობდა? ან, ვინ იცის, ეძინა და არა სურდა გამოფხიზლება.

რატომ, რისთვის იყო განწირული ამ ობობას ქსელივით ნაზი და მგრძნობიარე, ახალი თოვლივით უბიწო, მშვენიერი ქალის სული, რათა სამარცხვინო დაღი ეტარებინა მარად ათასეული წლის მანძილზე გონებაჭვრეტითმა ფილოსოფიამ ვერა და ვერ აგვიხსნა ჩვენ, ჰარმონიას მოწყურებულებს, რად დაეუფლება ხოლმე კარგ ქალს უღირსი მამაკაცი და უღირსი ქალი — კარგ მამაკაცს. ისღა დაგვრჩენია, ვირწმუნოთ გარდუვალობა მისაგებელისა, რომელიც ამ უბედურებაში მიჩქმალულა ფარულად. უთუოდ ჯაჭვის პერანგში ჩამჯდარი ტესის რომელიმე ნაღვინევი წინაპარი, ჩხუბისა და აყალმაყალის შემდეგ შინ მიმავალი, იმავე სიავეს სჩადიოდა სოფლელი გოგონების მიმართ და, ვინ უწყის, იქნებ უფრო მეტი ულმობელობითაც კი. მაგრამ თუ მისაგებელი, რომლის მსახვრელი ხელითაც ისჯებიან შვილები თავიანთი მამების ცოდვათა გამო, შესაძლოა მორალის თვალთახედვით, კმაყოფილებას ანიჭებს ღმერთებს, უბრალო მოკვდავ კაცს ზიზღსა ჰგვრის, ამიტომაც ვერას არგებს საქმეს ის.

ტესის მიწა-წყლის ხალხი თავიანთ მიყრუებულ სადგომებში ჩვეული ფატალიზმით კვლავაც და კვლავაც უდასტურებენ ურთიერთს „ასე ეწერაო“. ჰოდა, სამწუხაროა! ამიერიდან უძირო, სოციალური უფსკრული აშორებს ჩვენს გმირ ქალს იმ ქალწულისაგან, რომელმაც გადმოაბიჯა დედისეული სახლის ზღურბლს, რათა ბედი ეძია ტრენტრიჯის ფრინველების ფერმაში.

მეორე ფაზა
ამიერიდან ქალი

XII

კალათა მძიმე იყო, ფუთა კი ვეებერთელა, მაგრამ ახლა სულერთი იყო მისთვის ყველაფერი, ისე მიათრევდა ტვირთს, თითქოს ვერცა გრძნობდა მის სიმძიმეს. დროდადრო შედგებოდა რომელიმე ჭიშკართან, ან სვეტთან, ერთ ხანს ჩაიმუხლებდა, მერე კვლავ წამოავლებდა ხორცსავსე ხელს ტვირთსა და გზას განაგრძობდა.“

ოქტომბრის მიწურული კვირა დილა იდგა. თითქმის ოთხი თვე გამოხდა მას შემდეგ, რაც ტეს დარბეიფილდი ტრენტრიჯში ჩამოვი-

და, და სულ რამდენიმე კვირა იყო გასული ნაკრძალში ღამით მოგზაურობიდან. ის იყო ინათა. ტესის ზურგს უკან ოქროსფრად აციაგებული ჰორიზონტი ასხივოსნებდა მის თვალწინ გაჭიმული, მიწყივ მიჯრილი ბორცვების ჯაჭვს, რომელიც ზღუდედ ერტყმოდა ველს, სადაც ცოტა ხნის წინ ისიც ცხოვრობდა მრავალთა შორის. ჰოდა, ახლა ეს ზღუდე უნდა გადაელახა, რათა მიეღწია იმ მიდამოებისათვის, სადაც იშვა და ფეხი აიდგა. ამ მხრიდან აღმართი მაინცდამაინც ციცაბო არ იყო, აქაური ბუნება და წიაღი დიდად განსხვავდებოდა ბლეკმურის ველის ბუნებისა და წიაღისაგან. ის კი არა, ბორცვების ჯაჭვს გადმოღმა მცხოვრები ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და კილოკავსაც კი სხვა ნირი და ნიშატი დაჰკრავდა ქედს გადაღმელ მკვიდრთაგან განსხვავებით. თუმცა კი რკინიგზის ლიანდაგი აკავშირებდა ერთმანეთს. ამიტომაც ჩანდა ასეთი მიყრუებული ტესის მშობლიური სოფელი, თუმცა კი რაღაც ოციოდე მილი აშორებდა ტრენტრიჯს. აქ, ველზე მომწყვდეულ გლეხებს ჩრდილოეთთან და დასავლეთთან ჰქონდათ აღებ-მიცემობა გაჩაღებული. სულ ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ ეჭირათ თვალი და გულისყური. გასწორებული ჰქონდათ იქით მიმავალი ყველა გზა და ბილიკი. იქ სეირნობდნენ და არშიყობდნენ, იქვე ირჩევდნენ თავიანთ გულისსწორებს. მაშინ როცა ქედის გადმოღმა მკვიდრთა სული და გული აღმოსავლეთსა და სამხრეთზე იყო მიგეზებული.

ეს ის ბორცვი გახლდათ, ასე შლეგივით, რომ ჩამოაჯირითა დ'ერბერვილმა იმ ივნისის დღეს. შეუსვენებლად აიარა ტესმა ბორცვი და გახედა შორს, თხელ ბურუსში გახვეულ ამწვანებულ მშობლიურ მხარეს. ნიადაგ საამო საჭვრეტი იყო ხოლმე მისი დამბადებელი მიწა ამ ადგილიდან, მაგრამ დღეს გამორჩეულად ტურფა ეჩვენა იგი. რაკიღა მას შემდგომ, რაც უკანასკნელად იხილა, ტესმა შეიცნო, რომ გველი მუდამ იქ. სისინებს, სადაც ამოდ ჟღურტულებენ ჩიტუნები, პირწმინდად იცვალა სახე სამყარომ მის თვალში. ჭეშმარიტად სხვა, სულ სხვა გოგონა იდგა ახლა აქ, მძიმე ფიქრებით დატვირთული და არა ის, რომელიც ოდესღაც საკუთარი დედ-მამის გვერდით იყო ჩაბუდებული. ტესმა პირი იბრუნა და უკან მოიხედა. ემძიმა ველისთვის თვალის გამართვა.

თეთრ გრძელ გზაზე, რომელიც ის იყო გალია, ტესმა ორთვალა ეტლსა და სწორდასწორ ფეხით მიმავალ მამაკაცს მოჰკრა თვალი. კაცმა ხელი აუწია, რომ ქალის ყურადღება მიეპყრო.

ტესი ნიშანს დაემორჩილა და უდრტვინველად დაუწყო ლოდინი. რამდენიმე წუთში კაცი და ცხენი მის გვერდით შედგნენ.

— რად გამოიპარე? — უსაყვედურა სუნთქვაშეკრულმა ალეკმა.

— ისიც ამ კვირაძალზე, უთენია, ხალხი ჯერ ფეხზეც არ ამდგარა მოულოდნელად გავიგე ეს ამბავი და ეშმაკივით გამოვჭენდი, დავეწიო-მეთქი: შეხედე, რა დღეშია საცოდავი ჭაკი. რას გამორბოდი. თუ წასვლა გინდოდა, გეთქვა და ვინ დაგიშლიდა. აგიკიდებია ამხელა ტვირთი და მიათრევ. გიჟივით გამოვიქეცი, თუ უკან დაბრუნება არ უნდა, ეტლით მაინც ჩავიყვან-მეთქი, ვიფიქრე.

— არ დავბრუნდები! — გაეპასუხა ტესი.

— ასეც ვფიქრობდი. დაყარე ეტლზე შენი ბარგი და მოდი შეგსვა ზედ.

ტესმა დაუდევრად შეაგდო კალათა და ფუთა ეტლში, ავიდა ზედ და ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩამოსხდნენ. იოტისოდენადაც აღარ აკრთობდა ტესს მისი სიახლოვე, მაგრამ დიახაც რომ სწორედ ასეთი ნდობა იყო მისი დიდი უბედურების თავი და ბოლო.

ოდნავი უმჯობესობა არ ეტყობოდა.

დ'ერბერვილმა სიგარას მოუკიდა. გზას გაუდგნენ. ზოგჯერ თუ მიუგდებდნენ ერთმანეთს ერთ-ორ უნდილ სიტყვას, ეგ იყო და ეგ, სხვა სათქმელი დალეოდათ. სადღა ახსოვდა ახლა ალეკს, როგორ უდარილებდა ტესს იმ ადრეულ ზაფხულს, როცა იქიდან მოდიოდნენ, ამავე გზაზე, რათა ამბორი აეწაპნა მისთვის. სამაგიეროდ ტესს როდი დავიწყებოდა რამე. იჯდა თოჯინასავით და ან ჰოს ეტყოდა ან არას შეკითხვებზე. შორს, თვალსაწიერზე, ჭალა გამოჩნდა. იმის იქით სოფელი მარლოტი გაყურსულიყო. ახლა კი დაეტყო ტესს მღელვარება და ორი ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა ღაწვებზე.

— რა გატირებს? — გულღრჯოდ ჰკითხა ალეკმა.

— გამახსენდა რომ აქ დავიბადე, — წაიბუტბუტა ტესმა...

— მერე რა, აქ არის თუ იქ, ყველანი ხომ სადღაც უნდა დავბადებულიყავით.

— ეჰ კარგი იქნებოდა არსადაც არ დავბადებულიყავი... არც აქ, არც არსად.

— ფუ! თუ არ გინდოდა ტენტრიჯში ჩამოსვლა, რაღას მობრძანდებოდი ნეტავ?!

— ტესს კრინტი არ დაუძრავს.

— თავს დავდებ, რომ ჩემს სიყვარულს არ ჩამოუყვანიხარ აქ.

— მართალია. მე რომ თქვენი სიყვარულით ჩამოვსულიყავი, როდესმე გულწრფელად რომ მყვარებოდით, ან ახლა მიყვარდეთ, ისე აღარ შემძულდებდა საკუთარი თავი უმწეობისა და უნიათობისათვის, როგორადაც ახლა მძულს... თვალები მქონდა დაბრმავებული ცოტა ხანს და ეგ იყო, ალეკმა მხრები აიჩეჩა. ტესმა განაგრძო:

— ვერა ვხვდებოდი, რისთვის იღვწოდით, ვიდრე ძალიან არ დაგვიანდა.

— ყველა ქალი ეგრე ამბობს.

— როგორ ბედავთ ასე ლაპარაკს? — შეჰყვირა ტესმა და ფიცხლად შემოტრიალდა მისკენ, თვალებმა გაკვესეს და ქალში მეყვსეულად იფეთქა მიჩქმალულმა სულიერმა გამბედაობამ და ძალამ (თუმცა ეს რაა, ნამდვილი გამბედაობა მერე ნახეთ). ღმერთო ჩემო! მზადა ვარ ძირს მოგისროლოთ ამ ეტლიდან. ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ, რომ იმას, რასაც ყველა ქალი ამბობს, ზოგიერთი გრძნობს და განიცდის?

— კეთილი და პატიოსანი, — გაიცინა ალეკმა, — ვნანობ რომ გული გატკინე. უნდა გამოვტყდე — დამნაშავე ვარ, მაგრამ, — დასძინა მან სამსალაგარეული ხმით, — რამდენჯერ უნდა მომახალო ეგ პირში, ხომ აქვს ბოლო ყველაფერს. რაღა გინდა, მზადა ვარ უკანასკნელი ფარტინგიც კი ამოვიღო ჯიბიდან: მინდვრად, ან რძის ფერმაში მუშაობა აღარ მოგიხდება, გინდა სულ დიბა-აბრეშუმის კაბები ჩაიცვი. ძალიან კარგად მოგეხსენება ეს ამბავი, შენ კიდევ თითქოს ჯიბრზე მაინცდამაინც იაფფასიან რაღაცეებს წამოიცვამ. გეგონება, ხელფასზე იყო დამოკიდებული და ერთი ზედმეტი ბაფთის ყიდვის საშუალება არა გქონდეს.

ტესს ზიზღით აებრიცა ტუჩები, თუმცა მისი დიდსულოვანი, სათნო ბუნებისათვის უცხო იყო ეს გრძნობა.

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ მეტად აღარასოდეს აღარაფერს მივიღებ თქვენგან-მეთქი, ჰოდა, არც მივიღებ.

— არ შემიძლია აღება. მე რომ ასე არ მოვიქცე, მაშინ მთლიანად თქვენი საკუთრება უნდა ვიყო, მე კი არ მინდა ეს ასე მოხდეს!

— ჰა, ჰა, ჰა! კაცმა რომ შენ ქცევას უყუროს, იფიქრებს ვიღაცა პრინცესაააო, თორემ უთუო და ჭეშმარიტ დ'ერბერვილობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ჰოდა, ასე ჩემო საყვარელო ტეს, მე მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი. იქნებ მართლაც ცუდი კაცი ვარ, უღმერთოდ ცუდი კაცი, ასეთი ცუდი დავიბადე და ასევე ცუდად ვცხოვრობ. სავსებით შესაძლებელია ასეთივე ცუდი დავრჩე სიკვდილამდე და ასეთივეც მოვკვდე. მაგრამ ვფიცავ ჩემს წამხდარ სულს, რომ დღეის შემდეგ აღარასოდეს ბოროტებას არ გაგიკეთებ, მაგრამ თუ გაგიჭირდება რამე, ხომ გესმის ჩემი? რამე სიძნელე გადაგეღობება, გინდ სულ პატარა რამ დაგჭირდეს, მომწერე ერთი სიტყვა, ერთადერთი სიტყვა და რაც არ უნდა მთხოვო, იმწამსვე გაგიჩენ. შეიძლება ცოტა ხნით ტრენტრიჯიდან წავიდე... ლონდონში მინდა ცოტა ხნით ჩასვლა, ვეღარ ვიტან იმ ბებერ დედაკაცს.

— მაგრამ იცოდე, ყველა წერილს გადმომიგზავნიან.

— ამას იქით ნუღარ წავალთ, აქ გავჩერდეთ, უთხრა ტესმა ალეკს და ჭალასთან შედგნენ დ'ერბერვილი ჩამოხტა, აიტაცა ტესი, ძირს ჩამოსვა, ბარგიც გვერდით მოუწყო. ტესი ოდნავ მოიხარა მადლობის ნიშნად, მათი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდნენ, მერე კი შემოტრიალდა, რომ ტვირთი აეღო და წასულიყო, ალეკმა პირიდან სიგარა გამოიღო, ქალისაკენ გადაიხარა და თქვა:

— ასე ვერ წამიხვალ, ძვირფასო, აბა!..

— როგორც გნებავთ, — გულგრილად მიუგო ტესმა, — ხედავთ, როგორ დაგემორჩილეთ!

ტესი შემოტრიალდა, ლოყა მიუშვირა და იდგა გულგრილად მარმარილოს ქანდაკებასავით, ვიდრე ალეკი კოცნიდა. კოცნიდა აგდებულად, თუმცა ვნება ჯერ არ ჩაქრობოდა მთლად. გონდაფანტული გაჰყურებდა ტესი შორეულ ხეებს, და თითქოს ვერც გრძნობდა ვერაფერს.

— ახლა მეორე ლოყაზე, ძველი ნაცნობობის ხათრით.

ტესი ისე გულგრილად და ანგარიშმიუცემლად დაემორჩილა ალეკის სიტყვას, თითქოს ვინმე მხატვარს ან დალაქს ეთხოვოს მისთვის, თავი მოაბრუნეო. ალეკმა აკოცა. ნოტიო, გლუვი და გრილი იყო ტესის ლოყა მათ ირგვლივ მიმოფანტული სოკოებივით, ..

— რატომ მარიდებ პირს და არ მკოცნი. არც არასოდეს გიკოცნია შენი სურვილით. მეშინია, რომ ვერც ვერასოდეს შემიყვარებ.

— განა ერთხელ და ორჯერ მითქვამს ეგ? — მართალი ხართ. არასოდეს მყვარებიხართ, — თქვა ტესმა და კაეშნით სავსე ხმით დასძინა: — იქნებ სიცრუეს ახლა ჩემთვის მეტი სარგებლობა მოეტანა, მაგრამ მე მეყოფა პატიოსნება, თუმცა მცირეღა შემომრჩა იგი, რომ არ ვიცრუო.

რომ მყვარებოდით, ყოველგვარი საფუძველი მექნებოდა არ დამემალა იგი თქვენთვის. მაგრამ არ მიყვარხართ.

ალეკმა ისე მძიმედ ამოიოხრა, თითქოს ვერ ეგუება ამ ამბავს ვერც მისი სული, ვერც სინდისი და პატიოსნებაო.

— სისულელეა, რა გაქვს სადარდო. რად გეპირფერო, არა მჭირდება, შემიძლია უბრალოდ გითხრა, სანაღვლო და სამწუხარო არაფერი გაქვს-მეთქი. ჩვენს მხარეში სილამაზით არც ერთ ქალს არ ჩამოუვარდები — გინდ მდაბიო იყოს, გინდა არისტოკრატი. ამას ისე გეუბნები, როგორც ამ ცხოვრების ავ-კარგში გამოჯეკილი კაცი და შენი კეთილისმსურველი. ჭკუა რომ გქონდეს, კი არ დამალავდი შენს სილამაზეს, როგორც ახლა ჩქმალავ, მოიხმარდი, როგორც წესი და რიგია, ვიდრე არ დამჭკნარა იგი... ჰო, ტეს, არ დაბრუნდები

ჩემთან? ღმერთმანი გული მეთანაღრება ასე რომ გიშვებ.

— არასოდეს, არასოდეს! მე ეს მაშინვე გადავწყვიტე, როგორც კი მივხვდი... იმას რასაც უფრო ადრე უნდა მივმხვდარიყავი. არაფრის გულისათვის არ დავბრუნდები!

— მაშ, ნახვამდის ჩემო ოთხი თვის ბიძაშვილო... ნახვამდის!

ალეკი მსუბუქად ახტა ეტლში, მოზიდა სადავეები და წითელი ნაყოფით დახუნძლულ ცოცხალ ღობეებს შუა მიმავალი გზით გაემართა.

ტესს არ მიუხედავს მისკენ. წელმოწყვეტილივით წალასლასდა დაკლაკნილ ბილიკზე. ადრიანი დილა იდგა, მზე უკვე ამოცურებულიყო ბორცვებს ზემოთ. გულჩათხრობილი და გამომცდელი მზის სხივები თვალს ჭრიდა კაცს და არ ათბობდა. ახლომახლო კაცი არ ჭაჭანებდა, დაღვრემილი ოქტომბერი და მჭმუნვარე ტესი მარტოდმარტონი იყვნენ ამ სოფლის გზაზე.

უცებ ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა უკან. ეტყობოდა, მამაკაცი უნდა ყოფილიყო — ძლივს მოასწრო ტესმა ამის გაფიქრება, რომ აჩქარებით მომავალი მგზავრი გაუპირდაპირდა და მიესალმა — დილა მშვიდობისაო. გზად მიმავალი მგზავრი ხელოსანი უნდა ყოფილიყო, წითელი საღებავით სავსე თუნუქის ქილას მიათრევდა. კაცი მიუახლოვდა ტესს და საქმიანად ჰკითხა, ხომ არ მომცემთ ნებას მოგეხმაროთ და კალათა წამოგიღოთო. ტესი დაყაბულდა და გვერდით გაჰყვა.

— ადრიანად ამდგარხართ ამ კვირაძალზე — მხიარულად უთხრა კაცმა.

— ჰო, — მიუგო ტესმა.

— მთელი კვირის დამაშვრალ ხალხს კიდევ სძინავს. ტესმა ამაზეც დაუქნია თავი.

თუმცა ჭეშმარიტად წმინდა საქმეს მე დღევანდელ დღეს უფრო ვაკეთებ ხოლმე, ვიდრე ისე დღეებში;

— ჰოო?

— მთელი კვირა ხალხისთვის ვიღწვი, უქმე დღეებში კი ღვთის სადიდებლად დავშვრები ხოლმე. ამას უფრო მეტი ფასი აქვს, არა? ახლა აქ, ამ გადასასვლელთან უნდა წავიმუშაო ცოტა, — თქვა კაცმა და ღობესთან შედგა, რომელიც საძოვარს ერტყა გარს, — თუ ცოტას მომიცდით, არ დაგაყოვნებთ.

რაკიღა ტესის კალათა მას ეკავა, სხვა რა გზა ჰქონდა, დადგა და დაუწყო ლოდინი, თან თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას. კაცმა დადგა თუნუქის ქილა და მისი კალათა მიწაზე. ამოურია საღებავს

ფუნჯი, რომელიც ქილაში იყო ჩაკიდებული და სამი ფიცრიდან შუალაზე, რომლისგანაც გადასასვლელი იყო შეკოწიწებული, დიდი ოთხკუთხა ასოების გამოყვანა დაიწყო. დაასრულებდა სიტყვას და მაშინვე დასვამდა მძიმეს, თითქოს ამით საშუალებას აძლევდა მკითხველს სული მოეთქვა, სანამ ამოკითხული სიტყვის აზრი ღრმად ჩასწვდებოდა მის სულსა და გულს:

„სასჯელი, პირველთაგან, არა, დაჰსცხრების, და, წარსაწყმედელსა, მათსა, არა, ჰრულს“. (2. პეტ. II, 3)

გაყურსული შემოგარენის, ჭალის მიმქრალი, ჩამცხრალი ფერების, ფირუზისფერი ჰორიზონტისა და ხავსმოდებული ფიცრების ფონზე ეს ალისფერი სიტყვები თვალსა ჭრიდა კაცს. თითქოს გაჰყვიროდა, ზარივით რეკდა ჰაერში. ვიღაცას რომ ახლა აქ გზად გამოევლო, ალბათ სიმწრით წამოიყვირებდა: ჰოი, საბრალო ღვთისმეტყველებავო! როცა სჯულის მოძღვრების უკანასკნელ, გროტესკულ, უღვთოდ დამახინჯებულ ფრაზას ამოიკითხავდა. ფრაზას, რომელიც თავის დროზე ასე კეთილად ემსახურა კაცობრიობას. ტესისათვის კი ეს სიტყვები ულმობელ ანათემასავით გაისმა, — თითქოს შემთხვევით გზად შემოყრილმა ამ კაცმა სულ იცოდა მის თავს დატეხილი უბედურების ამბავი.

მორჩა თუ არა წერას, კაცმა ხელი წამოავლო ტესის კალათას, და ქალიც ანგარიშმიუცემლად გაჰყვა უკან.

— თქვენ გწამთ ის, რასაც წერთ? — ჰკითხა მან წყნარად.

— რასაც ვწერ? მწამს თუ არა ჩემი სუფევა ამქვეყნად?!

— ვთქვათ, განაგრძო ტესმა ხმის კანკალით, — კაცმა უნებურად შესცოდა, მაშინ?

კაცმა თავი გადააქნია.

— ეს ისეთი მწვავე საკითხია, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია. გასულ ზაფხულს ასობით კილომეტრი გავიარე, კიდითკიდემდე შემოვიარე მთელი ეს მხარე და არ დამიტოვებია არც ერთი კედელი, გადასასვლელი თუ ჭიშკარი, რომ ღვთის სიტყვა არ მიმეწერა ზედ; ხოლო მათ განსჯასა და მომარჯვებას იმ ადამიანთა გულებს ვანდობ, ვინც მათ წაიკითხავს.

— ჩემი აზრით, ეს შემაძრწუნებელი, გოროზი და მომაკვდინებელი სიტყვებია.

— დიახ, ასეთებიც უნდა იყვნენ, — მიუგო მან საქმიანი კაცის იერით, — თქვენ რომ ის მწარე-მწარე წარწერები წაგაკითხათ, გარეუბნებისა და ნავსაყუდელებისათვის რომ მაქვს შემონახული, მაშინ რაღას იტყოდით. ისეთებია, სულ შიშის ჟრუანტელი დაგივლის ტან-

ში! აი, კარგი წარწერა ყოველი ადგილისათვის, შეხედე, აი, იქ, ბეღელთან, რა ფუჭად იკარგება კედლის სუფთა ნაჭერი. ახლა იქ ისეთ სიტყვებს მივაწერ, მართლა რომ ეღირება წასაკითხად თქვენისთანა მომხიბლავი ლამაზმანებისათვის. დამელოდებით, მის?

— არა! — იუარა ტესმა. აიღო თავისი კალათა და გზას გაუდგა. რამდენიმე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ უკან მოიხედა. ჩამოფხავებული და განაცრისფერებული კედელი ალისფერი ასოებით დაიფარა თანდათანობით და ისე უცნაურად გამოიყურებოდა, თითქოს სულსა და გულს უმძიმებს ის ახალი მოვალეობა, რომელიც აქამომდე მისთვის არავის მოუკითხავსო. ტესი წამოენთო, როდესაც ჩახვდა, როგორ დასრულდებოდა ნახევრად დაუმთავრებელი წინადადება.

ვერ, აღასრულებ...

როცა მისმა მხიარულმა თანამგზავრმა შენიშნა, რომ ტესი უკან იხედებოდა, შეაჩერა ფუნჯი და შესძახა:

— თუ მაინცდამაინც გსურთ გაერკვეთ იმ საკითხებში, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობდით, მაშინ მოდით დღეს იმ სამრევლოში, საითაც ახლა მიბრძანდებით და ერთი ჭკვიანი და კარგი ემინსტერული კაცის მისტერ კლერის ქადაგებას მოუსმინეთ. მართალია, ამჟამად არ ვეთანხმები მის მოსაზრებებს, მაგრამ კარგი ადამიანია და არც ერთ სხვა მღვდელზე ნაკლებად არ აგიხსნით ყველაფერს. სწორედ მან გამიღვივა მეც ნაპერწკალი.

“ ტესმა არაფერი უპასუხა. მიწას ჩააშტერდა და მღელვარებაატანილმა გზა განაგრძო.

— ტყუილია... არა მგონია, ღმერთი ასეთ სიტყვებს ამბობდეს, — წაიბუტბუტა მან, როდესაც სახეზე სიწითლემ გადაუარა.

ბოლქვებად ამოვარდა უეცრად მამისეული სახლის საკვამურიდან ბუმბულისებური კვამლი. ტესს გული შეეკუმშა, როდესაც ოთახის ზღურბლს გადააბიჯა, სულ მთლად დაუმძიმდა სული. დედა, ეტყობოდა, ის-ის იყო ჩამოსულიყო ქვევით და კერის წინ დაჩოქილი მუხის ტოტებს უკეთებდა ცეცხლს, რომელზედაც ქვაბით შეჭამანდი იხარშებოდა, ტესის დანახვაზე მისკენ შემობრუნდა. ბავშვები ჯერ კიდევ ზევით იყვნენ. მამასაც, რაკი კვირადღე იყო, თავისათვის უფლება მიეცა, ნახევარი საათი ზედმეტი წაეძინა.

— საიდან! საყვარელო ტეს! — წამოიძახა გაოგნებულმა დედამ. წამოხტა და გადაკოცნა შვილი, — როგორა ხარ? ვერც კი დაგინახე, ვიდრე თავზე არ წამომადექი, რაო, საქორწინოდ ჩამოხვედი?

— არა, დედა, სამაგისოდ არ ჩამოვსულვარ.

— მაშ, დღესასწაულებზე?

— ჰო, დღესასწაულებზე. ხანგრძლივ არდადეგებზე, — მიუგო ტესმა.

— რაო, შენი ბიძაშვილი არ აპირებს სიკეთის გაკეთებას?!

— ის ჩემი ბიძაშვილი არ არის. აინუნშიაც არ მოსდის ჩემი შერთვა. დედა დაჟინებით დააცქერდა შვილს.

— მოიცა, მოიცა, წვრილად მითხარი ყველაფერი! — შეცბა დედა.

ტესი დედასთან მივიდა, თავი ჩამალა მის მკერდში და ყველაფერი უამბო.

— ჰოდა, შენ მაინც არ შეართვევინე თავი, არა?! — იმეორებდა და იმეორებდა დედა, — შენს ადგილას ხომ ყველა ასე მოიქცეოდა.

— ჰო, დედა, ჩემ გარდა, ალბათ, ყველა ეგრე მოიქცეოდა.

— კარგი ამბავი კი მოიტანე, — განაგრძობდა მისის დარბეიფილდი და სიმწრისაგან ლამის ტიროდა.

— იმდენი მითქმა-მოთქმის მერე, რამაც შენზე და იმაზე მოაღწია ჩვენს ყურამდე, ვინ იფიქრებდა, რომ ასე დამთავრდებოდა ყველაფერი. რატომ ერთხელ მაინც არ გაგახსენდა შენი ოჯახი, იმის მაგივრად რომ საკუთარ თავზე გეზრუნა, არ იცი, რა მუხლჩაუხრელად ვმუშაობ, საწყალ მამაშენს კი ტაფასავით მოედო გულზე ქონი. რა იმედი მქონდა, ამ საქმიდან რამე გამოდნება-მეთქი! შეხედვად ღირდა, ისეთი მშვენიერი წყვილი იყავით, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, იტყოდი ამ ოთხი თვის წინ ერთად რომ მიდიოდით ეტლით! აი, ნახე, რა გვაჩუქა. იმიტომ იჩენს გულუხვობას, რომ ჩვენი სისხლი და ხორცია-მეთქი, ვფიქრობდი. თუკი ჩვენი ნათესავი არა ყოფილა, მაშ, შენი სიყვარულის მეტი რა გააკეთებინებდა ამას. შენ კიდევ იმის ნაცვლად, რომ თავი შეგერთვევინებინა დაჰკარი ფეხი და გამოიქეცი!

ჰმ! აეძულებინა ალეკ დ'ერბერვილი შეერთო იგი. ალეკს შეერთო ტესი! ცოლად შერთვაზე იმას კრინტიც არასოდეს დაუძრავს. კიდეც რომ ეთქვა რამე, ტესმა არ იცოდა მოახერხებდა თუ არა დათანხმებას, რომ თავი ეხსნა და თავისი ახლობლების კრიჭაში არ ჩავარდნილიყო, მაგრამ საბრალო და უგუნურმა დედამისმა არა უწყოდა რა მისი გრძნობების შესახებ ამ კაცის მიმართ, შესაძლოა, ასეთ ვითარებაში ეს არაჩვეულებრივი არაბუნებრივი და აუხსნელიც იყო, მაგრამ სინამდვილე სინამდვილედ რჩებოდა და როგორც თავად თქვა, სწორედ ამის გამო სძაგდა საკუთარი თავი. არასოდეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარულით მას ბლეკი არ ჰყვარებია და ახლა ხომ სულაც აღარ უყვარდა და არა. ტესს ეშინოდა მისი. ცახცახებდა, როცა მასთან იყო, ვერ მოახერხა მტკიცედ დახვედრა, როცა

იგი ასე მარჯვედ სარგებლობდა მისი სისუსტით. მერე მისი მოხდენილი გარეგნობით დროებით დაბრმავებული მორჩილად უთმობდა ყველაფერს, მაგრამ უეცრად იგრძნო სიძულვილი, მტრობა და განერიდა, ეს იყო და ეს. ზიზღით თითქოს მაინცადამაინც არ ეზიზღებოდა, მაგრამ მისთვის ალეკი ნაცარი და ფერფლი იყო მხოლოდ და საეჭვოა, რომ თუნდაც საკუთარი სახელის პატიოსნებისათვის მისთხოვებოდა მას.

— თუ არ ფიქრობდი მასზე გათხოვებას, მაშინ მეტი სიფრთხილე გმართებდა.

— ოჰ, დედა, დედა! — გაშმაგებული მივარდა განაწამები ქალიშვილი მშობელს, თითქოს ცოტაც და გული გაუსკდებაო, — განა შემეძლო წინასწარ მცოდნოდა რამე. სულ მთლად ბალღი წავედი აქედან ამ ოთხი თვის წინათ. რად არ გამაფრთხილე, ერთხელ მაინც რად არ მითხარი, მამაკაცები საშიშები არიანო? დიდგვაროვანმა ქალებმა იციან რას მოერიდონ, ისინი კითხულობენ რომანებს, რომლებშიც მსგავსი ამბები წერია. მე კი არაფერი გამეგებოდა, და არც შენ დამეხმარე.

დედა დამარცხებული იყო.

— მეშინოდა, ზურგი არ შეგექცია, ხელიდან არ გაგეშვა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა, ამიტომ არ გითხარი არაფერი მის გრძნობებზე, არც იმის თქმა მინდოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას, — წაიბუტბუტა დედამ და სველი თვალები წინსაფრით ამოიწმინდა, — რას იზამ, უნდა შეურიგდეს კაცი ყველაფერს, ალბათ, მოსახდენი იყო.

XIII

ხმა დავარდა, ტეს დარბეიფილდი დაბრუნდა თავისი მდიდარი ნათესავების მამულიდანო, და ელვასავით გავრცელდა მთელ მხარეში, თუ სიტყვა გავრცელდა მეტისმეტად მყვირალა არ არის იმ ერთი მუჭა ადგილისათვის, რომელსაც სულ რაღაც ერთი კვადრატული მილი ეკავა. ნაშუადღევს სკოლის ამხანაგები და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მარლოტელი გოგონა ესტუმრა ტესს მოსანახულებლად. კოპწიად გაუთოებულ და გახამებულ კაბებში გამოწყობილიყვნენ გოგონები, როგორც წესია, როცა (მათი წარმოდგენით) ისეთ ადამიანთან მიდიხარ სტუმრად, რომელმაც დიდი გამარჯვება მოიპოვა. გოგონები გარს შემოუსხდნენ ტესს და ცნობისმოყვარეობით შესციცინებდნენ თვალებში. ტესის ბიძაშვილის ბიძაშვილის ბი-

ძაშვილს — მისტერ დ'ერბერვილს, ტესზე გამიჯნურებულ ამ მეზობელი მხარის ჯენტლმენს, დიდი უტიფარის, ქალების მუსუსისა და გულთამპყრობელის სახელი ჰქონდა გავარდნილი თვით ტრენტრიჯის სანახებს იქითაც. ამიტომაც ტესის მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, სახიფათო ეჩვენებოდათ და ძალზე აინტერესებდათ ყველაფერი. თუ ეს საშიშროება არა, ალბათ, არც ასე დაინტერესდებოდა ყველა.

ისე ძლიერი იყო ცნობისწყურვილი, რომ პატარა გოგონები თავს ვერ იკავებდნენ, მაშინვე აჩურჩულდებოდნენ, როგორც კი ტესი მიტრიალდებოდა: რა მშვენიერია, როგორ უხდება ეს ლამაზი კაბა. დარწმუნებული ვარ, ძალიან ძვირი ღირს. ალბათ, მისი ნაჩუქარია.

ტესი ჩაის ჭურჭელს ალაგებდა კარადიდან და არ ესმოდა გოგონების ჩურჩული და ტუტუნი. რომ გაეგონა, ალბათ, მაშინ გადაარწმუნებდა თავის ამხანაგებს და სიმართლეს არ დაუმალავდა. დედამისს კი ყველაფერი ესმოდა; იმედგაცრუებული გულუბრყვილო ჟოანის პატივმოყვარეობა ტკბებოდა სენსაციით, რომელიც მისი ქალიშვილისადმი მისტერ დ'ერბერვილის ყურადღებამ გამოიწვია. იგი სიამოვნებას განიცდიდა, თუმცა კი ასეთ წამიერსა და მოჩვენებით ზეიმს ვნების მეტი არაფერი მოჰქონდა მისი ქალიშვილის სახელისათვის, — ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, ჯერ ხომ ყველაფერი არ დამთავრებულა, რა იცის კაცმა, რომ ქორწილი არ მოხდეს. ჰოდა, სტუმრების აღტაცებით კმაყოფილმა და მადლიერმა ჟოანმა ყველა ჩაიზე მიიპატიჟა.

სტუმრების ქაქანმა, სიცილ-კისკისმა, გულკეთილად გადაკრულმა სიტყვებმა და რაც თავი და თავია, მართალია წუთიერმა, მაგრამ მაინც თავისი მეგობრების ცუდად შეფარულმა შურმა გამოაცოცხლა ტესი. საღამო ხანს გამხიარულდა კიდეც.

მარმარილოსავით გაქვავებული სახიდან სიმკაცრე ჩამოერეცხა, ამჩატდა და თითქოს ერთბაშად გაიფურჩქნა მისი მშვენება.

დროდადრო, გონიერებისადა მიუხედავად, ტესი მართლაც უფრო აღმატებულისა და გამორჩეული ადამიანის იერით აძლევდა პასუხს მეგობრებს შეკითხვებზე. თითქოს აღიარებდა, ჩემი გამოცდილება სიყვარულის საკითხში დიახაც შესაშურიაო, მაგრამ ისე ნაკლებად იყო რობერტ სოუთის სიტყვებით რომ ვთქვათ „შეყვარებული საკუთარ დაღუპვაზე“, რომ ილუზია მარტოოდენ ელვისებურ წამიერი აღმოჩნდა, კვლავაც აღიმაღლა ხმა ცივმა გონებამ და ულმობლად დასცინა ტესის უნიათობას. ამაო სიამაყის გრძნობით გამოწვეული ზიზღი განაჩენი იყო მისთვის, რომელმაც კვლავაც დაუბრუნა გულცივობა და უხალისობა.

სასოწარკვეთილება კი მეორე დღეს უთენია ჩამოაწვა თავს. მიიწურა კვირა და ორშაბათი დილა გათენდა. გაქრა ის სადღესასწაულო ტანსაცმელი, სტუმრების ჟრიამულიც. თვალი რომ გაახილა, თავის ძველ საწოლში იწვა, გვერდიდან კი უმანკო პატარების მშვიდი ფშვინვა შემოესმა. ნაცვლად მისი მობრუნებით გამოწვეული მღელვარებისა და ყურადღებისა, ტესს თვალწინ წარმოუდგა გრძელი, ქვა-ღორღით ჩახერგილი გზა. მარტოდმარტოს, ეულად უნდა ევლო ამ გზაზე. არც არავინ გაუწვდიდა დახმარების ხელს, არც არავინ უთანაგრძნობდა არასოდეს. უსაზღვრო სევდამ მოიცვა ტესი, ერჩია მიწა გასკდომოდა და სამარეში ჩაეტანა.

გავიდა რამდენიმე კვირა. ტესი ისე გადახალისდა, ხალხში გამოჩენაც კი განიზრახა. ხომ არ შეიძლებოდა არ წასულიყო ეკლესიაში. ტესს უყვარდა სიმღერის მოსმენა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, უყვარდა ძველისძველი ფსალმუნები, დილის საგალობლების სიმღერა გუნდთან ერთად. ეს თანდაყოლილი, დედისაგან მემკვიდრეობით მიღებული სიყვარული მელოდიისა, — დედამისი ხომ გამუდმებით ღიღინებდა ბალადებს, — ისეთი ძლიერი იყო, რომ სულ უგვანო სიმღერაც კი რაღაც მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა მასზე და გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა.

საკმაო მიზეზი ჰქონდა ტესს თავი აერიდებინა თანასოფლელების დაჟინებული მზერისა და ყმაწვილი კაცების გადაჭარბებული თავაზიანობისათვის. ამიტომაც გამოვიდა ადრიანად სახლიდან ვიდრე ზარებს ჩამოჰკრავდნენ, შევიდა ეკლესიაში და გადმოხურული დერეფნის ქვეშ, უკანა სკამზე, რაღაც ხარახურის გვერდით ჩამოჯდა. აქ მხოლოდ და მხოლოდ ბებერი დედაკაცები და მოხუცი კაცები თუ სხდებოდნენ ხოლმე, იქვე მივარდნილ კუთხეში საეკლესიო ნივთებს შორის ბალდახინი იდგა.

მრევლი ორ-ორი, სამ-სამი ერთად შემოდიოდა ეკლესიაში და მის წინ მწკრივებად სხდებოდნენ. სამი მეოთხედი წუთით თავებს ხრიდნენ, ვითომ ლოცულობდნენ, თუმცა სინამდვილეში არც არავინ ლოცულობდა მაშინ. მერე წელში სწორდებოდნენ და აქეთ-იქით იწყებდნენ თვალების ცეცებას. გალობა დაიწყო, რაღაც განგებით საგალობლებს შორის მისი ყველაზე საყვარელი ჰიმნი — ორხმოვანი „ლენგდონი“ წამოიწყეს. ტესმა არ იცოდა, რა ერქვა ამ საგალობელს, თუმცა კი ძალიან უნდოდა სცოდნოდა, უსმენდა გალობას და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა საოცარი და ღვთიური ძალა ჰქონია ამ ჰიმნის შემქმნელს, რომელსაც ძალუძს საფლაო ვიდან გამოატანოს და განაცდევინოს მას, ისეთ გოგონას, როგორიც ისაა, ის ემოციები და გრძნობები, რაც მხოლოდ თავად აღძვრია და განუცდია

პირველად, გოგონას, რომელსაც არასოდეს გაუგია მისი შემქმნელის სახელი და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა კაცი იყო იგი.

ისინი, ვინც წირვის დაწყებამდე აცეცებდნენ თვალებს, ვერც წირვის დროს ისვენებდნენ, სულ აქეთ-იქით ატრიალებდნენ თავს. როგორც კი ტესს მოჰკრეს თვალი, მაშინვე ატუტუნდნენ. მიხვდა ტესი, რაც აჩურჩულებდა ამ ხალხს და გული ტკივილით შეეკუმშა — ცხადი იყო, ეკლესიის გზაც დაეხშო ამიერიდან.

— დღეიდან საწოლი ოთახი, რომელშიც რამდენიმე ბავშვთან ერთად ეძინა, მის თავშესაფრად იქცა. ახლა გაცილებით მეტ დროს ატარებდა იქ, ვიდრე ოდესმე. აქ, რამდენიმე კვადრატულ იარდზე ჩალის სახურავქვეშ, უგდებდა ყურს ქარის გუგუნს, გასცქეროდა თოვლის ფიფქებსა და წვიმის წვეთებს, საოცარ დაისსა და ღამის მნათობს მისი ავსების ჟამს. ისეთი გულმოდგინებით არიდებდა ტესი ხალხს თავს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველამ გადაწყვიტა, ალბათ სადმე გაემგზავრაო.

გარეთ თავს მხოლოდ მიმწუხრის ჟამს თუ გამოყოფდა. ტყეში, საყვარელ ხეებს შორის ყველაზე ნაკლებად შეიგრძნობდა სიმარტოვეს; ნიადაგ იმ დროს ირჩევდა ჰაერზე გამოსასვლელად, ოდეს შუქი და ჩრდილები ეგრე რიგად იყვნენ შენივთულნი, რომ დღის შებორკილობა და ღამეული დაძაბულობა სრულიად აბათილებდნენ ერთურთსა და ყოველი არსი სილაღის გრძნობით იმსჭვალებოდა. ამჟამს ტვირთი არსებობისა არარაობამდე დადის ლამის. ტესს როდი აკრთობდა ჩრდილები; თითქოს მისი ერთადერთი ოცნება იყო განრიდებოდა ადამიანებს, ან უკეთ იმ გალუგებულ ლექს, რომელსაც საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ესოდენ საშიშია და მკაცრი დასად აღებული, ცალ-ცალად კი საცოდავია და შესაბრალისი.

ამ მივარდნილ ბორცვებსა და მინდვრებში მოგოგმანე ტესი ჰარმონიულად ერწყმოდა ირგვლივ გარემოს. მისი მოქნილი აღნაგობა განუყრელი ნაწილი იყო პეიზაჟისა. ჟამიდან ჟამს ქალის ახირებული ფანტაზია კიდევ უფრო აზღვავებდა ბუნებრივ მოვლენებს, რომლებიც თითქოს მისი ცხოვრების განუკვეთელი წილადნი იყვნენ, თუმცა თითქოს კი არა, მართლაც განუკვეთელნი იყვნენ, რამეთუ ცხოვრება ფსიქოლოგიური ფენომენია, ხოლო მოვლენანი ამა ბუნებისა დიახაც ისეთები იყვნენ სინამდვილეში, როგორნიც ჩანდნენ ზედაპირულად. შუაღამის სუნთქვა და ოხვრა, ჩახვეული, ჩათბუნებული კვირტებით დაფარულ ტოტებში აკვნესებული ზამთრის ქარის ყოველი შემოქროლება მწარე საყვედურის ხმებს გამოსცემდა. წვიმიანი დარი გაუნელებელ, მისი უსუსურობით აღმოცენებულ კაეშანზე მეტყველებდა, კაეშანზე, რომელსაც ვიღაც თვალით უხილავი

არსება შეეპყრო, არსება, რომელსაც ტესი თავისი ბავშვობის დღეების ღმერთად ვერ შერაცხდა, არადა ვერ ჩამხვდარიყო სხვა რა უნდა ყოფილიყო იგი.

მაგრამ ესე სამყარო, დაქუცმაცებულსა და პირობით წარმოდგენებზე დაფუძნებული, მისადმი მტრულად განწყობილი, მოჩვენებითი ხმებით დასახლებული, ტესის მცდარი და ბნელი ფანტაზიის ნაყოფი, ქიმერათა გროვა იყო, რომელიც ამაო შიშით აწამებდა მის სულსა და გულს. ჰოდა, ტესი კი არა და, სწორედ ისინი არღვევდნენ რეალური სამყაროს ჰარმონიას. ფოთლებში მიყუჟულ, მიძინებულ ფრთოსნებს შესცქეროდა, მთვარის შუქით მოფენილ ველზე მოკუნტრუშე ბაჭიებსა, თუ ეულად იდგა ხის ძირში, რომლის ტოტებში ხოხბები თვლემდნენ, თავი მუდამ უმანკოების სამეფოში შეჭრილ ცოდვის განსახიერებად მიაჩნდა. განსხვავებას კი მხოლოდ იქ ხედავდა, სადაც სინამდვილეში არც არავითარი განსხვავება არ იყო, თავს ბუნების მტრად რაცხდა და მაინც მასთან იყო შერწყმულ-შენივთული. იგი აიძულეს დაერღვია სოციალური კანონი და არა კანონი ბუნებისა, რომლის ჩარჩოებშიაც მას თავი ანომალიად წარმოედგინა.

XIV

აგვისტოს აისი ნისლს მოეშურა. მზის თბილი სხივებით დამძლავრებული ღამის სქელი ორთქლი თანდათანობით იფანტებოდა და ნაფლეთ-ნაფლეთ ეშვებოდა ხევებსა, მივარდნილ კუთხე-კუნჭულებში და უდრტვინველად ელოდა იმ ჟამს, ოდეს არარაობად იქცეოდა.

ნისლით დაბურვილ მზეს რაღაც საოცარი, ხორცშესხმული არსების სახე მიეღო და თავის შესაფერ გამოხატულებად ვაჟკაცურ სახელწოდებას მოითხოვდა და სახება იგი, მით უმეტეს რომ ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა, მყისვე გასაგებს ხდიდა ძველთაძველი საბეიზმის არსებობას. ასე იფიქრებდით, არასოდეს ცისქვეშეთში ამაზე გონიერი რელიგია არ არსებულაო. მნათობი, ოქროსდალალებიანი, სახეგაბადრული, თვალლმობიერი ღვთიური არსება, დაძაბული, ჭაბუკური ცეცხლით დასცქეროდა მისადმი ყურადღებით პირთამდე აღსავსე დედამიწას.

ცოტაც და მზის სხივმა კოტეჯების დარაბების ჭუჭრუტანებში შეაღწია, გავარვარებული ქარცახისმაგვარი ზოლები დააფინა კარადას, კამოდსა და სხვა ავეჯს, ძილი დაუფრთხო მომკელებს, რომლებიც ჯერ არ აპირებდნენ წამოდგომას.

წითლად ელვარებდა ამ დილით ყოველი, მაგრამ უფრო მეტად

მაინც შეღებილი ხის ორი განიერი ფრთა იყო გასხივოსნებული. ეს ფრთები სოფელ მარლოტის მიჯნაზე გადაშლილი მწიფე ყანის თავზე აღმართულიყო. ეს ორი ფრთა და კიდევ ორი ქვედა სამკელი მანქანის მბრუნავ მალთიურ ჯვარსა ქმნიდნენ, მანქანა გუშინ დაბინდებისას გამოიტანეს ყანაში, რათა სადღეისოდ, მუშაობის გასაჩაღებლად ყველაფერი წინასწარ მზად ყოფილიყო. ფრთების წითელი საღებავი მზის შუქზე კიდევ უფრო გამუქდა, თითქოსდა თხევად ცეცხლში ჩააყურყუმელავესო.

ყანა, როგორც იტყვიან, „გულგახსნილი“ იყო; გარს ნამგლით გამომკილი რამდენიმე ფუტის სიგანის ბილიკი ერტყა ცხენებისა და სამკელი მანქანის მისადგომად.

ორი ჯგუფი — ერთი მამაკაცებისა და ჭაბუკებისა, ხოლო მეორე — დედაკაცებისა, იმ დროს დაეშვა გზაზე, როდესაც აღმოსავლეთის მხრიდან გზაზე ჩაყოლებული ცოცხალი ღობეების ჩრდილი დასავლეთის მხარეზე ჩამწკრივებულ ბუჩქებს მისწვდა. მიმავალი ადამიანები თავებით მზეს ეგებებოდნენ, ხოლო ფეხებზე ჯერ ისევ ცისკრის ბურუსი შემოსდგომოდათ. მუშებმა გზიდან ყანისაკენ გადაუხვიეს და იქვე ქვის ორ ბოძს შუა გაიარეს, რომელიც ყანის ჭიშკარს ამაგრებდა.

გაისმა კალიის სამიჯნურო გალობისმაგვარი ჭრიჭინი. სამკელი მანქანა თავისი ვალის აღსრულებას შეუდგა. ჭიშკარს იქით მანქანა და სამი ცხენი გამოჩნდა, ისინი მანქანას ეზიდებოდნენ, ერთი მომკელი ცხენზე იჯდა, მეორე — მანქანაზე. მანქანამ ფრთების დინჯი ტრიალით ჩაუარა ყანის პირს და ბორცვს მიეფარა. ერთი წუთის შემდეგ ყანის მეორე პირზე ამოყო თავი. ჯერ წინა ცხენის შუბლზე აკიაფებულმა სპილენძის ვარსკვლავმა გაიელვა ყანაში, მერე ალისფერი ფრთები აციაგდა, ბოლოს კი მთელი მანქანა გამოჩნდა და დინჯად მიჰყვა გზას.

სამკელი მანქანის ყოველ ჩავლაზე ნაპურალის ვიწრო ზოლი თანდათან ფართოვდებოდა და რაც მაღლა იწევდა მზე, მით უფრო მცირდებოდა მოსამკელი პურის ყანა. თავთავის პატარ-პატარა გროვებს სამკალი მანქანა უკან იტოვებდა, თითოეული გროვა იმდენი იყო, რომ კონებად შეკვრა შეიძლებოდა. ჰოდა, ასეც იქცეოდნენ მკვირცხლი მკონავები, მანქანას უკან მიჰყვებოდნენ. ამკონავებად მეტწილად ქალები მუშაობდნენ, თუმცა მამაკაცებიც ერივნენ შიგადაშიგ; მათ ტანთ ჩითის გრძელი ხალათები და ტყავის ბალთებით აჭიმული შარვლები ეცვათ.

ქალებს, უფრო სწორად ქალიშვილებს, რაკიღა მათი უმეტესობა გოგონები იყვნენ, თავზე ბამბის ფურფუშელებიანი ქუდები ეხურათ,

რომ მზეს არ დაეკრა, ხელებზეც ხელთათმანები წამოეცვათ თავთავებმა არ დაგვჩხვლიტოსო. ერთს მკრთალი ვარდისფერი ზედაწელი ემოსა, მეორეს — ვიწროსახელოებიანი მოყვითალო კაბა, მესამეს სამკელის ფრთებივით ჭახჭახა წითელი ქვედაწელი. უფრო ხნიერ ქალებს — ყავისფერი ჯვალოს ჩასაცმელები. ამ დილით კაცს უნებურად თვალი მაინც უფრო ბამბის ვარდისფერ ზედაწელიან მოქნილსა და მოხდენილ გოგონაზე რჩება. იგი გამოირჩევა სხვებისაგან. თუმცა ქუდი შუბლზე ისე ჩამოუფხატავს, როცა ძნასა კრავს, სახეს ვერც გაარჩევ. მხოლოდ ქუდის ფურფუშელებზე გადმოცვენილი მუქი წაბლისფერი თმის დალალებით თუ მიხვდება კაცი მისი პირისახის ფერს. იქნებ იგი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ თავად სულაც არ ცდილობს ამას, სხვა ქალები კი ერთთავად თვალებს პრაწავენ.

საათივით მონოტონურად მუშაობს ეს გოგონა. შეკრული ძნიდან ბღუჯად აძრობს თავთავს. ასწორებს მარცხენა ხელისგულით, რომ წვერები ერთ სიმაღლეზე იყოს, მერე წელში წახრილი წინ მიიწევს, ორივე ხელით კრეფს, აგროვებს, ასხვავებს თავთავს და მუხლისთავებზე იკრავს; ხელთათმნიან მარცხენა ხელს ძნას ქვეშ გაუყოფს, გადააჭდობს მარჯვენას და თავთავს საყვარელი ადამიანივით გულში ჩაიკრავს. მერე შეაერთებს გამოძრობილ თავთავებს, მუხლისთავებით დააწვება ძნას და შეკრავს. თან დროდადრო ქარისაგან აფრიალებულ ქვედატანს ისწორებს. კაბის სახელოსა და ტყავის ხელთათმანს შუა შიშველი მკლავი მოუჩანს, რომლის ნაზი კანი, დღე რომ მიიწურება, სულ მთლად დაკაწრული და დასისხლიანებული ექნება.

შიგადაშიგ წამოდგება, წელში გაიმართება, რომ ცოტა შეისვენოს, გახსნილი წინსაფარი შეიკრას და გადავარდნილი ქუდი გაისწოროს. აი, მაშინ კი გამოანათებს ხოლმე მისი სახე — ტურფა ახალგაზრდა ქალის ოვალური სახე, ღრმა შავი თვალები და გრძელი, მძიმე ნაწნავები, რომლებიც თითქოსდა მუდარით ებღაუჭებიან ყველაფერს, რასაც გზად გადაეყრებიან. ფერმკრთალია, თანაბარი, მარგალიტივით კბილები მოუჩანს, მაყვლისფერი ბაგეები კი უფრო თხელი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ სოფლელ გოგონებს აქვთ ხოლმე.

ეს ტესი გახლდათ, დარბეიფილდი, ანუ დ'ერბერვილი, ისევ ისა და აღარც ის. თავისი არსებობის იმ ხანაში იგი გადამთიელად, უცხოდ გრძნობდა თავს ამ თუმცა კი მშობლიურ მხარეში. ხანგრძლივი განმარტოების შემდეგ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ამ კვირას ყანაში გასულიყო სამუშაოდ. მიწათმოქმედებს გახურებული მუშაობის ალო დაუდგათ. რამდენიც არ უნდა ეჯაფა ახლა ტესს შინ, ისე არ დაუფასდებოდა, როგორც ყანაში მუშაობა.

სხვა მუშა ქალებიც ასე თუ ისე, ტესივით ირჯებოდნენ ყანაში. ძნიდან ძნაზე გადადიოდნენ, ასე გეგონებოდათ, ქალების ჯგუფი კადრილსა ცეკვავსო; ძნას ძნაზე აწყობდნენ, ვიდრე ათი-თორმეტი ძნისგან ერთი ზვინი ან, როგორც იმ მხარეში ეძახდნენ, ერთი „თვალი“ არ დადგებოდა.

ისაუზმეს და კვლავ შეუდგნენ საქმეს. როგორც კი თერთმეტი საათი მოახლოვდა, კაცი შეამჩნევდა, როგორ აპირებდა წამით წამს დაფიქრებული ტესი ბორცვის თავისაკენ თვალს, თუმცა ძნებს თავს არ ანებებდა. თერთმეტ საათზე ნაპრალში — ბორცვზე ბავშვების თავები გამოჩნდა — ექვსიდან თოთხმეტ წლამდე იქნებოდნენ.

ტესს სახე შეეფაკლა, თუმცა მუშაობაზე კვლავაც არ აუღია ხელი.

უფროს გოგონას, სამკუთხედად გაკეცილი შალი მოესხა, ცალი ბოლო ნაპურალში დასთრევდა, რაღაც ეკავა ხელში, — ერთი შეხედვით კაცს თოჯინა ეგონებოდა, სინამდვილეში გრძელპერანგა ბალღი იყო. მეორე ბავშვს სადილი მოჰქონდა. მკელებმა მუშაობას თავი ანებეს, აიღეს თავთავიანთი საგზალი, ზვინის გარშემო ჩამწკრივდნენ და სადილობას შეუდგნენ. მამაკაცები გულუხვად ასხამდნენ ქვის დოქებიდან ლუდს თასებში და ერთმანეთს სთავაზობდნენ.

ყველაზე ბოლოს ტესმა ანება თავი მუშაობას. წავიდა ამხანაგებისაკენ და ზურგშექცეული ჩამოჯდა ზვინის ძირას. როცა მოკალათდა, ერთმა მუშაკაცმა, ბაჭიის ბეწვისქუდიანმა, ქამარზე წითელი ხილაბანდი რომ ჰქონდა ჩამოკონწიალებული, ტესს ლუდით სავსე თასი გაუწოდა. ტესმა უარი უთხრა შემოთავაზებულ სასმელზე. გაშალა სადილი დაუძახა თავის დას და ბავშვი ჩამოართვა. ასეთი ტვირთისაგან განთავისუფლებით გახარებულმა გოგონამ მიაჩეჩა ბავშვი და მაშინვე მეორე ზვინისაკენ გაიქცა ბავშვებთან სათამაშოდ. ალეწილმა ტესმა ქურდულად, თანაც თამამად შეიხსნა ზედატანი და პაწიას ძუძუ მისცა.

ახლომახლო მსხდარმა მამაკაცებმა თავაზიანად იბრუნეს პირი, ზოგიერთებმა გააბოლეს, ზოგი კი, დაბნეული სიყვარულითა და სინანულ ლით უცაცუნებდა ხელს გამოცლილ დოქს. დედაკაცები ცხარედ აქაქანდნენ, თან დროდადრო უკან გაკრულ თმებზე ისვამდნენ ხელს.

როდესაც პაწია დანაყრდა, ახალგაზრდა დედამ მუხლებზე დაისვა ბავშვი, ანანავებდა, თან შორეთს გასცქეროდა. სიძულვილისმაგვარ უსიამო გულგრილობას შეეპყრო იგი: მერე უეცრად კოცნა დაუწყო ბალღს, კოცნიდა, კოცნიდა გაშმაგებული, თითქოს ვერ გამძღარიყო, ამ ზიზღნარევი ვნებიანი კოცნით შემკრთალმა ბავშვმა ღრიალი მორთო.

— ბევრიც რომ მალოს ბავშვი მაინც უყვარს ტესს. თავად რომ ჰკითხო, ნეტავ ორივე მოგვკლა და კუბოში ჩაგვაწვინაო, იძახის — თქვა წითელქვედატანიანმა ქალმა.

— აი, დაინახავ მალე სულ სხვანაირად დაიწყებს სიმღერას — გამოეპასუხა მეორე ყავისფერქვედატანიანი ქალი, ეჰ, ნურაფერი გაგიჭირდება თორემ, რაღას არ შეეჩვევი კაცი!

— ეტყობა, არც ისე იოლი იქნებოდა მაგასთან საქმის დაჭერა. შარშან, ერთხელ ღამით თურმე ნაკრძალში ქვითინი გაუგონიათ, დროზე მიესწროთ — ვიღაცას ცუდად წაუვიდოდა საქმე.

— რაც იყო, იყო. აფსუს რა გინდა, რა ყოველთვის ლამაზებს ემართებათ ასე. მახინჯებს რა უშავთ, არიან თავისთვის ეკლესიებივით. შიშით მაგათ არავისი ეშინიათ და საფრთხეც არავისგან მოელით. ტყუილს ვამბობ, ჯენი? — მოუბრუნდა მოსაუბრე ერთ ქალს, რომელზეც არამც და არამც არ იტყოდით, მახინჯიაო.

— მართლაც ასგზის და ათასგზის სავალალო იყო ეს ამბავი, მტერი რომ მტერია, იმასაც შესძრავდა ეს ყვავილის ბუტკოსავით ბაგეგაპობილი ქალი, მისი ფართო, მოალერსე თვალები, რომლებიც არც შავი იყო და არც ცისფერი, არც ნაცრისფერი და არც იისფერი, თუმცა კი ერთად მოიცავდა ყველა ამ და ას სხვა ფერს და თუ მის ფერად გარსს ჩააცქერდებოდით, უძირო გუგის გარშემო ჩაწოლილ ათასგვარ ფერსა და ელფერს დაინახავდით. ჰო, მტერსაც კი შესძრავდა ამ, მართლაცდა უბიწო ქალის ხილვა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ მის წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ წინდაუხედაობას.

თავად ტესისთვისაც მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ მოიყვანა იგი დღეს აქ ველზე. თავდაპირველად მთრთოლვარე გულს უღრღნიდა და აწამებდა სინანულის ყველა მწველი სატანჯველი. მერე კი თითქოს გონება გაუნათდაო, იგრძნო, რომ კარგს იზამდა თუ კვლავაც გამოადგებოდა ვიღაცას. კვლავაც იგემებდა დამოუკიდებლობის სიტკბოებას, რადაც უნდა დაჯდომოდა იგი. წარსული მაინც წარსულია და, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც განვლილია, რა შედეგებიც არ უნდა მოჰყოლოდა, დროის მსახვრელი ხელი უცილოდ დათრგუნავდა, — გაივლის წლები და დადგება დღე, ოდეს ეს შედეგები სამუდამოდ გაქრება ყველასათვის, ხოლო თავად მას მიწა შეჭამს და დავიწყებას მიეცემა.

ხეები კი კვლავინდებურად აყვავილდებიან. ჩიტუნები ისევე იჟღურტულებენ, როგორც ჟღურტულებდნენ და მზეც ისევე გაათბობს ირგვლივ ყოველს, როგორც გაუთბია. მის ნაცნობ ბუნებას არ და-

ანაღვლიანებს მისი დარდი და კაეშანი, არ ასტკივდება მისი სატკივარი.

ტესს ერთი რამ უნდა შეეგნო კარგად: ის, რამაც აიძულა ეგრე რიგად დაბლა დაეხარა თავი, — თითქოს მისი მდგომარეობით დაინტერესებულნი იყვნენ ყველანი, — ილუზიებზე იყო დამყარებული. არავის, საკუთარი თავის გარდა, არ ესაქმებოდა არც მისი ცხოვრება, არც მისი წარსული, არც მისი ვნებები და განცდები. სხვას ათასში ერთხელ თუ გაახსენდებოდა იგი, არც მეგობრები იცხელებდნენ ეგრე რიგად თავს მასზე ფიქრით. ტეს, რომ სამუდამოდ გაეუბედურებინა თავი, ისინი ალბათ იტყოდნენ „საწყალი, თვითონ იუკუღმართებს ბედსაო“. რომ ეცადა და გამხიარულებულიყო, განედევნა ყველა საზრუნავი, გახარებულიყო დღისა და მზის შუქით, ყვავილებით, ბავშვებით, ისინი ალბათ იფიქრებდნენ: ყოჩაღად უჭირავს თავიო“. მარტოდმარტო რომ ყოფილიყო უკაცურ კუნძულზე, განა ასე ინაღვლებდა იმაზე, რაც თავს გადახდა? — არამც და არამც. რომ შეიძლებოდა ყოფილიყო შემოქმედის ხელთაგან სულ ახლახან ხორცშესხმული მარტოხელა ქალი, მშობელი დედა უსახელო შვილისა, რომელსაც არაფერი გაეგება ამქვეყნიური ამაოებისა, განა შეძლებდა თავისი მდგომარეობით სასოწარკვეთილებამდე მისვლას? — არა. იგი აღუშფოთებლად და მშვიდად აღიქვამდა ყოველივეს და მხოლოდ სიხარულს ჰპოვებდა მასში. სევდა და კაეშანი მისი არსებიდან კი არ მოდიოდა, სოციალურმა პირობითობებმა შექმნეს იგი.

როგორადაც არ უნდა განესაჯა ტესს, რაღაცამ წააქეზა, გაუღვიძა სურვილი ჩაეცვა წინანდებურად მოხდენილად, და ველზე სამუშაოდ გასულიყო, რაკი მუშახელზე ახლა დიდი მოთხოვნილება იყო. აი, რატომ ეჭირა თავი ღირსეულად და მშვიდად შეჰყურებდა ადამიანებს თვალებში მაშინაც კი, როდესაც მკერდზე იკრავდა ყრმას.

მუშა ხალხი წამოდგა ძნებიდან, გამართეს ხელ-ფეხი. ყალიონები ჩააქრეს, გამოშვებული და გამაძღარი ცხენები კვლავ შეაბეს წითელ მანქანაში. ტესმა სახელდახელოდ წაიხემსა, დაუძახა დას, გადასცა ბავშვი, შეიბნია საკინძე, წამოიცვა ტყავის ხელთათმანები და წელში წახრილმა კვლავ გამოაძრო თავთავის ბღუჯა ბოლოს შეკრული ძნიდან, რათა ახალი შეეკრა.

მთელი ნაშუადღევისა და სამხრობის შემდეგაც არ შეფერხებულა მუშაობა. ტესი დაბინდებამდე კრავდა ძნებს. მერე კი ყველანი დიდი ფურგონით ერთად გაემგზავრნენ შინისაკენ. გზად დიდი, მრგვალი, მიმქრალი მთვარე აედევნათ, იგი აღმოსავლეთით ამოცურებულიყო და ძალზე მიაგავდა რომელიღაც ტოსკანელი წმინდა-

ნის ჭიისაგან დაჭმულ, მოოქროვილ გვირგვინს. ამხანაგები მღეროდნენ, თანაგრძნობას იჩენდნენ ტესისადმი და გულით ხარობდნენ, რომ ბოლო მოეღო მის კარჩაკეტილობასა და განმარტოებას. თუმცა მაინც ვერ მოახერხეს, ეშმაკურად არ გაეკენწლათ. ბალადაში, რომელსაც ისინი მღეროდნენ ერთ ქალიშვილზე იყო მოთხრობილი — გოგონა წავიდა ტყეში, შრიალა, ამწვანებულ ტყეში, იქიდან კი ისეთი ვეღარ დაბრუნდა, როგორიც წავიდა. მაგრამ ცხოვრებაში ყოველი და ყველაფერი წონასწორდება და ნაზღაურდება. ამავე გარემოებამ, რამაც იგი გარემომყოფთათვის ერთგვარ გაფრთხილებად აქცია, კარგა ხნით დიდი ინტერესის საგანი გახადა მთელ სოფელში. ამხანაგების გულითადობას შემოსეული ფიქრები სხვა საგანზე გადაჰქონდა მათი მხიარულება გადამდები იყო და ტესსაც ხალისით გაეღო გულის კარი.

მაგრამ ახლა, როცა მისი მორალური ნაღველი იფანტებოდა, აღმოცენდა ახალი უბედურება, რომელიც შეეხო ინსტინქტს და არა სცნობდა არავითარ სოციალურ კანონებს. შინ მოსულს ელდა ეცა: ბავშვი დღისით უეცრად ავად გამხდარიყო, თუმცა რა გასაკვირია, ისეთი პაწია და უსუსური იყო. ძრწოლამ აიტანა ტესი.

დედა-ქალიშვილს გადაავიწყდა, რომ ყრმამ ამქვეყნად თავისი მოსვლით ჩირქი მოსცხო საზოგადოებას. როგორ სწყუროდა დედას, არ ჩამოერეცხა ეს შეურაცხყოფა და შეენარჩუნებინა ჩვილის სიცოცხლე. მაგრამ უმალ გაირკვა, — თურმე სხეულის პაწია ტყვის გათავისუფლების საათი უფრო ადრე ჩამოჰკრავდა, ვიდრე ამას თვით ყველაზე უარესი საშიშროებანი წინასწარმეტყველებდნენ, როცა დარწმუნდა ამაში, ტესი სევდამ შეიპყრო, არა მხოლოდ ბავშვის დაკარგვით გამოწვეულმა სევდამ, არამედ იმანაც, რომ ყრმა მონათლული არ იყო.

ბოლოს და ბოლოს ტესი მორჩილად და უდრტვინველად შეურიგდა ბედს. თუ უწერია ჩადენილი ცოდვების გამო ჯოჯოხეთში დაწვა, დე, დაიწვას, მორჩა და გათავდა. სოფლელი გოგონების მსგავსად ტესიც ღრმად იცნობდა საღმრთო წერილს. კეთილსინდისიერად ჰქონდა შესწავლილი აჰოლასა და აჰოლიბას ისტორია და კარგად იცოდა, რა დასკვნებიც უნდა გამოეტანა იქიდან. მაგრამ როცა იგივე ამბავი მის ბავშვს შეეხო, მან უკვე სრულიად სხვა ელფერი მიიღო. მისი თვალისჩინი კვდებოდა და ხსნა არ იყო.

გვიან ღამით ტესმა ჩამოირბინა კიბე და იკითხა, თუ შეიძლება კაცის გაგზავნა მღვდელთანო. ეს ის დრო იყო, როცა ტესის მამა განსაკუთრებით დიდად ამაყობდა საკუთარი გვარის დიდებული წარ-

მოშობით და ავადმყოფურად მწვავედ განიცდიდა, რომ ასეთი სამარცხვინო ლაქა მოსცხო ტესმა მათ კეთილშობილებას: ეს-ესაა მობრუნებულიყო მისტერ ჯონი ჩვეული ლოთობის შემდეგ როლივერის დუქნიდან.

— არა, ვერც ერთი მღვდელი ვერ გაბედავს შევიდეს მის სახლში და ცხვირი ჩაყოს მის საქმეებში. ახლა, როცა ტესს ასეთი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, უფრო მეტად იყო საჭირო ყველაფრის მიჩქმალვა, ვიდრე ოდესმე. ჯონმა დაკეტა კარი და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

შინაურები დასაძინებლად მიწვნენ. უსაზღვროდ სასოწარკვეთილი ტესი თავისი ოთახისაკენ გაემართა. წარამარა ეღვიძებოდა. შუაღამისას დარწმუნდა, რომ ბავშვი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. კვდებოდა პაწია — წყნარად, უდრტვინველად, და მაინც კვდებოდა. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი, კაეშნით აღსავსე ტესი ირწეოდა. შუაღამის პირველი საათი იყო. ასეთ დროს, ჩვეულებრივად, აზრი და ფანტაზია ამსხვრევენ ბორკილებს და ბოროტი შესაძლებლობები უძლეველი და შეურყეველი ფაქტების ძალას იძენენ. ბავშვი, — ფიქრობდა ტესი, — ჯოჯოხეთში საშინელი ტანჯვისა და წამებისათვისაა განწირული, რადგან ორგზისაა ბრალდებული — როგორც მოუნათლავი და როგორც უკანონოდ შობილი. აი, როგორ წამოაგო სატანამ ყრმა სამკბილა ფიწალზე. ასეთი ფიწლებით ისინი ხომ პურის გამოცხობის დროს საწვავს ყრიდნენ ღუმელში. ამ მტანჯველ ხილვას ტესმა კიდევ მტანჯველი წამების უცნაური და უაზრო დეტალები დაუმატა, რომელსაც ჩვეულებრივად ამა ქრისტიანული სამყაროს ახალგაზრდობას აცნობენ ხოლმე, მიძინებული სახლის მდუმარებაში ისეთი ძალით მოიცვა საშინელმა წინათგრძნობამ მისი წარმოდგენა, რომ მთელი ღამისპერანგი დაუსველდა ოფლისაგან, გული კი ისე უცემდა, მთელი საწოლი ირყეოდა.

პაწიას თანდათან უჭირდა სუნთქვა. სატანჯველიც დედას თანდათან უმძიმდებოდა. აღარაფერი გამოდიოდა ბავშვის უსასრულო კოცნით, აღარც ლოგინში გაჩერება შეეძლო მეტად და ხურვებაშეყრილივით ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

— ოჰ, უფალო ღმერთო, მოიღე მოწყალება და შეიბრალე ჩემი ბედშავი პირმშო! — მხურვალედ შესთხოვდა იგი, — გევედრები, მე დამატეხე თავს ყველა შენი რისხვა, ოღონდ შეიცოდე საწყალობელი ყრმა!

ტესი კამოდს მიეყრდნო და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულით ევედრებოდა განგებას. უეცრად შეაჟრჟოლა.

— იქნებ შეიძლება ბალღის გადარჩენა. იქნებ არცა ჰქონდეს ამას

მნიშვნელობა?..

ტესის ხმაში ისეთი სიხარული გაისმა, გეგონებოდათ მისი სახე ახლა გაანათებს ირგვლივ ჩამომდგარ ბინდბუნდსო.

სანთელი აანთო, მეორე და მესამე საწოლთან მივიდა, გააღვიძა თავისი პატარა და-ძმები, რომელთაც იქვე, იმ ოთახში ეძინათ. გასწია პირსაბანი, რომ უკნიდან შემოევლოთ, დოქიდან ტაშტში გადმოასხა ცოტაოდენი წყალი, დააჩოქა ბავშვები და ზეაღმართული ხელის მტევნები ერთმანეთზე მიადებინა. სანამ ჯერ კიდევ ძილმღვიძარა, მისი საქციელით შემკრთალი ბალღები მუხლებზე იდგნენ და ნამძინარევ თვალებს აჭყეტდნენ, ტესმა ამოიყვანა დედიშობილა ბავშვი. ისეთი პაწია იყო ბალღი, რომ მეტად ძნელი იყო „დედა“ გეცოდინებინათ მისთვის, ვინაც იგი შობა. წელგამართული იდგა ტესი წყლიანი ტაშტის წინ და ხელში ჩვილი ეჭირა. მის წინ კი მისი დაიკო იდგა და ხელში გადაშლილი ლოცვანი ეკავა, ეკლესიაში მღვდლის წინ მდგარი მსახურივით. გოგონას თავისი პირმშოს მონათვლა განეზრახა.

ტანწერწეტი და დიდებული ჩანდა ტესი თავის თეთრ ღამის პერანგში. წელამდე სცემდა მსხვილ ნაწნავად დაშვებული შავი თმა. საცოდავი სანთლის მქრქალი შუქი ჩქმალავდა მისი სახისა და სხეულის იმ პატარ-პატარა ხარვეზებს, რომელიც მზის შუქზე აშკარა იყო — თავთავის განაკაწრები ხელებზე და დაღლილობით დაბინდული მისი თვალები. აღტაცებას გარდაექმნა ტესის სახე, რომელმაც დაღუპა იგი, უცოდველად მშვენიერი გახადა და მეფური ღირსების ბეჭედი დაადო. მის ირგვლივ მუხლებზე დაჩოქილნი ახამხამებდნენ ძილისაგან მიბლეტილ დაწითლებული თვალების ქუთუთოებს და გაოცებულნი დაძაბული ადევნებდნენ თვალყურს დის სამზადისს. დაქანცულებს ამ გვიან ღამით არაფრის თავი და არაქათი არა ჰქონდათ.

ყველაზე უფრო შთაბეჭდილებიანმა მაინც იკითხა: — მართლა უნდა მონათლო, ტეს? ფიქრებში გაბჭობილმა გოგონა-მშობელმა თავი დაუკანტურა.

— რას დაარქმევ?

ამაზე ტესს არ უფიქრია, მაგრამ დაბადების წიგნიდან ამოღებული ერთ-ერთი ფრაზით ჩაგონებული სახელი გაახსენდა ახლა, როცა ნათლობის ცერემონიალს შეუდგა და წარმოთქვა:

— სოროუ! მირონსა გცხებ შენ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა...

მან ასხურა ჩვილს წყალი, ირგვლივ მდუმარება ჩამოწვა.

— ბავშვებო! თქვით — „ამინ“. ბავშვებმა წამოიკნავლეს: — ამინ!

ტესმა განაგრძო: — ჩვენ წარვიყვანთ მას ყრმასა...

— და ასე შემდეგ, — და ვსახავთ ჯვარს...

მან ხელი ტაშტში დაისველა და საჩვენებელი თითით გულმოდგინედ შუბლზე დიდი ჯვარი გამოუსახა. თან მხურვალედ იმეორებდა ლოცვანის სიტყვებს: იგი ვაჟკაცურად შეებრძოლება ცოდვებს, ამ ქვეყნიურ ამაოებასა და ეშმაკს, მარად ერთგული მონა და მებრძოლი დარჩება თავისი სიცოცხლის ბოლომდე.

— ტესმა ბეჯითად წარმოთქვა „მამაო ჩვენო“, ბავშვები კი თითქოს კოღოები წუიანო, იმეორებდნენ მის მიერ წარმოთქმული ლოცვის სიტყვებს და ბოლოს, ეკლესიის მსახურებივით სიჩუმეში კვლავ წამოიკნავლეს: „ამინ!“ — მაშინ ამ საიდუმლოების ზემოქმედების ძალაში ღრმად დარწმუნებულმა მათმა დამ გულის სიღრმიდან აღმოთქვა მადლიერების ლოცვა. თამამად და აღფრთოვანებული იმეორებდა იგი ამ სიტყვებს. ღუღუნა, მჟღერი ხმით ლაპარაკობდა და სულსა და გულს ატანდა თან. მთელი სიცოცხლე ვერ დაივიწყებს ამ ხმას ის, ვინც კი ტესს იცნობდა რწმენით აღძრულმა აღტყინებამ თითქოს გაასხივოსნა იგი და ნათელი მოჰფინა სახეზე. ღაწვებზე წითელი ლაქები დააჩნდა. პაწაწინა სანთლის თავდაყირა დაკიდებული ალი ალმასივით უბრწყინავდა გუგებში. ბავშვები სულ უფრო დიდი მოწიწებითა და სასოებით შესცქეროდნენ, კითხვების მიცემის სურვილიც აღარა ჰქონდათ. ის ახლა უკვე აღარა ჰგავდა მათ „დაიკოს“. რაღაც დიდ დიდებულ და მრისხანე ღვთიურ არსებად ქცეულიყო, რომელთანაც აღარავითარი საერთო აღარა ჰქონდათ.

საბრალო სოროუს შერკინებას ცოდვებთან, ამქვეყნიურ ამაოებასა და სატანასთან დიდი ხანი არ ეწერა, — შესაძლოა მისდა საბედნიეროდ, თუ მხედველობაში მივიღებთ მის პირველ ნაბიჯებს ცხოვრებაში. ლურჯი განთიადის ჟამს ამ უნიათო მეომარმა და ღვთის მონა-მორჩილმა უკანასკნელად ამოიღო სული. როდესაც ბავშვებმა გაიღვიძეს, მწარედ აქვითინდნენ და დაიკოს შეევედრნენ კვლავაც ეშოვა ერთი ასეთი ლამაზი პაწია.

სიმშვიდეს, რომელმაც ნათლობის შემდეგ მოიცვა ტესი, არც ბავშვის სიკვდილისას მიუტოვებია იგი. როცა ინათა, ისიც კი გაივლო გულში, მეტისმეტად ხომ არ გავაზვიადე და ზედმეტად ხომ არ მეშინოდა ბავშვის სულის გამოო. ასე იყო თუ ისე, ტესი სჯიდა: თუ განგება არ დაუდასტურებს ადათს, არც არად უღირს ადათ-წესის შებღალვით დაკარგული სამოთხის ნეტარება, და არად სჭირდება იგი არცა მას და არც მის ყრმას.

ასე მიიბარა საბრალო სოროუ უფალმა, ეს არასასურველი და

დაუპატიჟებელი სტუმარი, ეს უკანონო ნაბოძარი უსირცხვილო ბუნებისა, რომელიც პატივს არა სცემდა სოციალურ კანონებს. ამ გზაგაბნეული არსებისათვის დროის მარადიულობა დღეებით შემოიფარგლა მხოლოდ მან არა უწყოდა რა, არც დღეებისა და არც საუკუნეების: მისთვის დ'ერბერვილების სახლის ზედა სართული ოთახი იყო მთელი სამყარო, ამინდი ერთი კვირის მანძილზე — ჰავა, ჩვილობა — მთელი ადამიანური ცხოვრება, ხოლო დედის ძუძუს წოვის ინსტინქტი — მთელი ცოდნა.

— თუმცა კი ბევრი იფიქრა ნათლობაზე ტესმა, მაინც არ უწყოდა საკმაო იყო თუ არა, დოგმის თვალსაზრისით, ნათლობის ამ წესის აღსრულება ბავშვის ქრისტიანულად დამარხვისათვის. ვერც ვერავინ მისი ცემდა პასუხს ამ კითხვაზე სამრევლო მღვდლის გარდა. ეს უკანასკნელი კი სულ ახალი ჩამოსული იყო მათ მხარეში და არც იცნობდა ტესს. დაბინდდა თუ არა გოგონა მაშინვე მისი სამყოფელისაკენ გაეშურა. მაგრამ ჭიშკართან შედგა, გამბედაობა აღარ ეყო შინ შესულიყო: ალბათ ხელსაც აიღებდა განზრახვაზე, უკან მობრუნებულს გზად რომ არ შემოჰყროდა იგი. სიბნელეში ისე აღარ ეჩოთირა სათქმელი.

— მინდოდა მცირე რჩევა-დარიგება მიმეღო თქვენგან, სერ.

მამაო მოემზადა მოსასმენად. ტესმა უამბო ბავშვის ავადმყოფობისა და სახელდახელო ნათლობის ამბავი.

— ახლა ეს მიბრძანეთ, სერ, — დასძინა ტესმა სერიოზულად, — ამას ექნება მისი სულისათვის იგივე მნიშვნელობა და ძალა, რაც ვთქვათ, თქვენ რომ მოგენათლათ?

პროფესიონალის სავსებით ბუნებრივი გრძნობით შეპყრობილი პასტორი, გაიგო თუ არა, რომ საქმე, რომლის აღსრულებაც თავად ეკუთვნოდა, მის გამოუცდელ მსახურთ აეღოთ თავზე, მზად იყო უარი ეთქვა, მაგრამ ღირსებამ, რომლითაც ეს გოგონა ლაპარაკობდა და იმ უცნაურმა სინაზემ, მის ხმაში რომ გამოსჭვიოდა, უფრო კეთილშობილურ გრძნობებზე იმოქმედეს — უფრო სწორად, იმაზე, რაც სკეპტიციზმისათვის ფორმალური რწმენის მისანიჭებლად გაწეული ათი წლის ბეჯითი შრომის შემდეგ კიდევ შემორჩენოდა: მასში ადამიანი ღვთის მსახურს ებრძოდა და გამარჯვება ადამიანს დარჩა.

— შვილო ჩემო, — უთხრა ბოლოს, — ეგ სულერთია.

— ესე იგი, თქვენ არ იტყვით უარს ქრისტიანულად დამარხვაზე? — მოუთმენლად იკითხა ტესმა.

მღვდელი მიხვდა რომ მახეში გაება.

ოდეს შვილის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, მან ვითარც კეთილსინდისიერმა კაცმა, არ დაიზარა, უმალ მივიდა წესის ასაგებად. შინ რომ არ შეუშვეს, ეს ტესის მამის ბრალი იყო და არა თავად ტესისა, მაგრამ აბა, მან რა უწყოდა. ჰოდა, არ შეეძლო, ან, უფრო სწორად, არ სურდა, ადათის აღსრულების უსწორობა აუცილებლობით გაემართლებინა.

— ჰო, ეს უკვე სხვა საქმეა, — თქვა მან.

— სხვა საქმეა... რატომ? — გულზე ცეცხლი მოედო ტესს.

— მე სიამოვნებით აღვასრულებდი თქვენს ნება-სურვილს, საქმე მხოლოდ ჩვენ ორს რომ გვეხებოდეს. მაგრამ ახლა არ შემიძლია!... ზოგიერთ მიზეზთა გამო.

— როგორც გამონაკლისი, სერ! — მართალი გითხრათ, არ ძალმიძს.

— სერ, მიიღეთ მოწყალება! — შესძახა ტესმა და ხელი ჩასჭიდა. ღვთის მსახურმა ხელი გამოგლიჯა და თავი გადააქნია.

— იცოდეთ, აღარ მეყვარებით, — გაცხარდა ტესი, — და აღარასოდეს აღარ მოვალ თქვენს ეკლესიაში.

— ღმერთს ნუ სცოდავთ, ნუ ლაპარაკობთ განუსჯელად.

— იქნებ მისთვის სულერთიც იყოს მისცემთ თუ არ მისცემთ ქრისტიანული დამარხვის უფლებას. ოღონდ ღვთის გულისათვის, ნუ მელაპარაკებით, როგორც წმიდანი ცოდვილს, მელაპარაკეთ, როგორც ადამიანს, უბედურ ადამიანს!

როგორ შეუგუა ღვთის კაცმა თავისი პასუხი მკაცრ ცნებებს ამ საგანზე, რომელთაც იგი ვითომცდა მკაცრად იცავდა, ერისკაცი ვერ განმარტავს, თუმცა გამართლებით'კი შეუძლია გაამართლოს. ქალის მწუხარებით ცოტა არ იყოს გულმოლბობილმა მღვდელმა კვლავ განუმეორა:

— სულერთია.

— იმავე საღამოს წაიყვანეს ჩვილი სასაფლაოზე ნაძვის ხის ყუთით, რომელსაც ზემოდან ქალის ძველისძველი შალი ჰქონდა გადაფარებული, და ერთი შილინგისა და ერთი ტოლჩა ლუდის ფასად, რომელიც მესაფლავეს გადაუხადეს ფარნის შუქზე, ღვთის ბაღჩის იმ უბადრუკ კუთხეში ჩაფლეს, სადაც ღვთისავე ნებით ხარობს ჭინჭარი, სადაც მარხავენ ყველა მოუნათლავ ყრმას, ყბადაღებულ ლოთებს, თვითმკვლელებსა და ყველას — ვისი სულიც დასაღუპავადაა განწირული. უსიამოვნო გარემოს მიუხედავად, ტესი ერთ საღამოს ჩუმად შეიპარა სასაფლაოზე, ხის ორი ნაჭრისაგან პატარა ჯვარი გააკეთა, ერთმანეთს თოკის ნაგლეჯით გადააბა, ყვავილებით მორთო და საფლავის თავთან ჩაარჭო, ფეხებთან კი, რომ არ დამჭკნარიყო,

წყლით სავსე ქილა დაუდგა და შიგ ისეთივე ყვავილების თაიგული ჩადო, გარეშე თვალი აუცილებლად შენიშნავდა წარწერას ქილაზე — „კილუილის მარმელადი“, მაგრამ აბა, ეს რა ბედენაა, მოსიყვარულე თვალი დედისა რომლის გონებაც რაღაც სხვას, უფრო ამაღლებულს ჭვრეტდა, ვერ ამჩნევდა ამას.

XV

„ხანგრძლივი ხეტიალის შემდგომ, — ამბობს როჯერ ეშელი, — გამოცდილება საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ უმოკლესი გზა“. მაგრამ ძალზე ხშირად სწორედ ეს: ხანგრძლივი ხეტიალი გვართმევს მოგზაურობის გაგრძელების საშუალებასაც. მაშ, რაღა აზრი აქვს ჩვენს გამოცდილებას? ჰოდა, ტესის გამოცდილებაც სწორედ ასეთი უსარგებლო გახლდათ. ბოლოს და ბოლოს მიხვდა იგი, რაც უნდა ეკეთებინა, მაგრამ აბა, ვიღას სჭირდებოდა ახლა მისი ნაკეთები საქმე!

ტესი რომ დ'ერბერვილებთან გამგზავრებამდე გულისყურით მიჰყოლოდა ცხოვრებაში იმ ნაირგვარ ბრძნულ შეგონებებს, რომელნიც ბავშვობიდანვე კარგად იყო ცნობილი მისთვისაცა და მთელი ქვეყნისათვისაც, ეჭვი არაა, ვერასოდეს ვერავინ მოატყუებდა, მაგრამ არ ძალუძდა, ისე როგორც არავის არ ძალუძს, შეეგრძნო მთელი ჭეშმარიტება იმ ძვირფასი შეგონებებისა, ვიდრე მათ კიდევ შეეძლოთ სარგებლობის მოტანა. წმინდა ავგუსტინესა და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ მისთანასთან ერთად ტესს შეეძლო ღვთისათვის ეთქვა — „ღმერთო მაღალო, შენ უკეთესი გზით სიარული მირჩიე, ვიდრე იგია, რომელზეც მომეც ნებაი მევლო“.

ზამთრის თვეები ტესმა მამისეულ სახლში გაატარა. ფრთას აცლიდა ფრინველს, აპურებდა ბატებსა და ინდაურებს. და-ძმებს ტანსაცმელს უკერავდა იმ ნაჭრებისაგან, რომელიც დ'ერბერვილმა უსახსოვრა, მან კი ზიზღით გვერდზე გადადო. ტესს არ სურდა დასახმარებლად მისთვის მიემართა. ხშირად თავზე შემოიწყობდა ხელებს და ფიქრობდა, — სხვებს კი ეგონათ, გულმოდგინე მუშაობაშია ჩაფლულიო, მიდიოდა დღეები და ტესი საოცარი ფილოსოფიური სიმშვიდით აღნუსხავდა თარიღებს, წელიწადის იმ ბრუნვაში: კატასტროფა ნაკრძალის ბნელ ფონზე ტრენტრიჯში, ბავშვის დაბადებისა და გარდაცვალების დღეები, თავისი დაბადებისა და კიდევ სხვა თარიღები, რომლებიც განსაკუთრებული მოვლენებით გამოირჩეოდა და რომლებშიც თავად იღებდა მონაწილეობას.

ერთხელ როდესაც სარკეში თავის ლამაზ სახეს შესცქეროდა,

უეცრად გაახსენდა, რომ არსებობდა კიდევ ერთი თარიღი, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ სხვა თარიღებს — დღე მისი აღსასრულისა, ოდეს გაქრება, მისი მომხიბლაობა, დღე რომელიც ცბიერად გალურსულიყო წელიწადის სხვა დღეებს შორის და ხმას არ იღებდა, ჩქამსაც არ გამოსცემდა, როცა ტესი ყოველწლიურად გადაეყრებოდა ხოლმე მას. არადა მაინც არსებობდა და გარდაუვალიც იყო, რომელი რიცხვი იქნებოდა ეს დღე? რად არ ეშლებოდა იმ დროს ეს სხეული ეგრე მაგარი, რად არ დნებოდა და ცის ნამად არ იქცეოდა, ოდეს გადააწყდებოდა ხოლმე ყოველწლიურად ამ ცივ ნათესავს? ჯერიმი ტეილორის სიტყვები გაახსენდა — ოდესმე ისინი, ვინც მას იცნობდა იტყვიან: დღეს ესა და ეს რიცხვია, ამ დღეს გარდაიცვალა საწყალი ტეს დარბეიფილდიო. და ამ სიტყვებში არაფერი მოეჩვენებათ უცნაური. მან არ იცოდა, რომელ თვეს, კვირასა და წელიწადის რომელ დროს დაემთხვეოდა ეს დღე, დღე, როს უნდა შემდგარიყო მისთვის დროთა სრბოლა.

ჰოდა, ასე მეყვსეულად, უბრალო, მარტივი ქალიშვილი კინაღამ რთულ, მრავლის გამგონე, მრავლის მნახველ ქალად გადაიქცა. გაუთავებელმა ფიქრმა დაღი დააჩინა მის სახეს. ზოგჯერ ტრაგიკული ნოტიც აჟღერდებოდა მის ხმაში. თვალები თითქოს უფრო გაუფართოვდა, უფრო აზრიანი და გამომხატველი გაუხდა. ლამაზი ქალიაო, იტყოდით. მომხიბლავი და მიმზიდველი იყო მართლა. სული მისი კი ვერ დაემსხვრია და ვერ გაებოროტებინა უკანასკნელი ერთი თუ ორი წლის მძიმე გამოცდილებას. საზოგადოებრივი აზრი რომ არა, ყოველივე განცდილი და გადატანილი მისთვის უბრალოდ კარგი გაკვეთილი იქნებოდა და სხვა არაფერი.

ბოლო ხანებში ტესი ისე განდეგილივით ცხოვრობდა, რომ მისი უბედურება, რომელსაც მაინცდამაინც დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია მარლოტში, სულაც გადაავიწყდათ. მაგრამ ტესისთვის ნათელი გახდა, რომ ვერასოდეს იგრძნობდა თავს თავისუფლად იქ, სადაც ხალხი მოწამე იყო მისი ოჯახის მარცხიანი ცდისა „გამოეცხადებინათ თავი“ ნათესავებად და მისი საშუალებით უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა მდიდარ დ'ერბერვილებთან. ყოველ შემთხვევაში, იგი ვერ იგრძნობს თავს კარგად ამ არემარეში, ვიდრე მრავალი წელი არ წარხოცავს მისი მეხსიერებიდან ყოველივე მომხდარს. მაგრამ ტესი ახლაც გრძნობდა, როგორ ფეთქავდა იმედებით გამთბარი სიცოცხლე მასში ბედნიერადაც კი შეეძლო ეცხოვრა სადმე სხვაგან, სხვა მხარეში, სადაც მოგონებები არ აუფორიაქებდა სულს. წარსულისაგან და საერთოდ ყოველივე იმისაგან გაქცევა, რაც ამ წარსულთან იყო დაკავშირებული, ნიშნავდა ამ წარსულის

განადგურებას, ამისათვის კი სადმე გამგზავრება იყო აუცილებელი. „სამუდამოდ დაღუპულია განა ერთხელ დაკარგული უმანკოება?“ — ხშირად ჩაკითხავდა ტესი თავს. რომ შეძლებოდა ფარდა აეფარებინა წარსულისათვის, ტესი დაგიმტკიცებდათ, რომ ეს ასე არ იყო. ხელმეორედ აღორძინების ძალით, რომელიც მართავს ორგანულ ბუნებას, ეჭვგარეშეა, არც უმანკოების უარყოფა შეიძლებოდა.

დიდხანს და ამაოდ ელოდა ტესი შემთხვევას სადმე გასამგზავრებლად. იშვიათი გაზაფხული დაუდგა ქვეყანას. გეგონებოდათ, აი ახლა გაიგონებთ, როგორ იბერებიან და სკდებიან ხეთა კვირტებიო. ტესი მღელვარებამ შეიპყრო ტყის მცხოვრებთა დარად და მასში ადგილის გადანაცვლების გადაულახავი სურვილი გააღვივა. მაისის მიწურულში დედამისის ნაცნობი კაცისაგან წერილი მიიღო. ამ კაცს კარგა ხანია სთხოვდა, იქნებ სადმე რამე სამუშაო ნახო ჩემი შესაფერისიო, თუმცა ცნობით არც იცნობდა. შორს სამხრეთში, ერთ რძის ფერმაში, — იწერებოდა დედის მეგობარი, — გამოცდილი მწველავი სჭირდებათ და ფერმერი სიამოვნებით აგიყვანს ზაფხულის თვეებში სამუშაოდო.

ეს ფერმა არც ისე შორს იყო, როგორც ტესს სურდა, მაგრამ მაინც კარგა მანძილი ჰყოფდა მარლოტიდან, თუ ყურად ვიღებთ იმ გარემოებას, რა მცირე იყო იმ წრის რადიუსი, სადაც ცხოვრობდა და ხმა იყო გავრცელებული მასზე. ვიწრო ჩარჩოებში ჩაკეტილ ადამიანთათვის მილები გეოგრაფიულ გრადუსებს უდრის, სამრევლოები — საგრაფოები კი — პროვინციებსა და მთელ სახელმწიფოებს.

ტესს ერთი მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული: ამიერიდან არასოდეს აღარ ეოცნება და არც საქმის დროს ეფიქრა დ'ერბერვილთა ჰაეროვან კოშკებზე. ამიერიდან ის იქნება ერთი უბრალო მწველავი ქალი — ტესი და სხვა არაფერი. თუმცა ტესს კრინტიც არ დაუძრავს ამაზე, მაგრამ, დედას მშვენივრად ესმოდა შვილის ფიქრები და გრძნობები და ერთხელაც არ წამოსცდენია სიტყვა თავიანთ წინაპარ-რაინდებზე. მაგრამ არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი არს ადამიანი, ჰოდა, ახალი ადგილი მისი წინაპრების მიწა-წყლის მახლობლად მდებარეობდა (ისინი არც იყვნენ ბლეკმორის მკვიდრნი მაშინ, როცა დედამისი წარმოშობით ბლეკმორელი იყო). ტელბოტეისის ფერმა, სადაც ტესი მიემგზავრებოდა, დ'ერბერვილების ერთ-ერთი ყოფილი ადგილ-მამულის მახლობლად მდებარეობდა. მისი დიდედებისა და მათ ძლევამოსილ მეუღლეთა საოჯახო აკლდამების მეზობლად. ტესს საშუალება ექნება უცქიროს მათ და გულში იფიქროს: არა მარტო დ'ერბერვილნი დაეცნენ მსგავ-

სად ბაბილონისა, არამედ თვით მათი თავმდაბალი, მშვიდი და წყნარი შთამომავალის უბიწოებაც შეიძლება შეიბღალოს და განადგურდეს ასევე შეუმჩნევლად. მოულოდნელად რაიმე უცნაური წარმატება ხომ არ მელის ჩემს წინაპართა ქვეყანაშიო, — ფიქრობდა ტესი ნიადაგ. გახალისდა და გუნება გამოუკეთდა — „აეწია“ ტესს, როგორც აიწევს ხოლმე წვენი ხის ტანში. მისი გაუხარჯავი ყმაწვილქალობა კვლავ მკვდრეთით აღსდგა და თან მოიტანა იმედები და დაუძლეველი ინსტინქტი, რაც სიხარულით აღავსებდა ქალს.

მესამე ფაზა
განახლება

XVI

ქიმანის სურნელით საამოდ მფშვინავი ვარდობის თვის დილას, ოდეს ჩიტები ბარტყებსა ჩეკენ, ტრენტრიჯიდან დაბრუნების ორი სამი წლის შემდეგ, ტესმა ხელმეორედ დატოვა მშობლიური კერა და ორი თუ სამი წელი ტესის შეუმჩნევლად აღდგომისა და განახლების ხანა იყო.

ტესმა ჩაალაგა თავისი ბარგი-ბარხანა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცოტა მოგვიანებით უკან მიეყოლებინათ მისთვის. თავად კი დაქირავებული ორთვალათი პატარა ქალაქ სტოურკესტლისაკენ გაემგზავრა. ვერც ერთი გზით ვერ აუქცევდა ტესი გვერდს ამ ქალაქს. უახლოესი ბორცვის ფერდობიდანვე მოიხედა უკან და სინანულით მოავლო თვალი მარლოტს და მშობლიურ სახლს, თუმცა კი უსაზღვრო იყო მისი სურვილი, რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას.

მისი სისხლის ნათესავები კი ალბათ კვლავაც გასწევენ ამ ცხოვრების ჭაპანს, როგორც ოდეს გაუწევიათ და ვერც კი შეამჩნევენ როგორ შეუმცირდათ სიხარული, თუმცა ტესი შორს იქნება მათგან და მოაკლდებათ მისი ღიმილი. გავა ალბათ რამდენიმე დღე და ბავშვებს კვლავინდებური ჟივილ-ხივილი შეუდგებათ, ვეღარც იგრძნობენ, თუ მისი წასვლით რაიმე მოაკლდათ. ტესის ფიქრით, მის დაშორებას უმცროს და-ძმებთან სარგებლობა უნდა მოეტანა მათთვის, რომ დარჩენილიყო, ვერარა მისი რჩევა-დარიგება მათ იმდენ სიკეთეს ვერ მოუტანდა, რამდენ ბოროტებასაც თავისი ავი მაგალითით ახვევდა თავს.

სტოურკესტლში არც გაჩერებულა, მაშინვე გზაჯვარედინისაკენ

გაეშურა. აქ უნდა დალოდებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმავალ სატვირთო ფურგონს, რადგან რკინიგზა ჯერ კიდევ არ გადიოდა იმ მხარეში და მხოლოდ გარს უვლიდა, სანამ ტესი ფურგონს ელოდებოდა გზად რესორებიან ორთვალაზე შემომჯდარი ფერმერი შემოხვდა. მგზავრი იმავე მიმართულებით მიდიოდა, საითკენაც ტესს ედო გზა. თუმცა მგზავრი სულ უცნობი იყო, ტესს მაინც არ უთქვამს უარი, როცა მან თავის გვერდით შესთავაზა ადგილი, ტესი არ უწყოდა რომ მის სიტურფეს უხდიდნენ ხარკს. ფერმერი უეთერბერიში მიემგზავრებოდა. იქიდან ტესს ფეხით შეეძლო დარჩენილი მანძილის გავლა. ისე რომ აღარ დასჭირდებოდა კესტერბრიჯში ჩასვლა და ფურგონით ჯაყჯაყი.

— ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ტესი მცირე ხნით შეჩერდა უეთერბერიში, რომ შუადღისას ცოტა წახემსა კოტეჯში, რომელიც ფერმერმა მიასწავლა. მერე წამოავლო ხელი თავის კალათას და ბანანებით მოფენილ ზეგანზე განაგრძო გზა. ეს ზეგანი ყოფდა ამ მხარეს შორეული ველის დაცემული მდელოებისაგან, სადაც მისი მომლოცაობის საბოლოო მიზანი — მერძევეობის ფერმა გაშლილიყო.

ტესს ფეხი არასოდეს დაედგა ქვეყნის ამ ნაწილში და მაინც მეტად მშობლიური ეჩვენა აქაური ბუნება. მარცხნივ არცთუ ისე მოშორებით, მოშავო ლაქას მოჰკრა თვალი, მიიკითხ-მოიკითხა და დარწმუნდა საკუთარ ვარაუდში. ეს ის კორომები იყო, რომელიც კინგსბირს ერტყა გარს. იქ ამ სამრევლოს ეკლესიის საძვალეში განისვენებდნენ მისი წინაპრები — მისი ურგები წინაპრები.

— ახლა ტესს სულაც აღარ აღაფრთოვანებდნენ ისინი, სძულდა კიდეც ასე უღვთოდ რომ მოატყუეს: ყოველივე იმისაგან, რაც ოდესღაც მათ ეკუთვნოდათ, ტესს მარტოოდენ კოვზი და ბეჭედი ახსოვდა.

„სისულელეა! — უთხრა ტესმა თავს, — დედისეული ჩემში იმდენივეა, რამდენიც მამისეული. მთელი ჩემი სილამაზე დედისაგან გამომყვა, — დედა კი ერთი უბრალო მწველავი იყო და სხვა არაფერი“.

ეგდონის ზეგნებსა და დაბლობებზე მგზავრობა ბევრად საძნელო აღმოჩნდა, ვიდრე ტესი ვარაუდობდა, თუმცა, სულ რაღაც რამდენიმე მილი იყო გასავლელი. ბევრჯერ აებნა გზა და მხოლოდ ორი საათის სიარულის მერე ააღწია ბორცვის თავს, რომელიც იმ დიდი მერძევეობის ველს დასცქეროდა თავს, ის რომ ეძებდა ველს, სადაც იმდენი რძე და კარაქია, რომ უმჟავდებათ კიდეც, სადაც რძის ნაწარმი უფრო უხვადაა, მაგრამ ბევრად უფრო მდარეა, ვიდრე მისი მხარის ამწვანებულ ველზე, რომელსაც ასე უშურველად რწყავს მდინარე ვარი თუ ფრუმი.

ველი სულ არა ჰგავდა ბლეკმურის იმ ერთადერთ მცირე მერძევეობის ველს, რომელსაც ტესი აქამდე იცნობდა. თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ, ტრენტრიჯში ტესის უბედურ მოგზაურობას. აქ სამყარო თითქოს დიდ თარგზე იყო მოჭრილ-მოზომილი, საძოვრებს აქ ათი კი არა და, ორმოცდაათი აკრი ფართობი მაინც ეკავა. ფერმებიც უფრო დიდი იყო, რქოსანი საქონელიც ჯოგებად დადიოდა. არასოდეს ენახა ტესს ამდენი ძროხა ერთად. საითაც არ გაიხედავდით ველის აღმოსავლეთი ნაპირიდან დასავლეთ ნაპირამდე — ყველგან ძროხები ძოვდნენ ბალახს. მწვანე ველი ისე იყო ძროხებით მოფენილი, როგორც ვან ალსლუტისა თუ სალერტის ტილოები ბურგერებით. წითური და რუხი ძროხები კი სხივებს ირეკლავდნენ და თვალს სჭრიდნენ ტესს, თუმცა შორეული ბორცვიდან გასცქეროდა შემოგარენს.

მიდამო, რომელიც ამ ჩიტის აფრენის სიმაღლიდან იშლებოდა არცთუ მაინცდამაინც თვალისმომჭრელად ლამაზი იყო, როგორც ის, მეორე, რომელსაც ტესი ასე კარგად იცნობდა. სამაგიეროდ აქაურობა უფრო მხიარული ჩანდა. მხოლოდ ბლეკმურის ლურჯი ჰაერი, ნოყიერი ნახნავები და მსუყე სურნელება აკლდა. ჰაერი აქ გამჭვირვალე, მსუბუქი და გამამხნევებელი იყო: თვით მდინარე კი, რომელიც სახელგანთქმული რძის ფერმების ბალახსა და ძროხებს ასაზრდოებდა, ბლეკმურის ნაკადულებს არა ჰგავდა. ისინი მდორედ მოედინებოდნენ, უტყვნი იყვნენ და ხშირად ამღვრეულნი მიიზლაზნებოდნენ შლამიან კალაპოტში. თუ კაცი გაუფრთხილებლად დააპირებდა ფონზე გადასვლას, ანაზდად შეიძლებოდა ჩაფლულიყო და დაღუპულიყო კიდეც. ვარის წყალი კი გამჭვირვალე იყო ევანგელისტის თვალით ხილული „სიცოცხლის წმიდა მდინარესავით“, ღრმულის ჩრდილივით მოისწრაფოდა და რაღაცას შეჰბუტბუტებდა ზეცას დილიდან მოკიდებული დაღამებამდე კენჭებით მოფენილ მარჩხობებზე. იქ შროშანა ყვაოდა, აქ კი — წყლის ბაია.

იქაური მძიმე ჰაერის, აქაური მსუბუქი ჰაერით შეცვლამ იმოქმედა, თუ იმის შეგნებამ, რომ სხვა მხარეში იმყოფება, სადაც არავინაა მისადმი მტრულად განწყობილი, ტესი საოცრად კარგად გრძნობდა თავს. იმედები შეერწყა მზის სხივებს იმ იდეალურ ფოტოსფეროში, რომელიც გარს ერტყა. ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა ქალი სამხრეთის საამო, თბილი ქარის საპირისპიროდ. ყოველ შემოქროლვაში მოალერსე და მოსალბუნე ხმები ჩაესმოდა, ჩიტუნების ჟღურტულში კი ჩამალული სიხარული ეზმანებოდა.

გუნებ-განწყობილების ცვალებადობამ სახე შეუცვალა ამ ბოლო დროს ტესს. ხან ლამაზი იყო, ხან შეუმჩნეველი, იმისდა მიხედვით,

ლაღი ფიქრები უტრიალებდა თავში თუ სევდიანი: დღეს თუ ვარდისფერი იყო და უხინჯოდ ლამაზი, ხვალ ფერმკრთალი ჩანდა და ტრაგიკული. უფრო სრულყოფილი მისი მშვენება სულიერ ცხოვრებას შეესაბამებოდა.

ტესი გადაულახავმა, საყოველთაო ინსტინქტურმა სწრაფვამ შეიპყრო, მოეპოვებინა სიხარული, რომლითაც გამსჭვალულა ყოველი არსი ამქვეყნად, განვითარების როგორც უმაღლეს, ისე უდაბლეს საფეხურზე ოცი წლის ყმაწვილ ქალში, რომლის სულიერი და ემოციური ზრდა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, არც ერთ მოვლენას არ შეეძლო დაეჩნია ისეთი დაღი, რომელიც დროთა ვითარებაში ცვლილებებს არ დაემორჩილებოდა.

სულ უფრო გადაუხალისდა ტესს გუნება, მიემართა მადლიერების გრძნობა, გაეფურჩქნა იმედები. ბალადების დამღერებაც კი მოუნდა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ არ შეეფერებოდა ამ გარემოსა და ამ წუთს და გაყუჩდა. მერე დავითნი გაახსენდა, რომელსაც ყოველ კვირაძალზე დილდილაობით ჩასციცინებდა ხოლმე, ვიდრე არ იგემა ნაყოფი ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და გალობა წამოიწყო:

„მზე და მთვარე... ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი... ხენნი ნაყოფიერნი... მფრინველნი ფრთოვანნი... მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი... ყოველი ერი... აქებდეთ სახელსა უფლისასა“.

მერე უეცრათ გაყუჩდა: — იქნებ ჯერ კარგად არ ვიცნობ უფალს.

და ვინ იცის ეს ნახევრად შეუცნობელი აღტკინებული გალობა მონოთეისტურ ჩარჩოში მოქცეული ფეტიშური აღსარება იყო. ქალები, რომელთა ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია გარემომცველი ბუნების სახეები და სტიქია, შორეულ წინაპართა გაცილებით მეტ წარმოდგენებს ინახავენ სულში, ვიდრე რელიგიის იმ დოგმებისას, რომელთაც უქადაგებენ უფრო მოგვიანო ხანაში. ასე იყო თუ ისე, ტესმა ჰპოვა საკუთარი გრძნობების მიახლოებითი გამოხატულება უძველეს, „ენედიციტე“-ში[1], რომელსაც სიყრმიდანვე ბუტბუტებდა ხოლმე და ეს სავსებით საკმარისი იყო. უღმერთოდ დიდ კმაყოფილებას განაცდევინებდა ტესს ეს პირველი მცირე ნაბიჯი გადადგმული იმისათვის, რათა დამოუკიდებლად მოეპოვებინა სასიცოცხლო საშუალებანი — ამაში ნაწილობრივ დარბეიფილდების ბუნებაც იჩენდა თავს. ტესს დიახაც სურდა, სწორი გზით სიარული, მაშინ როდესაც მამამისს ეს აზრადაც არ მოსდიოდა. მათ შორის

1კათოლიკური ლოცვა ჭამის წინ

მსგავსება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ტესიც მამამისივით უეცარი და მცირე მიღწევებით კმაყოფილდებოდა, არ სურდა ჭაპანი გაეწია, რათა ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა საკუთარი სოციალური მდგომარეობა. სინამდვილეში კი მხოლოდ ამის იმედიღა უნდა ჰქონოდა დაქცეულსა და გაღატაკებულ, ოდესღაც დიდებულ დ'ერბერვილთა გვარიდან წარმოშობილ ოჯახს.

რჩებოდა კიდევ, შეიძლება ითქვას, დედის ენერგია, რომლის გვარსაც ჯერ კიდევ არ ამოეწურა საკუთარი ძალები და აგრეთვე ტესის ყმაწვილქალური თანდაყოლილი ენერგია. კვლავაც აფეთქებული იმ მწარე გამოცდის შემდგომ, რომელმაც ასე დაჯაბნა დროებით ტესი. მოდით და სიმართლე ვაღიაროთ, როგორც წესი, ქალები, რომლებიც ასეთ დამცირებას გამოსცდიან, კვლავაც მოიკრებენ ხოლმე მხნეობას და ინტერესით აცეცებენ თვალს აქეთ-იქით. ვინემ ცოცხალი ხარ — ცოცხლობს იმედიც და ეს რწმენა არცთუ ისე უცხოა „გაცრუებულთათვის“, როგორც ზოგიერთ გულითად თეორეტიკოსებს სურდათ ჩაენერგათ ჩვენთვის.

მხნე და სიცოცხლეს მოწყურებული ტეს დარბეიფილდი ეგდონის ფერდობზე ეშვებოდა, თავისი მოგზაურობის საბოლოო მიზნის — მერძევეობის ფერმისაკენ.

— ახლა მთლიანად იჩინა თავი იმ მკვეთრმა კონტრასტმა, რომელიც ორ ერთმანეთის მეტოქე ველს შორის არსებობდა. ბლეკმურის საიდუმლოების ამოხსნა ყველაზე ადვილი იყო მის ირგვლივ შემოჯარული ბორცვების მწვერვალებიდან, ხოლო ტესის თვალწინ გადაშლილი ველის საიდუმლოებათა ამოსახსნელად კი იქ ჩასვლა იყო საჭირო, როცა ტესმა ეს გმირობაც ჩაიდინა. უეცრად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმულ თვალშეუდგამ ველზე გადაშლილ მწვანე ხალიჩაზე ამოყო თავი.

— მდინარეს მოუპარავს ბორცვებისათვის და სულ ნაჭერ-ნაჭერ ჩამოუტანია მიწის ფენა, ახლა ძალაგამოცლილი, გადაბერებული, გამეჩეჩიანებული მიიზლაზნება და მიიკლაკნება ოდესღაც მიტაცებულ ნადავლს შუა.

იდგა ტესი ამ ვრცელ, ბილიარდის მაგიდასავით გაშლილ, ბორცვებით შემოჯარულ მწვანე ველზე და არ იცოდა, საით წასულიყო. იდგა პაწაწკინტელა და არც ჰქონდა გარემომცველი სამყაროსათვის ბუზზე მეტი მნიშვნელობა. მისმა გამოჩენამ ველზე მხოლოდ და მხოლოდ აქვე ბილიკის მახლობლად ჩამოფრენილი ერთადერთი ყანჩის ცნობისმოყვარეობა მიიპყრო. ყანჩამ კისერი წაიგრძელა და ტესს მიაჩერდა.

გული უეცრად გაბმულმა ძახილმა შესძრა.

— უაო! უაო! უაო!

შორეული აღმოსავლეთიდან შორეულ დასავლეთს მისწვდა ძახილი, აქა-იქ ძაღლები გამოეხმაურნენ. ტურფა ტესის ჩამოსვლის ამბავს როდი იუწყებოდა ველი, არა! — ძროხების გამოწველის დრო დადგაო, ამცნო მწველავებს.

— ხუთის ნახევარი იყო. ჩვეულებისამებრ, ამ დროს ერეკებოდნენ ძროხებს სადგომებში.

აქვე ტესის მახლობლად გაფანტული წითური და თეთრი ძროხების ნახირი, რომელიც ზანტად იცოხნებოდა და ელოდა დაძახებას, მოშორებით მდგარი სადგომებისაკენ გაეშურა: მძიმედ მიარხევდნენ ძროხები რძით სავსე ჭიქნებს. ტესი უკან აედევნა ნახირს, ჯერ ისინი გაატარა და მერე თვითონაც შეჰყვა ღია ჭიშკარში. ჩალით დახურული ფარდულები შემოერტყათ საჩეჩისათვის. მოლისფერი ხავსით დაფარული სახურავები ხის ბოძებს დაყრდნობოდა, რომლებიც გარდასული დროის, აწ გამქრალი და ღრმა დავიწყებას მიცემულ ძროხებსა და ხბორებს ფერდობის ხახუნით ერთიანად გაეხეხ-გაეპრიალებინათ. ბოძებს შუა ჯიქანსავსე ძროხები ჩამწკრივდნენ, მათი გავები ორბიძგზე შედგმულ წრეებს მიაგავდნენ, წრეების შუაში კი ქანქარასავით აქიცინებული კუდები ეკიდა. მზე ამ თვინიერი პირუტყვების ზურგს უკან ეშვებოდა და ჩრდილებს ესროდა კედელს; ყოველ საღამოს მზე ისე ფაქიზად გამოსახავდა მათ ჩრდილებს, თითქოს სასახლის კედელზე სამეფო კარის ტურფა ასულის სილუეტი ყოფილიყოს. ისე გულმოდგინედ გადაჰქონდა იგი, როგორც ოდესღაც მრავალ საუკუნეთა წინ გადაუტანია მარმარილოს ფასადებზე ოლიმპიური ფიგურები თუ ალექსანდრეს, კეისრისა და ფარაონების პროფილები.

ბაგებზე უფრო თვინიერი ძროხები იყვნენ. იმათ კი, რომლებიც უარს არ ამბობდნენ წყნარად დგომაზე, პირდაპირ შუა ეზოში წველიდნენ. ბევრი ასეთი სამაგალითო ძროხა მორჩილად ელოდა თავის რიგს, ესენი მეტწილად საუკეთესო მეწველი ძროხები იყვნენ, როგორსაც იშვიათად შეხვდებით ამ ველის ფარგლებს გარეთ. მაინცდამაინც ბევრს ვერც იქ ნახავთ ამ სალეკი მინდვრების გაზაფხულის ბალახით გამოკვებილ ჯიშიან პირუტყვს. თეთრლაქებიანი პირუტყვები მზის თვალისმომჭრელ სხივებს ირეკლავდნენ, მათი პრიალა რქების ბოლოები კი მეომართა მუზარადებივით ბრწყინავდნენ, ქვიშით სავსე პარკებივით ეკიდათ ჯიქნები ძროხებს, ძუძუებს აქეთ-იქით წაეღოთ თავები — ციგნების დავარდნილი ჯაგლაგის ფენებივით. რძე წვეთ-წვეთად სდიოდათ ცურიდან და მიწაზე წვეთავდა, ვიდრე პირუტყვები მოთმინებით ელოდნენ თავიანთ რიგს.

XVII

როგორც კი ძროხები საძოვრებიდან მობრუნდნენ, მწველავები კოტეჯებიდან და ფერმერის სახლიდან ეზოს მოეფინენ, კარგი დარი იდგა, მაგრამ გოგონებმა მაინც წამოიცვეს ხის საძირეები — პატენები, რათა ფეხსაცმელები არ ამოსვროდათ ნეხვში. სამფეხა სკამები მიადეს ფერდებზე და ფიქრიანად დაუწყეს თვალთვალი მომავალ ტესს. მამაკაცებს კი ფრთებდაშვებული შლაპები ეხურათ, შუბლით ეყრდნობოდნენ ძროხებს და ვერა ხედავდნენ ტესს.

ერთ-ერთი მათგანი შუახნის ჯმუხი კაცი, რომელსაც უფრო სუფთა, წმინდად ნაქსოვი წინსაფარი ეკეთა, ვიდრე სხვებს, ხოლო კურტაკი, ეტყობოდა, ბაზარში ეყიდა და საკმაოდ კარგი შესახედაობაც ჰქონდა, — ფერმის მეპატრონე იყო, ამასთან გამოაგზავნეს ტესი. ექვსი დღე შეუსვენებლივ წველიდა ძროხებს და დღვებდა კარაქს ეს კაცი, მეშვიდე დღეს კი ჩაიცვამდა მაუდის საგარეო ტანისამოსს და ეკლესიისაკენ გაეშურებოდა, სადაც მასა და მის ოჯახს ცალკე, ადგილი ჰქონდა განკუთვნილი. ამ კაცის ასეთმა გარდასახვის უნარმა ლექსშიც კი ჰპოვა თავისი აღიარება.

კვირაში ექვს დღეს — მერძევე დიკი,

კვირას კი — მისტერ რიჩარდ კრიკი.

როგორც კი აქეთ მომავალი ტესი შენიშნა, მაშინვე მისკენ გაეშურა ფერმერი, წველის დროს ყოველთვის ცხვირჩამოშვებულები არიან ფერმერები, მაგრამ ახლა, ამ გახურებული მუშაობის დროს, მუშახელის მომატებით გახარებული მისტერ კრიკი გულთბილად შეხვდა ტესს, გამოკითხა დედისა და ოჯახის სხვა წევრების ამბავი (თუმცაღა მის მხრივ ეს მხოლოდ ზრდილობა იყო და სხვა არაფერი. აბა, რა ეკითხებოდა დედამისი, როცა მისი ამქვეყნად არსებობის ამბავი მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნაცნობის წერილიდან გაიგო ამ ორიოდე დღის წინ).

— ჩემს ბიჭობაში კარგად ვიცნობდი შენს მხარეს, — დასძინა მან ბოლოს, — მას აქეთ იქ აღარც ვყოფილვარ. ერთი ოთხმოცდაათი წლის ბებერი მეუბნებოდა, ოდესღაც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, რამდენი ხანია აღარც არის საწყალი ცოცხალი, ერთი, აი, შენი რომ არის, რაღაცა იმნაირი გვარის ოჯახი ცხოვრობს ბლეკმურის ველზეო; ჩვენი მხრიდან გადასახლებულან და უძველესი დიდებული გვარისანი არიან, თუმცა ახლა სულ ამოწყდნენ და ახალგაზრდებმა არც კი იციან თავიანი წარმოშობის ამბავიო. ჰო, ასე მითხრა, მაგ-

რამ გამოგიტყდები, ღმერთმანი ყური არ მითხოვებია მისი ჩურჩუტისათვის.

— ჰო, ეგ არაფერია, — მიუგო ტესმა. მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ.

— მერედა, ჩემო კარგო, წველა გეხერხება? არ მინდა, ხომ იცი, ამისთანა დროს ჩემს ძროხებს რძე დავაკარგვინო.

მაგის ნუ გეშინიათო, დაამშვიდა ტესმა. ფერმერმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ტესი. სულ სახლში გამოკეტილი გოგონა; ცოტა არ იყოს გაფერმკრთალებული და განაზებული ჩანდა.

— ეს საქმე იოლი არ არი, დარწმუნებული ხარ, რომ თავს გაართმევ? გამოჯეკილი მუშა ხალხი აქ ცუდად არა გრძნობს თავს, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენ სათბურებში კი არა ვცხოვრობთ.

ტესმა დააიმედა, ძალ-ღონეს არ დავიშურებ და შევძლებ კიდეცაო. ჰოდა, ქალის მონდომება და შრომის დიდი სურვილი, ეტყობოდა ჭკუაში დაუჯდა ფერმერს.

— არ გინდა, ჩაი დალიე და ცოტა შეჭამე რამე. არა გშია? როგორ გინდა, შენი საქმისა შენ იცი. შენ ადგილას ამოდენა გზის მერე ხავიწივით გავიფშიკებოდი.

— ახლავე დავიწყებ მოწველას, ბარემ შევეჩვიო საქმეს.

ტესმა რძე მოსვა, რომ ცოტათი მოსულიერებულიყო, რითაც დიდად განაცვიფრა ფერმერი, თუ არაფერს ვიტყვით ზიზღზე. ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, თუ რძეს სასმელად გამოიყენებდა კაცი.

— თუ მაგის დალევა შეგიძლია, სვი, რამდენიც გაგეხარდება.

— გულგრილად უთხრა კრიკმა და საწველელი აუწია, რომ ტესს მოხერხებულად მოესვა.

— მე კი რამდენი ხანია პირი არ დამიკარებია. საძაგელი დასალევია, ტყვიასავით აწვება კუჭს. აი, ამ ძროხით დაიწყე, — მიუთითა იქვე მდგარ საქონელზე, — რომ გითხრა ადვილი გამოსაწველია-მეთქი ვერ გეტყვი, ჩვენ, სხვებისა არ იყოს, მიდექა ძროხებიცა გვყავს და თვინიერიც. აი, ერთ-ორს გამოწველი და თვითონვე ნახავ.

ტესმა შლაპა მოიხადა, ქუდი დაიხურა, დაჯდა პატარა სამფეხა სკამზე, რძე შხუილით წამოვიდა საწველელში. გოგონას მოეჩვენა, რომ მისი მომავლის საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო. ამან სიმშვიდე მოჰგვარა, გულისცემა დაუწყნარდა და იქაურობასაც შეავლო თვალი.

ერთი ბატალიონი მწველავი მაინც იქნებოდა აქ. მამაკაცები უფრო მაგარჯიქნიან ძროხებს წველიდნენ, ქალები კი იმათ, რომელთაც უფრო იოლად მოევლებოდა. ფერმა კარგა მოზრდილი იყო. კრიკის მეურნეობა ასზე მეტ ძროხას ითვლიდა. მისი მოჯამაგირე —

დღიური მუშები მეტწილად შემთხვევით დაქირავებული ხალხი იყო და ამ ნახევარ დუჟინ ძროხას ვერ ანდობდა იმის შიშით, დაუდევრობით ვაითუ ბოლომდე არ გამოწველონო. ქალებს კი ძალაც არ ეყოფოდათ მათ გამოსაწველად, ბოლოს და ბოლოს გაშრებოდნენ, ესე იგი, თანდათანობით დაეკარგებოდათ რძე. ზარალი ალბათ არც ისე დიდი იქნებოდა, ერთი-ორჯერ რომ ბოლომდე არ გამოეწველათ ძროხები, მაგრამ საქმე ის იყო, რაც ნაკლებ რძეს მოთხოვ ძროხას, მით ცოტას მოგცემს და ერთ მშვენიერ დღეს სულაც დაეკარგება.

როგორც კი ტესმა საქმეს მიჰყო ხელი, წამით მიწყდა ყაყანი ეზოში, რძის ჩხრიალი და მწველავთა შეძახილები — „, დედო!“ — გაისმოდა მხოლოდ. ცდილობდნენ როგორმე დაეშოშმინებინათ აწრიალებული პირუტყვები. ძროხები კუდებს აქიცინებდნენ, მწველავების ხელები ზევით-ქვევით ადი-ჩადიოდა. ასე შრომობდნენ ადამიანები ამ გაშლილი, დაცემული მინდვრის შუაგულში. აქაური ბუნება თითქოს შერეული იყო ძველთაძველ, კარგა ხნის მივიწყებულ ბუნებასთან, რომელიც დიდად განირჩეოდა ახლანდელისაგან.

— ასე მგონია, — წამოიწყო ფერმერმა, მოსცილდა გამოწველილ ძროხას, ერთ ხელში სამფეხა სკამი დაიკავა, მეორეში საწველელი და იქვე მდგარი მეორე ძროხისაკენ გაემართა, — ასე მგონია ძროხები დღეს ჩვეულებრივზე ნაკლებ რძეს იწველიან. თავი არ მომიკვდეს. წარბამ რომ ახლავე მოუკლოს რძეს, შუა ზაფხულში რაღას იზამს, ალბათ სულ გაშრება.

— იმიტომ, რომ ახალი მწველავი მოვიდა, — უპასუხა ჯონათან კეილმა, — ერთხელ და ორხელ კი არ შემინიშნავს ეს!

— ჰო, მართლა, სულ აღარ გამახსენდა ეგ.

— ასე გამიგია, რძე რქებში ასხამს ხოლმე ძროხებს ასეთ დროსო, — ჩაერია ლაპარაკში ერთი მწველავი.

— რქებში აასხამს თუ ჩამოასხამს, ეგ მე არ ვიცი, — ისე ურწმუნოდ თქვა ფერმერმა, თითქოს, აღიარებს, რომ ანატომია საზღვარს უდებს თვით ჯადოქრულ ძალებსაც კი — ჰო, არ ვიცი, და ეჭვიც მეპარება, ეგრე იყოს, იმიტომ, რომ ურქო ძროხებიც რქიანებივით იპარავენ რძეს. იცი ჯონათან, ერთი გამოცანა ურქო ძროხებზე? რატომ იძლევიან წელიწადში რქიან ძროხებზე ნაკლებ რძეს?

— არ ვიცი! — ჩაერია ლაპარაკში ერთი მწველავი ქალი, — რატომ?

— იმიტომ, რომ ურქო ძროხები უფრო ნაკლებია, ვიდრე რქიანები, — გამოაცხადა კრიკმა, — რაც გინდათ ისა თქვით, და ეს იშკილბაზები რძეს იპარავენ დღეს. ვატყობ, სიმღერა დაგვჭირდება, ბიჭებო, სხვა საშველი არ არის.

იქაურ ფერმებში ხშირად იყენებდნენ ამ ხერხს, რათა მოელბოთ გაჯიუტებული მეწველი საქონელი, რომლებიც არ იძლეოდნენ დღიურ ულუფას. მწველავები დაემორჩილენ თხოვნას და სიმღერა წამოიწყეს. მართალია, გუნდი დაკვეთითა და უწადინოდ მღეროდა, მაგრამ მათი რწმენით, სიმღერის დროს ძროხები ისეთი მოწადინებით იძლეოდნენ რძეს, რომ უკეთესი არც იყო საჭირო. ერთი მხიარული ბალადის თოთხმეტ თუ თხუთმეტი კუპლეტი მაინც იმღერეს — ერთი მკვლელი შიშით სიბნელეში ვერ იძინებდა, სულ ჯოჯოხეთის მოგიზგიზე ალი ელანდებოდა თურმე, ნათქვამი იყო ბალადაში. მორჩნენ თუ არა სიმღერას, ერთმა მწველავმა წამოიწყო:

— სული გეხუთება კაცს, წელში სამად მოკეცილი რომ მღერი! თქვენი არფა მაინც მოგეტანათ, სერ! თუმცა ამისთანა დროს ვიოლინო სჯობია.

— როცა ტესმა ეს სიტყვები გაიგონა, ეგონა, ფერმის პატრონს ელაპარაკებიანო, მაგრამ შეცდა, საპასუხო კითხვა — „რატომ?“ თითქოს ბაგაში პირდაპირ მდგარი წაბლა ძროხის სტომაქიდან გაისმა.

— ჰო, ვიოლინო ყველაფერს ჯობია, — დაუდასტურა მეპატრონემ, — თუმცა მე რომ მკითხო, მუსიკა ხარებს უფრო მოსწონთ, ვიდრე ძროხებს, — საკუთარი თვალით დავკვირვებივარ. მიულსტოკში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა, უილიამ დუი ერქვა. ქირით დამტარებელთა ოჯახიდან იყო, შენ არ გახსოვს, ჯონათან? ღვიძლ ძმასავით ვიცნობდი ამ კაცს. ერთხელ თურმე ეს ჩვენი უილიამი ქორწილიდან ბრუნდება, თან ვიოლინო მოაქვს. ნათელი, მთვარიანი ღამე ყოფილა. უილიამს უფიქრია, გზას შევიმოკლებო და პირდაპირ გადაუსწორებია „ორმოცი აკრის“ მინდორზე. მინდორში ხარი ყოფილა საბალახოდ გაშვებული. დაუნახავს თუ არა ხარს უილიამი, დაუდევს თავი და პირდაპირ მისკენ გამოქანებულა! აბა, გიყვარდეს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოუსვა თურმე ჩვენმა უილიამმა. კარგა მდიდარი ხალხის ქორწილიდან ბრუნდებოდა, მაგრამ კიდევ კარგი, ბევრი არა ჰქონია ნახუხი, თუმცა რად გინდა რა, ატყობს თურმე, რომ მაინც ვერ მოასწრებს ღობესთან მისვლას და გადახტომას. ჰოდა, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამი რომაა, უეცრად გონება არ გაუნათდა ჩვენს უილიამს! — დააძრო ბუდიდან ვიოლინო, შემოტრიალდა პირით ხარისკენ და ჩამოჰკრა და ჩამოჰკრა ჯიგის. ხმები, თან უკან-უკან იხევს. ხარი მაშინვე დამცხრალა, დადგა და თურმე შესცქერის სახეში უილიამს. იმან კიდევ იცოცხლე, შეუნთო და შეუნთო ვიოლინოს. ხარს თითქოს გაღიმებია კიდეც, მაგრამ შეუწყვეტია თუ არა უილიამს დაკვრა და ღობეზე გადაძრომა

დაუპირებია, მაშინვე ჩამოუციო ლებია ღიმილი, დაუღუნავს თავი და პირდაპირ გავაში არ დაუმიზნებია ამ ჩვენი უილიამისათვის? რაღა ჩარა იყო, მოტრიალებულა უილიამი და გინდა თუ არ გინდა აბა, დაუკარი. არადა დილის სამი საათია მხოლოდ. ვინ იცის როდის გამოჩნდება კაციშვილი ამ გზაზე. ქანცი გაძვრა და საწყალი გამოსავალს კი ვერ ხედავს. აჭრიკინა და აჭრიკინა ვიოლინო ოთხ საათამდე, და მეტიც აღარ შეეძლო; მოვიდა ჩემი აღსასრულიო, უფიქრია და თავის თავისთვის უთქვამს: „ეჰ, ერთ სიმღერას კიდევ დავუკრავ და მერე... ახსენონ ჩემი სული! თუ მამაზიციერმა არ დამიფარა, დაღუპული კაცი ვარ და ეგ არისო“, უცებ გაახსენდა საკუთარი თვალით ნანახი: როგორ იყრის მუხლს ყოველი პირუტყვი ნათლიღების წინა დღეს შუაღამისას. ახლა მართალია ნათლიღების წინა ღამე არ იყო, მაგრამ გადაწყვიტა, გაეცურებინა ხარი, ჰოდა, წამოიწყო თურმე ჰიმნი, შობის წინაღამეს რომ მღერიან ხოლმე ჩვეულებრივად და ჰოი, სასწაულო! ამას რას ხედავს მისი თვალები, ხარმა, რამეთუ არა უწყოდა, რასა იქმოდა, არ მოიყარა მუხლი?! — თითქოსდა მართლა ნათლიღების წინა ღამე ყოფილიყოს. როგორც კი მისი რქოსანი მეგობარი მუხლებზე ჩაემხო უილიამმა არც აცია, არც აცხელა, შემოტრიალდა, მოუსვა მწევარივით და ვიდრე ეს მსასოოვარი პირუტყვი წამოდგებოდა და გამოენთებოდა, გადაევლო ღობეს. რამდენჯერ მინახავს ცხოვრებაში ადამიანთა სულელური სიფათებიო, — ხშირად იტყოდა ხოლმე საწყალი უილიამი, მაგრამ ისეთი ბრიყვული დრუნჩი იმ ხარს რომ ჰქონდა, როცა მიხვდა რომ მისი წმიდა ღვთისმოსაური გრძნობები შებღალეს, ჩემ დღეში არ მინახავსო. ჰო, უილიამ დუი ერქვა იმ კაცს, გინდათ დანამდვილებითაც გეტყვით, მელსტოკის სასაფლაოზე რა ადგილას მარხია.

— ზედ მეორე ურთქმელსა და ჩრდილოეთის მხარის ეკვდერს შუაა დასაფლავებული.

ღმერთმანი, საინტერესო ამბავია. შუასაუკუნეებს აგონებს კაცს. ეჰ, მაშინ რელიგიას ფასი ჰქონდა, — სულიერი იყო, ხორცშესხმული.

ეს ბაკისათვის ცოტა არ იყოს შეუფერებელი სიტყვები ვიღაცა კაცმა წარმოთქვა, რომელიც წაბლა ძროხას იყო ამოფარებული. მაგრამ რაკიღა ვერვინ ჩაწვდა მის აზრს, ნათქვამმა უკვალოდ ჩაიარა, ერთი იყო მხოლოდ, მთხრობელს მოეჩვენა, ამ სიტყვებით უნდობლობას გამოხატავენ ჩემი ნაამბობის მიმართო.

— ეს ამბავი წმინდა წყლის სიმართლეა, სერ: აკი მოგახსენეთ, იმ კაცს ღვიძლ ძმასავით ვიცნობდი-მეთქი.

— მე მაგაში იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი.

ტესის გულისყური ფერმერთან მოსაუბრემ მიიპყრო, მაგრამ დანახვით კი ვერ დაინახა. თავით ძროხის ფერდს მიყრდნობილი კაცი არ ჩანდა. ტესი გაოცდა, ფერმერიც რომ „სერს“ ეძახდა ამ კაცს, მაგრამ მიზეზი ძნელი ამოსაცნობი იყო. არადა, ვიღაცა იყო ამდენხანს უტრიალებდა ერთ ძროხას — ამ ხანში ალბათ სამს გამოწველიდა კაცი. დროდადრო ბუზღუნიც მოისმოდა, თითქოს არ იქნა და არ გამოსდის საქმეო.

— მშვიდად სერ, მშვიდად, ხერხი უნდა ამ საქმეს, ღონით კი ვერას გააწყობ, — ურჩია ფერმერმა.

— მეც ეგრე ვიფიქრე, — გამოეპასუხა იგი, და როგორც იქნა, წამოდგა. გასწორდა წელში და მკლავები გაშალა, — სულ დამეკრუნჩხა თითები, მაგრამ მაინც გამომივიდა მგონი რაღაცა.

ტესმა თავით ფეხებამდე აათვალიერა იგი. კაცს ჩვეულებრივი თეთრი წინსაფარი ჰქონდა აფარებული და ტყავის პაჭიჭები ეცვა, როგორსაც საერთოდ იცვამენ ხოლმე ფერმერები ძროხის წველის დროს. ჩექმები სულ ნეხვში ჰქონდა ამოსვრილი. ეს ჩვეულებრივი სამუშაო ტანსაცმელი, ეტყობოდა, განათლებულ, თავდაჭერილ, ფაქიზ, თითქოს სევდიან, სხვებისაგან გამორჩეულ კაცს ფარავდა.

მაგრამ ამ წვრილმანებისათვის ტესს აღარც მიუქცევია ყურადღება;

მას სადღაც უნახავს ეს კაცი! მაგრამ იმდენად ვაი და ვიში გადაიტანა მას შემდეგ, რომ აღარც ახსოვდა, სად ან როდის. ჰო, მართლა, — გაუნათდა ტესს გონება, — ეს ის ყმაწვილი არ არის, მარლოტში საკლუბო დღესასწაულზე რომ იცეკვა მათთან ერთად?! — ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა მაშინ იქ. სხვებთან იცეკვა, იმას კი ყურადღებაც არ მიაქცია, და მალე მეგობრებთან ერთად ისევ თავის გზას გაუდგა.

ამ ამბის გახსენებაზე ფიქრები შემოეყარა ტესს. ყველაფერი გაიხსენა, რაც კი მის გაუბედურებამდე მომხდარიყო და წუთით შიშმა აიტანა. რა ეშველება იმანაც რომ იცნოს და რამე მანქანებით მის თავსდამტყდარი ამბავი შეიტყოს. მაგრამ შიში ერთბაშად გაიფანტა, რაკი ნახა, რომ ყმაწვილკაცს სულაც არ ახსოვდა ის. ახლა ტესმა ისიც შენიშნა, რომ მათი პირველი და უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ გამომეტყველი სახე ყმაწვილკაცს უფრო ფიქრიანი გახდომოდა. წვერი და ულვაშები მოეზარდა — ლოყებზე ქერა თმა ჰქონდა, ნიკაპზე კი ღიაწაბლისფერი ტილოს წინსაფრის ქვეშ მუქი ფერის ველვეტის კურტაკი, ზოლიანი ხავერდის შარვალი, თეთრი გახამებული პერანგი და პაჭიჭები ეცვა. მწველავის აღკაზმულობა რომ

არა, ალბათ ვერც ვერავინ მიხვდებოდა, ვინ იყო ან რა კაცი იყო. ერთნაირად შეიძლებოდა ეფიქრა ადამიანს, ან ვიღაცა ექსცენტრული მემამულეა, ანდა მიწათმოქმედი ჯენტლმენიო. ახალი კაცი რომ იყო ფერმაში, ამას კი მაშინვე მიხვდა ტესი. აბა, ძროხის გამოწველას ამდენ ხანს როგორ მოუნდებოდა ადამიანი, ვიდრე ტესი ამ ფიქრებში იყო გართული, ქალებმა არ დაახანეს და ბევრმა უკვე გამოთქვა თავისი აზრი ახალ მწველავ ქალზე — „რა მშვენიერი გოგონაა“, — გულწრფელად აღფრთოვანდნენ ზოგიერთები, თუმცა იმედს არ კარგავდნენ, რომ სხვები საწინააღმდეგოს იტყოდნენ, და სიმართლე ითქვას, მართალნიც იქნებოდნენ, რადგან „მშვენიერება“ არაზუსტად გამოხატავდა იმას, რაც ტესში კაცს იზიდავდა. როცა წველას მორჩნენ, ყველანი შინისაკენ გაემართნენ, სადაც მისის კრიკი, ფერმერის ცოლი, დიასახლისობდა და მეურნეობაზე ეჭირა თვალი — ეს ისეთი პატივცემული გვამი გახლდათ. თავად როგორ იკადრებდა ძროხის გამოწველას. ეგ რა არი, შალის კაბაში იხრუკებოდა ამ სიცხეში, რაკიღა ჩითის კაბები მწველავებს ეცვათ.

— ფერმაში ტესის გარდა მხოლოდ ორი-სამი გოგონა იძინებდა, დანარჩენები შინ მიდიოდნენ თურმე. ვახშამზე ტესს თვალი არ მოუკრავს იმ მწველავისთვის, რომელმაც აზრი გამოთქვა კრიკის ნაამბობზე, არც მოუკითხავს; არ ეცალა, საძინებელში თავისი კუთხე ჰქონდა მოსაწყობი. ეს ერთი ფართო, ოცდაათიოდე ფუტის სიგრძის ოთახი იყო სარძევეს თავზე. საძინებელ ოთახში ტესის საწოლის გარდა სამი მწველავი ქალის საწოლი იდგა კიდევ. სამივენი ქორფა ყმაწვილი ქალები იყვნენ, ორი ტესზე უფროსი იქნებოდა, ერთი კი — უმცროსი. ძილის დრო მოვიდა თუ არა მოქანცულ ტესს მკვდარივით ჩაეძინა.

მეზობელ გოგონას კი, რომელსაც ტესის გვერდით ედგა საწოლი, არა და არ ეძინებოდა, ერთი სული ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეამბნა ტესისათვის მათი ცხოვრების ამბავი, რომელშიც ამიერიდან ტესიც უნდა ჩაბმულიყო.

მისტერ ენჯელ კლერი, — აი, ის, მეურნეობის შესასწავლად რომაა ჩამოსული, ხმასაც არა გვცემს, მღვდლის შვილია. მეტისმეტად გართულია საკუთარი ფიქრებით და გოგოებისთვის არა სცალია. ფერმის მეპატრონესთანაა ჩამოსული — სოფლის მეურნეობის ყველა დარგი უნდა შეისწავლოს. ერთ ფერმაში მეცხვარეობას სწავლობდა თურმე. ახლა აქ მერძევეობის შესწავლას აპირებს... ნამდვილი ჯენტლმენია. მამამისი მისტერ კლერი, აქედან კარგა მოშორებით, რამდენიმე მილზე ემინსტერშია მღვდლად.

— გამიგია, — გამოეპასუხა გამოფხიზლებული ამხანაგი, — ერთგული ღვთის მსახურიაო, ამბობენ, არა?

— რაც მართალია, მართალია, უერთგულესი ღვთისმოსავი კაცია მთელს უესექსში. ამბობენ, ის ერთადერთი შემორჩაო ძველ „დაბალ ეკლესიას“. სხვები კი „მაღალ ეკლესიას“ ეკუთვნიან. მისი ვაჟიშვილები, ჩვენი მისტერ კლერის გარდა, ყველანი მღვდლები არიან.

— ამ გვიან ღამით ტესი აღარ დაინტერესებულა ხსენებული მისტერ კლერიც მისი ძმებივით მღვდლად რად არ წავიდაო. ტესს ისევ ჩათვლიმა, ამხანაგის ლაპარაკი, რომელიც ჯერ კიდევ ჩაესმოდა, სხვენზე გაწყობილი ყველისა და ქვევით წნეხებიდან ჩამონადენი შრატის თანაბარ ტყაპატყუპს ერწყმოდა.

XVIII

ენჯელ კლერის გაურკვეველი და ბუნდოვანი სახება წარსულიდან წარმოსდგებოდა. მაგრამ მისი გამომხატველი ხმა, მეოცნებე თვალთა დაჟინებული მზერა, მოძრავი, ცოტა არ იყოს, მამაკაცისათვის შეუფერებელი მეტისმეტად პატარა და კოხტად მოხაზული ტუჩები, თუმცა ზოგჯერ ქვედა ტუჩის მოყვანილობაში მტკიცე ნებისყოფის ხაზიც შეიმჩნეოდა, — საკმარისი იყო იმისათვის, რომ კაცს ეჭვი არ შეპარებოდა მის გამბედაობაში. სხვათა შორის, მისი მეოცნებე, გულისყურიანი, გაურკვეველი გამოხედვა და მიხრა-მოხრა კაცს აფიქრებინებდა, ეს ადამიანი არ მიისწრაფვის, არა ფიქრობს და არც ზრუნავს თავისი მომავალი მატერიალური კეთილდღეობისათვისო. მის ბიჭობაში კი ხშირად იტყოდნენ ხოლმე — ეს ისეთი კაცი დადგება, მოინდომოს, ქვას გახეთქავსო.

ენჯელი საგრაფოს განაპირას მცხოვრები ერთი ღარიბი მღვდლის შვილი გახლდათ. რამდენიმე ფერმა მოევლო და ახლა ტელბოტეისში ჩამოსულიყო ნახევარი წლით შეგირდად; განზრახული ჰქონდა ზიარებოდა ფერმერული მეურნეობის ყველა დარგს, მერე კი თვალი სადმე კოლონაში გამგზავრებაზე ეჭირა. თუ არა და აქვე, თავის ქვეყანაში აიღებდა მიწას იჯარით — იმისდამიხედვით, თუ რას მოიტანდა მდგომარეობა.

მიწათმფლობელთა და მეცხოველეთა რიგებში შესვლა ისეთი ნაბიჯი იყო ამ ყმაწვილი კაცის კარიერისათვის, რომელსაც არც თავად მოელოდა, არც მის გარშემო მყოფნი.

როცა მისტერ კლერ უფროსს პირველი ცოლი გარდაეცვალა,

რომლისგანაც ერთადერთი ქალიშვილი დარჩა, — ხელმეორედ დაქორწინდა. მეორე ცოლმა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად, სამი ვაჟი აჩუქა, ისე რომ, ყველაზე უმრწემეს ვაჟიშვილსა და მის მღვდელ — მამას შორის თითქოსდა მთელი ერთი თაობა იყო. ამ სამი ვაჟიშვილიდან მხოლოდ ერთს, ენჯელს მისი სიბერის პირმშოს, არ მიუღია უმაღლესი განათლება, თუმცა კი ის ერთადერთი იყო ბავშვობაში რომ საამისო უნარს ამჟღავნებდა და ამის გამო სავსებით გამართლებულიც იქნებოდა მისი უმაღლესი სწავლა.

მარლოტის საკლუბო ზეიმზე ენჯელის გამოჩენამდე სამიოდე წლით ადრე, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ენჯელი სწავლა-განათლებას შინ განაგრძობდა, მამამისმა ადგილობრივი წიგნით მოვაჭრისაგან ჯემს კლერის სახელზე ამანათი მიიღო. გახსნა, წიგნი ამოიღო, გადაფურცლა და როგორც კი რამდენიმე გვერდი წაიკითხა, ფიცხლად წამოიჭრა ზეზე, იღლიაში წიგნამოჩრილი პირდაპირ წიგნის მაღაზიაში გავარდა.

— რად გამომიგზავნეთ ეს წიგნი? — იკითხა შუბლშეკრულმა და წიგნი გაუწოდა..

— შემიკვეთეს, სერ.

— მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ იგი არც მე და არც ჩემს შინაურებს არ შეუკვეთიათ.

წიგნებით მოვაჭრემ დავთარს ჩახედა.

— ოჰ, სერ, მისამართი შეშლიათ, — თქვა მან, — წიგნი მისტერ ენჯელ კლერს შეუკვეთავს და მისთვის უნდა გაეგზავნათ.

მისტერ კლერს შეაჟრჟოლა. თითქოს თავში ჩასცხესო. შინ ფერდაკარგული და მჭმუნვარე დაბრუნდა, მაშინვე მოუხმო ენჯელს თავის კაბინეტში.

— ჩაიხედე ერთი ამ წიგნში, შვილო ჩემო, წაგიკითხავს? — ჰკითხა მან.

— მე გამოვიწერე, — არ გაიოცა ენჯელმა.

— რისთვის? — წასაკითხად.

— რამ გაფიქრებინა ამ წიგნის წაკითხვა.?

— რამ მაფიქრებინა? ამაში ფილოსოფიური სისტემის არსია გადმოცემული; არც მეგულება ამაზე უფრო ზნეობრივი და რელიგიური თხზულება სადმე.

— ზნეობრივი, კი ბატონო, არ უარვყოფ, მაგრამ რელიგიური?! და ამას ამბობ შენ, კაცი, რომელიც მომავალში ღვთისმსახურებას აპირებ?

— რაკიღა ამაზე ჩამოაგდე ლაპარაკი, — მიუგო შვილმა და სახეზე მღელვარება აღებეჭდა, — ერთხელ და საბოლოოდ უნდა გითხრა,

რომ მე მღვდლობას არ ვირჩევდი ცხოვრებაში, მეშინია კეთილსინდისიერად ვერ აღვასრულებ ამ ვალს. ეკლესია მშობელ დედასავით მიყვარს. ყოველთვის დიდი სითბოთი ვიქნები მისადმი გამსჭვალული, არ არსებობს სხვა დაწესებულება, რომლის ისტორიაც ასე სულითა და გულით აღმაფრთოვანებდეს, მაგრამ არ შემიძლია ალალი გულით ვატარო სასულიერო წოდება, ჩემი ძმებივით, ვიდრე ეკლესია არ ისურვებს გაათავისუფლოს თვისი სული ცოდვების მონანიების უსახური და უმწეო მოძღვრებისაგან.

გულმართალსა და პატიოსან მღვდელს ვერც ვერასოდეს წარმოედგინა, რომ ასე დაეცემოდა ოდესმე მისი შვილი — მისი სისხლი და ხორცი. მეხდაცემულსა და მიწასთან გასწორებულს ენა ჩაუვარდა. ენჯელი მღვდლად არ აპირებს შედგომას, მაშ რიღასთვის აგზავნის კემბრიჯში? ამ ურყევი მსოფლგაგების მქონე კაცისათვის საუნივერსიტეტო განათლება, თუ მომავალში სასულიერო წოდების მისაღებად არ იყო გამიზნული, იგივე იყო, რაც ჯერ დაუწერელი წიგნის წინასიტყვა. იგი არა მარტო დიდად რელიგიური ადამიანი იყო, ფრიად ღვთისმოშიშიცა და ღრმადმორწმუნეც გახლდათ. არა იმ აზრით, როგორადაც ეს ათასგვარი რჯულის თაღლითებს ესმით ეკლესიის შიგნითა და მის კედლებს გარეთ, არამედ ძველისძველი მგზნებარე ევანგელიეს სკოლის გაგებათა მიხედვით, რომელიც

დარწმუნდა ბოლოს,
რომ თვრამეტი ასეული წელია,
მას შემდგომ რაც
ჭეშმარიტად დაუსაბამო...

რაკი ვერაფერი გააწყო, ენჯელის მამა ახლა შეეცადა დაესაბუთებინა, ჩაეგონებინა, შევედრებოდა შვილს.

— არა, მამაჩემო, სხვას რომ თავი დავანებოთ, მეოთხე დოგმას მაინც ვერა და ვერ ვაღიარებ, „მისი სიტყვა-სიტყვითი და გრამატიკული მნიშვნელობით“, როგორც ამას დეკლარაცია მოითხოვს ჩვენგან. ჰოდა, ამიტომაც ვერ გავხდები მღვდელი, — მიუგო ენჯელმა, — მთელი ჩემი არსება მიმართულია, რელიგიის საკითხების გარდაქმნისაკენ. ანდა, თუ გავიმეორებ შენს საყვარელ ეპისტოლეს ებრაელებისათვის: „მერე ერთგზისღა აუწყებს, შეძრულთა მათ ცუალებასა, ვითარცა ქმნულთასა, რათა ეგოს შეუძრეველი იგი.“

მამა ისეთი შეჭირვებული იყო, რომ მის შემყურე ენჯელს გული ეტკინა.

— რისთვის გავწიოთ ეკონომია, რიღასთვის მოვიკლოთ ათასი რამე მე და დედაშენმა, ჩავიკლათ ათასი სურვილი, და უნივერსიტეტში მიგაღებინოთ განათლება, თუკი ყოველივე ფუჭად ჩაივლის,

ღვთის სახელს არ მოხმარდება და არ განადიდებს მას.

— დაჟინებით იმეორებდა მამა.

— სამაგიეროდ ის შეიძლება მოხმარდეს და განადიდოს კაცი, მამაჩემო.

— იქნებ ენჯელს რომ დაეჩემებინა, თავისი ძმებივით, ისიც შესულიყო კემბრიჯის უნივერსიტეტში, მაგრამ მშობლის შეხედულება მეცნიერებათა ამ ტაძარზე, ვითარცა სასულიერო წოდების მისაღებ საფეხურზე, ოჯახურ ტრადიციას წარმოადგენდა და ისე ღრმად ჰქონდა ჩაჭედილი თავში, რომ მის მგრძნობიარე ვაჟიშვილს მოეჩვენა, გაჯიქება ღვთისმოსავი შინაურების ნდობის გაცრუებისა და წყენის მიყენების ცდა იქნებაო; იმ მშობლებისა, რომლებსაც, როგორც თავად მამამაც გადაუკრა სიტყვა, ჩაეკლათ და დაეთრგუნათ ათასი სურვილი, რათა აღესრულებინათ ჩაფიქრებული გეგმა და ერთნაირი განათლება მიეცათ სამივე ვაჟიშვილისათვის.

უკემბრიჯოდაც გავალ როგორმე ფონს, — თქვა ბოლოს ენჯელმა, — ვგრძნობ, ამ ვითარებაში იქ შესვლის უფლებაც არა მაქვს.

ამ გადამწყვეტ საუბარს შესაფერი შედეგებიც მალე მოჰყვა. დრო გადიოდა, ენჯელი უთავბოლოდ გადადიოდა ერთი საქმიდან მეორეზე, გეგმებს აწყობდა, ოცნებობდა, გულგრილობას იჩენდა არსებული სოციალური წყობისა და ტრადიციების მიმართ. ზიზღით იმსჭვალებოდა იმ პრივილეგიებისადმი, რომელსაც საზოგადოებრივი მდგომარეობა და სიმდიდრე იძლეოდა. თვით „კეთილმა ძველმა ოჯახმაც“ კი (როგორც იტყოდა ხოლმე იმ მხარეში მაცხოვრებელი ერთი პატივცემული გვამი) კარგავდა მისთვის თავის კეთილსურნელებას, თუკი იქ არ იყვნენ ახალი იდეებით აღჭურვილი და აღფრთოვანებული ადამიანები.

თითქოსდა ამ მკაცრი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ენჯელმა კინაღამ ერთხელ თავი წააგო ლონდონში მოგზაურობის დროს. ლონდონში კი იმისთვის ჩავიდა, რათა საკუთარი თვალით ეხილა, რას წარმოადგენდა სამყარო თავისთავად, აერჩია რაიმე ხელობა და ეშოვა საქმე. ის კი ერთი მასზე კარგა უფროსი ქალის მახეში გაება კინაღამ. თუმცა, საბედნიეროდ, ისე დაუძვრა კლანჭებიდან, დიდად არაფრად დაზარალებულა.

განმარტოებულმა სოფლურმა ცხოვრებამ, რომელსაც ბალღობიდანვე მიეჩვია, რაღაც განუსჯელი, გადაულახავი ზიზღი აღუძრა ქალაქური ცხოვრებისადმი და გადაუკეტა გზა წარმატებებისაკენ, რომელზეც შეეძლო ეოცნება, რამე საერო პროფესია რომ აერჩია, რაკიღა სასულიერო გზა დახშული იყო მისთვის. მაგრამ რაღაცა

ხომ უნდა ეღონა. ისედაც ბევრი ძვირფასი წელი დაკარგა ფუჭად. ენ-ჯელის ერთი ნაცნობი წარმატებით ეწეოდა სოფლის მეურნეობას კოლონიებში, ჰოდა, მანაც განიზრახა მიებაძა მისთვის, ვინ იცის, ეს გზა კარგიც გამომდგარიყო, იქნებ ფერმერიც გამხდარიყო სადმე კოლონიაში, ამერიკაში, ან სულაც საკუთარ სამშობლოშივე. ოღონდ ჯერ კარგი სკოლა უნდა გაევლო და სათანადოდ შეესწავლა ეს საქმე. აი, ამ პროფესიას შეეძლო დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ისე, რომ არ მოეთხოვა მისთვის იმ გონებრივი და სულიერი თავი-სუფლების მსხვერპლად გაღება, რასაც მატერიალურ კეთილდღეო-ბაზე მეტად აფასებდა.

აი, რად გახლდათ ოცდაექვსი წლის ენჯელ კლერი ახლა მერძე-ვეობის ფერმაში. რაკიღა ახლომახლო სახლი არ მოიძევებოდა, სა-დაც მოხერხებულად დაბინავდებოდა ენჯელი, ფერმერთან ცხოვ-რობდა, იმასთან ჭამდა და სვამდა.

ენჯელს ფერმერის სახლს ზემოდან დაშენებული ვეებერთელა მანსარდი ეკავა, კაცი იქ მისადგმელი კიბით ყველის შესანახი სხვე-ნიდან თუ მოხვდებოდა მხოლოდ, სხვა ასასვლელი არა ჰქონდა. დიდხანს იყო უკაცური და ჩასაგული აქაურობა, ვიდრე კლერი არ მოვიდა და თავის თავშესაფრად არ აირჩია იგი. ენჯელს კარგა დიდი ფართობი ჰქონდა აქ. როცა ყველანი დასაძინებლად მილაგ-მო-ლაგდებოდნენ და სახლი მიყუჩდებოდა, დიდხანს ესმოდათ ხოლმე მუშებს, როგორ სცემდა ბოლო თას ენჯელი. ოთახის ნაწილი ფარ-დით იყო გადატიხრული, ფარდის იქით მისი საწოლი იდგა, აქეთ კი სადად მოეწყო და სასტუმროს მაგივრობას უწევდა.

თავდაპირველად უმეტეს დროს მანსარდზე ატარებდა, ბევრს კითხულობდა და არფაზე უკრავდა. არფა აუქციონზე ჰქონდა შეძე-ნილი. ვინ იცის, ხშირად ფიქრობდა თავისთვის, როცა ცუდ ხასიათ-ზე იყო, მოხეტიალე მუსიკოსობით არსობის პურის მოპოვება დამ-ჭირდესო. მაგრამ წიგნებს მალე ადამიანები ამჯობინა და საუზმეზე და სადილად ძირს, საერთო სასადილოში დაიწყო სიარული. ფერ-მერთან, მის ცოლთან და მუშა ხალხთან მეტად მხიარული შეკრებუ-ლობა იყრიდა თავს. თუმცა ღამის გათევით, ფერმაში ცოტა ვინმე თუ ათევდა ღამეს, საჭმელ-სასმელად მაინც ბევრი რჩებოდა. რაც დრო გადიოდა ენჯელი თანდათან ეჩვეოდა ამ ადამიანებს და სიამოვნე-ბას ჰგვრიდა მათთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. მისდა გასაოცრად ამ ხალხთან ურთიერთობა ჭეშმარიტ სიხარულსაც კი ანიჭებდა. მისი წარმოდგენით შექმნილი, ჰოდჯად[2] წოდებული, საბრალო ყეყეჩის

2 ინგლისელი მოჯამაგირის უპატივცემლო, ზედმეტი სახელი

სახეში ხორცშესხმული ტრადიციული მუშა ხალხი რამდენიმე დღეში დავიწყებას მიეცა. ახლო გაცნობის შემდეგ ჰოდჯი სულაც გაქრა, აღარ არსებობდა. თუმცა თავდაპირველად, როცა ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდა თავისი, სრულიად სხვა საზოგადოება, ეს ახალი ნაცნობები, რომლებთანაც ახლა ჰქონდა ურთიერთობა, რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე და მათთან თავის გაყადრება დამამცირებელიც ეჩვენებოდა: მათი შეხედულებები, ადათ-წესები, მისწრაფებანი — ჩამორჩენილი და უაზრო ეჩვენებოდა. მაგრამ მათთან ყოველდღიურმა ცხოვრებამ კლერს, ამ გამჭრიახ დამკვირვებელს, სულ სხვაგვარად დაანახვა ისინი. არავითარი ობიექტური ცვლილება არ მომხდარა, ის იყო მხოლოდ რომ ერთფეროვნებამ გზა დაუთმო მრავალფეროვნებას. მეპატრონემ და მისმა შინაურებმა, მუშა ქალებმა და კაცებმა, რაც უფრო ახლოს ეცნობოდა მათ, დაშლა და გამოყოფა იწყეს, როგორც ამა თუ იმ ქიმიური პროცესის დროს. ახლა პასკალის აზრიც გასაგები გახდა ენჯელისათვის: „რაც უფრო მეტად ვარდება ჭკუაში, მით უფრო მეტ ორიგინალურ ადამიანს ხვდება. ჩვეულებრივი კაცი ვერ ხედავს განსხვავებას. ადამიანს შორის“.

მარად უცვლელი ჰოდჯი გაქრა, შეწყვიტა არსებობა, დაიშალა, დაცალკევდა უამრავ სხვადასხვაგვარ ადამიანებად. ურიცხვ ინდივიდად, ყოველი მათგანი თავისებურად აზროვნებდა, არა ჰგავდა მეორეს. ერთნი ბედნიერები იყვნენ, მეორენი — უზრუნველნი, ზოგიერთი დაჩაგრული და დაბეჩავებული. იყვნენ გენიალური ადამიანები, იყვნენ ბრიყვებიც, გარყვნილებიცა და მაღალზნეობრივებიც. ერთნი — მილტონივით უტყვნი, მეორენი — პოტენციით კრომველები თითოეულ მათგანს თავისებური წარმოდგენა ჰქონდა მეორეზე, ისევე, როგორც ენჯელმა შეიქმნა წარმოდგენა თავის მეგობრებზე, ეს ადამიანები აქებდნენ ანდა კიცხავდნენ ერთმანეთს, მხიარულობდნენ, ანდა წუხდნენ, ოდეს სხვათა სისუსტეს და მანკიერებას ხედავდნენ და თითოეული თავისებურად მოაბიჯებდა თავისი ბილიკით, რომელიც სიკვდილისაკენ მიემართებოდა ბოლოს და ბოლოს.

თანდათანობით ხიბლავდა ენჯელს ცხოვრება ღია ცის ქვეშ თავად მისთვის და იმისათვისაც, რასაც ეს ცხოვრება აძლევდა მას, მიუხედავად იმ ზეგავლენისა, რომელსაც ეს ყოფა მის კარიერაზე ახდენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ მის მდგომარეობას, ენჯელმა შესანიშნავად დააღწია თავი იმ ქრონიკულ მელანქოლიას, რომელიც მოიცავს ხოლმე ცივილიზებულ ადამიანებს თანდათან იმისდა მიხედვით, თუ როგორ უკნინდებათ რწმენა უზენაესი ქველმოქმედე-

ბის ძალისა. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ენჯელს, როგორც იქნა, პირველად მიეცა საშუალება ის წაეკითხა, რაც ეხასიათებოდა, აღარ ზრუნავდა იმაზე, რომ ამა თუ იმ პროფესიის შესასწავლად თავი გამოეტენა ათასგვარი ლათაიების ზუთხვით. ხოლო სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოები, რომელთა გადაკითხვა საჭიროდ ჩათვალა დიდ დროს არ ართმევდა.

ენჯელმა ჩამოიშორა წინანდელი მსოფლმხედველობა და რაღაც ახალი ჰპოვა ცხოვრებასა და ადამიანში. ახლოს გაეცნო იმ მოვლენებს, რომელთა შესახებ აქამდე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. შეიცნო წელიწადის დროთა, დილისა და მიმწუხრის, შუაღამისა და შუადღის განწყობილება და ქარის ცვალებადი ხასიათი, შეიცნო ხეები, წყლები და ბურუსი, ჩრდილები და მდუმარება. უსულო საგნების ხმა და ენა.

დილდილაობით ჯერ კიდევ გრილოდა. დიდ ოთახში, სადაც ყველანი საუზმობდნენ, ცეცხლი გიზგიზებდა. ენჯელ კლერი, მისის კრიკის განკარგულებით, რომელიც ამტკიცებდა, კლერი, უაღრესად კეთილშობილური წარმოშობისაა იმისათვის, რომ სხვებთან ერთად იჯდეს სუფრასთანო, ჩვეულებრივად კუთხეში ცეცხლის გვერდით მდგარ მაგიდასთან საუზმობდა. მისი ფინჯანი და თეფში კედელზე მიმაგრებულ თაროზე იდო. მაღალი და ფართო ფანჯრიდან შემოჭრილი შუქი პირდაპირ ეცემოდა ამ კუთხეს, ამას ზედ ერთვოდა კერიის ცივი ლურჯი ალის შუქი; ენჯელს თავისუფლად შეეძლო ეკითხა, თუკი მოესურვებოდა. კლერის მაგიდასა და ფანჯარას შუა სხვა მაგიდა იდგა, რომელზედაც მისი ამხანაგები საუზმობდნენ. ფანჯრის მინაში ნათლად მოჩანდა, როგორ იღეჭებოდნენ ისინი. უკან სარძევეში გამავალი კარი იყო გაჭრილი, საიდანაც მწკრივად მოჩანდა დილის რძით გატიმტიმებული სწორკუთხა კათხები. ოთახის ბოლოში გრუხუნით ტრიალებდა ვებერთელა სადღვები მანქანა. ფანჯარაში ზანტი ცხენი მოჩანდა, იგი მანქანას ამოძრავებდა. ცხენს ბიჭი მიუძღოდა და წრეზე ერეკებოდა.

ტესის ჩამოსვლის პირველ დღეებში კლერი ჩვეულებრივად იჯდა თავის მაგიდასთან და ან წიგნს კითხულობდა, ან ჟურნალს ათვალიერებდა, ან ახლახან ფოსტით მიღებულ ნოტებს, და ვერც ამჩნევდა ტესს. ტესი მეტწილ დუმდა, მისი ამხანაგები კი იმდენს ქაქანებდნენ, რომ კლერმა ვერ შენიშნა ახალი ნოტა მათ ხმებში. ესეც არ ყოფილიყო, ჩვეულებად ჰქონდა — მუდამ უყურადღებოდ ტოვებდა დეტალებს, რათა სურათი მთლიანობაში აღექვა. ერთხელ ზის ენჯელი ასე, პარტიტურით ხელში და ცდილობს ახალი მელოდიის გონებაში გამეორებას, უეცრად ყურადღება გაექცა. ნოტები ჩამოცურდა

და კერიის წინ დავარდა. ენჯელმა კერიაში მოგიზგიზე კუნძებს შეავლო თვალი. ალის ერთადერთი ენა სიკვდილის ცეკვას როკავდა, რადგან, დილის ტრაპეზი დამთავრებული იყო, ენჯელს მოეჩვენა, ალი ჯიგსა ცეკვავსო იმ მელოდიაზე, რომელიც თავში უტრიალებდა. ახედა კერიის თავზე გარდიგარდმო გადებულ ძელზე ჩამოკიდებულ მჭვარტლით დაფარულ კაკვს, რომელიც ტოკავდა მუსიკის ტაქტზე, მერე მზერა ქვაბზე გადაიტანა, ათუხთუხებულ ქვაბში წყალი ნახევარიღა იყო და წრუწუნით აძლევდა ხმას სხვებს. მაგიდასთან გაჩაღებული საუბარიც ამ ფანტასტიკურ ორკესტრს ერწყმოდა. უეცრად აზრმა გაუელვა: „რა ღუღუნა ხმა აქვს, რომელიღაცას — ნამდვილად ახალი მოსულა ვიღაცა!“

კლერი მოტრიალდა და შეხედა ამხანაგებში მჯდარ ტესს.

ტესი მისკენ არ იხედებოდა. იმდენ ხანს იყო კლერი გარინდებული, მისი არსებობაც კი დაავიწყდათ.

— მოჩვენებებზე ვერაფერს გეტყვით, — ლაპარაკობდა ტესი, — მაგრამ აი, ჩვენს სულებს რომ ჩვენსავე სიცოცხლეში შეუძლიათ განერიდონ ხორცს. ეს კი ვიცი.

პირგამოტენილი მეპატრონე ტესისაკენ მობრუნდა და განცვიფრებითა და ინტერესით დაუწყო ცქერა, მისი ვეებერთელა დანა-ჩანგალი კი (აქაური საუზმე ხუმრობა საქმე როდი იყო) უქმად დარჩენილ სახრჩობელასავით ეკიდა მაგიდის თავზე.

— არა, მართლა? კი მაგრამ როგორ, ჩემო კარგო? — იკითხა მან.

— სულის ამოსვლას სულ ადვილად გაიგებ, — გააგრძელა ტესმა, — რა უნდა, დაწექი პირაღმა ბალახზე ღამით და ცაში რომელიმე კაშკაშა დიდ ვარსკვლავს მიაშტერდი, თან მარტო იმაზე იფიქრე სულ, — ჰოდა, აი, მაშინ იგრძნობ, რომ ასეული მილით მაინცა ხარ დაშორებული შენს სხეულს და არც არაფრად გჭირდება ის.

ფერმერმა, რომელიც თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ტესს, მზერა თავის მეუღლეზე გადაიტანა.

— სასწაულია, ჰა, რას იტყვი, ქრისტინა, არა? რომ დაფიქრდეს კაცი, რამდენი მილი მე გამიზომია ვარსკვლავიან ღამეში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში. შენ ჯერ მარტო ისა თქვი, რამდენს დავრბოდი, შენ რომ გთხოულობდი, გინდაც სავაჭროდ რომ დავდიოდი, რამდენჯერ ექიმისათვის თუ ბებია ქალისათვის გავქცეულვარ, და ეგეთი კი არაფერი ვიცოდი, ერთხელაც არ მიგრძნია, რომ ჩემი სული გინდაც დუიმით აცილებოდეს საყელოს.

როცა იგრძნო, რომ ირგვლივ მყოფთა მთელი ყურადღება, თვით მეპატრონის შეგირდის ჩათვლით, მისკენ იყო მიმართული, ტესი გაწითლდა და ერთ ხანს დადუმდა, მერე კი ორჭოფულად შენიშნა, ეს

ჩემი ფანტაზიაა მხოლოდო და ჭამა განაგრძო.

კლერი თვალს არ აშორებდა. ტესი მორჩა საუზმეს და რაკი გრძნობდა მამაკაცის მზერას, საჩვენებელი თითით რაღაც სახეების გამოყვანას მოჰყვა სუფრაზე მორცხვად, შინაური ცხოველივით, რომელმაც იცის, რომ ვიღაცა დაჟინებით უმზერს.

„რა წმინდა და უმანკო ბუნების შვილი ჩანს ეს მწველავი გოგონა“, — გაივლო გულში კლერმა.

— და მაშინ შეიცნო მასში რაღაც ნაცნობი, რომელსაც სადღაც წარსულში გადაჰყავდა, იმ მხიარულსა და უზრუნველ ხანაში, როცა დამოუკიდებელი აზროვნების აუცილებლობას ჯერ კიდევ არ მოებურა ზეცა ნაცრისფერი ბურუსით. არა, სადღაც უნახავს ეს გოგონა, მაგრამ სად, ეს კი ვეღარ გაიხსენა, სოფელ-სოფელ ხეტიალის დროს თუ შეხვედრია სადმე. მაგრამ ეს არ აინტერესებდა ახლა მაინცდამაინც. ასე იყო თუ ისე, ყოველივე ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კლერს უპირატესობა მიენიჭებინა ტესისათვის სხვა ლამაზ მწველავ ქალებთან შედარებით, როცა ქალის ცქერით დატკბობა მოესურვებოდა ხოლმე.

XIX

ჩვეულებრივად ყველა ძროხას განურჩევლად რიგრიგობით წველიდნენ. მაგრამ ზოგიერთი მათგანი თავად ირჩევდა ამა თუ იმ ხელს. ზოგჯერ ძროხების მიკერძოება იქამდე მიდიოდა, რომ თავიანთი საყვარელი მწველავის გარდა ახლოს არავის იკარებდნენ და წინააღმდეგ შემთხვევაში უცერემონიოდ გადააპირქვავებდნენ ხოლმე საწველელს.

ფერმერმა კრიკმა მიზნად დაისახა მტკიცედ შებრძოლებოდა სიმპათიებისა და ანტიპათიების ასეთ გამოვლინებას და გამუდმებით უნაცვლებდა მწველავებს ძროხებს, რათა გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო რომელიმე მწველავის ფერმიდან წასვლის შემთხვევაში. მაგრამ გოგონები ჩუმ-ჩუმად ყოველთვის ცდილობდნენ ამ წესის დარღვევას. თითოეული მათგანი ირჩევდა რვა, ან ათ ძროხას, რომელსაც უკვე შეჩვეული იყო და ამის წყალობით დიდი ძალის დაუხარჯავად შეეძლო მისი გამოწველა.

ტესმაც თავისი მეგობრების დარად, მალე შეარჩია ძროხები, რომლებიც მის ხელებს ანიჭებდნენ უპირატესობას და სიამოვნებით ირჩევდა ხოლმე მათ გამოსაწველად. ამ უკანასკნელი ორი — სამი წლის განმავლობაში ისე ხშირად იჯდა ტესი შინ, გარეთ გამოუსვლელად, რომ ხელები ძალზე გაუფაქიზდა. ას ხუთი ძროხიდან რვა:

მსუქანა, ხუშტურა, ამაყა, ნისლა, ბებერი ლამაზა, ნორჩი ლამაზა, ფაქიზო და ბღავანა ისეთის ხალისით აძლევდნენ რძეს, რომ საკმარისი იყო ტესი ოდნავ შეხებოდა ცურს, თუმცა ერთსა თუ ორ მათგანს სტაფილოსავით მაგარი ძუძუები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, რაკი მეპატრონის ნება-სურვილი იცოდა, ტესი მაინც კეთილსინდისიერად ცდილობდა განურჩევლად ეწველა ძროხები, რომელიც კი ხელში მოხვდებოდა, ზოგიერთი მეტად ძნელად გამოსაწველი ძროხის გარდა, რომლებთანაც ჯერ კიდევ ვერას აწყობდა.

მაგრამ, მისდა გასაოცრად, ტესი მალე მიხვდა, რომ რაღაც განგებით სწორედ ის ძროხები ხვდებოდა გამოსაწველად, რომელიც მას სურდა. ბოლოსა და ბოლოს კი ეჭვი შეეპარა: არ შეიძლება ეს შემთხვევით ხდებოდესო. ბოლო ხანებში ფერმერის შეგირდი ხშირად ეხმარებოდა ძროხების რიგში ჩაყენებაში. აგერ, უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ ახედა კლერს ძროხის გვერდით ჩამომჯდარმა ტესმა მზაკვრული ცნობისმოყვარეობით.

— მისტერ კლერ, თქვენ დააყენეთ ძროხები განზრახ ასე!. ..

წაუყენა ტესმა ბრალდება კლერს, ღიმილმა გადაურბინა სახეზე და გაწითლდა. უნებურად ზედა ტუჩი აეზნიქა და კბილები ოდნავ გამოაჩინა. ქვედა ტუჩი კი ჩვეულებრივად უმოძრაოდ და მკაცრად მოკუმული დარჩა.

— მერე რა მოხდა, — მიუგო მან, — ხომ არსად გარბიხართ! ყოველთვის თქვენ გამოწველით ხოლმე ამ ძროხებს.

— ასე გგონიათ? ჰო, მეც ვვარაუდობ დარჩენას, მაგრამ ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

თქვა ტესმა და მერე გაუჯავრდა საკუთარ თავს, აბა, ამან რა იცის რა ძირი და ფესვი აქვს მის სურვილს. ან რისთვის ეძებს ამ განმარტოებულ ცხოვრებას. ხომ შეიძლება არასწორად გაიგოს მისი ნათქვამი. ტესი ისეთი ცეცხლით ლაპარაკობდა, კაცი იფიქრებდა, ფერმაში დარჩენის ასეთი წყურვილი მისტერ კლერის აქ ყოფნითაცაა გამოწვეულიო. საღამოს, როცა ბინდი ჩამოდგა საკუთარ თავზე აღერღილმა ტესმა ბაღს მიაშურა. მიდიოდა და თავს ამუნათებდა, რად ვაგრძნობინე ამ კაცს, რომ მისი ზრუნვა შეუმჩნეველი არ დამრჩენიაო.

ივნისის თბილი საღამო იდგა.; ჰაერი ისეთი გამჭვირვალე და დამათრობელი იყო, გეგონებოდათ, უსულო საგნებიც კი, თუ ხუთი არა, ორი ან სამი შეგრძნების უნარით მაინც აღჭურვილანო. ახლობლებსა და შორეულ საგნებს შორის ზღვარი წაშლილიყო; ახლობელი იყო ყოველი, რასაც თვალსაწიერზე ხედავდა კაცი. ირგვლივ გამეფებული მდუმარება ხმაურის უბრალო უარყოფა კი არ

იყო, სუბსტანციად ქცეულიყო თითქოს, არფის სიმების ჟღერამ გაკვეთა უცებ მყუდროება.

ტესს ადრეც გაეგონა ეს ხმები მანსარდიდან, რომელიც ზედ მისი საწოლის თავზე იყო. არფის სიმების ყრუ, გაურკვეველ, კედლებით ჩახშულ ჟღერას აროდეს ისეთი ზემოქმედება არ მოუხდენია მასზე, როგორც ახლა; წმინდა, ხელშეუხები მელოდია თრთოდა და ირხეოდა უმოძრაო ჰაერში. თუმცა უხეირო იყო საკრავიცა და თავად შემსრულებელიც, მაგრამ შედარებითია ქვეყნად ყოველი, ტესიც მოჯადოებული ფრთოსანივით გარინდული ყურს უგდებდა არფის ჟღერასა და თითქოს ვერ გამძღარიყო მისით. იმის ნაცვლად რომ გაცლოდა იქაურობას ტესი მონუსხულივით მიჰყვა მუსიკის ხმას და ღობეს ამოეფარა.

ბაღის კიდე, სადაც ტესი გარინდებული იდგა, წლობით უპატრონობისაგან სულ მთლად გავერანებულიყო. ირგვლივ ნესტი იდგა ხშირი წვნიანი ბალახისაგან. ოდნავი გატარება და მტვრის ბუქი ავარდებოდა ხოლმე ბალახბულახს. აყვავებული წერწეტა სარეველა ბალახი ირგვლივ მძაფრ სურნელს აკმევდა. ეს წითელ-ყვითელი და მეწამული ფერის ველური ყვავილები ბაღის ყვავილების სადარ საოცარ მრავალფეროვნებას ქმნიდნენ. ტესი კატასავით ქურდულად მიიპარებოდა ბარდებში; კაბაზე ბირკა ედებოდა; ბალბას თელავდა ფეხქვეშ, თითებზე ეცხებოდა თავცეცხლას წვენი და ლოკოკინების ლორწო. შიშველი მკლავებით სულ აწმინდა ვაშლის ხეების თოვლივით თეთრი წებოვანი ობი, რომელიც ღია წითელ ლაქებად აჩნდებოდა კანს. მანსარდთან შედგა.

ქალმა დაკარგა დროისა და სივრცის შეგრძნება. იმ ნეტარებამა და აღტკინებამ, რომელიც, მისივე თქმით, ვარსკვლავის ცქერით შეიძლებოდა აღძვროდა კაცს, უნებურად თავად მოიცვა იგი. ზღვის ტალღებივით უნანავებდა და ნიავივით ესალბუნებოდა არფის წყნარი მელოდია. ცრემლები მოერია. ჰაერში მოფარფატე ყვავილთა მტვერი თვალით ხილულ, ხელშესახებ მუსიკალურ ბგერებად ქცეულიყვნენ. ბაღში ჩამდი, გარი სინესტე კი — მთრთოლვარე ბაღის ცრემლად. ბინდი ჩამოწვა.

ჯერ კიდევ ჩაუქრობელი დღის შუქი დასავლეთით ჰორიზონტზე ღრუბლებს შუა იჭვრიტებოდა, თითქოს იქ, შორს, მაღლა კიდევ შემორჩენილაო დღის ნამსხვრევი, აქ კი — მწუხრი ეშვებოდა. კლერმა დაასრულა უბადრუკი მელოდია, რომლის შესრულებასაც არ სჭირდებოდა დიდი ხელოვნება. ტესი კი იდგა მონუსხულივით და ელოდა, რომ კვლავაც მოესმინა სხვა მელოდია. კლერს მობეზრებოდა

არფის წრიპინი, გარეთ გამოვიდა: დაუარა თავი ბაღსა და შიგ შევიდა. ალეწილი ტესი შეეცადა ჩრდილივით გაპარულიყო.

ენჯელმა მყისვე მოჰკრა თვალი მის ღია ფერის ზაფხულის კაბას, გაეხმიანა, თუმცა მამაკაცი მოშორებით იყო, ტესს შემოესმა მისი წყნარი ძახილი.

— რად გარბიხართ, ტეს? — იკითხა ენჯელმა, — გეშინიათ?

— ოჰ, არა, სერ, ამ გაშლილ ჰაერზე რისა უნდა მეშინოდეს. მერე როგორ აფეთქებულა ვაშლის ხეები და ამწვანებულა ირგვლივ ყოველი.

— მაგრამ თქვენ სხვა შიშსაც იცნობთ, არა? — დიახ, სერ.

— რა გაკრთობთ? — არ ვიცი, სერ, როგორ გითხრათ.

— გეშინიათ, რძე არ აიჭრას? — არა.

— მაშ, ცხოვრება გაშინებთ? — დიახ, სერ.

— ცხოვრება ხშირად მეც მაშინებს, ტეს. მისი ჭაპანის ზიდვა ხუმრობა საქმე როდია. ხომ მართალი ვარ?

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სერ.

— არ მეგონა, თუ თქვენისთანა ყმაწვილი ქალიც ასე ფიქრობდა. საოცარია, როგორ მოხდა?

ტესმა არაფერი უპასუხა.

— გულახდილად მითხარით, ტეს.

ტესმა ვერ გაიგო; ქვეყანა როგორ წარმომიდგენია ის თუ აინტერესებსო, იფიქრა და მოკრძალებით მიუგო:

— როგორ გამომცდელად შემოგვყურებენ ხეები, არა? თუმცა, ჩვენ გვეჩვენება რომ ასე იცქირებიან. მდინარე კი ბუტბუტებს თითქოს: „რად მაკრთობ შენი მზერითაო?“ ასე მგონია, მრავალთა უმრავლესი — ხვალინდელი დღე — ზედიზედ ჩარიგებულანო, პირველი „ხვალე“ ყველაზე დიდად და ნათლად მოჩანს, შემდგომი „ხვალეები“ კი თანდათან პატარავდებიან და პატარავდებიან, რაც უფრო მეტად არიან დაშორებულნი ჩვენგან. ყოველი ხვალინდელი დღე მკაცრია და მრისხანე: „მე მოვდივარ! მიფრთხილდი! მიფრთხილდიო!“ — გვემუქრებიან და თითქოს მუშტს გვიწერენ. მაგრამ თქვენ მუსიკით ძალგიძთ გააღვიძოთ ოცნება და განდევნოთ ეს საშინელი აზრები!

კლერი სახტად დარჩა, როგორ მოახერხა ამ პატარა უბრალო მწველავმა გოგონამ, — რომელშიც მართალია კი იყო რაღაც, რაც მეგობრებს შურს აღუძრავდა, — ასეთი სევდიანი სახეების წარმოდგენა და ასე მარტივად, სადად, გამოხატვა? — ეტყობა, ექვსკლასიან სკოლაში სწავლებას ამაოდ არ ჩაუვლია — ის გრძნობები, რომლე-

ბიც თვით საუკუნის გრძნობას — მოდერნიზმის სატკივარს წარმოადგენდა. მაგრამ სამყაროს ასეთი აღქმითა და გაგებით გაკვირვებულ კლერს განცვიფრება შეუნელდა, როცა მოისაზრა, რომ ეგრეთ წოდებულ მოწინავე იდეებს, იმ გრძნობებს, რომლებიც შეუცნობლად აღელვებენ კაცობრიობას საუკუნეების მანძილზე, თანამედროვე ფორმაში განსაზღვრავენ, უფრო ზუსტად გამოხატავენ „ლოგიასა“ და „იზმზე“ დაბოლოებული სიტყვების მეშვეობით.

მაგრამ საკვირველებათა საკვირველება ის იყო, რომ ეს გრძნობები ასეთი ახალგაზრდა ქალის სულში გაჩნდა. აი, რა აოცებდა კაცს, რა აინტერესებდა და აღელვებდა! ვერაფრით ვერ ჩამხვდარიყო კლერი ამის მიზეზს. ანკი როგორ ჩახვდებოდა, როცა არც დაფიქრებულა, რომ ხანგრძლივობა კი არა და, განცდილი ტანჯვა-წამების სიღრმე და სიმძაფრეა თავი და თავი და ტესიც ტანჯვითა და დაგვით მივიდა ამ სულიერ სიმწიფემდე.

ტესი კი თავის მხრივ გაოცებული იყო, რად უნდა ყოფილიყო მღვდლის ოჯახიდან წარმომდგარი, განათლებული ყმაწვილკაცისათვის, რომელმაც არ იცის, რა არის ხელმოკლეობა, ცხოვრება ტვირთი? მას, მწირსა და ყარიბს, ჰაი, რომ ჰქონდა საამისო მიზეზი, მაგრამ როგორ იზიარებდა იობის მკვიდრის ამ გრძნობებს ეს გამორჩეული პოეტური სულის კაცი, რომელიც არაოდეს ჩამოქვეითებულა „დამცირების ველზე“, იმ განცდებს, რომელნიც თავად ჰქონდა განცდილ-გადატანილი ამ ორიოდე წლის უკან — „განთავისუფლებულ სულისაგან ჩემისა სულისა, ხოლო სიკუდილისაგან ძუალთა ჩემთა“.

მართალია, კლერი ახლა მოწყვეტილი იყო საკუთარ კლასს, მაგრამ ტესმა ხომ იცოდა, რითაც აიხსნებოდა ეს: პეტრე დიდის დარად იგი ახლა ნავთსაშენში ეწაფებოდა იმას, რისი ცოდნის წყურვილიც ჰქონდა, ძროხებს იგი იმიტომ კი არა წველიდა, რომ იძულებული იყო და არსობის პური ჰქონდა მოსაწევი, — არა, მას სურდა შეესწავლა ყოველი, რათა შემდგომ კარგი ფერმერი, მიწათმფლობელი და აგრონომი დამდგარიყო, — ამერიკელი ან ავსტრიელი აბრაამი გამხდარიყო, რათა ვითარცა მბრძანებელ მონარქს მომავალში ებრძანება თავის სამწყსოსა და ჭრელსა და ზოლიან ჯოგზე, ქვეშევრდომებსა და მსახურებზე, მაგრამ ტესს მაინც ვერ გაეგო, რად უნდა ემჯობინებინა ამ ნაკითხ, მუსიკის მოყვარულსა და მოაზროვნე ადამიანს ფერმერობა სასულიერო წოდებისათვის და არ გაჰყოლოდა მამისა და ძმების გზას.

რაკი არც ერთს არ გააჩნდა მეორის საიდუმლოების ამოსაცნობი

გასაღები, ორივე განცვიფრებული ჩერდებოდა საკუთარ აღმოჩენათა წინაშე; არა ცდილობდნენ წარსულში გადახედვას, მოთმინებით ელოდნენ და სასოს არა ჰკარგავდნენ, რომ ოდესმე უფრო ღრმად ჩაწვდებოდნენ ერთურთის ხასიათებსა და სულიერ სამყაროს.

ყოველ დღესა და ყოველ საათს მოჰქონდა რაღაც სიახლე უმჟღავნებდა და უჩვენებდა კლერს ტესის ახალ თვისებებს. თავის მხრივ არც ტესი ჩამორჩებოდა მას. მისი აღმოჩენები ნაკლებ მნიშვნელოვანი როდი იყო. ყოველნაირად ცდილობდა ქალი, დაეთრგუნა თავი და არ უწყოდა რაოდენ ჭარბი სასიცოცხლო ძალა იყო მასში დაუნჯებულ-დავანებული.

თავდაპირველად ტესს თითქოს ენჯელის ჭკუა-გონება იპყრობდა და ხიბლავდა მხოლოდ, ვერ ხედავდა მასში მამაკაცს. ნიადაგ ადარებდა საკუთარ თავს და ყოველთვის აოცებდა მისი ცოდნის სიღრმე, ის უფსკრული, რომელიც ყოფდა ენჯელისაგან მას, სულიერი განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ ტესს; ანდის მწვერვალივით განუზომლად ამაღლებული ენჯელისაგან მწარე სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და იმედიც გადაეწურა, რომ ყოველი მისი ცდა ამაოდ ჩაივლიდა.

კლერმა ერთხელ ტესს ძველი ელადის მწყემსურ ყოფაზე ჩამოუგდო სიტყვა. ქალმა მოიწყინა და „ლორდებისა“ და „ლედის“ კოკრებს დაუწყო კრეფა.

— რად მოიწყინეთ? — ჰკითხა ენჯელმა.

— არაფერია, ისე... ჩემს თავზე ვფიქრობდი, კაეშნით გაიღიმა ტესმა და, „ლედის“ ფოთლები ნერვიულად გაწიწკნა.

— ვფიქრობდი როგორი შეიძლებოდა ვყოფილიყავი!.. ასე მგონია, მე თავად დავღუპე საკუთარი ცხოვრება, არასოდეს არა მქონია შემთხვევა, რამე გამეკეთებინა. როდესაც ვხედავ რა ბევრი იცით თქვენ, რამდენი წაგიკითხავთ, რამდენი გინახავთ და განგიცდიათ, თავი არარაობა მგონია. საბრალო ბიბლიურ დედოფალს საბაისა ვგავარ! მეტი ძალა და მხნეობა არც მე შემწევს.

— მართალი გითხრათ, ამაზე არ ღირს წუხილი! და იცით, ჩემო კარგო ტეს, — წამოიწყო აღფრთოვანებულმა კლერმა, — მოხარული ვიქნებოდი დაგხმარებოდით, მესწავლებინა ისტორია, ან მომეცა წიგნები, რომელთა წაკითხვასაც ისურვებდით.

— ისევ „ლედია“! — შეაწყვეტინა ტესმა, ყვავილის კოკორი აჩვენა, და ისიც გაწიწკნა.

— რა არი?

— რა და, როგორც კი ფურცლებს შემოაცლი, მაშინვე აღმოჩნდება, რომ უფრო მეტი „ლედია“, ვიდრე „ლორდი“.

— დაანებეთ თავი ამ „ლორდებსა“ და „ლედის“! გინდათ ისწავლოთ რამე? აი, თუნდაც ისტორია?

— ზოგჯერ ასე მგონია, რომ არც მინდა იმაზე მეტი გავიგო, რაც უკვე ვიცი.

— რატომ?

— აბა, რა გამოვა იქიდან თუ, ვთქვათ, შევიტყობ, რომ ისეთები, როგორიც მე ვარ, უამრავია ამქვეყნად. ან რომელიმე ძველ წიგნში ზუსტად ჩემნაირი ბუნების ადამიანია აღწერილი და მომავალში მეც ის უნდა გავაკეთო, რასაც ის აკეთებდა? ეს სევდას თუ მომგვრის, თორემ სხვა სიკეთე რა იქნება. ისა სჯობს, არც გავიხსენო, რომ შენ შენი წარსულით არაფრით განსხვავდები ათასობით სხვა ადამიანისაგან, ხოლო შენი მომავალი ცხოვრება და ყოველი ნაბიჯი ისეთივე იქნება, როგორიც იმათი იყო.

— მაშ, არა გსურთ ისწავლოთ რამე?

— იცით, რა მინდა გავიგო?.. აი, მე მაინტერესებს — რად, რად... უნათებს მზე ერთნაირად ბოროტსაცა და კეთილსაც, — მიუგო ტესმა და ხმა გაებზარა, — ამას კი წიგნები ვერ მეტყვიან.

— ფუ, ტეს, რა გალაპარაკებთ ასეთი სიმწრით?

რა თქმა უნდა, ზრდილობისა და მოვალეობისათვის უთხრა ენჯელმა ეს ტეს, თორემ წარსულ დღეებში განა ცოტაჯერ მოსვლია თავადაც ასეთი ფიქრი თავში? მაგრამ ტესის უბიწო ტუჩ-პირის შემყურე ენჯელს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მიწის ეს უმანკო შვილი სიტყვებს ზერელედ, დაუფიქრებლად იმეორებდა, ისე, რომ თავად არც კი უწყოდა, რას ამბობდა. ქალი კვლავ იდგა და ჯიუტად აცლიდა ფურცლებს „ლორდებსა და „ლედის“. ენჯელმა თვალი შეავლო მის სათუთ ღაწვებზე დაფენილ შეტეხილ წამწამებს და განერიდა. ტესი კარგა ხანს იდგა დაფიქრებული, ვიდრე სათითაოდ არ გააცალა ფურცლები უკანასკნელ კოკორსაც, მერე გამოერკვა და სულელური ლაპარაკისთვის საკუთარ თავზე გაგულისებულმა მოუთმენლად დაგლიჯა და მიწაზე დაყარა ყვავილთა სამყაროს ეს უბრწყინვალესი წარმომადგენლები — სულის სიღრმეში კი ნაპერწკალი ჩაღდებოდა.

ვინ იცის, რა ბრიყვი ჰგონია ენჯელს ტესი. მაგრამ მოიცათ! — კლერის კეთილი აზრის დამსახურების მოსურნე ტესს უეცრად ის გაახსენდა, რის დავიწყებასაც უღმერთო შედეგების გამო ასეთის მონდომებით ცდილობდა მთელი ეს ხანი, — ის ხომ დ'ერბერვილთა რაინდული გვარის ნაშიერია! ტესისათვის ეს აღმოჩენა უსარგებლო და დამღუპველი იყო, მაგრამ ვინ იცის, ისტორიაში ღრმად ჩახედული მისტერ კლერი მისადმი პატივისცემითაც განიმსჭვალოს და დაივიწყოს მისი ბავშვური თამაში „ლორდებთან“ და „ლედებთან“ როცა

შეიტყობს, რომ პურბეკლი მარმარილოსა და ალაბასტრის ქანდაკებები კინგსბირის ეკლესიაში პირდაპირი ხაზის მის ჭეშმარიტ წინაპრებს განასახიერებენ, რომ ფულსა და პატივმოყვარეობას დამონებული ტრენტრიჯელი დ'ერბერვილების დარად, თვთმარქვია კი არ არის, არამედ წმინდა სისხლის დ'ერბერვილია.

ტესმა ვერ გაბედა ამ აღსარების ერთბაშად გამხელა, ჯერ ფრთხილად შეეცადა გამოეტყუებინა მეპატრონისათვის რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი მისტერ კლერზე. პატივისცემით იყო გამსჭვალული იგი საგრაფოს უძველესი გვარების მიმართ, რომელთა შთამომავლებსაც დაკარგული აქვთ მთელი სიმდიდრე და მიწაწყალი, თუ არა?

— მისტერ კლერი, — გადაჭრით განუცხადა ფერმერმა, — თავზეხელაღებული მეამბოხეა, ბევრიც ეძებო, მეორეს ვერ ნახავ ეგეთს. იოტისოდენადაც არა ჰგავს თავის ნათესავებს. და თუ რამეს ვერ იტანს ამ ქვეყნად, ყველაზე მეტად, ეგრეთ წოდებულ ძველებურ გვართა ჩამომავლებს.

— მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ძველმა გვარებმა მოჭამეს თავისი დრო და ახლა სრულიად დაკარგული აქვთ აზრი. იყო დრო, როცა ბილეტებს, დრენკჰარდებს, გრეიებს სან-ქუინტენებს, ჰარდებსა და გოულდებს ვეებერთელა ადგილმამულები ჰქონდათ ამ ველზე, მაგრამ ახლა გაღატაკებული და გაძვალტყავებულები არიან. გინდაც აი, ეს ჩვენი რეტი პრიდლი ავიღოთ. იგი პერიდელთა უძველესი გვარისაა, რომელთაც ოდესღაც დიდი მიწები ჰქონდათ კინგს-ჰინტოში, მაგრამ ახლა ისინი გრაფ უესექსს ეკუთვნის. ამ დროს კი მისი ან მის თვისტომთა ხსენებაც არ იყო, როცა მისტერ კლერმა ეს გაიგო, რამ დენიმე დღე სულ აბუჩად იგდებდა საბრალო გოგოს: „ეჰ, არასოდეს თქვენგან კარგი მწველავი არ დადგება! თქვენმა წინაპრებმა მთელი ძალა და ენერგია საუკუნეების წინ პალესტინაში ჩახარჯეს და ახლა ერთი ათასი წელი მაინც დაგჭირდებათ, რომ წელი წამოიდგათ და რაიმესათვის ივარგოთო!“ მახსოვს ერთხელ, ვიღაც ჯეელი ბიჭი მოვიდა ჩვენთან მეტი მქვიაო, გვითხრა და თან სამუშაო გვთხოვა. ვეკითხებით, რა გვარი ხარო, — ის კი იძახის, არც არასოდეს მახსოვს გვარი მქონოდესო. რას ამბობ? — განვცვიფრდით ჩვენ. ის კიდევ გვეუბნება, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ნათესავები დიდი ხანი არ არის რაც აქ ჩამოეთესლენო, — აი, სწორედ თქვენისთანა კაცი მჭირდება მეო! — წამოხტა მისტერ კლერი, და ხელი მაგრად ჩამოართვა, — თქვენზე და თქვენისთანებზე ვამყარებ მე დიდ იმედებსო! — უთხრა და ნახევარკრონიანი გაუწოდა. ო, არა, არა, ძველისძველი გვარების გაგონებაც არ უნდა

მისტერ კლერს!

რაკი მოისმინა კრიკის ნაამბობი კლერის შეხედულებებზე, ტესი სიხარულით ცას ეწია, რომ სისუსტის წუთებში ერთი ზედმეტი სიტყვაც არ დასცდენია საკუთარ ოჯახზე, თუმცა კი მისი გვარი განსაკუთრებით ძველისძველი იყო და არა თუ დაკნინება, ამ ხანში ახალი ძალების მოკრებაც კი მოესწრო. გარდა ამისა, როგორც ჩანდა, ერთი მწველავი ქალი ჰყოლია მეტოქე ამ მხრივ. ჰოდა, ტესმა ენას კბილი დააჭირა, კრინტი არ დაუძრავს აღარც დ'ერბერვილების აკლდამაზე და არც ვილჰელმ დამპყრობლის რაინდზე, რომლის სახელსაც თავად ატარებდა. ტესი იმასაც მიხვდა, რომ ენჯელს მისი ოჯახური წარმოშობის გამო უფრო აინტერესებდა იგი. ეჭვი არ იყო, კლერი ფიქრობდა, ტესი იმ ოჯახის პირმშოა, რომელსაც არც არასოდეს დაუკარგავს თავისი ძალები, და ან კი რას დაკარგავდა, რაც არა ჰქონია, და არც რაიმე ტრადიციები გააჩნიაო.

XX

ზაფხული თავის უფლებებში შევიდა. ყვავილნი, ფოთოლნი, ბულბულნი, სკვინჩები და შაშვები კვლავაც დაბინავდნენ იქ, სადაც სულ რაღაც ერთი წლის წინ სახლობდნენ სხვა დღემოკლე არსებანი, ხოლო თავად მაშინ მხოლოდ ჩანასახები, ანდა ერთი ციცქნა ნაწილაკები იყვნენ არაორგანული სამყაროსი. მზის სხივებით ივსებოდნენ კვირტები, იზმორებოდნენ ღეროები, უხმაუროდ მოჟონავდა წვენი ხეებში, იშლებოდნენ ფურცლები, თვალით უხილავ ნაკადებად და სუნთქვად იღვრებოდა ირგვლივ ამო სურნელი.

კრიკის ჯალაბობა, მუშა ქალები და კაცები, უდარდელად, უშფოთველად და მხიარულადაც კი ცხოვრობდნენ. მათი სოციალური მდგომარეობა, შესაძლოა, ყველაზე ბედნიერიც კი ყველა სოციალურ მდგომარეობათა შორის, რაკი ისინი იმ ხაზს ზემოთ იმყოფებოდნენ, სადაც სიღარიბე მთავრდება და იმ ხაზს ქვემოთ, სადაც პირობითობები ბუნებრივი გრძნობების შებოჭვას იწყებს. ხოლო უხამსი მოდის დევნა თვით აუცილებლით დაკმაყოფილების საშუალებასაც კი არ იძლევა.

გაქრა ის დღეები, ოდეს ასე უხვია ფოთოლთ მწვანე ჩანჩქერი, ოდეს ბუნება თითქოს ერთადერთ მიზანს ემსახურება — აღმოაცენოს მცენარეები. ტესი და კლერი შეუცნობლად, სულ უფრო ახლო ეცნობოდნენ ერთურთს და მუდამ ინარჩუნებდნენ წონასწორობას ვნებათა ზღურბლთან, არასოდეს გადადიოდნენ ზღვარს. ემორჩილებოდნენ უცვლელ კანონსა და მიისწრაფოდნენ ერთი და იმავე

წერტილისაკენ, მსგავსად ერთ ველზე მიმდინარე ორი ნაკადულისა.

არასოდეს ყოფილა ტესი ასე ბედნიერი, როგორც ახლა და, ვინ იცის, არც მომავალში ეწერა მეტი ბედნიერება. ახალ გარემოს შეეგუა „და შეეწყო ფიზიკურადაც და სულიერადაც. თითქოს შხამიან მიწაში ფესვგადგმული ნორჩი ხე, — რაკიღა ბედად თესლი იქ დავარდნილა, — უფრო ნოყიერ მიწაზე გადარგესო. გარდა ამისა, ტესიცა და კლერიც ჯერ კიდევ უბრალო სწრაფვა, გატაცებასა და სიყვარულს შორის იყვნენ, როცა ჯერ კიდევ არ გაღვივებულა ღრმა გრძნობები და ფიქრები თავისი თავმომაბეზრებელი კითხვებით „საით მიმაქანებს ეს ახალი ნაკადი? რას მიქადის მომავალი? რა კავშირი აქვს ჩემ წარსულთან?“

ენჯელ კლერისათვის ტესი ამჯერად მხოლოდ შემთხვევითობა, ვარდისფერი თბილი ჩრდილი იყო, რომელმაც მხოლოდ ეს-ესაა შეიპყრო მისი გონება და კლერმა მასზე ფიქრის ნება დართო თავს. აკი მისი ინტერესი ქალისადმი მხოლოდ და მხოლოდ ეგრეთ წოდებული ფილოსოფიის ინტერესი იყო და სხვა არაფერი, ფილოსოფოსისა, რომელიც ქალთა სქესის უაღრესად თავისებურ თვითმყოფად წარმომადგენელს ჭვრეტს.

ისინი გამუდმებით ხვდებოდნენ ერთმანეთს, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ხვდებოდნენ ყოველდღე უცნაურსა და მოზეიმე ცისკარზე. სოსანისფერსა და ვარდისფერ სხივებში განთიადის ჟამს, რადგანაც აქ ძალიან ადრიანად იყო საჭირო ადგომა. ძროხებს ჯერ კიდევ ბინდბუნდზე წველიდნენ, ხოლო მანამდე დილის ოთხ საათზე, ნაღებს ხდიდნენ რძეს. ჩვეულებისამებრ, ვინც პირველი გაიღვიძებდა ზარის წკრიალზე, მოვალე იყო სხვებიც გაეღვიძებინა. ტესი ყველაზე ბოლოს მოვიდა ფერმაში, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ შეიძლებოდა მინი ნდობა. არასოდეს მისცემდა ძილს თავსა და არ დააგვიანებდა, როგორც ეს სხვებს ემართებოდათ ხოლმე. ჰოდა, ამიტომაც სხვების გაღვიძების მოვალეობა მეტწილად მის კისერზე იყო. როგორც კი საათი მორჩებოდა ჟღარუნს სამ საათზე, ტესი გამოვიდოდა თავისი ოთახიდან და მეპატრონის კარებთან მიიჭრებოდა, მერე კი ადიოდა კიბით მეზონინზე ენჯელთან და ჩურჩულით მოუხმობდა. ყველაზე ბოლოს თავის ამხანაგებს აღვიძებდა.

სანამ ტესი ჩაიცვამდა, კლერი უკვე ჩამოდიოდა ძირს ცინცხალი დილის ნოტიო სიგრილეში. დანარჩენი მუშები და თავად მეპატრონეც ერთ ხანს ისევ ლოგინში ხვანჭვალს არჩევდნენ და მეოთხედი საათის შემდეგ ძლივს ახერხებდნენ გარეთ გამოსვლას.

განთიადის ნაცრისფერი არა ჰგავს მიმწუხრის ნაცრისფერს, თუმცა საღებავები ერთია თითქოს. აისზე სინათლე მძლავრობს,

ბინდი კი სუსტია და უნიათო, მაშინ, როცა მიმწუხრის ჟამს წყვდიადია მოძალებული, სინათლე კი მთვლემარეა და უმწეო.

მეტწილ და, შესაძლოა, ყოველთვის შემთხვევითაც არა, ეს ორი ყველაზე ადრე იღვიძებდა ფერმაში, და ასე ეგონათ, ისინი პირველნი თრგუნავდნენ ძილს ამქვეყნად. სანამ ტესი ახალი მოსული იყო, ნაღების მოსართმევად არ ჩადიოდა, ჩაიცვამდა თუ არა, მაშინვე ეზოში გავიდოდა, აქ კლერი ელოდა. გაშლილ ველზე თითქოს წყლისფერი შუქი იღვრებოდა და სხვათაგან განცალკევებულისა და მოწყვეტილის გრძნობას აღძრავდა მათში ადამისა და ევას დარად. ახლახან ჩასახული დღის მქრქალ შუქზე კლერს ტესი რაღაც მეფური ძლევამოსილებით აღსავსე, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი ეჩვენებოდა; იქნებ იმიტომ, რომ მის ახლომახლო იმავე ღირსებებით შემკული ერთი ქალიც არ გამოდიოდა შინიდან ასე ადრიანად. ის კი არა და, ალბათ, მთელ ინგლისშიც თუ ძნელად მოსძებნიდა კაცი ასეთ ქალს. ლამაზებს ზაფხულში ძილი სჩვევიათ დილ-დილაობით. ტესი მის გვერდით იყო.

— სხვები კი არ არსებობდნენ.

გაფანტული უცნაური შუქი, რომელიც გარს ეხვეოდა მათ როცა ძროხების სადგომისაკენ მიემართებოდნენ, კლერს მკვდრეთით აღდგომის ჟამს აგონებდა ხშირად, მაგრამ დაფიქრებით, არასოდეს დაფიქრებულა, მაგდალინა ხომ არ მოაბიჯებს ჩემ გვერდითო. გარემოს მომცველი ნაცრისფერი ბურუსიდან ამოცურებულიყო თითქოს ფოსფორის შუქით ნათელმოსილი მისი თანამგზავრის სახე, ასე რომ იპყრობდა მის თვალთა მზერას. ზმანება და მოჩვენება, სხეულიდან განრიდებული სული იყო იგი თითქოს. თუმცა კი ჩრდილოაღმოსავლეთიდან ამოჭრილი ალმოდებული განთიადის ცივი სხივები დაჰფენოდა სახეზე და ეგ იყო, სხვა არაფერი: ტესსაც მოჩვენებად ესახებოდა კლერის სახე, თუმცა თავად ენჯელი არ უწყოდა ამას.

აი, ამ საათს, როგორც ითქვა უკვე ტესი უღვთოდ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა კლერზე. ქალურობის განსახიერებად ქცეული ტესი უკვე აღარ გახლდათ ის უბრალო მწველავი გოგონა. ხუმრობით უწოდებდა მას კლერი არტემიდას, დემეტრესა და სხვა ამგვარ ახირებულ სახელებს. ტესს არ მოსწონდა ეს ზედმეტი სახელები; ვერაფერი გაეგო მათი.

— დამიძახეთ ტესი, — ეუბნებოდა იგი მოკრძალებით და კლერიც ემორჩილებოდა უდრტვინველად.

ინათებდა და ტესი კვლავაც იქცეოდა ქალად. ნეტარების მომნიჭებელი ღმერთქალის სახე, თავად ნეტარებას მოწყურებულ ქალის

სახეს მიიღებდა.

ამ საათებში, ოდეს ჯერ კიდევ სძინავს ყოველ სულიერს, ისინი ხშირად მიდიოდნენ წყლის ფრინველებთან. მინდვრის პირზე შამბნარებიდან ყანჩა აფრთხიალდებოდა და ყივილით გააყრუებდა მიდამოს, მოფრიალებული კარისა და დარაბების ბრახუნს აგონებდა ეს ყოველი ქალვაჟს... ზოგჯერ კი გაბედულად განაგრძობდნენ ყანჩები წყალში დგომას. თვალს გააყოლებდნენ მიმავალ წყვილს, და მერე მძიმე-მძიმედ და გულგრილად მოაბრუნებდნენ თავს, საათის მექანიზმით ამოძრავებული ტიკინებივით. მიმავალი წყვილი ეგებებოდა ზაფხულის მსუბუქ ნისლს, რომელიც ფუმფულა პირბადესავით ეფინებოდა ველს. პაწია კუნძულებივით მოჩანდა გარიჟრაჟის ნამით გაჭაღარავებულ მოლზე ძროხების ნაწილი. მუქი მწვანე, მშრალი, ძროხისოდენა კუნძულები თითქოს გაბნეული იყო ვეებერთელა ნამის ოკეანეში. ყოველი კუნძულიდან ბილიკი მიიკლაკნებოდა, ძროხებს დაეგდოთ ლამის სადგომები და საბალახოდ გადგომოდნენ გზას. ბილიკის ბოლოში პოულობდნენ ძროხებს ისინი. ქალ-ვაჟის დანახვაზე საქონელი ფრუტუნს მოჰყვებოდა და ნესტოებიდან ორთქლის ოხშივარს ამოუშვებდა. მერე ან გადენიდნენ ძროხას ფერმისაკენ, ან იქვე მოწველიდნენ.

ზოგჯერ ზაფხულის ნისლი შეიკვრებოდა, ჩამოწვებოდა და თეთრად აქაფებულ ზღვას დაემსგავსებოდა მინდორი. ნისლი ნამცეცა ალმასებივით ეფინებოდა ტესს წამწამებზე, წვრილ-წვრილ მარგალიტებად ეყარა თმებზე. ოდეს დადგებოდა დღე, ნათელი და გაცვეთილი ნამი აორთქლდებოდა, ტესი კარგავდა თავის უცნაურსა და ჰაეროვან სიტურფეს, თვალები და კბილები უბრწყინდებოდა მზის სხივებზე და იგი კვლავაც თვალისმომჭრელი სილამაზის მწველავ ქალად იქცეოდა.

— ამ დროს გაისმოდა კრიკის ჯაჯღანი. შავ დღეს აყრიდა დაგვიანებისათვის მუშებს, რომლებიც ფერმაში არ ცხოვრობდნენ, ლანძღავდა და აგინებდა ბებერ დებორა ფაიენდერს, ტურტლიანი, დაუბანელი ხელებით ძროხების გამოწველისათვის.

— ღვთის გულისათვის, დებ. შეუშვირე ხელები ტუმბოს ღმერთმანი, ლონდონელებმა რომ იცოდნენ, რა ტურტლიანი ხარ, იმდენ რძესა და კარაქსაც არ იყიდდნენ, რამდენსაც ყიდულობენ, და შენ ეს ხუმრობა საქმე გგონია?

გამოწველიდნენ ძროხებს და ახლა ტესს, კლერსა და სხვებს მაგიდის ხრიგინი მოესმოდათ; კრიკი საუზმის სამზადში მძიმე მაგიდას აჩოჩებდა კედლიდან. ეს პროცედურა ნიადაგ უსწრებდა წინ ყოველ ტრაპეზს; საუზმის მერე ისევ გაისმოდა გულის გამაწვრილებელი

ჭრიალი — ახლა მაგიდას ისევ თავის ადგილზე დგამდნენ.

XXI

ერთხელ საუზმის შემდეგ სარძევეში აურზაური ატყდა. კარაქის სადღვები მანქანა ჩვეულებისამებრ ტრიალებდა, კარაქი კი არ იდღვებებოდა; ყოველთვის, როცა კი მსგავსი რამ მოხდებოდა, ყველანი თითქოს კალაპოტიდან ამოვარდებოდნენ. რძე ეშხეფებოდა უზარმაზარ ცილინდრს, სანუკვარი ხმა კი არა და არ ისმოდა.

— ფერმერი კრიკი, მისი მეუღლე და მწველავები იდგნენ და უმწეოდ შეჰყურებდნენ კარაქის სადღვებ მანქანას.

— რამდენი წელია არა ვყოფილვარ იმ მკითხავი ტრენდლის შვილთან ენგდონში, ვინ იცის! — სიმწრით თქვა კრიკმა, — ერთი ორმოცდაათჯერ მაინც მითქვამს, არა მჯერა-მეთქი მისი მაგრამ სხვა გზა არ არის ვატყობ, მაინც მომიწევს წასვლა თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია კიდევ, ჰო, რა გაეწყობა, უნდა წავიდე, თუ მანამ საქმეს არაფერი ეშველა.

მისტერ კლერმაც კი მოიწყინა, სასოწარკვეთილი ფერმერის დანახვაზე.

— ჩემს ბიჭობაში, — თქვა ჯონათან ქეილმა, — მკითხავი დოლი, აი, კესტერბრიჯის იქით მხარეს რომ ცხოვრობს ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ ახლა დაბერდა, დაჩაჩანაკდა.

— პაპაჩემი ოსტატ მინტერთან დადიოდა, ოლსკომბში, გონიერი კაციაო, იტყოდა ხოლმე საწყალი პაპაჩემი, — განაგრძობდა მისტერ კრიკი, — ახლა კი აზრიანი კაცი სანთლით საძებარია.

მისის კრიკი უფრო ახლოს იყო ჭკუასთან.

— ნეტავ შეყვარებული ხომ არავინაა ამ ჩვენს ფერმაში, — ივარაუდა მან, — ქალიშვილობაში გამიგია, კარაქმა სწორედ ასეთ დროს არ იცის შედღვებაო. გახსოვს, კრიქ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენთან რომ ერთი გოგო მუშაობდა... აი, არც მაშინ იდღვებებოდა ხოლმე კარაქი.

— ჰო, მაგრამ სიყვარული რა შუაშია კარაქის სადღვები გაფუჭდა — ძალიან კარგად მახსოვს.

კრიკი კლერს მიუბრუნდა:

— ჩვენთან ერთი ჯეკ დოლოპი მუშაობდა, სერ, გერგილიანი ბიჭი იყო. ერთ მელსტოკელ გოგოს ეარშიყებოდა, ბოლოს სხვებისა არ იყოს, ისიც მოატყუა, მაგრამ მოგეხსენება, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო. ჰოდა, დიდ ხუთშაბათს ყველა შევიყარეთ ასე, ა, როგორც ახლა, მაგრამ იმ დღეს კარაქს არა ვდღვებდით. გავიხედეთ

და იმ გოგოს დედა არ მოდის? ხელში სპილენძის წვეტიანი გრძელი ქოლგა უჭირავს; ისეთი რომა, ბუღას რომ დაარტყა, დააბორიალებს და წააქცევს.

— აქ მუშაობს ჯეკ დოლოპი? — გვეკითხება, — დაუძახეთ ერთი, ანგარიშები მაქვს გასასწორებელიო. უკან კიდევ ჯეკის მოტყუებული ქალიშვილი მოჰყვება, ჩაურგავს საწყალს ცხვირ-პირი ცხვირსახოცი და ტირის, მწარედ ზლუქუნებს. ჯეკმა ფანჯარას გახედა, იცოცხლეთ, იმას ფერი ეცვალა.

— ღმერთო, მიშველე! მომკლავს, ღმერთმანი მომკლავს ეს ქალი თუ მომიხელთა, — აქეთ ეცა, იქით ეცა, სად დავიმალო, მითხარით, სად გადავიმალო, — ყვიროდა, — არიქა, არ გამამხილოთ, სადა ვარ, თქვენი ჭირიმეო! ამის თქმა და მისი სადღვებში ჩაძრომა ერთი იყო. ხუფი შიგნიდან ჩახურა. ეს კი მოასწრო ჯეკმა და შემოიჭრა კიდეც გოგოს დედა „სად არის ეგ არამზადა, ეგა, მაჩვენეთ ერთი, სახე ჩამოვუხოკო!“ — ყვიროდა... სად არ ეხება, რა არ უძახა, შე ასეთო, შე ისეთოო, საწყალი ჯეკი კი წევს სადღვებში და ლამისაა. ამოიხრჩოს შიგ. საბრალო გოგო, უფრო სწორად ახალგაზრდა ქალი, დგას კარებში და გულამოსკვნილი ტირის. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ამბავი. ქვა რომ ქვაა, ის ატირდებოდა მისი საცოდაობით. დედამისმა კი ვერ იქნა და ვერსად იპოვა ჯეკი.

ფერმერი გაჩუმდა. ერთი საინტერესო თვისება ჰქონდა მისტერ კრიკს, როცა რამეს ყვებოდა; კაცს რომ ეგონა, აბა, დაასრულა ამბავიო, სწორედ მაშინ იწყებდა ყველაზე საინტერესო სათქმელს, ჰოდა, შეცდომაში შეყვანილი მსმენელები ნაადრევად იწყებდნენ აზრების გამოთქმას, მაგრამ ძველი ნაცნობები ეგრე ადვილად აღარ ეგებოდნენ ანკესზე.

მთხრობელი განაგრძობდა:

— დალახვროს. ეშმაკმა. კაცმა არ იცის, სუნი იკრა თუ როგორ მიხვდა ეს აშარი დედაკაცი, რომ ჯეკი სადღვებში იჯდა, ჩაავლო სახელურს ხელი, — კარაქის სადღვებს მაშინ ხელით ვატრიალებდით, — და აბა, გიყვარდეს, არ დაუწყო ტრიალი? საწყალი ჯეკი შიგ ლაყლაყებს. „ღვთის გულისათვის გააჩერეთ სადღვები, — გამოყო ჯეკმა გარეთ თავი, — ამომიშვით, სული ამომივიდა?“ (ცოტა არ იყოს მხდალი და მშიშარა კი გახლდათ, როგორც საერთოდ ასეთ ვაჟბატონებს სჩვევიათ). „ვერ ეღირსები გარეთ გამოსვლას, სანამ სამაგიეროს არ გადაგიხდი, მისი გაუბედურებისათვის!“ — დაუღრიალა დედაკაცმა. „გააჩერე სადღვები, ბებერო კუდიანო!“ — აწკმუტუნდა ჯეკი, „უჰ შე თაღლითო შენა, ბებერი კუდიანიც გავხდი ხომ? იმის მაგიერ რომ აგერ ხუთ თვეზე მეტია სიდედრს მეძახდე!“ ვერავინ გაბედა ამ

ბრძოლაში ჩარევა. ბოლოს ისევ ჯეკი დაპირდა ცოდვის მონანიებას. კარგი, შევასრულებ ჩემ სიტყვასო, უთხრა და ამით დასრულდა მთელი ეს აურზაური.

გაიცინეს, მერე კი სჯა-ბაასი გააბეს. უეცრად უკნიდან რაღაც ფაჩუნი გაისმა. ყველა მოტრიალდა. ფერგამკრთალი ტესი კარისაკენ მიდიოდა.

— როგორ ცხელა დღეს! — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მან.

მართლაც ცხელი დღე იდგა. აზრადაც არავის მოსვლია, რომ კრიკის ნაამბობმა დაუკარგა ფერი ტესს. კრიკმა გაუსწრო, გაუღო კარი და ალერსით გაეხუმრა:

— რაო, გოგონი? (ხშირად უნებური ირონიით ეძახდა ასე). ჩემო ყველაზე კარგო მწველავო; პატარა სიცხემ დააჭირა თუ არა, მაშინვე ამჟავდი? შუა ზაფხულში რაღა გვეშველება უშენოდ, ჰა? თქვენ რას იტყვით მისტერ კლერ?

— უქეიფოდა ვარ, ჰაერზე გავალ, — წაიდუდუნა ტესმა და კარს მიეფარა.

ტესის ბედზე სწორედ იმ წუთას რძის შხაპაშხუპი სადღვებელში სანუკვარმა ტლაშატლუშმა შეცვალა.

— წავიდა.

— შეჰყვირა მისის კრიკმა და ტესის დარდი აბა, ვიღას ჰქონდა.

საბრალო გოგო მალე მოვიდა გონს, მაგრამ მთელი დღე დაბეჩავებულად გრძნობდა თავს. საღამოს, როგორც კი ძროხების გამოწველას მორჩნენ, მაშინვე გაერიდა სხვებს, არ შეეძლო მათთან დარჩენა. გამოვიდა სახლიდან და წაეხეტა, თვითონაც არ უწყოდა საით. უბედური იყო, უღვთოდ უბედური.

— მისი ამხანაგებისათვის კი ფერმერის ნაამბობი თავშესაქცევი ამბავი გახლდათ და სხვა არაფერი. ეჭვი არ იყო, მის მეტი ვერავინ ჩახვდა მონაყოლის სავალალო აზრს, ვერც იმას, როგორ ატკინა ტესს გული ამ ამბავმა.

მზის ჩასვლასთან ერთად და ზოგჯერ უფრო ადრეც წვებოდნენ მწველავი ქალები და ფერმის სხვა მცხოვრებნი ივნისის ამ გრძელ დღეებში, რაკიღა უთენია უნდა ამდგარიყვნენ და სამუშაოც მძიმე იყო მეტად. თითო ძროხა თითო სავსე კათხა რძეს მაინც იწველიდა. ტესი ჩვეულებრივად თავის ამხანაგებთან ერთად ადიოდა ხოლმე საწოლში. დღეს კი პირველი ავიდა. ის იყო ჩათვლიმა, და გოგონებმაც შემოაღეს კარი. ნარინჯისფრად აფერადებდა ჩამავალი მზის სხივები დასაწოლად გამზადებული, ტანთგახდილი ქალიშვილების სხეულებს. ტესმა ისევ ჩათვლიმა, მაგრამ გოგონების ლაპარაკმა არ დააძინა და ისევ მათკენ გადმობრუნდა.

გოგონები ჯერ არ დაწოლილიყვნენ. ფეხშიშველნი, ღამისპერანგის ამარა ფანჯარასთან მიყუჟულიყვნენ და სამივენი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ვიღაცას ბაღში.

— ნუ მეჯახები. შენ ჩემზე უკეთესად ხედავ.

— წაიბუზღუნა ყველაზე პატარა, ქერათმიანმა რეტიმ და ფანჯრისთვის თვალი არ მოუცილებია.

— შენ, ჩემო რეტი პრიდლ, ჩემი სიკეთისა არ იყოს, არას გარგებს მისი სიყვარული, — ეშმაკურად უთხრა ყველაზე უფროსმა, გაბადრულმა მერიენმა, — სხვისი ლოყები მოუვიდა თვალში!

რეტი პრიდლი თვალს არ აცილებდა ფანჯარას, მეგობრებმაც მას მიბაძეს.

— აი, გამოჩნდა ისევ! — წამოიძახა იზ ჰუეტმა, გოგონას ფერმკრთალი სახე, ყორნისფერი თმები და მკვეთრად მოხაზული ტუჩები ჰქონდა.

— შენ ხმა არა გაქვს ამოსაღები, იზ, — გამოეპასუხა რეტი, — განა არ დაგინახე, როგორ კოცნიდი მის ჩრდილს.

— რა დავინახეო, რა თქვი? — ჩაეკითხა მერიენი.

— რა და, ამასწინ დგას ეს ქალბატონი გეჯასთან და შრატს ასხამს. მისი სახის ჩრდილი კი პირდაპირ ზედ იზის ცხვირწინ ეცემა კედელს. ჩვენმა იზიმ, არც აცია, არც აცხელა, მიეკრა კედელს და შიგ ტუჩებში არ აკოცა ჩრდილს! იმას კი არ დაუნახავს, მაგრამ მე ხომ დავინახე!

— ოო, იზ! იზ! — შესძახა მერიენმა. ვარდისფრად აუფორაჯდა ლოყები იზ ჰუეტს.

— მერე რა მოხდა, რა გავაკეთე ცუდი, — ვითომ გულგრილად გამოაცხადა მან, — თუ ეგრეა საქმე, შენც გიყვარს ის და შენცა. ტყუილია?

მერიენს გაწითლება არ შეეძლო. ისედაც სულ უღაჟღაჟებდა ბადრი სახე.

— მე? — გაიკვირვა მან, — რას ამბობ!.. შეხედეთ, შეხედეთ, გოგოებო! ისევ გამოჩნდა! საყვარელი სახე... საყვარელი თვალები... საყვარელი მისტერ კლერი!

— აჰა, ხომ გამოტყდი!

— მერე რა, შენც ხომ გამოტყდი, ყველანიც გამოვტყდით, — გულახდილად თქვა მერიენმა, — ნეტავ ერთი რას ვუმალავთ ერთმანეთს, სისულელეა! თუმცა ყველასთან რატრატიც არაა საჭირო. დიახაც, ნეტავი მითხოვდეს თორემ, ვინ ოხერი, ხვალვე კი არ წავყვებოდი ცოლად!

— მეცა, — წაიჩურჩულა იზ ჰუეტმა, — ეგ კი არა და...

— მეც, — გაერია მარაქაში მორცხვი რეტი. ტესს ალმური ავარდა.

ყველა ერთად ხომ ვერ გავყვებით ცოლად, — თქვა იზმა.

— ვერც ერთიც ვერ გავყვებით და მით უარესი ჩვენთვის, — წაიდუდუნა უფროსმა, შეხედეთ, შეხედეთ, გოგოებო!

სამივემ ერთად გაუგზავნა ჰაეროვანი კოცნა.

— რატომ? — მოუთმენლად იკითხა რეტიმ.

— იმიტომ, რომ, იმას ეს დარბეიფილდი მოსწონს, — დაუწია ხმას მერიენმა, — სულ თვალს ვადევნებდი და დავრწმუნდი ბოლოს.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი ფიქრებს მიეცნენ.

— მერე რა, ტესს ხომ არ უყვარს და, — წაიჩურჩულა ბოლოს რეტიმ.

— ზოგჯერ მგონია, რომ უყვარს, კიდეც.

— ღმერთო, რა სისულელეა ყველაფერი! — წამოიყვირა გაცხარებულმა იზ ჰუეტმა.

— არც ერთ ჩვენგანს ის არ შეირთავს, არც ტესს... ჯენტლმენის ვაჟიშვილია... წავა საზღვარგარეთ. გახდება მემამულე და ფერმერი. უფრო მალე ალბათ მუშახელად წაგვასხამს თავის ფერმაში.

ოხვრა აღმოხდა ერთს, მერე მეორესაც, ყველაზე გულამოსკვნით ჩასუქებულმა მერიენმა ამოიხვნეშა და ბოლოს საწოლში რომ იწვა — იმანაც. ცრემლი მოადგა ყველაზე უმცროსს. საგრაფოს ქრონიკებში ხოტბაშესხმულ პერიდელთა დიდებული გვარის უკანასკნელ კოკორს, წითურ ლამაზმანს რეტი პრიდლს. მდუმარენი ერთ ხანს კიდევ გასცქეროდნენ ფანჯარას, თვალს არ აცილებდნენ. შავი და ქერა თმის ფერები შერწყმოდნენ ერთმანეთს. მისტერ კლერი კი არას უწყოდა. შევიდა შინ და გოგონებს მისთვის მეტად თვალი არ მოუკრავთ. როცა ბინდი ჩამოწვა, გოგონები ლოგინებში შეძვრნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კიბიდან მისი ფეხის ხმა შემოესმათ. მერიენმა მალე ამოუშვა ხვრინვა, იზს დიდხანს არ მოეკიდა რული. თვალცრემლიანი რეტიც სძლია ძილმა.

ტესმა კი ვერა და ვერ მილულა თვალი. გოგონების საუბარი მისთვის კიდევ ერთი მწარე აბი იყო, რომელიც დღეს გადააყლაპეს. ეჭვი როდი უღრღნიდა გულს, იცოდა, უპირატესობას მას ანიჭებდნენ. ის ხომ უფრო სანდომიანიც იყო და უფრო განათლებულიც, და თუმცა, რეტის თუ არ ჩავთვლით, უფრო ქორფა იყო, სხვებზე მოწიფული ჩანდა. ჰოდა, იცოდა, პატარა, სულ პაწია რამაც რომ ეღონა, მყისვე დაიპყრობდა ენჯელ კლერის გულსა და გაიმარჯვებდა თავის გულალალ მეგობრებზე, მაგრამ აბა, აქვს კი ამის უფლება? რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ შეიძლებოდა რაიმე საფუძვლიანისა და ნამდვილის იმედი ჰქონოდა, ერთი იქნებოდა თუ მეორე, შეეძლო მასში წუთიერი ვნებათა ღელვა აღეძრა და თავადაც სიხარულით მიეღო

მისგან თაყვანისცემა და ყურადღება, ვიდრე ის აქ ცხოვრობდა. მომხდარა, რომ ასეთი ურთიერთობა უთანასწორო ქორწინებითაც დასრულებულა. ტესს მისის კრიკისაგან ჰქონდა გაგებული — მისტერ კლერს ოხუნჯობით უთქვამს: აბა, რა აზრი აქვს ჩემთვის დიდებულ ლედიზე დაქორწინებას, როცა სადმე კოლონიაში ათი ათასი აკრი მიწის დამუშავებას, პირუტყვის გაზრდა-მოშენებასა და პურის მოყვანას ვაპირებ. ჭკუასთან უფრო ახლოს არ იქნება, ერთი ფერმაში გაზრდილი გოგო შევირთო ვინმეო, — ვინ იცის, კლერი სიმართლესაც ამბობდა, მაგრამ განა შეეძლო ტესს, რომელსაც სინდისი კლერზე კი არადა, არავიზე გათხოვების ნებას არ აძლევდა, ტესს, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც უნდა დაჯდომოდა წინ აღდგომოდა ასეთ ცთუნებას, — შეეცდინა კლერი; ჩამოეცილებინა მისი ყურადღება სხვა ქალებისაგან წამიერი ნეტარებისათვის, და ვიდრე იგი ტელბოტეისში ცხოვრობდა, მისი ალერსიანი მზერისათვის ალერსითვე ეპასუხა?

XXII

მეორე დილით მთქნარებ-მთქნარებით ჩავიდნენ გოგოები ეზოში. მაგრამ რა ექნათ, ჯერ იყო და ნაღები უნდა მოეხადათ რძისთვის, მერე ძროხები გამოეწველათ. დაადგეს საქმეს თავი და ყველანი ერთად სასაუზმოდ გაემართნენ. გაცოფებული დაუხვდათ ფერმერი, ბდღვნიდა და გლეჯდა ყველაფერს. ვიღაც მუშტრისაგან საჩივრის წერილი მიეღო, — თქვენს კარაქს რაღაცის გემო დაჰკრავსო.

— ღმერთმანი, მართალია! — გამოაცხადა კრიკმა, მარცხენა ხელში კარაქაკრული ხის ჩოგანი ეკავა.

— აჰა, თქვენ თვითონ გასინჯეთ გემო, თუ არა!

ყველანი გარს შემოეხვივნენ. მისტერ კლერმაც შეჭამა კარაქი, ტესმაც და ფერმაში მობინადრე სხვა მუშებმაც, მერე ორმა-სამმა მოჯამაგირემ და ბოლოს თავად მისის კრიკმაც, რომელსაც უკვე გაემზადებინა საუზმე. ორი აზრი არ იყო, — კარაქს მართლაც დაჰკრავდა გემო.

— ბევრი იმტვრია ფერმის მეპატრონემ თავი, ნეტავ რა არი, რისი ბრალია, რა შეჭამეს ასეთი ძროხებმა, რა შხამი იყო და სამსალა ამ ბალახშიო?!.

— მივხვდი, მივხვდი, თავს მოვიჭრი, ნიორია! მე სულელი კი ვფიქრობდი ერთი ძირიც კი აღარაა ამ საძოვრების ბარობაზე-მეთქი.

— ჰოო, — გაახსენდათ ბებერ მოჯამაგირეებს ერთი გადახრუკული მდელო; ამ რამდენიმე წლის წინათ ასე არ გაუოხრდათ მთელი კარაქი ამ ერთი მუჭა ადგილის გამოისობით? ეს დღე იყო და მას შემდეგ ახლა პირველად გაუშვეს ამ საძოვარზე ძროხები. მაგრამ მაშინ ვერ იქნა და ვერ მიხვდა მისტერ კრიკი, რისი გემო ჰქონდა კარაქს. გადაწყვიტა ამ საქმეში ნამდვილად ვიღაცის ჭუჭყიანი ხელი ურევიაო.

— ფეხდაფეხ უნდა დავიაროთ ის მინდორი, — თქვა მან.

— და ერთხელ და საბოლოოდ შემოვუაროთ ამ საქმეს.

ძველებური წვეტიანი დანებით შეიარაღდნენ და გაუდგნენ ყველანი გზას. თუ ეს მავნე მცენარე თითო-ოროლა იქა-აქაა უხილავად მიჩქმალული, ხელი უნდა ჩაექნიათ, აბა, როგორ გამოარჩევდნენ გადაბურდულ ბალახებში. ასე იყო თუ ისე, ცდა არ უნდა დაეკლოთ. ჩამწკრივდნენ ყველანი და ასი თვალი გამოიბეს. სახუმარო საქმე ხომ არ არი. ჯაჭვის ერთ ბოლოში მეპატრონე ჩადგა მისტერ კლერთან ერთად, რომელმაც თავად შესთავაზა დახმარება. მერე მოყვებოდა ტესი, მერიენი, ჰუეტი და რეტი, უფრო იქით ბილ ლუელი, ჯონათანი და გათხოვილი ქალები, რომლებიც თავიანთ კოტეჯებში ცხოვრობდნენ. აქ კი სამუშაოდ მოდიოდნენ ხოლმე, ხუჭუჭა, შავთმიანი და თვალებდაგუდული ბეკ ნიბსი და ქერათმიანი, ჭლექიანი ფრენსისი, რომელსაც სენი ნისლიან ზამთარში სალეკავი მინდვრებიდან აჰყოლოდა. მძიმე-მძიმედ, თავაუღებლად მიიწევდნენ მუშები მინდორზე., ბოლოში რომ გავიდოდნენ, შემობრუნდებოდნენ და ახლა აქეთ მოუყვებოდნენ პირწმინდად, რომ საძოვრის ერთი დუიმიც არ დარჩენოდათ გაუჩხრეკავი. უღმერთოდ მოსაწყენი საქმიანობა იყო. მთელ მინდორზე ალბათ ნახევარი დუჟინი ნივრის ყლორტის მეტი არ იქნებოდა, მაგრამ ისეთი შხამიანია ეს ბალახი, რომ ერთმა ძროხამ ერთი ღერიც რომ გაღეჭოს, მთელი ფერმის კარაქს რამდენიმე დღე გემო ექნება.

მუშები სულ სხვადასხვანაირები იყვნენ: გარეგნულადაც და შინაგანადაც, მაგრამ ახლა ყველას ისე ჩაერგო თავი და უდრტვინველად და უხმოდ მიიწევდა წინ, ისე საოცრად დამსგავსებოდნენ ერთიმეორეს, სოფლის შარაგზაზე მიმავალ მგზავრს, რომ ყველასათვის ერთი სახელი „ჰოდჯი“ ეწოდებინა — ვერ გაამტყუნებდი. როგორც კი მაძიებელნი ძირს დაიხრებოდნენ ბალახიდან ნივრის გამოსარჩევად, ბაიას ყვითელი ანარეკლი ისე მოეფინებოდა მათ დაჩრდილულ სახეებს, მთვარის შუქით განათებულ ელფებს მოგაგონებდათ. თუმცა კი თაკარა შუადღის მზე დაუზოგავად უწვავდა დამაშვრალებს ნაჯაფ ზურგებს.

—

ენჯელ კლერი, რომელიც მტკიცედ მისდევდა თავის მცნებას და სხვების თანაბრად მუშაობდა მუდამ, დროდადრო წამოწევდა თავს; რა თქმა უნდა, შემთხვევით როდი მოხვდა ტესის გვერდით.

— როგორა ხართ? — წასჩურჩულა ტესს.

— ძალიან კარგად, გმადლობთ, სერ, — მორცხვად მიუგო ტესმა.

რაღაც ნახევარი საათის წინ ათას რამეზე ილაპარაკეს და ახლა ასეთი მოკითხვა, ცოტა არ იყოს უადგილო ჩანდა. მაგრამ საუბარი ამით შეწყდა. წინ მიღოღავდნენ, ტესის კაბის კალთა კლერის პაჭიჭებს ედებოდა, დროდადრო იდაყვიც უხვდებოდა ენჯელს ზედ. ბოლოს და ბოლოს კრიკს ქანცი გასძვრა.

— თავსა და სულს გეფიცებით, ისე მოვიკუნტე, მთელი ზურგი მტეხავს! — წამოიძახა მან და გაწამებული კაცის იერით ნელ-ნელა გასწორდა წელში.

— ტეს, გოგონი, ამ დღეებში რაღაც ისეც ვერ იყავი კარგად, — გაუფრთხილდი, თავი არ აგტკივდეს. თუ დაიღალე — მოეშვი, სხვები მოამთავრებენ საქმეს.

ფერმერი კრიკი შინისკენ გაუდგა გზას, ტესი განზე გადგა. მისტერ კლერიც ჩამორჩა სხვებს და ცალკე დაუწყო ნიორს ძებნა. წინა ღამით მოსმენილ საუბარს უკვალოდ არ ჩაუვლია. ისე იყო დაძაბული ტესი, რატომღაც სურვილი აღეძრა, თავად გამოლაპარაკებოდა პირველად კლერს.

— რა ლამაზები არიან, არა? — თქვა ტესმა.

— ვინ? — იზ ჰუეტი და რეტი.

რომელი ამ გოგონათაგანი არ შეიფერებდა ფერმერის მეუღლეობას, — მივიდა ტესი სავალალო დასკვნამდე ბევრი ფიქრის შემდეგ. ჰოდა ტესმა უნდა აქოს ისინი და არაფერი საჭიროა მაინცადამაინც წინ წამოჩხიროს თავისი ავბედითი მომხიბლაობა.

— ლამაზები? ლამაზები არიან და ნორჩები. მეც შევნიშნე ეს.

— მაგრამ რად გინდა... ისე მალე გარბის დრო და სილამაზე ისე მალე ჭკნება.

— ჰო, სამწუხაროდ ეგრეა.

— კარგი მუშა ქალებიც არიან.

— ჰო, მაგრამ, თქვენზე ხელმარჯვედ მაინც ვერ მუშაობენ.

— ნაღებს ჩემზე მოხერხებულად ართმევენ რძეს.

— ვითომ? კლერი გოგონებს უცქერდა, და ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ მათ.

— როგორ გაწითლდა, — განაგრძობდა ტესი და გმირულად ატანდა. თავს ძალას.

— ვინ? — რეტი პრიდი.

— შეხეთ მაგას!! რატომ? — იმიტომ, რომ თქვენ უყურებთ.

თუმცა ტესი მზად იყო მსხვერპლად გაეღო საკუთარი თავი, მაინც უღალატა ძალამ. როგორ კი უნდოდა შეირთეთ რომელიმე იმათგანი, თუ მართლა მუშა ქალი გჭირდებათ და არა დიდებული ლედი. ნუ იფიქრებთ ჩემს ცოლად შერთვასო! ტესი ფერმერი კრიკის გზას გაუდგა. სამსალა გარეული კმაყოფილება იგრძნო, როცა დარწმუნდა, რომ კლერი მინდორში დარჩა.

ეს დღე იყო და, ტესი არაფერს ზოგავდა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, კლერისათვის თავი აერიდებინა, — ახლა უკვე თავს ნებას არ აძლევდა დიდხანს დარჩენილიყო მასთან ერთად, როგორც უწინ, გინდაც უცაბედად გადაყროდნენ ერთმანეთს. ყოველნაირად უნდოდა გზა გაეხსნა გოგონებისათვის.

როცა ტესმა მათი აღსარება მოისმინა, ქალურმა ალღომ ჩასჩურჩულა: მთლიანად ენჯელზეა დამოკიდებული, შეიბღალება თუ არა ფერმის მწველავი ქალების ღირსება-პატიოსნებაო. იმის შეგნება, თუ რაოდენ ცდილობდა თავად კლერიც, შემთხვევით არაფრით შეელახა რომელიმეს ბედნიერება, ტესს ღრმა პატივისცემას აღუძრავდა მისადმი, აკი მართებულად თუ უმართებულოდ თავშეკავებას მოვალეობის გრძნობად უთვლიდა. ეს ღირსება კი ალბათ არც ერთ მამრობითი სქესის ადამიანს არ გააჩნიაო, — ფიქრობდა. და თუ ეს არა, მასთან ერთად, ერთ სახლში მცხოვრები მისი მეგობრები, ალბათ, ცრემლების ფრქვევით გაუყვებოდნენ იმავე გზას, რომელიც ტესმა უკვე გამოიარა.

XXIII

შეუმჩნევლად წამოეპარათ ცხელი ივლისი. ჩავარდნილი ველის მძიმე და მომთენთავი, თითქოს ოპიუმით გაჟღენთილი ჰაერი თავზე ჩამოაწვა მუშა ხალხს, ხეებსა და ძროხებს. ცამ თითქოს პირი მოაღო, გადაუკარებლად წვიმდა. მთიბავებს ხელ-ფეხი შეეკრათ, ბალახი კი ზღვასავით წამოვიდა საძოვრებზე.

კვირა დილა იყო. ძროხები გამოწველეს, მომსვლელი მუშახელი მორჩა თავის საქმეს და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ: ტესი და მისი მეგობრები ფაციფუცით იკაზმებოდნენ. გადაწყვიტეს — ოთხივ ერთად წასულიყვნენ მელსტოკის ეკლესიაში წირვაზე. ეკლესია სამი თუ ოთხი მილით იყო დაშორებული ფერმას. ორი თვე გარეთ გამოუხედავად გაატარა ტესმა ტელბოტეისის ფერმაში, დღეს პირველად აპირებდა გასეირნებას.

მთელი გუშინდელი საღამო და ღამე გადაუღებლად წვიმდა, ელავდა, ჭექდა. თივა წყალმა ჩალეკა მდინარეში. მაგრამ დღეს დილით ნიაღვრის მერე თვალისმომჭრელად კაშკაშებდა მზე. ჰაერი გამჭვირვალე იყო და სურნელოვანი.

ტელბოტეისიდან მელსტოკში მიმავალი მიხვეულ-მოხვეული გზა დაბლობზე მიემართებოდა. როცა ყველაზე ჩავარდნილ ადგილს მიატანეს, გოგონები შეცბნენ; ნიაღვარს მთელი გზა, ორმოცდაათ იარდზე მაინც, კოჭამდე წყლით დაეფარა. სხვა დღე რომ ყოფილიყო გოგონები ხისძირიანი ჩექმებით არხეინად გატოპავდნენ ფონს, მაგრამ დღეს ხომ კვირა იყო, — ამიტომაც ჩაიცვეს თეთრი წინდები და ნაზი ტყავის ფეხსაცმელები, მოირთნენ და მოიკაზმენ თეთრ, ვარდისფერსა და სოსანისფერ კაბებში, რომელთაც ტალახის ერთი ციცქნა შხეფიც კი აჩნდება. სავალალო დაბრკოლებად იქცა გზაზე დატბორებული წყალი. ეკლესიის ზარებს ჩამოჰკრეს, მათ კი მილზე მეტი გზა კიდევ ჰქონდათ გასავლელი, — აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მდინარე ასე ადიდდებოდა ამ შუა ზაფხულში! — წამოიძახა მეგობრებთან ერთად დიდი ვაი-ვაგლახით გზისპირა მიწაყრილზე აფოფხებულმა მერიენმა. ფეხს ძლივს იკიდებდნენ, იმედს კი მაინც არ კარგავდნენ.

— ნაპირ-ნაპირ გავუყვებით და მიწაყრილზე გადავბობღდებითო.

— ტყუილია, ვერ გავალთ. სხვა ჩარა არ არის, ან წყალში უნდა გავიდეთ, ანდა სულაც გადავუხვიოთ ტერნპაიკის გზაზე და მერე იქიდან შემოვუაროთ, ჰოდა, ამასობაში დავაგვიანებთ კიდეც, — თქვა რეტიმ და ყურები ჩამოყარა.

სირცხვილით ვიწვები ხოლმე, როცა ეკლესიაში მაგვიანდება. გადმოქაჩავენ თვალებს და ყველა შენ დაგიწყებს ყურებას, — დაიჩივლა მერიენმა, მე შენ გეტყვი და გამივლის სიწითლე, სანამ წირვა არ გამოვა.

უეცრად გზის მოსახვევიდან წყლის შხაპუნი შემოესმათ, ენჯელ კლერი პირდაპირ წყალში მოტოპავდა, გეზი მათკენ ჰქონდა აღებული.

ოთხი გული ერთად შეფართხალდა.

კლერი სადღესასწაულოდ არ იყო გამოწყობილი, რაც უჩვეულო არ გახლდათ მღვდლის, ადათ-წესების ამ მკაცრი მიმდევრის, ვაჟიშვილისათვის. საყოველდღეო ტანსაცმელი და ჭაობის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ქუდში კომბოსტოს ფურცელი ჩაეფინა, მზემ არ დამკრასო.

— ეტყობა, ეკლესიაში არ მიდის, — თქვა მერიენმა.

— ჰო... აფსუს! — წაიჩურჩულა ტესმა.

მართლაც, კაშკაშა ზაფხულის დღეებში, სწორად თუ მცდარად (თუ ვისარგებლებთ ორჭოფ მშვენიერ მოუბართა ფრთხილი გამოთქმით) ენჯელ კლერს ეკლესიასა და სამლოცველოში ქადაგებისათვის ყურისგდებას ბუნების ქადაგების მოსმენა ერჩია. დღეს დილით კი სათიბისაკენ გაემართა, — უნდოდა დაეხედა, გადაურჩა თუ არა ნიაღვარს თივა. გოგონები შორიდანვე შენიშნა, მაგრამ ისე შეეჭირვებინა საწყლები გზად გადაღობილ დაბრკოლებას, რომ არც კი შეუნიშნავთ იგი. კლერმა კარგად იცოდა, რომ იმ ადგილას გზა წყლით იყო დაფარული და გოგონები ეგრე იოლად ვერ გავიდოდნენ ფონს. ნაბიჯს აუჩქარა, განსაცდელიდან უნდოდა ეხსნა ისინი, მით უფრო ერთ-ერთი მათგანი.

ზაფხულის ფერად-ფერად კაბებში გამოწყობილი ლოყებატკრეცილი, თვალებაციმციმებული, მიწაყრილზე მტრედებივით შეყუჟული ოთხი გოგონა ისეთი საამო საცქერი იყო, ენჯელმა ერთ ხანს თვალი ვერ მოწყვიტა. ბოლოს ენჯელის მზერა უკან მდგარ ტესს მოხვდა. ძლივს იკავებდა სიცილს ტესი თავიანთი გასაჭირის გამო, ვაჟის მზერა რომ დაიჭირა, უნებურად სახე გაებადრა.

ენჯელი მათკენ გაემართა, წყალი ჩექმების ყელს არა სცილდებოდა. მერე შედგა და ხაფანგში მომწყვდეულ ბუზებსა და პეპლებს შეავლო თვალი.

— ეკლესიაში მიდიხართ? — ჰკითხა ყველაზე წინ მდგარ მერიენსა და შეხედა გვერდით ატუზულ ორ გოგონას, ტესს კი თვალი აარიდა.

— დიახ, სერ, და დაგვაგვიანდა. სირცხვილისაგან. ისე ვწითლდები ხოლმე...

— გადაგიყვანთ გუბურაზე... ოთხივეს გადაგიყვანთ.

ისეთი ალმური აუვარდათ, თითქოს ოთხი სხვადასხვა კი არა, ერთი გული უფეთქავთო მკერდში.

— გაგიჭირდებათ, სერ, — მიუგო მერიენმა.

— სხვა გზა არ არის, აბა, წყნარად გაჩერდით, სისულელეა, არც ისეთი მძიმე ხართ! თუ დამჭირდა, ოთხივეს ერთად გადაგიყვანთ. აბა, მერიენ, მომხვიეთ ხელი მხრებზე, ეგრე, მომეჭიდეთ! კარგია!

მერიენი მიენდო მის მხარ-მკლავსა და ენჯელი გაუდგა გზას. ენჯელის ამართული ტანი შორიდან წვრილ ღეროს მიაგავდა, რომელიც გადაშლილ ვეებერთელა თაიგულს შედგომოდა ქვემოდან. გზის მოსახვევს მიეფარნენ. მხოლოდ წყლის შხაპუნითა და მერიენის ქუდის ბაფთით ხვდებოდნენ გოგონები, სად იყვნენ ისინი. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდა კლერი. ახლა იზ ჰუეტის რიგი იყო.

— მოდის, — წაიჩურჩულა მან, და ყველანი მიხვდნენ, პირი გაშ-

რობოდა მღელვარებისაგან, — ვაიმე, უნდა მოვეხვიო და სახეში ვუ-ყურო მერიენივით?

— რა მოხდა მერე! — აჩქარებით მიუგო ტესმა.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — არ მიაქცია ტესის ნათქვამს ყურადღება და განაგრძო იზმა.

— უნდა მოეხვიო, თანაც თავი შეიკავო. მე ახლა მოხვევა მერგო წილად.

— ფი, ეს ხომ საღმრთო წერილშიც წერია, იზ.

— ჰო, ყოველთვის ვუგდებ ხოლმე ყურს ეკლესიაში ლამაზ გა-მოთქმებს.

ენჯელ კლერი, რომელიც საქმის მესამედს მხოლოდ და მხო-ლოდ სიკეთისთვის სჩადიოდა, ახლა იზს მიუახლოვდა. ოცნებაში წასული იზი მშვიდად მიენდო მის მკლავებსა და ენჯელ კლერი დინ-ჯი ნაბიჯებით გაუდგა გზას. როცა მესამედ შემოესმათ შემობრუნებუ-ლი ენჯელის ფეხის. ხმა, რეტის გული ისე აუფართქალდა, ცახცახი დააწყებინა. კლერი მიუახლოვდა წითურთმიან გოგონას, მიიკრა მკერდზე და ტესს გადახედა. ენჯელს რომ ეთქვა მალე ჩვენ ორნი — შენ და მე ერთად დავრჩებითო, ისე გასაგები და მჭევრმეტყველური არ იქნებოდა, ვიდრე ეს ერთი შემოხედვა იყო: ტესმა ვერ დამალა და სახეზე აღებეჭდა — მიგიხვდი ყველაფერსო. ორივესთვის საჩინა-რი იყო ერთმანეთის გულისნადები.

საბრალო პაწია რეტი, თუმცა სხვებზე მსუბუქი იყო, ყველაზე მო-უსვენარი აღმოჩნდა. მერიენი ფქვილით დატენილ ტომარას ჰგავ-და. ამ გაფუებული სხეულის ტვირთქვეშ ლამის იქცეოდა ენჯელი, იზს მშვიდად და გონივრულად ეჭირა თავი. რეტი კი ცარიელი ნერ-ვების კონა იყო, სხვა არაფერი.

ასე იყო თუ ისე ენჯელმა ამ შფოთიან ქმნილებასაც გაუძლო. ჩა-მოსვა მიწაზე და უკან მობრუნდა. ცოცხალი ღობის თავიდან ტესმა თვალი მოჰკრა სერზე მდგარ სამ გოგონას. დადგა მისი ჯერიც. ტესი მორცხვად გამოუტყდა თავს: მისტერ კლერის, მის თვალთა, მისი სუნთქვის სიახლოვით გამოწვეული მღელვარება, რის გამოც თავის მეგობრებს კიცხავდა, არც მას ასცდა და თითქოს ეშინია თავისი სა-იდუმლო არ გასცესო, ბოლო წუთებში შეეცადა ხელიდან გასხლტო-მოდა.

ალბათ ძალიან დაიღალეთ მისტერ კლერ, მე მიწაყრილის გას-წვრივაც მოვახერხებ გავლას, ისე არ მიცურავს ფეხი, როგორც იმათ.

— არა, არა, ტეს! — იტკიცა კლერმა და ვიდრე ქალი რამეს მო-ისაზრებდა, უკვე მის მკლავებში აღმოჩნდა. ტესი მიეყრდნო მხარზე.

— სამი ლიი ერთი რახილის გულისათვის, — წაიჩურჩულა ვაჟმა.

— ისინი ჩემზე უკეთესები არიან, — არც ამჯერად უღალატა ტესმა თავის გადაწყვეტილებას.

— ჩემთვის კი არა! — მიუგო ენჯელმა.

ვაჟმა იგრძნო ქალს ალი მოეკიდა მის სიტყვებზე და რამდენიმე ნაბიჯზე ხმა არ ამოუღია.

— მე მგონი, ძალიან მძიმე არა ვარ, არა? — გაუბედავად იკითხა ტესმა.

— ოჰ, რას ამბობთ! აბა, ერთი მერიენი გენახათ! აი, ლოდი! თქვენ მზით გამთბარ ტალღას მაგონებთ, ტეს, ეს ფრიალა მუსლინის კაბა კი ზღვის ქაფია თითქოს.

— რა ლამაზია!.. თუ ასეთი გეჩვენებათ.

— იცით თუ არა, რომ მთელი სამუშაოს სამი მეოთხედი ბოლო მეოთხედისათვის გავწიე?

— არა.

— რას მოვიფიქრებდი, თუ დღეს ასეთი ამბავი შემემთხვეოდა.

— არც მე... წყალი ისე უეცრად მოვარდა. მოვარდნილი წყლის დარდი არა ჰქონდა ახლა ენჯელს; ნაწყვეტ-ნაწყვეტმა სუნთქვამ აგრძნობინა, რომ მიუხვდა ქალს.

— ო, ტეს, — აღმოხდა. ვაჟს.

გოგოს ლოყებზე ალმური ასდიოდა. აღელვებულმა თვალი ვერ გაუსწორა ვაჟს, ვაჟმა სინდისის ქენჯნა იგრძნო, უფლება არ ჰქონდა, შემთხვევით ხელში ჩავარდნილი უპირატესობით ესარგებლა და თავის შეკავება არჩია, სიყვარულის სიტყვები ჯერ არ დასცდენია მათ ბაგეებს. ჰოდა, დახანება ახლა სასურველი იქნებოდა. კლერი ნელა მიდიოდა, სურდა გაეგრძელებინა დარჩენილი მანძილი. ბოლოს გზის მოსახვევს მიაღწია. აქედან ხელისგულივით ჩანდნენ გოგონები. მშრალ მიწაზე გააღწიეს, კლერმა ჩამოსვა ტესი.

მეგობრები მთელი გულისყურითა და ფიქრიანად შესცქეროდნენ მათ. ჩვენზე ლაპარაკობდნენო, ალბათ, — გაუელვა ტესს. კლერი აჩქარებით დაემშვიდობა გოგონებს და გზაზე დატბორებული წყლის შლაპაშლუპით უკან გაბრუნდა.

მდუმარედ განაგრძეს გოგონებმა გზა. ბოლოს ისევ მერიენმა დაარღვია სიჩუმე.

— ეჰ, რაღა ლაპარაკი უნდა, ჩვენ ვერ მივალთ მაგასთან, — თქვა და ნაღვლიანად გადახედა ტესს.

— მაგით რისი თქმა გინდა? — გამოეპასუხა იგი.

შენ ყველაზე მეტად მოსწონხარ, ყველაზე მეტად! ზედ არ ეტყო-

ბოდა, როცა მოყავდი! ცოტათი სულ ცოტათიც რომ გებიძგებინა, აუ-ცილებლდ გაკოცებდა.

— ოჰ, რას ამბობ! — იტკიცა ტესმა.

მხიარული გუნება-განწყობილება, რომლითაც გოგონები გზას დაადგნენ, მიინავლა. ამის მიზეზი არც მტრობა იყო, არც ღვარძლი. დიდსულოვნებით აყო აღსავსე ყოველი მათგანი. მივარდნილ სოფ-ლებში დაბადებული და გაზრდილი ყოველი მათგანი, სოფლებში, სადაც ღრმად ჰქონდა ფატალიზმს გადგმული ფესვები, ბრალს არა სდებდნენ ტესს; ასეთი ყოფილა განგების ნება-სურვილიო — სჯერო-დათ.

ტესს გული ეკუმშებოდა, სხვა ჩარა არ იყო, უნდა გამოტყდომო-და საკუთარ თავს ენჯელ კლერის სიყვარულში. ხოლო სიყვარული, რომელიც კლერმა ამ სამ გოგონას ჩაუნერგა, კიდევ უფრო უღვივებ-და ცეცხლს. ეს გრძნობა გადამდები სენია და უფრო ადვილად იდ-გამს ფესვს ქალებში, და მაინც ტესის, სიყვარულს მოწყურებული და დამშეული გული თანაუგრძნობდა მეგობრებს. ბუნებით სპეტაკი ტე-სი ებრძოდა თავის სიყვარულს, მაგრამ სათანადო ძალ-ღონე არ აღმოაჩნდა საამისოდ, ჰოდა, შედეგმაც არ დააყოვნა.

— არასოდეს წინ არ გადაგეღობები არც შენ, და არც ერთ თქვენ-განს! — განაცხადა ტესმა საღამოს საწოლ ოთახში და რეტის მიუბ-რუნდა (ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე).

— მაგრამ აბა, მე რა შემიძლია, საყვარელო! რაღაც არა მგონია, ის საერთოდ ცოლის შერთვაზე ფიქრობდეს, და გინდაც მოინდომოს ჩემი შერთვა, უარს ვეტყვი, ისევე, როგორც უარს ვეტყოდი ყველა სხვა მამაკაცს.

— რას ამბობ, რატომ? — გაოცდა რეტი.

— ეს არ მოხდება! მაგრამ გულახდილად გეტყვით, მეც რომ არ ვყოფილიყავი, არა მგონია, მას რომელიმე თქვენგანი შეერთო, — არასოდეს მქონია მაგის იმედი, ოცნებითაც კი არასოდეს მიოცნე-ბია! — ამოიკვნესა რეტიმ, — ღმერთო, ნეტავი მომკლა!

საბრალო, მისთვისვე გაუგებარი გრძნობით გაწამებული ბავშვი მერიენსა და იზს მიუბრუნდა, რომლებიც ის-ის იყო ოთახში შემო-ვიდნენ — გოგოებო, ჩვენ ისევ მეგობრულად ვიცხოვრებთ ტესთან! — თქვა მან, — ჩვენზე დიდი იმედი არც ამას ჰქონია.

უნდობლობა მყისვე გაიფანტა. გულახდილები და ალერსიანები გახდნენ.

— ახლა ჩემთვის სულერთია ყველაფერი! — განაცხადა კაეშნით აღსავსე მერიენმა, — ვფიქრობდი ერთ სტიკლოფორდელ ფერმერს გავყვები-მეთქი, ორჯერ მთხოვა ცოლობა, მაგრამ ახლა პატიოსან

სიტყვას გაძლევთ, უფრო მალე მოვიკლავ თავს, ვიდრე იმაზე გავთხოვდები. ის, შენ რას ჩაგვარდნია ენა?

— გულახდილად გითხრათ, — წაიბუტბუტა იზმა, — სულ ვფიქრობდი, აი, ახლა მაკოცებს, აი, ახლა-მეთქი, წყალზე რომ გადავყავდი. ვიყავი გალურსული, ერთხელაც არ გავნძრეულვარ. მაინც არ მაკოცა. არა, აღარ მინდა აქ გაჩერება! წავალ შინ.

— თითქოს თრთოდა და კანკალებდა გოგონების უიმედო ცეცხლით გაჟღენთილი ჰაერი ოთახში. ხურვებაშეყრილებივით ცახცახებდნენ ულმობელი ბუნების მიერ თავსმოხვეული გრძნობით გატანჯულნი და გაწამებულნი. ერთხელ რა არი, ერთხელაც არ უფიქრიათ გოგონებს ამ გრძნობაზე და არც არასოდეს ელოდნენ მას; იმდღევანდელმა შემთხვევამ კიდევ უფრო გააღვივა მათი გულების მწველი ცეცხლი და წამება აუტანელი გახადა. ვნებამ წარხოცა და წაშალა თითოეული მათგანის ნიშან-თვისებები და თითქოს ერთი მთლიანი ორგანიზმის, სქესი რომ ჰქვია, ნაწილებად აქცია ისინი. გულახდილები იყვნენ და ეჭვიანობის ნატამალსაც არ შეიგრძნობდნენ, რამეთუ იოტისოდენა იმედიც არა ჰქონდათ. თითოეული მათგანი საღი აზრით იყო აღჭურვილი, თავს არ იტყუებდა უაზრო ფანტაზიებით, არ უარყოფდა თავის სიყვარულსა და სხვების დასაჩრდილავად არ აღიმაღლებდა თავს. საკუთარი გრძნობის ამაოების სრული შეგრძნება სოციალური თვალსაზრისით, უმიზნობა, თვითდამცირება, უმწეობა, გაემართლებინათ საკუთარი გრძნობა ცივილიზებული საზოგადოების თვალში (თუმცა კი ბუნების წინაშე ცამდე მართლები იყვნენ), თვით არსებობა ამ გრძნობისა, რომელსაც მტანჯველი სიხარული მოჰქონდა მათთვის, — ყოველივე ეს ერთად აღავსებდა მათ მორჩილებითა და ღირსებით, რომელიც არამც და არამც არ ექნებოდათ, მისტერ კლერის ცოლად გაყოლის ანგარებიანი იმედი რომ ჰქონოდა რომელიმეს.

ბორგავდნენ და მოუსვენრად წრიალებდნენ გოგონები თავიანთ ვიწრო საწოლებში. ქვევიდან კი, სადაც ყველის საწნეხი იდგა, მონოტონური ტკაპატყუპი მოისმოდა.

ნახევარი საათი არ იქნებოდა გასული, რომ კვლავ გაისმა ჩურჩული.

— ტეს, გძინავს? იზ ჰუეტის ხმა იყო.

არაო, მიუგო ტესმა. რეტიმ და მერიენმა საბნები გადაიგდეს და ოხვრით ჩაიჩურჩულეს:

— არც ჩვენ გვძინავს.

— ნეტავი როგორია ის ლედი, მის მშობლებს შეუთვალთვალებიათო, რომ ამბობენ, — თქვა იზმა.

ტესს შეაჟრჟოლა.

— რაო, შეათვალთვალესო? არ ვიცი, მე არაფერი გამიგია.

— ჰო, ხმები დადის, მისი ბადალი ახალგაზრდა ლედი შეურჩევიათ მისთვის ოჯახშიო. მამამისს, ღვთისმეტყველების დოქტორს, ემინსტერთან სადღაც ახლოს ჰქონია სამრევლო და ისიც იქ ცხოვრობს თურმე. ამბობენ, ენჯელი მაინცდამაინც დიდად არა წყალობსო, მაგრამ შერთვით ალბათ შეირთავს მაინც.

დი რომ აქ გოგონები იდგა.

ყურმოკრული ამბები იცოდნენ მხოლოდ გოგონებმა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო ამ გვიან ღამით, რომ ათასგვარი უბედური და ნაღვლიანი ფიქრი შემოჯაროდათ. ბოლოს და ბოლოს, რა თქმა უნდა, დათანხმდებოდა კლერი ქორწინებაზე, მერე დაიწყება საქორწილო სამზადისი, ჰო, როგორ გაიხარებს, რა ბედნიერი იქნება პატარძალი, ლამაზი კაბა და ფატა ექნება. თავდავიწყებით შეყვარებიათ ერთმანეთი და ნეტარი ცხოვრება ექნებათ. ფიქრობდნენ, ჩურჩულებდნენ, წუხდნენ და ტიროდნენ გოგონები, ვიდრე ძილმა არ სძლიათ და არ გაუფანტა მათ ყველა ნაღველი.

ტესმაც ანება თავი იმედების ლოლიავს. რა სიბრიყვეა, რატომ ექნება კლერს განსაკუთრებული გრძნობა მის მიმართ. ეს მხოლოდ წარმავალი ზაფხულის გართობა იყო მისი სილამაზით — ჟამიერი სიყვარული თავად სიყვარულის გულისათვის და სხვა არაფერი, ხოლო შეგნება იმისა, რომ იგი ვინაც კლერმა მცირე ხნით სხვებს ამჯობინა, რომელსაც ბუნებით უფრო გრძნობიერ, ჭკვიან და ლამაზ ქალად მოჰქონდა თავი, საზოგადოების თვალში ნაკლებ ღირსეული აღმოჩნდა, ვინემ ის სხვები, რომლებიც კლერს არც კი შეუმჩნევია, — ეს სევდიანი დასკვნა ეკლის გვირგვინად ექცა.

XXIV

წელიწადის ამ დროს, ოდეს ფრუმის ველზე ავარდნილი სქელი და თბილი ოხშივარი ძვალ-რბილში ატანს, ოდეს სასუქის ქვეშიდანაც კი სწვდება ყურს მცენარეთა წვენის ჩუხჩუხი, თვით ყველაზე მეოცნებე და ამაღლებული სიყვარულიც კი არ შეიძლებოდა ვნებად არ ანთებულიყო. ჰოდა, საამისოდ გადაშლილი და განმზადებული გულები გარემოებას დამონებოდნენ.

გაირბინა ივლისმა და ჩამოდგა თერმიდორიანული პაპანაქება სიცხე. თითქოსდა ბუნებას სურდა გაჯიბრებოდა ვნების ცეცხლს, რომელიც ტელბოტეისის ფერმაში სწვავდა გულებს. ჰაერი, ასეთ საღ გაზაფხულსა და ადრეულ ზაფხულში, სულ მთლად უძრავი და

მომთენთავი გახდა. მსუყე და მძიმე სურნელი ირგვლივ თავბრუს ხვევდა და თითქოს აბეჩავებდა ადამიანს. შუადღისას კი, როცა მზე შუბის ტარზე ავიდოდა, ველი გულწასული გაირინდებოდა. სულ მთლად ჩაიხრუკა საძოვრები ფერდობებზე, იქ კი, სადაც მდინარეები მორაკრაკებდნენ, ბალახი მოლისფრად ბიბინებდა. რაც უფრო მეტად სწვავდა კლერს ზაფხულის გაგანია სიცხე, მით უფრო ჩაღდებოდა მის გულში ანთებული ვნების კოცონი ჩუმი მოკრძალებული ტესისადმი.

ხშირი წვიმები შეწყდა და გვალვა ჩამოდგა. ბაზრიდან შინ მომავალი კრიკის ორთვალას ბორბლები ლოკავდა მტვრიან გზას და ისეთ ბუქს აყენებდა ხოლმე, თითქოს დენთის წვრილი შნურისათვის ცეცხლი წაუკიდებიათო. საჩეხეებში კრაზანებისაგან თავმობეზრებული გაცოფებული ძროხები ხუთ-ხუთ ტიხარს ერთად ახტებოდნენ. ფერმერს იდაყვს ზემოთ აეკაპიწებინა ხალათის სახელოები. ფანჯრები აღარ კმაროდა, კარებიც დააფრიალეს, რომ ჩამოწოლილი ჰაერი როგორმე აემოძრავებინათ: მოცხარის ბუჩქებში შეყუჟულიყვნენ შაშვები და საბრალოები ოთხფეხებს დამსგავსებოდნენ. ზარმაცი, აბეზარი და უცერემონიო ბუზები სამზარეულოში მაინცდამაინც იქ გამოტყვრებოდნენ, სადაც არ მოელოდი, დაცოცავდნენ იატაკზე, ძვრებოდნენ უჯრებში, ხელებზე ასხდებოდნენ მწველავებს, სადაც არ გაიხედავდი, ყველგან მზით დაკრულებზე იყო ლაპარაკი. წამება იყო კარაქის მოდღვება, და მისი საღად შენახვა ხომ სულ წარმოუდგენელი შეიქნა. ძროხებს აღარ დენიდნენ ფერმაში. პირდაპირ მინდვრად წველიდნენ. აქ ცოტათი მაინც უფრო გრილოდა. დღისით საბრალო პირუტყვები მორჩილად მოუყვებოდნენ სულ პატარა ხის ჩრდილსაც კი, გადაიხრებოდა მზე, გადაცოცდებოდნენ ჩრდილები, გადაადგილებდნენ ძროხებიც, მოვიდოდნენ მწველავები და აბეზარი ბუზები ერთ ადგილზე წყნარად დგომის საშველს არ აძლევდნენ პირუტყვებს.

ერთ ნაშუადღევს ოთხი თუ ხუთიოდე ჯოგს ჩამორჩენილი გამოსაწველი ძროხა ღობის ძირში დაბორიალობდა. ტესის ხელს შეჩვეული მსუქანა და ბებერი ლამაზაც აქ იყვნენ. ტესი ის იყო ერთი ძროხის გამოწველას მორჩა და სამფეხა სკამიდან წამოდგა, რომ ენჯელ კლერმა, რომელიც თვალს ადევნებდა ქალის საქმიანობას, სხვა ძროხებიც გამოწველეო სთხოვა. ტესი უხმოდ დაეთანხმა, ერთ ხელში სკამი დაიკავა, მეორეში კათხა, და ძროხებისკენ გაემართა. მალე გაისმა ღობეს იქით ბებერი ლამაზას რძის ჩხრიალი, ენჯელსაც მოუნდა ჯოგს ჩამორჩენილი ერთი ურჩი ძროხის გამოწველა. ახლა

ხომ თავად ფერმერ კრიკზე ნაკლებად არ წველიდა ძროხებს! — ყველა მწველავი კაცი და ქალების უმეტესობაც ძროხის წველისას შუბლით ძროხის ფერდს მიეყრდნობოდა, კათხას ჩააშტერდებოდა და ისე წველიდა. ზოგიერთმა კი, და უფრო მეტად ახალგაზრდებმა, თავის გვერდზე მობრუნება და ისე წველა იცოდა. ასე სჩვეოდა ტესსაც, საფეთქლით ძროხის ფერდს მინდობილი და ფიქრებში ჩაძირული შორს გასცქეროდა მინდორს. მზის სხივები ეცემოდა გოგონას ვარდისფერ კაბას, თეთრ ფურფუშელებიან ქუდსა და პროფილს, რომელიც ძროხის წაბლა ფერდზე ამოკვეთილ კამეას მიაგავდა. ტესმა რა იცოდა, რომ კლერმა მას მიბაძა და ახლა მის გვერდით მჯდარი თვალს არ აცილებდა. საოცარი შესახედავი იყო ტესი, თავს არ არხევდა, სახე კი თითქოს გაქვავებოდა. გეგონებოდათ ტრანსში ჩავარდნილი თვალები ღია აქვს, დანახვით კი ვერაფერს ხედავსო. ირგვლივ გარინდებულიყო, ყოველი, მხოლოდ ბებერი ლამაზა აქიცინებდა კუდს და თითქოს ტესის მკერდივით თანაბრად სცემენო, ძლივს შესამჩნევად მოძრაობდა ტესის ვარდისფერი ხელები.

რა საყვარელი ეჩვენებოდა ენჯელს ტესის სახე, თუმცა არახორციელი არაფერი იყო მასში; ჭეშმარიტი სიცოცხლე, ჭეშმარიტი სითბო, ჭეშმარიტი ხორციელება და ყველაფერი ეს ერთად უფრო მკვეთრად მის ბაგეებზე იხატებოდა. ბევრჯერ უნახავს კლერს სხვებზე ასეთი ზღვისფერი და მეტყველი თვალები, ასეთი ნაზი ღაწვები, ასეთნაირად მოშვილდული წარბები, უზადოდ გამოკვეთილი ნიკაპი მაგრამ ბაგე!.. არასოდეს უხილავს ასეთი ბაგე! რომელიც გნებავთ ყმაწვილი, ვისაც კი ოდნავ მაინც უბჟუტავს ცეცხლი გულში, ამ ალისფერი შეტეხილი ბაგეების დანახვაზე თავს დაჰკრავს და გაშლეგდება. არასოდეს არც ერთ ქალზე არ უნახავს ასეთი ტუჩ-კბილი, რომლებიც ასე მოაგონებდნენ ელისაბედის დროის ძველ გამოთქმას.

— „თოვლის ფიფქებით სავსე ვარდის კოკორი“. შეყვარებული — სრულქმნილიაო, დაიჩემებდა ალბათ ამ ბაგეზე, თუმც არასრულქმნილება იყო სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ეშხს რომ ანიჭებდა მას.

კლერმა ისე ჩაიბეჭდა თავში ამ ტუჩების მოხაზულობა, რომ დაუნახავადაც თვალნათლივ შეეძლო წარმოედგინა. ახლა კი კვლავ შესცქეროდა მათ — სიცოცხლით სავსესა და სისხლჭარბს. თითქოს დენმა დაუარაო, ცახცახმა აიტანა, ცოტაც და გული შემიღონდებაო, ფიქრობდა, მაგრამ ჰოი საოცრებავ, რაღაც უბედურად, იდუმალი ფიზიოლოგიური პროცესის წყალობით პროზაულად დააცემინა ცხვირი!..

ახლა კი მიხვდა ტესი, რომ უყურებდნენ, არ განძრეულა, მხოლოდ ეგ იყო, დაფიქრებული და მეოცნებე გამოხედვა გაუქრა. დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევდა, როგორ მოაწვა სისხლი მის ლოყებს, შემდეგ უკან დაიხია და მხოლოდ ვარდისფერი შერჩა სახეზე.

მღელვარება, რომელმაც კლერი შეიპყრო, — თითქოსდა ზეციდან მოვლენილი აღტყინება, — არ დამცხრალა. წინასწარ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, თავშეკავებულობამ, სიფრთხილემ და მორიდებამ უკან დაიხია დამარცხებული ბატალიონივით. ენჯელი ფეხზე წამოხტა, ჯანდაბამდის ჰქონია გზა რძის კათხას; ასემც უქნია, სულაც გადაუყირავებია ძროხას, თუ მოეპრიანა. მიიჭრა მასთან, ვინაც ასეთის ძალით იზიდავდა, დაიჩოქა და ხელი მოხვია.

მოულოდნელად დაესხნენ თავს ტესს, უნებურად, დაუფიქრებლად მიენდო ენჯელის მკლავებს ქალი, როგორც აუცილებელსა და გარდაუვალს ახლა. ტესმა დაინახა, როგორ მიუახლოვდა ვაჟი, საყვარელი არსება. ბაგე გაეპო, ანგარიშმიუცემელი სიხარულით შეპყრობილი მიეყრდნო მის მკერდს და მღელვარებით შეჰყვირა.

ო, როგორ უნდოდა ენჯელს ჩაკონებოდა ქალის გამომწვევ ბაგეს, მაგრამ შედგა, თავი დამნაშავედ სცნო.

— მაპატიეთ, ტეს, ძვირფასო! — ჩაიჩურჩულა ვაჟმა, — მე უნდა მეთხოვა... ვერ მოვისაზრე რას ჩავდიოდი არ მინდოდა უტიფრობა. მთელის არსებით თქვენ გეკუთვნით ტეს, საყვარელო!

განცვიფრებულმა ბებერმა ლამაზამ უკან მოაბრუნა თავი და როცა დაინახა, რომ ოდითგანვე დადგენილი წესის ნაცვლად მის გვერდით ერთი კი არ იჯდა, გაგულისებულმა ასწია უკანა ფეხი.

— ჯავრობს... ვერ გაუგია, რა მოხდა... გადააყირავებს კათხას! — წამოიყვირა ტესმა და ფრთხილად მოიცილა ვაჟი. თვალს ადევნებდა ძროხას, თუმცა დანახვით საკუთარი თავისა და კლერის მეტს ვერაფერს ხედავდა.

ტესი წამოდგა, ახლა ისინი მხარიმხარ იდგნენ. კლერს წელზე მოეხვია მისთვის მკლავი. ქალს სივრცეს მიპყრობილი თვალები ცრემლებით აევსო.

— რატომ ტირი, ძვირფასო? — ჰკითხა ვაჟმა.

— არ ვიცი! — კაეშნით წაიჩურჩულა ქალმა.

ბოლოს, როცა გონს მოეგო და მიხვდა, რა მოხდა, შეწუხდა, აღელდა ქალი და თავის გათავისუფლება მოიწადინა მისგან.

— ბოლოს და ბოლოს, გავეცი ჩემი გრძნობები ტეს, — თქვა ენჯელმა. ნაღვლიანად ამოიოხრა უნებურად, ნიშნად იმისა, რომ გულმა სძლია გონებასო.

— არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რა გულწრფელად და ძლიერ მიყვარხართ. მაგრამ მე... აღარც ერთ სიტყვას აღარ ვიტყვი... ცუდ ხასიათზე დაგაყენეთ. არც მე ვარ თქვენზე ნაკლებ შეძრწუნებული. არ იფიქროთ, ერთი წუთით არ იფიქროთ, რომ თქვენი უმწეობით ვისარგებლე... რომ ვიჩქარე და უგუნურად მოვიქეცი, არ იფიქრებთ?

— არ ვიცი, არაფრის თქმა არ შემიძლია.

ენჯელმა ხელი გაუშვა ქალს. ორი წუთის შემდეგ ორივენი ისევ ძროხებს წველიდნენ; ირგვლივ არავინ იყო. არც არავის შეუნიშნავს მათი სიახლოვე. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ ფერმერი მინდვრის ამ მივარდნილ კუთხეში შემოეხეტა. არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ეს ორი, კარგა მანძილით ერთმანეთს დაშორებული ადამიანი უბრალო ნაცნობების გარდა სხვა რამეს კიდე წარმოადგენდა ერთმანეთისათვის. თუმცა მას შემდეგ, რაც კრიკმა უკანასკნელად ნახა ეს ორი არსება, მოხდა ისეთი, რამ რაც, ვიდრე იგი იარსებებს, სრულიად უკუღმა დაატრიალებს სამყაროს ღერძს ორივე არსებისათვის. ფერმერს რომ ეს ამბავი სცოდნოდა, ვითარცა პრაქტიკოსი კაცი, ათვალწუნებით შეხვდებოდა მას, თუმცა იგი უფრო მყარსა და გადაულახავ მისწრაფებებზე იყო დაფუძნებული, ვიდრე ყველა ეგრეთ წოდებული პრაქტიკული მისწრაფებანი. ფარდა, გადაიწია ამიერიდან თითოეული ამ ორთაგანისათვის მცირე ხნითა თუ ხანგრძლივად ახალი ჰორიზონტი იშლებოდა.

მეოთხე ფაზა
შედეგი

XXV

მოუსვენრობით შეპყრობილმა კლერმა სიბნელეს შეაფარა თავი, როცა მწუხრის საბანი გადაეფარა მიდამოს, ხოლო იგი, ვინაც დაიმონა გული მისი, თავის საწოლ ოთახში შევიდა.

პაპანაქება სიცხით დახუთული დღის შემდეგ საღამოც ცხელი და სულისშემხუთველი დადგა: ნიავი არ იძვროდა, მხოლოდ ბალახი დაეპკურებინა ნამს: ბაღის ბილიკები, ნაგებობათა კედლები ანთებული ღუმელივით თბილი იყო და ეს შუადღიდან გამოყოლილი სითბო სახეს უწვავდა ღამეში მოხეტიალე კაცს.

ეზოს აღმოსავლეთ ჭიშკარზე ჩამოჯდა, არ იცოდა რა ეფიქრა საკუთარ თავზე. ჰო, დღეს გრძნობამ სძლია გონებას..

ამ სამიოდე საათის წინ მომხდარი მოულოდნელი ამბის შემდეგ ორივენი გაურბოდნენ ერთმანეთს. შეშინებულ ტესს თითქოს ხურვება შეჰყროდა, ხოლო კლერი, ეს მგრძნობიერი, ცხოვრების საღად საჭვრეტად წინასწარ შემზადებული კაცი, გრძნობის უშუალობასა და გარემოების დაუთრგუნავ ძალას აეღელვებინა: ანგარიში ვერ მიეცა საკუთარი თავისთვის: როგორი უნდა ყოფილიყო მათი ურთიერთობა ამიერიდან, ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სხვების თანდასწრებით.

მერძევეობის ფერმაში სასწავლებლად ჩამოსული ენჯელი ვარაუდობდა: აქ ყოფნის მთელი ხანა ალბათ ჩემი ცხოვრების მარტოოდენ შემთხვევითი ეპიზოდი თუ იქნება, რომელიც მალე წაიშლება და წარიხოცება მეხსიერებიდანო, იმედი ჰქონდა, ამ ადგილიდან, ვითარც თეჯირაფარებული კუთხე-კუნჭულიდან, ჭვრეტას დაუწყებდა ამაო ქვეყანასა და უოლტ უიტმენის სიტყვებით გაეხმიანებოდა ჟამიდან ჟამს:

ქალთა და კაცთა ბრბოვ კოსტუმებით რა უცნაური მეჩვენები მე!

კვლავაც ოცნებობდა მომავალ გეგმებზე: როგორ აეგო ცხოვრება, როგორ ჩაყურყუმელავებულიყო გარე სამყაროს ორომტრიალში. აი, შემოიჭრა მოულოდნელი ტალღა, იგი, რაც ყოვლისდამთქმელი სამყარო იყო აქამომდე, აწ უინტერესო პანტომიმად იქცა მხოლოდ. ხოლო აქ, ამ თითქოს მოსაწყენ, ამ უგრძნობელსა და უვნებო ადგილას, ვულკანური ძალით შემოიჭრა რაღაც ახალი, ჯერეთ უცნობი და განუცდელი.

სახლის ფანჯრები ღია იყო. ნაცნობი ხმები სწვდებოდა კლერის ყურს ეზოდან — ფერმის ბინადარნი დასაძინებლად წვებოდნენ. რაოდენ მნიშვნელოვანი გამხდარიყო აწ ეს სადა და უღიმღამო სახლი, რომელიც აქამდე თითქოს არაფრით გამოირჩეოდა გარემომცველი მიდამოსაგან და თავადაც დროებით თავშესაფრად თვლიდა მხოლოდ. დარჩიო! — თითქოს ეჩურჩულებოდნენ მოძველებული, ხავსით დაფარული აგურის ლავგარდანები, ფანჯრები მეგობრულად უღიმოდნენ, კარი ალერსით იწვევდა თავისკენ, მხვიარა მცენარეები კი თანაუგრძნობდნენ თითქოს. ამ კედლებს შიგნით მყოფი ქალის გამო ღაღადებდა აგურიცა და კირიც და ცის მოციმციმე თაღთან ერთად ვნების ცეცხლით იწვოდნენ ერთიან: ვინ იყო ეს ყოვლისშემძლე და მქნელი ქალი? — მერძევეობის ფერმის ვინმე უბრალო მწველავი!

დიახ, საოცარი მადლი მოისხა მისთვის ამ უბრალო მივარდნილ ფერმაში ცხოვრებამ და მარტოოდენ სიყვარული როდი იყო ის მი-

ზეზი. ენჯელი ერთადერთი არ გახლდათ, ვინაც შეიცნო, რომ ცხოვრების ფასი მის გარეგნულ ცვლილებებში კი არა, ადამიანის პიროვნულ, შინაგან განცდებში იმალება: მგრძნობიარე გლეხი ბევრად უფრო სავსე, ფართო და შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობს ვიდრე ვინმე სქელკანიანი მეფე. კლერი დარწმუნდა, რომ ცხოვრება ისევ დიდებული და წარმტაცია აქ, ვითარც ქვეყნიერების რომელიმე კუთხეში.

თუმცა ერეტიკული, სუსტი და შეცდომებით აღსავსე იყო, ენჯელს მგრძნობიარე სინდისი ჰქონდა. ტესი მისთვის გასართობი სათამაშო და არარაობა კი არ იყო, არამედ ქალი, რომლითაც დაჯილდოებულია ძვირფასი ცხოვრება, ხოლო ცხოვრება ტესისათვის მჭმუნვარესა თუ ბედნიერისათვის, ნაკლებ მნიშვნელოვანი როდი გახლდათ, ვიდრე რომელიმე უძლიერესისათვის ადამიანთა შორის. ტესი სუბიექტურად აღიქვამდა სამყაროს. საკუთარ პრიზმაში ატარებდა და მხოლოდ ამის შემდეგ წარსდგებოდნენ ხოლმე ადამიანები მის წინაშე თავისი ავითაც და კარგითაც, ხოლო თავად სამყარო მისთვის იმ დღესა და საათს გაჩნდა, ოდეს იშვა თავად.

აი, ეს შეგნება, რომელშიც შეიჭრა კლერი, ტესის არსებობის ერთადერთი საშუალება, მთელი მისი ავლადიდება, მისი ყოფიერების ერთადერთი წინამძღვარი იყო ყოფიერებისა, რომელიც გულგრილ „პირველ მიზეზს“ უბოძებია მისთვის. ჰოდა, მაშ, როგორღა შეეძლო საკუთარ თავზე ნაკლებმნიშვნელოვან არსებად ჩაეთვალა იგი, ეცქირა მისთვის ვითარც სასიამოვნო სათამაშოსთვის, რომელიც ადრე იქნებოდა თუ გვიან, აუცილებლად მობეზრდებოდა. შეეძლო განა უდიდესი სერიოზულობით არ მოქცეოდა გრძნობას მისას, — გრძნობა კი არსებობდა და ეს თავადაც კარგად უწყოდა, რომელიც მან გაუღვიძა, მიუხედავად დიდი თავშეკავებისა, ამ მგზნებარე მგრძნობიარე ქალს? შეეძლო განა უფლება მიეცა ამ გრძნობისათვის გაეწამებინა და დაეღუპა ეს ქალი?

ყოველდღიურ შეხვედრებს შეიძლებოდა კიდევ უფრო გაეღრმავებინა იგი, რაც უკვე იშვა. ასეთი სიახლოვე უდავოდ მიიყვანდა იმ ნაზ გრძნობამდე, რომელთან ბრძოლაში უძლურია სისხლიცა და ხორციც. რაკიღა სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, კლერმა გადაწყვიტა, დროებით ხელი აეღო ყოველდღიურ საქმიანობაზე, რომელშიც ორივენი მონაწილეობდნენ. ვიდრე მის მიერ მიყენებული ბოროტება ჯერ კიდევ დიდი არ იყო.

მაგრამ განა ასე იოლი იყო გადაწყვეტილების შესრულება, — განრიდებოდა მას, როცა გული დაჟინებით მიიწევდა მისკენ.

გადაწყვიტა, მშობლები მოენახულებინა, — იქნებ როგორმე აზრი გამოეძალა მათთვის. ფერმაში ყოფნა ხუთ თვეზე მეტ ხანს აღარ მოუწევს, მერე კიდევ რამდენიმე თვეში სხვა ფერმებს შემოუვლის, საბოლოოდ, საფუძვლიანად შეისწავლის კიდეც აგრონომიას და საშუალებაც მიეცემა დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჰყოს ხელი. ჰოდა, ხომ უნდა ფერმერს ცოლი, რომელიც ცვილის თოჯინასავით სასტუმრო ოთახის დამამშვენებელი ნივთი კი არ იქნება, არამედ ადამიანი, რომელსაც გაეგება რაღაც სოფლის მეურნეობისა. ღამის მდუმარებაში ამოიკითხა მან ამ საჭირბოროტო კითხვების პასუხი. და მაინც გადაწყვიტა გამგზავრება.

ჰოდა, როცა ერთხელ ყველანი საუზმეს შემოუსხდნენ ტელბოტეისის ფერმაში, რამდენიმე მწველავმა ქალმა შენიშნა, რომ მისტერ კლერი იქ არ იყო.

— ჰო, — უპასუხა მათ ფერმერმა კრიკმა, — მისტერ კლერი ერთიორი დღით თავის ნათესავებთან გაემგზავრა.

ოთხი შეყვარებული გოგონასათვის, რომლებიც ერთ მაგიდას უსხდნენ, თითქოს უეცრად მზე ჩაესვენა, ჩიტების ჟღურტულიც მიწყდა. მაგრამ არც სიტყვითა და არც მოქმედებით საკუთარი წუხილი არ გამოუმჟღავნებიათ.

— მალე დაუმთავრდება ხელშეკრულების ვადა, — უნდილად დასძინა კრიკმა და არ უწყოდა, რა ულმობელობას სჩადიოდა.

— ალბათ, სამუშაოსაც შეიგულებს სადმე.

— რამდენ ხანს დარჩება კიდევ აქ? — გაბედა ოთხი დამწუხრებული გოგონადან იზ ჰუეტმა ხმის ამოღება.

დანარჩენები კი, თითქოს ამაზე იყო დამოკიდებული მათი ყოფნა არ ყოფნის ამბავი, მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. რეტის პირი დაეღო და სუფრას ჩასიციცინებდა, მერიენს კიდევ უფრო ატკეცოდა ისედაც აღაჟღაჟებული ლოყები. აცახცახებული ტესი კი ფანჯრიდან გასცქეროდა ველს.

— ზუსტად ვერ გეტყვით, არც უბის წიგნაკი მაქვს ახლა ხელთ, — იმავე აუტანელი გულგრილობით მიუგო კრიკმა, — მაგრამ ისე არ წავა, რომ ხბორების მოვლა არ ისწავლოს, ჰოდა, წლის ბოლომდე მაინც შემორჩება აქაურობას.

ოჰ, ოთხ თვეზე მეტი მტანჯველი აღფრთოვანება, „ტკივილებით. აღსავსე სიხარული“, მერე კი — უკუნი ღამის წყვდიადი.

ამ ადრიან დილით ენჯელ კლერი უკვე ათიოდე მილით იყო დაცილებული მერძევეობის ფერმას. სოფლის ვიწრო გზით ემინსტერისაკენ, მამამისის სამრევლოსაკენ მიემართებოდა. თან კალათით

სისხლის ძეხვი და ერთი ბოთლი თაფლი მიჰქონდა, რომელსაც მისის კრიკი უგზავნიდა მის მშობლებს გულითად მოკითხვასთან ერთად. წინ თეთრი გზა გაჭიმულიყო, ენჯელი დაჟინებით დასცქეროდა მას, მაგრამ გზა კი არა, მომავალი ეშლებოდა თითქოს წინ. მას უყვარდა ტესი. მაგრამ უნდა შეირთოს თუ არა? აქვს ამის უფლება? რას ეტყვიან დედა და-ძმები? რას იტყვის თავად ორი წლის შემდეგ? ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, აღმოცენდება თუ არა წარმავალ გრძნობებსა და ვნებებში მტკიცე მეგობრობის თესლი თუ გოგონა მარტოოდენ ხორციელ სიხარულს მიანიჭებს, რაც არ შეიძლება მარადიული იყოს.

ბოლოს ბორცვებით შემოჯარულ ტაფობში პატარა ქალაქი გამოჩნდა, — ტიუდორებისდროინდელი წითელი ქვით ნაგები ეკლესია და ხეების ჯგუფი მღვდლის სახლის გვერდით. კლერმა კარგად ნაცნობი ჭიშკრისაკენ მიაგდო ცხენი. სახლის შესასვლელთან ეკლესიას შეავლო თვალი და სამოსსაცავის კართან ასე თორმეტი-თექვსმეტი წლის გოგონების გუნდი დაინახა, რომლებიც, ეტყობოდა, ვიღაცას ელოდნენ. იმავე წამს ერთი გოგონა გამოვიდა, ცოტა უფროსი თუ იქნებოდა სხვებზე. თავზე ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა და გახამებული ბატისტის კაბა ეცვა, ხელში ორი წიგნი ეჭირა.

კლერი კარგად იცნობდა ამ გოგონას. ვერ გაარკვია, დაინახა თუ არა მან. არ დავუნახივარო დაიიმედა მაინც გული. არ სურდა ახლა ამ გოგონასთან მისვლა. იგი მის მერსი ჩანტი გახლდათ. ენჯელის მამის კარის მეზობლისა და მეგობრის ერთადერთი ასული. კლერის მშობლები ჩუმჩუმად სულ იმას ოცნებობდნენ, ერთხელაც იქნება ჩვენი ვაჟიშვილი ამ გოგონას შეირთავსო. გოგონა ანტინომიზმისა და ბიბლიის დიდი მცოდნე იყო და ეტყობოდა, ახლა მოწაფეები სამეცადინოდ მიჰყავდა. კლერს გაახსენდა ვარის ველის აღგზნებული, მზის სხივებით ავსებული წარმართები მათი ნეხვშეშხეფებული, ვარდისფერი სახეები და იგი, ვინაც მათ შორის ყველაზე მეტად ცეცხლოვანი იყო.

ემინსტერში გამომგზავრება კლერმა უცებ გადაწყვიტა, ამიტომაც არ შეუტყობინებია მშობლებისათვის. წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა, საუზმობის ხანს ჩამოსულიყო, რომ შინ მოესწრო მათთვის, რადგან საუზმის შემდეგ ჩვეულებრივ, მისი მშობლები მრევლის საქმეებს აგვარებდნენ ხოლმე. ენჯელს ცოტა შეაგვიანდა. ისინი უკვე მაგიდას უსხდნენ. როგორც კი თვალი მოჰკრეს, ყველანი ერთბაშად წამოიშალნენ: დედაც, მამაც, ძმაც — მისი უწმიდესობა ფელიქსი, რომელიც საგრაფოს ერთ-ერთი მომიჯნავე ქალაქის მღვდელი გახლდათ და ახლა ორიოდე კვირით შინ ჩამოსულიყო, და ბოლოს

მეორე ძმა, მისი უწმიდესობა ქათბერტი — სწავლული და კოლეჯის დეკანი, ისიც არდადეგებზე ჩამოსულიყო შინ კემბრიჯიდან. დედას ქუდი ეხურა და ვერცხლის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. მამას გარეგნულადაც ისეთივე შესახედაობა ჰქონდა, როგორიც სინამდვილეში იყო, — ხმელ-ხმელი, სერიოზული, ღვთისმოშიში, ასე სამოცდახუთი წლისა იქნებოდა. ფიქრებს ნაოჭებით დაეღარა მისი ფერმკრთალი სახე. კედელზე ენჯელის დის სურათი ეკიდა. იგი თექვსმეტი წლით უფროსი იყო მასზე. მისიონერზე გათხოვილიყო და აფრიკაში ცხოვრობდა.

მისტერ კლერ-უფროსის მსგავს მღვდელს იშვიათად შეხვდებოდა კაცი ამ უკანასკნელ ოციოდე წლის განმავლობაში. სულიერად უიქლიფის, ჰუსის, ლუთერისა და კალვინის ახლობელი, უდიდესი ევანგელისტი ყველა ევანგელისტთა შორის, ტკბილმოუბარი, აპოსტოლარული უბრალოებისაკენ მიდრეკილი ადამიანი იყო საქმითაც და აზრითაც. მან სიყმაწვილეშივე თქვა უარი ყოფიერების ძირითად საკითხებზე და შემდგომ ამისა არასოდეს უღალატნია მიღებული გადაწყვეტილებისათვის. თვით მისი თანამედროვენი და თანამოაზრენიც კი აღიარებდნენ მისი შეხედულებების უკიდურესობას. მაგრამ მეორე მხრივ მტრები უნებურად აღტაცებაში მოჰყავდა მის შეუდრეკლობას, სიზუსტესა და იმ განსაკუთრებულ ენერგიას, რომლითაც განირიდა ყოველი ეჭვი და ატარებდა ცხოვრებაში საკუთარ პრინციპებს. მას უყვარდა ტარსელი პავლე, მოსწონდა წმინდა იოანე, რამდენადაც გამბედაობა ყოფნიდა, სძულდა წმიდა იაკობი, ხოლო ტიმოთეს, ტიტისა და ფილიმონისადმი რაღაც შერეული გრძნობა ჰქონდა. მისთვის ახალი აღთქმა იმდენად ქრისტეს აღქმა არ იყო, რამდენადაც პავლესი. არა იმდენად სწავლება, რამდენადაც თრობა. მისი რწმენა დეტერმინიზმისა ლამის მანკი იყო და თავისი ნეგატიური მხრით თვითგანდგომის ფილოსოფიას ესაზღვრებოდა, რაც თავის მხრივ შოპენჰაუერისა და ლეოპარდის ფილოსოფიას ენათესავებოდა. ერთი რამ კი უდავო გახლდათ — იგი უაღრესად წრფელი ადამიანი იყო.

იმ ესთეტურ, გრძნობადსა და წარმართულ ტკბობას ბუნებით და მგზნებარე ქალურობით, რომელიც მისმა ვაჟიშვილმა ამ ბოლო დროს შეიცნო ვარის ველზე, უკიდურესად უარყოფითად მოეკიდებოდა, როგორმე რომ ჩამხვდარიყო მას; ან კითხვა-კითხვით გამოეძია იგი. ერთხელ გაჯავრებულ ენჯელს როგოღაც წამოცდა, უმჯობესი იყო კაცობრიობისათვის თანამედროვე რელიგიის წყარო საბერძნეთი ყოფილიყო და არა პალესტინაო. სასოწარკვეთილმა მამამ ფიქრითაც კი არ დაუშვა, რომ ამ სიტყვებში თუნდაც მეათედი

ნაწილაკი შეიძლებოდა ყოფილიყო ჭეშმარიტებისა, ხოლო სრულ ჭეშმარიტებასა და ნახევარჭეშმარიტებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტიც იყო. მამა იმით დაკმაყოფილდა მხოლოდ, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში მკაცრ ნოტაციებს უკითხავდა ენჯელს. მაგრამ მისი კეთილი გულისათვის უცხო იყო გულღრძობა. და ახლა შვილს ბალღის ალერსივით ნაზი და ნათელი ღიმილით შეეგება. ენჯელი მაგიდას მიუჯდა. იგი ახლა მშობლიურ სახლში იყო, მაგრამ წარსულ დღეთაგან განსხვავებით, ვერა გრძნობდა თავს იქ თავშეყრილ ოჯახის წევრად. ყოველი ჩამოსვლის დროს ატყობდა ენჯელი, როგორ თანდათან სცილდებოდა საკუთარ ოჯახს. დღეს კი მთლად უცხო ეჩვენა. გეოცენტრიული თეორიიდან აღმოცენებული ტრანსცენდენტალური მისწრაფებები — სამოთხე ზენიტში, ჯოჯოხეთი — ნადირში, ისევე გაუგებარი იყო ენჯელისათვის, როგორც სხვა პლანეტის ადამიანთა ფიქრები. უკანასკნელ თვეებში ენჯელი მხოლოდ ცხოვრებას ხედავდა, შეიგრძნობდა ყოფიერების ძლიერ მაჯისცემას დაუჟეჟავს, დაუმახინჯებელსა და შეუვიწროებელს იმ რწმენებით, რომლებიც ამაოდ ცდილობენ მიაყრუონ ის, რის მხოლოდ და მხოლოდ მოგვარებას ისურვებდა სიბრძნე.

მშობლებსაც, თავის მხრივ, მეტად შეცვლილი ეჩვენათ შვილი, სულ აღარა ჰგავდა ძველ ენჯელ კლერს. მშობლები და უფრორე ძმები განაცვიფრა მისმა ქცევამ და მიხრა-მოხრამ; ნამდვილი ფერმერივით ეჭირა თავი, — ფეხებგაშოტილი იჯდა, სახე უფრო მეტყველი და ცოცხალი გახდომოდა, თვალებში აზრი უფრო ადრე ეხატებოდა, ვიდრე მათ წარმოთქმას მოასწრებდა, სულმთლად ჩამოსცილებოდა კოლეჯის მოწაფეობისა და მით უფრო სალონის ყმაწვილების პეწი. პედანტი კაცი იტყოდა, სულ დაუკარგავს კულტურაო, ქედმაღალი კი — ერთიანად გატლანქებულაო. დიახ, ასეთი გახლდათ ტელბოტეისის ნიმფებთან და სოფლის ბიჭბუჭებთან ურთიერთობის შედეგები.

საუზმის შემდეგ ენჯელი სასეირნოდ გავიდა თავის ძმებთან, უგანათლებულეს ყმაწვილკაცებთან, სისხლით-ხორცამდე ზრდილსა და წესრიგიან ხალხთან. ასეთ წუნდაუდებელ მოდელებს უშვებს სისტემატური სწავლების სახარატო დაზგა. ცოტა არ იყოს და, ორივე ბეცი გახლდათ, ჰოდა, როცა თასმაზე ჩამოკიდებული ბინოკლი იყო მოდაში, ისინი ბინოკლს ატარებდნენ, შემოვიდა თუ არა მოდაში ლორნეტი, იმათაც მაშინვე ლორნეტები მოიმარჯვეს, ხოლო როდესაც სათვალის ტარება დაიწყეს სხვებმა, ამათაც სათვალეები წამოიცვეს, და არც დაფიქრებულან რომელი ჭირდებოდათ, ბინოკლი, ლორნეტი თუ სათვალე. როდესაც ტახტზე უოთსვორდი აღაზევეს,

ისინი ჯიბით მუდამ უოთსვორდის წიგნებს ატარებდნენ, ხოლო ოდეს შელი შეამკეს გვირგვინით, მათ პატივი დასდეს მის წიგნებს, მტვერი დასდებოდათ თაროზე; ოდეს საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდნენ კორეჯოთა წმიდა ოჯახები, აღფრთოვანებულნი იყვნენ კორეჯოებით, ოდეს კორეჯოს დიდება ჩამოსცილდა ველასკესის სასარგებლოდ, წუთით არ დაუყოვნებიათ, მყის შეუერთდნენ საზოგადოების აზრს.

თუ უფროსი ძმებისათვის თვალნათელი გახდა ენჯელის განათლების ხარვეზები, ენჯელმა ყურადღება იმას მიაქცია, თუ რაოდენ შეზღუდულები იყვნენ ისინი სულიერად. ფელიქსი ეკლესიის განსახიერება იყო, ქათბერტი კი — კოლეჯისა. ერთისათვის სამყაროს ქვაკუთხედი ეპარქიალური საბჭო იყო, მეორისათვის — კემბრიჯი. ორივე ძმა შემწყნარებლურად აღიარებდა, რომ საზოგადოებაში არსებობს რამდენიმე ათეული მილიონი კაცი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც უნივერსიტეტთან და არც ეკლესიასთან. მაგრამ ასეთ ადამიანებს კაცი შემწყნარებლურად უნდა ეპყრობოდეს, არ უწევდეს ანგარიშს და პატივს არა სცემდეს.

ორივენი მშობლების დიდი პატივისმცემლები და დამფასებლები იყვნენ და მუდამჟამს თავის დროსა და რიგზე ჩამოდიოდნენ მათ მოსანახულებლად: ფელიქსი, როგორც ღვთისმეტყველი, უფრო თანამედროვე იყო და ცოცხალი აზრისა, ვიდრე მამამისი. მაგრამ უფრო ნაკლებ მიდრეკილი განდგომისა და თავგანწირვისაკენ. უფრო შემწყნარებელიც. მამამისთან შედარებით, საკუთარი რწმენის საწინააღმდეგო მოსაზრებებისადმი, რომელნიც დამღუპველნი იყვნენ იმათთვის ვინც მათ იზიარებდა, მაგრამ სამაგიეროდ ისე ადვილადაც არავის აპატიებდა საკუთარი რწმენის უპატივცემლობას. კათბერტი უფრო ლიბერალი იყო და ფაქიზი, მაგრამ თან გულქვაც გახლდათ.

რა დიდი უპირატესობითაც არ უნდა სარგებლობდნენ ესენი ჩემ წინაშე, — ფიქრობდა ენჯელი, როცა ძმებთან გორაკის ფერდობზე მისეირნობდა, არც ერთ მათგანს არ უნახავს და არ იცის რა არის ცხოვრება. შესაძლოა, უამრავ სხვა ადამიანთა დარად საკუთარი აზრის გადმოცემის უნარი მათ მეტად აქვთ განვითარებული დაკვირვებულობის საზიანოდ, მაგრამ არ გააჩნიათ ჯანსაღი წარმოდგენა იმ რთულსა და ძლიერ ძალებზე, რომლებიც მილეკავდა მათ თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად წყნარსა და უშფოთველ ნაკადს იქით. ვერც ერთი ვერა ხედავდა განსხვავებას კერძო ჭეშმარიტებასა და საყოველთაო ჭეშმარიტებას შორის. არ ესმოდათ, რომ კლერიკა-

ლური და აკადემიური ვიწრო წრის აზრი სრულიადაც არ არის საყოველთაო აზრი.

— მე მგონია ჩემო ძვირფასო, ფერმერობის გარდა შენ სხვა გზა არ დაგრჩენია, — უთხრა ფელიქსმა სხვათა შორის თავის უმცროს ძმას და სათვალედან მკაცრად ნაღვლიანად გახედა შორეულ ველებს.

— ჰოდა, ჩვენც რაღა დაგვრჩენია, უნდა შევურიგდეთ ამას. მხოლოდ ერთს გევედრები, რაც შეიძლო, მეტი ყურადღება მიაპყრო ზნეობრივ იდეალებს. რა თქმა უნდა, ფერმერული ცხოვრება ცოტა არ იყოს, აუხეშებს ადამიანს, მაგრამ მაინც შეიძლება სადად და უბრალოდ იცხოვროს კაცმა და ამაღლებულად იაზროვნოს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ენჯელმა, — მაპატიე, რომ შენ ბაღჩაში გადმოვდივარ, მაგრამ განა ეს ჯერ კიდევ ცხრამეტი საუკუნის წინათ არ გახდა ნათელი? რატომ ფიქრობ, ფელიქს, რომ უარს ვიტყვი ამაღლებულ ზნეობრივ იდეალებზე?

— რატომღაც შენი წერილებიდან და ლაპარაკიდანაც ასე მომეჩვენა. მგონია, თითქოს შენი ინტელექტუალური ზრდა შეჩერდა, თუმცა შეიძლება ეს ჩემი ფანტაზია იყოს მხოლოდ და სხვა არაფერი. შენ რას იტყვი, კათბერტ!

— ყური დამიგდე, ფელიქს, — გააწყვეტინა ენჯელმა, — ჩვენ, მოგეხსენება, კეთილი მეგობრები ვართ, და თითოეული ჩვენგანი თავისი გზით მიდის, მაგრამ თუ ინტელექტუალურ ზრდაზე წავიდა საქმე, მე მგონია, შენ, თვითკმაყოფილ დოგმატიკოსს, უმჯობესი იყო საკუთარ განვითარებაზე გეზრუნა და ჩემზე არ შეწუხებულიყავი.

ძმები შინ სადილობისას დაბრუნდნენ, სადილი კი ჩვეულებისამებრ მაშინ შემოჰქონდათ, როდესაც დედ-მამა მრევლის ჩამოვლას მორჩებოდა. მშობლებს ავიწყდებოდათ საკუთარი თავი; ანგარიშს არ უწევდნენ, რომ ნაშუადღევსაც მოსალოდნელია ვიზიტები. ხოლო ძმებს ამ საკითხში ერთი აზრი ჰქონდათ. სამივეს სურდა, მისტერ და მისის კლერს გაეზიარებინათ თანამედროვე შეხედულებები.

ჰაერზე სეირნობამ მოაშია ყმაწვილები. განსაკუთრებით ენჯელი, შეჩვეული იყო სუფთა ჰაერსა და ბლომად dapes inemptae-ს,[3] რომელიც ფერმერის არცთუ მაინცადამაინც ფაქიზად გაწყობილ სუფრაზე მოჰქონდათ. მაგრამ მოხუცები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა ყმაწვილებს მოთმინება დაელიათ. თავდადებული წყვილი იმისთვის იღვწოდა, რომ როგორმე მადა გაეღვიძებინათ სნეული მრევლის კაცებისათვის, რომელთაც დიდი ხანია დაჰფოფინებდნენ,

3 ხორაგეული(ლათ)

რათა როგორმე შეენარჩუნებინათ სული მათი ხორცისათვის. საკუთარი მადა კი სულაც გადავიწყებოდათ.

ოჯახი მაგიდას შემოუსხდა. სუფრაზე ცოტა საჭმელი იყო. შეჭამანდიც ცივი მოეტანათ. ენჯელს მისის კრიკის გამოგზავნილი მოსაკითხი სისხლის ძეხვი გაახსენდა. სთხოვა, გემოზე შეებრაწათ კარაქში ისე, როგორც ფერმაში წვავდნენ ხოლმე. უნდოდა, დედასა და მამას ეგემა იგი და ისევე დიდად შეეფასებინათ, როგორც თავად აფასებდა.

— რაო, სისხლის ძეხვი გინდა, შვილო? — შენიშნა დედამ, — დარწმუნებული ვარ სიამოვნებით იტყვი უარს ჩემსა და მამაშენივით, როცა გაიგებ, რატომ არ მოვიტანეთ სუფრაზე. მამაშენს ვურჩიე, მისის კრიკის გულითადი საჩუქარი ერთი კაცის შვილებისთვის წაეღო, საწყალი ოჯახის მამა კარგა ხანია დასნეულდა დელირიუმ ტრემენსით და შინ გროშ-კაპიკის შემტანი არ არის. მამაშენი დამეთანხმა, საბრალოები ძალიან გაიხარებენო, — მაშინვე თქვა და ასეც მოვიქეცით.

— აფერუმ, აფერუმ, დედაჩემო! — მხიარულად შესძახა ენჯელმა და მიიხედ-მოიხედა, იქნებ თაფლი მაინც იყოს სადმეო.

— თაფლი ისეთი მაგარი აღმოჩნდა, — განაგრძობდა დედა, — რომ სუფრაზე მისი მოტანა არაფრით არ შეიძლებოდა. აი, ავადმყოფობის დროს კი რომივით ან კონიაკივით შეერგება სნეულს, ჰოდა, ჩემი წამლების კარადაში შევინახე.

— ჩვენ არამც და არამც არა ვსვამთ ამ მაგიდასთან არაფერს — სპირტიანს, — დასძინა მამამ.

— ჰო, მაგრამ, რა ვუთხრა მისტერ კრიკის ცოლს? — მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, შვილო, — მიუგო მამამ.

— მე მერჩია მეთქვა თაფლისა და ძეხვიც ჩვენებს ძალიან მოეწონათ-მეთქი. მისის კრიკი ისეთი კეთილი, ისეთი კარგი ქალია, როგორც კი ჩავალ, აუცილებლად მკითხავს, როგორ მოეწონათ თქვენებს ჩემი მოსაკითხიო.

— როგორ შეგიძლია სიმართლე დაუმალო, — აღუშფოთებლად უპასუხა მისტერ კლერმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ... მაგრამ ეს თაფლი მაინც, — ტურფა საყლურწავი რამეა...

— რა არისო? — ერთხმად წამოიძახეს კათბერტმა და ფელიქსმა.

— ასე იტყვიან ხოლმე ტელბოტეისში, — განუმარტა ალეწილმა ენჯელმა.

— ეს იყო და ენჯელს კრინტი არ დაუძრავს. იქნებ მშობლები სწო-

რადაც იქცევიან, მაგრამ თავაზიანობა მაინც აკლიათო, გაივლო გუნებაში.

XXVI

— მხოლოდღა საღამოს, ლოცვის შემდეგ მიეცა ენჯელს საშუალება მოლაპარაკებოდა მამას საჭირბოროტო საკითხებზე. სასაუბროდ ენჯელი მაშინ შეემზადა, როცა მუხლმოდრეკილი ძმების უკან იდგა ნოხზე და მათი ფეხსაცმელების ლურსმნებს ათვალიერებდა. ლოცვის შემდეგ ძმები დედასთან ერთად გავიდნენ, მისტერ კლერი მარტო დარჩა ენჯელთან.

თავდაპირველად ყმაწვილმა კაცმა მამას თავისი გეგმები გააცნო. მას განზრახული აქვს ფერმერი გახდეს ინგლისში ან სადმე კოლონიაში და ფართოდ გაშალოს საქმიანობა. მაშინ მამამ, რათა არ ჰგონებოდა შვილს, რომ მისადმი უგულისყურობა გამოიჩინეს, აუწყა რომ არ გააგზავნა რა ენჯელი კემბრიჯში სასწავლებლად და, მაშასადამე, ამით ეკონომია გასწია, მან საჭიროდ ჩათვალა გადაენახა ყოველწლიურად გარკვეული თანხა, რათა ვაჟს დროთა განმავლობაში შეეძინა, ანდა იჯარით აეღო მიწა.

— რაც შეეხება საამქვეყნო სიმდიდრეს, — დასძინა მამამ, — რამდენიმე წელიწადში ბევრად გაუსწრებ შენს ძმებს.

მოხუცის ზრუნვით გულაჩუყებული ენჯელი ახლა სხვა; მისთვის უფრო საჭირბოროტო საკითხს შეეხო. მე უკვე ოცდაექვსი წლისა ვარო. შეახსენა მან მამას, როცა ფერმერი გახდება, მარტო ვერ გაართმევს საქმეს თავს, ფერმერმა ერთი წყვილი კი არა, ორი წყვილი თვალი უნდა გამოიბას. ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს სახლ-კარს, როცა ის ველზე იქნება სამუშაოდ. ჰოდა, უფრო გონივრული ხომ არ იქნებოდა ცოლი შეერთო? — მამა თითქოს კეთილად შეხვდა ვაჟის მოსაზრებას. მაშინ ენჯელმა ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, მამა, როგორი ცოლი უნდა მყავდეს მომჭირნესა და მშრომელ ფერმერს?

— ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყოვლად შემწე და ნუგეშისმცემელი ჭირშიც და ლხინშიც. ყოველ სხვა დანარჩენს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი ქალის მონახვა ძნელი არ არის. აი, აქვე, ჩემს გონიერ მეგობარსა და მეზობელს დოქტორ ჩანტს...

— ხომ არ უნდა იცოდეს მან, უპირველეს ყოვლისა, ძროხის გამოწველა, კარგი კარაქის მოდღვება, თავი ყველის ამოყვანა, ქათმებისა და ინდაურების მოვლა-პატრონობა, წიწილების გამოკვება

და ზოგჯერ, აუცილებლობის შემთხვევაში, ველზე მუშაობის თვალყურის დევნება და ცხვრისა და ხბორების ფასი?

— ჰო... ფერმერის ცოლი... ჰო, რა თქმა უნდა, სასურველია...

— აშკარა იყო, მისტერ კლერი-უფროსი არასოდეს დაფიქრებულა ამაზე.

— მე იმის თქმა მინდოდა, — განაგრძო მან, — რომ თუ შენ სათნოსა და უმანკო ქალს ეძებ, მაშინ აი, იმ შენს ნაცნობ მერსიზე უკეთესს ვერსად შეხვდები. მგონი, ერთ დროს მოგწონდა კიდეც, თუმცა, მართალი გითხრა, ამ ბოლო დროს იმასაც გადაედო იმ ახალგაზრდა მღვდელმსახურთა ახალი ზნე — დღესასწაულებზე ზიარების მაგიდას ყვავილებით და რაღაც რაღაცეებით ამკობს, საკურთხეველიაო, — იძახის. პირდაპირ გაოცებული ვარ, მაგრამ მამამისი, რომელიც ჩემს აზრს ადგას ამ საკითხში, იმედოვნებს ამის გამოსწორება შეიძლებაო. ქალიშვილური ახირებაა და სხვა არაფერი, მალე თვითონვე აღარ მოეწონება...

— ჰო, ჰო, ვიცი, მერსი მშვენიერია და ღვთისნიერი, მაგრამ არა გგონია, რომ ისეთივე უმანკო და სათნო გოგონაა, როგორიც მის ჩანტია; თუნდაც ღვთისმეტყველებაში ცოტას მოიკოჭლებდეს. სანაცვლოდ კი სოფლის მეურნეობის დიდი, თვით ფერმერზე არანაკლები მცოდნე იყოს, მე უფრო გამომადგებოდა?

მამა ჯიუტად იმეორებდა, უმთავრესია ამქვეყნად, იცოდე წმინდა პავლეს სამოციქულო მცნებანი და ეს უპირველესია, ვიდრე ფერმერის ცოლის საქმე და მოვალეობანიო. მაშინ შეგულიანებულმა ენჯელმა, რომელსაც სურდა არც მამა გაენაწყენებინა და საწადელიც აესრულებინა, თვალთმაქცობა დაიწყო: ბედმა თუ განგებამ ერთ გოგონას გადამყარა, ერთგული შემწე და ხელშემწყობი იქნება ფერმერის. თანაც მეტად დინჯი და ცხოვრებაში დაკვირვებული გოგონააო, — თქვა, — ერთია მხოლოდ ჯერ არ იცის მიეკუთვნება იგი საღად მოაზროვნე „დაბალ ეკლესიას“, რომელსაც მამამისი აღიარებს, თუ არა, მაგრამ ასეა თუ ისე, ამ საქმის მოგვარება და მისი ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ძნელი არ არის. ყოველთვის დადის ეკლესიაში. ალალმართალია, უნარიანი, ჭკვიანი, უბიწო, ცვილის სანთელივით, გარეგნულად საოცრად ლამაზი.

— მერედა არი კი ისეთი ოჯახისშვილი, შენ რომ ისურვებდი ნათესაობას, ლედია განა? — იკითხა გაოცებულმა დედამ, იგი უხმაუროდ შემოსულიყო და საუბარზე წაასწრო მათ.

— საყოველთაოდ აღიარებული აზრით, მას ლედის ვერ უწოდებ, მტკიცედ განაცხადა ენჯელმა, — სიამაყით შემიძლია მოგახსენოთ,

რომ იგი უბრალო გლეხის შვილია, და მაინც უდიდესი სულიერი კეთილშობილების პატრონია.

— მერსი ჩანტი საუკეთესო ოჯახის შვილია.

— მერედა რა გამოდნება მანდედან, დედა? — მოუთმენლად შეეპასუხა ენჯელი, — აბა, მამის ოჯახი რაში არგია ისეთი კაცის ცოლს, რომელმაც ცხოვრებაში ჩემსავით შრომის ჭაპანი უნდა გასწიოს.

— მერსი საუკეთესოდ აღზრდილი და განათლებული გოგონაა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, — მიუგო დედამ და ვერცხლის ჩარჩოიან სათვალედან შეავლო შვილს თვალი.

— გარეგნული პეწი და ბრწყინვალება ისეთი ცხოვრებისათვის, როგორსაც მე ვაპირებ, არაფერი ბედენაა. ქალის განათლების საქმეს კი მე თვითონაც შემიძლია მოვკიდო ხელი. ძალზე ნიჭიერია, რომ განახათ, თქვენ თვითონ დარწმუნდებოდით ამაში. უღმერთოდ პოეტური ქალია და პოეზიით ცხოვრობს, თუ შეიძლება ასე ითქვას იმით ცხოვრობს, რაზედაც მხოლოდ პოეტები წერენ. უმწიკვლო ქრისტიანია. იგი სწორედ იმ გვარს, სახესა და ადამიანითა სახესხვაობას განეკუთვნება, რომელთა მოშენება-მომრავლებას თქვენ ყველაზე მეტად ისურვებდით.

— ო, ენჯელ მასხრადაც გვიგდებ!

— მაპატიე, დედა, იგი სათნო ქრისტიანია, ყოველ კვირას ეკლესიაში დადის. ჰოდა, მჯერა, რომ თქვენ შეუნდობთ მას, რამეთუ ხინჯი აქვს რამე მის განათლებას და დამყაბულდებით, რომ ჩემი არჩევანი ურიგო არ არის.

ენჯელი დიდის მგზნებარებით ლაპარაკობდა თავისი შეყვარებულის შეუცნობელ ორთოდოქსალურ რელიგიურობაზე. ამ რელიგიურობას (ენჯელს ეჭვიც არა ჰქონია, რომ ოდესმე მასში სარგებლობას ნახავდა) იგი ყოველთვის ამასხარავებდა, როცა კი ხედავდა, როგორ შეეპყრო მას ტესიცა და სხვა მწველავი ქალებიც. მისთვის სრულიად უცხო იყო ცხოვრების მიერ ბუნების წიაღში წარმოშობილი ეს რწმენები. ეჭვი ეპარებოდათ მშობლებს, რომ ენჯელს უფლება ჰქონდა მიეწერა მის მიერ თქმული თვისებები მათთვის უცნობი გოგონასათვის. მისტერ და მისის კლერი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასე იყო თუ ისე, გოგონას ღვთისმოსაობა უკვე დიდი უპირატესობა იყო, რომელიც არ უნდა უგულებელეყოთ, ესეც არ ყოფილიყო, როგორც ჩანდა, შემთხვევამ თუ განგებამ ისურვა მათი შეყრა, ენჯელი კი ისეთი კაცი არ იყო, რომ მისი არჩევანისათვის ორთოდოქსალურ რწმენას ჰქონოდა მნიშვნელობა. ჰოდა, ბოლოსა და ბოლოს, ამოღერღეს, აჩქარება საქმეს არ არგებს, გაცნობით კი მისი გაცნობის წინააღმდეგი არ ვიქნებითო.

ამიტომაც ენჯელმა ჯერჯერობით თავი შეიკავა სხვა დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიწოდებისაგან. ენჯელს საუცხოოდ ესმოდა, რომ თუმც მისი მშობლები უაღრესად პატიოსანი და თავდადებული ხალხია, მაინც მათთვის, ისევე როგორც წვრილი ბურჟუაზიის ყველა სხვა წარმომადგენლისათვის უცხო არ იყო ცრურწმენები, ამიტომაც საჭირო იყო სიფრთხილე, რათა გადაელახა ისინი. თუმცა კაცმა რომ თქვას, კანონით, როგორც თავად ნებავდა, ისე შეეძლო მოქცეულიყო, ხოლო რძლის სიავესა თუ სიკარგეს რა გავლენა უნდა მოეხდინა მოხუცების ცხოვრებაზე, როცა მათგან შორს, ცალკე ცხოვრება ჰქონდა განზრახული, მაგრამ მშობლების პატივისმცემელ შვილს არ სურდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მათი გრძნობებისათვის, როდესაც თავისი ცხოვრების ასე თუ ისე მნიშვნელოვან საკითხს ჭრიდა.

როდესაც ტესის შემთხვევით თვისებებს როგორც არსებითს ისე უსვამდა ხაზს, ენჯელმა საკუთარი არათანმიმდევრულობა შენიშნა. მას უყვარდა ტესი, უყვარდა მისი სული, გული, მთელი მისი არსება, და არასოდეს უფიქრია, გააჩნდა თუ არა მას, როგორც მის მომავალ შეგირდს, ფერმაში მუშაობის უნარი და მით უმეტეს არასდროს უფიქრია მის გულწრფელსა და წმინდა ფორმალურ ღვთისმოსაობაზე.

ენჯელი შეიგრძნობდა მისი ლაღი და შეულამაზებელი არსებობის სიდიადესა და მშვენიერებას და სრულიადაც არ მოითხოვდა მისგან მაღალი წრეების პეწსა და ბრწყინვალებას. მან მშვენივრად იცოდა, რომ განათლება სრულიადაც არ ახდენს ზეგავლენას იმ ემოციებსა და იმპულსებზე, რომელზედაც ფუძნდება ოჯახური ბედნიერება. ვინ იცის საუკუნეთა შემდგომ მორალური და ინტელექტუალური განათლების გაუმჯობესებულმა სისტემამ შესამჩნევად იქნებ მნიშვნელოვნადაც განწმინდოს ადამიანის ბუნების შეუცნობელი ინსტინქტები. მაგრამ ამჟამად, კულტურა, კლერის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ იმ სიცოცხლეთა სულიერ ეპიდერმას ეხებოდა, რომლებზედაც გავრცელდა მისი ზეგავლენა. ამ დასკვნამდე იგი ქალებზე — ჯერ წვრილბურჟუაზიის კულტურულ წარმომადგენელთა, ხოლო შემდგომ ფერმის მკვიდრთა დაკვირვებით მივიდა. ამ დაკვირვებებმა კი იმაში დაარწმუნა, რომ ერთი სოციალური ფენის კარგ და გონიერ ქალსა და მეორე სოციალური ფენის კარგსა და გონიერ ქალს შორის განსხვავება გაცილებით უფრო ნაკლებია ვიდრე ერთი და იმავე ფენის ან კლასის კარგსა და ცუდს ან გონიერსა და უგონოს შორის.

გამგზავრების დღე დადგა. ძმები უკვე წავიდნენ მამისეული სახლიდან ჩრდილოეთში სამოგზაუროდ, საიდანაც ერთი კოლეჯს დაუბრუნდებოდა, მეორე კი — თავის მრევლს. ენჯელს შეეძლო მათთან ერთად გამგზავრებულიყო, მაგრამ თავის საყვარელ ტელბოტეისში დაბრუნება ირჩია. ესეც არ ყოფილიყო, ენჯელი მათთვის, თქმა არ უნდა, არასასურველი თანამგზავრი იქნებოდა. თუმც ენჯელი უფრო მგრძნობიარე, მორწმუნე და ქრისტიანი იყო თავის ძმებზე, მაგრამ არა და არ სურდა შეგუებოდა მისთვის წინასწარ გამზადებულ ჩარჩოს, ამით გამოწვეული უკარებლობის გრძნობა კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, არც ფელიქსთან და არც კათბერტთან სიტყვა არ დაუძრავს ტესზე.

დედამ სენდვიჩები გაუმზადა, მამა კი თავის ჭაკზე ამხედრებული გაჰყვა გასაცილებლად. მოგზაურობის შედეგებით კმაყოფილი ენჯელი ჩორთით მიჩაქჩაქებდა მამის გვერდით სოფლის დაჩრდილულ შარაგზაზე და სიამოვნებით უსმენდა მამის ნაამბობს: — გაჭირდა მრევლში მუშაობაო, — შესჩიოდა მამა, — გულგრილნი გახდნენ ყველა ჩემი საყვარელი თანამოძმენი, მკიცხავენ და მამუნათებენ ახალი აღთქმის ერთგულებისათვის და მასში კალვინისტური დოქტრინის მავნე გავლენას ხედავენო.

— მავნე — ზიზღით, თან უბოროტოდ თქვა მისტერ კლერმა და ასეთი მსჯელობის უაზრობის დასამტკიცებლად მაგალითების მოყვანას შეუდგა.

— რამდენჯერმე იმის ბედნიერებაც მხვდომია წილად, რომ ცოდვილთა ჭეშმარიტების გზაზე გასაოცარი მოქცევის იარაღი ვყოფილვარო, — თქვა, — და არა მარტო ღარიბთა და ღატაკთა, თვით შეძლებული ხალხისაცაო, მერე კი გულახდილად გამოტყდა, ბევრჯერ ხელიც მომცარვიაო.

ამის მაგალითად მან ერთი მეტიჩარა მემამულე დ'ერბერვილი გაიხსენა, რომელიც ტრენტრიჯის მიდამოებში, ემინსტერიდან ასე ორმოცი მილის დაშორებით ცხოვრობდა თურმე.

— კინგსბირისა და სხვა მიწების ძველთაძველი მფლობელი დ'ერბერვილების ისტორიული გუდამშიერი გვარის ნაშიერი ხომ არ იყო ეგ კაცი. : საშინელი ოთხცხენა კარეტის ლეგენდას რომ ჰყვებიან ხოლმე მათზე? — იკითხა შვილმა.

— არა! დ'ერბერვილთა ჭეშმარიტი გვარი დაეცა და განადგურდა, მე რომ მკითხო, ამ სამოცი თუ ოთხმოცი წლის უკან. ეს დ'ერბერვილები კი, ცრუ, სხვისი გვარის მიმტაცებლები არიან. ძველი რაინდული გვარის პატივისცემა მაფიქრებინებს, რომ ესენი თვითმარქვიები უნდა იყვნენ. საოცარია, შვილო, რომ ასე დაინტერესებულხარ

ძველისძველი გვარების ისტორიით. თითქოს ჩემზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდი მას.

— არასოდეს ჩემი არ გესმოდა, მამა, და ვერც ახლა გამიგე, — მოუთმენლად უპასუხა ენჯელმა, — პოლიტიკური თვალსაზრისით, გვარის სიძველე მე სიკეთედ არ მიმაჩნია. თვით უძველესი გვარების წარმომადგენელთა შორისაც გვხვდება ბრძენი ხალხი, ისინი როგორც ჰამლეტმა თქვა: „მემკვიდრეობის საკუთარივე უფლების წინააღმდეგ ილაშქრებენ“, მაგრამ ლირიკული, დრამატული და ისტორიული თვალსაზრისით მე მათდამი თბილი გრძნობითა ვარ გამსჭვალული.

გვარების ასეთი ფაქიზი დაყოფა, გაუგებარი იყო მისტერ კლერი — უფროსისათვის და შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა ისევ: — მოხუცი დ'ერბერვილის სიკვდილის შემდეგ ამ ახალგაზრდა კაცს თავზეხელაღებული ცხოვრებისათვის მიუყვია ხელი. დედა ბრმა ჰყოლია; სადაც სამართალია, დედის სავალალო მდგომარეობას კი უნდა მოეყვანა უგუნური შვილი გონს. მისი უგვანო საქციელის ამბავს მისტერ კლერის ყურამდე მიუღწევია. ამ უკანასკნელს მაშინვე უსარგებლია შემთხვევით, იმ ხანებში მისიონერული ქადაგებებით გამოდიოდა თურმე იმ მხარეში. ჰოდა, განუზრახავს შეეგნებინებინა გზააბნეული ყმაწვილისათვის თავისი სულიერი ცხოვრების არსი. ის აქ უცხო კაცი იყო და უცხო კათედრიდან მოუწოდებდა, მაგრამ ეს კეთილი საქმე თავის მოვალეობად მიუჩნევია და წარმოუთქვამს ქადაგება ევანგელისტი წმიდა ლუკას სახელით:

„უგუნურო, ამას ღამესა მოგიღონ სული შენი შენგან“. ყმაწვილი კაცი აღუშფოთებია ასეთ აშკარა თავდასხმას, პირადად გამართულ კამათში არ მორიდებია არც მის ჭაღარასა, და საყოველთაოდ და სახალხოდ უდიერად შეურაცხუყვია იგი.

ენჯელი წამოჭარხლდა წყენისაგან.

— მამა, ძვირფასო, — ნაღვლიანად თქვა მან, — არ ვისურვებდი, უღირსთაგან დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიგეღო ხოლმე.

— შეურაცხყოფა? — ჩაკითხა მამამ და დაღარული სახე თავგანწირვის ცეცხლით აენთო, — მე გული მატკინა მხოლოდ ამ უბედური, უგუნური ყმაწვილის ხილვამ. ნუთუ ფიქრობ, რომ შეურაცხყოფას მომაყენებდა მისი განუსჯელი სიტყვები და გინდაც გვემა? „ავყიაობენ — ჩვენ ვლოცავთ მათ, გვდევნიან — ვითმენთ, გვძრახავენ — ვეაჯებით. ჩვენ, ვითარცა ტალახი და ჭუჭყი ქვეყნიური, ვითარცა ნაძირალანი, ფეხქვეშ — გათელილნი აქამომდე“. კორინთელებისადმი მიმართული ეს ძველისძველი და ბრძნული სიტყვები დღესაც სიმართლით ღაღადებენ.

— ცემამდე ხომ არ მისულა საქმე, დაგარტყა?

— არა არ დაურტყამს, მაგრამ, მე რა გამაკვირვებს, ალკოჰოლით გონდაკარგული ხალხისაგანაც მომითმენია გვემა.

— ნუთუ?

— ხშირად, შვილო ჩემო, მაგრამ ეგ არაფერია. მე დამიცავს ისინი ბოროტმოქმედებისაგან, დაეღვარათ საკუთარი მოძმის სისხლი მერე კი მადლი მოუხსენებიათ და ღმერთი განუდიდებიათ.

— იმედს ნუ გადავწურავთ, რომ ეს ყმაწვილი კაციც მიჰყვება მათ მაგალითს! — წამოიძახა ენჯელმა, — მაგრამ შენი სიტყვები მაფიქრებს, ვაითუ ეგრე არ მოხდეს.

— იმედს ნუ წარვიხოცავთ, ჩემო შვილო, — თქვა მისტერ კლერმა, — მე კვლავ ვლოცულობ მისთვის, თუმცა ალბათ ვეღარასოდეს შევხვდები სამარის ამა მხარეს. მაგრამ, იქნებ სიტყვები ჩემი ვითარცა კეთილი თესლი ოდესმე გაღვივდეს და აღმოცენდეს მის გულში.

კლერის მამა, როგორც ყოველთვის, იმედიანი იყო ბალღივით. შვილი თუმცა ვერ იზიარებდა მოხუცის შეზღუდულ დოგმას, მაგრამ თაყვანსა სცემდა მის მოღვაწეობას და პიეტისტში, გმირს ხედავდა. ენჯელი ახლა უფრო დიდად აფასებდა მამას, ვიდრე ოდესმე, რადგან ტესის ცოლობის საკითხის განსჯისას, ერთხელაც არ მოსვლია აზრად, გამოეძია მდიდარი იყო გოგონა თუ ღარიბი. სწორედ ეს არამიწიერება იყო, რის გამოც ენჯელი ფერმერი უნდა გამხდარიყო, ხოლო მისი ძმები, ეჭვი არ იყო, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მრევლის ღარიბ მღვდლებად დარჩებოდნენ და მიუხედავად ყოველისა, ენჯელი აღტაცებული იყო. საკუთარი ერეტიკულობისდა მიუხედავად, ენჯელი ყოველთვის გრძნობდა, რომ მამა, როგორც ადამიანი, უფრო ახლობელი იყო მისი, ვიდრე რომელიმე ძმა.

XXVII

ოც მილზე მეტი გაიარა ენჯელმა პაპანაქება სიცხეში. გზა ხან ციცაბოზე ადიოდა, ხანაც დაბლა მიიკლაკნებოდა ველად. ნაშუადღევს ბორცვის თავს მოექცა, ბორცვი ტელბოტეისიდან დასავლეთით ერთ-ორ მილზე მდებარეობდა. კვლავ გამოჩნდა მდინარე ვარისა თუ ფრუმის ეს ნოტიო და წვნიანი, მოლისფრად აღაღანებული ვარცლი. ჩამოქვეითდა თუ არა ზეგნიდან ამ ნოყიერ, ნარიყმიწიან ველზე ჰაერი დამძიმდა. ზაფხულის ნაყოფთა, ნისლის, ყვავილთა და თივის გამაბრუებული სურნელი ერთ ტბად იღვრებოდა და ბურანში ხვევდა არა მარტო პირუტყვს, არამედ პეპლებსა და ფუტკარსაც.

კლერი აქ შინაური კაცი იყო. ბევრი ძროხის სახელიც იცოდა, რომლებიც ახლა შორს პაწია წერტილებად მოჩანდნენ საძოვარზე. გული სიხარულით უთრთოდა ამ ცხოვრებას რომ სადღაც შორიდან კი არა, თითქოს შიგნიდან შესცქეროდა.

— სტუდენტობის წლებში კი ხომ ამას ვერ მოახერხებდა და როგორადაც არ უყვარდა თავისი მშობლები გრძნობდა, რომ მშობლიურ სახლში ყოფნის შემდეგ თითქოს არტახებსა და სახვევებს იცილებდა. აქ ხომ ის ჩვეულებრივი აღვირიც არ იცოდნენ რა იყო, ინგლისურ სოფლებს რომ აოკებს ხოლმე — ტელბოტეისს მემამულე არ ჰყავდა.

ეზოში არავინ შეხვედრია. ფერმის ბინადართ ჩვეულებად ჰქონდათ, ერთი საათი მაინც წაეთვლიმათ ნაშუადღევს. უთენია დგებოდნენ, ზაფხულში რა მოასვენებს კაცს. კართან მიწაში ჩარჭობილ ტყავგადაცლილ მუხის გატოტვილ როკზე, საკიდარზე ჩამოკიდებული ქუდებივით ეკიდა მუდმივი რეცხვისაგან გამოთეთრებული, გამშრალებული და საღამოსათვის გამზადებული ხის სალტეებიანი გვერგვები. ენჯელი დერეფნიდან უკანა კარში გავიდა, შეჩერდა და ყური მიუგდო. ფარდულიდან, სადაც ოთხთვალები იდგა, ხმადაბალი ხვრინვა მოისმოდა, ეტყობოდა, რომელიღაც მოჯამაგირეს ეძინა. შორიდან დასიცხული ღორების ღრუტუნი მოისმოდა. რევანდი და კომბოსტო თვლემდნენ. მათი ფართო ფოთლები ნახევრად დაკეცილ ქოლგასავით ჩამომჭკნარი ეკიდა მზისგულზე, ენჯელმა უნაგირი მოხადა ცხენს და აჭამა, როცა შინ შებრუნდა, საათმა სამი ჩამოჰკრა. ამ დროს, ჩვეულებისამებრ, ნაღებს ხდიდნენ დილის რძეს. როგორც კი საათის ცემა მიწყდა, ენჯელს იატაკის ცალფიცრის ჭრაჭუნი შემოესმა ზემოდან; ვიღაცა კიბეზე ჩამოდიოდა. წამი და ტესიც გამოჩნდა..

ტესს არ გაუგია ენჯელის მოსვლა. უცებ ვერც შენიშნა. მთქნარება-მთქნარებით ჩამოდიოდა ტესი. ტესმა ხელი ასწია და მაგრად შემოგრაგნილი თმა შეისწორა. ატლასისებური კანი თეთრად ქათქათებდა იმ ადგილას, სადაც მთავრდებოდა მზით გარუჯული კანი. ძილს ვარდისფრად შეეფაკლა გოგონას სახე. ქუთუთოები ძირს დაშვებოდა და გუგებს უფარავდა. ავსებული სიცოცხლე ნაპირებიდან გადმოდიოდა, ეს ერთი იმ წამთაგანი იყო, ოდეს ქალის ცეცხლოვანი სული სხეულს მოიცავს უფრო მწველად, ვიდრე ოდესმე, ოდეს ყველაზე ზეშთაგონებული სილამაზეც კი ხორციელი ხდება.

მერე ბურანში გაიელვეს თვალებმა, თუმცა ძილის კვალი ჯერ არ წაშლოდა სახიდან, მათში სიხარულმა, გაოცებამ და სიმორცხვემ გაჰკვესა.

— ოჰ, მისტერ კლერ, როგორ შემაშინეთ. მე...

— შესძახა მან.

ტესს სულ გადაავიწყდა, რომ ენჯელის აღსარებამ შეცვალა მათი ურთიერთობა, მაგრამ როდესაც კლერის საპასუხო ალერსიანი მზერა შემოეგება, გონს მოსულ ტესს სახე შეეცვალა.

— ტეს, საყვარელო, ძვირფასო! — წაიჩურჩულა კლერმა, ხელი მოავლო და ლოყით აეკრა მის ცხელ სახეს, — ღვთის გულისათვის, თავი დაანებე ამ „მისტერს“, ოჰ, როგორ მოვიჩქაროდი შენკენ.

ტესს არაფერი უთქვამს, გული ძალუმად უცემდა. ისინი დერეფანში აგურის წითელ იატაკზე იდგნენ, ენჯელი გულში იკრავდა ქალს, სარკმელში შემოჭრილი მზის ირიბი სხივები ტესის დახრილ თავს, საფეთქლების ცისფერ ვენებს, შიშველ მკლავს, კისერსა და თმას ელაციცებოდა. ტანგაუხდელად სძინებოდა. მზეზე მიფიცხებულ კატასავით თბილი იყო მისი სხეული. ტესი არ უყურებდა ვაჟს სახეში, მერე კი ასწია წამწამები და ახედა, ენჯელმა მარად ცვალებადი, ნაირფერადი — ცისფერი, შავი, ნაცრისფერი და იისფერი გარსით გარშემორტყმული გუგების სიღრმეში ჩახედა. ტესი კი შესცქეროდა ენჯელს, ვითარცა ევას შეეძლო ეცქირა ადამისათვის მათი შექმნის მეორე დღეს.

— ნაღები უნდა მოვხადო რძეს, — ჩურჩულით შეევედრა ქალი.

— მომხმარეც აღარავინ მყავს. ერთი ბებრუხანა დებორა შემომრჩა მარტო. მისის კრიკი მისტერ კრიკთან ერთად ბაზრობაზე გაემგზავრა, რეტი უქეიფოდაა, სხვები კი სადღაც წავიდ-წამოვიდნენ, საღამოს მობრუნდებიან ძროხების გამოსაწველად. კიბის თავზე ბებერი დებორა გამოჩნდა.

— მე დავბრუნდი, დებორა! — უთხრა მისტერ კლერმა, — მე მივეხმარები ტესს ნაღების მოხდაში. თქვენ ალბათ დაღლილი იქნებით. წადით, დაისვენეთ, ვიდრე ძროხების გამოწველის დრო მოვა.

—

ამ ნაშუადღევს ტელბოტეისში ნაღები მაინცდამაინც დიდის გულმოდგინებით ვერ იქნა მოხდილი. ტესი ბურანში წასულივით დაბორიალობდა. მზის სხივებით განათებულ ნაცნობ საგნებს თითქოს ფორმა დაკარგოდათ, ტუმბოს ქვეშ ქაფქირს გასაგრილებლად რომ დებდა, ხელი უცახცახებდა. კლერის ვნების ცეცხლი მოსდებოდა და მცხუნვარე მზის ქვეშ ათრთოლებული მცენარესავით ცახცახებდა ქალი.

ენჯელმა ისევ გულში ჩაიკრა ტესი. როდესაც ქალმა ნაღების ასაღებად ქაფქირს საჩვენებელი თითი გაუსვა, ენჯელმა ხელი წაავლო

და აულოკა. ტელბოტეისში მიღებული ქცევა-მანერები ახლა მეტის-მეტად შესაფერი აღმოჩნდა.

ბარემ ყველაფერს გეტყვი, ძვირფასო! — ალერსიანად წამოიწყო კლერმა, — ერთი რამ მინდა გკითხო. აი, იმ დღიდან მოყოლებული, მინდორში რომ ვიყავით, — ცოლის შერთვას ვაპირებ, როგორც მომავალ ფერმერს, სოფლის მეურნეობაში ცოტა გაგებული ქალი მჭირდება, ჰოდა, გინდა ეს ქალი შენ იყო, ტესი?

ენჯელი შეეცადა ისეთნაირად შეეტრიალებინა, ისე ეთქვა სათქმელი, რომ ქალს არ ეფიქრა, იმპულსი ამოძრავებს და წინააღმდეგობა არ გაეწია.

ტესი გაფითრდა. მან გარდაუვალად ჩათვალა თავისი დაახლოება ამ ყმაწვილ კაცთან. გარდაუვალი ეჩვენებოდა თავისი სიყვარულიც. მაგრამ მოულოდნელ წინადადებას კი არა და, არ მოელოდა. კლერიც იმაზე ადრე ალაპარაკდა, ვიდრე თავად ფიქრობდა. სიკვდილის ბალღამგარეული სიმწრით წაიჩურჩულა ტესმა სიტყვები, რომელთა წარმოთქმასაც ეს პატიოსანი ქალი თავის მოვალეობად რაცხდა:

— ო, მისტერ კლერ! მე არ შემიძლია თქვენი მეუღლე გავხდე! არ შემიძლია!

თითქოს საკუთარმავე გადამწყვეტმა პასუხმა გაუბზარა გული, ტესმა თავი ჩაქინდრა.

— ტეს! — შესძახა პასუხით გაოგნებულმა ენჯელმა და კიდევ უფრო მაგრად მიიკრა ქალი მკერდზე, — არაო, შენ თქვი? მაგრამ რომ გიყვარვარ?

— ჰო, ჰოდა, ალბათ, მხოლოდ თქვენს ცოლობას თუ ვისურვებდი ოდესმე, — არ დაუმალა სიმართლე უბედურმა გოგონამ, — მაგრამ არ შემიძლია!

— ტეს, სხვაზე ხარ დანიშნული? — იკითხა კლერმა და ოდნავ განირიდა ქალი.

— არა, არა! — მაშ, რაღად მეუბნები უარს?

— მე არ მინდა გათხოვება. არასოდეს ამაზე არ მიფიქრია. არ შემიძლია! მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია თქვენი.

— რატომ, რისთვის? უნდა ეშმაკა ქალს, სხვა გამოსავალი არ იყო.

— მამათქვენი და, ალბათ, არც დედა არ ისურვებენ ისეთ ქალს როგორიც მე ვარ. მათ თქვენს მეუღლედ ალბათ ლედი სურთ.

— სისულელეა! მე უკვე ორივეს ველაპარაკე უფრო ამიტომაც ვიყავი შინ.“

— არა, მე ვგრძნობ, რომ არ შემიძლია! არა, არა, არასოდეს! —

დაჟინებით იმეორებდა ტესი.

— იქნებ ძალიან ვიჩქარე, ჩემო ძვირფასო! — ჰო... არ ველოდი.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, ტეს. მე დაფიქრების საშუალებას მოგცემთ, — მიუგო მან, — უეცრად ჩამოვედი და პირდაპირ მოგახალეთ ყველაფერი, კრინტსაც აღარ დავძრავ რამდენიმე დღე მაინც.

ტესმა ხელი მოკიდა ქაფქირს, ტუმბოს შეუშვირა და საქმე განაგრძო. ძალიან ცდილობდა ქალი, მაგრამ ნაღების წმინდად მორთმევას მაინც ვერ ახერხებდა. ქაფქირი ხან რძეში ჩაიძირებოდა, ხანაც ზემოდან ამოტივტივდებოდა. ვეღარაფერს ხედავდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა. სევდის მიზეზს კი ვერასოდეს ეტყოდა ტესი თავის საუკეთესო მეგობარსა და შემწეს.

— არაფერი არ გამომდის, — თქვა ტესმა და შემოტრიალდა.

რომ აღარ აეღელვებინა და ხელი არ შეეშალა მისთვის, თავაზიანმა კლერმა სხვა საგანზე ჩამოაგდო სიტყვა.

— თქვენ მცდარი წარმოდგენა გაქვთ ჩემს მშობლებზე. ისინი უბრალო, არაპატივმოყვარე ხალხია და ევანგელისტთა სკოლის იმ მცირე რიცხვს ეკუთვნიან, რომლებიც თითო-ოროლა კიდევ შემორჩა. თქვენ ევანგელისტი ხართ, ტესი?

— არ ვიცი.

— ყოველთვის დადიხართ ეკლესიაში. აქაური მღვდელი კი, ამბობენ, დიდად არა სწყალობსო „მაღალ ეკლესიას“.

ტესს, რომელიც ყოველ კვირა უსმენდა სამრევლოს მღვდლის ქადაგებას, უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მღვდლის შეხედულებებზე, ვიდრე კლერს, რომელსაც ერთხელაც არ მოესმინა მისთვის.

— ძალიან მინდა ხოლმე და მწყინს, რომ ღრმად ვერ ვწვდები ეკლესიაში გაგონილს, — თავი დაიზღვია ტესმა ზოგადი განცხადებით.

ისე ალალად ლაპარაკობდა ტესი, რომ ენჯელი დარწმუნებული იყო, მამამისი არაფრით უარს არ იტყოდა მათ ქორწინებაზე რელიგიურ საფუძველზე, თუმცა კი ტესმა არც იცოდა, რა პრინციპებს იზიარებდა, „მაღალი ეკლესიისა“, „დაბალისა“ თუ „ფართოსი“. კლერი კი გრძნობდა, რომ ტესის ბუნდოვანი რწმენები , რომლებიც მას ალბათ ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს, სინამდვილეში პანთეისტური იყო, ხოლო ენა და სტილი სხვადასხვა რელიგიური ბროშურიდან ამოკრებილი. ერთი სიტყვით, ბუნდოვანი იყო ეს რწმენები თუ რაგვარი, ენჯელს მაინც არ სურდა ახლა ამ რწმენათა შეწუხება და მყუდროების დარღვევა.

აი ლოცულობს შენი და...

ნუ წაართმევ მას ბავშვურ რწმენას

და ზეცას. უფლება არა გაქვს დაურღვიო
ყოფისა და არსებობის შენ სიხარული.

უწინ ენჯელი ფიქრობდა, ეს რჩევა-დარიგება უფრო კეთილხმოვანი და მელოდიურია, ვიდრე პატივის ღირსიო. ახლა კი გულში მამის ცხოვრებაზე უამბო, იმაზეც, როგორი რწმენით ატარებს თავის შეხედულებებს იგი ცხოვრებაში. ტესი თანდათან დამშვიდდა. საქმეც საათივით აეწყო, ენჯელი საცობებს აძრობდა ჩანახებს და თანდათანობით უშვებდა რძეს იქიდან. ტესი კი ნაღებს ართმევდა.

— ასე მომეჩვენა, ნაღვლიანი გამოხედვა გქონდათ, როცა აქ შემოხვედით, — გაბედა და ხმა ამოიღო ტესმა, რომ როგორმე საკუთარ თავზე ლაპარაკს გაქცეოდა.

— ჰო, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველთვის მაწუხებს მამაჩემის დარდს რომ გავიგებ ხოლმე, ისეთი თავგამოდებით იბრძვის თავისი საქმისათვის, უამრავ შეურაცხყოფას იტანს თავდამსხმელებისაგან, ვინც მის აზრს არ იზიარებს. გული მტკივა ამ ხნის კაცს ასეთი უსიამოვნება, რომ შეემთხვევა, არა მგონია, ესოდენ თავდაუზოგავ სწრაფვას რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოს. ამას წინათ მომხდარი ერთი უსიამოვნო ამბავი მიამბო: რომელიღაც მისიონერულ საზოგადოებას, აქედან ორმოციოდე მილზე, ტრენტრიჯის მიდამოებში საქადაგებლად წარუგზავნია მამაჩემი. მას კიდევ თავის მოვალეობად შეურაცხავს და შეგონება დაუწყია ვიღაც იქაური თავზეხლაღებული ახალგაზრდისათვის. მემამულის შვილი ყოფილა, ბრმა დედა ჰყოლია. დაუწყია მამაჩემს გულახდილი საუბარი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. კარგის ნაცვლად ავი საქმე გამოსვლია, ამტყდარა ერთი გაწევ-გამოწევა. მართალი გითხრა, დიდი უგუნურება კი მოსვლია მამაჩემს. აბა, რას ელაპარაკები კაცს, როცა ხედავ, რომ მისგან არაფერი გამოვა. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე , მამაჩემი თავის მოვალეობად თვლის ისე მოიქცეს, როგორც თავად საჭიროდ დაინახავს. ჰოდა, აბა რა თქმა უნდა, რომ უამრავი მტერი გაუჩნდებოდა. არა მარტო ცუდსა და დაცემულ ადამიანებს შორის, ვერც უჭკუო და ჭკუათხელები იტანენ, როცა მათ საქმეში ცხვირსა ჰყოფენ. მას რომ ჰკითხოთ, ამაყობს კიდეც მომხდარით. და სწამს რომ სიკეთის ქმნა არაპირდაპირი გზითაც შესაძლებელია. მე კი მერჩია მამაჩემს თავი დაეზოგა ამ სიბერის ჟამს, ღორები წავიდნენ და რამდენიც სურთ, იმდენი იგორაონ ტალახში.

ტესს ტკივილით დაეღარა სახე და ყინული აეკრა თითქოს. მარწყვივით ტუჩები მწუხარედ მოკუმა, მღელვარება კი თითქოს დაუცხრა. მამაზე ფიქრში გართულმა კლერმა ვერაფერი შენიშნა. ჩამოუ-

არეს სწორკუთხა თეთრი კათხების რიგს, მოხადეს ნაღები, გადაასხეს რძე. ამასობაში სხვებიც მოვიდნენ. დები მდუღარე წყლით კათხების რეცხვას მოჰყვა, რომ საღამოსთვის ყველაფერი წინასწარ გამზადებული ყოფილიყო. როდესაც ტესი ძროხების საწველად გაემართა, ენჯელმა ჩასჩურჩულა — რას მეტყვით, ტეს?

— არა, არა, ეს არ მოხდება! — ისე მკაცრად მიუგო იმედგადაწურულმა, თითქოს ალეკ დ'ერბერვილზე მონათხრობ ამბავში თავისი შემაძრწუნებელი წარსულის ხმა მოესმა.

— ტესი თავის მეგობრებს გამოეკიდა, თითქოს სურდა ლაღი ნიავი სათვის გაეტანებინა თავისი სევდა. გოგონები შორეული მინდვრისაკენ მიემართებოდნენ. ტყის ნადირებივით თამამი და ამაყი ნაბიჯებით მიდიოდა მათი ჯოგი. ასე თამამად და მტკიცედ ის ქალები დააბიჯებენ, რომლებიც თვალშეუდგამი ზეცის თაღქვეშ თავისუფალ ცხოვრებას არიან შეჩვეულნი და ამ გაშლილ ჰაერზე თავს ისე გრძნობენ, როგორც მცურავი ტალღებში. კლერმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ტესს და კვლავაც ბუნებრივი ეჩვენა, რომ მისი არჩევანი ხელოვნების საგანისა კი არა და, ბუნების წიაღის პირმშო იყო.

XXVIII

ტესის უარს, თუმც კი ასე მოულოდნელს, დიდხანს არ შეუჭირვებია კლერი. მოეხსენებოდა ქალების ამბავი. არა იმიტომ ამბობენ, რომ მერე ჰო — თქვან. მაგრამ კლერმა მცირე იცოდა და არა უწყოდა, რომ ტესის „არა“ მორცხვობის ან გადაუჭრელობის ნაყოფი არ იყო.

ტესს სიამოვნებდა მისი ყურადღება, და ეს კიდევ უფრო უღვივებდა კეთილ იმედებს. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ „ამაო ოხვრანი“ ველადა და საძოვრებზე ფუჭად არ იფანტებოდა. გოგონები აქ დაუფიქრებლად, სიხარულით ხვდებიან ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისათვის; მაშინ როდესაც პატიმოყვარეთა მჭმუნვარე სახლებში გოგონათა თვითმიზნური ლტოლვა, მოიწყონ ცხოვრება და დაბინავდნენ, ილაჯს უწყვეტს და ადუნებს სიყვარულისადმი ჯანსაღ სწრაფვას.

— ტეს რად მითხარი ასეთი იმედგადაწურული არა? — ჰკითხა ენჯელმა რამდენიმე დღის შემდეგ.

ტესი შეცბა.

— ნუ მეკითხებით... ნაწილობრივ ხომ აგიხსენით კიდეც. მე თქვენი შესაფერისი არა ვარ... თქვენი ღირსი არა ვარ.

— რატომ? ნუთუ იმიტომ რომ ლედი არა ხართ?

— დიახ, თუნდაც მაგიტომ, — წაიჩურჩულა მან, — თქვენი მეგობრები აბუჩად ამიგდებენ და შემიძულებენ.

— ცდებით, ტეს. თქვენ არ იცნობთ ჩემს მშობლებს, ხოლო თუ ძმებზე წავიდა საქმე, იმათ არაფერი ესაქმებათ ჩემთან.

— ენჯელმა ხელი მოხვია, თითქოს ეშინოდა, არსად გამექცესო.

— თქვენ ხომ ნამდვილად არ გითქვამთ ჩემთვის უარი. დარწმუნებული ვარ, არა! მოსვენება აღარა მაქვს, ვეღარც ვკითხულობ, ვეღარც ვუკრავ და ვერც ვეღარაფერს ვაბამ თავს. არ გაჩქარებთ, მაგრამ მე მინდა ვიცოდე თქვენ ტკბილ ბაგეთაგან მინდა გავიგონო, რომ ოდესმე მაინც ჩემი იქნებით... ოდესმე, როცა თქვენ გენდომებათ, მაგრამ ოდესმე კი აუცილებლად.

ტესმა თავი გადააქნია, მხოლოდ და თვალი აარიდა.

კლერი დაჟინებით ჩასცქეროდა სახეში, თითქოს იეროგლიფებიაო, ყოველი ნაკვთი სურდა შეესწავლა. არა! უარი ნამდვილსა ჰგავდა.

— ესე იგი უფლება არა მაქვს მოგეხვიოთ... უფლება არა მაქვს. არავითარი უფლება თქვენზე არა მაქვს... ვეღარ მოვალ და ვეღარ ვისეირნებ თქვენთან ერთად? მითხარით, ტეს, პატიოსნად, სხვა გიყვართ ვინმე?

— როგორ მეკითხებით მაგას? — მიუგო ტესმა და შეეცადა წონასწორობა არ დაეკარგა.

— ვიცი რომ არავინ გიყვართ. მაშ, რაღად მკრავთ ხელს.

— მე ხელი არ მიკრავს. მე... მე მსიამოვნებს, როცა მეუბნებით, მიყვარხარო, და შეგიძლიათ ყოველთვისაც მელაპარაკოთ ასე, როცა ჩვენ ერთად ვიქნებით... არც არასოდეს გაგიჯავრდებით.

— ჩემი ქმრობა კი არ გინდათ, არა?

— ეს სხვა ამბავია... მე ამას თქვენი სიკეთის გულისათვის ჩავდივარ, ჩემო ძვირფასო! დამიჯერეთ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გულისათვის!

რა უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს... მაგრამ... მაგრამ მე მჯერა, რომ ეს არ უნდა გავაკეთო.:

— ბედნიერი ვიქნები თქვენთან!

— ასე გგონიათ, მაგრამ რა იცით...

თავმდაბალია, საზოგადოებაში თავდაჭერა არ იცის და ამიტომაც მიაჩნია თავი ჩემს შეუფერებლადო, — ასე ფიქრობდა ხოლმე ენჯელი, რაკი სხვა არაფერი დარჩენოდა საფიქრალი. ჰოდა, მოჰყვებოდა ფიცსა და მტკიცს, მოქნილი ჭკუა-გონება გაქვსო და არცა ტყუოდა. ტესი გონიერი და ჭკვიანი ქალი იყო. კლერის სიყვარულმა კი

ხელი შეუწყო შეესწავლა მისი სიტყვათა მარაგი, გამოთქმა და საოცარი სისწრაფით აეთვისებინა ბევრი რამ მისი ცოდნის მარაგიდან.

— ეს ფრთხილი და ნაზი ცილობის შემდეგ გამარჯვებული ტესი შორეულ მინდვრებს მიაშურებდა ხოლმე ჯოგს ჩამორჩენილი ძროხების გამოსაწველად. თუ საქმე არა ჰქონდა რა, ლელიანში ჩაჯდებოდა და გაიტრუნებოდა, ანდა შინ წავიდოდა და დიდხანს, დიდხანს დასტიროდა, რამდენიმე წუთის წინ ვითომ ასე გულგრილად და იოლად ნათქვამ „არას“.

მეტად მძიმე იყო ბრძოლა. გული მის მხარეზე იყო. ორი ალმოდებული გული იბრძოდა საბრალო, პაწია სინდისის წინააღმდეგ. ათასგვარი მანქანებითა და მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ცდილობდა ტესი გაემაგრებინა თავისი გადაწყვეტილება. მტკიცე წინასწარი გადაწყვეტილებით ჩამოვიდა ტესი ტელბოტეისში: არავითარ შემთხვევაში არ გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც აიძულებდა მის ქმარს მწარედ ენანა საკუთარ სიბეცეზე. და ტესიც ჩასძახოდა საკუთარ თავს, სინდისით მიღებული გადაწყვეტილება იმ დროს, როცა საღად მსჯელობის უნარი გამაჩნდა, ახლაც შეუვალი და ხელშეუხებელი უნდა დარჩესო.

„რატომ არავინ უამბობს ჩემს თავგადასავალს! — ფიქრობდა ტესი, — რა შორს ეს ამბავი მოხდა, ორმოცი მილიც არ იქნება აქედან. რატომ არ მოაღწია აქ ხმამ? ხომ შეიძლება არავინ იცოდეს“.

მაგრამ როგორც ჩანდა, არავინ არაფერი უწყოდა; არავის არაფერი უთქვამს კლერისათვის.

შემდგომი ორი-სამი დღის განმავლობაში სიტყვა არ თქმულა. მეგობრების ჩამომტირალი სახეების შემყურე ტესი გრძნობდა, რომ გოგონები მასში მხოლოდ კლერის რჩეულს როდი ხედავდნენ. არ შეიძლებოდა არ შეენიშნათ, ტესი ძალასა და ღონეს არ იშურებდა, რომ თავი დაეძვრინა მისგან.

ტესს ჯერ არასოდეს უძებნია ცხოვრებაში მსგავსი რამ, არასოდეს გაყოფილა ასე მკვეთრად ცხოვრების ძაფი ორ წვერად, რომელთაგან ერთი მწუხარებისა იყო, მეორე კი სიხარულისა. ერთხელ, — იმ დღეს ყველს იყვანდნენ ფერმაში, — ტესი კვლავ მარტო დარჩა ენჯელთან. ფერმის მეპატრონე გაცხარებულ მუშაობაში იყო ჩართული. თუმცა ამ ბოლო დროს მისტერ კრიკმა და მისმა ცოლმა თითქოს შენიშნეს ამ ორი ახალგაზრდა გულის კვნესა. ტესი და ენჯელი ისე ფრთხილობდნენ, დიდი-დიდი იოტისოდენა ეჭვი აეღოთ. ასე იყო თუ ისე, ფერმერმა მაინც მარტონი დატოვა.

ჩანახებში ჩადებამდე პურივით ფშვნიდნენ ხაჭოს. თეთრ ქათქათა ხაჭოში ჩაფლული ტესის ხელები ვარდის ფურცლების ფერი გამხდარიყო. ენჯელი ბღუჯა-ბღუჯა ყრიდა ხაჭოს ჩანახებში, უეცრად საქმეს თავი ანება და ხელები ტესის ხელებს დაადო. ტესს კაბის სახელოები იდაყვს ზემოთ აეკეცა. ენჯელი დაიხარა და ნაზი კანის ქვეშ, გამომჭვირვალ ცისფერ ვენას ეამბორა.

— თუმცა სექტემბრის შემოდგომის ცხელი დღეები იდგა, ენჯელს ტესის ხაჭოიანი ხელი ცივი და სოკოსავით ნოტიო ეჩვენა. ენჯელმა პირში შრატის გემო შეიგრძნო. გრძნობების კონად ქცეულ ქალს ვაჟის ერთი შეხებით გულისცემა აუჩქარდა. სისხლი თითების ბოლოებს მიაწვა და ცივ ხელებზე ალმური ავარდა. გულმა კი თითქოს წასჩურჩულა: „რისთვის გაურბიხარ? სიმართლე ხომ ყოველთვის სიმართლედ რჩება თვით ქალისა და კაცის ურთიერთობაშიც კი“. ქალმა ახედა ვაჟს, უსაზღვრო ერთგულებით ჩააცქერდა თვალებში. ნაზმა ღიმილმა გაუპო ბაგე.

— იცით, რატომ გავაკეთე ეს, ტეს? — ჰკითხა ვაჟმა.

— იმიტომ, რომ ძალიან გიყვარვართ! — ჰო, და მერე კიდევ იმისათვის, რომ კვლავ შეგევედრო...

— არა.

ტესს სახეზე შიში აესახა, საკუთარი სიმტკიცე ჩემივე სურვილით არ დავამსხვრიოო.

— ო, ტეს, — განაგრძობდა ენჯელი, — ვერ გამიგია, რისთვის მაწამებ. რისთვის მამწარებ. ღმერთმანი, კაცი იფიქრებს, თავს იფასებს ქალაქელი ლამაზმანივით. ისინი ხან გათბობენ, ხან სიცივეს შემოგაფრქვევენ. რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ კეკლუცს წავაწყდებოდი ამ მიყრუებულ ტელბოტეისში... და მაინც, ძვირფასო, — აჩქარებით დასძინა მან, როცა შენიშნა, რომ აწყენინა ტესს ამ სიტყვებით, — მე ვიცი, რომ ამ ქვეყანაზე შენზე წმინდა და გულწრფელი ადამიანი არ დადის. აბა, როგორ შემიძლია ვიფიქრო მეკეკლუცება-მეთქი? ტეს, მითხარი, რად არ გსიამოვნებს ჩემს, ცოლობაზე ფიქრი, თუკი მართლა გიყვარვარ?

— არასოდეს არ მითქვამს, არა მსიამოვნებს-მეთქი, ვერც ვერასოდეს გეტყვი, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ეს სიცრუე იქნება.

ტუჩები აუცახცახდა. არა, უნდა გასცლოდა, თორემ თავი ღალატობდა. გაწამებული, საგონებელში ჩავარდნილი კლერი უკან გამოენთო და დერეფანში წამოეწია.

— მითხარი, მითხარი! — ემუდარებოდა და ანთებულ გულში იკრავდა ქალს და სულაც არ ახსოვდა, რომ ხაჭოთი ჰქონდა ხელები

მოსვრილი, — მითხარი, რომ არავისი, არავისი არ იქნები ჩემ გარდა.

— ჰო, გეტყვით, ყველაფერს გეტყვით! შესძახა ქალმა, — ოღონდაც ახლა გამიშვით, ყველაფერზე გიპასუხებთ! ყველაფერს გიამბობთ, რაც თავს გადამხდენია, ყველაფერს გიამბობთ.

— ყველაფერს მიამბობ, რაც თავს გადაგხდენია, ჰო, რა თქმა უნდა ყველაფერს მიამბობ, ყველაფერს.

— ალერსიანი ირონიით გაიმეორა მან ტესის სიტყვები და სახეში ჩააცქერდა.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემს ტესის აი, იმ ღობეზე ასულ ხვართქლაზე ნაკლები თავგადასავალი არ ექნება. მხოლოდ დღეს დილით გაიშალა და თვალი გამოაჭყიტა ამ ხვართქლამ. რაც გენებოს ის მიამბე, ოღონდაც მეორედ აღარ გაიმეორო ეს საძაგელი სიტყვები, შენი ღირსი არა ვარო“ — რომ ამბობ.

— კარგი, ვეცდები, ხვალ გეტყვით მიზეზს... არა, ხვალ კი არა, მომავალ კვირაში.

— ჰო, აი, ვთქვათ, კვირას.

როგორც იქნა, ტესი გაუსხლტა ენჯელს და გზის ბოლოში ტირიფნარს შეაფარა თავი. აქ ვერავინ დაინახავს და სადღაც იქვე პიტნა ხარობდა. ტესი პირქვე დაემხო ბალახზე, — მოიკუნტა, მწუხარებისაგან აცახცახებულს დროდადრო სიხარულის ხმები აღმოხდებოდა ხოლმე, რომელიც ვერა და ვერ ახშობდა ავბედითი დასასრულის ნაღვლიანი წინათგრძნობის ძახილს.

ტესი მზად იყო დაეთმო ყოველი ამოოხვრა, სისხლის ყოველი წვეთი და მაჯისცემა ბუნების მოწოდებას უერთებდა თავის ხმასა და ჯანყდებოდა გადამეტებული მოკრძალება-მორიდების წინააღმდეგ. რად წუხს და შფოთავს, დე, დაეთანხმოს დაუფიქრებლად და თამამად ენჯელს, მისცეს ხელი საკურთხევლის წინაშე, ნურც ნურაფერს ეტყვის და გაუმხელს, რად უნდა ეშინოდეს მხილების. გამოსტაცოს განგებას ბედნიერების ნაგლეჯი, ვიდრე მწუხარება და წამება ჩაასობდეს თავის რკინის ბრჭყალებს.

— აი, საით მიაქანებდა ტესს სიყვარული. მღელვარებით შეპყრობილ ქალიშვილს გული უგრძნობდა, მიუხედავად ხანგრძლივი თვეების განმავლობაში თავის დათრგუნვის, ალაგმვის და ბრძოლისა, მკაცრი გადაწყვეტილებისა, ამიერიდან განმარტოებით და მკაცრად ეცხოვრა ამქვეყნად, სიყვარული მაინც გაიმარჯვებდა ბოლოს და ბოლოს.

სამხრობამ მოატანა. ტესი. კი ტირიფნარიდან არც ფიქრობდა გა-

მოსვლას. ისმოდა ორკაპა ბიჯგებიდან ჩამოხსნილი ჩანახების რახუნი. ძროხებს მოუხმობდნენ ფერმაში „უაუ-უაუ-ს“ ძახილით. ტესი კი არ წავიდა ძროხების გამოსაწველად. ყველანი შეამჩნევდნენ მღელვარებას. ის ფერმერიც დაუწყებს გახელებას, შეყვარებული ხარო.

— არა, ვერ გაუძლებს ამ წამებას.

ეტყობა, კლერი მიუხვდა და რაღაც მოუმიზეზა, თორემ აბა, რა იყო, რომ არც ეძახდნენ და არც ეძებდნენ. შვიდის ნახევარზე მზე ჩაესვენა და უზარმაზარი ქურიდან ამოვარდნილი ალი თითქოს ზეცას გაეკრა. ცის მეორე მხარეს ვეებერთელა გოგრასავით ამოცურდა ჯადოსნური მთვარე. აჯაგრულ ურჩხულებს მიაგავდნენ გადაბელილი და გამოჩენილი ტირიფები მთვარის შუქზე. ტესი შინ შევიდა და სიბნელეში კიბეს აუყვა.

ეს ამბავი ოთხშაბათ დღეს მოხდა. ხუთშაბათს ენჯელი მდუმარედ უვლიდა გარს ტესს, მისვლით კი ახლოს არ გაკარებია. მეგობრები, ეტყობოდა, ხვდებოდნენ, რომ გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა, მაგრამ თავს არ აბეზრებდნენ შეკითხვებით, როცა საწოლ ოთახში თავს შეიყრიდნენ ხოლმე. გავიდა პარასკევი, დადგა შაბათი დღე, ხვალ უნდა მომხდარიყო მოსახდენი.

— არა, ვერ შევიკავებ თავს... ვეტყვი, ჰო-მეთქი... ცოლად გავყვები... რა ვქნა, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია! — დაჟინებით და იჭვნეულად ჩასჩურჩულებდა თავს იმ ღამეს და ბალიშს ეკვროდა გახურებული სახით.

— ჩუ, რომელიღაც მის სახელს ახსენებს ძილში! — არა, ვერავის დავუთმობ, ვერავის. მაგრამ ეს ხომ საძაგლობაა, ეს გააგიჟებს, მოკლავს, ოჰ, გულო...

XXIX

— აბა, თუ მიხვდებით, ვისზე გავიგე რაღაც! — თქვა ფერმერმა კრიკმა, სასაუზმოდ მაგიდას მიუჯდა და გამომცდელად გადახედა ჭამაში გართულ მუშებს, — აბა, თქვით, ვისზე გავიგე.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, მისის კრიკი კი გატრუნულიყო. ეტყობოდა, ყველაფერი იცოდა უკვე.

— ვისზე ხალხნო და, იმ ბედოვლათსა და ყურუმსაღ ჯეკ დოლოპზე, — ვიღაცა ქვრივი შეურთავს.

— ჯეკ დოლოპი? ო, ეგ მამაძაღლი ეგა! — წამოიძახა ვიღაცამ.

ტესს მაშინვე მოაგონდა ის ბიჭი. ეგ არ ყოფილა, ვიღაც გოგო რომ მოუტყუებია, მერე კარაქის სადღვებში ჩამძვრალა, მაგრამ კაი

მაგარ-მაგრებიც მიუღია იმ გოგოს დედისაგან.

— რაო, მაინც არ შეურთავს იმ ლომგულ მატრონას ქალიშვილი? — დაბნეულად იკითხა ენჯელ კლერმა, თავი ასწია და გაზეთი გადადო, რომელსაც თავის კუთხეში კითხულობდა ცალკე მაგიდასთან, სადაც მისი კეთილშობილი წარმოშობის დიდი თაყვანისმცემელი მისის კრიკი შედენიდა ხოლმე.

— ო, არა, სერ! არც უფიქრია, — მიუგო ფერმერმა, — ხომ მოგახსენეთ, ქვრივი შეურთავს, ამბობენ, იმ ქალს ფულები ბლომად ჰქონია.

— ორმოცდაათი ფუნტი წლიური შემოსავალი. ჰოდა, პირდაპირ ეს ფულები ამოიღო თურმე მიზანში იმ ყურუმსაღმა. ერთი ფაცხა-ფუცხით დაუწერიათ ჯვარი და ქალს მერე გამოუცხადებია, გათხოვების მერე ვკარგავ ფულის მიღების უფლებასო. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ გაცოფდებოდა ყმაწვილი! ჰოდა ცხოვრობენ თურმე მას მერე ძაღლი და კატასავით. ახია იმაზე! ის ქალია ცოდვა, ასეთ ცეცხლში და გენიაში რომ ჩაიგდო თავი.

— იმ ბრიყვს არ ერჩია ეთქვა თავიდანვე ჩემი პირველი ქმრის სული მოსვენებას არ მომცემსო? — ჩაერია ლაპარაკში მისის კრიკი.

— შენ ეგა თქვი, — ყოყმანით მიუგო ფერმის პატრონმა, — აი როგორ გამოვიდა! იმ ქალს ალბათ უნდოდა ოჯახი ჰქონოდა. ჰოდა, ეშინოდა ხელიდან არ გასხლტომოდა ის ვაჟბატონი. თქვენ რას იტყვით, გოგოებო? — მიუბრუნდა მწველავ ქალებს.

— ჯვრის დასაწერად ეკლესიის გზას რომ ადგნენ, აი, მაშინ უნდა ეთქვა, გზიდან ხომ არ მობრუნდებოდა, თქვა მერიენმა.

— ჰო, მართალი ხარ, — დაუკრა კვერი იზმა..

— რაო, ვერა ხვდებოდა რას უმიზნებდნენ, ვერ ტკიცა უარი? — გაფიცხდა რეტი.

— შენ რას იტყოდი საყვარელო? — მიუბრუნდა მისტერ კრიკი ტესს.

— მე მგონია, იმ ქალს სიმართლე არ უნდა დაემალა... ანდა უარი ეთქვა... რა ვიცი, აბა, — წაიდუდუნა ტესმა და კარაქიანი პურის ლუკმა ყელში გაეჩხირა.

— მე, მაგალითად, ასე არ მოვიქცეოდი! — გამოაცხადა ერთ-ერთმა გათხოვილმა ქალმა ბეკ ნიბსმა, რომელიც კოტეჯში ცხოვრობდა, — სიყვარულსა და ბრძოლაში ყველა საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენო. ავდგებოდი და მეც იმ ქალივით მოვიქცეოდი, გავყვებოდი ცოლად. ჰოდა, აბა, ბიჭი იყო და ერთი ენა დაესველებინა, რატომ ადრე არაფერი მითხარიო, ერთს ისეთს მოვდებდი სუთს, თქვენი მოწონებული, ეგეთ დოყლაპიას რომელი დედაკაცი არ მოერევა!

ყველა ახარხარდა ქალის ხუმრობაზე, ტესმაც მოღრიცა ტუჩი ზრდილობის გულისათვის. სხვების კომედია მისთვის ტრაგედია იყო, გულს უპობდა მათი ხითხითი. აჩქარდა და მალე წამოდგა მაგიდიდან. გული უგრძნობდა, კლერიც აედევნებოდა და დაკლაკნილ ბილიკს გაუყვა. გზამ, რომელიც სარწყავ არხს მიუყვებოდა, მდინარე ვარამდე ჩაიყვანა ტესი. მდინარის ზემოწელში გლეხებს წყალმცენარეები დაეჭრათ და მწვანე ბალახი პატარ-პატარა კუნძულებივით მოცურავდა წყლის ზედაპირზე — მეც კი მოვთავსდები ზედო, ფიქრობდა ტესი, წყალმცენარეების კონები გარს შემორტყმოდნენ ხიმინჯებს და ძროხებს ფონზე გასვლას უშლიდნენ.

— დიახ, ეს იყო მისი სატკივარი; უნდა გაანდოს თუ არა ქალმა შეყვარებულს თავისი წარსული ცხოვრების ისტორია. ტესისთვის ეს კითხვა უმძიმესი ჯვარი იყო, სხვებს კი სასაცილოდ არა ჰყოფნიდათ.

— ტესი! — მოესმა ზურგს უკან. კლერი გადმოევლო არხს და მის წინ შედგა, — სულ მალე ჩემი ცოლი გახდები!

— არა, არა, არ შემიძლია! თქვენივე სიკეთისთვის, თქვენთვის ვამბობ უარს!

— ტეს! — მაინც არა, მაინც არა! — დაიჟინა ქალმა.

კლერი არ მოელოდა ასეთ პასუხს. მან ხელი შეაცურა ტესის ჩამოშლილი ნაწნავის ქვეშ და წელზე მოავლო. (კვირაძალზე ფერმის ახალგაზრდა გოგონები და ტესიც სასაუზმოდ ჩამოშლილი თმით მოდიოდნენ, მერე კი, როცა ეკლესიისაკენ გასწევდნენ, მაღლა შემოიგრაგნიდნენ. ჩვეულებრივ დღეებში ასეთი ვარცხნილობა, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლიდათ მუშაობაში). ერთი რომ წამოსცდენოდა ქალს „ჰოო“, აუცილებლად აკოცებდა, ასე ჰქონდა განზრახული, მაგრამ გადაჭრილმა უარმა სინდისის ქენჯნა აგრძნობინა. ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, ყოველდღიური შეხვედრები, მას, როგორც ქალს, ისეთ არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებდა, რომ კლერს უსინდისობად მიაჩნდა ალერსით ემოქმედა მასზე, რის წინაშეც ალბათ არ დაიხევდა, ტესს რომ თავის არიდების საშუალება ჰქონოდა. ხელი უნებურად ჩამოუცურდა, ენჯელს არ უკოცნია ქალისთვის.

გადამწყვეტი წამი იყო. მისტერ კრიკის ნაამბობმა ძალა მისცა ტესს უარი ეთქვა. ერთი წამიც და წინააღმდეგობა ერთბაშად დაიმსხვრეოდა.

მაგრამ ენჯელს კრინტი არ დაუძრავს. მჭმუნვარე სახით დასცილდა ქალს.

ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, შესაძლოა, უფრო იშვიათად, ვიდრე ადრე. ასე გაირბინა ორმა თუ სამმა კვირამ. სექტემბერი იწურებოდა. ტესი ენჯელის თვალებში კითხულობდა, რომ

ვაჟი კვლავაც აპირებდა თხოვნის განმეორებას.

კლერმა შეცვალა მოქმედების ტაქტიკა, თითქოს დარწმუნდა, ქალის უარი მხოლოდ და მხოლოდ სიმორცხვითა და ახალგაზრდობით აიხსნებოდა, — იგი ერთბაშად შეაკრთო ვაჟის წინადადებამ. ქალის აჩქარებული, მიკიბულ-მოკიბული პასუხები, კიდევ უფრო უმტკიცებდა ვარაუდს, ჰოდა, ახლა სხვაგვარად წარმართა თამაში. ალერსიანი გახდა, თუმცა ლაპარაკის გარდა არაფრის უფლებას არ აძლევდა თავს.

კლერი დაჟინებით ცდილობდა ქალის გულის მონადირებას. რძესავით არაკრაკებდა ხმას. ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდა როცა ძროხებს წველიდა ან ნაღებს ართმევდა რძეს, კარაქს დღვებდა, ან ყველი ამოყავდა, საქათმეში იყო თუ ახლად გოჭებდაყრილ ღორებთან, — არასოდეს არც ერთი მწველავი ქალისადმი არავის გამოუჩენია ამდენი ყურადღება.

ტესმა იცოდა ადრე თუ გვიან ძალ-ღონე უღალატებდა და გატყდებოდა. პირველკავშირის რომელიღაც მორალური კანონის რელიგიურმა წარმოდგენამ და გულწრფელობის კეთილსინდისიერმა სურვილმა ვერ დაუჭირეს მხარი და ვერ გაამხნევეს იგი. მეტად ძლიერად უყარდა ქალს ვაჟი, ღვთაებად რაცხდა მას და თუმცა იგი ერთი უბრალო გაუნათლებელი გოგონა იყო, მწყურვალივით ელოდა მის სულიერ მეურვეობას. ტესი ჯიუტად იმეორებდა: „მე ვერ გავხდები მისი ცოლი“, მაგრამ ეს ფუჭი, ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ. ამ დაჟინებულ მტკიცებაში მჟღავნდებოდა სწორედ ქალის სისუსტე, თორემ მშვიდ ძალას რად სჭირდება ფორმულები. ხმა კლერისა, კვლავ და კვლავ რომ იმეორებდა ერთი და იგივე სიტყვებს, ნეტარებითა და შიშით აღავსებდა ქალს, ყოველნაირად ცდილობდა ხელი აეღებინებინა საკუთარ თავზე და ყველაზე მეტად მაინც ის აკრთობდა, არ დამემორჩილოსო კლერი.

როგორც ყველა მამაკაცს კლერისაც ისე ეჭირა თავი, თითქოს მზად იყო ყოველთვის ყვარებოდა იგი, გაფრთხილებოდა და დაეცვა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რაც არ უნდა გადაღობებოდა წინ, ვისაც რა უნდა ეთქვა, ჰოდა, ტესის სიყვარულიც ფრთებს ისხამდა. ბუნიობა ახლოვდებოდა და თუმცა მზიანი დარი იდგა, დღეები დაპატარავდა. ფერმაში უკვე კარგა ხანია სინათლის შუქზე მუშაობდნენ დილდილაობით. დილის ოთხი საათი იქნებოდა, კლერმა რომ ერთხელ კვლავ დაუწყო ტესს მუდარა.

გამთენიისას ღამისპერანგა ტესმა ჩვეულებისამებრ მიირბინა ენჯელის კართან, გააღვიძა, მერე მობრუნდა, გადაიცვა და სხვები

დააღვიძა, ათ წუთში სანთლით ხელში უკვე კიბის თავზე იდგა. მეზონინზე ამ დროს გამოჩნდა კლერიც და გზა გადაუღობა ქალს.

— აბა, მის კეკლუცო, წამით შეიცადეთ! — ბრძანა მან, — ორი კვირა იქნება აღარაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის, ასე გაგრძელება შეუძლებელია. ან გამაგებინეთ რას ფიქრობთ, ან უნდა დავტოვო ეს სახლი. ღია კარიდან მოგკარით თვალი. თქვენი გულისათვის უნდა მივატოვო აქაურობა. თქვენ არ გესმით... იტყვით თუ არა ბოლოს და ბოლოს „ჰო“— ს.

— ეს-ესაა გამოვძვერი ლოგინიდან, რად მლანძღავთ ამ დილა უთენია! — მოიკატუნა თავი ვითომ განაწყენებულმა ტესმა, — რად მეძახით კეკლუცს, — ულმობელობა და უსამართლობაა თქვენი მხრივ. მოთმინება იქონიეთ, მოთმინება — დავფიქრდები, გამიშვით ახლა!

კაცს მართლა შეეპარებოდა ეჭვი, კეკლუცობსო. ხელში სანთელი ეჭირა, ცდილობდა გაეღიმა, ლაპარაკით კი სერიოზულად ლაპარაკობდა.

— მაშინ მე რად მეძახით მისტერ კლერს, — ენჯელი დამიძახეთ.

— ენჯელ...

— მითხარით, ძვირფასო ენჯელთქო.

— მაგის თქმა ხომ თანხმობას ნიშნავს.

— არა, ეს იმას ნიშნავს, რომ გიყვარვართ, თქვენ ისეთი კეთილი ხართ, რომ კარგა ხანია ამაში გამოტყდით.

— კარგით, რაკი მაიძულებთ, გეტყვით, ძვირფასო ენჯელ, — წაიჩურჩულა მან, და თვალი არ მოუცილებია სანთლისათვის, თუმცა ძალზე ღელავდა ტესი, ბაგეზე მაინც ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა.

კლერმა გადაწყვიტა, არ ეკოცნა ქალისათვის, ვიდრე მის თანხმობას არ მოიპოვებდა. მაგრამ კოხტად აკეცილ სამუშაო კაბაში გამოწყობილმა, თათარიახნად თმებაგრაგნილმა ტესმა — თმების დავარცხნა მერეც შეიძლებოდა როცა საქმეს მორჩებოდა — გადაავიწყა კლერს მიღებული გადაწყვეტილება. ფრთხილად შეახო ბაგე ქალის ღაწვს. ტესი უეცრად მოწყდა ადგილს და უკან მოუხედავად დაეშვა კიბეზე. სიტყვაც არ უთქვამს. გოგონები უკვე ეზოში იყვნენ, საუბარი აღარ განახლებულა. განთიადის პირველ ცივ სხივებთან შერწყმულ სანთლის მქრქალ ყვითელ შუქზე ყველამ, მერიენის გარდა, ნაღვლიანად და ეჭვით შეათვალიერა წყვილი.

ნაღები მალე მოართვეს რძეს. შემოდგომის დასაწყისი იყო და ძროხებმა დაიკლეს. რეტი და სხვა მუშები შინიდან გავიდნენ, შეყვარებულებ — მაც მათ მიბაძეს.

— როგორ არა ჰგავს ჩვენი დაძაბული ცხოვრება მათსას, არა? —

ფიქრიანად დაილაპარაკა ენჯელმა და ანთებული დღის ცივ, ფერმკრთალ შუქზე მსუბუქად მიმავალ გოგონებს გახედა.

— აბა, რა დიდი განსხვავებაა, — გაეპასუხა ტესი.

— რატომ გგონია ასე?

— ყველა ქალის ცხოვრება... დაძაბულია, — ენის ბორძიკით ამოთქვა. ტესმა ეს ახალი სიტყვა, რომელმაც ეტყობოდა, შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

— ეს გოგონები ისეთები კი არ არიან, თქვენ რომ იცნობთ.

— მაშ, როგორები არიან?

— თითოეული მათგანი, ცალ-ცალკე, — წამოიწყო ტესმა, — გაცილებით უკეთესი მეუღლე იქნებოდა თქვენი, ვიდრე მე. და შესაძლოა ისევე უყვარხართ, როგორც მე... თითქმის ისევე.

— ოჰ, ტესი!

ამ მოუთმენელმა წამოძახილმა თითქოს გაახარა და დაამშვიდა ტესი, თუმცა საკუთარი თავის სავალალოდ მაინც გადაწყვიტა ვაჟკაცური დიდსულოვნების გამოჩენა. ჰოდა, ასეც მოიქცა. მაგრამ მეორე ცდა, დაემცირებინა საკუთარი თავი კლერის თვალში, აღარ გამოუვიდა. ძალა არ ეყო, ვიღაც მწველავი მოვიდა მათთან და საუბარი აღარ გაუგრძელებიათ. ერთი სული კი ჰქონდათ, ორივეს ისე აინტერესებდა, თუმცა ტესმა მაინც იცოდა, რომ ეს დღე გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო.

ნაშუადღევს კრიკის შინაურები და მწველავები ჩვეულებისამებრ საბალახოებზე წავიდნენ ძროხების მოსაწველად. ძროხები კარგა შორს ჰყავდათ გარეკილი. ხბოიანობის დრო ახლოვდებოდა, ძროხები ცოტას იწველიდნენ, ბევრი მწველავი დაითხოვეს კიდეც.

ნება-ნება მუშაობდნენ. არა ჩქარობდნენ, ჩანახებიდან რძეს დიდ რესორებიან ოთხთვალაზე შემდგარ თუნუქის დიდ ბიდონებში ასხამდნენ. გამოწველილი ძროხები ზლაზვნით ტოვებდნენ მწველავებს და მიდიოდნენ.

ფერმერი კრიკიც სხვებივით შრომობდა, მისი თეთრი ხალათი მკვეთრად გამოირჩეოდა მრუმე ცის ფონზე.

— ოჰ, მე უფრო ადრე მეგონა! — დახედა თავის ურმის ბორბლისოდენა საათს და გაიკვირვა, — თუ არ მოვუჩქარე, სადგურზე დამაგვიანდება, ვეღარ მოვასწრებ შინ წასვლას და რძის გადარევას. პირდაპირ აქედანვე მოგვიწევს წასვლა. აბა, ვინ წაიღებს რძეს?

მისტერ კლერმა შესთავაზა სამსახური, თუმცა სულაც არ იყო მოვალე. და სთხოვა ტეს, თანამგზავრობა გაეწია. სექტემბრის ბოლო იდგა, ცას ღრუბელი გადაჰკვროდა, მაგრამ მაინც თბილოდა, ჰაერი

არ იძვროდა. ტესი სამოგზაუროდ არ იყო მზად, ქუდი ეხურა და მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა.

ტესმა პასუხად მაშინვე კაბაზე დაიხედა, მაგრამ კლერმა თავაზიანად გაუმეორა თხოვნა. ტესმა ფერმერს სთხოვა შინ წაეღო მისი ჩანახი და სამფეხა სკამი. თავად კი თანხმობა უთხრა და ენჯელის გვერდით დაჯდა ოთხთვალაზე.

XXX

ბინდი ნელ-ნელა ეშვებოდა დედამიწაზე. ისინი სწორ გზას მიჰყვებოდნენ; რამდენიმე მილზე გაჭიმული გზა მინდვრებს კვეთდა. ზურგს უკან ეგდონ ჰიტის ციცაბო ქლიავისფერი ფერდობები აღმართულიყო. მის მწვერვალებზე ნაძვის კორომები იდგა. ხეების კენწეროები დაკბილულ ქონგურებს მიაგავდა, რომლებიც ჩამუქებულ, იდუმალებით მოცულ ციხე-სიმაგრეებს გვირგვინად დადგომოდნენ თავს.

ერთურთთან სიახლოვეს ერთიანად ჩაენთქა მათი ფიქრები და გრძნობები. გამეფებულ მყუდროებას მხოლოდ დიდ ბიდონებში რძის დგაფუნი არღვევდა. ისეთი უკაცური იყო ეს გზა, შემოსულ კაკალსაც არავინ ბერტყავდა. თვითონვე იკროლებოდა და გაკროლილი ძირს ცვიოდა. ჩაყურსული მაყვალი კი მძიმე მტევნებად ეკიდა ბუჩქებზე. ენჯელი მათრახით მოზიდავდა ტოტს, მოკრეფდა მაყვალს და ტესს გაუწოდებდა.

მალე ჩამოქუფრულმა ზეცამ ავის მაუწყებელი მაცნე გამოუგზავნა დედამიწას. წვიმის რამდენიმე მძიმე წვეთი ჩამოვარდა, ქარმა წამოუბერა, აამოძრავა დამდგარი ჰაერი და სახეში ეცა მგზავრებს. ტესი დუმდა. წვიმა პირდაპირ სახეში სცემდა, მზემოკიდებულ ღაწვებზე ალი შემონთებოდა. თმები ჩამოშლოდა; ძროხას ხომ ყოველთვის თავმიყრდნობილი წველიდა ყალამქრის ნაოჭებიანი ქუდიდან შუბლზე ჩამოყრილი სველი კულულები წყალმცენარეებს მიუგავდა.

— დავაშავე, რომ წამოვედი, — წაიჩურჩულა და ცას ახედა.

— უდროო დროს წამოვიდა წვიმა, — მიუგო კლერმა, — მაგრამ რა კარგია, რომ ჩემ გვერდით ხართ.

ეგდონი თანდათან ჩაიმალა წვიმის ბადეში. ჩამოღამდა. ნელი ნაბიჯით თუ ივლიდა კაცი, გზა ყველგან შლაგბაუმებით იყო გადაღობილი. აგრილდა.

— არ გამიცივდეთ, კისერი და მკლავები სულ შიშველი გაქვთ, — უთხრა ენჯელმა, — ახლოს მოიწიეთ. წვიმა ვეღარ მოატანს თქვენამდე. წვიმის მოკავშირეობის იმედი რომ არ მქონდეს ალბათ ძალიან

შევწუხდებოდი.

ტესმა გაიწია მისკენ, კლერმა ქერელის ტილოს ნაგლეჯი წამოიფარა და ტესსაც გადააფარა, ჩვეულებრივად ამ ტილოს რძიან ბიდონებს აფარებდნენ ხოლმე მზის მხურვალებისაგან დასაცავად. რაკი კლერს ხელი დაკავებული ჰქონდა, ტესს ეკავა ტილო, რომ არ ჩამოცურებულიყო.

— ასე, მოგვარდა საქმე... თუმცა წვიმა ჩამდის კისერში, თქვენ ალბათ უფრო უარეს დღეში ხართ. აი, ასე ჯობია. ტეს, როგორ გაგციებიათ ხელები. ტილოზე გაიწმინდეთ და თუ ჭკვიანად იქნებით და არ გაინძრევით, ახლა წვიმა ვეღარაფერს დაგაკლებთ. ძვირფასო, ახლა ერთი ეს მითხარით, რა პასუხს მაძლევთ ამდენ ხანს რომ გელოდით?

პასუხად ენჯელს მხოლოდ ტალახში ფლოქვების ტყაპატყუპი და ზურგს უკან მდგარ ბიდონებში რძის ჭყაპუნი მოესმა.

— გახსოვთ, რა მითხარით? — მახსოვს, — მიუგო ტესმა.

— სანამ შინ მივიდოდეთ, მანამ მეტყვით რამეს? — შევეცდები.

კლერი აღარ ჩასციებია. ცის ფონზე მკვეთრად გამოისახა კარლოს დროინდელი საბატონო სახლის ნანგრევები, მალე ისიც თვალს მიეფარა.

— აი, ეს ძალზე საინტერესო ადგილია, — წამოიწყო კლერმა, რომ გაერთო ქალი, — აქ გახლდათ უძველესი დიდებული ნორმანდიული გვარის დ'ერბერვილების სხვა უამრავ ციხე-დარბაზებს შორის ერთ-ერთი საბრძანებელი. ეს გვარი ოდესღაც უზარმაზარი გავლენით სარგებლობდა ამ მხარეში. რამდენჯერაც ამ ადგილებს ჩავუვლი, არ შეიძლება არ გავიხსენო ისინი, რაღაც სევდა გიპყრობს კაცს, როცა გაიხსენებ, როგორ გადაშენდა და გაჩანაგდა ოდესღაც ასეთი გავლენიანი გვარი, რაოდენ მორჯმული და სასტიკი ფეოდალები კი იყვნენ მისი წარმომადგენლები.

— ჰო, — თქვა ტესმა.

ნელა მიიწევდნენ წინ წყვდიადში, შორს, სადაც დღისით მუქმწვანე ფონზე კვამლის თეთრი ზოლი იკლაკნება ხოლმე, მიბჟუტული შუქი აციმციმდა ნიშნად იმისა, რომ მათ განმარტოებულ პატარა სამყაროსა და თანამედროვე ცხოვრებას შორის ჟამიდან ჟამს რაღაც ძაფი იბმებოდა. დღეში ერთი სამჯერ-ოთხჯერ მაინც გამოყოფდა თავის საცეცს თანამედროვე ცხოვრება, და გამოსდებდა ამ პაწია სამყაროს. მერე ისევ შემალავდა, თითქოს რაღაც უცხო საგანს შეეხო და შეკრთაო..

მქრქალი შუქი გამოკრთოდა პატარა სარკინიგზო სადგურის აბოლებული ლამპიდან, ამ უბადრუკი მიწიერი ვარსკვლავიდან,

რომელსაც ჰაი, რომ უფრორე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტელბოტეისის ფერმის მცხოვრებთა და მთელი კაცობრიობისთვისაც, ვიდრე ციურ მნათობებს, თუმცაღა ის რას მივიდოდა მათთან. ოთხთვალა გადმოტვირთეს. ტესმა იქვე მდგარი ჭყორის ქვეშ გადაიკარა.

მოისმა ორთქლმავლის ქოშინი, თითქმის უხმაუროდ შემოვიდა მატარებელი სადგურში. რძის კასრები საჩქაროდ გადავიდეს საბარგო პლატფორმაზე. ლოკომოტივის ფარნებმა წუთით შეანათა უზარმაზარი ჭყორის ქვეშ გატრუნულ ტესს. არც ერთი არსება ისე უცხო არ იქნებოდა ამ მბრწყინავი ბერკეტებისა და ბორბლებისათვის, ვიდრე ეს უბიწო გოგონა, რომელსაც ხორცსავსე შიშველი მკლავები, წვიმით დასველებული თმები და სახე ჰქონდა. ტანთ ძველმოდური ჩითის კაბა ემოსა; ყალამქრის ქუდი შუბლზე ჩამოფხატოდა. თვინიერ ლეოპარდს მიაგავდა მთლიანად.

ისევ მიუჯდა ტესი თავის შეყვარებულს გვერდით; ტესი ისე უდრტვინველად და მორჩილად იჯდა, როგორც ხშირად სჩვევიათ მეტად მგრძნობიარე ბუნების ადამიანებს. თავზე ტილო ჩამოფარეს და კვლავ ჩაინთქნენ ღამის წყვდიადში. ტექნიკური პროგრესის სურათი, რომელმაც ელვის უსწრაფესად გაირბინა ტესის თვალწინ, გულში ჩაჰყვა ტესს და ფრიად ჩააფიქრა.

— ხვალ დილაადრიანად ლონდონელებს უკვე ექნებათ საუზმეზე ეს რძე, არა? — ჰკითხა ტესმა, — სულ უცხო, ჩვენ რომ თვალიც არ მოგვიკრავს ისეთი ხალხი მიირთმევს ამ რძეს.

— ჰო, ალბათ, მაგრამ ჩვენ რომ გავუგზავნეთ პირდაპირ ისე არ დალევენ, ცოტა უნდა გაზავდეს, რომ თავში არ აუვარდეთ.

— დიდებული ბატონები და ქალბატონები, ელჩები და ოფიცრები, ვაჭრები და ბავშვები, რომლებსაც თვალითაც არ უნახავთ ძროხები.

— ჰო, ალბათ განსაკუთრებით ოფიცრები.

— ხალხი, რომელნიც ჩვენ არ გვიცნობენ და წარმოდგენა არა აქვთ, საიდან გაჩნდა ეს რძე. თავშიც არასოდეს მოუვათ აზრად, რა თავსხმაში გამოვიარეთ ამდენი მილი, რომ მათ დროზე მიერთმიათ რძე.

ჩვენ ხომ მხოლოდ პატივცემული ლონდონელებისათვის არ ვიმოგზაურეთ. არც თავი უნდა დავივიწყოთ, ჩვენ საკუთარ საჭირბოროტო საკითხებზე უნდა მოვილაპარაკოთ. მე მჯერა, დღეს ბოლო მოეღება ამ გადაუწყვეტელ საქმეს, ტეს. გამიგონეთ; თქვენ ხომ უკვე ჩემი ხართ, მე — თქვენი. გული მაქვს მხედველობაში.

— თქვენ ეს ჩემზე უკეთ იცით, დიახ, დიახ!

— ჰოდა, თუკი თქვენი გული ჩემია, ხელს რაღად მიჭერთ?

— მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე ვზრუნავ... მე მინდოდა მეკითხა... რაღაც უნდა გითხრათ...

— მაგრამ იგულვეთ, რომ ეს ნეტარებასა და კეთილდღეობას მომანიჭებს.

— ეს რომ მართლა ასე იქნებოდეს. მაგრამ ჩემი წარსული ცხოვრება აქ ჩამოსვლამდე... მე მინდა...

— მაშ, იცოდეთ, ეს ჩემი ბედნიერებისათვისაა საჭირო და კეთილდღეობისათვისაც. მე რომ დიდი ფერმა ავიღო იჯარით ინგლისში, ან სხვა კოლონიაში, თქვენ ჩემთვის დაუფასებელი მეუღლე იქნებით, ვინმე მდიდარ ქალზე უფრო უკეთესი. ტესი, საყვარელო, ნუ ფიქრობ, რომ გზაზე მეღობებით.

— მაგრამ ჩემი თავგადასავალი... მე მინდა იცოდეთ ის, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, უნდა მომისმინოთ. ჰოდა, როცა მომისმენთ მერე ისე აღარ გეყვარებით, როგორც ახლა.

— მიამბეთ, თუკი ასე ძალიან გინდათ; ძვირფასო. მიამბეთ თქვენი დიდებული ცხოვრების ისტორია. ჰო, აბა, დაიწყეთ დაიბადეთ ამა და ამ ადგილას, ამა და ამ წელს.

— მე მარლოტში დავიბადე, — ჩაეჭიდა ქილიკად ნათქვამ სიტყვებს და წამოიწყო ტესმა.

— აქვე ვიზრდებოდი, ვსწავლობდი, მაგრამ მეექვსე კლასში ვიყავი, რომ სკოლას თავი მივანებე. მეუბნებიან, ძალიან ნიჭიერი იყავი და შენგან კარგი მასწავლებელი გამოვიდოდაო. გადაწყვეტილიც კი ჰქონიათ, რომ აუცილებლად მასწავლებელი ვიქნებოდი, მაგრამ ძალიან გვიჭირდა ოჯახში. მამაჩემი დიდად არ იწყვეტდა წელს მუშაობით. გადაყლურწვაც უყვარდა ხშირად.

— უჰ, უჰ, საბრალო ბავშვი! ვითომ ახალს ამბობს რასმე, — უფრო მაგრად მიიკრა ქალი მკერდზე.

— მერე. ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი... მე შემეხება... მე, ვიყავი... ტესს სუნთქვა აუჩქარდა.

— ჰო, ჰო, მერე? ნუ ღელავ ძვირფასო.

— მე... მე დარბეიფილდი კი არა და დ'ერბერვილი ვარ... ჩვენ რომ ჩამოვიარეთ, აი, იმ ციხე-დარბაზის ბატონ-პატრონ დ'ერბერვილთა გვარის შთამომავალი ვარ. მერე გავღატაკდით.

— დ'ერბერვილი! აი, თურმე ვინა ყოფილა! ეს გაწუხებდათ, ძვირფასო?

— ჰო, — ძლივს გასაგონად დაუდასტურა მან.

— მერე. ვითომ რატომ მეყვარებით ნაკლებ?

— ფერმერმა კრიკმა მითხრა თქვენზე, ძველი დიდებული გვარები სძულსო.

კლერმა გადაიხარხარა.

— მერე რა, ამაში არის სიმართლის ნატამალი. მძულს არისტოკრატები, ყველაფერზე მაღლა რომ წმინდა სისხლს აყენებენ. ჩემი აზრით, პატივისცემის ღირსი ჭკუა და სათნოებაა და არა კეთილშობილური წარმოშობა, მაგრამ მოიცათ, რომ იცოდეთ, როგორ დამაინტერესეთ! ვერც კი წარმოიდგენთ. რაო, განა თქვენ თვითონ კი არ გართობთ ის ამბავი, რომ ასეთი გვარიშვილი ხართ?!

— არა, მე ეს სამწუხაროდ მიმაჩნდა... მით უფრო, რაც აქ ჩამოვედი და გავიგე, რომ მთელი შემოგარენის მთები და ველ-მინდვრები ოდესღაც ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდა, მაგრამ სხვა მთები და მინდვრები რეტის ან იქნებ მერიენის წინაპრებისა იყო. ასე რომ, ვერაფერს საგანგებოს ამაში ვერა ვხედავ.

— ჰო, პირდაპირ საოცარია, რამდენია ახლა ისეთი მიწის მუშა, რომ უწინ მისი ბატონ-პატრონი იყო! ვერ გამიგია, რად არ იყენებენ ამას ზოგიერთი პოლიტიკური სკოლის წარმომადგენლები! მაგრამ, ეტყობა, არ იციან... უცნაურია, როგორ ვერ შევნიშნე დ'ერბერვილების გვართან თქვენი გვარის მსგავსება, მერე რა უცნაურადაა დამახინჯებული. პირდაპირ ყურს ჭრის. აი, თურმე რა საშინელ საიდუმლოს მალავთ.

ტესმა არაფერი უპასუხა. გამბედაობამ უღალატა ბოლო წუთებში. შეეშინდა, არ მისაყვედუროს, რომ აქამდე არ ვუთხარიო. თავდაცვის ინსტინქტი მის ალალმართალ გულზე ძლიერი აღმოჩნდა..

— რა თქმა უნდა, — განაგრძობდა კლერი და ეჭვი არაფრისა ჰქონდა, — რა თქმა უნდა, მე უფრო მოხარული ვიქნებოდი, მრავალტანჯული, უტყვი და უჩინო, უბრალო ხალხის წიაღიდან წარმოსდგებოდეთ და არა ამ ანგარებიანთა მცირე წრიდან, რომელთაც სიდიადეს სხვათა ხარჯზე მიაღწიეს. მაგრამ მე წამიხდა თქვენდამი სიყვარული (დასძინა მან სიცილით) და ანგარებიანი გამხადა. თქვენს გამო მიხარია მე თქვენი დიდებულების ამბავი. საზოგადოება გაუსწორებელი სნობებისაგან შედგება, ჰოდა, ახლა თქვენი წინაპრების წყალობით, იგი დიდის სიხარულით მიგიღებთ ჩემს მეუღლედ. მით უფრო, რომ განზრახული მაქვს ხელი მოვკიდო თქვენი სწავლა-განათლების საქმეს. საწყალი დედაჩემიც კი უკეთესი აზრისა იქნება თქვენზე, დღეის შემდეგ ტეს, თქვენ უნდა სწორად გამოთქვათ თქვენი გვარი დ'ერბერვილი და არა დარბეიფილდი.

— მე ჩემი ძველი გვარი უფრო მომწონს.

— მაგრამ თქვენ ვალდებული ხართ, ძვირფასო! ღმერთო ჩემო, ვინ იცის, რამდენი კუდაბზიკა მილიონერი მოებღაუჭებოდა ასეთ გვარს. ჰო, ერთს უკვე მიუთვისებია კიდეც... მოიცათ, სად არიო, რა

მითხრეს? ჰო, ჰო, ნაკრძალის მიდამოებშიო, მგონი. რა თქმა უნდა, ეს ის კაცია, მამაჩემს წაეჩხუბა-მეთქი, რომ გითხარით, რა უცნაური დამთხვევაა!

— ენჯელ, მე არ მინდა ამ გვარის ტარება! ასე მგონია, რაღაც უბედურების ნიშანია-მეთქი.

ტესი ღელავდა.

— არ გინდა! კეთილი, კი გაებით მახეში მის ტერეზა დ'ერბერვილ ატარეთ ჩემი გვარი და თავიდან აიცილებთ საკუთარს! საიდუმლო გამჟღავნებულია, ახლა რაღას მოიმიზეზებთ?

— თუ თქვენ მართლა გაგაბედნიერებთ ჩემი ცოლობა, და თუ გრძნობთ რომ ძალიან, ძალიან გინდათ...

— რა თქმა უნდა, ძვირფასო!

— თუკი თქვენ ისე ძალიან, ძალიან გიყვარვართ, რომ არ შეგიძლიათ უჩემოდ, როგორი ცუდიც არ უნდა ვიყო, მაშინ უნდა დაგეთანხმოთ, სხვა რა გზაა!

— შენ თანახმა ხარ, ვიცი, რომ თანახმა ხარ! შენ ეს უკვე თქვი! შენ. ჩემი იქნები სულიერად, ყოველთვის ჩემი იქნები?

ენჯელმა გულში ჩაიკრა ქალი და აკოცა.

— ჰო.

სიტყვა არ დაემთავრებინა რომ ცრემლები მოაწვა ყელში. უცრემლოდ აქვითინდა. თითქოს საცაა გული გაუსკდებაო. ტესს არ სჩვეოდა ასეთი ამბები, ენჯელი განცვიფრებული იყო.

— რად ტირი, ძვირფასო?

— მეც არ ვიცი... მიხარია, რომ თქვენი ვარ და შემიძლია სიხარული მოგანიჭოთ.

— ეს როგორი სიხარულია, ტეს!

— იმიტომ ვტირი... რომ ფიცი გავტეხე, ვერ შევასრულე აღთქმა, არასოდეს გავთხოვდები-მეთქი.

— თუ გიყვარვარ, ალბათ, გინდა კიდეც შენი ქმარი ვიყო.

— ჰო, ჰო, ჰო! მაგრამ... ოჰ, ღმერთო, რად გამაჩინე!

— ტეს, საყვარელო, რომ არა მწამდეს, რომ ძალზე აღელვებული და თანაც მეტად გამოუცდელი ხარ, შენი სიტყვები დიდად არ მაამებდა, ალბათ. როგორ ამბობ მაგას, თუ მართლა გიყვარვარ? მითხარი, მართლა გიყვარვარ? მიჩვენე, დამარწმუნე როგორმე.

— რაღა დარწმუნება გჭირდებათ! — წამოიძახა გრძნობამორეულმა ქალმა, — იქნებ ესა გსურთ?

ქალმა ხელი მოხვია ენჯელს კისერზე და ვაჟმა პირველად შეიგრძნო, როგორ კოცნიან გრძნობაჭარბი ქალები, როდესაც მთელის არსებით უყვართ.

— ახლა... ახლა გჯერა? — თვალები მოიწმინდა და გაწითლდა ტესი.

— ჰო, თუმცა არც არასოდეს შემპარვია ეჭვი... არასოდეს! „

ტილოს საფარქვეშ ერთ მთელად ქცეულნი ღამის წყვდიადში ჩანთქმულიყვნენ ისინი. ცხენი იქით მიეხეტებოდა, საითაც მოეპრიანებოდა. წვიმას ტლაშატლუში გაჰქონდა ტილოზე. ტესი დათანხმდა. თავიდანვე შეეძლო თანხმობა ეთქვა; „სიხარულის წყურვილი“, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი არსი, ძალა, რომელიც, ვითარცა ნიაღვარი უმწეო წყალმცენარეებს, თავის ნებაზე მიაქანებს კაცობრიობას, ვერ დათრგუნა სოციალურ ცრურწმენაზე გაურკვეველმა და ბუნდოვანმა ფიქრებმა.

დედას წერილი უნდა მივწერო, — თქვა ტესმა, — შენ რას იტყვი?

— რა საკითხავია, რა თქმა უნდა, ჩემო პატარა რა ბავშვობაა, როგორ არ გესმის, რომ სწორედაც უნდა მისწერო ყველაფერი და ძალიან ცუდად მოვიქცეოდი, უარი რომ მეთქვა. სად ცხოვრობს დედაშენი?

— იქვე, მარლოტში, ბლეკმურის ველის ბოლოში.

— მაშ, მე შენ ადრეც მინახიხარ?

— ჰო, მაშინ მინდორში ცეკვა-თამაში გვქონდა გაჩაღებული, მაგრამ შენ არ გიცეკვია ჩემთან. ო, ენჯელ, იმედი მაქვს, ეს ცუდს არაფერს ნიშნავს.

XXXI

ტესმა მეორე დღესვე გაუგზავნა გულისამაჩუყებელი წერილი დედას. კვირის ბოლოს კი ჟოან დარბეიფილდის ბატისფეხური, ძველებური ხელით ნაწერი პასუხიც მიიღო:

„ჩემო საყვარელო ტეს. გწერ ორიოდე სიტყვას. იმედი მაქვს ჯანმრთელად იქნები. მეც არა მიშავს რა. ღვთის წყალობით კარგად ვარ. ჩემო ტეს, ნეტავ იცოდე, როგორ გავიხარეთ, შენი გათხოვების ამბავი რომ შევიტყვეთ, მეკითხები, როგორ მოვიქცეო. იცოდე ჩვენ შორის დარჩეს საიდუმლოდ და არამც და არამც არ გაუმხილო საქმროს შენი წარსულის ამბავი. მე ყველაფერს კი არ ვეუბნებოდი ხოლმე მამაშენს. ხომ იცი, როგორ ამაყობს თავისი დიდებული წარმოშობით. ჰოდა, რა იცი, შენი საქმროც ეგეთია. რამდენ ქალს, რომ იცოდე, ბევრ კეთილშობილ ქალსაც შემთხვევია ეგეთი უბედურება. ჰოდა თუკი ისინი არ გაჰყვირიან ამას შენ რატომ უნდა მოსდო მთელ ქვეყანას. იცოდე არავინ გაბრიყვდება და არ იზამს ასეთ სისულელეს. მე შენ გეტყვი და გუშინდელი ამბავია. ვიღას ახსოვს ეგ.

ან შენ რა შუაში იყავი. ორმოცდაათჯერაც რომ მკითხო, იცოდე, ამას გეტყვი ყოველთვის. ჰო კიდევ რა უნდა მეთქვა — გახსოვს, სიტყვა რომ ჩამოგართვი არსად კრინტი არ დაგცდეს ამაზე-მეთქი. შენ დამპირდი მაშინ. ასე ჯობია შენთვის, შვილო, თორემ შენი ბავშვური ხასიათის ამბავი რომ ვიცი, გულუბრყვილოდ დაფქვავ ყველასთან რაც გულში გაქვს. ამ ამბავზე და არც შენ მომავალ ქორწილზე მამაშენთან ენა არ დამისველებია. ეგ ისეთი გულალალი კაცია წავა და ქვეყანას მორწყავს.

აბა ჩემო ტეს, ყოჩაღად იყავი. ქორწილზე ერთ კასრ ვაშლის ბურახს გამოგიგზავნით. მანდ მაინცდამაინც არ იციან ბურახი და თუ არი, ისიც სუსტი და მჟავეა ხოლმე. მეტი რა მოგწერო. მოგვიკითხე შენი საქმრო.

შენი დედა ჟ. დარბეიფილდი.

— ოჰ, დედიკო, დედა! — ამოიოხრა ტესმა.

შვილმა იცოდა, რომ დედის მოუქნელ ტვინამდე ვერ აღწევდა და არც იწუხებდა თავს სამწუხარო ამბებით. უბედურება, რომელიც აჩრდილივით უკან სდევდა ტესს, დედას არ ანაღვლებდა. უბრალო შემთხვევად თვლიდა, მაგრამ ვინ იცის, რაც არ უნდა ამოძრავებდეს დედას, მაინც სწორ გზას უჩვენებს? გამოდის, რომ დუმილი უზრუნველყოფს მისი შეყვარებულის ბედნიერებას. მაშ, უნდა გაჩუმდეს კიდეც.

ამგვარად, მიიღო რა ბრძანება იმ ერთადერთი ადამიანისაგან, რომელსაც ამქვეყნად ასე თუ ისე უფლება ჰქონდა განესაჯა და თვალყური ედევნებინა მისი საქციელისა და მოქმედებისათვის, ტესი დაშოშმინდა, თითქოს პასუხისმგებლობა მხრებიდან მოეხსნა. ამდენი კვირის მანძილზე ძლივს შვებით ამოისუნთქა. ის იყო შემოდგომა დგებოდა, როცა ტესი დათანხმდა კლერს, ოქტომბერში კი შემოდგომა ძალაში შევიდა. ტესი ჯერ განუცდელი და არნახული სიხარულით და ბედნიერებით აღსავსე დაფრინავდა ამ ქვეყანაზე.

ტესის სიყვარულში მიჩიერების ნატამალიც არ იყო. ქალი მთელი არსებით ენდობოდა ვაჟს, კლერი მისთვის ხორცშესხმული სიკეთე და სათნოება იყო. იცოდა ყოველი, რაც აღმზრდელს, ფილოსოფოსსა და მეგობარს მოეკითხებოდა. მისი სახისა თუ სხეულის ნაკვთი მამაკაცური სილამაზის განსახიერება იყო. სული მისი — სული წმიდისა, ხოლო გონება — წინასწარმხილველისა. ვაჟის სიყვარული მოწიწებით აღავსებდა. კლერს არა ერთხელ დაუჭერია მისი დიდი უძირო თვალების მოთაყვანე მზერა. თითქოსდა ქალის წინ მოკვდავი კი არა, ღმერთი მდგარიყოს.

ტესმა განდევნა წარსულზე ფიქრი. ფეხით გაქელა მიბჟუტული,

მაგრამ საშიში ნაკვერჩხალივით, და მოისროლა.

ტესს ვერც წარმოედგინა, მამაკაცს თუ შეეძლო ასეთი უანგარო და რაინდული სიყვარული. ამ მხრივ ენჯელ კლერი სულაც არ იყო ისეთი, როგორც ტესი ფიქრობდა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადზე უცხადესი იყო, — მასში სულიერი ხორციელზე მაღლა იდგა. თავის დაჭერა იცოდა; არასოდეს იუხეშებდა, თუმცა ბუნებით გულცივი და უგრძნობელი არ იყო, მაინც უფრო შელის მიაგავდა თავისი მხიარული ხასიათით, ვიდრე ბაირონს — ფიცხსა და მგზნებარეს. თავზეხელაღებული სიყვარული შეეძლო, მაგრამ მისი სიყვარული სულიერი და პლატონური იყო, რაც უადვილებდა ფრთხილად განერიდებინა საყვარელი. ეს აოცებდა და აჯადოებდა ტესს. აკი ბევრი სიმწარე ჰქონდა ნაწვნევი. აღშფოთება და სიძულვილი მამაკაცთა სქესისა კლერის დიდ სიყვარულად და პატივისცემად გადაიქცა.

აშკარად მიისწრაფოდნენ ერთურთისაკენ. გულმართალი და მიმნდობი ტესი არ მალავდა კლერთან ყოფნის სურვილს. ალღო უკარნახებდა ხრიკებსა და ფანდებს, ქალებს რომ სჩვევიათ მამაკაცების მისაზიდად, მას შემდგომ, რაც სიყვარულში გაუტყდა, შეიძლებოდა ზიზღი გამოეწვია ისეთი სრულქმნილი ადამიანისა, როგორიც კლერი იყო. ყოველი ხრიკი ხომ ყალბი და ხელოვნურია თავისთავად.

სოფლური ადათ-წესების მიხედვით, დანიშნულებს შეუძლიათ მოურიდებლად ატარონ ერთად დრო. ტესმა ეს იცოდა და არც უკვირდა. კლერს კი ასეთი თავისუფლება ცოტა ნაადრევი ეჩვენებოდა, ვიდრე არ დარწმუნდა, ყველას ბუნებრივად მიაჩნია ეს ამბავიო და მათ შორის თავად ტესსაც. ოქტომბრის მზიან ამინდებში განმარტოებულნი დაეხეტებოდნენ მინდვრებსა და მოჩუხჩუხე ნაკადულებისაკენ გაწალდულ ბილიკებზე, პაწია ბოგირებით გადადიოდნენ ერთი ნაპირიდან მეორეზე. მათ ყურთასმენას სწვდებოდა წყლის ბუტბუტი, რომელიც თან სდევდა წყნარ საუბარს. მზის სხივები თითქოს ოქროსფერ მტვერში ხვევდა ირგვლივ ყოველს, თითქოს თხელი ცისფერი კვამლი ჩამოდგებოდა ხოლმე ხეების ქვეშ ღობის ძირებში, როცა მთელი ძალით გააბრწყინებდა მზე მიდამოს. მნათობი ისე დაბლა იდგა, ველი ისეთი სწორი იყო და თანაბარი, რომ წყვილი ჩრდილი ლამის მეოთხედ მოლზე იწელებოდა, თითქოს ორი თითია, რომლებიც შორს მწვანე ველის მომიჯნავე ქედებისაკენ გაუშვერიათო.

მინდვრებში გახურებული მუშაობა იყო გაჩაღებული. იწმინდებოდა არხები საზამთროდ. სწორდებოდა და მაგრდებოდა პირუტყვის ჩლიქებით ჩამოშავებული კედლები, კუპრივით შავი, ყუათიანი

მიწა ჩამოელეკა მდინარეს, როცა ველი კალაპოტად ჰქონდა. ამიტომაც იყო აქაური მინდვრები ასეთი ნოყიერი, და ცურსავსე — აქაური ძროხები, მუშების თვალწინ ხვევდა ენჯელი ტესს წელზე ხელს, თითქოს მიეჩვია სხვებთან მის ალერსსაო. თუმცა ტესზე ნაკლებ როდი ერიდებოდა. ბაგეგაპობილი ტესი დადარაჯებული მხეცივით ჩუმ-ჩუმად აპარებდა თვალს მუშებისაკენ.

— არა გრცხვენია, შენ საცოლესთან ერთად რომ სეირნობ საქვეყნოდ? — ეკითხებოდა ტესი და სიხარულს ვერ მალავდა.

— სულაც არა.

— კი მაგრამ ემინსტერში რომ გაიგებენ შენი ახლობლები — უბრალო მწველავ ქალთან დასეირნობსო...

— ყველა მწველავთა შორის უმშვენიერესთან...

— შეურაცხყოფილები ხომ არ დაგვრჩებიან?

— ძვირფასო ჩემო. დ'ერბერვილი ვერ შეურაცხყოფს კლერს. შენი გვარი ჩვენი კოზირია. ყველას გასაოცრად მე ამ კოზირს ჩვენი ქორწინების დღემდე შემოვინახავ, ვიდრე მამაო ტრინგჰემი შენი წარმოშობის მოწმობას მოგვცემს. ეგეც არ იყოს, ჩემი მომავალი სრულიად არ შეეხება ჩემს ოჯახს და არც არავითარი კავშირი აქვს მასთან. ჩვენ გავემგზავრებით ამ საგრაფოდან და შესაძლოა, ინგლისიც დავტოვოთ. ჰოდა, აბა, რა მნიშვნელობა აქვს როგორ მოგვექცევიან აქ. შენ გინდა გამგზავრება?

მხოლოდ „ჰოს“ თუ ეტყოდა ტესი, თორემ ბევრი ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, ისე ააღელვა ენჯელის ნათქვამმა. ოჰ, რა ბედნიერებაა — ამ კაცთან, უახლოეს მეგობართან ერთად გალევს იგი წუთისოფელს.

ერთ საღამოს ფერმის ყველა ბინადარი წავიდ-წამოვიდა შინაურობის მისახედად. შინ დარჩენილი კლერი და ტესი საუბრობდნენ. დაფიქრებულმა ტესმა კლერს ახედა და მის აღტაცებულ მზერას წააწყდა.

— მე შენი ღირსი არა ვარ, არა ვარ! — წამოიძახა უეცრად ტესმა და სკამიდან წამოხტა. ტესს თითქოს შიშს ჰგვრიდა კლერის თაყვანისცემასა და საკუთარი სიხარულიც. აბა, კლერმა რა იცოდა მისი აღშფოთების ნამდვილი მიზეზი. ის კი, რაც იცოდა, მხოლოდ და მხოლოდ უმცირესი ნაწილაკი იყო მთელისა.

— ტეს, ძვირფასო, არ მიყვარს, ეგრე რომ დაიწყებ ხოლმე ლაპარაკს, ადამიანის ღირსება განა საზოგადოებაში მიღებული უბადრუკი პირობითობების მიხედვით ცხოვრებაა, მთავარია იყო სამართლიანი, პატიოსანი, გქონდეს წმინდა და კეთილი სახელი, ჰოდა, შენ ხომ ასეთი ხარ, ჩემო ტეს!

ტესმა სძლია თავს, რომ არ აქვითინებულიყო. რამდენჯერ შეკუმშვია ტკივილით გული, როცა ეკლესიაში სათნოებათა ამ კრიალოსანს ჩამომარცვლიდნენ და რა საოცარია, რომ მაინცდამაინც ახლა ახსენა კლერმა იგი!

— რად, რად არ დარჩი და არ შემიყვარე , როცა პირველდ შემხვდი... როცა თექვსმეტი წლისა ვიყავი... როცა ჩემს და-ძმებთან ვცხოვრობდი... რატომ, რატომ — დუდუნებდა და ხელებს იმტვრევდა ტესი.

კლერი შეეცადა ნუგეში ეცა და დაეწყნარებინა ტესი. რა ნერვიულიაო, არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა თავისთვის, — რა ფრთხილად და სათუთად უნდა მოვეპყრა, როცა ჩემი ბედნიერება მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული.

— ჰო, რატომ არ დავრჩი! — გაიმეორა მან ქალის სიტყვები, — მეც მაგას ვფიქრობ, რა ვიცოდი!.. არა, მაინც ვერ გამიგია, ტეს, რად ნანობ ეგრე, ღირს განა ამდენ მწუხარებად?

გულჩახვეულმა ტესმა, როგორც ქალებს ჩვევიათ საერთოდ, მაინც იეშმაკა.

— ამაოდ არ დავკარგავდი ამდენ წელს. ოთხი წლის ბედნიერებას, რამდენი ხანია ჩემი იქნებოდი.

საოცარი იყო. ისე აწამებდა ტესი თავს, თითქოსდა ერთი ასაკგადასული, ინტრიგებით დაღარული, მწარე წარსულის მქონე ქალი იყო და არა ალალმართალი ოცი წლის გოგონა, რომელიც სიყმაწვილეში ჩიტივით გააბეს მახეში. ტესი წამოდგა, პატარა სკამს კაბის კალთა გამოსდო, გადააყირავა და ოთახიდან გავარდა.

კლერი ბუხრისპირს შერჩა, მხიარულად ტკაცუნობდა ნედლი კოპიტი, გამონაჟონი წვენი შიშინებდა ბუხრის რკინის ჩარჩოზე გადებული ტოტების ბოლოებზე. დამშვიდებული მობრუნდა ტესი.

— როგორ გგონია, ცოტა ახირებული და ფიცხი ხომ არა ხარ, ტეს? — ალალად ჰკითხა კლერმა, ბალიში დაუდო სკამზე და თავად გვერდით მიუჯდა, — რაღაც მინდოდა მეკითხა, შენ კი ადექი და გაიქეცი.

— ჰო, ახირებული ვარ, — წაიჩურჩულა ქალმა, მერე მიუახლოვდა და მკლავზე ხელი დაადო.

— არა, ენჯელ, ღმერთმანი, არ ვარ ახირებული.

— და თითქოს თავის ნათქვამში უნდა დაარწმუნოსო, მის გვერდით ჩამოჯდა და თავი მხარზე მიაყრდნო.

— რა გინდოდა გეკითხა? მითხარი, გიპასუხებ.

— მორჩილად უთხრა მან.

— ტეს, გიყვარვარ და ცოლობაზეც თანხმობა მითხარი, ახლა როდისღა ვიქორწინოთ?

— მე მომწონს ასე ცხოვრება, ენჯელ.

— ახალი წელი დადგება თუ არა, ანდა ცოტა მოგვიანებით, მე უკვე ჩემ საქმეს უნდა მოვკიდო ხელი, ჰოდა, ვიდრე ახალი საზრუნავი ჩამითრევდა, მინდოდა თანამეცხედრეს მოვლაპარაკებოდი.

— საღად რომ იმსჯელოს კაცმა, არა სჯობია, ჯერ შენი საქმეები მოაგვარო და მერე ვიქორწინოთ? თუმცა, ღმერთო, რა გამაძლებინებს აქ უშენოდ!? — მოკრძალებით მიუგო ტესმა.

— რა თქმა უნდა! ხოდა, ეს უფრო ცუდი არ იქნება? მერე და მე შენი დახმარება დამჭირდება, ძვირფასო, ახალ ადგილზე საქმეების მოსაგვარებლად. აბა, მითხარი ახლა, როდის დავიწეროთ ჯვარი? ორ კვირაში?

— არა, — მტკიცედ მიუგო ტესმა, — მე ჯერ ბევრი რამ მაქვს კიდევ მოსაფიქრებელი.

— არა... კლერმა ალერსით მოზიდა ქალი.

. ახლა, როცა თითქოს ქორწინების დღე კარს მოადგათ, ტესი შიშმა შეიპყრო, ვიდრე ისინი ამ საჭირბოროტო საკითხს გადაწყვეტდნენ, ოთახში ფერმერი კრიკი, მისის კრიკი და ორი მუშა ქალი შემოვიდა.

ტესი რეზინის ბურთივით ერთბაშად გაუსხლტა კლერს. წამოენთო და თვალები აუციმციმდა ცეცხლის შუქზე.

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, — წყენით წამოიძახა ტესმა, — გული მიგრძნობდა, როცა გვერდით ვუჯდებოდი, შემოგვისწრებენ-მეთქი! მაგრამ მადლობა ღმერთს, მუხლებზე არ ვეჯექი. თუმცა, რა ვიცი, იქნებ მოეჩვენათ რომ ვიჯექი.

— თქვენ რომ არ გეთქვათ, ამ სიბნელეში ვერც შევნიშნავდით ასე იჯექით თუ ისე, — მიუგო ფერმერმა და ისეთი გამოყეყეჩებული სიფათი ჰქონდა, ეტყობოდა სიყვარულის საქმეებზე ხაბარში არ იყო, — აი, ხომ ხედავ ქრისტინა, არასოდეს არ უნდა დაიწყო მარჩიელობა, ეს იმას იფიქრებს, ის იმას, როცა არავინ არაფერს არ ფიქრობს. ღმერთმანი, ვერც გავიგებდი სად იჯდა, თავად რომ არ ეთქვა.

— ჩვენ მალე ჯვარს დავიწერთ, — თქვა კლერმა ვითომ მშვიდად.

— აა, ხედავთ, თურმე რა ყოფილა! სულითა და გულით მოხარული ვარ, სერ. ასეც ვიცოდი. ცოდოა ასეთი კარგი გოგო მწველავი იყოს. მაშინვე ვთქვი, როგორც დავინახე, დიდი მონაპოვარია ყველა მამაკაცისათვის და ჯენტლმენი, ფერმერისთვის ხომ პირდაპირ მისწრებაა. ასეთი ცოლი რომ გვერდით გეყოლება კაცს არც მოურავი დაგჭირდება, და აღარც არავინ. ამ ლაპარაკში ტესი ჩუმად გაიპარა. კრიკის ქება-დიდებას აიტანდა კაცი, მწველავი ქალების დაჟინებულ ცქერას ვეღარ გაუძლო.

— როცა ნავახშმევს ტესი საწოლ ოთახში ავიდა, მეგობრები იქ დაუხვდნენ. ანთებულ შუქზე თავთავიანთ საწოლებზე თეთრი ღამის პერანგებით ჩამომსხდარი მომლოდინე გოგონები შურისმაძიებელ მოჩვენებებს მიაგავდნენ.

მალე დარწმუნდა ტესი, რომ გულში ავი არაფერი ედოთ. დავკარგეთ რამეო, ხომ ვერ იტყოდნენ, — რა უნდა დაეკარგათ, რაც არა ჰქონიათ. დაფიქრებულები რაღაცას უჭვრეტდნენ თითქოს.

— როგორ ეტყობა სახეზე, რომ ცოლად ირთავს! — წაიჩურჩულა რეტიმ და დააშტერდა ტესს.

— გაყვები ცოლად? — ჰკითხა მერიენმა.

— ჰო.

— როდის? — ოდესმე. სიტყვას ბანზე გვიგდებსო — იფიქრეს.

— ჰო... თხოვდება... ჯენტლმენს მიჰყვება! — გაიმეორა იზ ჰუეტმა.

ჯერ ერთი წამოდგა მოჯადოებულივით, მერე მეორე, მესამე და ფეხშიშველა გოგონები გარსშემოეხვივნენ ტესს; რეტიმ მხრებზე დაადო ხელები, თითქოს უნდა დარწმუნდეს, ასეთი სასწაულის შემდეგ კვლავაც ხორცშესხმულია თუ სულია და ჰაეროვანი არსებაო. იზმა და მერიენმა წელზე მოავლეს ხელი და სამივე სახეში ჩააცქერდა გოგონას.

— რა საოცრებაა! ვერც კი წარმომიდგენია! — თქვა იზ ჰუეტმა. მერიენმა აკოცა ტესს და წაიჩურჩულა:

— ჰო.

— რატომ აკოცე? გიყვარს? თუ სხვები რომ კოცნიან იმიტომ? — მშრალად იკითხა იზმა.

— არც დავფიქრებულვარ, — გულმართლად მიუგო მერიენმა, — რა საოცრებაა, რომ ეს იქნება მისი ცოლი და სხვა არავინ. რომელიმე ჩვენგანზე კი არ ვამბობ. ჩვენ გვიყვარდა, თორემ ცოლობის იმედი ვის ჰქონდა. ესე იგი ოქროში, პატიოსან თვლებში და დიბა-ატლასში ჩამჯდარი ვინმე დიდებული ლედი კი არ ეყოლება ცოლად, უბრალო, ჩვენისთანა ქალი, — აბა, რით განსხვავდება ტესი ჩვენგან.

— არ შემიჯავრებთ, გოგოებო? — წყნარად იკითხა ტესმა.

თეთრპერანგა გოგონები ტესისაკენ დაიხარნენ, თითქოს პასუხს მის კითხვაზე მისსავე თვალებში ეძებენო.

— არ ვიცი... არ ვიცი.

— წაიბუტბუტა რეტი პრიდლმა, — მინდა მძულდე და ვერ ვახერხებ! „

— მეც.

— ბანი მისცეს მერიენმა და იზმა, — ვერ შემიძულებიხარ, რაღაცა მიშლის თითქოს ხელს და ვერ გამიგია რა.

— მერჩია, რომელიმე თქვენგანი შეერთო, — წაიჩურჩულა ტესმა.

— რატომ? — იმიტომ, რომ ჩემზე უკეთესები ხართ.

— ჩვენა ვართ შენზე უკეთესები? — ჩურჩულითვე ჩაკითხეს გოგონებმა.

— რას ამბობ, საყვარელო, რას! — ჰო, ჰო, უკეთესები ხართ! — დაიჩემა ტესმა.

უცებ თავი გაითავისუფლა მათგან, კომოდს მიეყრდნო და მწარედ აქვითინდა.

— ჰო, ჰო, ჰო!

ტიროდა ტესი და თავს ვერ იკავებდა.

— რომელიმე თქვენგანი უნდა შეერთო! — ყვიროდა ის, — მეც უნდა მეთქვა და დამერწმუნებინა. თქვენ უფრო შეჰფერით იმას! ღმერთო, რას ვბოდავ, არც ვიცი.

გოგონები მიცვივდნენ, მოეხვიენ, ტესი სულმთლად ცახცახებდა.. წყალი დაალევინეთ, საწყალი, როგორ ტირის ჩვენი გულისთვის! ფრთხილად დასვეს საწოლზე, მერე აკოცეს სათითაოდ.

როცა დაწვნენ და შუქი ჩააქრეს, მერიენმა გადაუჩურჩულა:

— ტეს, არ დაგვივიწყო, როცა მისი ცოლი გახდები. გაიხსენე ხოლმე, ხომ გეუბნებოდით — გვიყვარს-თქო და როგორ ვცდილობდით არ შეგვეძულებინე... და არცა გვძულდი! ვერ ვახერხებდით შენს სიძულვილს, იმიტომ, რომ იმან შენ აგირჩია, ჩვენ კი იმედიც არ გვქონია.

გოგონებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მერიენის სიტყვებზე მწველმა, მლაშე ცრემლებმა კვლავ დაუნამეს ტესს ბალიში სასოწარკვეთილმა, დედის დარიგებისდა მიუხედავად, მტკიცედ გადაწყვიტა ყველაფერი მოეთხრო ენჯელ კლერისათვის. დე, შეიძულოს მან, ვისითაც სულდგმულობდა და ცხოვრობდა ამქვეყნად ტესი, დე, ბრიყვად ჩათვალოს დედამაც.

— ესა სჯობს დუმილს, დუმილი ხომ კლერის ღალატს ნიშნავს, უთუოდ, გოგონების მიმართ კი მკრეხელობად მიაჩნდა რატომღაც.

XXXII

მონანიების ნდომით შეპყრობილს, ჯვრისწერის დღის დანიშვნის თავი სადღა ჰქონდა; ნოემბრის პირველ რიცხვებში ქორწინების ამბავი კიდევ გადაუჭრელი იყო. არადა, კლერი სწორედ იმ წუთებში ჩააცივდებოდა, რომ ძნელი იყო მეტად ცდუნებისაგან თავის შეკავება. ტესს თითქოს სულ ასე, საპატარძლოდ გამზადებულს სურდა ყოფნა და ყურსაც არ იბერტყავდა, რომ მომავალში რაღაც ნაბიჯის

გადადგმა იყო საჭირო.

სახე იცვალა ველ-მინდორმა, თუმცა დღისით, ვიდრე ძროხების გამოწველის დრო მოვიდოდა. კიდევ თბილოდა, რაკი წელიწადის ამ დროს, ჩვეულებრივ, საქმეს ისე აღარ ეკიდებოდა ცეცხლი, როგორც ზაფხულში, გასეირნების დროც რჩებოდათ. ნოტიო მიწაზე გაწოლილი, მზის სხივებით აციმციმებული შემოდგომის ობობას ქსელი ზღვის ტალღებზე დაცემულ მთვარის ბილიკს მიაგავდა, კოღოები უთავბოლოდ რიალებდნენ მზის სხივებში და არ უწყოდნენ, რა ხანმოკლე იყო მათი ზეიმი ამქვეყნად. თითქოს ყოველ მათგანში ცეცხლი ენთო, რომელიც მყისვე ქრებოდა, როგორც კი საბრალონი მზის სხივს გაეცლებოდნენ. და კლერიც სწორედ ამ დროს მოაგონებდა ხოლმე ტეს, რომ ჯვრისწერის დღე ჯერაც არ დაეთქვათ.

ზოგჯერ საღამოობით ჩამოუგდებდა სიტყვას, როცა, რაიმე დავალების შესასრულებლად მიდიოდნენ. ეშმაკ კრიკს კი, გაუშვი, წავიდნენ, გაიხარონო და, ასეთი დავალებები არ ელეოდა. უმეტესწილად მთის ძირას, მეზობელ ფერმაში დაიარებოდნენ. მაკე ძროხები კრიკს იქ ჰყავდა გახიზნული დროებით. პატარ-პატარა პარტიებად გადაჰყავდათ ყოველდღე ძროხები ამ „სამშობიარო სახლში“ რადგანაც პირუტყვის ორგანიზმში ამ დროს დიდი ცვლილებები ხდება, მათ დაკეპილი ჩალით კვებავდნენ, და მანამ ტოვებდნენ აქ, ვიდრე ხბორებს არ მოავლენდნენ ამქვეყნად. როგორც კი პაწია ბოჩოლა ფეხზე წამოდგებოდა, დედასა და მის პირმშოს კვლავ ფერმაში მოდენიდნენ სანამ ხბოს ძუძუს არ მოაცილებდნენ, რა თქმა უნდა, ძროხას გამოწველა არა სჭირდებოდა, მაგრამ როგორც კი ძუძუს გააშვებინებდნენ, მწველავები კვლავ შეუდგებოდნენ ხოლმე საქმეს.

ერთ მშვენიერ საღამოს ტესი და ენჯელი „სამშობიარო სახლიდან“ ბრუნდებოდნენ. ბილიკს აუყვნენ და ველის თავზე აღმართულ კლდეზე ავიდნენ. შედგნენ, ყური მიუგდეს: ნიაღვარი მოვარდნილიყო, მდინარეებში წყალს ემატა და ნაკადად ჩაედინებოდა საგუბარში, მიბუტბუტებდა სადრენაჟო მილებში, თხრილებს ავსებდა. გზის შემოკლება რომ სდომებოდა, ფეხით მიმავალი მგზავრი ვერსად გადაუხვევდა, სულ პირდაპირ უნდა ევლო. სიბნელეში ჩანთქმულ ველზე თითქოს მრავალხმოვანი გუგუნი იდგა; ასე გეგონებოდათ, იქ, ქვევით, ვეებერთელა ქალაქში აწრიალებული ბრბო ზრიალებსო.

— თითქოს ათეული ათასობით კაცს შეუყრია თავი მოედნებზე, — წამოიწყო ტესმა, — კამათობენ, ჩხუბობენ, რაღაცას უმტკიცებენ ერთმანეთს, კვნესიან და ზლუქუნებენ, ღმერთს ევედრებიან, წყევლიან და აჩვენებენ ერთმანეთს.

კლერი დაბნეული უგდებდა ყურს ტესს.

— კრიკს დღეს შენთვის არაფერი უთქვამს? ამბობდა ზამთრის თვეებში ამდენი მწველავი აღარ დამჭირდებაო.

— არა.

— ძროხები გაშრენ.

— ჰო, გუშინ ექვსი თუ შვიდი ძროხა მაინც გავაგზავნეთ ფერმაში. გუშინწინ კიდევ — სამი. ოცამდე ძროხა მაინც იქნება ახლა იქ.

— ხბორების გამოსაკვებად აღარა ვჭირდები ფერმერს. მაშ, ზედმეტი ვყოფილვარ, მერე როგორ ვცდილობდი...

— კაცმა რომ თქვას, კრიკს არც უთქვამს შენზე, აღარა მჭირდებაო. მაგრამ ხომ იცის ჩვენი ამბავი, ჰოდა, თავაზიანად და კეთილად მკითხა, საშობაოდ რომ დაგვემშვიდობებით და წაბრძანდებით, ტესსაც ხომ არ წაიყვანთ თანაო, მერე რა გეშველებათ უიმისოდ-მეთქი რომ ვკითხე, მიპასუხა, ზამთარში რამდენიმე კაცითაც იოლას გავალო, მგონი, ვცოდავ, მაგრამ, გამოგიტყდები, გამიხარდა; ხედავ, უნებურად როგორ გვიწყობს ხელს და გვაჩქარებს?

— იქნება ხელი კი გვემართება, მაგრამ სასიხარულო აბა, რა გქონდა, ენჯელ, ძალიან საწყენია, როცა აღარ სჭირდები ვინმეს.

— მაშ, შენ აღიარებ, რომ ხელი გვემართება, არა? თითი ლოყაზე მიადო და ჩაილაპარაკა.

— კეთილი და პატიოსანი.

— რა?

— ხედავ, გაები. გაწითლდი. მაგრამ რა გვეხუმრება. ცხოვრება ისეთი მძიმეა.

— ჰო... და რომ იცოდე, შენზე ადრე გავიგე და ვიგრძენი ეგ.

ტესი ახლაც გრძნობდა ამას. თუ ადგა და ბოლოს და ბოლოს, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უარი უთხრა კლერსა და ფერმა დატოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა წავიდეს და ახალი სამუშაო ეძებოს. ახლა ხბოიანობის დრო იყო და მერძევეობის არც ერთ ფერმაში მწველავები აღარ ესაჭიროებოდათ, სადმე სამიწათმოქმედო ფერმაში უნდა ეძიოს სამუშაო. ისეთ ღვთაებრივ ადამიანს კი, როგორიც ენჯელ კლერია, სანთლითაც რომ ეძებოს, ვერსად იპოვის. არა, ასეთი რამის გაფიქრებაც კი შემზარავია, მაგრამ უფრო აუტანელია შინ დაბრუნებაზე ფიქრი.

— მოდი, საქმიანად ვილაპარაკოთ, საყვარელო ტეს, — განაგრძობდა ენჯელი, — რაკი საშობაოდ შენი წასვლა აქედან გარდაუვალია, უფრო სასურველი და მოსახერხებელი არ იქნება, მე წაგიყვანო, როგორც ჩემი საკუთრება? მერე და, რა ხარ ასეთი მოუსაზრებელი ამ ქვეყანაზე, დაფიქრდი, შეიძლება ასე გაგრძელდეს მუდამ?!

— აფსუს, რა კარგი იქნებოდა! ნეტავ სულ ზაფხული იყოს და შემოდგომა, შენ სულ ასე მეფერებოდე მე და ყოველთვის ისეთი კარგი გეგონო, როგორც გასულ ზაფხულს.

— ეგრეც იქნება.

— ვიცი! — წამოიძახა კლერის გულწრფელობაში უსაზღვროდ დარწმუნებულმა ქალმა, — ენჯელ, დავთქვამ დღეს და იმ დღიდან სულ შენი ვიქნები.

ასე მოითათბირეს ბოლოსა და ბოლოს ამ ღამეულ, მირიადი ნაკადულების ჩუხჩუხით ავსებულ გზაზე.

ფერმაში მოვიდნენ თუ არა, მაშინვე მისტერ და მისის კრიკს აუწყეს ეს ამბავი. თანაც ჭირი მოჭამეს, ნუ გაგვამხელთ, ნამუსი შეგვინახეთო. ბევრი ჰაიჰუი და ამბავი არ გვინდა, წყნარად, მშვიდად დავიწერთ ჯვარს და ჩვენს გზას გავუყვებითო. ფერმერს გულში ჰქონდა ამოჭრილი ტესის გაშვება, მაგრამ ახლა იტკიცა, ვითომ ძალიან სწყინდა, და აწუწუნდა: „ვინღა მოხდის რძეს ნაღებს? ვინღა მორთავს ენგლერელი და სენდბოულერი ქალბატონებისთვის კარაქს?“ მისის კრიკმა მიულოცა ტესს: მადლობა ღმერთს, რომ მორჩი ჭოჭმანს და გადაწყვიტეო, — არა, თვალი მოგკარი თუ არა, — დასძინა მისის კრიკმა, — მაშინვე მიგრძნო გულმა, ეს ვიღაცა დიდი კაცის ცოლი გახდება-მეთქი. შენ რომ მოხვედი და ეზოში გაიარ-გამოიარე, ისეთი დიდებული შესახედაობა გქონდა, მაშინვე ვიფიქრე, თავს მოვიჭრი თუ ეს ვიღაცა კეთილშობილი გვარიშვილი არაამეთქი, სიმართლე ითქვას, მისის კრიკის ყურადღება ტესის მოხდენილმა აღნაგობამ და ლამაზმა სახემ მიიპყრო, თორემ მისი დიდებულების ამბავი მერე გამოიგონა, როცა რაღაც-რაღაცეებს მოჰკრა ყური.

ტესს ახლა თითქოს დრო მიაფრენდა თავის ნება-სურვილზე. სიტყვა მიცემული იყო. დღეც კი დანიშნეს. ჭკვიანი ტესი, როგორც გლეხებსა და საკუთარ ნათესავებზე უფრო ბუნებასთან ახლომყოფ ადამიანებს სჩვევიათ, ფატალიზმში გადავარდა. როგორც მის სულიერ მდგომარეობას შეჰფეროდა, საქმროს ყოველ ნება-სურვილს მორჩილად ასრულებდა.

სხვათა შორის, ტესმა კიდევ გაუგზავნა წერილი დედას, ვითომ ჯვრისწერის დღე უნდა შევატყობინოო, სინამდვილეში რჩევას სთხოვდა ისევ: ხომ არ ავიწყდება დედას, რომ მას ჯენტლმენი ირთავს, ჰოდა, ვინ იცის, ისე მშვიდად ვეღარ შეხვდეს ქორწინების შემდეგ მის აღსარებას, როგორც, ვთქვათ, ვინმე უბრალო კაცი... მაგრამ მისის დარბეიფილდს ამ წერილზე არ უპასუხია.

თუმცა ენჯელ კლერი მოუთმენლად და დაჟინებით მოითხოვდა ქორწინებას და საამისოდ დამაჯერებელი საბუთებიც მოჰყავდა,

მაგრამ ამაში რაღაც გადაჭარბებული სულსწრაფობა უფრო მოჩანდა, რაც მერე მოგვიანებით გამომჟღავნდა. ენჯელს მთელი გულით, მთელი არსებით უყვარდა ტესი, მაგრამ ეს უფრო სხვაგვარი რაღაც იდეალური სიყვარული იყო, ვიდრე ის მგზნებარე, მწველი გრძნობა, რომელსაც ტესი ატარებდა გულით. რაკი მიაჩნდა, რომ განწირული იყო, და ხელი უნდა აეღო ინტელექტუალურ ცხოვრებაზე და უბრალო მწყემსური ცხოვრებით ეცხოვრა, ვიდრე ტესს შეეყრებოდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ ოდესმე იმდენ მომხიბვლელობას იპოვიდა, რამდენსაც ამ გულმართალ გოგონაში წააწყდა. სისადავესა და ბუნებრიობაზე ხშირად უმსჯელია, მაგრამ რა იყო — წარმოდგენაც არა ჰქონდა, ვიდრე აქ არ ჩამოვიდა. ცხოვრება მეტად ბუნდოვნად ესახებოდა; ორიოდე წლის მერე ძლივს გაარკვია საბოლოოდ საკუთარი ცხოვრების გზა. უმეტესწილად ეს იმ დაუდევრობით აიხსნებოდა, რითაც იგი საკუთარ კარიერას ეპყრობოდა და მიაჩნდა, რომ ცრურწმენებით აღსავსე მშობლების წყალობითა თქვა უარი თავის ჭეშმარიტ მოწოდებაზე.

— ხომ არ აჯობებდა დაგვეცადა, ვიდრე საკუთარი ფერმის საქმეებს მოაგვარებდი? — მოკრძალებით შეაპარა სიტყვა ტესმა. (კლერი შუაგულ ინგლისის ფერმაზე ოცნებობდა).

— სიმართლე გითხრა, ჩემო ტეს, არ მინდა შენი მარტო დატოვება. ვინღა იზრუნებს, ვინ გაგიფრთხილდება.

საფუძვლიანი მიზეზი იყო. კლერს ისეთი დიდი ზეგავლენა ჰქონდა ტესზე, რომ ქალმა ერთიანად შეითვისა მისი ქცევაც, ჩვევებიც, სიტყვები და მთელი ფრაზები, გემოვნება და მიდრეკილება, მისი მარტო დატოვება სახიფათო იყო. ვაითუ კვლავ დაბრუნებოდა ძველ ჩვევებს და ჰარმონიაც დაირღვეოდა. გარდა ამისა, კლერს კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, რისთვისაც არ სურდა ტესთან განშორება. რა თქმა უნდა, მისი მშობლები ერთხელ მაინც მოისურვებდნენ ტესის ნახვას, ვიდრე ინგლისის რომელ ლიმე ფერმაში ან კოლონიაში გაემგზავრება კლერთან ერთად; და რადგან მათი აზრი ოდნავაც არ მოახდენდა ზეგავლენას მის გადაწყვეტილებაზე, მისი ფიქრით, ერთი-ორი თვე მასთან ცხოვრება, ვიდრე საქმეებს მოაგვარებდა, ტესისათვის სასარგებლო იქნებოდა, და შეამზადებდა იმ მტანჯველი გამოცდისათვის, რომელიც მღვდლის სახლში კლერის დედასთან. შეხვედრისას ელოდა.

კლერს მეწისქვილეობის შესწავლა ჰქონდა განზრახული. მომავალ ფერმაში წისქვილის აშენებასაც ფიქრობდა. ოდესღაც სააბატოს მფლობელობაში შემავალმა უელბრიჯელმა წყლის ძველი წის-

ქვილის მფლობელმა შესთავაზა გასცნობოდა, როდესაც კი მოისურვებდა, მათი წისქვილის კარგა ხანია წესრიგში მოყვანილსა და დაწყობილ-დალაგებულ საქმეს და თუ უნდოდა, წაემუშავა კიდეც მათთან. დაწვრილებითი. ცნობებისათვის კლერი ერთ დღეს გაემგზავრა წისქვილში. წისქვილი ტელბოტეისიდან სულ რამდენიმე მილზე მდებარეობდა. ფერმაში სამხრობისას დაბრუნდა და ტესს თავისი სურვილი გაანდო: უელბრიჯის წისქვილში გადავწყვიტე წასვლა საქმის შესასწავლადო.

ეს აზრი კლერს იმდენად საქმის შესწავლის სურვილმა კი არა და ერთმა შემთხვევითმა ამბავმა აღუძრა: იმ ფერმასთან დ'ერბერვილთა ერთი შტოს სახლი იდგა, ამ სახლში დროებით დაბინავება და ცხოვრება შეძლებოდა. ასე სჩვეოდა ყოველთვის კლერს ამა თუ იმ პრაქტიკული საკითხის გადაჭრისას — ისეთი გრძნობა ამოძრავებდა ნიადაგ, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა ხოლმე საქმესთან. ასეც გადაწყვიტეს, ქალაქიდან ქალაქში და სასტუმროდან სასტუმროში ხეტიალს, ჯობს ჯვარი დავიწეროთ და ორიოდე კვირის წისქვილში გავემგზავროთ საცხოვრებლადო.

— მერე ლონდონის მახლობელი ფერმები მოვინახულოთ, თქვა ენჯელმა, — მარტის ბოლოს ან აპრილში კი ჩემს მშობლებს ვეწვიოთ.

ასე წამოიჭრებოდა ხოლმე მსგავსი საკითხები და მსჯელობის საგანი ხდებოდა. მათი ჯვრისწერის დრო კი დღე დღეზე და საათი საათზე ახლოვდებოდა. ქორწინება ახალწლის წინა ღამით, ოცდათერთმეტ დეკემბერს იყო განზრახული. „მისი მეუღლე, — ეუბნებოდა ტესი საკუთარ თავს, — ნუთუ შეიძლება ოდესმე მოხდეს! შეერთდებიან და ვერასოდეს ვერაფერი ვეღარ დააცილებს მათ. ყველაფერს გაიყოფენ და გაინაწილებენ. ანკი რა არის ამაში დაუჯერებელი? და მაინც ნუთუ შეიძლება ეს მოხდეს?“

კვირა დილით იზ ჰუეტი ეკლესიიდან მობრუნდა და ტესს უთხრა: — დღეს არ გამოუცხადებიხართ ეკლესიაში.

— რა?

— ჩვენ გვეგონა დღეს პირველი გამოცხადება იქნებოდა, — განუმარტა იზმა და გამომცდელად შეათვალიერა ტესი, — ახალწლის წინაღამით გექნებათ, საყვარელო, ქორწილი?

ტესმა აჩქარებით დაუქნია თავი.

— გამოცხადება სამჯერ ხდება: ახალწლამდე კი ორი კვირაღა დარჩა.

ტესმა იგრძნო, რომ მიტკლისფერი დაედო: მართალია იზი. რა თქმა უნდა, სამგზის ხდება გამოცხადება, ხომ არ დაავიწყდა? ასე თუ

იქნა, ერთი კვირით უნდა გადადონ ქორწილი. ეს კიდევ სიკეთის ნიშანი ვერ არის. როგორ შეახსენოს შეყვარებულს ეს ამბავი? ტესი, სულ რომ აყოვნებდა და აჭიანურებდა საქმეს, უეცრად მოუთმენლობამ და შიშმა შეიპყრო, — ღმერთო, რომ დაკარგოს ის, რაც წამებით მოუპოვებია! მღელვარებამ მალე გაუარა. იზმა მისის კრიკს გაანდო გამოუცხადებლობის ამბავი. პატივცემულმა მატრონამ აპეკუნობა იკისრა და კლერს მოელაპარაკა.

— რა ვქნა, ეკლესიაში გამოცხადების ამბავი ხომ არ გადაგავიწყდათ, მისტერ კლერ?

— არა, არ დამვიწყებია, — მიუგო ენჯელმა.

და როგორც კი დაიმარტოხელა, დაამშვიდა ტესი.

— შენ ყურს ნუ უგდებ მაგათ ლაილაის. მე შენთვის არ მითქვამს, მაგრამ გადავწყვიტე, ქორწინების მოწმობა ავიღოთ. ასე აჯობებს ჩვენთვის; მშვიდად მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. ჰოდა, თუ მომავალ კვირას ეკლესიაში წახვალ, იცოდე, შენს სახელს ვერც ამ კვირას გაიგონებ.

— მე არც მიფიქრია მაგისთვის ეკლესიაში წასვლა, — ამაყად მიუგო ტესმა.

ასე იყო თუ ისე ტესმა შვება იგრძნო, რაკი გაიგო, რომ საქმე კეთილად ეწყობოდა: ეშინოდა, ვაითუ ვინმემ რამე თქვას, ჩემს სახელს რომ გაიგონებს, ჩემი წარსული გაახსენდეს და ქორწინების წინააღმდეგი წავიდესო, — მაგრამ, სჩანს ბედი სწყალობს.

„რაღაც ვერ ვისვენებ, სული მიშფოთავს, — ფიქრობდა ტესი თავისთვის, ბედი ხელს მიმართავს, მაგრამ ვაითუ ბოლოს მომიზღოს მისაგებელი. ბედი ულმობელია. აფსუს, რატომ არ გამოგვაცხადეს ეკლესიაში!“

მაგრამ საქმე წყალივით მიდიოდა. ვერ გადაეწყვიტა მხოლოდ, კმაყოფილი იქნებოდა ენჯელი ქორწილის დროს თავისი თეთრი კაბა რომ ჩაეცვა, თუ ახალი უნდა ეყიდა?

კლერის წინდახედულობამ ეს საჭირბოროტო საკითხიც იოლად მოაგვარა: რამდენიმე დღეში ფერმაში ტესის სახელზე ვეებერთელა ამანათები მოიტანეს. ამანათებში საქორწინო მორთულობა აღმოჩნდა. რაღა არ იყო შიგ — შლაპიდან დაწყებული, ფეხსაცმელებით დამთავრებული. დილის ხალათიც კი იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ერთ პატარა ქორწილს ეკადრებოდა. ჰოდა, მეტს არც აპირებდნენ. ამანათები მოვიდა და კლერიც ის იყო მობრუნდა ფერმაში. ხმაური ჩამოესმა, მიხვდა, ტესი ამანათებს ხსნიდა.

წუთი და აწითლებული, თვალცრემლიანი ტესიც გამოჩნდა.

— როგორი ყურადღებიანი ყოფილხარ! — წასჩურჩულა მან და

ლოყით მის მხარს აეკრა, — ხელთათმანები და ცხვირსახოციც კი არ დაგვიწყებია! რა კარგი ხარ, რა კეთილი, სიყვარულო!

— რა სათქმელია! შეკვეთა გავაგზავნე ლონდონში, ეგ იყო, მეტი არაფერი!

უთხრა და რომ აღარაფერი ეთქვა ქალს, წადი და კაბა მოიზომეო, გააგზავნა, — თუ ვინიცობაა კარგად არ მოგადგება, სოფლის მკერავს სთხოვე და გადააკეთებინეო.

ტესი ავიდა თავის ოთახში. ჩაიცვა კაბა და სარკის წინ დატრიალდა. ერთი წამით შეავლო თავს თვალი. შეჰხაროდა, შეფოფინებდა აბრეშუმის ლამაზ კაბას. უცებ ჯადოსნური კაბის ბალადა გაახსენდა:

ეს ტანსაცმელი ამშვენებს იმას, ვინც უცოდველი იყო მარადის.

რა მხიარულად და ეშმაკურად უმღეროდა ხოლმე დედა ამ ბალადას. თან ფეხით აკვანს არწევდა. ამ კაბამაც რომ შეიცვალოს ფერი და გასცეს იგი, როგორც დედოფალი ჯინევრა. რა უცნაურია, ამდენი ხანია ფერმაში ცხოვრობს და დღემდე ერთხელაც არ გახსენებია ბავშვობისდროინდელი სიმღერები.

XXXIII

— ძალიან უნდოდა ენჯელს ქორწინების წინ კიდევ ერთი დღე გაეტარებინა სადმე ფერმიდან მოშორებით, უკანასკნელად ერთხელ კიდევ გაესეირნა იმასთან, რომელიც ჯერ კიდევ მისი სატრფო იყო მხოლოდ. ეგემა კიდევ ერთი რომანტიკული დღე, რომელიც აღარ განმეორდებოდა კვლავაც. მერე კი უფრო დიდი დღეები დაიწყებოდა. რამდენჯერმე შესთავაზა, იმ კვირაში გავიაროთ სადმე ახლომახლო ქალაქში ზოგ-ზოგი რაღაც შევიძინოთო. ასეც მოიქცნენ.

განდეგილივით ცხოვრობდა კლერი ფერმაში. ერთხელაც არსად შეხვედრია საკუთარი კლასის წარმომადგენელთ, მთელი თვეები არ ჩადიოდა ქალაქში, საკუთარი ეტლი არ ჰქონდა, — არა სჭირდებოდა. თუ სადმე მოისურვებდა გამგზავრებას, ფერმერისაგან ცხენს, ან ორთვალას ითხოვებდა. ახლაც ორთვალათი გაემგზავრნენ ქალაქში.

ჯერ თავისთვის იყიდეს რაღაც-რაღაცები. შობისწინა დღე იყო, სადაც არ გავიხედავდით, ყველგან ფითრის ტოტები მოჩანდა, უამრავი ხალხი მოწყდომოდა ქალაქს ქვეყნის ყოველი კუთხიდან ბედნიერებით სახეგაბრწყინებული, კლერზე მკლავდაყრდნობილი ტესი ისეთი მშვენიერი იყო, გულგრილად ვერავის ჩაევლო გვერდი, ტესი ამით ხარკს უხდიდა ბედნიერებას.

მოსაღამოებულზე სასტუმროში დაბრუნდნენ. აქ ჩამოხდნენ. ტესი შესასვლელში დაელოდა, ვიდრე ენჯელი გაიგებდა, მზად იყო თუ არა ორთვალა გასამგზავრებლად, მოსაცდელი დარბაზი ხალხით იყო სავსე. კარი წამდაუწუმ იღებოდა — შედიოდა და გამოდიოდა ხალხი. დარბაზის შუქი სახეზე სცემდა ტესს. ვიღაც ორმა მამაკაცმა ჩაუარა გვერდით. ერთმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ყურადღებით. მგონი, ტრენტრიჯელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ასე შორს რამ მოიყვანა!

— ეშხიანი გოგოა! — თქვა მეორემ.

— ჰო, ეშხიანია, მაგრამ არ ვიცი, ვერ ვიცანი თუ მეშლება... ან შეიძლება ტესს გოგო დაუძახოს კაცმა?

საჯინიბოდან მობრუნებული კლერი ზღურბლთან შეეჯახა მოსაუბრეებს. ყური მოჰკრა მათ ლაპარაკს. ტესს გადახედა, გოგონა სულ მთლად მოკუნტულიყო. ქალის შეურაცხყოფით აღშფოთებულმა კლერმა გონი დაკარგა, მოიქნია მუშტი და ისეთი ძალით ჩასცხო მოსაუბრეს, რომ კაცი პირდაპირ დერეფანში გავარდა.

გონს მოსული მამაკაცი კლერისაკენ გაემართა. კლერმა ზღურბლს გადააბიჯა და თავის დასაცავად გაემზადა, მაგრამ მოწინააღმდეგემ, ეტყობა, გადაიფიქრა, ერთი კიდევ გადახედა ტესს და კლერს მიუბრუნდა:

— მაპატიეთ, სერ, შევცდი. სხვა მეგონა. აქედან ორმოციოდე მილზე ერთი გოგონა ცხოვრობს და იმაში შემეშალა.

კლერმა ინანა, იჩქარა და ერთბაშად გაფიცხდა. არ უნდა დაეტოვებინა მარტო შესასვლელში — მერე ისე მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა ხოლმე მსგავს შემთხვევებში, — ამოიღო და მამაკაცს ხუთი შილინგი ჩასჩარა — დაივიწყე რაც მოხდაო. მშვიდობის ღამე უსურვეს ერთმანეთს და გასცილდნენ, როდესაც კლერმა მეჯინიბეს აღვირი ჩამოართვა და წყვილი თავის გზას გაუდგა, ორმა მამაკაცმა საწინააღმდეგო მიმართულებით გაუხვია.

— მართლა შეცდი? — ჰკითხა მეორე კაცმა.

— შევცდი არა! აღარ მინდოდა გამეღიზიანებინა ვაჟბატონი. შეყვარებულები თავის გზას განაგრძობდნენ.

— რომ მოგვინდეს ვერ გადავდებთ ქორწილს? — იკითხა ტესმა ყრუდ.

— არა, ძვირფასო, დამშვიდდი. შენ გგონია ის ყმაწვილი სასამართლოში მიჩივლებს შეურაცხყოფისათვის? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მან.

— არა.... მე ვფიქრობდი... ვინიცობაა მოგვიწიოს გადადება...

კლერი ვერ მიუხვდა, რა აწუხებდა ტესს; ურჩია, თავიდან ამოიგდე ეგ ფიქრებიო. ტესიც დაყაბულდა და შეეცადა, რამდენადაც შეეძლო. მთელი გზა მაინც ნაღველით გამოიარა, მწარე ნაღველით, ვიდრე ბოლოს თავად არ ინუგეშა თავი: „აი, ვიქორწინებთ და გავემგზავრებით შორს. ძალიან შორს. ასეული მილის იქით... ჰოდა, რაც დღეს მოხდა, აღარასოდეს განმეორდება... აღარასოდეს გადავეყრები წარსულის აჩრდილებს“.

შინ დაბრუნებულები სიყვარულით დაემშვიდობნენ ერთმანეთს კიბის თავში. კლერი მეზონინში ავიდა. ტესი საქმეების შეხაზირებას შეუდგა, ვაითუ ვეღარ მოვასწრო ყველაფრის გაკეთება ამ რამდენიმე დღეშიო, — ფიქრობდა. უეცრად თავს ზემოთ, ენჯელის ოთახიდან რაღაც ხმაური და ალიაქოთი და დარტყმის ხმა ჩამოესმა: სახლში ყველას ეძინა.; შეშინებული ტესი, კლერი ავად ხომ არ გახდაო, ზევით ავარდა, კარზე დააკაკუნა და ამბავი იკითხა.

— არაფერი, არაფერი, საყვარელო! — გამოსძახა მან ოთახიდან, — მაპატიე, რომ შეგაშინე, სასაცილო ამბავი დამემართა. დამესიზმრა, ვითომ ისევ იმ ყმაწვილს ვეჩხუბებოდი, დღეს შეურაცხყოფა რომ მოგაყენა. თურმე ვურტყამ და ვურტყამ მუშტს სამგზავრო ჩანთას, ხშირად მემართება ხოლმე ასეთი რამე. წადი, წადი, დაიძინე, აღარ იფიქრო ამაზე.

თითქოს ეს უკანასკნელი წვეთიღა აკლდა, ტესის ყოყმანს ბოლო მოეღო, თავისი თავგადასავლის მოყოლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: ოთხიოდე გვერდზე მოკლედ დაწერა სამი-ოთხი წლის წინანდელი თავსდამტყდარი უბედურების ამბავი, ჩადო წერილი კონვერტში და ზედ კლერის მისამართი დააწერა. მერე შიშით, სისუსტემ არ დამძლიოს და უკან არ დავიხიო-ო, ერთბაშად გაიხადა ფეხსაცმელები, ავიდა ზევით და წერილი კარქვეშ შეაცურა.

რა გასაკვირია, რომ ის ღამე თეთრად გაათენა. სმენა გამახვილებული ჰქონდა. პატარა ჩქამიც აკრთობდა. მეორე დილა ჩვეულებრივად დაიწყო. კლერი ადგა, ქვევით ჩავიდა. ტესიც ჩავიდა. კიბის თავზე, როგორც სხვა დროს, ხელი მოხვია და აკოცა. რა თქმა უნდა, ისევე ნაზად, როგორც ყოველთვის! — ეს იყო მხოლოდ ტესს შეწუხებული და მოთენთილი ეჩვენა კლერი. მის აღსარებაზე კი კრინტიც არ დაუძრავს, როცა მარტონი დარჩნენ მაშინაც კი. ნეტავ, თუ წაიკითხა? არა, ვერაფერს ეტყვის, სანამ კლერი თავად არ ჩამოუგდებს სიტყვას. გავიდა დღე. ახლა უკვე ნათელი იყო, რომ ასე ფიქრობდა თუ ისე, ერთი ცხადი იყო — ხმის ამოღებას არ აპირებდა. რო-

გორც ყოველთვის, ალერსიანად ექცეოდა. ნუთუ მისი შიში ბავშვობა იყო და სხვა არაფერი? ნუთუ მიუტევა კლერმა ყოველი. უყვარს ისეთი, როგორიც არის? დასცინის მის მღელვარებას, ვითარცა უაზრო კოშმარს? ნახა კი მისი წერილი? ტესმა მის ოთახშიც შეიხედა, მაგრამ ვერაფერს მოჰკრა თვალი: ეტყობა, აპატია ყველაფერი. უეცრად აღელდა, თითქოს რაღაცამ აიტაცა, დაიჯერა, დაარწმუნა თავი. მიიღო თუ არ მიიღო წერილი, სულერთია, მაინც აპატიებს ყველაფერს.

ერთნაირად კარგი იყო კლერი მასთან ყოველდღე, დილას თუ საღამოს. ამასობაში მათი ქორწინების დრომ — ახალწლის წინაღამემაც მოატანა.

შეყვარებულები დილით ადრე არ ამდგარან ძროხების გამოსაწველად. ეს უკანასკნელი ერთი კვირა ფერმის სტუმრებად ითვლებოდნენ. ტესს ცალკე ოთახიც კი მიუჩინეს.

დილით, როდესაც სასაუზმოდ ჩამოვიდნენ, დიდად განცვიფრდნენ, ისე მოერთოთ და მოეკაზმათ დიდი სამზარეულო. უთენია გაეცათ ბრძანება, თეთრად შეეფეთქათ კლერის კუთხე, შეეღებათ ღუმელის აგურები, რომლის თავზე შავი საკერებლებიანი ჭუჭყისფერი ლურჯი ჩითის ფარდები ჩამოეხსნათ და მის ნაცვლად ყვითელი ატლასის ფარდა ჩამოეკიდათ. იმის წყალობით, რომ განახლებული იყო სამზარეულოს მთავარი ნაწილი, საითკენაც მოისწრაფოდა ყველა ზამთრის სუსხიან დილას, მთელი ოთახიც გაცოცხლებული ჩანდა.

— თქვენს პატივსაცემად მინდოდა რამე გამეკეთებინა. ვიოლინოსა და ჩელოს დამკვრელებს მოვიწვევ, ცეკვებს გავმართავ-მეთქი გითხარით, როგორც ძველად, ბედნიერ დღეებში იცოდნენ. და თქვენ გაგონებაც არ გინდათ, ჰოდა, შევეცადე ისეთი რამე გამეკეთებინა, რაც ხმაურს და ალიაქოთს არ გამოიწვევდა.

ტესის მშობლები ისე შორს ცხოვრობდნენ, რომ კიდეც რომ მოეპატიჟათ, მათი ჩამოუსვლელობა ქორწილზე სავსებით გამართლებული იყო. საერთოდ, არც არავინ მოუწვევიათ მარლოტიდან. რაც შეეხება ენჯელის მშობლებს, მათ როგორც წესი და რიგი იყო, აუწყა ქორწინების დღე და დასძინა, მოხარული ვიქნები, თუ ინებებთ და რომელიმე მეწვევით ქორწილზეო. ძმებისგან ბაიბური არ ისმოდა; ჩანს აღშფოთდნენ, გაუნაწყენდნენ. დედ-მამისგან კი ჭმუნვით აღსავსე ბარათი მიიღო. დიდ სინანულსა და წუხილს გამოთქვამდნენ მისი ნაჩქარევი და დაუფიქრებელი ქორწინების გამო და თუმცა ვერასოდეს მოიფიქრებდნენ, რომ მათ ოჯახში ფერმის მწველავი ქალი შევიდოდა რძლად, რა აქვთ სათქმელი, მათმა ვაჟმა მიაღწია იმ

ასაკს, როდესაც უფლება აქვს, როგორც თავად სურს, ისე გადაწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი.

— ასეთმა გულგრილობამ კლერი იმაზე ნაკლებად შეაწუხა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. აკი ხელთ ჰქონდა ისეთი კოზირი, რითაც მალე განაცვიფრებდა მათ. ახლავე იმის თქმა, რომ ტესი, რომელიც აგერ ორი დღის წინ მერძევეობის ფერმაში მუშაობდა, ლედი და დ'ერბერვილების გვარის ჩამომავალი, ცოტა არ იყოს, სახიფათო იყო, ჰოდა, გადაწყვიტა დაეფარა, ვიდრე ნელ-ნელა, რამდენიმე თვის მანძილზე მოგზაურობითა და წიგნების კითხვით არ შეათვისებინებს ზოგიერთ რამეს, რაც აუცილებელია მაღალი წრის ქალისათვის. მერე კი ჩაიყვანს და დიდის ამბით წარუდგენს მშობლებს დიდებული და უძველესი გვარის ღირსეულ შვილს. ეს შეყვარებულის ოცნება იყო და მეტი არაფერი. იქნებ მისთვის ტესის წარმოშობას უფრო მეტი მნიშვნელობაც ჰქონდა, ვიდრე ვინმე სხვისთვის.

ტესი ხედავდა, რომ ენჯელი მის მიმართ აღსარების შემდეგ იოტის ოდენადაც არ შეცვლილა. ნახა კი წერილი? — არ ასვენებდა ეჭვი ქალს. ვიდრე კლერი საუზმეს მორჩებოდა, ტესი ადგა და კლერის საცოდავი საკნისაკენ გაეშურა, რომელიც ბუნაგს თუ უფრო არწივის ბუდეს მიაგავდა. უნდოდა, ერთხელ კიდევ შეეხედა შიგ. კიბეები აათავა და ღია კარის წინ შედგა. ყურადღებით მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა, მერე ზღურბლზე დაიხარა, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ ასეთი მღელვარებით შესჩარა თავისი ბარათი. ხალიჩა კარის ზღურბლს ეხებოდა, ბოლოდან კი მისი კონვერტის ყური მოჩანდა, სიჩქარეში ტესს წერილი ხალიჩის ქვეშ შეედო, გულშემოყრილმა ტესმა ხელი დასტაცა კონვერტს.

წერილი გაუხსნელი იყო.

— ტვირთი კვლავ მხრებზე ჩამოაწვა ტესს. ახლა, როცა სახლში ასეთი გაცხარებული მზადება იყო გაჩაღებული ქორწილისათვის, ქალი ვერაფრით ვეღარ გადასცემდა კლერს წერილს, ტესი თავის ოთახში ჩავიდა და წერილი შუაზე გადახია.

კლერი შეშფოთდა, როცა მიტკლისფრად ქცეული ტესი დაინახა. ვითომ ამ ავბედითმა წერილმა შეუშალა ხელი ტესს აღსარება ეთქვა? ქალი გრძნობდა, რომ ეს საბაბი იყო მხოლოდ, დრო კიდევაა! ირგვლივ ფუსფუსი და მზადება იყო. უნდა ჩაიცვას, ფერმერი კრიკი და მისი მეუღლე მეჯვარეებად არიან მიწვეულნი ეკლესიაში. რაღა დროს ფიქრი და ახსნა-განმარტებაა. ტესი მხოლოდ ერთი, ერთადერთი წუთით გადაეყარა კლერს კიბის თავზე და ეგ იყო სულ.

— როგორ მინდა შენთან ლაპარაკი! მინდა აღსარება გითხრა, ჩემი შეცოდებები და შეცდომები გაგანდო, — უთხრა ტესმა ვითომ

უდარდელად.

— არა, არა, შეცოდებები არ გამაგონო, საყვარელო, დღეს შენ სრულქმნილი და სრულყოფილი უნდა იყო! — შესძახა კლერმა, — მერეც გვექნება საკუთარ შეცდომებზე ლაპარაკის დრო. მეც გეტყვი ჩემსას, არ დაგიმალავ.

— მირჩევნია, ახლა გითხრა, ახლა გაგანდო, რომ მერე შენ...

— კეთილი, ჩემო დონ-კიხოტო, აი წავალთ ერთად და შენც ყველაფერს მიამბობ, მხოლოდ ახლა ამის დრო არ არის. ხომ გითხარი, თავის დროზე მეც მოგიყვები-მეთქი ყველაფერს. არა ღირს დღევანდელი დღის გაფუჭება სამაგისოდ. სხვა დროს, ერთ ღრუბლიან დარში გავირთობთ თავს მაგით.

— მაშ, ნამდვილად არ გსურს მომისმინო, ძვირფასო? — არა. ტეს...

დრო აღარ ითმენდა. ეკლესიაში წასვლის საათმა მოატანა; მოსამზადებლები იყვნენ. კლერის სიტყვებმა ოდნავ სიმშვიდე მაინც მოჰგვარა ტესს. რაღაც ორიოდე საათში რომელიც წასვლამდე დარჩა ტესს ფიქრის დრო და თავი აღარ ჰქონია.. მთლიანად შეიპყრო კლერის მიმართ თბილმა და ნაზმა გრძნობამ. ერთადერთმა სურვილმა გამოიყვანა მდგომარეობიდან, თუმცა კი დიდი ხანია ებრძოდა მას. სურვილმა, გამხდარიყო მისი, ეწოდებინა მისთვის თავისი, თავისი ბატონი. მერე კი, თუ საჭირო გახდებოდა, მომკვდარიყო კიდეც მისთვის. ტესი იცვამდა და ლივლივებდა ნაირფერი ოცნების ღრუბლებში, რომელთა ციმციმში მთლიანად ინთქმებოდა შავბნელი ფიქრები.

ეკლესია შორს იყო, ფეხით ვერ წავიდოდნენ, მით უფრო, რომ ზამთრის სუსხი იდგა. უახლოესი ბაკიდან დახურული ეტლი იქირავეს, რომელიც ჯერ კიდევ საფოსტო დილიჟანსების დროიდან „შემორჩენილიყო აქ. ეტლს დიდი ბორბლები, მძიმე მარგილები, ვებერთელა მოხრილი ძარა, ბლომად ღვედები და რესორები ჰქონდა. ხელნა ურნალს მიუგავდა. მეეტლე სამოციოდე წლის დარბაისელი „ყმაწვილი“ გახლდათ. ნიკრისის ქარების მსხვერპლს ეს სენი შორეულ ახალგაზრდობაში შეეძინა და ახლა მაგარ-მაგარი სასმელებით ებრძოდა. ოცდახუთი წელი გასულიყო, რაც პროფესიონალი მეეტლე აღარ გახლდათ. მთელი ეს ოცდახუთი წელი უქმად გაეტარებინა სასტუმროს კარის წინ, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ დაბრუნდებოდა ის ძველი კარგი დრო. მარჯვენა ფეხზე მოუშუშებელი იარა ჰქონდა. ჯერ კიდევ კესტერბრიჯში — „ოქროს გერბში“ ხან-

გრძლივი მუშაობის დროს არისტოკრატული ეტლების ხელნაზე ნიადაგ ხახუნისაგან გასჩენოდა.

— ამ ვეებერთელა ჭრიალა ეტლში ჩაბრძანდა სიძე-პატარძალი. დაჩაჩანაკებული მეეტლე და მისტერ და მისის კრიკები. ძალიან უნდოდა ენჯელს, ერთი რომელიმე მისი ძმათაგანი ყოფილიყო მეჯვარე, მაგრამ მის წერილს, რომელშიც ფრთხილად გადაუკრა სიტყვა, დუმილით უპასუხეს, რაც მისი უტყუარი ნიშანი იყო, რომ არა ნებავდათ ჩამობრძანება. მათ არ მოსწონდათ ეს ქორწინება და არც მალავდნენ ამას. იქნებ უმჯობესიც კი იყო, რომ არ ჩამოვიდნენ. ისინი არ იყვნენ მაღალი წრის არისტოკრატები, მაგრამ უდავოდ, თავად ქორწინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფერმის მცხოვრებლებთან ურთიერთობა შეურაცხყოფდა მათ ფაქიზ გრძნობებს.

ბედნიერი წუთების მოახლოებით აღელვებულმა ტესმა არა უწყოდა რა ამის შესახებ, ირგვლივ ვერაფერს არჩევდა, ისიც კი არ იცოდა, რა გზით მიდიოდნენ ეკლესიაში.

ტესი გრძნობდა, რომ ენჯელი მის გვერდით იყო, სხვა დანარჩენი კი სხივმოსილ ბურუსში იძირებოდა. იგი იმ არამიწიერ, ჰაეროვან არსებად, პოეზიით შექმნილ ერთ იმ კლასიკურ ქალღმერთად ქცეულიყო, რომელზედაც კლერი უამბობდა ხოლმე სეირნობის დროს.

რაკი გამოცხადება არ ყოფილა, ეკლესიაში სულ ათიოდე კაცი იყო, გინდა ათასი ყოფილიყო, ტესისათვის სულერთი იყო მაინც, ასტრონომიული მანძილი აცილებდა იქ მყოფთ იმ სამყაროსაგან, რომელშიც ახლა ტესი იმყოფებოდა. იმ აღმაფრთოვანებელ საზეიმო აღთქმასთან შედარებით ტესმა რომ სატრფოს ერთგულება შეჰფიცა, ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები ქარაფშუტობად ესახებოდა, ღვთისმსახურების დროს მცირე შესვენებისას, როდესაც სიძე-პატარძალმა მუხლი მოიყარა, ტესი უნებურად გადაიხარა ენჯელისაკენ, ქალის მხარი ვაჟის ხელს შეეხო, თავში გაელვებულმა აზრმა შეაკრთო და უნებურად ჩაიდინა ეს; უნდოდა დარწმუნებულიყო მის სიახლოვეში, უფრო დაბეჯითებით სცოდნოდა, რომ კლერის ერთგულება ყოველგვარ გამოცდას გაუძლებდა.

კლერმა იცოდა, რომ ტესს უყვარდა, — სიყვარული ასულდგმულებდა მის არსებას, მაგრამ არ უწყოდა, რაოდენ ღრმა იყო მისი გრძნობები რაოდენ თავგანწირული, არ უწყოდა, რომ იგი ერთგულების, მოთმინებისა და უსაზღვრო თავდადების საწინდარი იყო, — როდესაც ეკლესიიდან გამოდიოდნენ ზარებმა ჩამოჰკრეს. სამად სამი ნოტი გაისმა ზარების გუგუნში. ჩანს ეკლესიის აღმშენებლებს სავსებით საკმარისად მიუჩნევიათ ნოტების ეს რაოდენობა იმ პატარა სამწყსოს სიხარულის გამოსახატავად, რომლის მიწაწყალზედაც

იგი იყო აღმართული. სამრეკლოს გვერდით ჭიშკრისაკენ გაჭრილ ბილიკზე მომავალი ტესი გრძნობდა, როგორ გუგუნებდა მთრთოლვარე ჰაერი და ჰარმონიულად ერწყმოდა იმ დაძაბულ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც ახლა იყო.

ტესს ეჩვენებოდა, რომ წმინდა იოანეს მიერ ხილული ანეგლოზივით, შუქით იყო გაცისკროვნებული, და ამ აღფრთოვანებამ მანამ არ გაუარა, ვიდრე არ მიწყდა ზარების გუგუნი და არ გაუნელდა საქორწინო ადათ-წესების აღსრულებით აღძრული მღელვარება. ახლა წვრილმანებსაც ამჩნევდა უკვე. მისტერ და მისის კრიკი ფერმიდან გამოგზავნილი ორთვალათი მოდიოდნენ, ეტლი კი ახლად დაქორწინებულებს დაუთმეს. ტესმა ახლაღა მიაქცია ყურადღება ამ უზარმაზარ ეტლს. იჯდა მდუმარედ და დიდხანს დაკვირვებით ათვალიერებდა.

— თითქოს მოიწყინე ტეს, — უთხრა კლერმა.

— ჰო, — შუბლზე ხელი მიიდო ტესმა.

— ათასი რაღაც მაშინებს. ყველაფერი ეს ისეთი მნიშვნელოვანია, ენჯელ ასე მგონია, ეს კარეტა სადღაც მინახავს-მეთქი. რა საოცარია, სიზმარში ვნახე?

ალბათ დ'ერბერვილების კარეტის ლეგენდა გაგიგონია და ის გახსოვს, ეს გადმოცემა მთელ საგრაფოში იყო გავრცელებული და შენს ოჯახსაც შეეხება, — როცა თქვენი წინაპრების სახელი ქუხდა და ლეგენდა გაგახსენდა უთუოდ, ამ დანჯღრეულ ეტლს რომ შეხედე.

— არ ვიცი. არასოდეს მომიკრავს ყური მაგ ამბისათვის, — იუარა ტესმა, — რა ლეგენდა? მიამბე.

— არ მინდა ამ ლეგენდის დაწვრილებით მოყოლა ახლა. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში ვინმე დ'ერბერვილს თავის საგვარეულო კარეტაში საშინელი ბოროტება ჩაუდენია და მას შემდეგ თურმე ამ გვარის შვილებს მუდამ ეჩვენებათ კარეტა, როგორც კი... თუმცა არ გინდა; სხვა დროს გიამბობ, სევდის მომგვრელი ამბავია. ალბათ რაღაც გაგიგია და ახლა ბუნდოვნად გაგახსენდა ამ კარეტის დანახვაზე.

— არა მგონია, ოდესმე გამეგონოს, — წაიჩურჩულა ტესმა, — სიკვდილის წინ ეჩვენებათ ეს კარეტა ჩემი ოჯახის ხალხს თუ, როცა დანაშაულს ჩავდივართ რასმე?

— ნუ, ტეს! — ენჯელის ამბორმა გააწყვეტინა სიტყვა ტესს.

სასოწარკვეთილი მობრუნდა შინ ტესი. სინდისის ქენჯნა არ ასვენებდა. დიახ, ის ახლა მისის ენჯელ კლერი გახლდათ, მაგრამ ჰქონდა კი ამ სახელის ტარების უფლება? უფრო სწორი ხომ არ იქ-

ნება, მისის ალექსანდრ დ'ერბერვილი ერქვას? უსაზღვრო სიყვარული განა ამართლებს იმ დუმილს, რომელსაც პატიოსანმა სულებმა დანაშაულებრივი დუმილი შეიძლება უწოდონ. ტესმა არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ქალი ასეთ დროს და არც არავინ იყო, რჩევა ეკითხა.

ტესი უკანასკნელად შევიდა თავის ოთახში, მცრე ხნით მარტო დარჩენილი მუხლებზე დაემხო და მხურვალე ლოცვას მოჰყვა. უნდოდა ღმერთს შევედრებოდა, უფრო კი ქმარს შესთხოვდა. ისე აღმერთებდა ამ კაცს, ეშინოდა კიდეც, ავს არაფერს მოასწავებდესო. ტესი თითქოს გრძნობდა, როგორც ბერი ლორენცო ამბობდა, რომ „ასეთთა ვნებათ ბოლო საზარელი აქვთ“. იქნებ ეს მეტისმეტი თავზეხელაღებულობაა ადამიანური ბუნებისათვის — მეტისმეტი სიშმაგეა, უგუნურებაა და მომაკვდინებელია.

— ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო, რად მიყვარხარ ეგრე? — ჩურჩულებდა ტესი, — იგი ვინაც შენ გიყვარს მე არა ვარ, სხვაა ჩემს სახებაში.

— იგია როგორიც მე შეიძლებოდა ვყოფილიყავი!

შუადღე წამოვიდა და მათი გამგზავრების საათიც მოახლოვდა. გადაწყვეტილი ჰქონდათ აღესრულებინათ წინასწარი ჩანაფიქრი და რამდენიმე დღით ბინა დაედოთ უელბრიჯის წისქვილის მახლობლად, ძველ ფერმაში, სადაც კლერი მეწისქვილეობის შესწავლას აპირებდა. ორი საათისათვის უკვე მზად იყვნენ და გამგზავრების მეტი აღარაფერი დარჩენოდათ. ფერმის მუშები ყველანი წითელი აგურის პარმაღთან შეჯგუფულიყვნენ. ფერმერმა და მისმა ცოლმა ჭიშკრამდე მიაცილეს ახლადდაქორწინებულები. კედელთან ტესის სამ მეგობარს თავი ჩაეღუნა და დაფიქრებული იდგა. ტესს ეჭვი ღრღნიდა, ვაითუ არ მოვიდნენ, არ გამომემშვიდობონო, მაგრამ ბოლომდე შეუდრეკელი და ერთგული გოგონები აქ იყვნენ. ტესმა იცოდა, რატომაც ჩანდა პატარა რეტი ასე სუსტი და უნიათო, იზი — ასეთი სევდიანი, ხოლო მერიენი — დაბნეული და დარცხვენილი, მჭმუნვარე მეგობრების დანახვაზე ტესს საკუთარი დარდი გადაავიწყდა და უნებურად გადაუჩურჩულა ქმარს:

— არ აკოცებ საწყალ გოგონებს პირველად და უკანასკნელად?

კლერს უარი არ უთქვამს, რაკი ყოველივეს საჭირო ფორმალობად თვლიდა. სამივეს სათითაოდ ჩამოუარა, აკოცა და დაემშვიდობა. ტესს ქალურმა ცნობისმოყვარეობამ სძლია, კარებში შემოტრიალდა, აინტერესებდა როგორ იმოქმედა გოგონებზე სიბრალულით ნაბოძებმა კოცნამ, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარ-

ჯვების ცეცხლი არ უელავდა თვალებში, რომ ჰქონოდა კიდეც ალბათ მაშინვე ჩაუქრებოდა აღელვებული და აწრიალებული გოგონების დანახვაზე. კოცნა აშკარა ბოროტება აღმოჩნდა. გოგონებს კვლავაც გაუღვივა გრძნობა, რომლის ჩაკვლასაც ისინი ასე ცდილობდნენ.

კლერი არაფერს უწყოდა ჭიშკართან ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი ფერმერსა და მის მეუღლეს და ერთხელ კიდევ შესწირა მადლი ყურადღებისათვის: გამგზავრების წინ წუთით დუმილი ჩამოვარდა. მამლის ყივილმა დაარღვია სიჩუმე. ვარდისფერ ბიბილოიანი თეთრი მამალი სახლის წინ, მათგან რამდენიმე იარდზე, ღობეზე შემომჯდარიყო, ყივილი ზარის რეკვასავით შეიჭრა ყურებში და ერთბაშად დადუმდა, თითქოს მთებით შემოჯარულ ველზე ექო გაისმისო.

— უჰ! — შესძახა მისის კრიკმა, — ნასადილევს დაიყივლა მამალმა!

ორი კაცი მოფრიალებულ ჭიშკართან იდგა და ფრთები ხელით ეკავათ.

— სასიკეთო ნიშანი არაა.

— გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს, და არ უფიქრია რომ ჭიშკართან შეკრებილი ხალხიც გაიგონებდა მის ნათქვამს.

მამალმა ისევ ააღირა თავი, კლერისაკენ მიატრიალა და ერთიც დაჰყივლა ომახიანად.

— ჰმ! — ჩაიბურდღუნა ფერმერმა.

— რაღაც არ მსიამოვნებს მამლის ყივილი, უთხარი მეეტლეს დაძრას კარეტა, — გადაულაპარაკა ქმარს ტესმა, — აბა, მშვიდობით, მშვიდობით!

მამალმა კვლავ შეჰყივლა.

— აქშა! დაიკარგე აქედან, სანამ კისერი არ წამიწყვეტია შენთვის?

შეუტია ფერმერმა მამალს და იქით გააგდო.

— რაღა მაინცადამაინც დღეს მოუნდა ნასადილევზე ჩხავილი ამ მამალსაც, — უთხრა შინ შესულმა ცოლს.

— მთელი წელიწადია, ნასადილევს მაგის ყივილი არ გამიგონია.

ამინდი შეიცვლება ალბათ, — მიუგო ცოლმა.

— ცუდს რატომ ფიქრობ მაინცდამაინც. ეგ არ მოხდება, რასაც შენ ფიქრობ!

XXXIV

რამდენიმე მილი უელბრიჯამდე ვაკე გზით იარეს ველზე, მერე მხარმარცხნივ გადაუხვიეს ელისაბედის დიდი ხიდისაკენ. იქვე ხიდთან იყო ის სახლიც, სადაც მათ ბინა იქირავეს. ვისაც კი ოდესმე ფრუმის ველზე გადაუვლია ყველა იცნობდა ამ სახლს გარედან. ოდესღაც იგი დიდებული ციხე-დარბაზის ნაწილი ყოფილა და ერთ-ერთი დ'ერბერვილის საკუთრებას შეადგენდა თურმე. მერე კი ეს ნახევრად მინგრეული ციხე-დარბაზი ფერმა გადაუქცევიათ.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება თქვენი გვარის ერთ-ერთ საბრძანებელში! — უთხრა კლერმა და ტესი კარეტიდან ჩამოსვა. მაშინვე ინანა ხუმრობა. ნათქვამი ირონიას უფრო მიაგავდა.

ორი ოთახი ჰქონდათ დაქირავებული, მაგრამ ფერმერს შემთხვევით ესარგებლა და საახალწლოდ მეგობრებთან წასულიყო; სახლი მეზობელი ქალისთვის დაეტოვებინა და ეთხოვა, მათაც მოემსახურეო. ასე რომ ახლა მთელი ფერმა მათ განკარგულებაში იყო, ამან დიდად აამა ორივე და პირველი დიდი სიხარული განაცდევინა, — საკუთარი ჭერი გვექნებაო.

— მალე შენიშნა კლერმა — ძველისძველი, ჩამოფხავებული საცხოვრებელი სევდასა და ნაღველს ჰგვრიდა მის მეუღლეს. როგორც კი კარეტა გაისტუმრეს, თავად ზევით ავიდნენ ხელის დასაბანად. მოსამსახურე ქალი გზას უჩვენებდა. კიბის თავზე ტესი შედგა, შეაჟრჟოლა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა კლერმა.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელი ქალები არიან, როგორ შემაშინეს! — უპასუხა ტესმა ღიმილით.

კლერმა თავი ასწია. ქვის კედელში პანელებზე კაცის სიმაღლის ორი პორტრეტი ეკიდა. როგორც ცნობილი იყო ამ ძველისძველი სახლის ყველა მნახველისათვის, შეუძლებელი იყო დაახლოებით ორი საუკუნის წინათ დახატულ პორტრეტებზე გამოსახული ორი შუახნის ქალის სახეების დავიწყება, თუ ერთხელ მაინც მოკრავდით თვალს. ერთი მათგანის წაწვეტებული ნაკვთები, ჭრუტა თვალები და ღიმილი, რომელიც მისი პატრონის უადამიანობასა და ვერაგობაზე მეტყველებდა, ძილშიაც არ მოასვენებდა კაცს, ისევე, როგორც მეორის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი, წაგრძელებული კბილები, უტიფარი, ზვიადი და ბოროტი გამოხედვა.

— ვისი სურათებია? — ჰკითხა კლერმა მსახურ ქალს.

— დროული ხალხი ამბობს: ამ ციხე-დარბაზის მფლობელი დ'ერბერვილების გვარის ქალები არიანო, — მიუგო მან, — ჩამოღება არ შეიძლება, ისეა კედელში დატანებული.

სურათებმა სული დაუმძიმა ტესს, ეს მით უფრო უსიამოვნო იყო,

რომ მისი სახის თხელი ნაკვთები აშკარად ჩამოგავდა მათ მკაცრ, გამოკვეთილ სახეებს. კლერს ხმა არ ამოუღია, გულში კი ინანა, რომ ამ სახლზე შეაჩერა არჩევანი თაფლობისთვის გასატარებლად. ოთახში შევიდა. მათ მისაღებად არავინ მომზადებულა, ამიტომაც ერთ ტაშტში დაიბანეს ხელი. კლერის თითები წყალში ტესის ხელებს შეეხო.

— აბა, თუ გამოიცნობ რომელია ჩემი თითები და რომელი შენი? სულ აირია ერთმანეთში, — უთხრა კლერმა და მზერა მიაპყრო ტესს.

— ყველა შენია, — ნაზად მიუგო ტესმა და შეეცადა გამხიარულებულიყო.

. ფიქრიანი იყო ტესი, მაგრამ კლერს ეს არ აწუხებდა. ასეთ დღეს ალბათ მხოლოდ ქარაფშუტა ქალი არ იქნებოდა ფიქრიანი. ტესი კი გრძნობდა, რომ მეტისმეტი მოსდიოდა და ცდილობდა ყოველნაირად შებრძოლებოდა თავს.

ძველი წლის ამ უკანასკნელ ნაშუადღევს მზე დაბლა დაშვებულიყო ჰორიზონტზე, მისი სხივები პატარა სარკმელში შემოჭრილიყო და კვერთხივით გართხმულიყო იატაკზე. ლაქად დასცემოდა ტესის კაბას და აეფერადებინა იგი. ისინი სასტუმრო ოთახში გავიდნენ და პირველ ლად შეექცნენ ჩაის მარტონი. ორივეს მოსწონდა ბავშვური თამაში, — უფრო კი კლერს. გადაუდებდა თვის ბუტერბროდს ტესს თეფშზე, — აცილებდა ტუჩებით ნამცეცებს ტესის ტუჩებს, უხაროდა და ცოტა არ იყოს, უკვირდა, რომ ცელქობა მას უფრო ართობდა ვიდრე ტესს.

დადუმებული უცქეროდა სახეში ტესს და ბოლოს თითქოს მიაგნო რთული აზრის გამოხატვის გზასო. „იგი ჩემია — ჩემი ძვირფასი, უძვირფასესი ტესია. მერედა შეგნებული კი მაქვს, რომ ამ პატარა ქალმა ამიერიდან უნდა გაიზიაროს ჩემი ბედი, ჩემი კარგიცა და ავიც. საეჭვოა. მე რომ ქალი ვყოფილიყავი, მაშინ ალბათ უფრო გასაგები იქნებოდა ჩემთვის. ისიც ისაა, რაც მე. რაც ვიქნები მე, ის უნდა გახდეს იგიც. ის, რაც მიუღწეველი იქნება ჩემთვის, მიუღწეველი დარჩება ტესისთვისაც. ნუთუ ოდესმე უგულებელვყოფ, ვაწყენინებ, ან უყურადღებოდ მოვექცევი? ღმერთო, დამიფარე ასეთი ბოროტმოქმედებისაგან.

ისინი კვლავ მაგიდას უსხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. ფერმერი დაპირდა, დღის შუქზე მოგაწვდით ბარგსო. დაბინდდა, ბარგი მაინც არსად ჩანდა. თავად ცარიელ-ტარიელი ჩამოვიდნენ; მზის ჩასვლის შემდეგ ზამთრის მშვიდი საღამო აირია. ამინდი შეიცვალა, კარს იქით აბრეშუმის შარიშურის მსგავსი შრიალი გაისმა. მიწაზე დაცვენილი შემოდგომის მკვდარი ფოთლები, თითქოს გაცოცხლდენო,

აბუზღუნდნენ, უწადინოდ დატრიალდნენ ჰაერში და დარაბებს მოაწყდნენ; ცოტაც და, წვიმა წამოასხა.

— ხედავ, მამალმა იცოდა, რომ ამინდი შეიცვლებოდა, — თქვა კლერმა.

მოსამსახურე ქალი ღამის გასათევად შინ წავიდა. წასვლამდე სანთლები შემოეტანა და მაგიდაზე დაედგა. სანთლები აანთეს. ცეცხლოვანი ენები ბუხრისკენ გაიწელა.

— ამ ძველ სასახლეში ყოველთვის ქშუილით უბერავს ქარი, — განაგრძობდა ენჯელი და სანთლის მოპარპალე ალსა და ჩამოღვენთილ ქონს შესცქეროდა.

— საოცარია, სად არის ამდენ ხანს ჩვენი ბარგი, რად არ მოაქვთ? სავარცხელი და ჯაგრისიც კი არ გამოვაყოლეთ ხელს.

— არ ვიცი, — მიუგო დაბნეულმა ტესმა.

ტეს, დღეს ძალიან მოიწყინე, ვეღარა გცნობ. ამ ბებერი კუდიანების სურათებმა მაინც სულ მოგიშხამეს გუნება. ნეტავ არ მომეყვანე აქ. ბოლოს და ბოლოს ეჭვიც კი მეპარება შენს სიყვარულში.

— განა კლერმა არ იცოდა, როგორ უყვარდა ტესს! მაგრამ გახუმრება უნდოდა. ისედაც აღელვებულ ქალს ამ სიტყვების გაგონებაზე დაჭრილი ირემივით შეაჟრჟოლა. არ უნდოდა ატირებულიყო, მაგრამ თვალებზე კურცხლები მოადგა.

— გაგეხუმრე, განა მართლა გითხარი! — მაშინვე ინანა კლერმა თავისი ნათქვამი, — განა არ ვიცი ბარგი რომ არ მოგიტანეს, იმიტომ ხარ ცუდ ხასიათზე. ვერ გამიგია, სად დაიკარგა ეს გადაყრუებული ჯონათანი? უკვე შვიდი საათია. აა, აგერ, მოდის!

კარზე დააკაკუნეს. კარის გამღები სხვა არავინ იყო და კლერი გაეშურა გასაღებად. უკან რომ შემობრუნდა, ხელში პატარა ფუთა ეკავა.

— ჯონათანი არ იყო, — უთხრა ტესს.

— როგორ მწყინს! — წამოიძახა ტესმა.

ახლად დაქორწინებულებს ფეხდაფეხ გამოესწროთ ემინსტერიდან ტელბოტეისში საგანგებოდ გამოგზავნილი კაცისათვის, კაცს ფუთა მოჰქონდა თურმე მათთვის. მერე კი პირდაპირ აქეთ გამოუწევია, ნაბრძანები ჰქონდა, საკუთარ ხელში ჩაებარებინა პატრონისათვის. კლერმა ახლოს მიიტანა სანთლის შუქთან ფუთა. ერთი ფუტი სიგრძისა არ იქნებოდა, ტილოში იყო გამოკრული და დალუქული, კლერის მამის ბეჭედი ჰქონდა დასმული, ზედ მისივე ხელით ეწერა მისამართი: „მისის ენჯელ კლერს“.

— ეს შენი პატარა საქორწილო საჩუქარია, ტეს, — უთხრა ენჯელმა და ფუთა გადასცა. როგორი ყურადღებიანები არიან.

ტესი, ცოტა არ იყოს შეკრთა. საყვარელო, შენ გახსენი, ჯობია, — სთხოვა ტესმა და ხელდამწვარივით შეატრიალა ფუთა. ისეთი დიდის ამბით აზის ბეჭედი, რატომღაც არ მინდა მე გავტეხო, შენ გახსენი, შენ!

კლერმა გაარღვია ტილო, შიგ ტარსიკონში გახვეული ყუთი იყო, ზემოდან წერილი და გასაღები ედო. წერილში, რომელიც კლერის სახელზე იყო გამოგზავნილი ეწერა:

ჩემო ძვირფასო შვილო! შეიძლება აღარც კი გახსოვს, მაშინ პატარა ბიჭი იყავი, როცა ნათლიაშენი მისის პიტნი კვდებოდა — საწყალი, დიდი მოუსვენარი და კეთილი ქალი იყო, თავისი ძვირფასეულობის ერთი წილი მე დამიტოვა შენი ცოლის სახელზე თუკი, რა თქმა უნდა, ოდესმე დაქორწინდებოდი, ნიშნად შენი და იმის დიდი სიყვარულისა, ვისაც შენ აირჩევდი. მას შემდგომ ეს ბრილიანტები ჩემ ბანკირთან ინახებოდა. იქნება ამჯერად ცოტა უადგილო იყოს, მაგრამ მე, როგორც ხედავ, მოვალე ვარ გადავცე ეს ნივთები იმას, ვისაც ამიერიდან უფლება აქვს ატაროს იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. აი, რატომ გიგზავნი მათ დაუყოვნებლივ. ვფიქრობ, ეს ნივთები მკაცრად რომ ვთქვათ, ნათლიაშენის ნება-სურვილის თანახმად, საგვარეულო სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს. ამას უკეთ გეტყვის ნათლიაშენის დაწერილი ქაღალდი, რომელიც თან ერთვის ამანათს.

— ბუნდოვნად ვიგონებ, სულ აღარ მახსოვდა, — თქვა კლერმა. ყუთში იდო გულქანდი, სამაჯური, საყურეები და წვრილმანი სამკაულები.

ტესს ჯერ კიდევ თითქოს ეშინოდა მათთვის ხელის შეხება. მერე კი ყუთიდან ამოღებული ბრილიანტებივით აუციმციმდა თვალები.

— ჩემია? — ურწმუნოდ იკითხა მან.

— რა თქმა უნდა, — მიუგო კლერმა.

ენჯელი ბუხარში მოგიზგიზე ალს ჩააცქერდა. როგორ არწმუნებდა ნათლიამისი, მემამულის ცოლი და ერთადერთი და მდიდარი ქალი, ადამიანი, ვისთანაც კი მას ოდესმე ჰქონია საქმე, უხინჯო ცხოვრება გექნებაო. მაშინ თხუთმეტიოდე წლის ბიჭი იყო. ნათლიამ ხომ ბრწყინვალე კარიერაც უწინასწარმეტყველა. ჰოდა, რაკი ასეთი მომავალი ელოდა, სავსებით ბუნებრივი იყო ნატიფი სამკაულები მისი მეუღლის და ვაჟიშვილების მეუღლეებისათვის შემოენახათ. ახლა კი ძვირფასი ქვები თითქოს გამქირდავად ციმციმებდნენ. „რატომაც არა?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს კლერი. ანდერძი პატივმოყვარეობით იყო ნაკარნახევი; ჰოდა, თუკი ერთი მხარე პატივმოყვარე

აღმოჩნდა, ვითომ რატომ არ უნდა მიბაძოს მას მეორემ. მისი მეუღლე დ'ერბერვილთა დიდებული გვარის ნაშიერია, მაშ, თუ იგი არა, ვინღაა ამ სამკაულების ღირსი". ჰოდა, აღფრთოვანებულმა უეცრად წამოიძახა:

— ტეს, გაიკეთე სამკაულები, გაიკეთე! — და შემოტრიალდა, რომ ტესს წაშველებოდა. ..

თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალის ზეგავლენით, ტესს უკვე გაეკეთებინა საყურეები, გულქანდიც, სამაჯურიც — ყველაფერი, რაც ყუთში იდო.

— ეს კაბა აღარ უხდება, ტეს, — თქვა კლერმა, — ასეთ ბრილიანტებს გულამოჭრილი კაბა მიუდგება.

— მართლა? — იკითხა ტესმა.

— ჰო, — მიუგო ენჯელმა.

კლერმა საყელო გადაუკეცა ტესს; აი, ასე უფრო მიაგავს საღამოს კაბასო, ასწავლა. გულქანდი აელვარდა ტესის ბროლის გულმკერდზე. კლერმა უკან დაიხია, რომ დამტკბარიყო მშვენიერი სანახაობით.

— ღმერთო, რა ლამაზი ხარ! — წამოიძახა აღტაცებულმა.

ლამაზი ფრთები ჩიტსაც ალამაზებსო, — ნათქვამია. უბრალო ჩითის კაბიან გლეხის გოგოს თუ ერთს შეხედავს შემთხვევით გზად მიმავალი და გაივლის, თვალს ვერ მოწყვეტს, თუ ხელოვნების მონაპოვრებს გამოვიყენებთ და კეთილშობილი ქალის ტანსაცმელში გამოვაწყობთ. ხოლო თვით ულამაზესი ქალიც, მეჯლისებზე რომ ბრწყინავს, საბრალო შესახედავი იქნება თუ გლეხის კაბას გადავაცმევთ და ჩამოქუფრულ ღრუბლიან ამინდში ბოლოკის კვალში ჩავაყენებთ. კლერმა ახლა პირველად შეაფასა მხატვრის თვალით ტესის სახე და აღნაგობა.

— შენ რომ მეჯლისზე მიგიყვანა!..

— უთხრა კლერმა, — მაგრამ რომ იცოდე, საყვარელო, ყველაზე მეტად მაინც ფარფლებიან ქუდსა და ჩითის კაბაში მომწონხარ. ჰო, უფრო მომწონხარ, ვიდრე ამ სამკაულებში, თუმცა ძალიან კი გიხდება.

ტესმა იცოდა, რომ მომხიბლავი იყო, მღელვარებისაგან წამოენთო კიდეც, მაგრამ ბედნიერი არ იყო მაინც.

— მოვიხსნი, ჯონათანმა არ დამინახოს. არ მიხდება, არა? უნდა გავყიდოთ, მე მგონია.

— მოიცა, არ მოიხსნა! გავყიდოთ? არასოდეს. ეს ხომ განსვენებულის ნების აღუსრულებლობა იქნება.

ტესი წუთით დაფიქრდა და სიამოვნებით დაემორჩილა. მას სათქმელი ჰქონდა და იქნებ ეს ძვირფასი ქვები წაეშველონ ამოღერღოს დაფარული.

ისევ დაიწყეს მკითხაობა, ნეტავ სად წაეხირა ეს ჯონათანი ჩვენი ბარგი-ბარხანიანადო. ჭიქაში ლუდი დაუსხეს, მაგრამ სანამ ჯონათანმა აქამდე მოაღწია, მთელი ქაფი გაუქრა.

მალე პატარა მაგიდაზე გაშლილ ვახშამს მიუსხდნენ. პირში ლუკმის ჩადებაც ვერ მოასწრეს, რომ უეცრად კვამლის ბოლქვები გამოვარდა ბუხრიდან, თითქოს ვიღაც გოლიათმა ხელი დააფარა საკვამურსო. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ ვიღაცამ კარი გააღო შემოსასვლელში, დერეფანში ვიღაცა მძიმედ მოალაჯებდა. ენჯელი ოთახიდან გავიდა.

— რამდენი ვაბრახუნე, ვერ გაგაგონეთ; — მოიბოდიშა დიდი ხნის ნანატრმა ჯონათან კეილმა, — თქეშივით მოდის წვიმა. ძლივს შემოვასწარი. ბარგი მოგიტანეთ სერ.

— კეთილი. რად დაგაგვიანდათ?

— ჰმ... ჰო, სერ.

— ჯონათანს თითქოს ხმა ჩავარდნოდა. ყრუდ ლაპარაკობდა. ისედაც დაღარულ შუბლზე ახალი ნაოჭები დამჩნეოდა.

— თქვენი და თქვენი ქალბატონის სახლა სხვანაირად არ გვეთქმის — წამოსვლა იყო და, — განაგრძო ჯონათანმა, — ფერმაში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. კინაღამ. უბედურება დატრიალდა. თუ გახსოვთ, მამალი ყიოდა ნასადილევს.

— ღმერთო ჩემო! მერე?..

— ზოგმა რა თქვა; ზოგმა რა, ამას მოასწავებსო, იმას მოასწავებსო. ბოლოს ის მოხდა, რომ საბრალო რეტი პრიდლმა კინაღამ თავი დაიხრჩო.

— როგორ, რანაირად? რომ დავემშვიდობეთ ისიც იქ არ იდგა?

— დიახ, როცა თქვენ და თქვენი ქალბატონი, სხვანაირად არ გვეთქმის, ერთად წამობრძანდით, რეტიმ და მერიენმა დაიხურეს ქუდები და შინისაკენ გაემართნენ. ახალწლის წინა დღეა და სამუშაო არ იყო მაინცდამაინც, ჰოდა, თუ ვინმეს წუწუნი და კრუსუნი ეპრიანება, იკრუსუნოს რამდენიც უნდა, თავისუფალია, ვერც ვერავინ დაინახავს. „ლიუ-ევერადისაკენ“ გაუწევიათ, ერთ ჭიქას კი გადაჭკრავს იქ კაცი, მერე ამდგარან და „ჯვარი ხელში“ რომ ჰქვია, აი იმ გზაჯვარედინისაკენ გადაუხვევიათ. იქ კი, ეტყობა, დამშვიდობებიან ერთმანეთს. რეტი სარწყავი მინდვრებისაკენ წასულა; იქაცაა ერთი დუქანი. ამის მერე რეტის ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ერთი მენავე რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. მოდის თურმე ეს მენავე

თავისთვის შინ. ხედავს, რაღაც დევს დიდი გუბის პირზე — რეტის ქუდი და დაკეცილი შალია თურმე. აქ, ამ გუბეში, უნახავს რეტი ამ მენავეს. აუყვანია და ერთ ყმაწვილთან ერთად წამოუღია შინ, მკვდარი ჰგონებია; მერე და მერე თანდათან მოსულა გონზე.

ენჯელს უცებ გაახსენდა, ღია კარიდან ტესი გაიგონებდა ჯონათანის მოტანილ სამწუხარო ამბავს. მოტრიალდა, რომ დერეფნიდან სასტუმრო ოთახში გამავალი კარი გამოეკეტა, მაგრამ მის მეუღლეს შალი მოეხვია, გამოსულიყო და ყურს უგდებდა ბერიკაცის ნაამბობს. თან დაბნეული შესცქეროდა ბარგსა და მასზე აციმციმებულ წვიმის წვეთებს.

— ეგ რა არის, ახლა მერიენს არ იკითხავთ? უგონოდ გალეშილი უპოვიათ ლერწმიანში, არა და თავის დღეში წვეთი სასმელი არ ჩაუკარებია საწყალ გოგოს პირში. ეს იყო ცოტა ლუდს თუ დალევდა ხანდახან. თუმცა, ჭამით კარგა გვარიანი ჭამა კი უყვარს. ზედვე არ ეტყობა! ღმერთმანი, მგონია, ყველა გოგო ჭკუაზე გადავიდა.

— იზი? — იკითხა ტესმა.

— იზს, მოგეხსენებათ, სახლიდან ვერ გამოათრევ. ჰოდა იჯდა თურმე ოთახში თავისთვის. მე კი ვხვდები ყველაფერს, რაც მოხდა და რატომაც მოხდა. საწყალმა იზმაც ჩამოყარა ყურები, ან კი რა გასაკვირია. ეს ამბავი მაინცდამაინც მაშინ ატყდა, როცა ორთვალაზე თქვენ ბარგსა და თქვენი ქალბატონის კაბას ვდებდით. ჰოდა, ამან შემაგვიანა.

— აბა, რა იქნებოდა. ჯონათან, აიტანეთ ეს ბარგი ზევით, ერთი ჭიქა ლუდი გადაჰკარით და წადით. ვინ იცის, როგორ ჭირდებით იქ.

ტესი სასტუმრო ოთახში შებრუნდა, ბუხარს მიუჯდა და დაფიქრებული ჩააშტერდა მოგიზგიზე ცეცხლს. ჯონათან კეილის მძიმე ნაბიჯებს მიუგდო ყური, — კაცს ბარგი აჰქონდა ზევით, — ისიც გაიგონა, როგორ დაეშვა კიბეზე, კლერს მადლი შესწირა ლუდისა და მიღებული გასამრჯელოსათვის. ფეხის ხმა კარებთან მიწყდა. აჭრიალდა და ადგილიდან დაიძრა ოთხთვალა.

ენჯელმა მუხის მძიმე ურდული გადაუგდო კარს და ოთახში შევიდა, ტესი ისევ ბუხართან იჯდა. უკნიდან მიეპარა და ლოყებზე ხელები შემოაჭდო. ტესი ისე ელოდა ბარგს, რომ კლერს ეგონა ახლა წამოხტება, მივარდება და მაშინვე გახსნას დაუწყებსო, მაგრამ ქალი ადგილიდანაც არ დაძრულა. ენჯელი გვერდით მიუჯდა. აგიზგიზებული ცეცხლის ალში ინთქებოდა მაგიდაზე მოციაგე სანთლების შუქი.

— ნეტავი არ მოგესმინა ჯონათანის ნაამბობი — უთხრა კლერმა, მაგრამ ნუ ჩაიდებ გულში დარდს, იზი ხომ ყოველთვის ნაღველის სენით შეპყრობილი ქალი იყო.

— სრულიად უმიზეზოდ, — მიუგო ტესმა, — ისინი კი, ვისაც მართლაც და მწარე ნაღველითა აქვს გული ავსებული, დუმან, ვითომ აქ არაფერიაო.

იზის ამბავმა ტესს საბოლოოდ გადააწყვეტინა გადაუწყვეტელი. ამ გულალალ, უმწიკვლო გოგონებს ცალმხრივი სიყვარული ხვდათ წილად. რატომ, რისთვის, როცა უკეთეს ხვედრს იმსახურებდნენ. თავად უარესის ღირსი იყო, მრავალთა შორის რჩეული კი აღმოჩნდა. განა ცოდვა არ არის მიიღო ყოველი, თავად კი არაფერი გაიღო? არაფერს დაიშურებს, რაც სულს იქით აბადია, უკანასკნელ ფარტინგს გასცემს. დღესვე უამბობ კლერს ყველაფერს.

— ფიქრობდა ტესი და ცეცხლს ჩასცქეროდა. კლერს მისი ხელი ეკავა.

ჩანავლული ნაკვერცხლების თანაბარი შუქი ნათელს ჰფენდა ბუხრის გვერდითა და უკანა კედლებს, გაპრიალებულ ზედადგარსა და სპილენძის ძველებურ საკეცეს. ამ შუქს შეეფარდებინა ბუხრის თახჩის ქვედა მხარე და იქვე მდგარი მაგიდის ფეხები. დაბოლოს იგი ტესის სახესა და ყელს მოჰფენოდა. თითოეული ძვირფასი ქვა ალდებარანად თუ სირიუსად, თეთრი, წითელი თუ მწვანე სინათლეების თანავარსკვლავედად ქცეულიყო თითქოს. ფერები ერთმანეთში გადადიოდა და ელფერს იცვლიდა ტესის ყოველ ამოსუნთქვაზე.

— გახსოვს, დღეს დილით დავთქვით, ჩადენილ ცოდვებზე ვუამბოთ ერთმანეთს-თქო.

— თქვა კლერმა. რაკი შეატყო ტესი განძრევას არ აპირებდა.

— ვითომ ვიხუმრეთ, შენ, რა თქმა უნდა, შეგეძლო გეხუმრა, მაგრამ მე უსაფუძვლოდ როდი ვლაპარაკობდი. აღსარება მინდა გაგანდო, საყვარელო, ბედია, განგების ხელია გარეული ყველაფერში — გაუელვა ტესს კლერის ამ მოულოდნელ წინადადებაზე.

— შენ გაქვს რამე გასანდობი და სათქმელი? — არ დააცალა ტესმა სათქმელი და გახარებულმა ერთბაშად შვება იგრძნო.

— გეგონა, არაფერი მექნებოდა გასანდობი? ძალიან დიდი წარმოდგენისა ყოფილხარ ჩემზე! აბა, მომისმინე... თავი მომაყრდენ. უნდა მაპატიო და არ გამიჯავრდე, რომ ადრე არ გითხარი, თუმცა, გამოგიტყდე, კი უნდა მეთქვა.

ო, საოცრებავ! თითქოს მისი ორეული იყო, ტესი დუმდა, კლერი კი.

განაგრძობდა:

— იმიტომ არ გითხარი, რომ ვერ გავბედე, მეშინოდა, არ დამეკარგე, ჩემო ძვირფასო საუნჯევ, ჩემი ცხოვრების დიპლომო. ჩემმა

ძმამ დიპლომი კოლეჯში მიიღო, მე კი — ტელბოტეისის ფერმაში. არ მინდოდა სასწორზე დამედო ჩემი ბედნიერება. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ თანხმობა რომ მითხარი, მაშინ გადავწყვიტე, მეთქვა აღსარება, და ვერ შევძელი, შემეშინდა, არ შეეჯავრებოდი. რაც შემეძლო ვაგვიანებდი თქმას. ბოლოს, გუშინ გადავწყვიტე, გაგტყდომოდი. გუშინ, როცა ჯერ კიდევ გვიანი არ იყო და შეგეძლო მიგეტოვებინე. და მაინც ვერ გითხარი. ვერც დღეს დილით გითხარი ვერაფერი, თუმცა შენ კი შემომთავაზე კიბეზე აღსარება ვუთხრათ ერთმანეთსო, აი, ხედავ, რა ცოდვილი ვარ. მაგრამ ახლა, რადაც უნდა დამიჯდეს უნდა გითხრა ყველაფერი: ისე ზიხარ ჩემ გვერდით დაფიქრებული, არ შემიძლია არ გითხრა, არ ვიცი, შემინდობ თუ არა.

— ჰო, დარწმუნებული ვარ...

— იმედს ვიქონიებ მაგრამ ჯერ მოიცა ერთი წუთით. შენ არაფერი იცი. თავიდან უნდა გიამბო ყველაფერი, თუმცაღა საბრალო მამაჩემი დიდად წუხს და შიშობს, რომ საკუთარმა რწმენამ მიმსხვერპლა და დამღუპა, მაგრამ მე შენზე ნაკლები ქომაგი როდი ვარ ზნეობისა. ერთ დროს მსურდა ხალხში მემოძღვრა, მექადაგა და ჭკუა მესწავლებინა მათთვის, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ვიგრძენი რომ საკუთარი რწმენა და მსოფლმხედველობა უფლებას არ მაძლევდა მღვდლად შევმდგარიყავი. მე ქედს ვიხრიდი სიწმინდისა და უმანკოების წინაშე, თუმცა არ შემეძლო მისი დაჩემება. მძულდა უზნეობა, ისევე, როგორც ახლა მძაგს იგი. რასაც არ უნდა ფიქრობდეს კაცი ზეგარდმო შთაგონებაზე, მაინც ყველამ უნდა მოაწეროს ხელი პავლეს სიტყვებს: „...არამედ სახე ექმნენ მორწმუნეთა მათ სიტყვათა, სლვითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმინდითა“. ეს ერთადერთი იმედია ჩვენთვის, საბრალო მომაკვდავთათვის. „Integer vitae“[4] ამბობს წმინდა პავლეს უცნობი თანამებრძოლი ერთი რომაელი პოეტი:

ძლიერი კაცი — სიმართლის გზით მტკიცედ რომ მიდის —
უცხოა მისთვის ლახვარი თუ მშვილდი მავრისა.

დიახ, ზოგიერთი გზა კეთილი ზრახვებითაა მოფენილი და მოკირწყლული. ყოველივე ამას მე ღრმად შევიგრძნობდი. ჰოდა, შენ გამიგებ, რა მწარედ ვნანობდი, როდესაც სხვებს კეთილ გზებს ვუსახავდი, თავად კი ვეცემოდი.

კლერმა უამბო ტესს იმ დროის ამბავი, ოდეს ძიებითა და გადაუჭრელი კითხვებით ტანჯული ნაფოტივით აქეთ-იქით აწყდებოდა. მერე ლონდონისაკენ გაეშურა, ჩაეფლო თავაწყვეტილებისა და

4 უბიწო ცხოვრება(ლათ)

გარყვნილების ჭაობში და ორი დღე ზედიზედ ვიღაც უცხო ქალთან გაატარა.

— საბედნიეროდ მალე მოვეგე გონს და შევიცან საკუთარი უგუნურება, — განაგრძობდა კლერი, — მალე შინ ისე გამოვემგზავრე, რომ სიტყვაც არ მითქვამს მისთვის. ის დღე იყო, ის საათი და მსგავსი უმსგავსობა არასოდეს ჩამიდენია. მაგრამ მე მინდოდა სულ მთლად გულახდილი და პირნათელი ვყოფილიყავი შენ წინაშე. ამიტომაც არ შემეძლო დამემალა ყოველი. მაპატიებ, ძვირფასო!

პასუხად ტესმა ხელი მოუჭირა ენჯელს.

— ამიერიდან აღარასოდეს დავუბრუნდებით ასეთ საუბარს. დღესაც მტანჯავდა ეს სათქმელი. მოდი, ახლა სასიამოვნო ამბებზე ვისაუბროთ.

— ო, ენჯელ მე მიხარია... იმიტომ, რომ ახლა უფრო გამიგებ და შემინდობ! მე ჯერ არ მითქვამს ჩემი აღსარება. მეც მაქვს მოსანანიებელი ცოდვები... გახსოვს, გეუბნებოდი?

— ჰო, ჰო, მახსოვს. აბა, მომიყევი ჩემო პატარა ცოდვილო!

— შენ იღიმები, მაგრამ ჩემი ამბავი შენსაზე მეტად თუ არა, ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია.

— უარესი რაღა იქნება, ძვირფასო.

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარესი იყოს! — შესძახა სიხარულით ფრთაშესხმულმა ტესმა და წამოხტა.

— დიახ, ჩემი აღსარება შენს აღსარებაზე უარესი ვერ იქნება! ყური დამიგდე.

ტესი კვლავ დაჯდა.

ხელი ხელს ჰქონდათ გადაჭდობილი. ბუხრის ცხაურს ქვემოთ ცეცხლის ალით განათებული ნაცარი უდაბნოს მწველი მზით გავარვარებულ ქვიშას მიაგავდა. ენჯელის სახესა და ხელებზე დაფენილი ძოწისფერი დაფიონი კაცს ნათლად წარმოადგენინებდა საშინელი სასამართლოს დღეს. შუქი ეცემოდა ტესის თმებსა და შუბლსაც. აფერადებდა მის ნაზ კანს; ტესის უზარმაზარი ჩრდილი ოთახის კედლებსა და ჭერზე გართხმულიყო: ქალი წინ გადაიხარა. ჯოჯოს თვალებივით ბოროტად გაიელვა ბრილიანტებმა. ტესი მიეყრდნო ენჯელის საფეთქელს, თვალები დახარა, ჩურჩულით მაგრამ მტკიცედ გამოთქვამდა სიტყვებს და ყვებოდა ალეკ დ'ერბერვილთან თავისი ნაცნობობისა და მისი ავბედითი შედეგების ამბავს.

მეხუთე ფაზა
მისაგებელი

XXXV

ტესმა დაამთავრა თავისი ამბავი. ზოგი რამ ხელმეორედ დაუმოწმა და განმარტებები მისცა. ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა, სიტყვაც არ დასცდენია თავის გასამართლებლად და ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია.

მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა ამბავი, თითქოს გარემომცველი საგნებიც სახეცვლილებას განიცდიდნენ. ბუხარში მოგიზგიზე ალი თითქოს დემონური ხალისით ანცობდა, სულაც არ ენაღვლებოდა ტესის არც უბედურება, არც ბედნიერება. ბუხრის ცხაური მშვიდად იღიმებოდა. და მაინც არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, რაც კლერი ტესს კოცნიდა.

ტესი გაჩუმდა. მათი ძველი ალერსის გამოძახილიც საჩქაროდ მიიმალნენ ტვინის შორეულ კუნჭულებში. მხოლოდ ექო მოაგონებდათ იმ ხანას, ოდეს ბატონობდა ბეცი სიბრიყვე.

კლერმა ბუხარში ნაცარი გაქექა. ამბავი, რომელიც საკუთარი ყურებით მოისმინა, ჯერ კიდევ მთლიანად არ ჩასწვდომოდა სულის სიღრმემდე. ნაცარს თავი მიანება, წამოდგა. ახლა კი მთელი სიგრძე-სიგანით შეიცნო ტესის აღსარების არსი. სახე მოუბერდა, დაძაბული და ჩაფიქრებული ნერვიულად აბაკუნებდა ფეხს იატაკზე, ყურით გაგონილი და მოსმენილი გულთან ახლოს ვერ მიეტანა, ამიტომაც ვერ ატანდა გონს თავის საქციელს. ბოლოს დაილაპარაკა. მშვიდი ხმა ჰქონდა, ზუსტად ისეთი, ტეს, რომ არაერთხელ გაეგონა ყოველდღიურად.

— ტეს! — გისმენ, საყვარელო!

— ნუთუ ყურებს უნდა დავუჯერო? ისე ლაპარაკობ, თითქოს სიმართლეს ამბობდე. ნუთუ გაგიჟდი? თუმცა, რატომაც არ შეიძლება. არა, შენ შეშლილი არა ხარ... ჩემო ცოლო, ჩემო ტეს! საამისო არაფერი გეტყობა...

— არა ენჯელ, არ გავგიჟებულვარ.

— მიუგო ტესმა.

— და მაინც... კლერმა უგონოდ შეხედა ტესს, თითქოს მოსაზრების უნარი დაუკარგავსო და გვიან, გვიან განაგრძო:

— რად არ მითხარი ადრე? ჰო, თუმცა, კი აპირებდი, მაგრამ მე შეგიშალე ხელი.

მთელი ეს ლაპარაკი უაზრო როშვა იყო მხოლოდ. სული შეძრული ჰქონდა კლერს. ენჯელი მოტრიალდა და სკამზე დაიხარა. ტესი უკან მიჰყვა, შუა ოთახში გაჩერდა, ფართოდ გახელილი თვალებით

შესცქეროდა კლერს სახეში. ცრემლი არ უჩანდა. უეცრად ფეხებში ჩაუვარდა და ოთხად მოიკეცა.

— სიყვარულისთვის, ჩვენი სიყვარულისთვის, შემინდე! — ტუჩები გაშრობოდა, ძლივსღა ჩურჩულებდა, — მე გაპატიე შენ...

ვაჟს ხმა არ ამოუღია და ქალმა კვლავაც გაიმეორა:

— შემინდე ყოველი, როგორც მე შეგინდე შენ! მე ყველაფერი გაპატიე, ენჯელ...

— ჰო, მართალი ხარ... შენ მაპატიე.

— შენ კი არ მაპატიებ?

— ღმერთო ჩემო!? პატიება აქ რა შუაშია, შენ სხვა იყავ და ახლა სულ სხვა ხარ. ღმერთო ჩემო, ტეს, ნუთუ შეიძლება ასეთი მახინჯი, უაზრო გარდაქმნა ეპატიოს ადამიანს?

კლერს ენა დაება, ვიდრე ამ ბოლო სიტყვებს მოისაზრებდა, მერე კი უეცრად ახარხარდა. ძრწოლის მომგვრელი და ჯოჯოხეთური იყო ეს სიცილი.

— ნუ, ნუ იცინი! ეს ბოლოს მომიღებს მე! შემიბრალე, შემიბრალე!

კლერი სამარის ქვასავით დუმდა. ტესს მკვდრის ფერი დასდებოდა. მერე უეცრად ზე წამოიჭრა.

— ენჯელ, ენჯელ! რას ნიშნავს შენი სიცილი? — აღმოხდა მას.

— გესმის, რას ნიშნავს ეგ ჩემთვის?

კლერმა თავი გადააქნია.

— იმედი მქონდა, ვოცნებობდი, ღმერთს შევთხოვდი, რომ ჩემით ბედნიერი ყოფილიყავ, ვფიქრობდი, რა სიხარული იქნებოდა ჩემთვის, თუკი შევძლებდი და ბედნიერებას მოგანიჭებდი, და რა უღირსი მეუღლე კი ვიქნებოდი თუ ვერ შევძლებდი ამას! აი, რას ვფიქრობდი, ენჯელ!

— ვიცი.

— მეგონა, გიყვარდი, მე გიყვარდი, მე! მაშ, თუ არ გიყვარვარ, როგორღა მიყურებ ასე, როგორღა ლაპარაკობ ასე. მეშინია. მე შენ შეგიყვარე, სამუდამოდ შეგიყვარე, როგორადაც არ უნდა შეიცვალო, როგორადაც არ უნდა დამცირდე, იმიტომ, რომ შენ — შენა ხარ! და მეტი არც არა მინდა რა. როგორღა შეგიძლია შენ, ჩემო ქმარო, აღარ გიყვარდე?

— გითხარი და კვლავაც გიმეორებ: ქალი, რომელიც მიყვარდა, შენ არა ხარ.

— მაშ, ვინა ვარ.

— სხვა ქალი ვიღაც, შენს საფარქვეშ.

ახლა კი მიხვდა ტესი, რომ წინათგრძნობა აუხდა. კლერს უბიწოების ნიღბით შეფარული ცრუ და ბილწი ჰგონია იგი. მიხვდა ტესი

და შეძრწუნებულს გაფითრებული სახე სულ მთლად დაეღარა. ლოყები ჩაუცვივდა, პირი დააღო. კლერის სიმკაცრემ გააოგნა იგი, ტესი შებორძიკდა, კლერმა მისკენ წაიწია და ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო.

— დაჯექი, დაჯექი, — ლმობიერად უთხრა კლერმა, — შენ ავადა ხარ, ანკი რა გასაკვირია.

ტესი ჩამოჯდა. გონს ვერ მოსულიყო სად იყო, სახე გაუქვავდა, ისე გადახედა კლერს, თითქოს ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანში.

— მაშ, ამიერიდან შენი აღარა ვარ, ენჯელ! — უმწეოდ იკითხა ტესმა.

„შენ კი არა, სხვა მიყვარდა შენში, — ის ქალი კი შენა ggავდა“.

— გაიმეორა გონებაში ტესმა კლერის ნათქვამი: შეურაცხყოფის გრძნობით შეპყრობილს შეებრალა საკუთარი თავი. თვალები ცრემლებით აევსო, ოდეს საკუთარი მდგომარეობა წარმოიდგინა. შეტრიალდა და მწარედ აქვითინდა.

— ღმერთო, რა შესაბრალია, რა საცოდავი! —

ქალის ტირილმა ცოტა არ იყოს, სიმშვიდე მოჰგვარა კლერს. შთაბეჭდილებამ, რომელიც მომხდარის გამო შეექმნა ტესზე, საშინელ აღმოჩენასავით შეაძრწუნა კლერი. იგი მოთმინებით, გულგრილად დაელოდა, ვიდრე ტესს სასოწარკვეთილების პირველი შეტევა გაუვლიდა. მოზღვავებული ცრემლები და ქვითინი სლუკუნით შეეცვალა.

— ენჯელ, — უთხრა ბოლოს არა რაღაც არაბუნებრივი, მშრალი ხმით, როგორც აქამდე ელაპარაკებოდა, არამედ, მისთვის ჩვეული ტონით, — მე ისეთი ცუდი ვარ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება?

— არ შემიძლია ახლა იმის თქმა, როგორ ვიცხოვრებთ ჩვენ.

— ენჯელ, მე არა გთხოვ, ერთად ვიცხოვროთ-მეთქი, არა მაქვს ამის უფლება. მინდოდა დედისა და დებისთვის ჩვენი ქორწინების ამბავი მიმეწერა. ახლა აღარ მივწერ. აღარც ამ ნაქარგს დავამთავრებ, დაწყებული რომ მქონდა.

— არ დაამთავრებ?

— არა არაფერსაც არ გავაკეთებ, თუ შენ არ მიბრძანებ, თუ აქედან გაემგზავრები, მე არ გამოგყვები. ხმაც რომ არ გამცე, არ გკითხავ რატომ არ მელაპარაკები-მეთქი, თუ თავად არ მომცემ ამის უფლებას.

— რომ გიბრძანო, აი, ესა და ეს გააკეთე-მეთქი, მაგალითად?

— შენი ყურმოჭრილი მონა-მორჩილი ვიქნები, გინდაც მიბრძანო მოკვდიო, ერთს არ დავიკვნესებ, ისე მოვკვდები.

— ძალიან კეთილი ხარ. საოცარია მხოლოდ რომ შენი ასეთი თავგანწირვა ასე არ შეესაბამება თავის შენახვის შენს ძველ ინსტინქტს.

ეს იყო პირველი მტრულად წარმოთქმული სიტყვები. ასეთი სარკასტული შენიშვნები ტესზე ისევე მოქმედებდა, როგორც ძაღლსა და კატაზე. ეს სიტყვები სათანადოდ ვერ შეაფასა ტესმა. მტრულ ბგერებად აღიქვა იგი. ბგერები იმას მოასწავებდნენ, რომ რისხვა არ დამცხრალიყო ჯერ კიდევ. ტესი დუმდა, ეჭვითაც არ იცოდა, როგორ ცდილობდა კლერი ჩაეხშო გულში ტესის სიყვარული. არც ცრემლები დაუნახავს, ნელა რომ ჩამოუგორდა ლოყებზე, ისეთი მსხვილი კურცხლები, რომ მიკროსკოპის ობიექტივივით ადიდებდნენ იმ კანის ფორებს, რომლებზედაც მოგორავდნენ. კლერმა შეიგრძნო, რა საშინელებად აქცია, რა თავდაყირა დააყენა მისი ცხოვრება ტესის აღსარებამ. უსასოოდ ცდილობდა შეგუებოდა ახალ პირობებს. რაღაც უნდოდა ეღონა, მაგრამ რა?

— ტეს, — ამოღერღა ბოლოს, ცდილობდა ალერსით ელაპარაკა, — მე ვერ დავრჩები... აქ, ახლა, ამ ოთახში, გავივლი ჰაერზე.

კლერი უხმოდ გავიდა ოთახიდან. ღვინით სავსე ორი ჭიქა, რომელიც ენჯელმა ვახშმად აავსო, ხელუხლებელი დარჩა. აი, როგორ დამთავრდა მათი ტრფიალება. ორი თუ სამი საათის წინ კი, სიყვარულით სვამდნენ ჩაის ერთი ფინჯნიდან.

წყნარად გაიხურა კლერმა კარი. კარის მორიდებულმა ჭრიალმა გამოაფხიზლა გარინდებული ტესი. კლერი წავიდა. მას რაღა უნდა შინ! ნაჩქარევად წამოიცვა მოსასხამი, სანთლები ჩააქრო, თითქოს აღარასოდეს აპირებს დაბრუნებასო, გამოაღო კარი და უკან გაჰყვა. წვიმას გადაეღო, ნათელი ღამე იდგა.

ტესი მალე წამოეწია ენჯელს. კლერი მძიმედ მიაბიჯებდა, სად — თავადაც არ უწყოდა. ტესის გვერდით კლერი რაღაც ბნელი, ავსული და უსანდომო ჩანდა. ტესს სამკაულების მოხსნა დავიწყებოდა, როგორი სიამაყე მოჰგვარა ამ სამკაულებმა. სულ რაღაც ორიოდე წუთით ამ ცოტა ხნის წინ!

ფეხის ხმაზე კლერმა უკან მოიხედა. თითქოს არც დაუნახავსო, ქალის სიახლოვეს არაფერი შეუცვლია. კვლავაც განაგრძო გზა სახლის წინ გადაჭიმულ გრძელ ხიდზე, რომელსაც ხუთი პირდაღებული თაღი გადადგომოდა თავს. ძროხებისა და ცხენების ნაფეხურებში წყალი იდგა, — წვიმას ამოევსო ორმოები, წაშლით კი ვერ წაეშალა. ტესი მიდიოდა და პაწია გუბურებში აკიაფებულ ვარსკვლავებს თვალს აყოლებდა.

ის ადგილი, სადაც ტესი და კლერი დღეს ჩამოვიდნენ, იმავე ველზე მდებარეობდა, რომელზეც ტელბოტეისი, ოღონდ რამდენიმე მილით უფრო ახლოს იყო მდინარისპირა დაბლობისაკენ. ამ გაშლილ ადგილზე ტესი თვალთახედვიდან არ კარგავდა კლერს, გზა სახლს იქით მინდვრებზე გადადიოდა. ამ გზას ადგა ტესი, უკან მისდევდა ენჯელს. არც მიახლოებას აპირებდა, არც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. უტყვი მორჩილებით მიაბიჯებდა თავისთვის.

მოულოდნელად მაინც მის გვერდით აღმოჩნდა; კლერს სიტყვა არ წამოცდენია. მწარედ მოტყუებული და გაცურებული კაცი მეტისმეტად მკაცრია ხოლმე ზოგჯერ, როდესაც ახვეულ თვალებს აუხელენ. კლერის ულმობელობა საზღვარს გადასულიყო ახლა. ტესმა იცოდა კლერის თვალში ის შარავანდედით მოსილი ქალი აღარ იყო, გაშიშვლებული იდგა მის წინაშე. დრო თავის სატირულ ფსალმუნს უგალობდა ტესს:

როდესაც სახე გაგეცრიცებათ, თქვენ ალბათ სატრფოს დაავიწყდებით.

ო, არ გექნებათ სახე წარმტაცი თქვენი ცხოვრების შემოდგომისას, სიცოცხლე თქვენი ვითარც ფოთოლი ძირს დაეცემა, წვიმად იწვიმებს.

პირბადე სევდით შებურავს სახეს და სიყვარულის ფესვი გახმება.

კლერი ფიქრებში ჩაფლულიყო. ტესის სიახლოვესაც კი არ ძალუძდა დაერღვია, ან სხვა რამეზე გადაეტანა მისი აზრთა მდინარება. როგორ დაკნინდა და არარაობად იქცა, სრულიად დაკარგა აზრი ახლა კლერისათვის ტესის გვერდით ყოფნამ. ტესმა ვეღარ აიტანა დუმილი.

— რა დავაშავე, რა დავაშავე? არაფერი ასეთი, რაც ხელს შეუშლის ჩვენს სიყვარულს! ნუთუ გგონია განზრახ მოგატყუე? შენ ის გაჯავრებს, რაც თავად გიტრიალებს გონებაში. ჩემში კი ეგ არ არის... დიახ, არ არის... და მე არც ის ცრუ და თვალთმაქცი ქალი ვარ, შენ რომ გგონია.

— ჰმ, ჩემი ცოლი ცრუ და თვალთმაქცი არ არის, მაგრამ აღარც ისაა, რაც უწინ იყო. დიახ. ის აღარ არის! ნუ მაიძულებ გაგკიცხო ან გისაყვედურო. დავიფიცე პირს საყვედური არ ამოსცდება-მეთქი და თავს არ დავზოგავ, შევასრულო ჩემი ფიცი.

მაგრამ სასოწარკვეთილი ტესი ემუდარებოდა მაინც და ზოგჯერ ისეთ რამესაც ამბობდა, რაზედაც, იქნებ, დუმილი სჯობდა.

— ენჯელ... ენჯელ! მე სულ ბავშვი ვიყავი... სულ ბავშვი ვიყავი,

როდესაც ეს უბედურება დამატყდა თავს! მე არც ვიცოდი, რა იყო მამაკაცი!

— სხვების დანაშაული უფრო დიდია შენ წინაშე, ვიდრე თავად შენი, მე ვიცი.

— მაშ, არ შემინდობ? — შეგინდობ, მაგრამ შენდობა ჯერ კიდევ ყველაფერი როდია.

— გიყვარვარ?

კლერს ამ შეკითხვაზე არ უპასუხია.

— ოჰ, ენჯელ, დედამ მითხრა, ასეთი ამბები ხდება ხოლმე ცხოვრებაშიო. ის ჩემზე ცუდ ქალებსაც იცნობს. მათ ქმრებს კი ეს ამბავი მაინცადამაინც გულთან არ მიაქვთ და ბოლოს და ბოლოს აპატიებენ კიდეც თავიანთ ცოლებსო. თანაც იმ ქალებს ისე როდი უყვართ თავიანთი ქმრები, როგორც მე მიყვარხარ!

— კარგი, ტეს, ნუ დაობ. სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები, სხვადასხვა შეხედულებები. მაიძულებ მაინცადამაინც გითხრა ისეთი რამ, რისი თქმაც არ მინდა. შენ ერთი გაუგებარი გლეხი ქალი ხარ და არ გესმის, რა მნიშვნელობა აქვს სოციალურ აზრს. არც იცი, რას ამბობ.

— მე მდგომარეობით ვარ გლეხი და არა წარმოშობით, — წამით გაგულისდა ტესი, მაგრამ მალე გაუნელდა სიბრაზე.

— მით უარესი შენთვის: უმჯობესი იყო, იმ მღვდელს, თქვენი წარმოშობის ამბავი რომ ამოუქექია, კბილი დაეჭირა ენისათვის შენი გვარის დაკნინებისა და გადაშენების მიზეზს უნებურად სხვა ამბავს — შენს სისუსტეს, ნებისყოფის უქონლობას ვუკავშირებ. გადაგვარებული ოჯახების წარმომადგენელთ ნებისყოფის ძალაც დაკნინებული და დაქვეითებული აქვთ და ქცევაც — მისი შესატყვისი. ღმერთო, რად მიამბე შენი დიდგვაროვანი წარმოშობის ამბავი და ამით მეტი საბაბი მომეცი შენს შესაძულებლად. მე შენში ბუნების სიცოცხლით სავსე პირმშოს ვხედავდი მხოლოდ, შენ კი დასაპყრებული და უსუსური არისტოკრატიის უნიათო ნაშიერი ყოფილხარ!

— რამდენი ოჯახია ახლა ჩემს ოჯახზე დაბეჩავებული და დაუძლურებული. რეტის წინაპრებიც ოდესღაც მსხვილი მიწათმფლობელები ყოფილან, როგორც აი, ფერმერი ბილეტის მამა-პაპანი, დები პოუზები კი, ახლა რომ მზიდავებად მუშაობენ, დე ბათეს გვარის შთამომავლები არიან. ჩემისთანებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდები. ამითაა სწორედ ცნობილი ჩვენი საგრაფო, ჰოდა, მე აბა, რა შუაში ვარ.

— ვაი, ასეთ საგრაფოს.

ტესი ვერ ჩაწვდა ამ საყვედურების ღრმა აზრს. კლერს აღარ უყ-

ვარს ისე, როგორც უყვარდა. სხვა დანარჩენი კი სულერთია მისთვის.

დუმილით განაგრძეს გზა. მერე და მერე ყვებოდნენ ერთი უელბრიჯელი გლეხი ღამით ექიმისთვის მიდიოდა თურმე, მინდორზე შეყვარებული წყვილი შემოყრია. ერთიმეორის უკან უხმოდ მიაბიჯებდნენ თურმე. ეტყობოდათ, დავიწყებოდათ, რომ შუაღამე გადასული იყო. გლეხს თავისი სატკივარი აწუხებდა — ავადმყოფი ჰყოლია შინ და აბა, ამათი დარდი სადღა ჰქონდა, აღარც კი გახსენებია მეორე წუთში. დიდი ხნის მერე მოაგონდა მხოლოდ.

ვიდრე უკან მობრუნებული გლეხი ხელმეორედ გადაეყრებოდა მათ, ტესმა უთხრა ქმარს:

— აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, არ მინდა ჩემი გულისათვის გაუბედურდე. იქით, დაბლობში მდინარე მიედინება. გადავვარდები და ამით ყველაფერს ბოლოს მოვუღებ, არ მეშინია.

— არა მსურს მკვლელობაც დავამატო ყველა ჩემს უგუნურ საქციელს.

— დავტოვებ რამეს იმის დასადასტურებლად, რომ ვერ ავიტანე შერცხვენა და თვითონ მოვიკალი თავი. მაშინ ვეღარავინ დაგადანაშაულებს.

— სისულელეებს ნუ ამბობ, არც მინდა გავიგონო. უაზროდ ლაპარაკობ. ეგ ამბავი ხომ უფრო მალე ირონიულ ხითხითს გამოიწვევს, ვიდრე ტრაგედიად იქცეოდეს. შენ ვერცა ხვდები, რა მოხდა. ხალხის ცხრა მეათედისთვის ეს ამბავი საქირქილო იქნება. რომ იცოდე, რა მადლობელი დაგრჩებოდი, შინ რომ წახვიდოდე და დაიძინებდე.

— წავალ, უდრტვინველად დაემორჩილა ტესი.

ცისტერსიანის სააბატოს ცნობილი ნანგრევებისაკენ მიდიოდნენ; გზა წისქვილის უკან გადიოდა. წისქვილი ოდესღაც მონასტრის მფლობელობაში შედიოდა თურმე. წისქვილი ბრუნავდა, — რამეთუ ჭამის მოთხოვნილება მარადიულია. სააბატო კი ნანგრევებად ქცეულიყო — რაკიღა რწმენა წარმავალია, წაღმა-უკუღმა ადიოდნენ. წავიდოდ-წამოვიდოდნენ და ისევ სახლთან დაბორიალობდნენ. კლერის სურვილს დამორჩილებული ტესი ქვის დიდ ხიდამდე უნდა მისულიყო. კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გაივლიდა გზაზე და უკვე შინ იქნებოდა. შინ ყველაფერი ძველებურად დახვდა. ბუხარში კიდევ ბჟუტავდა ცეცხლი. წუთით შეყოვნდა. მერე ზევით ავიდა, თავის ოთახში, სადაც ბარგი ეწყო. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. დაბნეულმა აქეთიქით მიმოიხედა და გახდა დაიწყო. სანთელი ახლოს მიიწია. შუქი საწოლის ბამბის თეთრ ფარდას დაეცა. მიჩიგდანის ქვეშ რაღაც ეკიდა. ტესმა ასწია სანთელი, რომ უკეთ გაერჩია რა იყო.

— ფითრის ტოტი ეკიდა კედელზე. კლერი დაკიდებდაო, მაშინვე გაუელვა ტესს. აი, თურმე რა იმალებოდა იმ შეკვრაში, ვერსად რომ ჩატიეს და ისე გაუჭირდათ წამოღება. კლერმა კი არა და არ გაუმხილა რა იყო შიგ. მოთმინება იქონიე, მალე გაიგებო, უთხრა. რა ბედნიერი, რა მხიარული იყო კლერი, როცა მას აქ კიდებდა. რა უაზროდ და უადგილოდ გამოიყურებოდა ახლა ფითრის ეს ტოტი!

რიღასი უნდა შინებოდა ამიერიდან ტესს. იმედის ნატამალიც აღარ დარჩა, რომ ოდესმე მოლბებოდა კლერი. ნაღველით გულავსებული ჩაწვა ლოგინში: ოდენ მწუხარებას ფიქრები აღარ სდევს თან, ძილი თრგუნავს ადამიანს.

ტესისთვის ძილი ხსნა იყო ახლა. ცოტა ხანიც და საბრალო მარტოხელა ტესმა თითქმის შეწყვიტა არსებობა ამქვეყნად. გარს შემოდგომოდა სურნელოვანი მდუმარება ოთახისა, ვინ იცის ეს ოთახი მისი წინაპრების საქორწინო განსასვენებელი იყო ოდესღაც.

გვიან ღამით დაბრუნდა კლერი შინ. ფეხაკრეფით შევიდა სასტუმრო ოთახში, აანთო სანთელი, ეტყობოდა, წინასწარმოფიქრებული მოქმედების გეგმის თანახმად, დააფინა საბანი ძველისძველ, ცხენის ძუით დატენილ ტახტზე და საწოლი გამართა თავისთვის. მერე ფეხთ გაიხადა. ქურდულად აიპარა კიბეებზე, შედგა ტესის ოთახის კართან და ყური მიუგდო, თანაბარი სუნთქვა შემოესმა. მიხვდა, ტესს ღრმად ეძინა.

— მადლობა ღმერთს! — წაიჩურჩულა კლერმა, მაგრამ ეკალივით დაესო გულზე ეჭვები, — თუმცა მის ეჭვებში ჭეშმარიტების ნატამალი თუ იყო მხოლოდ, — ტესმა ზურგზე აჰკიდა კლერს თავისი ცხოვრების ტვირთი და ახლა მშვიდად და უდრტვინველად სძინავს.

კლერი წასასვლელად შემობრუნდა. მერე ყოყმანით მივიდა ისევ კართან. უეცრად მზერა კარის თავზე ჩამოკიდებულმა დ'ერბერვილთა ერთერთი ქალბატონის პორტრეტმა მიიპყრო. სანთლის შუქით განათებული სურათი უსიამო შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. ქალს რაღაც ბოროტი და ავი ზრახვები, მეორე სქესისათვის სამაგიეროს მიზღვის ყოვლისმშთანმთქმელი სურვილი ესახებოდა სახეზე, — ასე მოეჩვენა ახლა კლერს. დედოფალ კაროლინასდროინდელ ყაიდაზე შეკერილ კაბას, რომელიც სურათზე გამოსახულ ქალბატონს ეცვა, ისევე ღრმად ამოჭრილი გულისპირი ჰქონდა, როგორც ტეს, როცა გულქანდის გამოსაჩენად საყელო გადაუწია. მწარედ დაანაღვლიანა ამ ორი ქალის მსგავსებამ.

ეს მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა, კლერი მოსცილდა კარს და კიბეზე დაეშვა.

კლერი მშვიდი, გულგრილი ჩანდა, პატარა პირი და მჭიდროდ

მოკუმული ტუჩები თავშეკავების უნარზე მიუთითებდნენ. სახე ცივი, უგრძნობელი გაუხდა იმ წუთიდან, რა წუთშიაც ტესმა თავის აღსარებას წერტილი დაუსვა. ვნებათა მონობისაგან განთავისუფლებულ ადამიანს ჰგავდა. მაგრამ ვერც ამ თავისუფლებაში ეპოვა შვება: „საოცარი ცხოვრება მოულოდნელი ამბები, საშინელი შემთხვევითობები განაგებენ ადამიანის ბედს“, — ფიქრობდა კლერი. არ ეგულებოდა კლერს ტესზე წმინდა; სათუთი და უბიწო არსება, როცა მას აღმერთებდა.

მაგრამ საოცრად უცბად, ო, რა ქვეყნები გაქრნენ უკვალოდ.

კლერს თავგზა ებნეოდა. რად არ იყო ტესის პატიოსნებითა და უმანკოებით აღსავსე სახე მისივე სულის სარკე? მაგრამ ტესს დამცველი არა ჰყავდა, რომ საწინააღმდეგო დაემტკიცებინა კლერისათვის. „ნუთუ შეიძლება, — ფიქრობდა იგი, — რომ თვალებს, რომლებიც მუდამ ადასტურებდნენ ყოველ სიტყვას, რომელიც კი ტესის ბაგეებს მოსცდებოდა, ამავე დროს სრულიად სხვა სამყარო დაენახათ? სამყარო, რომელიც ასე არა ჰგავდა იმას, რომელიც ტესმა გადაუშალა თვალწინ.

კლერმა ჩააქრო სანთელი და სასტუმრო ოთახში ტახტზე გაიშოტა. წყვდიადმა მოიცვა მთელი სახლი. მშვიდმა და უგრძნობელმა წყვდიადმა, ამ წყვდიადმა უკვე შთანთქა მისი ბედნიერება და ახლა გულგრილად, აუშფოთებლად ინელებდა და მზად იყო ასევე უშფოთველად და არხეინად შთაენთქა ბედნიერება ათასობით სხვა ადამიანისა.

XXXVI

უთენია გაეღვიძა კლერს. ნაცრისფერი განთიადი ისე ფეხაკრეფით მოიპარებოდა, თითქოს ბოროტმოქმედებაში უდევს წილიო. კლერმა გამოციებულ, ჩანაცრულ ბუხარს შეხედა. მერე მზერა სავახშმოდ გაშლილ მაგიდაზე გადაიტანა. ღვინით სავსე ორი ჭიქა ისევ იდგა — აღარც შხეფებს ისროდა, აპკიც კი მოსდებოდა თავზე. იქვე იდგა ტესის სკამი, და სხვა ავეჯი; უსუსურები თითქოს კითხულობდნენ, რაღა ვქნათ ახლაო. ზემოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მალე გარეთა კარების ჭრიალი გაისმა. ჰო, მეზობელი გლეხის ქალი უნდა მოსულიყო. დაპირდა, ქირით მოგემსახურებითო.

უცხო ადამიანის შემოშვება ახლა შინ აუტანელი იქნებოდა. კლერმა გადაიცვა, ფანჯარა გამოაღო და, დილით იოლად გავალთ

უთქვენოდო, უთხრა. ქალმა ქოთნით რძე მოიტანა. კართან დაატოვებინა კლერმა. როცა ქალი წავიდა, კლერი გარეთ გავიდა. შეშა შემოიტანა და ცეცხლი გააჩაღა. საკუჭნაოში ბლომად კვერცხი, კარაქი და პური ნახა, გამოიღო და საუზმე მოამზადა.

— ფერმაში მუშაობისას საოჯახო საქმეებში ხელი ჰქონდა გაწაფული. ცეცხლი გიზგიზებდა ბუხარში. კვამლი ლოტოსით შემოგრაგნილი სვეტივით ავარდა საკვამურიდან. ადგილობრივი მკვიდრნი შეჰყურებდნენ კერიიდან ამოსულ კვამლს, ახალდაქორწინებულ წყვილზე ფიქრობდნენ და შურდათ მათი ბედნიერება.

ენჯელმა თვალი მოავლო ოთახს, კიბესთან მივიდა და ჩვეული ხმით დაიძახა:

— საუზმე მზადაა!

მერე კარი გააღო და დილის სუფთა ჰაერზე გავიდა. ცოტა გაიარა, როცა მობრუნდა ტესი უკვე სასტუმრო ოთახში იყო, მაგიდასთან იდგა. ხან ერთ ჭურჭელს გადააადგილებდა უაზროდ, ხან მეორეს. ტესს მოესწრო ჩაცმა. ეტყობოდა უფრო ადრეც მომზადებულიყო, ვიდრე კლერი დაუძახებდა. ორი-სამი წუთიც არ იქნებოდა მას შემდეგ გასული. ტესს თმები კეფაზე დაეხვია. ღია ცისფერი ახალი კაბა ეცვა. საყელოზე თეთრი ფურფუშალები ჰქონდა შემოვლებული. სახე და ხელები გაღიავებოდა. ეტყობოდა, კარგა ხანს მჯდარა ჩაცმული ცივ საწოლ ოთახში. კლერმა ისეთი განსაკუთრებული ზრდილობიანი ხმით დაუძახა, წამით იმედი ჩაესახა ქალს გულში. მაგრამ კლერის დანახვა და ტესის ჩაფერფვლა ერთი იყო.

შეყვარებულთა მგზნებარე გრძნობა ჩანაცრულიყო. წუხანდელი საღამოს მწვავე ტკივილებს მძიმე სევდა შენაცვლებოდა: იფიქრებდით, აღარაფერს ძალუძს მათში ცეცხლის გაღვივებაო.

კლერმა მშვიდად წამოიწყო საუბარი. ტესიც თავდაჭერილად პასუხო ობდა. ბოლოს წამოდგა, მიუახლოვდა კლერს, ღრმად ჩააცქერდა სახეში, თითქოს ვერცა გრძნობს და ვერცა ხვდება, რომ მასაც შეძლებოდა ასე დაკვირვებოდნენ.

— ენჯელ! — წამოიწყო და შედგა, მერე თითებით შეეხო ფრთხილად, თითქოს უჭირს დარწმუნება, რომ მის წინაშეა კაცი, რომელიც ოდესღაც მისი შეყვარებული იყო. თვალთა სხივი ჯერ არ ჩაქრობოდა ტესს. გაცრეცილი ლოყები ჯერ არ ჩავარდნოდა, თუმცა კი ცრემლებს მბზინავი ღარები დაემჩნია ზედ. ტუჩები კი, ბუდამ ალისფერი ტუჩები, ლოყებივით გადაფითრებოდა. სიცოცხლე ჯერ კიდევ ფეთქავდა მასში, დარდით შეჭმულში, მაგრამ ისე მძიმე-მძიმედ უცემდა მაჯა, რომ პატარა დაძაბულობა და მწვავე ავადმყოფობა ხელთ ქონდა; მაშინ კი ჩაუქრება თვალთა სხივი და ჩაეთუთქება ტუჩები.

უბიწო ჩანდა ამ დილით ტესი. ბუნებას, ამ ტყუილების გუდას ამას, ისეთი უმანკოების დაღი დაესვა ტესის სახეზე, რომ გაოგნებული კლერი თვალს ვეღარ აცილებდა.

— ტეს მითხარი, მოგატყუე-თქო! მტკნარი სიცრუეა ყველაფერიო! — ყველაფერი მართალია.

— ყოველი სიტყვა? — ყოველი სიტყვა.

კლერი ვედრებით შესცქეროდა ტესს. თითქოს ნატრობდა, რა იქნება სიცრუე მითხრანო, რომ მერე ეს სიცრუე სოფიზმის შემწეობით სინამდვილედ ექცია.

ტესმა კი კვლავ გაიმეორა: — ყველაფერი მართალია.

— ცოცხალია? — ჰკითხა ენჯელმა.

— ბავშვი მოკვდა.

— ის კაცი? — ცოცხალია. სასოწარკვეთილ კლერს სახე მოექცა.

— ინგლისშია? — ჰო. კლერმა უაზროდ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

— აი რა, — წამოიწყო კლერმა უეცრად, — ვფიქრობდი და ასე იფიქრებდა ყველა მამაკაცი ჩემ ადგილას, რაკი უარს ვამბობდი პატივმოყვარულ მისწრაფებებზე და არა მსურდა ცოლად შემერთო მაღალი საზოგადოების მდიდარი ქალი, ისეთ ადამიანს მაინც ვიპოვიდი, რომელსაც არა მარტო წითელი ლოყები, უბიწოებაც ექნებოდა... მაგრამ მე იმის კაცი არა ვარ, რომ გისაყვედურო, არ გისაყვედურებ არასოდეს.

მეტის თქმა აღარ იყო საჭირო. ტესს მშვენივრად ესმოდა ყველაფერი და ეს იყო, რომ ამწარებდა ქალს, — იცოდა, კარგად იცოდა, რომ ყველაფერი დაკარგა ენჯელმა.

— ენჯელ... მე საქმეს ქორწინებამდე არ მივიყვანდი, რომ არა მცოდნოდა, ბოლოსა და ბოლოს გამოსავალი მაინც რჩება-მეთქი. თუმცა კი ვიმედოვნებდი, რომ არასოდეს...

ტესს ხმა ჩაუწყდა.

— გამოსავალი?

— ჰო, ჩემგან თავის დაღწევის საშუალება. შენ შეგიძლია თავის დაღწევა.

— როგორ? — განქორწინებით.

— ღმერთო, ასეთი გულუბრყვილობა! როგორ უნდა გაგეყარო.

— რაო, განა არ შეიძლება... ახლა, როცა უკვე ყველაფერში გამოგიტყდი? ვფიქრობდი, ჩემი აღსარება გაყრის უფლებას მისცემს-მეთქი.

— ო, ტეს, ტეს... თითქოს ბავშვი იყო, არაფერი არ გაგეგება. გა-

გეგება კი არა და, უვიცი ხარ, უბირი... არ ვიცი, პირდაპირ რა გიწოდო! არაფერი შენ არ იცი კანონებისა, არაფერი!.

— რაო, განა მართლა არ შეგიძლია გაყრა? — რა თქმა უნდა, არა.

ტესს ისედაც გასაცოდავებული სახე სირცხვილისაგან სულ მოეღრიცა.

— მე კი მეგონა...

— წაიჩურჩულა მან, — ჰო, ახლა კი მჯერა, რომ ბრიყვიცა გგონივარ! მაგრამ გეფიცები დამიჯერე, მეგონა, გაყრა შეგეძლო! იმედი კი მქონდა, ამას არასოდეს ჩაიდენს-მეთქი... მაგრამ ეჭვიც არასოდეს შემპარვია, რომ ჩემგან თავის დაღწევა შეგეძლო, თუ მოინდომებდი, თუ... სულ არ... სულ არ გეყვარებოდი.

— შეცდი! — ცივად მიახალა კლერმა.

— მაშ, წუხელ უნდა... მაგრამ არ მეყო გამბედაობა. სულ ასე მემართებოდა.

— რისთვის არ გეყო გამბედაობა? ტესმა არაფერი უპასუხა. კლერმა ხელი მოკიდა.

— რა გადაგიწყვეტია? — თავის მოკვლა.

— როდის?

ტესი მოიკრუნჩხა, სულ მთლად დააბნია კლერის მწვალებლურმა შეკითხვებმა და ლაპარაკის კილომ.

— წუხელ.

— სად? — შენი ფითრის ქვეშ.

— ღმერთო... ეგ როგორ იფიქრე? — მკაცრად ჰკითხა მან.

— გეტყვი, ოღონდ არ გამიჯავრდე, — მიუგო აცახცახებულმა ტესმა, — ჩემს ზანდუკს შევხსენი ბაწარი... მაგრამ ვერ მოვახერხე... შემეშინდა, რომ ამით ჩირქი არ მომეცხო შენი სახელისათვის.

ამ მოულოდნელმა აღსარებამ, რომელიც ძალით ამოგლიჯა ტესს პირიდან, შეაძრწუნა კლერი. კვლავინდებურად ეკავა ქალის ხელი და სახეში ჩასცქეროდა; მერე თვალები დახარა და აკანკალებული ხმით უთხრა:

— ყურადღებით მომისმინე: ასეთ საშინელებაზე არასოდეს გაბედო ფიქრი! ან კი როგორ გაივლე გულში! შენ უნდა დაპირდე შენს ქმარს, რომ აღარასოდეს მსგავს რამეს არ შეეცდები!

— მზადა ვარ პირობა მოგცე. მე მივხვდი რა ცუდია ეს.

— ცუდია! ცუდი კი არა და, არც ვიცი, რა დავარქვა შენს საქციელს! არ გეკადრება!

— კი მაგრამ, ენჯელ, — წამოიწყო ტესმა და ფართო თვალები ქმარს მიაპყრო, — მხოლოდ და მხოლოდ შენი გულისათვის მინდოდა ეს. ვფიქრობდი, თავიდან ავიცილებ გაყრის სირცხვილს-მეთქი...

ჩემს თავზე არც მიფიქრია. მე იმის ღირსიც კი არა ვარ, რომ სიცოცხლე მოვისწრაფო. შენ, ჩემო ქმარო, მე რომ დაგღუპე, შენ უნდა აგემართა ხელი : ჩემზე! ასე მგონია, შესაძლებელი რომ იყოს, კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებდი, თუ აიძულებდი თავს და ასეთ რამეს ჩაიდენდი, რაკი სხვა გამოსავალი არა გაქვს. მე ისეთი არარაობა ვარ. ისე გიბოჭავ ხელ-ფეხს.

— გაჩუმდი!

— თუ ამიკრძალავ ლაპარაკს, გავჩუმდები. მეც მხოლოდ ისა მსურს, რაც შენ.

კლერმა იცოდა, რომ ტესი არ ტყუოდა. გადატანილი ღამის შემდეგ სულ მთლად განადგურებული იყო ქალი, ნებისყოფის ნასახიც აღარ გააჩნდა: საშიშიც არ იყო, რომ რაიმე წინდაუხედავ ნაბიჯს გადადგამდა განუსჯელად.

ტესი კვლავ შეეცადა, რამდენადაც შეეძლო, მოეცილებინა ფიქრები, გულისყური სხვა რამეზე გადაეტანა: ჭურჭლის დალაგებას მოჰყვა. ორივენი ერთი მხრიდან შემოუსხდნენ მაგიდას, რომ თვალებში არ ეცქირათ ერთმანეთისთვის. უხერხულობა ჩამოვარდა. დუმდნენ, ერთი ყურს უგდებდა, როგორ ჭამდა მეორე; სხვა გზა არ იყო. საჭმელი ყელში არ გადადიოდა, ჩიტებივით იკენკებოდნენ. საუზმე დაამთავრეს, კლერი წამოდგა, დაუბარა, ამა და ამ დროს მოვალ სადილადო მეწისქვილესთან წავიდა. უნებურად შეუდგა კლერი თავისი გეგმის აღსრულებას; მას ხომ განზრახული ჰქონდა მეწისქვილეობა შეესწავლა. აკი ეს სახლიც ამისთვის აირჩია საცხოვრებლად.

ტესი ფანჯარას მიუახლოვდა. კლერი გავიდა დიდი ქვის ხიდზე. მეწისქვილის ადგილ-მამული ხიდს იქით იყო. მერე გადაჭრა რკინიგზის ლიანდაგი და თვალს მიეფარა. ტესმა გულში ჩაიკლა ოხვრა, ფანჯარას მოცილდა და მაგიდის ალაგება დაიწყო.

ამასობაში მსახური ქალი მოვიდა, ძალიან გაუჭირდა ტესს თავდაპირველად მასთან ყოფნა, მერე თანდათან შეეგუა. პირველის ნახევარზე ტესმა ქალი სამზარეულოში დატოვა, თავად კი სასტუმრო ოთახში შევიდა, ლოდინი დაუწყო, როდის გამოჩნდებოდა კლერი ხიდს იქიდან.

პირველი საათი სრულდებოდა, ენჯელს რომ მოჰკრა თვალი, ლოყები შეუფაკლდა, თუმცა ჯერ კარგა შორს, მეოთხედი მილის დაშორებით მაინც იქნებოდა. სამზარეულოში გავარდა. ქალს სიტყვა დაუტოვა, კლერი შინ შემოვა თუ არა, სადილი მიართვიო.

კლერი ჯერ იმ ოთახში შევიდა, სადაც გუშინ ცოლ-ქმარმა ერთად დაიბანა ხელები. სამზარეულოში მისი ფეხის შედგმა და, თითქოს

ნიშანი მისცესო, ქვაბების სახურავების ახდა ერთი იყო.

გააოცა კლერი ასეთმა სიზუსტემ.

— დაგინახე, ხიდზე რომ გადმოდიოდი, — განუმარტა ტესმა. თავი ვერ მოაბეს საუბარს სადილობისას, ხან ეს თქვეს, ხან ის, ბოლოს კლერმა უამბო ტესს, რა ნახა იმ დილით წისქვილში, როგორ და რა ხერხით ცხრილავენ მარცვალს ძველებური ყაიდის მანქანებში. არა მგონია, კაცმა იქ რამე გაიგოს მეწისქვილეობის გაუმჯობესებულ მეთოდებზეო, — ეჭვი გამოთქვა კლერმა, — ისეთი ძველისძველი მანქანები აქვთ ზოგიერთებს, ალბათ, იმ სააბატოს ბერებისათვის ხორბლის დასაფქვავად იყენებდნენ ახლა რომ ნანგრევებადაა ქცეულიო, დასძინა. ერთი საათის შემდეგ კლერი ისევ წავიდა წისქვილში. ბინდბუნდზე მობრუნდა შინ და მთელი საღამო თავის ქაღალდებს ქექავდა. ტესს ეშინოდა, ხელი არ შეეშალა მისთვის. წავიდა თუ არა მოსამსახურე ქალი, სამზარეულოში გავიდა, თითქმის ერთ საათზე მეტ ხანს ალაგებდა იქაურობას.

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კლერი კარებში.

— ნუ ფუსფუსებ ამდენს, — უთხრა მან.

— მოსამსახურე ხომ არ ხარ, ცოლი ხარ ჩემი.

ტესმა თავი ასწია, სახეზე შუქი მოეფინა.

— მაშ, შემიძლია, თავი შენს მეუღლედ ჩავთვალო? — წაიჩურჩულა და შესაბრალისად დასცინა თავს.

— შენ გინდოდა გეთქვა, რომ მე შენი ცოლი მქვია, არა? ჰო, მეტი რაღა მინდა!..

— თავი ჩემს მეუღლედ ჩათვალო თუ არა?! განა ჩემი ცოლი არა ხარ? მაგით რისი თქმა გინდა?

— არ ვიცი, — აჩქარებით მიუგო ტესმა, ხმაში ცრემლები მოეძალა, — მე მეგონა, რომ... მე იმის თქმა მინდა რომ პატივისცემას არ ვიმსახურებ-მეთქი, არც მინდოდა ცოლად გამოგყოლოდი. შენ კი დაჟინებით მოითხოვდი.

ტესმა ზურგი შეაქცია კლერს და აქვითინდა. ვის არ მოალბობდა, ვის არ აუჩუყებდა ახლა გულს საბრალო ტესი. კლერი კი ქვა და რკინასავით იდგა.. ნაზი და მგრძნობიარე გულის პატრონი იყო ეს კაცი, მაგრამ სადღაც სულის სიღრმეში. მთის ქანივით მტკიცე და მკაცრი ლოგიკური ძარღვი ჰქონდა ჩამალული. ეს ძარღვი რბილი თიხით იყო გარემოცული და გზას უღობავდა ყოველივეს, რაც კი დამსხვრევით ემუქრებოდა. ამ ლოგიკურმა ძარღვმა დაუხშო მას ეკლესიის გზა, იგი გადაეღობა ტესისაკენ მიმავალ გზაზეც. გარდა ამისა, მისი სიყვარული ისე მგზნებარე როდი იყო, როგორი შარავანდედითაც

თავად შემოსა. დაეკარგა რწმენა ქალისა და თანდათან შორდებოდა მას. ამით განირჩეოდა კლერი იმ მგრძნობიარე ადამიანებისაგან, გონებით რომ შეიძულებენ საყვარელ არსებას, გულით კი კვლავაც უყვართ ხოლმე იგი. კლერი დაელოდა, ვიდრე არ მიწყდა ტესის ქვითინი.

— არ იქნებოდა ურიგო, ინგლისის ქალების ნახევარი მაინც რომ იმსახურებდეს ისეთ პატივისცემას, როგორსაც შენ, — წამოიწყო მთელ საქალეთზე მწარედ გაგულისებულმა კლერმა, — წესიერებაზე კი არ ვლაპარაკობ, პრინციპზე მოგახსენებ.

დიდხანს ბობოქრობდა სიძულვილის ტალღით შეპყრობილი კლერი, ეს ტალღა უმოწყალოდ ასახიჩრებს ხოლმე წრფელ ადამიანებს, ოდეს დარწმუნდებიან, რომ მაცდურმა გარეგნობამ შეაცდინა ისინი. მართალია, სადღაც გულის სიღრმეში იზრდებოდა და წინ მოიწევდა მეორე ტალღა-ტალღა თანაგრძნობისა, რომლითაც უდავოდ ისარგებლებდა მაღალი წრის ქალი, მაგრამ ტესს ამაზე არც უფიქრია, ყველაფერს ისე იღებდა როგორც ჯეროვან მისაგებელს და კრინტიც არ დაუძრავს მისი შეურყეველი ერთგულება შესაბრალისი იყო. ბუნებით ფიცხი ტესი ახლა დიდის მოთმინებით უგდებდა ყურს კლერის ყოველ სიტყვას. არ ფიქრობდა საკუთარ თავზე. არ ჯავრობდა, არა ძრახავდა კლერს ასეთი მოპყრობისათვის. იგი თანამედროვე ანგარებიან სამყაროში აღორძინებული აპოსტოლარული მოწყალების განსახიერება იყო.

მთელმა საღამომ, ღამემ და დილამ ისე გაიარა, როგორც წინადღემ. ერთხელ, მხოლოდ ერთადერთხელ გაბედა ტესმა, ოდესღაც ლაღმა და თამამმა ტესმა, გადაედგა ნაბიჯი სიახლოვისაკენ. მაშინ კლერი მესამედ აპირებდა წისქვილში წასვლას სადილობის შემდეგ. კლერი წამოდგა და „ნახვამდისო“ უთხრა. ტესი იმავე სიტყვით დაემშვიდობა და საკოცნელად გაიწია. კლერმა არ უპასუხა გამოწვევას, უეცრად შეტრიალდა და გადაუგდო:

— შინ დროზე მოვალ! ტესს თითქოს სილა გააწნესო, სულ მთლად მოიკუნტა. რამდენჯერ უცდია კლერს ძალით ეკოცნა ამ ტუჩებში, რამდენჯერ უხუმრია შენი ტუჩები და სუნთქვა — კარაქის, კვერცხის, რძისა და თაფლის გემოს მაგონებსო; შიმშილს მიკლავსო, — ჰმ, რამდენი სისულელე არ უთქვამს, ახლა კი...

კლერმა შენიშნა, როგორ შეკრთა ტესი და ისევ მოუბრუნდა:

— გამიგე, რა ვქნა აწი. ჩვენი ერთად ცხოვრება ერთ ხანს აუცილებელია. ხომ იცი, სხვანაირად სირცხვილი და თავის მოჭრა არ აგვცდება. მაშინვე აყაყანდება ხალხი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ყველაფერი სხვისი თვალის დასანახად ხდება.

— ჰო, — მაშინვე დაეთანხმა დაბნეული ტესი.

კლერი წისქვილში წავიდა. შუა გზაზე შედგა, წუთით ინანა თავისი საქციელი — არც დაუყვავა, ერთხელაც არ აკოცა.

დარდსა და მწუხარებაში გავიდა კიდევ ერთი დღე, მეორე. ერთ სახლში ცხოვრობდნენ, უფრო შორს კი იყვნენ ერთმანეთისაგან, ვიდრე ქორწინებამდე. ტესი ნათლად ხედავდა, კლერი როგორც თავადაც ამბობდა, თავზარდაცემული იყო, ცდილობდა და ვერ მოეფიქრებინა მომავალი მოქმედების გეგმა: ანცვიფრებდა ამ ერთის შეხედვით რბილი კაცის შეუდრეკელობა. გაკერპებული, უღვთოდ დაუნდობელი იყო. საბრალო ქალმა საბოლოოდ გადაიწურა შეწყნარების იმედი. რამდენჯერ გადაწყვიტა, წავალ, გავეცლები ამ კაცსო, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ ჩემმა წასვლამ კარგი არა მოუტანოს რა, ვაითუ უფრო მეტი უსიამოვნება მივაყენო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო და დავამციროო, როცა ჩემ წასვლას სხვები გაიგებენო.

ჭეშმარიტად რომ ფიქრებმა შეჭამეს კლერი, მუდამ თან სდევდნენ, დააბეჩავეს და დაასნეულეს, გამოფიტეს, სულ მთლად ამოწოვეს და ამოდაღეს მთელი სილბო და სითბო. „რა ვქნა?“ „რა ვქნა?“ დადიოდა და ბუტბუტებდა თავისთვის. ტესმა ყური მოჰკრა მის ჩურჩულს. ამან უფრო გააბედინა საუბარი გაება მასთან მომავალზე, საუბარი, ასე რომ გაურბოდნენ ორივენი.

— შენ, ალბათ, დიდხანს არ დარჩები ჩემთან, ენჯელ, — უთხრა მან.

ტესს ტუჩები მოერღვა, ცხადი იყო, მეტად ძვირად უღირდა საბრალოს სიმშვიდის შენარჩუნება.

— ვერა, ვერ დავრჩები, — მიუგო კლერმა, — ვერ მოვახერხებ, რომ არ მძულდეს თავი და რაც უფრო უარესია, არა მძულდე შენ. ახლა, როგორი გრძნობებიც არ უნდა მქონდეს, შენ მაინც არა მძულხარ. ნება მომეცი გულწრფელად გელაპარაკო, სხვანაირად ვერ გაიგებ ჩემ მძიმე მდგომარეობას, როგორ შეიძლება ჩვენი ერთად ცხოვრება, ვიდრე ცოცხალია ის კაცი?.. სინამდვილეში ხომ ისაა შენი ქმარი და არა მე. ის რომ არ იყოს ამქვეყნად, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მაგრამ სიძნელე მხოლოდ ეს როდია: მას სხვა მოსაზრებანიც განაპირობებენ. ისინი სხვა ადამიანთა მომავალს შეეხება და არა ჩვენსას. გაივლის წლები, ჩვენ გვეყოლება შვილები. წარსული თავს ვერ დამალავს და გამომჟღავნდება, — ადრე იქნება თუ გვიან ამ ამბავს შეიტყობენ. არ მოიძევება ამქვეყნად ისეთი კუთხე-კუნჭული, საიდანაც არავინ მოდიოდეს, ან არ მიდიოდეს ვინმე. აბა, იფიქრე ჩვენს საბრალო ბავშვებზე, ჩვენს საკუთარ სისხლსა და

ხორცზე, რომლებმაც უდანაშაულოდ უნდა ატარონ სამარცხვინო დაღი. წამოიზრდებიან და მით უფრო მწვავედ შეიგრძნობენ სირცხვილსა და ზიზღს მათდამი. როგორ აღიქვამენ და შეიგრძნობენ ისინი ამას, ოდეს ბავშვობა მათი გაივლის და გონებადამჯდარი კაცის თვალით განსჯიან ყოველივეს? როგორი იქნება მათი მომავალი? მოგცემს სინდისი ნებას „დარჩიო“ მითხრა, ამის შესაძლებლობაც რომ წარმოიდგინო? ხომ არ ჯობია ჩვენ დავიტანჯოთ, ვიდრე სხვებს მოვახვიოთ უბედურება თავს.

დარდისა და ვარამისაგან დამძიმებული წამწამები კვლავაც დაეხარა ტესს.

— მე არ შემიძლია გითხრა „დარჩი-მეთქი“, — მიუგო ტესმა, — არ შემიძლია. ასე შორს მე არ გამიხედია.

უნდა გამოვტყდეთ, მიუხედავად ყოველივესი, ტესი მაინც ქალი იყო, ჰოდა როგორც ქალებს სჩვევიათ, იმედს არა კარგავდა, რომ ოჯახური ცხოვრება ერთ ჭერქვეშ, კლერის მტკიცე გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც გასტეხდა მის გულგრილობას. გულუბრყვილო ტესი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, რაღა ქალი იქნებოდა, რომ ინსტინქტს ეღალატა და არა სცოდნოდა, რა ძალა აქვს სიახლოვეს. კარგად ესმოდა, ვერავინ და ვერარა უშველიდა მერე თუკი აქ მარცხს განიცდიდა იგი. ცოდვაა რაიმე ეშმაკური სტრატეგიული ხერხის იმედი გქონდეს კაცს, ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს, მაგრამ, უკანასკნელ იმედს მაინც ვერა და ვერ თმობდა. ახლა კლერმა როგორც ტესი ამბობდა, ახალი კუთხით დაანახვა შექმნილი ვითარება. მართლაც რომ არასოდეს განუჭვრეტია ასე შორს ტესს მომავალი. ახლა კი კლერის მიერ ნათლად დახატულმა სურათმა მათ მომავალ ბავშვებზე, რომლებიც უდაოდ შეიძულებენ საკუთარ დედას, როგორც კი სიმართლეს გაიგებდნენ, თითქოსდა კიდევ ერთი უკანასკნელი ბრალდება იყო, რომელიც ამ უმწიკვლო ქალს წარუყენეს და რომელმაც საბოლოოდ ჩაუკლა ყოველგვარი იმედი: საკუთარი გამოცდილებით ტესმა უკვე იცოდა, რომ ხშირად იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც სვებედნიერ ცხოვრებას კაცი სულ სხვა რამეს ამჯობინებს, — კერძოდ, ჯობია სულაც არ ცხოვრობდე ამქვეყანაზე. ჰოდა, ტესსაც მრავალთა სხვათა ურიცხვის ტანჯვით თვალახელილთა მსგავსად მისტერ სული პრუდომის სიტყვებში: „შენ იშვები ამაქვეყნადო“ — თავისი შთამომავლობის განაჩენი შეეძლო ამოეკითხა.

მაგრამ მელასავით ცბიერი და გაუტანელი გახლავთ ქალბატონის ბუნება. კლერის სიყვარულით დაბრმავებული ტესი არასოდეს დაფიქრებულა შედეგებზე, რომელიც შეიძლებოდა ამ სიყვარულს

მოჰყოლოდა. არ უფიქრია, რა გავლენას მოახდენდა სხვებზე ის, რაშიც იგი მხოლოდ საკუთარ უბედურებას ხედავდა.

ამიტომაც კლერის დასკვნებსა და მოსაზრებებს საკუთარი ვეღარ დაუპირისპირა ტესმა. მაგრამ ძალზე მგრძნობიარე ადამიანებს საკუთარ მოსაზრებებზე კამათი უყვართ. კლერსაც ისეთი წინააღმდეგობის გრძნობა გაუჩნდა, რომ მერე თავადვე შეეშინდა მისი. იგი უმეტესწილ ტესის ბუნების თავისებურებებზე იყო დაფუძნებული; ტესს შეეძლო ესარგებლა ამით, და ეთქვა: „ვის რაში ეკითხება ჩემი უბედურების ამბავი. ავსტრალიის ზეგანსა და ტეხასის დაბლობში, ვინ დაგძრახავს ან შენ ან მე“. მიუხედავად ამისა, როგორც ქალებს სჩვევიათ, კლერის მიერ დახატული მომავალი მან გარდაუვლად მიიჩნია და ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყო. ქალის მგრძნობიარე გული შეიგრძნობს არა მხოლოდ საკუთარ ტკივილს, არამედ ქმრის ტკივილსაც და კიდევ რომ არავის ესაყვედურებინა კლერისათვის, სულერთია, მისი გული და ყური მაინც შეიგრძნობდა ამ საყვედურს საკუთარი ფანტაზიის წყალობით.

სამი დღე გავიდა. ვინმეს შეიძლებოდა გაებედა და ახირებული პარადოქსალური ვარაუდი გამოეთქვა: კლერში რომ ცხოველური საწყისი უფრო ძლიერი ყოფილიყო, იგი უფრო კეთილშობილურად მოიქცეოდაო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვამბობთ, კლერის სიყვარული მეტად წმინდა და არა მიწიერი იყო ყოელდღიური ცხოვრების პირობებში. ასეთი ბუნების ადამიანებზე საყვარელი არსების სიახლოვე უფრო ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე სიშორე, რადგანაც განშორების ჟამს წარმოიქმნება ხოლმე იდეალური სახე, რომელიც რეალურ ნაკლოვანებებს მოკლებულია. ჰოდა, ტესი დარწმუნდა ბოლოს და ბოლოს რომ მისი სიახლოვე სრულიადაც არ მოქმედებდა კლერზე ისე ძლიერ, როგორც თავად იმედოვნებდა. გამართლდა კლერის ხატოვანი თქმა — ტესი სხვა ქალი იყო — და არა ის, რომელიც მას სურდა.

— მე დავუფიქრდი შენს ნათქვამს, — თქვა ტესმა და საჩვენებელი თითით სუფრაზე ხაზები გაავლო. მეორე ხელი კი, რომელზეც ოქროს ბეჭედი ეკეთა, თავზე მიიდო. ბეჭედი ისე ელავდა, თითქოს ორივეს მასხრად იგდებსო.

— შენ მართალი ხარ, ყველაფერში მართალი ხარ. შენ უნდა გამშორდე და წახვიდე ჩემგან.

— შენ რაღას იზამ? — მე შინ დავბრუნდები. კლერს ამაზე არასოდეს უფიქრია.

— მართლა? — ჰკითხა მან.

— ჰო, უნდა დავშორდეთ ერთმანეთს და რაც უფრო მალე დავშორდებით, მით უკეთესია. მახსოვს, ერთხელ მეუბნებოდი: მამაკაცებს შენ ისე იზიდავ, თავგზას უბნევ. გონივრული განსჯის საშველს აღარ აძლევო. ჰოდა, თუ სულ შენ გვერდით ვიქნები, ხომ შეიძლება უნებურად შეცვალო გადაწყვეტილება სურვილისა და გონების საწინააღმდეგოდ. მერე კი შენი სინანული და საკუთარი ნაღველი აუტანელ ტანჯვას მომგვრის.

— გინდა შინ დაბრუნება? — ჰკითხა კლერმა.

— მინდა.

— შენი ნებაა.

თუმცა ტესს თვალებში არ შეუხედავს კლერისათვის, მაინც შეაჟრჟოლა. მეტად მწვავედ იგრძნო სხვაობა კითხვასა და თანხმობას შორის.

— ვგრძნობდი და მეშინოდა, რომ ამით დამთავრდებოდა საქმე, — წაიჩურჩულა ტესმა. სახეზე მორჩილება ეხატებოდა. დაბნეული იყო, — მე არა ვწუწუნებ, ენჯელ... მე... მე ვფიქრობ, რომ ეგრე აჯობებს. შენმა სიტყვებმა საბოლოოდ დამარწმუნა, ამაში და თუმცა არც არავინ მისაყვედურებდა ერთად რომ გვეცხოვრა, მაინც ვინ იცის გაივლის წლები, შეიძლება შენვე გამიჯავრდე წვრილმანისთვის, გაგახსენდება ჩემი წარსული და პირში მომახლი საყვედურს. ამას სხვებიც მოჰკრავენ ყურს, შესაძლოა ჩემმა საკუთარმა ბავშვებმაც გაიგონონ. ჰოდა, ის, რაც ტკივილს მაყენებს ახლა, მაშინ წამება იქნება ჩემთვის და ბოლოს მომიღებს! არა, მე წავალ... ხვალვე წავალ.

— არც მე დავრჩები აქ. მართალია, პირველს მე არ უნდა დამეწყო ლაპარაკი, მაგრამ მგონია, რომ უფრო კეთილგონივრული იქნება, თუ დროებით მაინც დავშორდებით ერთმანეთს, ვიდრე კარგად ავწონ-დავწონიდე ყოველივეს. მერე კი წერილს მოგწერ...

ტესმა ქურდულად გააპარა მზერა. ენჯელი გადაფითრებულიყო, ცახცახებდა კიდეც. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქალი ახლაც განაცვიფრა სიმტკიცემ იმ მორჩილი ადამიანისა, რომელსაც ტესი ცოლად გაჰყვა, გააოცა მისმა ნებისყოფის ძალამ, რომელიც მდაბალ გრძნობებს უფრო ამაღლებულ გრძნობებს უმორჩილებდა, მატერიას — იდეას, ხორცს კი — სულს. მიდრეკილებები, მისწრაფებები, ზნეჩვეულებანი თითქოსდა მისი შეუდრეკელი ნებისყოფით ატაცებული ხმელი ფოთლები იყო.

კლერმა, ეტყობა, დაიჭირა მისი მზერა და აუხსნა:

— რაც უფრო შორს ვარ ადამიანებისაგან, მით უფრო მიყვარს ისინი.

— და ცინიკურად დასძინა, — ვინ იცის, ოდესმე მოწყენილობამ კვლავაც შეგვყაროს ერთმანეთს. განა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა ასეთი?

იმავე დღეს დაიწყო კლერმა ბარგის ჩალაგება. ავიდა თუ არა თავის ოთახში, ტესმაც გამგზავრების თადარიგს მიჰყო ხელი. ორივეს ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: ვინ იცის, ხვალ დილით სამუდამოდ ვცილდებითო ერთმანეთს, თუმცა კი ახლანდელ განშორებას დამამშვიდებელი ვარაუდების საბურველში ხვევდნენ, რადგან ორივე ადამიანთა იმ ჯიშს განეკუთვნებოდა, რომელთათვისაც განშორება, რომელიც სამუდამო მარტოობით ემუქრებოდა, წამება იყო. კარგად უწყოდა კლერმა, ისევე როგორც ტესმა, რომ განშორების პირველ დღეებში ერთურთისაკენ სწრაფვა, შესაძლო იყო უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე ოდესმე, მაგრამ დრო, ყოვლის მკურნალი დრო მიაყუჩებდა მასაც. ის პრაქტიკული მოსაზრებები, რომელთა ძალითაც კლერი უარს ამბობდა ტესის ცოლობაზე, ახალის ძალით აღიჭურვებიან მომავალი დღეების ცივ შუქზე. ესეც არ იყოს, როდესაც ორი ადამიანი დაცილდება ერთმანეთს, აღარა ცხოვრობენ ერთი ცხოვრებით და ერთ ჭერქვეშ, მაშინვე შეუმჩნევლად ამოიყრის ხოლმე ახალი ყლორტები, რომლებიც ცარიელი ადგილების შევსებას იწყებენ. წინასწარ გაუთვალისწინებელი მოვლენები ხელს უშლიან წინანდელი ჩანაფიქრის განხორციელებას და ძველი გეგმებიც დავიწყების ბურუსში ინთქმება.

XXXVII

შუაღამე წამოვიდა და ჩუმად გაიარა, რადგან ფრუმის ველზე არაფერი იუწყებოდა შუაღამის საათის მობრძანებას.

ღამის ორ საათზე, ოდესღაც დ'ერბერვილთა ციხე-დარბაზის, ამჟამად კი ფერმერის შავად გამომზირალ სახლში ფრთხილი ჭრიალი გაისმა. ზევით ოთახში ჩაძინებულ ტესს ხმაურზე გამოეღვიძა. კიბის მოსახრელში ცუდად მიჭედებულმა ფიცარმა გაიჭრაჭუნა. ფართოდ გაიღო ტესის საწოლის კარი და მთვარის შუქის ზოლი მისკენ საოცარი სიფრთხილით მომავალი ქმრის ჩრდილმა გადაჰკვეთა. კლერს ტანთ მხოლოდ პერანგი და შარვალი ეცვა. ტესს მაშინვე ჩაუქრა უეცარი სიხარულის ნაპერწკალი. ენჯელი უაზროდ იცქირებოდა სადღაც უსასრულობაში. მერე შედგა ოთახის შუაგულში და უსაზღვრო, სევდით შეპყრობილმა წაიჩურჩულა:

— მოკვდა! მოკვდა! მოკვდა!

დიდი მღელვარების შემდეგ კლერს ხშირად სჩვეოდა ასე: მძინარი წამოდგებოდა, მოჰყვებოდა სიარულსა და უცნაურად იქცეოდა. ქორწინების წინა ღამეს ბაზრობიდან დაბრუნების შემდეგაც ასე დაემართა. ჩხუბი აუტეხა თავის საწოლ ოთახში იმ კაცს, საღამოს ტესს რომ შეურაცხყოფა მიაყენა. ტესი მიხვდა ხანგრძლივმა სულიერმა მღელვარებამ ჩააგდო კლერი ამ დღეში. ენჯელი მთვარეული იყო.

— ისე ღრმად ჰქონდა გულსა და გონებაში გამჯდარი ტესს ენჯელის რწმენა, რომ არც ფხიზელი აღუძრავდა იოტისოდენა შიშსა და არც მძინარე. რევოლვერითაც რომ წადგომოდა თავს, ალბათ, არც მაშინ შეეპარებოდა ეჭვი, რომ კლერი მისი მოყვარე და დამცველი იყო.

კლერი მიუახლოვდა, დაიხარა და კვლავ აჩურჩულდა:

— მოკვდა, მოკვდა! მოკვდა!

თვალმოუშორებლად, უსაზღვრო სევდით აღსავსე ჩასცქეროდა ენჯელი ტესს რამდენიმე წამს. მერე დაიხარა, ხელი დაავლო, გაახვია ზეწარში, როგორც მიცვალებული სუდარაში. მოწიწებით ასწია და ოთახიდან გაიყვანა.

— საბრალო, ჩემო საბრალო ტეს... ჩემო ძვირფასო, საყვარელო ტეს! ჩემო სიყვარულო, კეთილო, ერთგულო!..

ო, რა ტკბილად ესალბუნებოდა ტესის დაობლებულ ალერსს მოწყურებულ სულს ეს სასიყვარულო სიტყვები, რომელთაგანაც ასე მკაცრად იცავდა თავს კლერი ცხადში. საფრთხეშიაც რომ ყოფილიყო ტესის სიცოცხლე, მაინც არ გაინძრეოდა ახლა, არ დაუსხლტებოდა ვაჟს ხელიდან, და არ დათმობდა, ამ სანუკვარ ტკბობას. გაუნძრევლად იწვა ტესი ენჯელის მკლავებზე ამოსუნთქვაც ვერ გაებედა. კლერმა კიბის თავზე გაიყვანა, ვერ მიხვდა, რას უპირებდა ენჯელი.

— ჩემი ცოლი... მოკვდა, მოკვდა! — დაიჩურჩულა მან.

წუთით შედგა, მოაჯირს მიეყრდნო, რომ შეესვენა. გადაგდებას ხომ არ უპირებდა?! თავდაცვის ინსტინქტი თითქოს ერთიანად ჩაფერფლილიყო ტესში. ხვალ ხომ კლერი გამგზავრებას აპირებს. ვინ იცის, სამუდამოდაც წავიდეს! იცოდა ეს ტესმა და თუმცა ხიფათი ელოდა, უფრო სიტკბოსა და სიხარულს განიცდიდა, ვიდრე შიშსა და ძრწოლას. რა კარგი იქნებოდა, ერთად რომ გადავარდნილიყვნენ და დამსხვრეულიყვნენ.

მაგრამ არ გადააგდო კლერმა ტესი. მოაჯირს მიეყრდნო და ეამბორა ბაგეს, რომელიც სძულდა დღისით. მერე მაგრად ჩაიკრა ისევ გულში და კიბეზე დაეშვა. კიბის საფეხურების ჭრაჭუნმაც ვერ გამო-

აფხიზლა ენჯელი. მშვიდობით ჩამოვიდნენ კიბეზე. მერე ერთი ხელით დაიჭირა ტესი, მეორე გაითავისუფლა, კარის ურდული გადასწია და გარეთ გავიდა. ოდნავ შეეხო წინდიანი ფეხით კარს, მაგრამ, ეტყობოდა, ვერც ეს შენიშნა, გარეთ ჰაერზე, თითქოს თავისუფლად იგრძნო თავიო, წელში გაიმართა, ტესი მხარზე მოიგდო ტარება რომ გაადვილებოდა. ტანთ არ ეცვა, ამიტომაც კიდევ უფრო მსუბუქი იყო ტვირთი. ენჯელი მდინარისაკენ დაეშვა. მდინარე იქიდან სულ რამდენიმე ნაბიჯის სავალზე მიდუდუნებდა. ტესმა არ იცოდა რა ჰქონდა განზრახული კლერს; გაყუჩებულიყო და ცდილობდა ამოეხსნა ამოცანა, თითქოს შორიდან მაყურებელი კაციაო, მშვიდად, მთელი არსებით მიენდო ტესი ენჯელს და სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ კლერი თავის საკუთრებად თვლიდა მას, საკუთრებად, რომელსაც როგორც მოესურვებოდა, ისე მოექცეოდა. ტესი წინასწარ გრძნობდა ხვალინდელი დღის საშინელებას და ახლა ნუგეშს სცემდა ენჯელის საქციელი. კლერმა აღიარა ტესი თავის ცოლად, ხელს არა ჰკრავდა და აღარ უარყოფდა! ჰოდა, დე, ისემც უქნია, რომ ვნება და ზიანიც მიუყენებია მისთვის...

ჰო! — უეცრად მიხვდა ტესი, ენჯელს ის ნეტარი კვირა დილა ეზმანებოდა, ხელში აყვანილი ტესი რომ გადაიყვანა გუბურაზე, ენჯელმა მაშინ სხვა გოგონებიც გადაიყვანა წყალზე. იმ გოგონებს ხომ ისევე უყვარდათ ენჯელი, როგორც ტესს, თუკი ეს შესაძლო იყო საერთოდ.

— ტესს, რა თქმა უნდა, არა სჯეროდა, რომ შეიძლებოდა მასავით ვინმეს სხვას კიდევ ყვარებოდა იგი. კლერმა გვერდი აუარა ხიდს, მდინარის პირს დაუყვა წისქვილისაკენ და ზედ წყალთან შედგა.

— მდინარე მინდვრებზე გადადიოდა, იტოტებოდა და პატარ-პატარა უსახელო კუნძულებს უვლიდა გარს. მერე ისევ უკან ბრუნდებოდა წყალი და ერთ მთლიან ნაკადად ერთდებოდა. კლერი მდინარის ყველაზე ღრმა ადგილას შედგა, ბოგირი გაედოთ წყალზე, გაზაფხულის ნიაღვრებს ბოგირის სახელურები წაელეკა, ფიცრები რამდენიმე დუიმით ძლივს აცილებოდა წყალს. დინება ამ ადგილზე ისეთი სწრაფი იყო, რომ ბოგირზე მხოლოდ ისეთი კაცი გაივლიდა, რომელმაც არ იცოდა თავბრუსხვევა რა იყო. ტესმა დღისით რამდენჯერმე მოჰკრა თვალი, როგორ იწონებდნენ ყმაწვილები თავს ბოგირზე გასვლისას, ნახეთ, რა ყოჩაღები ვართ, როგორ ვახერხებთ და წყალში არ ვვარდებითო. იქნებ მის ქმარსაც კი დაუნახავს ისინი. ასე იყო თუ ისე, კლერი შედგა ბოგირზე, ფეხით მოსინჯა და გზას გაუდგა.

— მდინარეში დახრჩობას უპირებს? — ვინ იცის! ადამიანისშვილი

ახლომახლო არსად ჭაჭანებდა. მდინარეც ღრმა იყო და კარგა განიერიც საიმისოდ, რომ ენჯელს თავისი განზრახვა აღესრულებინა. დე, დაახრჩოს, თუკი მას ასე სურს. ესა სჯობს ხვალ მასთან დაცილებას და მერე მარტოდმარტო ცხოვრებას.

გაშმაგებული მიჰქროდა და მიღმუოდა მდინარე. მათ ფეხქვეშ ამსხვრევდა, ამრუდებდა და ამახინჯებდა წყალში არეკლილი პირბადრი მთვარის სახებას. ნაფლეთებად მიცურავდა წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული ქაფი. წყალმცენარეები ხიმინჯებს შემოხვეოდენ. კლერი ისე ჩაჰკვროდა ტესს, წყალში რომ გადავარდნილიყვნენ, ვერაფერი უშველიდათ. რა უმტკივნეულოდ და დაუჩივლებლად წავიდოდნენ ამქვეყნიდან; აღარც ტესი მოისმენს საყვედურებსა და აღარც ენჯელს დაამუნათებენ მისი შერთვისათვის. მათი სიცოცხლის უკანასკნელი საათი სიყვარულის ჟამი და საათი იქნება. ხოლო თუ იცოცხლეს ენჯელის გამოფხიზლებამდე, კვლავაც დაუბრუნდება ენჯელს ზიზღი მისადმი და ეს ტკბილი საათი მხოლოდღა სიზმარივით შემორჩება მეხსიერებაში.

როგორ უნდოდა ტესს ისეთი რამ ჩაედინა, რომ ორივენი მორევში ჩანთქმულიყვნენ, მაგრამ ვერ გაბედა. რომ ჩირადაც არ უღირდა სიცოცხლე, ტესმა უკვე დაამტკიცა, მაგრამ უფლება არ ჰქონდა საფრთხეში ჩაეგდო კლერის სიცოცხლე! კლერმა მშვიდობით გააღწია გაღმა ნაპირს.

— მდინარის გაღმა ნაპირზე იშლებოდა პლანტაციები, ეს ადგილები ოდესღაც მონასტრის მფლობელობაში იყო თურმე. ენჯელმა მაგრად მიიკრა ტესი მკერდზე და იქვე ორიოდე ნაბიჯზე მონასტრის საკურთხევლის ნანგრევებისაკენ გასწია. ჩრდილოეთის კედელთან რომელიღაც აბატის ქვის აკლდამა იყო. რამდენჯერ გაშოტილან ზედ ტურისტები ხუმრობით. კლერმა ფრთხილად ჩააწვინა აკლდამაში ტესი. ერთხელ კიდევ ეამბორა და ღრმად ამოიოხრა, თითქოსდა როგორც იქნა, აღისრულა სანუკვარი სურვილიო. მერე თვითონაც მიწვა ქვის კუბოს გვერდით და დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით ჩაეძინა. გაუნძრევლად იწვა დიდხანს. მძიმე სულიერი დაძაბულობის შემდეგ ახლა ჭარბად წარმოიქმნებოდა ძალა, რომელიც ენერგიას მატებდა.

ტესი აკლდამაში წამოჯდა. წელიწადის იმ დროისათვის შედარებით მშრალი და რბილი ამინდი იდგა, მაგრამ მაინც ციოდა და შილიფად ჩაცმული კლერისათვის სახიფათო იყო აქ დიდხანს დარჩენა. მისთვის რომ ეყურებინა კაცს, ალბათ გათენებამდე აქ იქნებოდა, ვინ იცის, ისე გაციებულიყო, რომ ვეღარც გამოკეთებულიყო.

ტესს გაგონილი ჰქონდა, ასეთი რამე ხშირად ემართებათ მთვარეულებსო. მაგრამ აბა, როგორ გააღვიძოს. რა უთხრას, რას აკეთებდი აქო! თავისი უგუნური საქციელის ამბავს რომ გაიგებდა, ხომ დაიწვებოდა სირცხვილით. ეს კი გაიფიქრა, მაგრამ მაინც ამოვიდა აკლდამიდან, ფრთხილად შეანჯღრია კლერი, მაგრამ ეტყობოდა სიფრთხილით არაფერი გამოვიდოდა, თუ ძალას არ დაატანდა: რადაც უნდა დაჯდომოდა, რაღაც უნდა ეღონა. ტესი უკვე კანკალმა აიტანა. ზეწარი ვერ იფარავდა სიცივისაგან, ვიდრე ენჯელის მკლავები იფარავდა: აღელვებული ტესი სიცივეს ვეღარ გრძნობდა, მაგრამ წარვიდნენ ნეტარი წამები.

უეცრად გადაწყვიტა, ჩაგონების ხერხი ეხმარა. გაბედულად და მტკიცედ, რამდენადაც ამის უნარი შესწევდა, ტესმა ყურში ჩასჩურჩულა კლერს.

— წამოდი, წამოდი გზა გავაგრძელოთ, ძვირფასო, — და მაგრად მოქაჩა მკლავზე.

მისდა სასიხარულოდ კლერი უსიტყვოდ დაემორჩილა. ეტყობა, მისი სიტყვები სიზმრად ჩაესმა. კლერს ახლა ეჩვენებოდა, ტესი მკვდრეთით აღმდგარიყო თითქოს და სულს მისას ახლა ზეცაში აჰყავდა იგი. ტესმა ხელი ჩაავლო კლერს, ქვის ხიდი გადაატარა სახლის წინ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და კართან შედგა. ტკიოდა შიშველი ფეხები ტესს ქვებზე სიარულისაგან. ერთიანად გალურჯებულიყო სიცივისაგან. კლერს კი მატყლის წინდები ეცვა და თითქოს არცა გრძნობდა სიცივეს.

ამის შემდეგ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ტესმა აიძულა კლერი ტახტზე დაწოლილიყო, თბილად დაახურა და ჩაათბუნა, მერე ცეცხლი გააჩაღა ბუხარში. ხმაური და ფეხის ხმა გააღვიძებსო, ფიქრობდა ტესი, სადღაც გულის სიღრმეში უნდოდა კიდეც ასე მომხდარიყო. მაგრამ სულიერად და ფიზიკურად გატანჯულსა და განაწამებ ენჯელს ღრმად ეძინა.

როდესაც მეორე დილით შეხვდნენ ერთმანეთს, ტესი მაშინვე მიხვდა, კლერი არას უწყოდა იმ ღამის სეირნობაში მისი მონაწილეობის შესახებ. თუმცა ეჭვით კი შეიძლება ეჭვობდა, რომ ის ღამე მშვიდად არ გაუტარებია თავის საწოლში. სინამდვილეში მას ხომ მართლაც ისე ღრმა ძილით ეძინა, გარდაცვალებას რომ ჰგავს და იმ წამებში, ოდეს გონება საკუთარ ძალებს სინჯავს, მსგავსად სამსონისა, ბუნდოვნად ახსენდებოდა საოცრად გატარებული ის ღამე, მაგრამ რეალობამ მალე განდევნა ყოველგვარი ვარაუდები და კითხვები. კლერი ერთ ხანს ელოდა, ვიდრე ნათელი მოეფინებოდა

მის გონებას. გამოცდილებით კარგად იცოდა: თუ დღის შუქი არ გაჰ-ფანტავს წინა ღამით მიღებულ გადაწყვეტილებას, გინდაც იგი ემოციების ნაყოფი იყოს, მაშასადამე ეს გადაწყვეტილება დაფუძნებულია გონების მიერ მიღებულ დასკვნებზე. ამიტომაც ნდობის ღირსია და მისაღები. აი, დილის ბინდბუნდში კლერი კვლავაც ფიქრობდა ტესთან განშორებაზე. ახლა ეს გადაწყვეტილება სიფიცხისა და აღშფოთების ნაყოფი როდიღა იყო. არა, მას აღარ გააჩნდა ის ცეცხლი, რამაც წარმოშვა თავად. მისგან მხოლოდ ძვლები, ცარიელი ჩონჩხიღა დარჩენილიყო, და რაკი მაინც დარჩენილიყო რაღაც, კლერი უკვე აღარ ყოყმანობდა.

საუზმის დროს და შემდეგაც როცა ბარგს ალაგებდნენ, კლერი ისეთი დაღლილ-დაქანცული ჩანდა, ტესი მზად იყო გაემხილა ყველაფერი, მაგრამ გადაიფიქრა: გაწყრება, შეწუხდება, შერცხვება და სასაცილო მდგომარეობაში მოეჩვენება თავი, როდესაც გაიგებს, რომ სიყვარული გაუმჟღავნა უნებურად. სიყვარული, რომელსაც მსჯავრი დადო საღმა აზრმა და გონებამ. და ამით თავი დაიმცირა, მაშინ როცა გონებას მისას ეძინა. კლერისათვის ამ ამბის მოყოლა ახლა იგივე იქნებოდა, რაც გამოფხიზლებული კაცისთვის სიმთვრალეში ჩადენილი საქციელის დაცინვა.

ტესმა ერთი ფიქრით ისიც იფიქრა: ვინ იცის, ენჯელს ახსოვს კიდეც ბუნდოვნად — რა თბილი, რა ნაზი იყო ტესის მიმართ და ახლა არა სურს ამაზე ლაპარაკი იმის შიშით, ტესმა არ ისარგებლოს შემთხვევით და დარჩენა არა მთხოვოსო.

კლერმა მეზობელი ქალაქიდან გამოითხოვა ეტლი. ეტლმაც არ დააყოვნა და მალე საუზმის შემდეგ უკვე მათ კართან იდგა. ტესი ამაში დასასრულის დასაწყისს ხედავდა, — დროებით დასასრულს მაინც. წინა ღამით კლერის მიერ შემთხვევით გამომჟღავნებულმა სითბომ კვლავ იმედის ფრთები შეასხა ქალს. ხომ შეიძლებოდა კვლავაც შერიგებულიყვნენ. ბარგი ზემოდან შემოაწყვეს ეტლზე და გზას დაადგნენ. მეწისქვილემ და მოხუცმა მსახურმა ქალმა, ცოტა არ იყოს გაიოცეს მათი ასეთი უეცარი გამგზავრება. კლერმა თავი იმართლა: წისქვილი მეტისმეტად მოძველებულია, ძველ ყაიდაზე მუშაობს, მე კი ახალი მეთოდების შესწავლა მაქვს განზრახულიო. კაცმა რომ თქვას; ასეთი მიზეზი როდი სცოდავდა ჭეშმარიტების წინაშე. მათი გამგზავრება ოდნავადაც არ აღძრავდა რაიმე კატასტროფის ეჭვს, ვერც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ ისინი ვთქვათ, მეგობრებთან არ მიდიოდნენ სტუმრად.

გზა იმ ფერმაზე ედოთ. საიდანაც ამ ორიოდე დღის წინ ასეთი ზეიმით გამოემგზავრნენ. რაკიღა კლერს მისტერ კრიკთან საბოლოო

ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი, სხვა რა გზა იყო, ტესსაც უნდა მოენახულებინა მისის კრიკი. თორემ ვინ იცის, სუნი ეკრა, საქმე ვერაა სულ მთლად კარგადო.

მათ სტუმრობას რომ ნაკლები აურზაური გამოეწვია და ხალხთა ყურადღებაც ნაკლებად მიეპყროთ, ეტლი ჭიშკართან გზაზე დატოვეს და მხარიმხარ გაუყვნენ სახლისაკენ მიმავალ ბილიკს. ხეების გადანაჭრებიღა დარჩენილიყო იქ, სადაც უწინ ტირიფნარი იყო. ახლა აქედანაც მშვენივრად მოჩანდა ის ადგილი, სადაც კლერი მუდარით მისდევდა უკან ტესს და ცოლობას ეაჯებოდა. მარცხნივ ის ღობე იყო, საიდანაც მოჯადოებული ტესი კლერის არფას უსმენდა. შორს კი, ბოსელის იქით, ის მინდორი მოჩანდა, სადაც მათ პირველად აკოცეს ერთმანეთს. ზაფხულის ოქროცურვილი ფერები ახლა განაცრისფერებული, საღებავები გაფერმკრთალებული, შავი მიწა ატალახებული და მდინარე გათოშილი იყო.

საჩეხიდან მოჰკრა თვალი კრიკმა და პირდაპირ მათკენ გამოსწია, და როგორც ტელბოტეისსა და მის მიდამოებში იყო მიღებული, ახალჯვარდაწერილთა დანახვისას სახეზე მხიარული და ხალისიანი გამომეტყველება აიკრა. მალე მისის კრიკიც გამოჩნდა. ვიღაც ქალები მოჰყვებოდნენ, მერიენი და რეტი კი არსად ჩანდნენ.

ტესმა ვაჟკაცურად მოისმინა მათი ეშმაკური და მეგობრული ოხუნჯობა, რომელიც სულაც არ მოქმედებდა ტესზე ისე, როგორც ამას მთქმელები ვარაუდობდნენ. ცოლ-ქმარი უსიტყვოდ შეთანხმებულიყო დაეფარათ სხვებისაგან სიმართლე. მათ საქციელში კაცი ვერ შეიტანდა ეჭვს. თუმცა ტესს ერჩია სიტყვაც არ გაეგონა, მათ მაინც დაწვრილებით უამბეს მერიენსა და რეტიზე. რეტი მამის სახლში დაბრუნებულა, მერიენი კი ფერმიდან წასულა და ახლა სხვაგან ეძებდა თურმე სამუშაოს. ყველა შეშფოთებული იყო, თავს არაფერი აუტეხოსო. ..

გულდამძიმებულ ტესს სევდა რომ გაექარვებინა. თავისი საყვარელი ძროხების მოსანახულებლად გაეშურა, სათითაოდ გადაუსვა ხელი ქედზე ყველას. გამომგზავრების წინ კლერი და ტესი ისე იდგნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ, თითქოსდა ერთნი იყვნენ სულიერად და ხორციელად, რა საბრალოები კი იქნებოდნენ ისინი იმათ თვალში, რომ სიმართლე სცოდნოდათ. თითქოსდა ორი სიცოცხლე ერთ მთელად შერწყმოდა ერთმანეთს. ვაჟის ხელი ქალის ხელს ეხებოდა, ქალი კი კაბით მიჰკროდა ვაჟს. ორივე ერთ მხარეს იყურებოდა, როდესაც ფერმის მცხოვრებნი მათ შესცქეროდნენ და ემშვიდობებოდნენ. „ჩვენ“ — ამბობდნენ ისინი საკუთარ თავზე. ისე შორს კი იყვნენ ერთმანეთისაგან, როგორც ორი პოლუსი. შეიძლება მათ

საქციელში მაინც იგრძნობოდა დაძაბულობა და არაბუნებრიობა, რაღაც უხერხულობა, რომელიც შეყვარებული ცოლ-ქმრის როლის შესრულების ძალდატანებულ ცდაში გამოსჭვიოდა. ეს უხერხულობა კი არა ჰგავდა ახალდაქორწინებულთა მოკრძალებასა და სიმორცხვეს. ალბათ ამიტომაც იყო რომ თვალს მიეფარა თუ არა მათი ეტლი, მისის კრიკი ქმარს მიუბრუნდა: — ეს რა უცნაურად უბრწყინავდა ტესს თვალები. სანთლის თოჯინებივით არ იდგნენ! ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს სიზმარში არიანო! ვერ შეამჩნიე? არა, ტესი ყოველთვის უცნაური იყო, მაგრამ ახლა მაინც სულ საოცარი ჩანდა. როგორ იციან ხოლმე ახალგაზრდა ცოლებმა გაამაყება თავიანთი კარგი ქმრებით, ის კიდევ...

ტესი და კლერი ჩასხდნენ ეტლში და უეთერბერისა და სტეგფუტლეინისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ, ვიდრე ღვინის დუქნამდე არ მივიდნენ. კლერმა აქ გაუშვა ეტლიც და მეეტლეც. ერთ ხანს შეისვენეს, მერე კი ტესის დედულეთისაკენ გაემართნენ. მეეტლე ვიღაც უცხო კაცი იყო და არა იცოდა რა მათზე. ნეტლბერის რომ ჩაუარეს და გზაჯვარედინზე გავიდნენ, კლერმა გააჩერა ეტლი: აქ დავცილდეთ ერთმანეთს, თუკი შენ კვლავინდებურად გსურს დედასთან დაბრუნებაო, — უთხრა. რაკიღა მეეტლესთან ლაპარაკი უხერხული იყო, კლერმა შესთავაზა, რამდენიმე ნაბიჯი ფეხით ევლოთ გადასახვევზე. ტესი დაყაბულდა, მეეტლეს უბრძანეს დაგველოდეო, თავად კი გზას გაუყვნენ.

— მოდი გავუგოთ ერთმანეთს, — რბილად უთხრა კლერმა, — უბოროტოდ ვცილდებით ერთმანეთს, მაგრამ მაინც რჩება ისეთი რამე, რასაც ჯერ კიდევ ვერ შევგუებივარ. ყოველნაირად შევეცდები დავძლიო თავი. როგორც კი გადავწყვეტ რამეს, მაშინვე შენც შეგატყობინებ, საით ვაპირებ გამგზავრებას. ჰოდა, თუკი მოვახერხებ და შევეგუებ თავს იმას, რაც ახლა აუტანელი მეჩვენება, რა თქმა უნდა, თუკი ეს საჭირო იქნება, ან შესაძლებელი, დავბრუნდები შენთან. მხოლოდ იცოდე, ვიდრე მე თავად არ ჩამოვალ შენთან, არ იფიქრო და არც ცადო ჩემთან ჩამოსვლა. ასე აჯობებს.

სასიკვდილო განაჩენივით ჩაესმა ტესს კლერის ბრძანება. აშკარა იყო, როგორადაც ესახებოდა იგი კლერს: ტესი მისთვის ახლა ის ქალი იყო, ვინაც მწარედ მოატყუა, მაგრამ იმსახურებს კი ტესი, ასეთ სასჯელს, მის საქციელს რომ დავუფიქრდეთ? ასე იყო თუ ისე, ცოლობას ვერ გაუწევდა ახლა ტესი კლერს. იდგა მხოლოდ და იმეორებდა კლერის სიტყვებს:

— სანამ შენ თავად არ ჩამოხვალ, მე არც უნდა ვიფიქრო და არც ვცადო შენთან ჩამოსვლა!

— ჰო, ეგრე.

— წერილი შემიძლია მოგწერო?

— ჰო... თუ, ვთქვათ ავად გახდები ან რამე გაგიჭირდება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ კარგად იქნები, შეიძლება მე თვითონაც მოგწერო პირველად.

— თანახმა ვარ ამ პირობებზე, ენჯელ. იმიტომ, რომ შენ უკეთ უწყი რა სასჯელს ვიმსახურებ მხოლოდ... მხოლოდ... ისე ნუ იზამ, რომ ჩემთვის აუტანელი იყოს!.

ეს იყო და ეს ტესმა მეტის თქმა ვეღარ მოახერხა. ტესი რომ ასეთი უშუალო არა ყოფილიყო, თამაში დაეწყო, გული წასვლოდა, ისტერიულად აღრიალებულიყო და ცრემლები გადმოეღვარა ამ უკაცრიელ გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ კლერს დიდად რცხვენოდა და ეთაკილებოდა ამ საქმისა, მაინც ვერ გაუმკლავდებოდა, უთუოდ მოწყდებოდა. მაგრამ ტესი უკვე შეეჩვია უსასრულო ტანჯვა-წამებაზე ფიქრს და ამით გზა გაუადვილა კლერს. იგი თავად იყო კლერის საუკეთესო ვექილი და დამცველი. ტესი არ შეხებია კლერის გულის სიმებს, რომლებიც შეეძლო შეერხია მუდარით, გარემოების უტყვ მორჩილებაში გამომჟღავნდა დ'ერბერვილთა მთელი გვარის დამახასიათებელი თვისება.

შემდგომ ამისა მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებზე იმსჯელეს. კლერმა საკმაოდ დიდი თანხა გადასცა პაკეტით; ეს ფული მან საგანგებოდ გამოითხოვა თავისი ბანკირისაგან. ბრილიანტები, რომლებიც როგორც ჩანდა, მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე ეკუთვნოდა ტესს (თუ, რა თქმა უნდა, სწორად მოახერხა გაეგო გარდაცვლილის ნება-სურვილი) შესთავაზა ბანკში გადაეგზავნათ შესანახად, რასაც ტესი დიდი სიამოვნებით დათანხმდა.

მოლაპარაკებას რომ მორჩნენ, კლერმა ტესი გზაჯვარედინამდე მიაცილა და ეტლში ჩასვა. მეეტლეს წინასწარ გადაუხადა გასამრჯელო და აუხსნა, სად მიეყვანა ქალი. მერე აიღო თავისი სამგზავრო ჩანთა და ქოლგა და ტესს დაემშვიდობა. ასე გაიყარა მათი გზები.

ეტლი მძიმე-მძიმედ მიუყვებოდა გორაკს. კლერი თვალებით მიაცილებდა მას და ქვეშეუცნობლად იმედოვნებდა, რომ ტესი ახლა, აი, ახლა წამით მაინც გამოიხედავდა ფანჯრიდან. ტესს კი აზრადაც არ მოსვლია გამოხედვა, რომ მოსვლოდა ალბათ ვერც გაბედავდა: საბრალო, ნახევრად მკვდარი ესვენა ეტლში. კლერი გაჰყურებდა როგორ შორდებოდა ტესი თანდათან და გულში თავისებურად გადაკეთებულ რომელიღაც პოეტის სტრიქონებს იმეორებდა:

არ არის ცაში ღმერთი — მიწაზე ტანჯვა გვბაწრავს.

როდესაც ტესის ეტლი ბორცვის თავს მიეფარა, კლერი თავის

გზას გაუდგა და არც უწყოდა, თუ კვლავაც უყვარდა ტესი.

XXXVIII

ტესი მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როდესაც ეტლი ბლეკმურის ველზე დაეშვა და ირგვლივ ბავშვობიდან კარგად ნაცნობი მიდამოები გადაეშალა; როგორ შეხედოს მშობლებს თვალებში? — ეს იყო ტესის პირველი ფიქრი.

იქვე სოფლის ბოლოში სადარაჯო გამოჩნდა. ჭიშკარი ვიღაც უცხო კაცმა გაუღო. ის მოხუცი კი, ვინ მოსთვლის რამდენი დღე და საათი გულმოდგინედ ასრულებდა ამ მოვალეობას და ტესსაც კარგად იცნობდა, არსად ჩანდა. შესაძლოა, ახალწლის დღეს დატოვა სადარაჯო, ასეთ დღეებში ხომ ჩვეულებრივ იცვლებოდნენ ხოლმე მსახურები. კარგა ხანი იყო, ტესმა აღარც ავი იცოდა მშობლიური სოფლისა, აღარც კარგი. დარაჯს გამოჰკითხა სოფლის ამბავი.

— ახალი არაფერია მის, — ჩვენს მარლოტში ყველაფერი ძველებურადაა. ხალხი იხოცება და ეგაა. ამას წინებზე ერთი კვირა თუ იქნება ჯონ დარბეიფილდმა ქალიშვილი გაათხოვა ერთ ჯენტლმენ ფერმერზე. ქორწილი აქ არ გადაუხდიათ, სადღაც სხვაგან იქორწინეს. ჯენტლმენი დიდებული წარმოშობისა ყოფილა და, როგორც ჩანს იუკადრისა გაღატაკებული ჯონის ოჯახის მიწვევა ქორწილზე. სასიძომ, ალბათ, არ იცოდა, ჩვენთან კი მთელ სოფელში მოირწყა: ჯონი უძველესი კეთილშობილური გვარის ნაშიერია, მისი წინაპრები საკუთარ აკლდამებში განისვენებენ: ესაა მხოლოდ, ქონება ჯერ კიდევ რომაელების დროს დაუკარგავთ. სერ ჯონმა, ახლა ასე ვეძახით, მაინც აღნიშნა, როგორც წესი მოსდგამდა, ქალიშვილის გაბედნიერების დღე. ყველას გაუმასპინძლდა მრევლში. ჯონის ცოლის პირი კი შუაღამის თორმეტ სათამდე არ გაჩერებულა, გახარებული მღეროდა და მღეროდა „ანკარა წვეთში“.

ამის გამგონე ტესს გული შეეკუმშა. გადაიფიქრა თავისი ბარგით და მონაგარით დატვირთული ეტლით საქვეყნოდ შუა სოფელში შესვლა. დარაჯს სთხოვა, ბარგი დაიტოვეო და როცა თანხმობა მიიღო, ეტლი გაუშვა, თავად კი მიყრუებული შუკებით შინისაკენ გაემართა.

— ღმერთო, როგორ უნდა გაბედოს და მამისეული სახლის კარის ზღურბლზე ფეხი გადააბიჯოს — გაუელვა ტესს, როცა მშობლიურ საკვამურს მოჰკრა თვალი. მის საბრალო მშობლებს ეგონათ, რომ მათი ქალიშვილი საქორწინო მოგზაურობაში იყო იმ მამაკაცთან ერთად, რომელიც მათზე ბევრად უფრო მდიდარია და უდაოდ კე-

თილდღეობის მწვერვალზე აღაზევებდა მათ ქალიშვილს. ის კი ობლად, მეგობრებისაგან მიტოვებული, მარტოდმარტო ქურდულად ეპარება თავის ძველ, დაფხავებულ სახლსა და არ გააჩნია ამქვეყნად სხვა თავშესაფარი.

ტესმა ვერ მოახერხა შინ შეუმჩნევლად მისვლა. ბაღის კიდეზე სკოლის ერთი ნაცნობ-მეგობარი შემოეჩეხა. გოგონას არ შეუმჩნევია ტესის მჭმუნვარე სახის გამომეტყველება. გამოიძია, აქ საიდან გაჩნდიო და ბოლოს ჰკითხა:

— ტეს, შენი ჯენტლმენი სადაა?

ტესმა აჩქარებით მიუგო საქმეებზე გამოიძახესო, მაშინვე დაემშვიდობა, ღობეზე გადაძვრა და შინისაკენ გაეშურა.

ბაღის ბილიკზე მიმავალ უკანა კარიდან დედის სიმღერა შემოესმა. მისის დარბეიფილდი, კარის ზღურბლთან იდგა და ზეწარს წურავდა. ტესი არც შეუმჩნევია, საქმეს მორჩა და შინ შევიდა. ქალიშვილიც უკან მიჰყვა.

— ტაშტი კვლავ თავის ადგილზე, — პატარა ძველ კასრზე იდგა, დედამ ზეწარი გვერდზე გადადო და ის იყო ისევ აპირებდა წყალში ხელების ჩაყოფას, რომ უეცრად ტესი დაინახა.

— საიდან! ტეს! შვილო!.. მე მეგონა გათხოვდი... ახლა მაინც ნამდვილად გათხოვდი... ჩვენ ვაშლის ბურახი გამოგიგზავნეთ...

— ჰო, დედა, ასეა.

— მაშ. თხოვდები? — გავთხოვდი უკვე.

— გათხოვდი?! მერე შენი ქმარი სადღაა? — დროებით სხვაგან გაემგზავრა.

— გაემგზავრა? როდის იყო ქორწილი? რომ იწერებოდი, იმ დღეს? — ჰო, სამშაბათს, დედა.

— დღეს შაბათია და ასე მალე გაემგზავრა? — ჰო.

— გიპოვია რაღა, შენც ქმარი!

— დედა! — ტესი მიუახლოვდა ჟოან დარბეიფილდს, თავი ჩამალა დედის მკერდში და აქვითინდა.

— არ ვიცი, როგორ გითხრა, დედა! შენ სულ მწერდი და მეუბნებოდი, არ უთხრა, არაფერი გაუმხილოო. მე მაინც ვუთხარი ყველაფერი... აბა, რა მექნა! არ შემეძლო დამალვა... ისიც ადგა და წავიდა.

— უჰ, შე სულელო, სულელო! — წამოიყვირა მისის დარბეიფილდმა, მღელვარებისაგან. უეცრად წყალი შეისხა და ტესიც დაასველა, — ღმერთო, ეს რას მოვესწარი, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი სულელი იქნებოდი. სულელი ხარ, ნამდვილი სულელი!

აქვითინებული ტესი მთლად ცახცახებდა.

— ამდენი ხნის სულიერი დაძაბულობიდან ბოლოს და ბოლოს

ნაღველმა ამოხეთქა და გადმოინთხა.

— მე ვიცი ეგ, ვიცი, ვიცი! — ზლუქუნებდა იგი, — მაგრამ გაიგე, დედა, არ შემეძლო დამალვა, ის ისეთი კეთილია, ისეთი კეთილი, რომ სინდისი მქენჯნიდა, უსამართლობა იქნებოდა, რომ სიმართლე დამეფარა! ყველაფერი რომ თავიდან განმეორდეს, ასევე მოვიქცევი. არ შემიძლია... ვერ გავბედე... შემეცოდა მის წინაშე.

— თუკი ჯერ გათხოვდი და მერე უამბე ყველაფერი უკვე შეგიცოდავს და ეგაა.

— ჰო, ჰო! ეგაა ჩემი უბედურებაც! ამიტომ ვტირი და ვიტანჯები, მაგრამ სულ მეგონა, კანონი დაეხმარებოდა. ჩემგან თავის დახსნაში, თუ მოისურვებდა. რომ იცოდე, როგორ მიყვარდა, როგორ მინდოდა მისი ცოლობა... და როგორ მაწამებდა ეს სიყვარული და სურვილი, ბოლომდე პირნათელი ვყოფილიყავი მის წინაშე.

გატანჯულ ტესს თავბრუ დაეხვია, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და იქვე დაეშვა სკამზე.

— ჰო, კარგი, რას იზამ! რაც მოხდა, მოხდა, გაფუჭებულ საქმეს უკან ვეღარ დაიბრუნებ. ოჰ, ერთი გამაგებინა ნეტავ, რატომ არიან მაინცადამაინც ეს ჩემი შვილები ასეთი ჭკუათხელები და ბრიყვები. სხვების კი ასეთი ჭკვიანები. ასეთი რამის წამოროშვას არ უნდა ჭკუა?! იმას კიდეც რომ გაეგო, მერე უკვე ძალიან გვიან იქნებოდა.

— დედა მაინც შეიბრალეთ, დედა. თქვე ცოდვის შვილებო, — გადმოღვარა ცრემლები საკუთარი თავის სიბრალულით გულაჩუყებულმა ჯოან დარბეიფილდმა, — რა ვქნა, რას იტყვის მამაშენი ამას რომ გაიგებს, — განაგრძობდა იგი, — საწყალს ამის მეტი სალაპარაკო არაფერი აქვს, დღე ერთია და სულ შენს ხსენებაშია, სულ შენს ქორწილზე ლაპარაკობს როლივერთან თუ, „ანკარა წვეთში“. ჩემი ტესის წყალობითა და შემწეობით ჩვენი ოჯახი ისევ წამოიდგამს წელს და თავის ღირსეულ მდგომარეობას დაიბრუნებსო. საწყალი კაცი შენს ხელში, ადექი და მთელი იმედები ერთბაშად წყალში ჩაუყარე. ო, ღმერთო, ღმერთო!

უეცრად, თითქოს მთელი ამ ვაი-ვიშის დასაგვირგვინებლად ტესის მამის ფეხის ხმა გაისმა. მამა შინ არ შემოსულა. მე თვითონ მოვახსენებ ამ სამწუხარო ამბავს, შენ კი ჯერ თვალით ნუ დაენახვებიო.

— ბრძანა. მისის დარბეიფილდმა. როდესაც სასოწარკვეთილების პირველმა შეტევამ გაუარა, ჟოან დარბეიფილდი ისევე შეურიგდა სამწუხარო ამბავს, როგორც ტესის პირველ უბედურებას. ასე შეურიგდებოდა იგი ალბათ წვიმიან კვირა დღესა და კარტოფილის მოუსავლიანობასაც. ერთხელაც არ დაფიქრებულა ჟოანი, რითი იყო

გამოწვეული ეს უბედურება — ადამიანის სიქველითა თუ უგუნურობით. მისთვის ცხოვრების მწარე გაკვეთილი კი არა, ბედის დარტყმა იყო, რომელსაც უნდა შეგუებოდა კაცი.

ტესი ზევით ოთახში ავიდა, საწოლები გადაეადგილებინათ, რაღაც ცვლილება მოეხდინათ ოთახის მორთულობაში. მისი ძველი საწოლი ორი უმცროსი ბავშვის მფლობელობაში გადასულიყო.

— მისთვის ადგილი აღარ იყო.

ქვედა ოთახის ჭერი მოუბათქაშებელი იყო. პატარა გაფაჩუნებაც კი ამოდიოდა ქვევიდან. მამა ოთახში შევიდა, ეტყობოდა, ქათამი მოეყვანა. რაკი სხვა ჩარა არ იყო, მეორე ცხენიც გაეყიდათ და საქონელს ახლა კალათით დაატარებდა. დილით ჯონმა, აქაოდა საქმეში ვარო, სხვების თვალის ასახვევად წამოავლო ხელი ქათამს, როგორც არა ერთხელ და ორჯერ გაუკეთებია, და გზას გაუდგა. საათზე მეტ ხანს მაინც ეგდო ფეხებგაკრული საბრალო ქათამი როლივერის დუქანში მაგიდის ქვეშ.

— ჰო, იმას ვლაპარაკობდით...

— წამოიწყო დარბეიფილდმა და წვრილად უამბო ცოლს დუქანში სამღვდელოებაზე ჩატარებული დისკუსიის ამბავი, რაც მისი ქალიშვილის მღვდლის შვილზე გათხოვების გამო ჩამოვარდნილიყო.

— უწინ ისინიც ჩემი წინაპრებივით „სერებად“ იწოდებოდნენ, — თქვა ჯონმა, — მაგრამ ახლა, მკაცრად რომ ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ „სასულიერო გვამნი“ არიან.

რაკიღა ტესს სურს თავიდან აიცილოს ზედმეტი ყბედობა და მითქმა-მოთქმა, მისი ქმრის გვარი არც მიხსენებია, — განაგრძობდა ჯონი. სხვათა შორის ისე, მას თუ კითხავდნენ, იგი ურჩევდა ახლად დაქორწინებულებს, ტესის გვარზე, — ნამდვილ, დაუმახინჯებელ დ'ერბერვილთა გვარზე დაწერილიყვნენ. ჩვენი გვარი ბევრად სჯობს მისი ქმრის გვარს.

— დაამთავრა ჯონმა ლაპარაკი და ბოლოს ჰკითხა. ტესისაგან წერილი ხომ არ მოსულა დღესო.

ახლა კი ამოიღო მისის დარბეიფილდმა ხმა:

— წერილი არ მოსულა, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ თავად ტესი დაგვიბრუნდა შინო.

— უთხრა.

— როდესაც ჯონმა, ბოლოს და ბოლოს, გაიგო მათი დაქცევისა და დანელების ამბავი, დარბეიფილდისათვის უჩვეულო მწარე სასოწარკვეთილებამ გადასძლია დალეული ღვინის მოქმედების ძალას, მის მგრძნობიარე სულზე იმდენად ქალიშვილის უბედურებას არ უმოქმედია, რამდენადაც იმ მოსალოდნელ შთაბეჭდილებას,

რომელიც შეიძლებოდა ამ ამბავს მოეხდინა სხვებზე.

— ვინ იფიქრებდა, რომ ასე დამთავრდებოდა საქმე! — წამოიძახა სერ ჯონმა, — მერედა მე რომ საგვარეულო აკლდამა მაქვს კინგსბირის ეკლესიასთან?! ესკვაირ ჯოლორდის ლუდის სარდაფზე დიდი აკლდამა. იქ განისვენებენ ჩემი წინაპრები.

— ისტორიაში ცნობილ ჭეშმარიტ გრაფთა ძვლები. დიახ! რას მეტყვიან ბიჭები როლივერთან და „ანკარა წვეთში?“ მოჰყვებიან ახლა თვალის ჩაკვრას, ალმაცერად ყურებასა და გადაკრულ ლაპარაკს: ესეც შენი ბრწყინვალე წყვილიო? დაუწყო რაღა ნორმანდიელ მეფისდროინდელ წინაპრებს გატოლებაო! ოჰ, უკვე მეტისმეტია. ჟოან! იცოდე, არ დაგიდევ არაფერს, არც გვარს, არც ტიტულს და ბოლოს მოვუღებ ჩემ თავს. მეტი აღარ შემიძლია!.. ნუთუ ვერ აიძულებს, რომ ერთად იცხოვრონ, ხომ შეურთავს და...

— ჰო... მაგრამ ტესი არაფრით არ იზამს მაგას.

— შენ როგორ ფიქრობ, მართლა შეირთო იმ კაცმა ჩვენი ტესი? თუ ახლაც ისე მოხდა, როგორც მაშინ?

საბრალო ტესმა, რომელსაც სიტყვასიტყვით ესმოდა მშობლების ლაპარაკი, მეტი ვეღარ აიტანა. საკუთარ სახლშიც კი აღარ ენდობიან მის ნათქვამს.

— მწარედ გაჰკენწლა ტესს გულში და მშობლიური კერის წინააღმდეგ რაღაც მტრობა გაუჩნდა თითქოს. რა მოულოდნელად დაატეხს ხოლმე განგება უბედურებას თავს! მამას, მის ღვიძლ მამასაც კი ეჭვი ეპარება მასში; მაშ, რაღას უნდა მოელოდეს მეზობლებისა და ნაცნობებისაგან? არა, დიდხანს აღარ გაეძლებინება ამ სახლში.

ტესმა მტკიცედ გადაწყვიტა, რამდენიმე დღეზე მეტ ხანს აღარ გაჩერებულიყო აქ. მალე კლერისაგან პატარა ბარათიც მოვიდა. იწერებოდა, ჩრდილოეთ ინგლისში მივემგზავრები, სადმე ფერმას შევიგულებო. დიდი და გადაულახავი იყო ტესის სურვილი, კვლავაც კლერის მეუღლე რქმეოდა და დაეფარა მშობლებისაგან მათი განხეთქილების ჭეშმარიტი არსი. ჰოდა, ისარგებლა ამ წერილით, გამგზავრების საბაბად გამოიყენა და მშობლები დააჯერა, ქმართან მივდივარო. ცოლისადმი არაკეთილ დამოკიდებულებაში რომ ბრალი არავის დაედო მისი ქმრისათვის, ტესმა კლერის მიერ მოცემული ორმოცდაათი ფუნტიდან ოცდახუთი დედას დაუტოვა და ამით აგრძნობინა, ისეთი კაცის ცოლს, როგორიც ენჯელ კლერია, უფლება აქვს ასეთი ხელგაშლილი იყოსო. თანაც დასძინა, მსურს მცირედ მაინც ავანაზღაურო ის დამცირება და შეწუხება, რომელიც წინა წლებში დაგატეხეთ თავსო. მთლიანად აღიდგინა რა ამით შელახული თავმოყვარეობა, ტესი დაემშვიდობა მშობლიურ კერას. ტესის

გამგზავრების შემდეგ, ქალიშვილის გულუხვობის წყალობით დარბეიფილდის ჯალაბობამ გვარიანად მოილხინა. დედა ირწმუნებოდა თავიდანვე სჯეროდა თავისი ნათქვამისა, რომ ახალგაზრდა ცოლქმარს შორის ურთიერთობა მოგვარდა, ისინი ისეთი ღრმა გრძნობებით არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთს, რომ განშორებას ვერ აიტანენო.

XXXIX

ქორწინებიდან სამიოდე კვირა იქნებოდა გასული ენჯელ კლერი ციცაბო ფერდობიდან დაბლა გზისაკენ ეშვებოდა. გზა მისთვის კარგად ნაცნობი მამისეული სათვისტომოსაკენ მიემართებოდა. რაც უფრო ქვევით ეშვებოდა ენჯელი, მით უფრო მაღლდებოდა ეკლესიის სამრეკლო მწუხრის ცაზე და თითქოს გაოცებული ჰკითხავდა კლერს; რად გინებებია ჩვენში დაბრუნებაო. საღამოს ბინდბუნდში გახვეულ პატარა ქალაქში თითქოსდა ვერავინ ამჩნევდა მას, ლოდინით ხომ არ ელოდნენ და არა. აჩრდილივით გამოჩნდა კლერი ამ მიდამოებში. მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა უწვრილებდა გულს და ცდილობდა როგორმე ჩაეხშო იგი.

ცხოვრება კლერს ახლა სულ სხვაგვარად ესახებოდა. დღევანდლამდე ცხოვრებას გონება-ჭვრეტით აღიქვამდა. ამიერიდან კი, როგორც თავად ფიქრობდა, პრაქტიკულად შეიცნო — თუმცა კი მწარედ ცდებოდა ამაში. ამიერიდან კაცობრიობა იტალიური ხელოვნების საოცნებო ტკბილ ბურუსში აღარ იყო გახვეული. მხოლოდღა ვირცას მუზეუმის ვან ბირსას სკოლის მიმდევართა მიერ შესრულებული ექსპონატების გადმოკარკლულ თვალებსა და საზარელ პოზებს ხედავდა.

ტესთან განშორების შემდეგ პირველ კვირეებში კლერის მოქმედება ყოველგვარ თანამიმდევრულობას მოკლებული იყო. ჯერ იყო და მიჰყვა რა ყველა საუკუნის ბრძენი ადამიანების ცნებას. უნებურად თავისი აგრონომიული ჩანაფიქრის განხორციელებას შეეცადა. თითქოსდა მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარიყოს უჩვეულო. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ არც ერთს ამ ბრძენკაცთაგან საკუთარი გამოცდილებით არასოდეს შეუმოწმებია თავისივე რჩევა-დარიგებების ღირებულება. „არ შეძრწუნდე, — აი, თავი და თავი ყოველისა“, — თქვა ერთმა წარმართმა მორალისტმა. კლერი იზიარებდა მის მოსაზრებას და მაინც შეძრწუნებული იყო. „დე, გული შენი არ უწყოდეს არც ვარამს და არც შიშს“.

— უთქვამს ერთ ნაზარეველს, კლერი მასაც ეთანხმებოდა და მაინც საშინელ შიშს განიცდიდა. როგორ უნდოდა პირისპირ შეხვედროდა ამ ორ დიდ მოაზროვნეს და გულწრფელად ეთხოვა, როგორც კაცი კაცს, აეხსნათ და გაეგებინებინათ მისთვის როგორმე თავიანთი მეთოდის არსი!

მერე იყო და, რაღაც კერპი გულგრილობა დაეუფლა. ასე ეჩვენებოდა, საკუთარ ცხოვრების გარეშე მაყურებლის ცივი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მხოლოდ.

მწარედ ჩაეჭედა რწმენა: ტესი რომ დ'ერბერვილთა გვარის ნაშიერი არ ყოფილიყო, ეს უბედურებაც არ დატრიალდებოდა. რატომ არ ეყო სულის სიმტკიცე, რომ თავისი პრინციპების ერთგული დარჩენილიყო და თავიდანვე მიეტოვებინა ტესი, როგორც კი გაიგო, რომ მის ძარღვებში დ'ერბერვილთა გადაშენებული გვარის სისხლი სჩქეფდა და არა მდაბიოთა — ახალგაზრდა ტომისა, როგორც ოცნებაში წარმოედგინა. აი, მისი რჯულგადასულობის შედეგები, ჰოდა, კეთილ ინებოს და ახლა იწვნიოს დამსახურებული სასჯელი.

ბოლოს კლერი საოცრად მოიქანცა, მოუსვენრობამ შეიპყრო, რაც დრო გადიოდა, მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ეს. ვერ იქნა, ვერ მოიგერია ფიქრები — „სამართლიანად მოვექეცი ტესს?“ მადა დაკარგა, ჭამდა ვერ გაეგო და სვამდა ვერც ის გაეგო. საათს საათი მიჰყვებოდა, სულ უფრო ნათელი ხდებოდა მიზეზები ყველა მისი საქციელისა, რომელიც კი წარსულ დღეებში მოემოქმედებინა და ბოლოს მიხვდა.

— ფიქრები ტესზე, როგორც უძვირფასეს და უახლოეს არსებაზე, მის ყოველ ჩანაფიქრს, სიტყვასა თუ საქმეს მუდამ თან სდევდა. ერთხელ ერთი პატარა ქალაქის გარეუბანში ხეტიალის დროს მოლურჯო-მოწითალო პლაკატს მოჰკრა თვალი. პლაკატი მკითხველებს აუწყებდა იმ დიდი უპირატესობების შესახებ, რომელსაც ბრაზილია სთავაზობდა ემიგრანტ-მიწათმოქმედებს. ბრაზილიაში ჩასულებს შეეძლოთ მიწის ნაკვეთების მიღება უაღრესად ხელსაყრელ პირობებში. ამ ახალმა ცნობამ მეტად დააინტერესა კლერი. ბრაზილიაში ტესსაც კი შეეძლო მასთან ჩასვლა. შესაძლოა ახალ გარემოში, ქვეყნად, სადაც სულ სხვა შეხედულებები და ადათები აქვთ, პირობითობებს არა აქვთ ისეთი ძალა, რაც, კლერის აზრით, ხელს უშლიდა მათ ერთად ცხოვრებას ინგლისში. ბრაზილიაზე ფიქრი ახლა მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წელიწადის დროც შესაფერი იყო.

ამ ფიქრებით ბრუნდებოდა კლერი ახლა ემინსტერში, რათა მშობლებისათვის მიღებული გადაწყვეტილება გაეზიარებინა. რო-

გორმე ტესის არყოფნაც უნდა გაემართლებინა, დაემალა განშორების ნამდვილი მიზეზი. როდესაც მშობლიური სახლის კარს მიადგა, ახალი მთვარე ისევე შესციცინებდა თვალებში, როგორც სავსე მთვარე იმ ღამეს, როცა თავისი ცოლი მდინარეზე გადაჰყავდა და მონასტრის სასაფლაოსაკენ მიეშურებოდა, მაგრამ მას შემდეგ კლერი გამხდარიყო, ჩამომდნარიყო.

კლერს არ გაუფრთხილებია მშობლები, მოვდივარო. და მისმა გამოჩენამ ისევე ააღელვა პასტორის სახლი, როგორც ჩაყვინთული ქარჭლი ააღელვებს დამდგარი გუბის წყალს. დედ-მამა სასტუმრო ოთახში დაუხვდა. ძმები შინ არ იყვნენ. ენჯელი ოთახში შევიდა, წყნარად მოიხურა კარი.

— სადაა შენი ცოლი, ძვირფასო ენჯელ? — შესძახა დედამ, — ეს რა მოულოდნელად ჩამოხვედი!

— დედასთან გაემგზავრა... დროებით. მე კი შინისკენ გამოვეშურე, რადგან ბრაზილიაში წასვლა გადავწყვიტე.

— ბრაზილიაში? იქ ხომ სულ კათოლიკები ცხოვრობენ.

— მართლა? ეგ კი აღარ მიფიქრია.

მაგრამ პაპისტების ქვეყანაში თავიანთი შვილის გამგზავრების თვით ამ მოულოდნელმა და უსიამოვნო ამბავმაც კი ვერ დაავიწყა მთავარი მისტერ და მისის კლერს, რაღა თქმა უნდა, შვილის ქორწინების ამბავი უფრო აინტერესებდათ.

ამ სამიოდე კვირის წინ მივიღეთ შენი პატარა ბარათი, იწერებოდი, ცოლს ვთხოულობო; — თქვა მისის კლერმა, — და მოგეხსენება ალბათ, მამამ ნათლიაშენის საჩუქარი გადმოუგზავნა შენს ცოლს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვამჯობინეთ, არც ერთი არ ჩამოვსულიყავით, მით უმეტეს, ქალი ფერმიდან წაიყვანე და არა მამის სახლიდან, როგორც საერთოდ მიღებულია. ჩვენი ჩამოსვლით თუ შეგაწუხებდით, თორემ, აბა, რა სიამოვნებას მივიღებდით, — შენს ძმებს ღრმად სწამდათ ეს. ახლა, რომ მოსახდენი მოხდა, ჩივილს აღარ დავიწყებთ, მით უმეტეს, თუ შენი ღირსეული თანაშემწე იქნება იმ სამოღვაწეო ასპარეზზე, რომელიც ღვთისმსახურების ნაცვლად აგირჩევია... ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, მე მაინც მაინტერესებდა მისი ნახვა. ენჯელ, ცოტა რაღაც ხომ უნდა ვიცოდე მასზე, ჯერ საჩუქარიც კი არ გაგვიგზავნია მისთვის. აბა, რა ვიცით, რა უფრო მოეწონება. არა, ცოტა შეგვაგვიანდა, თორემ საჩუქარს აუცილებლად გავამზადებთ. ბოლოს იმის თქმა მინდა, ენჯელ, რომ მე და მამაშენი სულაც არ გიჯავრდებით ამ ქორწინების გამო. რაც შეეხება ქალს, მის მოწონებაზე, როცა ვნახავთ, მერე ვილაპარაკოთ-თქო. ასე ვფიქრობდით. შენ

კი მარტო ჩამოხვედი და არ ჩამოგვიყვანე, უცნაურია პირდაპირ შენი საქციელი.

ენჯელმა თავი იმართლა, გადავწყვიტეთ, სანამ მე ჩემს მშობლებს მოვინახულებდი, იმას თავისი ენახაო.

— გამოგიტყდები, ძვირფასო დედა, — თქვა მან, — არც მიფიქრია მისი აქ ჩამოყვანა, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ თქვენ პატივისცემას დაიმსახურებს. ახლა კიდევ ბრაზილიაში გამგზავრების საკითხი წამოიჭრა. თუ გადავწყვიტე და წავედი, ალბათ ამჯერად მოუხერხებელი იქნება მისი თან წაყვანა, დროებით დედასთან იცხოვრებს ვიდრე არ დავბრუნდები.

— მე ვერ ვნახავ, შენს წასვლამდე?

— არაო, მიუგო ენჯელმა. სხვა მიზეზებზე რომ არა თქვას რა, სურს გაუფრთხილდეს მათ, რათა რაიმე ტკივილი არ მიაყენოს მათ გრძნობებსა და აზრებს: თუ ახლავე გაემგზავრა ბრაზილიაში, შინ ალბათ ერთი წლის მერე ჩამოვა მხოლოდ. და აი, ვიდრე კვლავ გაემგზავრებოდეს ცოლთან ერთად, მათ საშუალება ექნება ნახონ მისი მეუღლე. ..

შემოიტანეს თათარიახნად შემზადებული ვახშამი. კლერი ისევ თავის გეგმებზე ლაპარაკობდა. დედა წყენას გამოთქვამდა, რომ ამდენ ხანს ვერ ნახა პატარძალი. შვილის აღფრთოვანებულმა ლაპარაკმა ტესზე, მშობელზეც იმოქმედა და დედობრივი თანაგრძნობა აღუძრა გულში. მან თითქმის დაიჯერა კიდეც რომ ტელბოტეისის ფერმაშიც შეიძლება კაცი მომხიბლავ ქალს გადააწყდეს. ენჯელი ვახშამს შეექცეოდა. დედა დაკვირვებით ათვალიერებდა შვილს.

— ენჯელ, არ შეგიძლია მითხრა, როგორია შენი ცოლი? დარწმუნებული ვარ, ძალიან ლამაზი იქნება.

— ო; მაგას რა კითხვა უნდა! — დიდის ამბით წამოიძახა ენჯელმა, რათა გულისტკივილი დაემალა.

— მის უმანკოებასა და სათნოებაში ხომ ეჭვიც არ მეპარება.

— რა თქმა უნდა, უმანკოა და სათნო.

— პირდაპირ თვალწინ მიდგას. ამას წინებზე ამბობდი ჩამოსხმული კუპიდონის ისარივით სავსე წითელი ტუჩები აქვსო. წარბ-წამწამი შავი, გემის ბაგირივით მსხვილი ნაწნავი და დიდი მოლურჯო-მოშავო-იისფერი თვალები.

— ჰო, დედა.

— ცოცხალივით მიდგას თვალწინ. იმ მიყრუებულ ადგილას ალბათ არც უნახავს არავინ, ვიდრე შენ არ შეხვდი.

— ვის შეხვდებოდა.

— შენ მისი პირველი სიყვარული ხარ? — რა თქმა უნდა.

— მერე რა, ფერმის უბრალო, ლოყაწითელ, ჯანმაგარ გოგონებზე უარესი ცოლებიც ჰყავთ. რა თქმა უნდა, მე მერჩია... მაგრამ თუ ჩემი შვილი მიწათმოქმედი უნდა იყოს, მაშინ უკეთესიც კია, რომ მისი ცოლი ფერმის ცხოვრებას მიჩვეულია.

მამა უფრო ნაკლებ ცნობისმოყვარეობას იჩენდა. მაგრამ როდესაც საღამოს ლოცვის წინ, ჩვეულებისამებრ, ბიბლიის წაკითხვის დრო დადგა, მღვდელი ცოლს მიუბრუნდა:

— ჩემის აზრით ენჯელის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ოცდამეთერთმეტე თავის წაკითხვა აჯობებს, ნაცვლად იმისა, რიგით რომ უნდა წაგვეკითხა დღეს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მისის კლერმა, — მეფე ლემუილის სიტყვები წაიკითხე (ქმარზე ნაკლებ როდი იცოდა მან ზეპირად ბიბლიის ესა თუ ის თავი ან ლექსი) ძვირფასო შვილო ჩემო, მამაშენს სურს წაგვიკითხოს ერთი თავი ბიბლიიდან, რომელიც სათნოსა და უბიწო ცოლს ასხამს ხოტბას. ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, იმას შეეხება, ვინც ახლა ჩვენთან არ არის. ღმერთი იყოს მისი შემწე და მფარველი ყველგან და ყოველთვის.

კლერს თითქოს რაღაც გაეხირა ყელში. პატარა საწიგნე გამოსწიეს კუთხიდან და ბუხრის წინ აღმართეს, ოთახში ორი მოხუცი მსახური ქალი შემოვიდა. ენჯელის მამამ კითხვა დაიწყო.

„დედაკაცი მცნე ვინ პოოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდელისათა. და აღდგის ღამითგან და მისცეს საზრდელი სახლეულთა, და საქმე მხევალთა. მოირტყნა ძლიერად წელთა თვისთა, დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა და იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ, და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ იწრო არიედ ალაგნი სახლისა მისისა, ხოლო საზრდელი სიცოცხლისა არა ჭამა. ხოლო ქველის საქმემან მისმან აღადგინნა შვილნი მისნი, და განამდიდრნეს, ქმარმანცა მისმან აქო იგი. მრავალთა ასულთა მოიგეს სიმდიდრე, მრავალთა ყვეს ძლიერება, ხოლო შენ გარდარიე და გარდაამეტე ყოველთა ზედა“.

საღამოს ლოცვა დამთავრდა. დედამ ლაპარაკი წამოიწყო:

— ახლა იმას ვფიქრობდი, რა საოცრად უდგება-მეთქი მამაშენის მიერ წაკითხული თავის ზოგიერთი ადგილი იმ ქალს, შენი ცხოვრების თანამგზავრად რომ აგირჩევია. დიახ, სათნოებითაა აღსრულებული მშრომელი ქალი, არა ზარმაცი და უქნარა. არა მაღალი წრის ქალი, არამედ იგი, ვინც საკუთარ ხელებს, ფიქრებსა და გულს არ იშურებს ახლობელთა სიკეთისათვის. „ხოლო ქველის საქმემან მისმან აღადგინნა შვილნი მისნი და განამდიდრნეს, ქმარმანცა მისმან აქო იგი. მრავალთა სულთა მოიგეს სიმდიდრე, მრავალთა ყვეს

ძლიერება, ხოლო შენ გარდარიე და გარდაამეტე ყოველთა ზედა“. ოჰ, ძალიან მინდა მისი ნახვა, ენჯელ, უმანკო და უბიწო ქალი, კარგად აღზრდილიც იქნება უდავოდ.

კლერს მოთმინების ფიალა აევსო. თვალებში ცრემლები ჩასდგომოდა, ცრემლები გავარვარებულ წვეთებივით უწვავდა და უდაღავდა თვალებს. აჩქარებით დაემშვიდობა ენჯელი ამ წრფელსა და გულმართალ საყვარელ ადამიანებს და ღამე მშვიდობისა უსურვა. არა უწყოდნენ მათ არც ამა ქვეყნისა, არც ხორცისა და არც ეშმასი, მათთვის იგი ბურუსით მოცული შორეთი იყო მხოლოდ. ენჯელი თავის ოთახში ავიდა.

— დედა უკან მიჰყვა. კარზე მიუკაკუნა. ენჯელმა გააღო. დედა იდგა და შეწუხებული შესცქეროდა შვილს.

— ენჯელ, — წამოიწყო დედამ, — მოხდა რამე და ამიტომ მიემგზავრები ასე საჩქაროდ? შენ თავს აღარ გავხარ, შვილო.

— ჰო, კარგად ვერა ვარ, დედა, — მიუგო შვილმა.

— იმის გამო?.. ჰო, თქვი, შვილო, თქვი, რომ იმის გამო! — იჩხუბეთ?

— არა, ჩხუბით არ გვიჩხუბია, — მიუგო ენჯელმა.

— მაგრამ რაღაც უსიამოვნება მოგვივიდა..

— ენჯელ, მითხარი, როგორი წარსული აქვს შენს მეუღლეს?

დედობრივი ინსტინქტის წყალობით შეეხო მისის კლერი შვილის მტკივნეულ ადგილს. მხოლოდ ამ მიზეზს შეეძლო აეღელვებინა ენჯელი ასე.

— იგი უბიწოა!

მიუგო ენჯელმა და იცოდა, კვლავაც გაიმეორებდა ამ მტკნარი სიცრუეს, გინდაც სამუდამოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაეგდოთ სატანჯველად.

— მაშ, სხვა დანარჩენს რა მნიშვნელობა აქვს. ბოლოსა და ბოლოს ცოტას თუ შეხვდება კაცი ამქვეყნად სოფლის გაუფუჭებელ გოგონაზე უფრო წმინდას. თუ ზოგიერთი მისი ტლანქი ქცევა შეურაცხყოფას აყენებს შენს დახვეწილ გემოვნებას, მერე რა მოხდა, შვილო. გავა დრო და შენ გვერდით, შენი ზემოქმედებით ისიც დაიხვეწება.

— ამ ბრმა სულგრძელობით ნაკარნახევმა საშინელმა ირონიამ კლერი იმ აზრამდე მიიყვანა, აქამდე რომ არასოდეს მოსვლია თავში: ამ ქორწინებით მან საბოლოოდ დაღუპა თავისი კარიერა. მართალია, თავად დიდად არ დაგიდევდათ კარიერას, მაგრამ მშობლებისა და ძმების გულისათვის სურდა კარგი სახელი ჰქონოდა. კლე-

რი ახლა სანთელს შეჰყურებდა: მე გონიერ ადამიანებს უნდა ვუნათებდე, ბრიყვისა და გლახაკის სახის ნათება კი ზიზღსა მგვრისო, — ეჩურჩულებოდა თითქოს სანთლის აპარპარებული ალი.

როცა მღელვარება დაუცხრა, ახლა საბრალო ცოლზე გაშმაგდა და ცეცხლი შემოენთო ენჯელს. რად, რად უნდა ატყუებდეს საკუთარ მშობლებს მისი გულისთვის. სიბრაზისაგან გაოგნებული მზად იყო სცემოდა და საყვედურებით აევსო ტესი, თითქოს მის გვერდით ყოფილიყოს ახლა. მერე უეცრად მისი საბრალო და საყვედურებით აღსავსე ღუღუნი შემოესმა თითქოს. მისი ტუჩები ნაზად შეეხო ენჯელის შუბლს და მან იგრძნო ქალის თბილი სუნთქვა.

იმავე ღამეს კი, ქალი, ვისაც ასე ამცირებდა ენჯელი, რა დიდებულია, რა კეთილი და სულით მაღალია ჩემი ქმარიო, ფიქრობდა. მაგრამ ორივეს თავს წყვდიადი ჩამოაწვა, უფრო ძნელი წყვდიადი, ვიდრე ენჯელ კლერი ხედავდა და შეიგრძნობდა, და ეს წყვდიადი თვით მისი საკუთარი, ენჯელის შეზღუდულობა იყო. თუმცა ძალიან ცდილობდა ენჯელ კლერი ყველასა და ყველაფრისაგან დამოუკიდებლად ემსჯელა, მაგრამ ამ მოწინავე, კეთილი ზრახვებით აღჭურვილმა ადამიანმა, ამ საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სანიმუშო ნაყოფმა, მაინც ვერა და ვერ იხსნა თავი იმ პირობითობებისა და ადათ-ჩვეულებების მონობისაგან, რომელიც სულში ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს. არც ერთმა წინასწარმეტყველმა არ იკისრა ეთქვა მისთვის, თავად კი აბა როგორ იტყოდა, წინასწარმეტყველი ხომ არ იყო რომ მისი ახალგაზრდა თანამეცხედრე, მეფე ლემუილის ქებათა ქებას იმსახურებდა ისევე, როგორც, რომელიც გნებავთ ქალი, ვინაც კი აღსავსეა ზიზღითა და სიძულვილით ყოველი ბოროტებისა და ცოდვის მიმართ. რამეთუ მისწრაფება და არა მიღწევა არს საზომი ჭეშმარიტი ზნეობისა. ესეც არ იყოს, კაცი, რომელიც ჩვენ გვერდითაა და ახლიდან ვუყურებთ, ყოველთვის აგებს, რადგან არ.

ეცემა ჩრდილი, რაც მის ნაკლოვანებებს დაფარავდა. შორეული, ბუნდოვანი ფიგურები კი პატივდებულნი არიან, მათი ნაკლოვანებანი ამ შორ მანძილზე ღირსებად იქცევიან. ტესის ნაკლოვანებებზე ფიქრში, კლერს მხედველობიდან გამორჩა, თუ რას წარმოადგენდა თავად ეს ქალი, და დაავიწყდა, რომ ნაკლოვანი ზოგჯერ სრულყოფილსა სჯობს.

XL

საუზმის დროს საუბარი კვლავ ბრაზილიაზე ჩამოვარდა. ყველა-

ნი ცდილობდნენ მოეწონებინათ კლერის მიერ ჩაფიქრებული ექსპერიმენტი, მიუხედავად იმ თავგზაამბნევი ამბებისა, რომელიც ბრაზილიაში ნამყოფ და ერთი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულ ზოგიერთ ფერმერს ჩამოჰქონდა. ნასაუზმევს კლერი ქალაქში წავიდა. წვრილმანი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი, თანაც ადგილობრივი ბანკიდან მთელი თავისი თანხა უნდა გამოეტანა. ის იყო უკან ბრუნდებოდა, რომ გზად, ეკლესიასთან, მის მერსის ჩანტი შემოხვდა. მისი შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ეს ქალი ეკლესიის კედლებიდან წარმომდგარაო. ეტყობოდა, ბავშვებთან სამეცადინოდ მიდიოდა. ხელში რამდენიმე ცალი ბიბლია ეკავა. ასეთი მსოფლმხედველობა ჰქონდა ამ ქალს: მოვლენები, რომლებიც სხვებისთვის სავალო იყო და სულიერ ტანჯვას აყენებდა, მას ნეტარების ღიმილს ჰგვრიდა.

— სწორედ რომ შესაშური იყო, მაგრამ ენჯელ კლერის აზრით იგი უაღრესად არაბუნებრივი, მისტიციზმისათვის ადამიანურობის მსხვერპლად მიტანის გზით იყო მოპოვებული.

ქალმა რომ გაიგო, კლერი ინგლისის დატოვებას აპირებდა, მოუწონა, ჩინებულიაო, და მრავლისაღმთქმელადაც მიიჩნია მისი გადაწყვეტილება.

— ჰო, კომერციული თვალსაზრისით მართლაც არ იქნება ურიგო, — მიუგო კლერმა, — მაგრამ, ძვირფასო მერსი, ეს ხომ წარსულთან განხეთქილებას და კავშირის სრულ გაწყვეტას ნიშნავს, ეჰ, ამაოდ ავაღე ხელი მონასტერს.

— მონასტერს! ოჰ, ენჯელ კლერ, რას ამბობთ! — ვცდები?

— ცოდვილო! მონასტერში ყოფნა ხომ ბერობას ნიშნავს, ბერობა კი — კათოლიკობას.

— კათოლიკობა ცოდვაა, ცოდვას კი დაღუპვისაკენ მიჰყავს ადამიანი. მცდარ აზრს დადგომიხართ, ენჯელ კლერ.

— მე ვამაყობ პროტესტანტობით, — მკაცრად მიუგო ქალმა.

მაშინ ენჯელ კლერმა, სასოწარკვეთილება სატანურ ულმობელობად რომ ჰქცეოდა, ულმობელობად, რომელიც იძულებულს ხდის კაცს საკუთარი პრინციპების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, მოიხმო მერსი და ბოროტად დაუწყო ჩურჩული ყურში უკიდურესად ეროტიული აზრებისა, რაც კი შეიძლებოდა თავში მოსვლოდა. ქალს საშინელებისაგან ისე მოექცა სახე. კლერმა კინაღამ გადაიხარხარა, მაგრამ სიცილი ტუჩებზე შეეყინა.

— ძვირფასო მერსი, — უთხრა მან, — უნდა მაპატიოთ, მგონი შევიშალე.

მერსიც ამას ფიქრობდა. ასე დაცილდნენ ისინი ერთმანეთს და

კლერი შინისაკენ გაემართა.

განძეული ადგილობრივ ბანკს ჩააბარა შესანახად ბედნიერ დღემდე. გარდა ამისა, ოცდაათი ფუნტი შეიტანა ბანკში, რათა უახლოეს დღეებში ტესისათვის გადაეგზავნათ. კლერმა წერილიც გაუგზავნა ტესს ბლეკმურის ველზე, და დაწვრილებით აუწყა მის მიერ დაჭერილი თადარიგის ამბავი. ვიმედოვნებ, დასძენდა წერილში, ეს თანხა და ის ორმოცდაათი ფუნტი, რომელიც გადმოგეცი, გასწვდება შენს ხარჯებს პირველ ხანებში, ხოლო რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში, მამაჩემს მიმართეო. „

მშობლებს კლერმა ტესის მისამართი არ დაუტოვა, — არ მიიჩნია საჭიროდ. არ უნდოდა მის დედ-მამას რაიმე ურთიერთობა დაემყარებინა ტესთან. ხოლო მისტერ და მისის კლერი, რაკი არ იცოდნენ მათი დაცილების ჭეშმარიტი მიზეზი, აღარც ჩააცივდნენ, გინდა თუ არა, მოგვეცი მისამართიო. იმავე დღეს დატოვა კლერმა მამისეული სახლი, რათა დროზე მოეგვარებინა და მოელია საქმეები.

გამგზავრებამდე კლერს უელბრიჯის ფერმაში უნდა შეევლო, სადაც სამი დღე ცხოვრობდა ტესთან ერთად ქორწინების შემდეგ. ორიოდე გროში ბინის ქირა ჰქონდა გადასახდელი, თანაც ოთახების გასაღებები უნდა ჩაებარებინა პატრონებისათვის და დატოვებული ნივთები წამოეღო. არასოდეს არსად მოქცევია ცხოვრება ისე სასტიკად კლერს, როგორც ამ სახლის ჭერქვეშ. და მაინც, როდესაც სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და შიგ შეიხედა, ის ნეტარი წუთები გაახსენდა, რომ პირველად აქ ამოვიდნენ. ნაშუადღევი იქნებოდა მაშინაც. რა სიამეს გვრიდა მათ ერთ ჭერქვეშ მარტო ცხოვრებაზე ფიქრი, რა სიხარულით მიუსხდნენ სასადილო მაგიდას. რამდენი ილაპარაკეს ბუხრის პირას, და ხელები, ჰო, ახსოვს, — გადაჭდობილი ჰქონდათ.

ფერმერი და მისი ცოლი ველზე გასულიყვნენ. კლერი მარტო იყო. თუმცა ძალიან ცდილობდა არ დამორჩილებოდა, გრძნობები მაინც მოსჭარბდა, მოუზღვავდა, და ზევით, ტესის ოთახში ასვლა მოუნდა, ოთახში, სადაც არასოდეს ყოფილა ტესთან ერთად. გამგზავრების დღეს ფაქიზად მიელაგებინა ტესს ლოგინი. ფარდის უკან კვლავაც ეკიდა ფითრის ტოტი. ამ სამი-ოთხი კვირის მანძილზე ტოტი გაყვითლებულიყო ფოთლები და ნაყოფი ჩამოჭკნობოდა. ენჯელმა ჩამოხსნა ტოტი და ბუხარში შეაგდო. იდგა კლერი ოთახში და პირველად გაუჩნდა ეჭვი მთელი ამ დროის მანძილზე. სულგრძელი იყო, ან გონივრული მისი საქციელი?! მაგრამ რა აქვს საეჭვო, განა ულმობლად არ მოატყუეს თავად იგი?! ურთიერთსაწინააღმდეგო

გრძნობებითა და განცდებით გულდაკოდილი მუხლებზე დაემხო საწოლის წინ და წამწამებზე ცრემლები დაეკიდა.

— ოჰ, ტეს! ადრე რომ გეთქვა, ადრე რომ გეთქვა! ხომ გაპატიებდი! — ამოიკვნესა მან.

ფეხის ხმა შემოესმა. წამოდგა, კიბის თავზე გამოვიდა. ქვევით ვიღაც ქალი იდგა. კლერმა მაშინვე იცნო ფერმკრთალი, შავთვალა იზ ჰუეტი.

— მისტერ კლერ, თქვენი და მისის კლერის სანახავად მოვედი, ვიფიქრე, წავალ, გავიგებ, როგორ არიან, როგორ ცხოვრობენ, ახლა შინ დაბრუნებულები იქნებიან-მეთქი.

კლერმა მაშინვე ამოიცნო გოგონას საიდუმლო, თუმცა გოგონას ჯერ ვერ მიეგნო კლერის საიდუმლოს გასაღებისათვის. იგი პატიოსანი ქალი იყო, სულითა და გულით უყვარდა კლერი. იგი ხომ ფერმერის ისეთივე, თითქმის ისეთივე კარგი ცოლი იქნებოდა, როგორც ტესი.

— მე მარტო ვარ, — მიუგო კლერმა, — ჩვენ აქ აღარ ვცხოვრობთ.

— მერე ისიც უთხრა, რისთვისაც. იყო ჩამოსული და ბოლოს ჰკითხა:

— რომელი გზით მიდიხარ შინისაკენ, იზ?

— მე ტელბოტეისის ფერმაში აღარა ვცხოვრობ, სერ, — უთხრა ქალმა.

— რატომ? იზმა თვალები დახარა.

— ტელბოტეისში ისეთი მოწყენილობა იყო, ვეღარ გავძელი. ახლა აი, იქა ვცხოვრობ.

იზმა მოპირდაპირე მხარისკენ გაიშვირა ხელი. კლერსაც იქით ედო გზა.

— იქით მიდიხარ ახლა? თუ თქვენი სურვილიც იქნება, შემიძლია ჩაგიყვანოთ.

იზის შავგვრემან სახეს ალმური მოეკიდა.

— გმადლობთ, მისტერ კლერ, — მიუგო მან.

კლერმა მოძებნა ფერმერი, გადაუხადა კუთვნილი თანხა და კიდევ მეტი, რაკი მოულოდნელად მოუხდათ დაქირავებული ბინის მიტოვება. მერე ჩაჯდა ორთვალაში და იზი გვერდით მოისვა.

— ინგლისიდან გამგზავრება გადავწყვიტე, იზ, — წამოიწყო თავისი ამბავი კლერმა, როცა გზას დაადგნენ, — ბრაზილიაში მივდივარ.

— მისის კლერი თანახმაა ასეთ მოგზაურობაზე? — იკითხა იზმა.

— მისის კლერი ახლა არ მოემგზავრება ჩემთან ერთად. შეიძლება ერთი წლის მერე წავიყვანო. ჯერ მე ჩავალ, მივიხედ-მოვიხედავ, ვნახავ, რა არის, როგორ არი, ეცხოვრება თუ არა იქ კაცს.

ისინი აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას ადგნენ: იზი დუმდა.

— სხვები როგორ არიან? — მოიკითხა კლერმა ნაცნობები, — რეტი რასა იქს?

— სულ მთლად ავადმყოფს დამსგავსებია, ჩამოღვენთილა, ლოყები ჩასცვივნია. ამ ბოლოს რომ ვნახე, ისეთი განერვიულებული იყო, შეგეშინდებოდა. ვინღა შეხედავს, ან ვინ შეიყვარებს! — მიუგო ცოტა არ იყოს დაბნეულმა იზმა.

— მერიენი? — მერიენმა სმა დაიწყო, — ხმას დაუწია იზმა.

— მართლა? — ჰო, ფერმერს მისი თავიდან მოცილება უნდა.

— თქვენ?

— მე არც ვსვამ, არც ავადმყოფობ, მაგრამ — აღარც გალობით ვეგებები დილას.

— რატომ? გახსოვთ, როგორ მღეროდით ხოლმე დილდილაობით, ძროხების გამოწველის დროს, „გახსოვს ტურფავ, კუპიდონის ბაღში...“ და კიდევ მეორე. რა იყო? „თერძის შარვალი“...

— ჰო, თქვენ მაშინ ახალი ჩამოსული იყავით ჩვენს ფერმაში. რაც თქვენ იქ ცხოვრება დაიწყეთ, მერე აღარც მიმღერია...

— მერედა, რატომ მოიწყინეთ ეგრე?

იზის შავმა თვალებმა გაკვესა პასუხად, და წამით კლერს მიაპყრო ქალმა მზერა.

— იზ, ეგ რა სისუსტეა თქვენის მხრივ. განა ღირს ჩემისთანა კაცისათვის...

— რბილად თქვა კლერმა და წუთით დაფიქრდა.

— რას იტყოდით, ცოლობა რომ შემომეთავაზებინა თქვენთვის?

— რა უნდა მეთქვა, ჰო-მეთქი, დაგთანხმდებოდით. და თქვენ შეირთავდით ქალს, რომელსაც ძალიან, ძალიან ეყვარებოდით.

— ნუთუ მართლა?

— ჰო, რა თქმა უნდა! — გრძნობით წარმოთქვა ქალმა, — ღმერთო ჩემო, პირველად გესმით ეს ამბავი?

მალე სოფელში მიმავალ შარაგზას გაუპირისპირდნენ.

— მე ჩამოვალ, აი, იქა ვცხოვრობ, — უეცრად თქვა იზმა. სიტყვა აღარ დასცდენია მას შემდეგ, რაც სიყვარულში გამოუტყდა.

კლერმა სვლას უკლო. გამწყრალი იყო ბედზე. ოჰ, ეს სოციალური კანონები...

— ჯავრობდა იგი. როგორ მოიმწყვდიეს ჩიხში, გამოსავალიც ვერ უპოვია — კანონით ნებადართული გამოსავალი. არა, რატომ არ უნდა იძიოს შური საზოგადოებაზე, რატომ თავად არ უნდა ეკუთვნოდეს საკუთარ თავს, რომ საკუთარ ნება-სურვილზე მოიგვაროს

ცხოვრება. რატომ, რისთვის უნდა იყოს ხაფანგში გახვეული და კოცნიდეს პირობითობების პედაგოგიურ კვერთხს.

— იზ, მე მარტო მივემგზავრები ბრაზილიაში, — თქვა ბოლოს კლერმა, — ტესთან ჩემი დაშორების მიზეზი სულაც არაფერ შუაშია ბრაზილიასთან. შეიძლება აღარც არასოდეს ვიცხოვროთ ჩვენ ერთად. ვერ დაგპირდებით, შევძლებ თუ არა თქვენს შეყვარებას, მაგრამ... ხომ არ წამოხვალთ მის ნაცვლად ბრაზილიაში?

— მართლა გულით გსურთ ჩემი წაყვანა?

— დიახ, მე ცუდად ვეწამე და აღარა მსურს კვლავაც ვიტანჯო, ცხოვრების შემსუბუქება მინდა, სულის მოთქმა. გესმით? თქვენ, ყოველ შემთხვევაში, უანგაროდ მაინც გიყვარვართ.

— კარგით. წამოვალ.

— მიუგო მცირე დუმილის შემდეგ იზმა.

— წამოხვალთ? თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს, იზ?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე თქვენთან ერთად ვიქნები მანამ, სანამ იქიდან არ წამოხვალთ... ჩემთვის ეს სავსებით საკმარისია.

— იცოდეთ, შეგიძლიათ ენდოთ ჩემს ზნეობრივ სიწმინდეს, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ ცივილიზებულ სამყაროს, მე მინდა ვთქვა, დასავლეთის ცივილიზაციის თვალში ეს ბოროტმოქმედებაა.

— ჩემთვის სულერთია ყველაფერი. ან რომელი ქალი დაგიდევთ რამეს, როცა ასე ეწამება... სხვა საშველი არ არის!

— მაშ, ნუღარ ჩახვალთ ორთვალადან. იჯექით, სადაც ზიხართ.

უკან მოიტოვეს გზაჯვარედინი: კიდევ გაიარეს ერთი-ორი მილი. კლერს არც ერთი ტკბილი სიტყვა არ დასცდენია.

— ძალიან გიყვარვარ, იზ? — ჰკითხა კლერმა მოულოდნელად.

— ძალიან! აკი გითხარით უკვე — სულ მიყვარდით, ვიდრე ფერმაში ვცხოვრობდით ერთად.

— ტესზე მეტად?

იზმა თავი გადააქნია.

— არა, — დაიჩურჩულა მან, — ტესზე მეტად არა.

— კი მაგრამ, როგორ?..

— არავის შეუძლია თქვენი შეყვარება იმაზე მეტად, ვიდრე ტესს უყვარდით... ის ხომ სულსაც არ დაიშურებდა თქვენთვის ამაზე მეტი კი არც მე შემიძლია.

— ფავორის მთის წინასწარმეტყველის დარად, იზი ჰუეტი ალბათ სიხარულით დაფარავდა ჭეშმარიტებას, მაგრამ ტესის შინაგანმა სულიერმა ძალამ, რომელიც ასე ხიბლავდა მას, ბუნებით ამ უხეშ ადამიანს, აიძულა გულმართალი დარჩენილიყო.

კლერი დუმდა. გულმა ძალუმად დაუწყო ძგერა, როდესაც ამ უწ-მინდესი არსების გულწრფელი პასუხი მოისმინა. ცრემლები ახ-რჩობდა, ყურები უწიოდა: „ის ხომ სულსაც არ დაიშურებდა თქვენ-თვის, ამაზე მეტი კი არც მე შემიძლია“...

— იზ, დაივიწყეთ ჩვენი ფუჭი ყბედობა! — წამოიძახა კლერმა და ერთბაშად შემოატრიალა ცხენი.

— არც ვიცი, რას გეჩურჩუტეთ! სოფელში წაგიყვანთ, უკან.

— აი, როგორ უხდიან მადლობას პატიოსნებისათვის! ოჰ, მე ამას ვერ ავიტან.... ვერ ავიტან... ვერ ავიტან!

აღრიალებულმა იზ ჰუეტმა თავში ხელები წაიშინა, როცა მიხვდა, რა უგუნურებაც ჩაიდინა.

— ნანობთ, რომ სამართლიანად მოექეცით აქ არ მყოფს? იზ, წყალში ნუ ჩაყრით მთელ თქვენს სიკეთესა და კეთილშობილურ საქციელს უღირსი სინანულით.

იზი თანდათან დამშვიდდა.

— კეთილი სერ, ალბათ არც მე მესმოდა რას ჩავდიოდი, როცა წა-მოსვლაზე დაგყაბულდით. მე მინდა... ის, რაც შეუძლებელია!

— შეუძლებელია იმიტომ, რომ მე უკვე მყავს მოყვარული მეუღ-ლე.

— ოჰ, გყავთ, გყავთ. თქვენ მეუღლე გყავთ.

ისინი სოფლის შარაგზაზე შეჩერდნენ, რომელსაც ამ ნახევარი საათის წინ გვერდი აუარეს. იზი ჩამოხტა.

— იზ... გემუდარებით, სულითა და გულით გთხოვთ, დაივიწყოთ ჩემი ქარაფშუტობა! — შესძახა კლერმა.

— დაუფიქრებლად მომივიდა... სულელურად.

— დავივიწყო! არასოდეს! ჩემთვის ეს არ იყო ქარაფშუტობა!

კლერმა იგრძნო, რომ სამართლიანად იმსახურებდა ამ მწარე საყვედურს. უსაზღვრო სევდით შეპყრობილი ორთვალიდან ჩამოხ-ტა და ქალს ხელი მოკიდა:

— იზ, ჩვენ მაინც მეგობრებად დავცილდებით ერთმანეთს. თქვენ არ იცით, მე რა გადავიტანე!

— გაპატიებთ, სერ, — თქვა იზმა.

— მომისმინეთ, იზ, — წამოიწყო კვლავ კლერმა.

— და თავი აიძულა მენტორის როლი ეთამაშა, თუმცა კი სრულია-დაც არ გრძნობდა ამის მოწოდებას, — მინდა მერიენს გადასცეთ, როდესაც ნახავთ, გონს მოეგოს, ნუ დაეცემა და ავქალობას თავი ანებოს. მითხარით, დამპირდით, რომ ეტყვით აუცილებლად. რეტის კი უთხარით ქვეყნად ბევრი მოიძებნება ჩემზე ღირსეული ადამიანი. ჰოდა, ჩემი გულისათვის დე, გონივრულად და პატიოსნად მოიქცეს.

არ დაგავიწყდეთ, სწორედ ეს სიტყვები უთხარით — გონივრულად და პატიოსნად-თქო.

— ჩემი გულისათვის! კეთილ სურვილებს ვუთვლი მათ, როგორც მომაკვდავი ადამიანი. მომაკვდავი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ შეიძლება ვეღარასოდეს ვეღარ შევხვდეთ ერთმანეთს. თქვენ კი იზ, პატიოსანი სიტყვით მიხსენით დაუჯერებელი საქციელისაგან, უგუნურებისა და ღალატისაგან. იქნებ ქალები არცა ხართ კარგები, მაგრამ ასეთ საქმეში დიახაც რომ მამაკაცებს სჯობნით, თუნდაც მხოლოდ ამის გულისათვის არასოდეს დაგივიწყებთ. იყავით მუდამ ასეთი კეთილი და წრფელი ქალი, როგორიც დღემდე ყოფილხართ და გამიხსენეთ ხოლმე, როგორც უღირსი სატრფო, მაგრამ სანაცვლოდ — ერთგული მეგობარი. მომეცით ამის პირობა.

ქალმა მისცა პირობა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სერ... მშვიდობით!

კლერმა ცხენი მოაბრუნა და წავიდა. როგორც კი კლერი თვალს მიეფარა, იზმა სოფლის შუკაში შეუხვია და სასოწარკვეთილი ბალახში ჩაემხო: გვიან დაბრუნდა იზი იმ დღეს შინ, დედის კოტეჯში. საოცრად ნატანჯი და დაბნეული ჩანდა. ვერავინ გაიგო, სად იყო, სად გაატარა საღამოს საათები ენჯელთან განშორების შემდეგ შინ მოსვლამდე.

მაგრამ არც კლერი იყო მშვიდად. ტუჩები უთრთოდა მშფოთვარე ფიქრები უფორიაქებდა სულსა და გულს. მაგრამ იზი როდი გახლდათ მისი ურვის მიზეზი. ბეწვზე ეკიდა მისი ფიქრები. ცოტაც და, გადაუხვევდა უახლოესი სადგურისაკენ მიმავალ გზაზე, გადაივლიდა საუთ უესექსის მთიან ქედს, რომელიც თავისი ტესის სახლსა და მის შუა აღმართულიყო. რამ შეაჩერა? მას ხომ არც ტესი სძულდა და არც მის სიყვარულში ეპარებოდა ეჭვი.

არა, კლერი გრძნობდა, რომ ტესის დიდი სიყვარულისდა მიუხედავად, რომელიც ერთხელ კიდევ დაადასტურეს იზის სიტყვებმა ჯიუტი ფაქტები, ფაქტებად რჩებოდა. თუ მართალი იყო თავიდან, მაშასადამე, მართალია ახლაც. ჰოდა, ამ მტკიცე გადაწყვეტილების ძალამ აიძულა იმავე გზით ევლო, რომელზეც იდგა. ვიდრე უფრო დიდ ძალას გადაეყრებოდა, ვიდრე დღეს, ნაშუადღევს შეეყარა, და არ შეაცვლევინებდა გეზს. ვინ იცის, იქნებ სულ მალე დაუბრუნდეს კიდეც ტესს.

იმ ღამით დატოვა კლერმა ლონდონი, ხოლო ხუთი დღის შემდეგ ჩამოართვა ძმებს ხელი, დაემშვიდობა ნავსადგურში, ჩაჯდა გემში და დასახული მიზნისაკენ აიღო გეზი.

XLI

მოდით ახლა ზემოხსენებული ზამთრის ამბებიდან ოქტომბრის ერთ დღეს მივაშუროთ. ტესისა და კლერის განშორების საათიდან რვა თვეზე მეტი გავიდა. ძირფესვიანად შეტრიალდა ტესის ცხოვრება. სკივრებითა და ჩემოდნებით დატვირთული პატარძლის ნაცვლად, სკივრებისა, რომლებიც სხვებს უნდა ეზიდათ მისთვის, კალათითა და ფუთით მხრებდამძიმებული, ქანცგაწყვეტილი, მარტოხელა ტესი დგას ახლა ჩვენ წინაშე; თავად დაათრევს ტვირთს, როგორც წარსულ დღეებში, გათხოვებამდე. კარგა გვარიანი თანხით გატენილ საფულეს ნაცვლად, ქმარმა რომ დაუტოვა გამოსაცდელ პერიოდში სახარჯოდ, დაჩუტული ქისა ჩამოკონწიალებია მკლავზე.

მას შემდეგ რაც დედულეთი მიატოვა, ტესმა მთელი გაზაფხული და ზაფხული თითქმის უშრომლად გაატარა. ხანდახან თუ წაიმუშავებდა სადმე რაიმე მსუბუქ საქმეზე, ბლეკმურის ველის დასავლეთით, პორტ ბრედის მახლობელ ფერმაში, ეს ფერმა კარგა მანძილით იყო მოშორებული მის მშობლიურ ადგილსაც და ტელბოტეისსაც. ტესმა საკუთარი შრომით ცხოვრება არჩია კლერის კისერზე ჩამოკიდებას. სულიერად უკიდურესობამდე, ლამის სიგიჟემდე მისულ ქალს ფიზიკური შრომა არა თუ არ უმსუბუქებდა მდგომარეობას, თითქოს პირიქით, უფრო წარუკვეთა სასო. ფიქრებით ტელბოტეისის ფერმას დასტრიალებდა სულ, აგონებდა წარსულ ზაფხულს, როცა სატრფოს შეხვდა პირველად, სატრფოს რომელიც გაქრა და წავიდა, ვითარც მოჩვენება, სწორედ მაშინ, როცა თითქოს მთლიანად დაეუფლა მას.

ძროხებმა დაიკლეს. ტესი უმუშევარი დარჩა, ვერ მოახერხა მუდმივი სამუშაო ადგილის შოვნა, როგორც ტელბოტეისის ფერმაში. მაგრამ აი, მკის ალო დადგა და ტესმაც გაურჯელად იშოვა საქმე. სამწყემსურიდან მინდვრად გადაინაცვლა. ასე გაგრძელდა, ვიდრე მთლიანად არ აიღეს ყანები.

კლერისაგან მიღებული ორმოცდაათი ფუნტიდან ოცდახუთი მშობლებს დაუტოვა იმ ზრუნვა-გარჯისა და ზარალისათვის, რაც მათ მიაყენა. დანარჩენი ოცდახუთი ფუნტიდან მხოლოდ მცირეოდენი დახარჯა. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, წვიმები დაიწყო და იძულებული გახდა, მოეხმარა თავისი ქონება.

— ძალიან უმძიმდა ტესს ფულის ხელიდან გაშვება. ენჯელმა ბანკიდან მისთვის გამოიტანა და საკუთარი ხელით გადასცა სულ ცინცხალი ბრჭყვიალა მონეტები. კლერს აგონებდნენ ეს მონეტები, თითქოს საკუთარი ისტორია არ გააჩნიათო, მხოლოდ იმ წამების

მოგონებას ინახავდნენ, რომელიც კლერსა და ტესს გადახდა თავს. როცა მათ გასცემდა, ტესს გული ისე ეკუმშებოდა, თითქოს ძვირფას სახსოვარს კარგავდა. მაგრამ რა ექნა საბრალოს, როცა სხვა ჩარა არა ჰქონდა. თოვლივით უქრებოდა ხელში მონეტები.

დრო და დრო დედას მისამართს ატყობინებდა. თავის თავზე კი კრინტი არ დაუძრავს, როდესაც შემონახული ოცდახუთი ფუნტიდან ხელთ აღარაფერი დარჩა, დედისაგან წერილი მიიღო, მძიმე მდგომარეობაში ვართო, იწერებოდა. შემოდგომის წვიმებმა სულ დაგვილპო სახლის სახურავი და თავზე წყალი ჩამოგვდის, სახლი თუ თავიდან არ გადაიხურა, შიგ აღარ გაგვეძლებინება. მაგრამ არსაიდან სახსარი არ არი, ძველი სახურავის ფულიც კი ვალად გვაწევს. კოჭებიც გამოსაცვლელია და ზედა ოთახის ლამფაც. ყველაფერი ეს სახურავიანად ერთად აღებული ოცი ფუნტი მაინც დაჯდება. ჰოდა, რაკი შენი ქმარი შეძლებული კაცია და, თქმა არ უნდა ახლა დაბრუნებულიც იქნება, იქნებ ხელი გაგვიმართოთ და ფული წამოგვაშველოთო.

ტესს ამ დროისთვის სწორედ ენჯელის ბანკირებისაგან ოცდაათი ფუნტი ჰქონდა მისაღები. ჰოდა, რაკი მშობლების მდგომარეობა მართლაც სავალალო იყო, მიიღო თუ არა აღთქმული ოცდაათი ფუნტი, ოცი მაშინვე მათ გადაუგზავნა. დანარჩენი თითქმის მთლიანად საზამთრო ჩასაცმელ-დასახურავში შემოეხარჯა. ტესი იძულებული გახდა კლერის სიტყვები გაეხსენებინა: თუ გაგიჭირდეს მამაჩემს მიმართეო.

რაც მეტად უფიქრდებოდა ენჯელის ნათქვამს, მით ნაკლებად სურდა მისი რჩევა გაეთვალისწინებინა. იგივე თავაზიანობა, სიამაყე თუ ცრუ სირცხვილი, სულერთია რას დავარქმევთ, იმ გრძნობას, რომელიც აიძულებდა ტესს, კლერის გულისათვის დაეფარა მშობლებისაგან სიმართლე და არ გაემხილა, რომ ძველებურად მარტო ცხოვრობდა, ხელს უშლიდა ტესს გატყდომოდა ენჯელის მშობლებს თავის ხელმოკლეობაში მას შემდეგ, რაც კლერმა გვარიანი თანხა დაუტოვა. ვინ იცის, იმათ ახლაც სძულთ ის, ჰოდა, მით უფრო არ შესძულდებათ თუკი მათხოვარივით ხელგაშვერილი მიადგება კარზე! ბევრი იფიქრა და მოიფიქრა, რომ ვერავითარი ძალა ამქვეყნად ვერ აიძულებდა მღვდლის რძალს თავის გასაჭირში გამოტყდომოდა მას.

ვინ იცის, დროთა ვითარებაში უფრო გამიადვილდეს ქმრის მშობლებთან საერთო ენის გამონახვა, ფიქრობდა ტესი თავისთვის. რაც შეეხება მის საკუთარ მშობლებს, აქ სულ სხვა ამბავი იყო. მას შემდეგ, რაც ტესმა ქორწინებიდან რამდენიმე დღე თავის სახლში

გაატარა, მშობლებმა გადაწყვიტეს, ტესი ადრე თუ გვიან შეურიგდება ქმარსო. ერთხელ რა არი, ერთხელაც არ შეურყევია ტესს მათი რწმენა იმისა, რომ განცხრომითა და ნეტარებით ცხოვრობდა და დღე დღეზე ელოდა ქმრის ჩამოსვლას ბრაზილიიდან. მიუხედავად ყოველივესი ტესს მაინც უღვიოდა იმედი გულში: არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე, კლერი მალე ჩამოვა და დაუბრუნდება მას. ბოლოს და ბოლოს, წერილს მაინც გამოუგზავნის და შემოუთვლის ჩამოდიო. ასე იქნებოდა თუ ისე, ისინი ხელიხელ გადაჭდობილნი წარსდგებოდნენ საკუთარი მშობლებისა და მთელი ქვეყნის წინაშე. გულიდან ვერ იცილებდა და სიყვარულით ელოლიავებოდა ტესი ამ იმედს. ამდენი მითქმა-მოთქმისა და ხმაურის შემდეგ, მათმა ქორწინებამ რომ გამოიწვია და რომელსაც თითქოს ტესის პირველი მარცხი უნდა გაებათილებინა, იმის გამხელა მშობლებისათვის, რომ მიტოვებული ცოლია და ახლაც დაეხმარა რა მათ, იძულებულია თავად ლუკმა პური ეძიოს — ტესის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ტესს ბრილიანტები გაახსენდა. ვის მისცა კლერმა შესანახად მან არ იცოდა, არც ჰქონდა ამას მნიშვნელობა, თუკი მართლა მათი ტარება შეეძლო მხოლოდ, გაყიდვა კი არა. გინდაც მას ჰქონოდა, უსინდისობა იქნებოდა, აქაოდა ჩემი საკუთრებააო, აეღო და გაეყიდა. მით უმეტეს, რომ ამის უფლება არა ჰქონდა.

არც ტესის ქმრის ცხოვრება იყო ამ ხანში ია-ვარდით მოფენილი: ხურვებაშეყრილი კურიტიბის მახლობლად იწვა ბრაზილიაში. ვინ იცის, რამდენჯერ დასველდა და ძვლებამდე გაილუმპა კოკისპირულ წვიმაში. რამდენი გაჭირვება და ვაი-უბედურება გადაიტანა ბრაზილიის მთავრობების დაპირებებს დახარბებულ ინგლისელ ფერმერებსა და მიწათმოქმედებთან ერთად. ინგლისის მიწების დამუშავებას ბალღობიდან მიჩვეული მიწათმოქმედები დარწმუნებულნი იყვნენ, ადვილად გაართმევდნენ თავს და წინ აღუდგებოდნენ დარსა თუ ავდარს ბრაზილიის დაბლობებში.

— მოდი, ისევ ტესს დავუბრუნდეთ. როდესაც დახარჯა უკანასკნელი სოვერენი და ფულის საიდანმე შოვნის იმედიც გადაიწურა, ტესი მალე იმაშიც დარწმუნდა, რომ წლის ამ დროს სამუშაოს პოვნა შეუძლებელი იყო, თუმცა სჯეროდა, რომ საზრიანი, ენერგიული, ჯანმაგარი და შრომის — უნარიანი მუშახელი ყველგან სჭირდებოდათ. ტესი მაინც ვერ ბედავდა ქალაქ ადგილას სამუშაოს ძებნას. შიში იპყრობდა ქალაქების, მაღალი შენობების, თაღლითი მდიდარი ხალხისა და ქალაქური ცხოვრების ორომტრიალის გახსენებაზე. სოფლის ცხოვრება ხომ სულ სხვაა და ქალაქისა სულ სხვა. ბედი გაუშავა

ტესს მაღალმა წოდებამ. ვინ იცის, იქნებ უკეთესიც იყო, ვიდრე თავად ფიქრობდა, მცირე გამოცდილების მიხედვით სჯიდა. მაგრამ მან ხომ არ უწყოდა ეს და უნებურად თავი შორს ეჭირა.

პორტ-ბრედის დასავლეთით პატარა ფერმები, სადაც გაზაფხულსა და ზაფხულში დრო და დრო მუშაობდა, არ საჭიროებდნენ მუდმივ მუშახელს, ტელბოტეისში რომ მისულიყო, ალბათ კი შეიფარებდნენ, თუნდაც სიბრალულის გამო, მაგრამ რა გაჭირვება უნდა დადგომოდა, რომ ტელბოტეისში დაბრუნებულიყო. მას ხომ ახლა ძველებურად აღარ მოეპყრობოდნენ. ჰოდა, ამის ატანა ტესს არამც და არამც არ შეეძლო, ესეც არ ყოფილიყო, ახლა იქ დაბრუნება ჩრდილს მიაყენებდა მის ქმარს, რომელსაც იგი ასე აღმერთებდა. არა, ვერ აიტანდა იმ გულმოწყალე დამოკიდებულებას, რომლითაც, ალბათ, ისინი მოეკიდებოდნენ, მისი ყურები ვერ გაუძლებდა იმ ჩურჩულსა და ტუტუნს რომელიც იმ უცნაური მდგომარეობის გამო შეუდგებოდათ, რომელშიც ტესი აღმოჩნდა. დე, თითოეულმა ცალ-ცალკე იცოდეს მისი შავი ბედის ამბავი, ამას კიდევ შეურიგდება კაცი, მაგრამ მითქმა-მოთქმა და სჯა-კამათი მტანჯველ ტკივილებს მიაყენებს. რომ გეკითხათ, ტესი ალბათ ვერც აგიხსნიდათ, რა განსხვავება იყო იმასა და ამას შორის, თავად გრძნობდა რაღაცას და ეგ იყო.

ტესი ახლა საგრაფოს შუაგულში, მთაგორიან ადგილზე გაშლილი ფერმისაკენ მიიჩქაროდა. მერიენმა წერილით შემოუთვალა ჩამოდიო. წერილს ბევრი ევლო აქეთ-იქით, ვიდრე პატრონის ხელში მოხვდებოდა. რაღაც მანქანებით, შესაძლოა სულაც იზ ჰუეტის წყალობით მერიენს შეეტყო, რომ ტესი ქმართან აღარ ცხოვრობდა. კეთილ გოგონას შეშინებია ტესს რაიმე უბედურება არ შეემთხვასო, და ცდილა რაც შეიძლება სწრაფად შეეტყობინებინა ძველი მეგობრისათვის თავისი ამბავი. ტელბოტეისის მიწა დავტოვე და ახლა ამ მთაგორიან ადგილზე ვმუშაობ ფერმაშიო, წერდა. თუ მოხვალ, ძალიან გამახარებ. რაკი მუშაობის დაწყება დაგიპირებია ჩვენ მხარეში უფრო იშოვი შესაფერ საქმესო.

დღემ თანდათან იკლო. ქმრისგან პატიების იმედიც ჩაიფერფლა. რაღაც ცხოველური ინსტინქტით შეპყრობილი ტესი უაზროდ მიეხეთქებოდა, თითქოს თანდათანობით სცილდებოდა თავის წარსულს, ივიწყებდა თავის ჭეშმარიტ სახეს, და არცა ფიქრობდა, რომ რაიმე შემთხვევითობას შეიძლება გაემხილა მისი ადგილსამყოფელი მისი ბედით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

იმ მრავალ სიძნელეთა შორის, რომელიც ტესის განმარტოებულ

ცხოვრებას თან ახლდა, პატარა მნიშვნელობა როდი ჰქონდა ყურადღებას, რომელსაც კლერთან ურთიერთობით გაკეთილშობილებული ტესის გარეგნობა და ქცევა იპყრობდა. სანამ ჯერ კიდევ ჰქონდა საქორწინოდ შეკერილი კაბები, ცნობისმოყვარე მზერა უსიამოვნო გრძნობას არ იწვევდა ტესში. მაგრამ, როგორც კი უბრალო, სამუშაო კაბა ჩაიცვა, წამოვიდა უხამსი სიტყვების ნაკადი, მაგრამ როგორც ნოემბრის იმ დაუვიწყარ დღეს შეეშინდა, ისე არასდროს შეშინებია მაინც.

ტესს მდინარე ბრიტის დასავლეთით გაშლილი მინდვრები უფრო იზიდავდა, ვიდრე იმ მთაგორიან ადგილზე გაშლილი ფერმა, საითაც ახლა მიდიოდა. გარდა ამისა, ეს მინდვრები, მისი ქმრის მშობლების სახლსაც უფრო უახლოვდებოდა. ტესს სიამოვნებას ჰგვრიდა, მალულად სურდა კიდეც ამ მხარეში ცხოვრება, გულში იმედიც ჩასახვოდა, რომ ოდესმე გაბედავდა და პასტორის სახლში შეივლიდა, მაგრამ რაკი ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება, მთაგორიან ადგილზე დასახლებულიყო, აღარ დაუწყია ყოყმანი, ფეხით გაემართა აღმოსავლეთისაკენ, მთელ დღე იარა იმ ვარაუდით, რომ ღამეს სოფელ ჩოკ-ნოუტონში გაათევდა.

დაუსრულებელი და ერთფეროვანი იყო სოფლის გზა. დღემ ისე იკლო, რომ ბინდი გზაში წამოეწია. ტესი ბორცვის თავზე ავიდა. აქედან გველივით მიიკლაკნებოდა გზა დაბლობისაკენ. უეცრად ფეხის ხმა შემოესმა. რამდენიმე წუთში ვიღაც ყმაწვილი წამოეწია, გაუპირისპირდა და შეეხმიანა:

— საღამო მშვიდობისა, ლამაზო! ტესმა თავაზიანად უპასუხა.

ჩამოღამდა. შემორჩენილი დღის სინათლე სახეს უნათებდა ტესს. ყმაწვილი კაცი მობრუნდა და დაჟინებით ჩააცქერდა ქალს.

— შენ ტრენტრიჯელი მემამულის დ'ერბერვილის მეგობარი ქალი არა ხარ? მაშინ მეც იქ ვცხოვრობდი.

ტესმაც იცნო, ეს ის ყმაწვილი კაცი იყო, ენჯელმა რომ სილა გააწნა ტრაქტირში ტესის ცუდად მოხსენიებისათვის. რაღაც ტკივილმა დაუარა მთელ სხეულში. ხმა არ ამოუღია პასუხად, აბა, ახლა გამოტყდი, რომ მაშინ სიმართლე გითხარი, შენი საყვარელი რომ ყალყზე შედგა! გამოტყდი, აბა გამოტყდი, გაიძვერავ, კეთილ ინებე და პატიება მთხოვე, ის სილა რომ შეგრჩა.

ტესი დუმდა. მოშხამულ ქალს ერთადერთი გზა დარჩენოდა — უეცრად მოწყდა ადგილს და უკან მოუხედავად გავარდა შურდულივით. თვალი მოჰკრა ჭიშკარს, ჭიშკარს იქით ნარგავები იყო. ტესი შევარდა ჭიშკარში და მანამ არ გაჩერებულა, ვიდრე ხშირნარში არ გაუჩინარდა. აქ კი ვეღარ მოძებნიდნენ.

ფეხქვეშ ხმელი ფოთოლი შრიალებდა, გაშიშვლებული ხეების ძირში ამოყრილ დეკას ისეთი ხშირი ფოთლები შერჩენოდა, რომ ქარს აკავებდა. ტესმა ჩამოცვენილი ფოთლები მოაგროვა, ბუდესავით ამოაღრმავა და შიგ შეძვრა.

რაღა თქმა უნდა, ცუდად ეძინა, წამდაუწუმ ეღვიძებოდა, ქარიაო. სადღაც, მეორე ნახევარსფეროში, გაგანია სიცხით დახუთულ ქმარზე ფიქრობდა. თავად კი აქ სიცივით კანკალებდა. „ნეტავ, მოიპოვება ქვეყნად ჩემნაირი უბედური ადამიანი? — ეკითხებოდა თავს ტესი.

— ყველაფერი ამაოებაა; — ფიქრობდა თავის დაღუპულ ცხოვრებაზე და დაუსრულებლად იმეორებდა ამ სიტყვებს, ვიდრე არ მოისაზრა, რომ თანამედროვე ცხოვრებას სულაც არ ეხამებოდა ეს სიტყვები. ასე ფიქრობდა ამ ორი ათასი წლის წინათ სოლომონ ბრძენიც და თუმცა ტესი მოაზროვნეთა ავანგარდს არ ეკუთვნოდა, უფრო შორს შეტოპა. ყველაფერი რომ ამაოება იყოს, მაშ ვიღას მოუვიდოდა აზრად ამისთვის ყურადღება მიექცია! ვაი, რომ ყოველივე ამაოებაზე უარესი! — უსამართლობა, სასჯელი, სისასტიკე და სიკვდილია! ენჯელ კლერის ცოლმა ხელი მოისვა შუბლზე, მოისინჯა ნაზი კანის ქვეშ ამოზრდილი შუბლისა და წარბზედა ძვალი. დადგება დღე, როცა ეს ძვალი გაშიშვლდება.

— ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდა, ეს დრო რომ უკვე დამდგარი იყოს...

ამ უცნაურ ფიქრებში ჩაფლულს ფოთოლთ შრიალი და რაღაც ხმაური შემოესმა. ქარია? არა ქარის შემობერვას არა ჰგავს. თითქოს რაღაც ფართხალებს და თრთის. მერე ხვრინვა და რაკრაკი გაისმა. მალე მიხვდა პატარა გარეული მხეცები გამოსცემდნენ ასეთ ხმებს. ჯერ რაღაც გაიფაჩუნებდა თავს ზემოთ, ხის ტოტებში, მერე კი მძიმედ დაეცემოდა მიწაზე. სხვა დროს რომ აქ მოხვედრილიყო, ალბათ შიშით სული გასძვრებოდა, მაგრამ ახლა ადამიანების გარდა აღარავისი ეშინოდა.

როგორც იქნა, ინათა. ჯერ ცა აინთო, მერე კი ტყეში შეიჭრა შუქი.

როგორც კი ხშირნარში სიმშვიდის მომგვრელმა და მოსაწყენმა სამუშაო დღის დაწყების მაუწყებელმა მზის სხივებმა ჩამოაღწია ტესი ფოთლებიდან გამოძვრა და გაბედულად მიმოიხედა. ახლა კი მიხვდა, რა აკრთობდა ღამით. სანერგე, სადაც თავშესაფარი ჰპოვა, ღობით იყო შემოფარგლული, იმის იქით კი ხნული იწყებოდა. ხეობის ძირში რამდენიმე ხოხობი ეგდო. ჭრელი ბუმბული სისხლში ჰქონდათ ამოსვრილი. ზოგი უსულოდ გართხმულიყო, ზოგი ძლივს აფართხუნებდა ფრთებს, ზოგს კი ზეცისათვის მიეპყრო თვალები,

იკრუნჩხებოდნენ, ოდნავ ფეთქავდნენ. ყველა — იმ ბედნიერთა გამოკლებით, რომელთაც ვეღარ აეტანათ საშინელი წამება და ზეცისთვის მიებარებინათ ტანჯული სული, სიკვდილის აგონიას აეტანა.

ტესი მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო. წინა დღეს, ეტყობოდა, მონადირეებს ფრინველი ამ მიდამოებში შემოერეკათ, დაბინდებამდე დაეხოცათ, რაც მოეძებნათ, თან წაეღოთ, მძიმედ დაჭრილი ხოხბები კი ბუჩქებსა და ხის ტოტებზე შეფრთხიალებულიყვნენ და მიმალულიყვნენ. დიდხანს ცდილან დაჭრილი ფრთოსნები ხეზე თავის შემაგრებას. მაგრამ სისხლისაგან დაწრეტილები დასუსტებულიყვნენ, თავს ვეღარ იკავებდნენ და მიწაზე პანტაპუნტით ცვიოდნენ, — აი, თურმე რა იყო, რომ აფრთხობდა ტესს.

ტესმა, რაღაც განსაკუთრებული გრძნობით შეპყრობილმა ადამიანმა, რომელიც სხვის ტანჯვას საკუთარზე ნაკლებ მწვავედ არ განიცდიდა. გადაწყვიტა ბოლო მოეღო მომაკვდავი ფრთოსნების ტანჯვა-წამებისათვის — საკუთარი ხელით მოუგრიხა ყველას კისერი, რამდენიც კი იპოვა, და იქვე დატოვა. მის შემდეგ ალბათ ტყის მცველები მოვიდოდნენ და დაჭრილსა და დახოცილ ფრინველს ისევ დაუწყებდნენ ძებნას.

— საწყლები! როგორ იტანჯებოდნენ, მე კი ამქვეყნად ჩემი თავი მეგონა ყველაზე საცოდავი და შესაბრალისი! — წამოიძახა ტესმა. სათითაოდ ხოცავდა ფრინველებს და მათი საცოდაობით შეძრულს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე, — მე ხომ არაფერი მტკივა! არც არავის დავუსახიჩრებივარ, არც სისხლისაგან ვიცლები; ჯანმრთელი ვარ, ორი ხელი მაქვს და ორი ფეხი იმისათვის, რომ საკუთარი შრომით მოვიპოვო ლუკმაპური და ჩასაცმელ-დასახური, — ტესს შერცხვა საკუთარი სასოწარკვეთილებისა: ეს გრძნობა ხომ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დესპოტურმა კანონებმა გამოიწვია მასში, რასაც სრულიად არაფერი აქვს საერთო ბუნების კანონებთან.

XLII

დღემ საბოლოოდ გაშალა ფრთები: ტესი ფრთხილად გამოვიდა ფართო გზაზე. საშიში არაფერი იყო, — ახლომახლო სულიერი არ ჭაჭანებდა და გაბედულად გაუდგა თავის გზას. უხმოდ, უდრტვინველად. საბრალო ტანჯული ჩიტების ხილვამ ძალზე იმოქმედა მასზე. ყველაფერი უბედურება შედარებითია ამქვეყნადო, — ფიქრობდა თავისთვის, — ჰოდა, საკუთარ სევდა-ნაღველსაც ადვილად გაუმ-

კლავდება, თუკი საიმისო ძალა ეყოფა, რომ შეძლებს და არად ჩაა-გდებს იმას, თუ რას იფიქრებენ სხვა ადამიანები.. მაგრამ აბა, როგორ მოახერხოს ეს, როცა კლერს თავისი შეხედულებები აქვს და ანგარიშს უწევს სხვების აზრს.

ჩოკ-ნიუტონში ჩამოსული ტესი დუქანში შევიდა სასაუზმოდ. გული გაუწყალეს ყმაწვილებმა თავიანთი თავაზიანობით. ტესს იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა: იქნება ღმერთმა ჰქნას, და ერთ მშვენიერ დღეს ქმარმაც ასე დაუწყოს ლაპარაკი! თუ ასე იქნება, მაშინ, ამ არამკითხე მოტრფიალეებისაგან ცოტა შორს უნდა დაიჭიროს თავი. საალალბედოდ რომ არ გაეხადა საქმე, ტესმა გადაწყვიტა შეეცვალა გარეგნობა, როგორც კი სოფელს გასცდა, მიიმალა ბუჩქებში და კალათიდან ერთი ყველაზე ძველი სამუშაო კაბა ამოიღო. ეს კაბა ტელბოტეისშიც კი არასოდეს ჩაუცვამს. მინდვრად რომ მუშაობდა ხოლმე წინათ მარლოტის მახლობლად. იმის მერე არც გახსენებია, თუ ჰქონდა კიდევ. უეცრად ერთმა ბედნიერმა ფიქრმა გაუელვა თავში: ამოაძრო ფუთიდან ცხვირსახოცი და პირი აიკრა. ვითომ კბილი სტკიოდა. აღარც ნიკაპი მოუჩანდა, აღარც საფეთქლები, აღარც ლოყები. ამოიღო ჯიბის სარკე, შეიარაღდა პატარა მაკრატლით და ხელიც არ აკანკალებია, ისე შეუბრალებლად გაიკრიჭა წარბები. ასე აიცილა თავიდან მომაბეზრებელი ყურადღება და თავის მიხვეულ-მოხვეულ გზას გაუდგა.

— აი, საფრთხობელა! — გადაულაპარაკა ერთმა მამაკაცმა გვერდით მიმავალ მეგობარს..

— ამ სიტყვების გაგონებაზე ტესს კინაღამ ცრემლები წასკდა, ისე შეებრალა თავი.

„ეჰ, ჩემთვის სულერთი არ არის? — გაივლო გულში, — ჰო, დიახაც სულერთია: ამიერიდან სულ ასეთი მახინჯი ვიქნები. ენჯელი ჩემ გვერდით არაა და აბა, რა ვქნა, ვინ დამიცავს! მე მყავდა ქმარი, მაგრამ სხვაგან წავიდა და ამიერიდან აღარასოდეს ვეყვარები. მე კი მაინც მიყვარს, და მძულან სხვა მამაკაცები, ჰოდა, არც მინდა, მამჩნევდეს ვინმე“...

მიდის და მიდის ტესი ფეხშეუნელებლად. ასე გეგონებათ, ბუნების განუყოფელი ნაწილიაო. საზამთროდ ჩაცმულ-დახურულ გლეხის ქალს ჰგავს. ტანთ ნაცრისფერი მოკლე სარჟის ლაბადა აცვია, კისერზე წითელი შალის შარფი მოუდვია: უხეში ტყავის ხელთათმანები და შალის კაბაზე უხეში ყავისფერი ხალათი წამოუცვამს, ნიადაგ წვიმაში, მწველ მზესა და ქარში ხმარებისაგან სულ მთლად ძაფებგამორღვეული და დაძენძილი იყო ტესის ტანსაცმელი, ტესის სახეს ახალგაზრდული ცეცხლის ნიშანკვალიც არ ეტყობოდა.

გოგოები მკაცრი სახისანი

. . . . . .

ნაოჭი ნაოჭებს

მისდევენ ღაწვებზე.

ამ გარეგნული საფარველის ქვეშ — როგორც უღირს, უსულო საგანზე, კაცი წამით შეაჩერებდა მზერას — მიმალულიყო სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომელსაც თავის ასაკთან შედარებით მეტად ღრმად შეეცნო ამქვეყნიური ამაოება, ვნების სიმკაცრე და სიყვარულის სისუსტე.

მეოთხე დღეს ამინდი გაფუჭდა. ტესი მაინც არ შეჩერებულა, თავაღერილი განაგრძობდა გზას... ისეთი მტერი, როგორიც პატიოსანი, პირდაპირი და მიუკარებელი, გაავებული სტიქიაა, ნაკლებად აშფოთებდა. მიზნად დაესახა, საზამთროდ თავშესაფარი და სამუშაო ეშოვა. ჰოდა, ყოველი წუთი ძვირფასი იყო მისთვის. ტესმა ახლა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა დროებითი სამუშაო და მტკიცედ გადაწყვიტა, მუდმივი მოეძებნა.

ასე იარა ტესმა ფერმიდან ფერმაში იმ მხარეში, საიდანაც მერიენმა მოსწერა წერილი. გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მისულიყო მერიენის იმ ფერმაში. როგორც ლაპარაკობდნენ, იქ მაინცადამაინც დიდად ბედნიერი ცხოვრება არ უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად იოლ სამუშაოს ეძებდა, მაგრამ როცა იმედი გადაუწყდა, რჩევას თავი ანება. ასე და ამგვარად დაიწყო ძროხებისა და ფრინველების მოვლით, რაც ტესისთვის ყველაზე საყვარელი საქმე იყო და იმით დაამთავრა, რომ უმძიმესსა და უსიამოვნო შრომაზე — მინდვრის სამუშაოებზეც ყაბულს იყო. ასეთი გაჭირვება არ სდგომოდა, ალბათ ცივ უარს იტყოდა, მაგრამ ახლა სხვა რა გზა ჰქონდა!

მეორე საღამოს ტესი უსწორმასწორო ბორცვებით მოფენილ ცარცის პლატოზე ავიდა. იქაურობის მნახველი კაცი იფიქრებდა, ძუძუმრავალი ციბელა მხარ-თეძოზე წამოწოლილაო: პლატო ტესის მშობლიურ მიწა-წყალს იმ ადგილისაგან ყოფდა, სადაც პირველად შეიცნო სიყვარული. ჰაერი ცივი იყო და მშრალი. თუმცა დიდი ხანი არ იყო, წვიმას გადაეღო, გზები მაინც მტვერს გადაეთეთრებინა. თითო-ოროლა ხეს თუ დაინახავდით აქა-იქ. ხოლო გზის გასწვრივ ამოზრდილი ხეები ტოტებით ჩაწვდენოდნენ კუნელს, ასე შეუბრალებლად რომ დაესახიჩრებინათ ოდითგან მოყოლებული ხეთა და ბუჩქთა მტრებს — მოიჯარადრეებს: შორს მოჩანდა ბალბეროუსა და ნეტკომ ტაუტის თითქოს მეგობრულად მოღიმარი მწვერვალები. ამ

პლატოდან დაბალი და შეუმჩნეველი ჩანდა ეს მწვერვალები, ბლეკ-მურის ველიდან კი უზარმაზარ ცაში აჭრილ ბასტიონებს მიაგავ-დნენ. სამხრეთით, ბორცვებსა და ქედებს გადაღმა, მრავალ მოლზე, შორს, იქ, სადაც ზღვაში საფრანგეთისაკენ პირმიქცეული ყურე იჭ-რება, სწორი, ფოლადივით გაკრიალებული ზედაპირი მოჩანდა — ეს ლამანში გახლდათ.

ტესის წინ, დაბლობში ერთი მივარდნილი სოფელი გაშლილიყო. ტესმა ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია მერიენის ად-გილ-სამყოფელს — ფლინკტომ-ეშს. სხვა გამოსავალი ვერ იპოვა. ჩანს, აქ ეწერა მოსვლა. ქვა-ღორღიანი ნიადაგი იმაზე მეტყველებ-და, რომ მძიმე სამუშაო ელოდა. მაგრამ ძებნა-არჩევანის დრო სად იყო, დარჩენა გადაწყვიტა. წამოჟინჟღლა კიდეც, სოფლის თავზე პა-ტარა სახლი იდგა. სახლის ფრონტონი ზედ გზაზე გადმოდიოდა. ვიდრე ღამის გასათევ ადგილს მოძებნიდა, ტესმა სახლის საჩიხს შე-აფარა თავი და დაბინდებას დაელოდა.

„ვინ იტყვის, რომ მე მისის ენჯელ კლერი ვარ“, — გაუელვა თავში ტესს.

კედელმა ზურგი და მხრები გაუთბო. ეტყობოდა კედელს იქით ცეცხლი ენთო და მისი სიმხურვალე აგურში ატანდა. ტესმა ჯერ ხე-ლები გაითბო, მერე კი წვიმისაგან სველი და აწითლებული ლოყა მიადო აგურებს. ეს კედელი ახლა თითქოს მისი ერთადერთი მეგო-ბარი იყო. წასვლა აღარ უნდოდა. შესაძლო რომ ყოფილიყო სი-ამოვნებით დარჩებოდა აქ მთელი ღამე.

ტესს სამუშაოდან შინ დაბრუნებულ ბინადართა ლაპარაკი მოეს-მა: მერე, ეტყობოდა ვახშმად სხდებოდნენ, ჭურჭლის რახარუხი გა-იგონა. სოფლის შუკაში სულიერი არ ჭაჭანებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაც ჩითის კაბიანსა და შლაპიან ქალს მოჰკრა თვალი — მე-ტად შილიფად ეცვა ამ ცივ საღამოს. ნეტავ მერიენი ხომ არ არის? გაუელვა თავში ტესს. მოახლოებული ქალი უფრო ყურადღებით შე-ათვალიერა ბინდბუნდში: ტესს გაუმართლა ფიქრმა — მერიენი მო-დიოდა. მერიენი უფრო გასუქებულიყო. ლოყები აღაჟღაჟებოდა. ჩაცმით კი გაცილებით ცუდად ეცვა. სხვა დროს ასეთ ვითარებაში ტესი ალბათ არაფრით არ ისურვებდა ნაცნობობის განახლებას. მაგრამ ახლა ისეთი უმწეო და მარტოსული იყო, რომ არ დაუყოვნე-ბია და მერიენის სალამს მაშინვე უპასუხა.

მერიენმა ზრდილობიანად გამოკითხა ყველაფერი, ძალზე შე-წუხდა, რომ ტესი ძველებურად მძიმე პირობებში ცხოვრობდა. მერი-ენს ტესის ქმართან განშორების ამბისთვისაც ჰქონდა ყური მოკრუ-ლი.

— ტეს... მისის კლერ... ძვირფასი მისტერ კლერის ძვირფასო მეუღლევ!

ნუთუ მართლა ასე ძალიან გიჭირს, ჩემო გოგონა? რატომ აგიკრავს შენი მშვენიერი სახე? ხომ არავის უცემიხარ? ნუთუ იმან გაბედა რამე?

— ოჰ, რას ამბობ! აბეზარი ხალხი რომ თავიდან მომეცილებინა, იმისთვის შევიხვიე თავ-პირი.

ტესმა ზიზღით ჩამოიგლიჯა ცხვირსახოცი, რომლის გამოც თურმე შეიძლებოდა ასეთი ცუდი რამეც ეფიქრა ხალხს, რაც მერიენს მოუვიდა თავში.

— არც საყელო მოგიკერებია კაბაზე. ფერმაში, ტეს, მუდამ თეთრ საყელოს იკეთებდი.

— ჰო.

— გზაში ხომ არ დაგიკარგავს?

— არა, არ დამიკარგავს. მაგრამ მართალი გითხრა, სულ არ დავეძებ, როგორ გამოვიყურები შესახედავად, ამიტომაც არ გავიკეთე:

— არც ჯვრისწერის ბეჭედს ატარებ?

— ვატარებ, მაგრამ ისე, რომ არავის მოხვდეს თვალში: ბაფთა გავუყარე და კისერზე ჩამოვიბი. არ მინდა ვინმემ იცოდეს ვისი ცოლი ვარ, ან თუ ვარ საერთოდ გათხოვილი. ახლა, როცა მძიმე ცხოვრება მელის, ცოტა არ იყოს, უხერხულია ამის გამხელა.

მერიენი დააფიქრა ამ ამბავმა.

— კი მაგრამ, შენ ხომ ჯენტლმენის, კეთილშობილი კაცის ცოლი ხარ! ჰოდა, მაინცდამაინც კარგი საქმე ვერ არი, რომ ასეთ ცხოვრებას აპირებ.

— არა, ძალიანაც კარგია... თუმცა ძალიან უბედური ვარ.

— კლერმა შეგირთო და შენ კიდევ უბედური ხარ?!

— ცოლები ზოგჯერ უბედურები არიან, მაგრამ ამაში ქმრებს როდი მიუძღვით დანაშაული, თავად ცოლების ბრალია ხოლმე.

— შენ არაფერში იქნები დამნაშავე, დარწმუნებული ვარ, საყვარელო. არც ის იქნება დამნაშავე. შეიძლება არც ერთი არა ხართ დამნაშავე.

— მერიენ, ჩემო კარგო, ღვთის გულისათვის, ოღონდ შეკითხვებს თავი დაანებე. ჩემი ქმარი ინგლისიდან გაემგზავრა, მე სულ დავხარჯე მისი დატოვებული ფული, ახლა იძულებული ვარ, ძველებურად ვიმუშაო. მისის კლერს ნუ მეძახი, უბრალოდ, ძველებურად ტესი დამიძახე. თუ იცი სჭირდებათ აქ მუშახელი?

— როგორ არა! მუშახელი აქ ყოველთვის სჭირდებათ. უფრო კი

ქალებს ეტანებიან. აქ სამუშაოდ იშვიათად თუ მოვა ვინმე, ამიტომაც მუდამ მუშახელის ნაკლებობაა. ძალიან მწირი ადგილია. პურისა და შვედური ხილის მეტი არაფერი ხარობს. თუმცა მე თვითონაც აქ ვმუშაობ, მაგრამ სიმართლე გითხრა, მწყინს, რომ შენისთანა ქალი აქ მოვიდა.

— შენც ისეთი კარგი მწველავი არ იყავი, როგორიც მე?

— ჰო, მაგრამ რაც სმა დავიწყე სულ წავედი ხელიდან. ოჰ, ღმერთო, სმა ახლა ჩემთვის ერთადერთი ნუგეშია! თუ ფერმერს ქირით დაუდგები, ის გაიძულებს ხელით ჩიჩქნო თალგამი. მეც მიწაში ვიჩიჩქნები, სხვას კი არაფერს ვაკეთებ, მაგრამ ვიცი, შენ არაფრად გეჯაშნიკება ასეთი სამუშაო.

— ოჰ, ჩემთვის სულერთია! იქნებ მოელაპარაკო ფერმერს ჩემზე? — ჯობია შენ თვითონ უთხრა...

— კარგი. მხოლოდ ერთსა გთხოვ, მერიენ. კრინტი არ დაძრა კლერზე, არ მინდა ჩრდილი მიადგეს მის სახელს.

თუმცა მერიენი ტესზე უხეში და ტლანქი ჩანდა, ნამდვილად საიმედო გოგო იყო და დაპირდა კიდეც, თხოვნას შეგისრულებო.

— დღეს ხელფასს არიგებენ, — უთხრა მან, — ჩემთან ერთად რომ წამოხვიდოდე ახლა, ყველაფერს გაიგებდი და გაარკვევდი დღესვე. ძალიან მეცოდები. მე ხომ ვიცი — ის რომ აქ იყოს ახლა შენ უბედური არ იქნებოდი. გინდაც კაპიკი არ მოეცა და მძიმე სამუშაოზეც დაეყენებინე.

— ჰო, შენ მართალი ხარ... ბედნიერი ვიქნებოდი.

ერთად გაუდგნენ გზას. მალე გამოჩნდა ფერმის შენობაც, ისეთი პირქუში და დაღვრემილი გამოიყურებოდა, რომ ამის გამო დიდებულიც კი ჩანდა. ახლომახლო ერთი ხეც არა ხარობდა. მწვანე მინდორიც კი არ იყო წლის ასეთ დროს. ირგვლივ მხოლოდ თალგამი და ყამირი მოჩანდა, შორს — ღობეებით დასერილი გაშლილი მინდვრები.

ვიდრე მუშები ხელფასს იღებდნენ, ტესი შესასვლელში იცდიდა. მერე მერიენმა შინ შეიყვანა. თავად ფერმერი არ დაუხვდათ, საქმეზე წასულიყო. ფერმერის ცოლმა, რომელიც ქმრის მოვალეობას შედგომოდა, დაიქირავა ტესი. დადებული პირობის თანახმად ტესი ხარებამდე უნდა დარჩენილიყო მათ ფერმაში. ქალები იშვიათად მოდიოდნენ აქ სამუშაოდ. ქალის შრომა უფრო იაფად ფასობდა. ამიტომაც ფერმერისათვის ხელსაყრელი გახლდათ და მუდამ დიდი სიხარულით იღებდა მუშა ქალებს, რომლებიც სინამდვილეში მამაკაცებზე ნაკლებად როდი უძღვებოდნენ საქმეს.

ტესმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ახლა ერთადერთი ის

დარჩენოდა, სადმე თავშესაფარი მოეძებნა. ბევრი სიარული აღარ დაჭირვებია, იქვე იმ სახლში დაიქირავა კუთხე, რომლის კედელზე-დაც ამ ცოტა ხნის წინ გვერდებს ითბობდა. საცოდავი, შესაბრალისი ცხოვრება ელოდა ტესს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ამ ზამთარს მაინც გაიტანდა თავს.

საღამოს წერილი მისწერა მშობლებს და ახალი მისამართი შეატყობინა, ყოველ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა მარლოტში ქმრისგან წერილი მოუვიდოდა. თავის უბადრუკ ყოფაზე კრინტიც არ დაუძრავს, რათა არავის მოსვლოდა თავში აზრად, რომ კლერი დაედანაშაულებინა რამეში.

XLIII

მერიენს იოტისოდენადაც არ გადაუჭარბებია, როცა ტესს ეუბნებოდა, ფლინკტომ-ეში მწირი და მშიერ-მწყურვალი ადგილიაო. ერთადერთი მსუქანი არსება აქ თავად მერიენი გახლდათ, მაგრამ იგი სხვა მხრიდან მოსული, იმპორტული პროდუქტი იყო. საერთოდ, სოფელთა სამი ჯგუფი არსებობს. ერთზე მემამულენი მზრუნველობენ, მეორენი თავად ზრუნავენ თავიანთ თავზე. მესამენი კი ისეთი სოფლებია, რომლებიც არც თავად ზრუნავენ თავიანთი კეთილდღეობისათვის და არც მემამულენი დაგიდევენ დიდად მათ სიავკარგეს. ფლინკტომ-ეში სოფელთა მესამე ჯგუფს განეკუთვნებოდა.

ტესი მოწადინებით შეუდგა საქმეს. მოთმინება, რომელიც ვაჟკაცური სულისა და ფიზიკური გაუბედაობის ნაყოფს წარმოადგენს, მისის ენჯელ კლერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო: აი, რა აძლებინებდა მას.

მინდორი, რომელზეც ტესი და მისი მეგობარი თალგამს იღებდნენ ქვიან გორაკებზე ას აკრზე მეტ ფართობზე იყო გადაშლილი. ეს გორაკები ცარცოვანი ჯიშის კაჟის ძარღვებისაგან იყო წარმოქმნილი და უმეტეს წილ ბოლქვის, რქისა და ფალოსის ფორმის თეთრი კაჟისაგან შედგებოდა. თალგამის თავები სულ მთლად გადაეძოვა საქონელს. ქალებს განსაკუთრებული ორკაპით უნდა ამოეთხარათ თალგამის ვარგისი ძირები, მაგრამ ხშირად ისიც შეჭმული იყო. რაკი გადახრულ მინდორში მწვანე ფოთლის ნასახიც არსად მოიძებოდა, ყავისფერ მინდორს საოცრად ნაღვლიანი და უსიამო შესახედაობა ჰქონდა. თითქოს ნიკაპიდან შუბლამდე გადასწორებულ-გაბრტყელებული სახეაო. თვითონ ცაც კი თითქოს ამ მინდორს მიაგავდა. ეგ იყო მხოლოდ, რომ სხვა ფერისა იყო — წაშლილ ნაკვთებიან, თეთრად გადატეტკილ სახეს მიაგავდა. ეს ორი სახე, ერთი ზედა და

ერთიც ქვედა. მთელი დღე შესცქეროდნენ ერთმანეთს. თეთრი ქვევით ყავისფერ სახეს ჩამოსცქეროდა, ყავისფერი კი ზევით თეთრ სახეს შეჰყურებდა და არა რა იყო მათ შუა გარდა ორი გოგონასი, რომელნიც ყავისფერ სახეზე მოღოღიალე ბუზებს მიაგავდნენ.

არავინ ურღვევდა გოგონებს მყუდროებას. ანგარიშმიუცემლად, თანაბარი ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. ტანთ უხეში ხალათები ეცვათ. ყავისფერი წინსაფრები ეკეთათ, წინსაფრის სახელოები უკან გაეკრათ და მიწაზე დასთრევდათ, რომ ქვედატანი არ აფრიალებოდათ ქარში. წაღების ყელი კოჭებამდე სწვდებოდათ. ხელებზე ცხვრის ტყავის ყვითელი ხელჯაგები ეცვათ. ფურჩალებიანი ქუდები რაღაც იდუმალ იერს აძლევდა გოგონებს. შემთხვევით გზად გამვლელს ამ თავჩაქინდრული ქალების დანახვაზე უთუოდ აღორძინების ეპოქის რომელიმე იტალიელ მხატვრის მიერ შესრულებული ორი მარიამის სურათი მოაგონდებოდა.

— თავაუღებლად მუშაობდნენ გარემოცულ სამყაროში განმარტოებული ქალები, თუმცა კი თავად ვერა გრძნობდნენ სიმარტოვეს და არც იმას უფიქრდებოდნენ, სამართლიანი იყო თუ არა ბედი მათ მიმართ. ეს ჯოჯოხეთური სამუშაოც ვერ უშლიდა ხელს მათ ოცნებაში. ნაშუადღევს წვიმა წამოვიდა. წასვლა შესთავაზა მერიენმა, მაგრამ თუ არ იმუშავებდნენ, ვერც გასამრჯელოს მიიღებდნენ. ჰოდა, ქალებიც დარჩნენ. ზეგანი ისეთი ამაღლებული იყო, რომ მოზუზუნე ქარს ჰორიზონტალურად მიჰქონდა წვიმა და პირბასრი მინის ნამსხვრევებივით უტყლაშუნებდა ზურგზე მინდორში მყოფთ. სისველემ ძვალ-რბილში გაატანა. ტესი პირველად მიხვდა, რას ნიშნავდა მართლა დასველება და გალუმპვა. დასველებაც ყოფილა და დასველებაც, ძვალ-რბილში გაატანაო რომ იტყვიან. აი ეს კი სულ სხვაა თურმე. იდგე შუა მინდორში და წყალი წურწურით ჩამოგდიოდეს ფეხებზე, მხრებზე, თავზე, თეძოებზე, ზურგზე, მკერდზე და მაინც მუშაობდე წელგაუმართავად, ვიდრე არ ჩამოიკუპრება ტყვიის ფერი ცა და არ ამცნობს მიდამოს მზის ჩასვლას, სწორედ რომ დიდი შეუდრეკელობა და ურყევი ნებისყოფაა საჭირო.

კაცმა, რომ თქვას, წვიმა არც ისე აწუხებდათ, როგორც შეიძლებოდა ვინმეს წარმოედგინა. ეს ორი ქორფა, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი იმ ნეტარ დროს იგონებდა, როცა შეყვარებულები ტელბოტეისის ფერმაში მუშაობდნენ და ერთად ცხოვრობდნენ იქვე, ქვეყნის ამ კურთხეულ ამწვანებულ კუთხეში, რომელსაც ზაფხული გულუხვად აბერტყავდა თავის მადლიან კალთას. ტესს ერჩია კრინტი არ დაეძრა მერიენთან იმ კაცზე, რომელიც სინამდვილეში თუ არა, კანონით მაინც მისი მეუღლე იყო. მაგრამ ქალმა ვერ გაუძლო

ამ საინტერესო თემაზე საუბრის ცდუნებას და უნებლიედ საუბარში ჩათრეული მერიენის ცნობისმოყვარეობას შეკითხვებზე პასუხებით აკმაყოფილებდა. თუმცა ქუდების სველი ფურჩალები სახეზე ეკვროდათ და ხალათები გულისგამაჭვრილებლად ეწებებოდათ ტანზე, არას დაგიდევდნენ, ისეთი ტკბილი იყო მწვანით მოსილი, მზიური, რომანტიკული ტელბოტეისის მოგონება.

მოწმენდილ ამინდში ფრუმის ველიდან რამდენიმე მილზე აღმართული ბორცვი მოჩანს აქედან, — უთხრა მერიენმა.

— მართლა?! — შესძახა ტესმა და ამით დიდად დააფასა ამ მიდამოს ღირსება.

ასე და ამგვარად, აქაც, როგორც ყველგან, ორი ძალა იბრძოდა. თანდაყოლილი სწრაფვა ბედნიერებისაკენ და ვითარების ძალა, რომელიც წინ ეღობებოდა ბედნიერებას. მერიენს განსაკუთრებული მეთოდი გააჩნდა სულის სიმხნევის შესანარჩუნებლად: დღის ბოლოს ჯიბიდან თეთრი ნაჭრით თავდაცული სასმელით სავსე ბოთლი ამოაძვრინა და ტესს შესთავაზა: დალიეო. მაგრამ ტესს ახლა საკუთარი ოცნებაც აკმაყოფილებდა და ხელოვნური გამხნევება აღარ ესაჭიროებოდა. ერთი ყლუპი მოსვა და მერიენს გაუწოდა: მერიენმა კარგა ბლომად გადაყლურწა.

— მივეჩვიე სპირტს, — უთხრა მან, — და ვეღარაფრით ვეღარ გადავჩვეულვარ. ესაა ჩემი ერთადერთი ნუგეში! მე ხომ სულ მთლად დავკარგე იგი, შენ კი არა... ამიტომაც არ დაგჭირვებია სპირტიანი სასმელები. უსპირტოდაც იოლად გადიხარ.

არც მე დამიკარგავს შენზე ნაკლები, გაივლო გუნებაში ტესმა, მაგრამ აღარ შეპასუხებია: ასე თუ ისე, კანონით მაინც ენჯელის მეუღლედ ითვლებოდა და ეს პირადი ღირსების გრძნობას უკმაყოფილებდა.

აი, ამ ვითარებაში მუშაობდა ტესი დილის ყინვასა და წვიმიან დარებში. თუ თალგამი არ იყო ამოსაძირკვი, მოღუნული დანით წმენდდნენ, აცლიდნენ მიმხმარ მიწას და აჭრიდნენ კოჟრებს, მერე კი შესანახად ყრიდნენ. თუ ვთქვათ, წვიმა მოდიოდა, ფარდულის ქვეშ მუშაობდნენ. მაგრამ ყინვიან ამინდში სქელი ხელთათმანებიც ვერ იცავდა ხელებს სიცივისაგან, ძნელი იყო გათოშილი ხელით თალგამის გადარჩევა: ტესი მაინც მხნედ იყო და იმედს არ კარგავდა. დარწმუნებული იყო: ადრე თუ გვიან, სულგრძელობა, რომელიც კლერის მთავარი თვისება იყო, გაიმარჯვებდა და პირს აქნევინებდა მისკენ.

შეჭიკჭიკებული მერიენი სიცილით იჭაჭებოდა, როცა ზემოხსენებული უცნაური მოყვანილობის კარს გადააწყდებოდა ხოლმე. ტესი

კი შუბლს არ გახსნიდა, ხშირ-ხშირად გახედავდნენ შორს სივრცეს, სადაც მდინარე ვარისა თუ ფრუმის ველი იყო გადაშლილი. თუმცა დანახვით ვერაფერს ხედავდნენ. ფიქრიანად აცქერდებოდნენ ნაცრისფერი ნისლის საფარველსა და იმ მხარეში გატარებულ ბედნიერ დღეებს იგონებდნენ.

— ეჰ, წამოიწყო მერიენმა, — ნეტავი რომელიმე ჩვენი ამხანაგი კიდევ ჩამოვიდოდეს ჩვენთან! რამდენს ვილაპარაკებდით ამ მინდორში ტელბოტეისის ფერმაზე, აქეთურზე იქითურზე, როგორ ვცხოვრობდით, რას ვაკეთებდით. წარმოვიდგენდით, ვითომ ისევ იქ ვიყოთ.

მერიენს ხმა აუთრთოლდა, თვალებში სითბო ჩაუდგა, როცა წარსულის სურათები წარმოუდგა.

— მოდი ერთი მივწერ იზ ჰუეტს, — განაგრძო მერიენმა.

— ზის სახლში და არაფერს არ აკეთებს. მივწერ, ჩვენ აქა ვართ და შენც ჩამოდი ჩვენთან ერთად სამუშაოდ-თქო. იქნებ რეტიმაც მოიკეთა.

ტესს არ უარუყვია ტელბოტეისის ბედნიერი დღეების განახლების გეგმა. ორი თუ სამი დღის მერე უკვე შედეგებიც შეიტყო. იზისგან პასუხი მივიღე და ჩამოსვლას გვპირდებაო, — უთხრა მერიენმა.

კარგა ხანია ასეთი სუსხიანი ზამთარი არ ყოფილა. ჩუმად, ფეხაკრეფით წამოეპარათ. კარგი მოჭადრაკის წინასწარ გაანგარიშებულ მკაცრ სვლებს მიაგავდა მისი მოქმედება. ერთ მშვენიერ დილით ცოცხალი ღობის რამდენიმე განმარტოებით მდგარი ხე და ბუჩქი თითქოს, რაღაც ცხოველებად იქცა. ტოტები თეთრმა ხაომ დაფარა, თითქოს ერთ ღამეში ბეწვით შეიმოსა და ოთხჯერ უფრო გამსხვილდაო განცალკევებით მდგარი ხეები და ბუჩქები მოქურუშებულ, ნაცრისფერი ცის ფონზე მოხატულ, მკვეთრად გამორჩეულ ესკიზებს ჰგავდნენ. გამოჩნდა ობობას ბუდეები კედლებსა და საჩიხებზე, სხვა დროს მათ ალბათ ვერც ვერავინ შენიშნავდა, ჰაერი ისეთი გამჭვირვალე რომ არ ყოფილიყო. თეთრი შალის ძაფის მარყუჟებივით ეკიდა ობობას ქსელი ფარდულების წამონაშვერებზე, ბოძებსა და ჭიშკრებზე.

ტესი ისევ იმ სახლში ცხოვრობდა, რომლის მხურვალე კედელმა ერთხელ ასე უპატრონა ობოლ მგზავრსა და გაუთბო ძვლები. საშინელმა გრიალმა გამოაღვიძა შუაღამისას ქალი. თითქოს ყველა ქარი და ქარბუქი ამ სახლის ჩალის სახურავს დაეჯახაო. დილით ადგა, ლამპა აანთო, თოვლი ფანჯრის ჩარჩოს ღრიჭოებიდან შემოცვენილიყო და კედელთან წმინდა, თეთრი პუდრის კონუსი იდგა. საკვამურიდან ჩამოყრილი ფიფქი თხელ ფენად დასდებოდა იატაკს. ტესი

დადიოდა და ფეხსაცმელების ნაკვალევს ტოვებდა თოვლზე. გარეთ ქარი ბობოქრობდა. სამზარეულოში თოვლის ბუქი იდგა. ჯერ ისევ ბნელოდა. ვერ გაარჩევდით, რა ხდებოდა გარეთ.

მინდვრად მუშაობაზე ლაპარაკი უაზრობა იყო. ტესი საუზმეს შეექცეოდა ლამპის მქრქალ შუქზე, როცა მერიენი მოვიდა. ვიდრე გამოიდარებდეს ფარდულში უნდა ვიმუშაოთ სხვა ქალებთან ერთადო, უთხრა. როგორც კი გაფერმკრთალდა და მონაცრისფრო ელფერი დაიკრა ღამის შავმა საფარველმა, ჩააქრეს ლამპა, დაიხურეს თბილი ქუდები, კისერზე შალის შარფები შემოიხვიეს, ბოლოები მკერდზე გადაიღეს და ბეღლისაკენ გაემართნენ. თოვლი, ერთ მთლიან სვეტებად ეშვებოდა, ცალცალკე ფანტელებს თვალს ვერ მოკრავდით. ქარმა აისბერგების, არქტიკის ზღვის, ვეშაპებისა და თეთრი დათვების სურნელება მოიტანა და ისეთი ძალით წამოუქროლა, რომ თოვლი თითქოს მიწას ლოკავსო, დადებით კი არ დებდა. ქარი ყირაზე ატრიალებდა და აბზრიალებდა ყველაფერს, გოგონები მხნედ მიაბიჯებდნენ.

— ჰა, ჰა, შენი ქმარი საყვარელო, ალბათ სულს ღაფავს სიცხისაგან. ერთი ხედავდეს ახლა თავის მშვენიერ ცოლს! მაგრამ რომ იცოდე, სულაც არ მოქმედებს შენზე ცუდად ასეთი ამინდი, მგონი უფრო გალამაზდი.

— მერიენ ნუ მელაპარაკები იმაზე.

— მკაცრად უთხრა ტესმა.

— ჰო, მაგრამ, ხომ გიყვარს, არა?

პასუხის ნაცვლად თვალცრემლიანი ტესი იქით შებრუნდა, საითაც, მისი აზრით, სამხრეთ ამერიკა უნდა ყოფილიყო და მხურვალე ჰაეროვანი ამბორი უძღვნა. ქარმა აიტაცა მისი ამბორი და გააქროლა.

— ასეც ვიცოდი, გიყვარს! ფერი-ფერს მადლი ღმერთს, რომ უთქვამთ, ისეთი წყვილი ხართ სწორედ. ჰო, კარგი, აწი კრინტსაც აღარ დავძრავ იმაზე. ფარდულში მივიდეთ ერთი და მერე ქარბუქი ვეღარაფერს დაგვაკლებს. მაგრამ შენ ისა თქვი, რომ ნამჯის გამორჩევა ძალიან ძნელი საქმეა — რაღა თალგამის ამოთხრა და რაღა ნამჯის გამორჩევა, უარესიცაა, მე რა მიშავს, იმ სისქე ვარ, ყველაფერს გავართმევ თავს, მაგრამ აი, შენ რა გეშველება, რამდენად უფრო გამხდარი ხარ ჩემზე. ვერ გამიგია, პირდაპირ, რატომ გამოგიშვა ფერმერმა ამ სამუშაოზე!

როგორც იქნა მიაღწიეს ფარდულს. ამ წაგრძელებული შენობის ერთ ბოლოში ხორბალი ეყარა, შუაში ნამჯა იყო დახვავებული. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს იმდენი ქნა ჩაეწყოთ ნამჯის წნეხში და იმდენი

ნამჯა იყო გამოსარჩევი, რომ მუშებს მთელი დღე თავზე საყრელად ექნებოდათ საქმე.

— შეხედე, ეს იზი არ არის?! — წამოიძახა მერიენმა.

იზი მათ შესახვედრად გამოქანდა. გუშინ საღამოს წამოსულა ფეხით — სახლიდან, რა იცოდა, თუ ასეთი გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი, მთელი დღე უვლია და ღამე დუქანში გაუთევია. დედამისი ბაზარში მოლაპარაკებია ფერმერს, სამუშაოდ აიყვანეთო. ისიც დაპირებია, თუ დღესვე მოვა, ავიყვანო. ჰოდა, გოგონა სულმოუთქმელად გამოქცეულა, რომ არ დაგვიანებოდა.

ტესის, მერიენისა და იზის გარდა აქ მეზობელი სოფლიდან ჩამოსული კიდევ ორი ქალი მუშაობდა — ორი და — ამორძალი. ტესს გაეჟრჟოლა, როცა ის შავგვრემანი კარი — „პიკის ქალი“ და მისი უმცროსი და ,,აგურის ქალი“ იცნო, რომლებიც მასთან ჩხუბს აპირებდნენ ტრენტრიჯში შუაღამისას ატეხილი აყალმაყალის დროს. ქალებმა არ შეიმჩნიეს, რომ იცნეს ტესი. იქნება მართლაც ვერ იცნეს, ცოტა არ იყოს, ნაყლაპები გახლდნენ მაშინ. ცხოვრებითაც დიდხანს არ უცხოვრიათ ტრენტრიჯში. ამ ქალებმა ყოველთვის ასე იცოდნენ, მაინცდამაინც მამაკაცის სამუშაოს წამოიკიდებდნენ ხოლმე. ხან ჭებს თხრიდნენ, ხან არხებს, ხან ორმოებს, ხანაც ღობეებს რაგვავდნენ და მგონი, არც არასოდეს იღლებოდნენ. ნამჯის გამორჩევაში გაწვრთნილები ახლა ქედმაღლურად დაჰყურებდნენ ტესს, მერიენსა და იზს.

წამოიცვეს ხელთათმანები, ჩამწკრივდნენ რიგში საცეხველის წინ და ყველანი ერთად შეუდგნენ საქმეს. საცეხველს ორი ბოძი ჰქონდა. ბოძებზე გარდიგარდმო კოჭები იყო გადებული. კოჭების ქვეშ აწყობდნენ ძნებს, რომლებსაც თავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი. კოჭები ლურსმნებით იყო მიჭედილი პალოებზე. იკლებდა ძნის მთა და კოჭებიც თანდათან ძირს ეშვებოდა.

გათენდა. შუქი ფარდულის კარის ქვევიდან, მიწიდან შემოდიოდა იმის ნაცვლად, რომ ზემოდან, ციდან ჩამოჭრილიყო. გოგონებს იღლია-იღლია გამოჰქონდათ თავთავი საცეხველიდან. უცხო ქალებთან, რომლებიც ერთმანეთში ჭორაობდნენ, მერიენი და იზი ხმას ვერ იღებდნენ, თუმცა სული კბილით ეჭირათ, ისე უნდოდათ წარსული დღეების გახსენება. მალე ცხენის ფლოქვების ყრუ თქარათქური მოისმა, და ბეღლის კართან ფერმერი გაჩერდა. ჩამოხტა ცხენიდან. მივიდა ტესთან და თვალმოუშორებლად ჩააცქერდა ქალის პროფილს. ტესს თავი არ აუღია, მაგრამ დაჟინებულმა მზერამ აიძულა ფერმერისკენ გაეხედა. ახლა კი იცნო ტესმა, მისი ფერმერი სწორედ ის ტრენტრიჯელი კაცი იყო, ამის წინ რომ გამოექცა.

ფერმერი დაელოდა, ვიდრე ტესი ძნას გამოიღებდა საცეხველიდან და უთხრა:

— აა, ქალბატონო, თქვენ ისა ბრძანდებით, ასე უდიერად რომ მომეპყარით ამას წინეებზე? დალახვროს ეშმაკმა. როგორ ვერ გიცანი აქამდე. შენ გგონია გამასულელე და მაჯობე მაშინ, დუქანში საყვარელთან ერთად რომ ბრძანდებოდი. ან იმ დღეს რომ მოკურცხლე, არა! აბა, ახლა ვნახოთ ვინ ვის აცეკვებს თავის ჭკუაზე.

თქვა ფერმერმა და ხეპრულად გადაიხარხარა. ტესს მახეში გაბმული ჩიტივით შემოკვნესა გულმა.

საბრალოს ამორძალებიც აკრთობდა და ფერმერიც. დამუნჯებული მიდი-მოდიოდა, თავის საქმეს აკეთებდა. კარგად იცოდა ადამიანების გარჩევა. ჰოდა ახლა მიხვდა, რომ სულაც არ იყო საშიში მისი ფერმერის ტრფიალი. ეტყობოდა, ჯერ ვერ დაევიწყებინა კლერის სილის სიმწარე. ტესს ერჩია კიდეც, თუ გაბოროტებული იქნებოდა მასზე მისი მეპატრონე. თავად ხომ იცოდა, რომ გამბედაობა არ უღალატებდა.

— ალბათ წარმოიდგინე, რომ შენი სიყვარულით დამწვარი ვარ, არა? არიან ისეთი ჩერჩეტი ქალები, ერთს რომ შეხედავ, უკვე რაღაცა ჰგონიათ. ზამთარში ველზე მუშაობა სწორედ რომ შესანიშნავი საშუალებაა გოგოების თავიდან სისულეების გამოსაბერტყად. ხომ დადე პირობა, რომ ხარებამდე იმუშავებ, არა, იქნებ პატიება გეთხოვათ, ქალბატონო?

— მე თუ მკითხავთ ბოდიში თქვენ გაქვთ მოსახდელი.

— როგორც გენებოს, მაგრამ იცოდე, მალე გაგაგებინებ ვინაა აქ ბატონ-პატრონი და ვინ ვის უხდის ბოდიშს. ესაა მთელი შენი დღევანდელი ნამუშევარი?!

— დიახ, სერ.

— ვინ მუშაობს ასე ნელა! შეხედე იმათ, რამდენი უმუშავიათ (მიუთითა ორ ჩასკვნილ ქალზე). გინდა ჰა, სხვები ნახე, არც ერთი არ ზარმაცობს შენსავით.

— ეგენი შეჩვეულები არიან ამ საქმეს, მე ჯერ ახალი ვარ. თქვენთვის მე მგონია, სულერთი უნდა იყოს: ნარდად არა ვმუშაობთ? ჰოდა, რამდენსაც ვიმუშავებთ, იმდენს გადაგვიხდით.

— მე ჩემი ანგარიში მაქვს. მინდა აქაურობა მალე გავწმინდო! — სხვები ორ საათზე ამთავრებენ მუშაობას. მე საღამომდე დავრჩები.

ფერმერმა ერთხელ კიდევ გადახედა კუშტად ტესს და გარეთ გავიდა. მიხვდა ტესი, რომ სამუშაო ადგილმა არ გაუმართლა. ამაზე უარეს ადგილს ალბათ ვერც იპოვიდა ვერსად მაგრამ ასე იყო თუ ისე ვიღაცის ღლაბუცს ისევ ეს სჯობდა. ორი საათისთვის მუშებმა

დაცალეს ვისკის ბოთლები, დააწყვეს თავთავის ადგილზე მოღუნული მაკრატლები, შეკრეს უკანასკნელი ძნები და წავიდნენ. მერიენი და იზიც სიამოვნებით მიბაძავდნენ მათ მაგალითს, მაგრამ რაკი გაიგეს, ტესი დარჩენას და მუშაობას აპირებსო თავისი გაუწაფველობის ასანაზღაურებლადო, გადაწყვიტეს მასთან ერთად დარჩენა. მერიენმა გახედა ჰაერში მოფარფატე თოვლის ფანტელებს და შვებით შეჰყვირა:

— მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩით!

ახლა კი გიყვარდეთ მოხსნეს გუდას პირი და გული იჯერეს ტრენტრიჯის ფერმაში გატარებულ ბედნიერ დროზე ლაპარაკით. ენჯელ კლერის სიყვარულზე ხომ ილაპარაკეს და ილაპარაკეს.

— ის და მერიენ — წარმოთქვა მისის ენჯელ კლერმა ღირსეულად: საწყალი ტესი, გულს აუჩუყებდა კაცს, რა უბადრუკი, რა მცირე იყო ის უფლებები, რომლითაც ის სარგებლობდა ენჯელ კლერის ცოლობის გამო, — დღეიდან მე ძველებურად ვეღარ ვილაპარაკებ თქვენთან მისტერ კლერზე. თქვენ თვითონაც ხომ იცით არა? ჩემგან კი წავიდა, მაგრამ განა მაინც ჩემი ქმარი არა ჰქვია?

ენჯელ კლერიზე შეყვარებულ ოთხ გოგონაში იზი ყველაზე უტიფარი იყო და დამცინავი ბუნებით.

— ჰოი, არშიყობით კარგად არშიყობდა, მაგრამ სწორედ ვერაფერი შვილი ქმარი გამოდგა, თუ ასე მალე მოახერხა შენთან დაშორება.

— წასასვლელი იყო და წავიდა. მიწის ნაკვეთი უნდა შეიგულოს ბრაზილიაში, — მიუგო ტესმა.

— რა იყო ასეთი საჩქარო. ამ ერთ ზამთარს მაინც გავატარებდი შენთან.

— მოსავალია ყველაფერი.. პატარა გაუგებრობაც მოხდა... ეს ახლა სალაპარაკო არ არის და ნურც ვიტყვით რასმე, — ცრემლნარევი ხმით მიუგო ტესმა, — ათასი რამის თქმა შეიძლება მის გასამართლებლად. ის ისე კი არ წასულა, სხვა ქმრები რომ დაადებენ თავს და ერთბაშად მიატოვებენ ხოლმე ცოლებს. მე თუ დამჭირდა, ყოველთვის შემიძლია გავიგო სად არის.

ერთ ხანს ხმა აღარ ამოუღიათ. ყველა თავის საფიქრალს მიეცა. მუშაობა თავის წესზე და რიგზე მიდიოდა. და იღლია-იღლიაობით იღებდნენ ძნას საცეხველიდან და მოღუნული მაკრატლით აჭრიდნენ თავთავს. მხოლოდ ძნის შრიალი და მაკრატლის კრაჭაკრუჭი არღვევდა ფარდულში გამეფებულ მდუმარებას. უეცრად ტესი შექანდა და მოწყვეტილივით გადავარდა თავთავების გროვაზე.

— ხომ ვიცოდი, რომ ვერ მოერეოდი ამოდენა ტვირთს! — წამოიძახა მერიენმა, — ამ საქმეს მეტი ძალა უნდა და ღონე, ვიდრე შენ გგონია.

მერიენს სიტყვა არა ჰქონდა დამთავრებული, რომ უეცრად ფერმერი შემოვიდა.

— აი, თურმე როგორ მუშაობ, როცა კაცი თვალს მოგაცილებს! — თქვა მან.

— ამის გამო ჩემს მეტი ხომ არავინ ზარალდება — შეეპასუხა ტესი.

— მე მინდა, საქმე კეთდებოდეს! — არ დაუთმო ფერმერმა გაიარა საცეხველი და სხვა კარიდან გავიდა.

— შენ, საყვარელო, ყურს ნუ დაუგდებ მაგას.

— დაამშვიდა მერიენმა, — უწინაც მიმუშავია აქ. წადი, მიწექი და დაისვენე ცოტა. მე და იზი გავაკეთებთ შენ საქმეს.

— არ მინდა გაგსარჯოთ ჩემი გულისთვის. სიმაღლე თქვენზე მეტი მაქვს და...

მაგრამ ისე იყო საწყალი გატანჯული და ქანცგამოლეული, რომ ბევრი უარი აღარ დაუწყია. ცოტას ჩავიფერხებო თქვა და კუთხეში ნამჯის გამორჩეულ რბილ ღეროებზე მიწვა. საწყალ ტესს ძალა მარტო სამუშაომ როდი გამოაცალა, ქმართან განშორებაზე ლაპარაკი მძიმედ მოქმედებდა მასზე. გონება მხნეობდა, მაგრამ ნებისყოფა ისე დაუსუსტდა, ნამჯის შრიალი და მაკრატლის კრაჭაკრუჭიც კი ფიზიკურ ტკივილს აყენებდა.

ჩურჩული ჩაესმოდა ტესს. დარწმუნებული ვარ გოგონები შეწყვეტილ საუბარს აგრძელებდნენ. თუმცა კი სიტყვებს ვერ არჩევდა. სული კბილით ეჭირა. ისე უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდნენ იზი და მერიენი. უკვე დავისვენეო, ჩააგონა თავს, წამოდგა და ისევ საქმეს შეუდგა.

ახლა იზი ჰუეტი მოწყდა. გუშინ საღამოს თორმეტი მილი მაინც გამოიარა ფეხით, დასაძინებლად შუაღამისას დაწვა. აღდგომით კი, უთენია გაეღვიძა და ხუთ საათზე უკვე ფეხზე იყო. მხოლოდ და მხოლოდ მერიენი მუშაობდა შეუფერხებლად ბოთლი ვისკისა და მაგარი კანის წყალობით. არც ზურგი ტეხდა და არც ხელები სტკიოდა. ტესმა, როგორც იყო, შეაგონა იზი, შინ წადი, ახლა უკვე კარგად ვგრძნობ თავს და მუშაობაც შემიძლიაო. ისიც უთხრა, მერე ძნები თანაბრად გავიყოთო.

იზმა მადლიერებით შეხედა ტესს, დაყაბულდა, გამოვიდა საცეხველიდან და თოვლიან ბილიკს დაადგა. ამ დროს მერიენი ჩვეულებრივად მუდამ რომანტიკულ ხასიათზე დგებოდა ვისკის წყალობით.

— ვერასოდეს იმაზე მაგას ვერ ვიფიქრებდი! — წარმოთქვა ოცნებაში წასულმა.

— როგორ მიყვარდა! სულაც არა ვნანობდი, რომ მან შეგირთო ცოლად. მაგრამ აი, იზის კი მართლა ცუდად მოექცა!

მერიენის ნათქვამმა უეცრად ისე შეაკრთო ტესი, კინაღამ მაკრატლით თითი გადაიჭრა.

— შენ ჩემს ქმარზე ლაპარაკობ? — წაიბუტბუტა მან.

— ჰო, იზმა კი მითხრა: „არაფერი უთხრაო“, შენზე, მაგრამ არ შემიძლია, ვერ დავმალავ! იცი, თურმე რა მონდომებია? ჩემთან ერთად წამოდი ბრაზილიაშიო, იზისთვის უთქვამს!

ტესს სახე დაუგრძელდა და მიტკლისფერი დაედო.

— მერე, იზმა უარი უთხრა? — არ ვიცი, მაგრამ მერე თვითონვე გადაუფიქრებია თურმე.

— სისულელეა! ესე იგი, სერიოზულად არ უთქვამს. წაეხუმრა ალბათ! — არა, არა ხუმრობდა თურმე. სადგურამდეც კი მიუყვანია.

— და მაინც არ წაიყვანა!

ხმა აღარ ამოუღიათ. მდუმარედ განაგრძობდნენ მუშაობას. ტესს უეცრად ტირილი წასკდა.

— ეჰ, — თქვა მერიენმა, — დავაშავე რომ ყველაფერი მოგიყევი.

— არა, ძალიანაც კარგი ჰქენი რომ მომიყევი! მე ბრიყვი, ვოცნებობდი და არც მესმოდა, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ყველაფერი! ხშირ-ხშირად უნდა მიმეწერა წერილი. ასე დამიბარა. ჩამოსვლით ნუ ჩამოხვალ, მაგრამ წერილი შეგიძლია მომწერო, რამდენიც მოგესურვებაო. აწი ასე აღარ ვიზამ! სწორად არ ვიქცევი, რომ ჩემი გადასაწყვეტი საქმე მთლიანად იმაზე მივაგდე.

ნახევრადბნელ საცეხველში ბინდი ჩამოწვა. ასეთ სიბნელეში მუშაობა შეუძლებელი იყო. იმავე საღამოს, როგორც კი თეთრად შეფეთქილ პატარა ოთახში დაბრუნდა ტესი, მაშინვე ჩაუჯდა წერილის წერას: დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოაბა თავი, ეჭვებმა შეიპყრო. მერე წამოაძრო ბეჭედი ბაფთას კისერზე რომ ეკიდა, წამოიცვა თითზე და ისე დაწვა დასაძინებლად თითქოს საკუთარი თავი უნდა დაარწმუნოს, რომ ნამდვილად იმ კაცის ცოლია, რომელმაც მიატოვა, წავიდა და თვალს მიეფარა თუ არა, მაშინვე იზს შესთავაზა მასთან ერთად ზღვის გადაღმა წასვლა. ჰოდა, შეუძლია განა ახლა ევედროს და არ დაფაროს თავისი სიყვარული?

XLIV

მას შემდეგ, რაც იზის ამბავი გაიგო, ტესს კვლავ შორეული ემინ-სტერის პასტორის სახლი გაახსენდა. თუმცა არც არასოდეს დავიწ-ყებია იგი. ტესს უთხრეს: თუ წერილის მოწერას მოისურვებ, შეგიძ-ლია ჩემი მშობლების მეშვეობით გადმომიგზავნო. გარდა ამისა, რაიმე განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შეგიძლია მი-აკითხო კიდევაცო. მაგრამ იმის შეგრძნება, რომ კლერზე მას არა-ვითარი მორალური უფლება არა ჰქონდა, მუდამ ხელ-ფეხს უკრავ-და ტესს. ჰოდა, ვეღარც წერილი გაუგზავნა ამდენ ხანს. კლერის ოჯახისათვის ტესი ალბათ სრულიადაც აღარ არსებობდა ამქვეყნად ისე, როგორც საკუთარი მშობლებისათვის შეწყვიტა არსებობა გათ-ხოვების შემდეგ. იგი თითქოს მოიკვეთა ერთისგანაც და მეორისგა-ნაც, რაც საავსებით ეგუებოდა მის დამოუკიდებელ ხასიათს. არაფ-რის მიღება არა სურდა ტესს, რასაც საღი გონების განსჯით არ იმსა-ხურებდა და მოწყალებით, ან თანაგრძნობით იყო გადმოგდებული. მტკიცედ გადაწყვიტა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმე-დით ეცხოვრა. როგორმე გაეძლო, ან დაცემულიყო. უცხო ოჯახიდან სარგებლის გამოძალვაზე კი არამც და არამც არ ეფიქრა.. უცხო ოჯახიდან, რომელთანაც ფორმალური ნათესაობა აკავშირებდა, იმის გამო, რომ ამ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც მხოლოდ და.

მხოლოდ რაღაც შეუგნებელი ძალის ზეგავლენით მოქმედებდა იმ წუთას, საეკლესიო წიგნში ტესის გვარის გვერდით საკუთარი გვა-რი მიაწერა.

მაგრამ ახლა იზის ნაამბობით გამოწვეულმა გულისტკივილმა საზღვარი დაუდო მის თავგანწირულებას. რად არ მოსწერა ქმარმა წერილი? ხომ გარკვევით და გასაგებად უთხრა შეგატყობინებ, სად დავფუძნდებიო. და მაინც სიტყვაც არ მოსწერა, არც მისამართი გა-აგებინა. იქნებ მართლაც გაუცივდა გული? ვინ იცის, ავადაცაა? იქ-ნებ პირველი ნაბიჯი ტესმა უნდა გადადგას? რა თქმა უნდა, ეყოფა იმდენი გამბედაობა, რომ მისი მშობლები მოინახულოს, გაიგოს ამ-ბავი, გამოუტყდეს რომ გულსა სტკენს მისი დუმილი. თუ ენჯელის მა-მა მართლაც კარგი კაცია, როგორც ამბობენ, მაშინ გაუგებს კიდეც წუხილსა და სასოწარკვეთილებას. მატერიალურ ხელმოკლეობაზე კი, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ დაძრავს.

სამუშაო დღეებში ფერმიდან წასვლა არ შეეძლო. კვირა დღე უნ-და შეერჩია საამისოდ. რაკი ფლინტკომ-ეში ცარცის ზეგნის შუ-აგულში მდებარეობდა, სადაც რკინიგზა ჯერ არ გაეყვანათ, რა თქმა უნდა, ფეხით წასვლა მოუწევდა. ემინსტერამდე თხუთმეტი მილია, უთენია უნდა ადგეს, რომ უკან დაბრუნებაც მოასწროს.

ორი კვირის შემდეგ თოვლი გალხვა და დნობა დაიწყო, მერე კი ყინვამ მოუჭირა. გზა გაადვილდა და ტესმაც გამგზავრება განიზრახა. კვირა დილით ოთხ საათზე, ტესი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ გზას გაუდგა. კარგი დარი იდგა.

მერიენმა და იზიმ გულთან ახლოს მიიტანეს ტესის ექსკურსია. კარგად იცოდნენ, რომ იგი კლერთან იყო დაკავშირებული. გოგონები ტესის გვერდით ცხოვრობდნენ. უთენია მოვიდნენ ტესის მოსართავ-მოსაკაზმად. არწმუნებდნენ, კარგი კაბა ჩაიცვი, დედამთილისა და მამამთილის გული მოინადირეო. ტესი ყოყმანობდა; მოხუცი მისტერ კლერი ხომ მკაცრი კალვინისტური მოძღვრების ერთგული მიმდევარი იყო. ერთ წელზე მეტი გავიდა ტესის ქორწინებიდან, მაგრამ კიდევ შემორჩენოდა ხეირიანი ტანსაცმელი. ასე რომ, შეეძლო ლაზათიანად მორთულიყო სოფლის გოგონას კვალობაზე, მოდების ფეხის ხმას რომ არ არის აყოლილი. ძალიან მოუხდა წმინდა შალის ნაცრისფერი კაბა. კაბის თეთრი ფურჩალები განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდიდა მისი ღაწვებისა და კისრის მოვარდისფრო ელფერს. კაბის ზემოდან ხავერდის ჟაკეტი მოიცვა და თავზე შლაპა დაიხურა.

— აფსუს, რომ შენი ქმარი ვერ გხედავს ახლა. ნამდვილი მზეთუნახავი ხარ! — უთხრა იზმა და თვალი ვეღარ მოაცილა კარის ზღურბლზე მდგარ ტესს. გოგონას ზემოდან ვარსკვლავების ტყვიისფერი შუქი დაჰნათოდა, ზურგიდან კი სანთლის ყვითელი ალი სცემდა.

საბრალო, კეთილი იზი, სულ გადაავიწყდა საკუთარი თავი, ან სხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო, ვერც ერთი ქალი, თუ გულნამცეცა არ იყო ვერ უმტრობდა ტესს, მერედა როგორი გავლენა ჰქონდა მუდამ თავისი სქესის წარმომადგენლებზე. ქალები გრძნობდნენ ტესის კეთილ გულსა და საოცარ შინაგან სულიერ ძალას, რითაც მუდამ იმარჯვებდა მდაბალ ქალურ სისუსტეებზე — ქიშპობასა და შურიანობაზე.

ერთხელ კიდევ გაუსწორეს გოგონებმა კაბა და გაამგზავრეს. ტესი განთიადის მარგალიტისებრ ბურუსში გაუჩინარდა. გოგონებმა ქუსლების ბაკიბუკიც გაიგონეს, როცა ტესმა ნაბიჯს აუჩქარა. იზიც კი დარწმუნებული იყო, რომ საქმეს კეთილი ბოლო ექნებოდა და თუმცა დიდად არა სწამდა და არცთუ მაინცდამაინც პატივს სცემდა საკუთარ სიკეთესა და სათნოებას, მაინც უხაროდა, რომ ცდუნების წუთებში ავი არა გაუკეთა რა მეგობარს.

შარშან შეირთო კლერმა ტესი და აგერ, უკვე ერთი წელი ხდებოდა მას შემდეგ, რაც დაშორდა. მაგრამ ამ ნათელსა და მშრალ ზამთრის დილას ტესი იმედს არ კარგავდა და მხნედ მიაბიჯებდა ცარცის

ზეგანზე, ღრმად ისუნთქავდა გამჭვირვალე ჰაერს და მტკიცედ მიისწრაფოდა დასახული მიზნისაკენ. რაღა თქმა უნდა, ტესი ახლა დედამთილზე ფიქრობდა: მისი გულის მონადირებაზე ოცნებობდა. არა, უეჭველად უამბობს ყველაფერს, თავის მეგობრად და მოკავშირედ გახდის და ბოლოს და ბოლოს მოაქცევს გადახვეწილსაც.

მალე მიაღწია ზეგანის კიდეს, ძირს ნისლით ჩამობურული ვრცელი ბლეკმურის ველი გატრუნულიყო დილის ბინდბუნდში. ზევით მთებში, ჰაერი გამჭვირვალე იყო და უფერული. ქვევით კი სილურჯე გადაჰკრავდა. ტესი ახლა უკვე მიჩვეული იყო ასეული აკრის სივრცის ველ-მინდვრებზე მუშაობას. აქ, ველზე კი ცალკეული ნაკვეთი ექვს-ექვსი აკრი ძლივს იქნებოდა. ისეთი ურიცხვი იყო ასეთი ნაკვეთი, რომ ამ სიმაღლიდან თევზსაჭერი ბადის კილოები ეგონებოდა კაცს. აქ, პლატოზე, გარემომცველ ბუნებაში მეტ წილ თეთრი და ყავისფერი საღებავები ჭარბობდა. იქ, ქვევით კი, ისე როგორც მდინარე ფრუმის ველზე, — მწვანე იყო ირგვლივ ყველაფერი. აქ, ამ ველზე დაატყდა ტესს უბედურება თავს და ისე როდიღა უყვარდა იგი, როგორც უწინ. ტესისათვის, როგორც ყველასთვის, ვისაც კი ოდესმე ტანჯვა-წამება უწვნევია, სილამაზე თვით საგანში კი არ მდგომარეობდა, არამედ იმაში, რის სიმბოლოსაც ის საგანი წარმოადგენდა.

შუადღე წამოსული იქნებოდა, რომ ტესი ხეობის ფერდობზე ერთი ჭიშკრის წინ შედგა. ამ ხეობაში გაშლილიყო პატარა ქალაქი ემინსტერი.

ეკლესიის თავზე წამომდგარი ოთხკუთხედი გოდოლი პირქუში და მრისხანე ეჩვენა ტესს. როგორც იცოდა, ამ ეკლესიაში იქნებოდა ახლა პასტორი და მთელი მისი სამწყსოც. ინანა, რომ სამუშაო დღეს არ შეეცადა ჩამოსვლას. ასეთ ღვთისმოსავ კაცს შეიძლებოდა გაეკიცხა კვირა ძალზე გზად გაკრული დედაკაცი და რას მიუხვდებოდა, რომ სხვა გამოსავალი არ გააჩნდა. ასეა თუ ისე, უკან ხომ ვეღარ გაბრუნდება? ტესმა გაიძრო ძველი ფეხსაცმელები, რომლებითაც სახლიდან გამოვიდა გზაში სასიარულოდ, იქვე ჭიშკართან ღობის ძირში მიმალა, რომ ადვილად ეპოვა, გალაქული, ნაზი ტყავის ფეხსაცმელები ჩაიცვა და ფერდობზე დაეშვა. სიარულისა და სუფთა ჰაერისაგან სახეაწითლებულ ტესს ფერი დაეკარგა, როგორც კი პასტორის სახლს მიუახლოვდა იმედს არ კარგავდა, ბედნიერი შემთხვევა გამომიხტება და შემეწევაო, მაგრამ იმედმა არ გაუმართლა. ცივი ქარი უსიამოვნოდ აშრიალებდა პასტორის სახლის გაზონებში აქოჩრილ ბუჩქებს. თუმცა ტესმა თავისი საუკეთესო კაბა ჩაიცვა, მაინც ვერ მოახერხა იმის წარმოდგენა, რომ ამ სახლში მისი ახლო ნათესავები ცხოვრობდნენ. მათ შორის არსებული უფსკრული, კაცმა

რომ თქვას, ხომ არც ისეთი ღრმა იყო. განა ორივენი იმავე სიხარულის, ფიქრების, ტანჯვისა და სიკვდილის შვილები არ იყვნენ?

ტესმა თავს ძალა დაატანა, შევიდა ჭიშკარში და კარზე ზარის ღილს ხელი დააჭირა. მორჩა, გათავდა, მოხდა, რაც მოსახდენი იყო, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილია. არა, მოიცა, მგონი კიდევ შეიძლება დაბრუნება: ზარის წკრიალს არავინ გამოპასუხებია. ისევ უნდა მოეკრიბა გამბედაობა და გაემეორებინა ცდა. მეორედაც დარეკა. მღელვარებამ და გავლილი თხუთმეტი მილის სიმძიმემ ერთბაშად იჩინა თავი. დაქანცულს ხელი თეძოზე ჩამოედო და კედელზე მიყრდნობილი ელოდა ვინმეს გამოჩენას. ცივ ქარს ჩამოეჭკნო და გაენაცრისფერებინა სუროს ფოთლები, ქარის ყოველ შემოქროლებაზე შრიალი შეუდგებოდათ ხოლმე ფოთლებს. ერთმანეთს ედებოდნენ, ჩურჩულებდნენ და აბრაზებდნენ ტესს. ქარს გაჰქონდა და გამოჰქონდა ნაგვის გროვიდან ატაცებული სისხლით გათხუპნული ქაღალდი, ვერც გაფრენილიყო და ვერც მიწაზე დავარდნილიყო; გასაფრენად ეტყობოდა მძიმე იყო, მიწაზე დასავარდნად კი — მსუბუქი. ხორცი თუ იყო გახვეული. ქაღალდის ნაგლეჯს უკან ჩალის რამდენიმე ღერი ასდევნებოდა. მეორედ უფრო მაგრად დააჭირა ზარის ღილაკს ტესმა ხელი, მაგრამ არც ახლა გამოეპასუხა ვინმე. ტესი შემობრუნდა პარმაღიდან, გააღო ჭიშკარი და ქუჩაში გამოვიდა: და თუმცა ყოყმანით მიიხედ-მოიხედა, თითქოს უკან დაბრუნებას აპირებსო, მაინც შვებით ამოისუნთქა, რომ ჭიშკარი მიკეტა. ნამდვილად იცნეს, აეკვიატა ტესს აზრი (თუმცა ეს თავადვე შეუძლებლად მიაჩნდა), და ბრძანეს არ გაეღოთ მისთვის კარი.

ტესი მოსახვევამდე მივიდა. მან ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ მაინც არ სურდა გაეადვილებინა ამოცანა, რომ მერე სანანებლად არ გახდომოდა. ისევ მიბრუნდა, სახლს ჩაუარა, ფანჯრებში შეიხედა; ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ალბათ ყველანი ეკლესიაში არიან, თორემ სხვა რა უნდა იყოს. ქმრის ნაამბობი გაახსენდა: კვირაობით მამის დაჟინებული მოთხოვნით, ყველა შინაური, მსახურების ჩათვლით, ეკლესიაში მიდიან დილის წირვაზე და მერე შინ დაბრუნებულები ცივ კერძს გეახლებიან საუზმედო. მაშასადამე, საჭიროა, წირვის გამოსვლას დაელოდოს. რაკიღა არ უნდოდა სახლის წინ წრიალი და ამით ვინმეს ყურადღება მიეპყრო, ეკლესიისაკენ გაუხვია. ის იყო გაუპირისპირდა ეკლესიის მესერს და წირვაც გამოვიდა. ტესი ბრბოს შუაგულში აღმოჩნდა.

ისეთი ინტერესითა და დაჟინებით უყურებდნენ ემინსტერელები ტესს, როგორც ჩვეულებრივ მხოლოდ ეკლესიიდან გამოსულმა

მოცლილმა, პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა შეიძლება უცქირონ უცხო გოგონას. ტესმა ნაბიჯს უმატა და მალე იმ აღმართს აუყვა, რომლითაც მოვიდა. გადაწყვიტა აქ დაეცადა, ვიდრე პასტორის ოჯახი ისაუზმებდა და მერე მისი მიღების საშუალება ექნებოდა. აღმართზე მიმავალმა ტესმა მალე უკან ჩამოიტოვა ყველა, გარდა ორი ყმაწვილკაცისა, ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მოიჩქაროდნენ გზაზე. რომ მოუახლოვდნენ, მათ ლაპარაკსაც მოჰკრა ყური, რაღაცაზე ბჭობდნენ გულდაგულ. იმ საოცარი ალღოთი, რომელიც ქალებს გაეჩნიათ საერთოდ, ტესმა მაშინვე მიამსგავსა მგზავრების ხმა თავისი ქმრისას. ყმაწვილები ენჯელის ძმები იყვნენ. ტესს სულ გადაავიწყდა ყველაფერი. დამფრთხალი ერთსღა ფიქრობდა მხოლოდ, არიქა, არ წამომეწიონ და ასე აღელვებულსა და შეუმზადებელს თავზე არ წამომადგნენო. არა, კაცმა რომ თქვას, საიდან ან როგორ უნდა ეცნოთ ახლა იმათ ტესი, მაგრამ რატომღაც მაინც ეშინოდა, თვალებში არ შეჩეხებოდა. ყმაწვილებმა ნაბიჯს უმატეს, ტესიც აჩქარდა. აშკარა იყო, გრძელი წირვის მოსმენაში სულ მთლად გათოშილიყვნენ და საუზმის წინ ცოტა გასეირნება მოესურვებინათ, ძარღვებში გაყინული სისხლის სამოძრავებლად.

ვიღაც ქალმა გაუსწრო ფერდობზე ამავალ ტესს. ყმაწვილი ქალი, რომელიც ალბათ, ლედი იქნებოდა და საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობისაც იყო თუმცა, ცოტა არ იყოს, ქედმაღალი პრანჭიაც ჩანდა. ტესი თითქმის წამოეწია ქალს, ყმაწვილები ისე მიუახლოვდნენ, ყოველი მათი სიტყვა გარკვევით ესმოდა. თავდაპირველად არაფერი უთქვამთ ტესისათვის საინტერესო, მერე, როცა წინ მიმავალი ლედი შენიშნეს, ერთმა წამოიწყო:

— აგერ, მერსი ჩანტი მიდის, მოდი, დავეწიოთ.

ტესს გაგონილი ჰქონდა ეს სახელი. ეს სწორედ ის ქალი გახლდათ, რომელსაც ენჯელის ცხოვრების თანამგზავრად ამზადებდნენ ქალისა და ენჯელის მშობლები და ენჯელი ალბათ შეირთავდა კიდეც მას, რომ ტესი არ გადაღობებოდა გზაზე. ყოველივე ეს ტესმა ადრეც იცოდა, და რომ არ სცოდნოდა, ახლა გაიგებდა.

— ეჰ, საწყალი ენჯელი, საწყალი ენჯელი! — თქვა ერთმა ძმამ, — რამდენჯერაც ამ მშვენიერ გოგოს დავინახავ, გული მიკვდება. ვერ მომინელებია, რომ ასე აჩქარდა, და ის მწველავი ქალი თუ ვიღაცა შეირთო. უცნაურია პირდაპირ თუ იცი, გაემგზავრა ის ქალი მასთან ბრაზილიაში? ამ რამდენიმე თვის წინ რომ ვიკითხე, იქ არ იყო.

— არც მე ვიცი. ამ ბოლო დროს აღარაფერს მეუბნება გულახდილად. ამ ბედუკუღმართმა ქორწინებამ კი სულ გაგარეულა, ყველაფრის თავი და თავი მიზეზი, მე რომ მკითხო, მისი სულელური აზრები

და რწმენა იყო, ტესმა ნაბიჯს აუჩქარა. მეტი აჩქარება კი აღარ ივარგებდა, რომ მათი ყურადღება არ მიეპყრო: ყმაწვილები წამოეწივნენ და გვერდით ჩაუარეს. ფეხის ხმა რომ შემოესმა, ყმაწვილი ლედი შემოტრიალდა. ძმებმა ხელი ჩამოართვეს ქალს და გზა ერთად განაგრძეს.

მალე ავიდნენ ბორცვის თავზე. ეტყობა, ეს იყო მათი გასეირნების მიზანი; ნაბიჯი შეანელეს და ჭიშკრისაკენ გამოემართნენ ისევ. ამ ერთი საათის წინ ტესი ისვენებდა აქ და ზემოდან გადასცქეროდა ქალაქს. ერთი ძმა მოლაპარაკობდა გზა-გზა და თან ქოლგას ატრიალებდა ხელში. ხან ჰაერში აქნევდა, ხან ბუჩქებში ჰყოფდა. უცებ რაღაც წამოედო.

— ძველი ფეხსაცმელები, — თქვა მან.

— ალბათ ვიღაცა მათხოვარმა მიყარა.

— ჰო, განზრახ გაიხდიდა და დამალავდა, ქალაქში ფეხშიშველა შევალ და უფრო შემიცოდებენო, თუ იფიქრა, — თქვა მის ჩანტმა, — ნამდვილად ასე იქნება. რა მშვენიერი ფეხსაცმელებია. სულ ახლებია მერე. რა საძაგლობაა ასეთი თვალთმაქცობა წავიღებ შინ და ვინმე ღარიბ-ღატაკს მივცემ.

ქათბერტ კლერმა გამოდო ფეხსაცმელები ქოლგის ტარს — ასე დაკარგა ტესმა თავისი ქონება.

ტესს სიტყვა-სიტყვით ესმოდა მათი საუბარი. სახეზე შალის პირბადე აიფარა და ისე ჩაუარა გვერდით, მერე უკან მოიხედა. ეკლესიის კეთილმსახურნი გაცილდნენ ჭიშკარს, დაეშვნენ ფერდობზე და თან გაიყოლეს მისი ფეხსაცმელები.

— ჩვენმა გმირმა გზა განაგრძო. ცრემლები, მწარე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე. ტესს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მეტისმეტი სენტიმენტალობა და უსაფუძვლო ეჭვიანობა აიძულებდა დაენახა მის თვალწინ გათამაშებულ სცენაში საკუთარი განაჩენი, მაგრამ ვერ მოერია თავს. მეტისმეტად უსუსურად გრძნობდა თავს ამ ავისმომასწავებელი წინათგრძნობის წინაშე. პასტორის სახლში დაბრუნებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ასე ეჩვენებოდა თითქოს, ამ დახვეწილმა კლერიკალებმა რაღაც საზიზღარ არსებასავით მოიმწყვდიეს ბორცვის თავზე, უნებურად შეურაცხყვეს ტესი მაგრამ მაინც სავალალო იყო, რომ იგი ძმებს გადაეყარა და არა მამას, რომელიც თავისი გონებაშეზღუდულობისდა მიუხედავად ისე გახამებულ-გატკიცინებული როდი იყო, როგორც ის ორი. ყველაფერთან ერთად მას გულმოწყალე გულიცა ჰქონდა.

„ჩემი საბრალო მტვერში ამოგანგლული ფეხსაცმელები, — გაახსენდა კვლავ ტესს.

— რა ზიზღით უყურებდნენ“. არა, მაინც რა უკუღმართად მისდის ამ ფეხსაცმელების პატრონს ცხოვრება. ეჰ, — გაიფიქრა კვლავ საკუთარი თავის საცოდაობით აცრემლებულმა ტესმა, — იმათ რა იციან, რომ ეს ქვაღორღიანი გზა იმიტომ გამოვიარე ძველი ფეხსაცმელებით, რომ მის ნაყიდ ტუფლებს ვუფრთხილდებოდი. ჰო, იმათ არაფერიც არ იციან... არც ის იციან, რომ მან აურჩია ტესს საუკეთესო ქსოვილი ლამაზი კაბის შესაკერად. ან საიდან უნდა იცოდნენ? გინდაც იცოდნენ, რა ესაქმებათ ამასთან. ნუ გეშინია, დიდად არ ეხატებად ენჯელი გულზე“.

ახლა კლერის სიბრალულმა ააცრემლა ტესი. რამდენი ტანჯვა მიაყენა ტესს კლერის ცრურწმენებმა. ტესი მიაბოტებდა გზაზე და არ უწყოდა, რომ ყველაზე დიდი უბედურება ახლა დაატყდა თავს. ქალურმა სისუსტემ მაინც თავისი გაიტანა, მამამთილზე მისი ვაჟიშვილების მიხედვით დაიწყო მსჯელობა და სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დაეცა სულით. ისეთი შესაბრალისი იყო, მისის და მისტერ კლერები უთუოდ შეიცოდებდნენ. მათი გულები მუდამ ღია იყო უბედურთა და უკიდურესობამდე მისულთათვის, მაშინ როდესაც უფრო სათუთი და ფაქიზი სულიერი ტანჯვა-წამება ჯერ კიდევ სასოწარკვეთილი ადამიანებისა, მათ არც ინტერესს აღუძრავდა და არც თანაგრძნობას. ფართოდ უხსნიდნენ გულის კარს ჭირთამთმენ მეზვერეთა და ცოდვილთ და ივიწყებდნენ, რომ მწიგნობართ და ფარისეველთაც აქვთ თავიანთი დარდი და წუხილი, რომ მათთვისაც იყო საჭირო ხმის ამოღება და ენის დასველება. სწორედ აი, ასეთი შეზღუდულობის გამო ისინი უთუოდ გულგაშლილნი შეხვდებოდნენ თავიანთ რძალს. ის ხომ საკმაოდ უბედური იყო იმისათვის, რომ მათი სიყვარული დაემსახურებინა.

ტესი იმავე გზით ბრუნდებოდა უკან, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ თუ იმედებით აღსავსე არა, იმაში დარწმუნებული მაინც მოდიოდა, რომ მის ცხოვრებაში დაიწყო კრიზისი. მაგრამ როგორცა ჩანს, არავითარი კრიზისი არ დაწყებულა, და მას სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, კვლავ ჩვეულებრივად იცხოვროს მწირსა და მშიერ ფერმაში, ვიდრე კვლავაც არ მოიკრებს გამბედაობას პასტორის სახლში წასასვლელად. ტესს არ დაუკარგავს საკუთარი თავის ინტერესი. უკან მომავალმა გადაიგდო პირბადე. დე, ყველამ დაინახოს მისი სახე, როგორი კარგიც არ უნდა იყოს მერსი ჩანტი, ვინ, ვინ და ტესი უფრო ლამაზია, — გაიფიქრა ტესმა, მაგრამ წუხილით გააქნია თავი. „ვაი, რომ არავის ეს არ აინტერესებს, არავის! — უთხრა მან თავს, — არავის უყვარხარ, ჩემო სახე, არავინ იმას არ უყურებს! ვის რა ესაქმება ისეთ საბრალო განწირულ არსებასთან, როგორიც მე

ვარ“.

ტესი ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. აღარც ძალ-ღონე გააჩნდა და აღარც მიზანი. ინერციით მიიწევდა წინ ბენვილ-ლეინის ერთფეროვანსა და მოსაწყენ გზაზე. სულ მოწყდა, ხან ჭიშკარს მიეყრდნობოდა, ხან მილის მაჩვენებელ რომელიმე ბოძთან შედგებოდა.

არავის სახლში არ შესულა. ბოლოს, როგორც იქნა, გალია შვიდი, თუ რვა მილი და მაღალი ციცაბო ბორცვიდან სოფელ თუ პატარა ქალაქ ევერსჰედში დაეშვა. აქ ისაუზმა იმედებით აღსავსემ ამ დილით. ეკლესიის გვერდით მდგარი სახლი, სადაც ის ახლა მეორედ შევიდა, სოფლის ბოლოში იდგა. სანამ რძის მოსატანად წასული დიასახლისი საკუჭნაოდან შემობრუნდებოდა, ტესმა ფანჯარას გახედა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა ქუჩაში.

ალბათ ყველანი მწუხრის წირვაზე გაიკრიფნენ, არა? — იკითხა მან.

— არა, ჩემო კარგო.

— მიუგო მოხუცმა დიასახლისმა, — ჯერ ადრეა, მწუხრის ზარებს ჯერ არ ჩამოურეკავთ. ხალხი ფარდულშია თავშეყრილი. ქადაგებას უსმენენ. ჩვენთან ეგ ერთი ქადაგია და წირვასა და წირვას შუა ქადაგებს ხოლმე. ამბობენ — დიდებული მგზნებარე ქრისტიანი კაციაო. მე კი არ დავდივარ მისი ქადაგების მოსასმენად და ისიც მეყოფა, რასაც მღვდელი გვექაქანება თავისი კათედრიდან.

ტესი კვლავ გზას გაუდგა. მისი ქუსლების კაკაკუკი ისე მკაფიოდ გაისმოდა ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში, თითქოს მთელი სოფელი ჩამკვდარაო. შუა გზაზე მის ფეხის ხმას სხვა ხმები შეუერთდა, — იქვე, შორიახლო ტესმა ფარდულს მოჰკრა თვალი. ფარდულიდან ქადაგის ლაპარაკი მოისმოდა. მისი ხმა მკვეთრად ჟღერდა უმოძრაო სუფთა ჰაერში. მალე ცალ-ცალკე ფრაზებიც გაარჩია. ფარდულს უკანა მხრიდან მიადგა.

ქადაგებას, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად ანტინომიალური ხასიათი ჰქონდა. ლაპარაკობდნენ ნდობის გამართლებაზე, როგორც გვასწავლიდა პავლე მოციქული: ქადაგი დიდი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით გადმოსცემდა თავის აზრს. მისი ლაპარაკი უფრო დეკლამაციას მიაგავდა, რადგან როგორც ჩანდა, დიალექტიკოსის ნიჭის ნატამალი არ გააჩნდა, თუმცა ტესს ქადაგების დასაწყისი არ მოუსმენია, მაშინვე მიხვდა ბიბლიის რომელი ადგილი იყო. ქადაგი გაუთავებლად იმეორებდა და იმეორებდა:

„ო, უცნობელნო გალატელნო! ვინ გეშურებოდა თქუენ ჭეშმარიტებისა არა მორჩილებად, რომელთა, თუალთა წინაშე პირველივე გამოიწერა თქუენ შორის, იესო ქრისტე ჯუარცმული?“

ტესმა ყური მიუგდო, ძალიან დაინტერესდა: ქადაგი, მართლაც უკიდურესი ფორმით, ენჯელ კლერის შეხედულებას გადმოსცემდა. კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა ტესი, როდესაც ქადაგი გამოწვლილვით შეუდგა საკუთარ სულიერ გამოცდილებებზე ლაპარაკს, მიზეზებს, რამაც ამ მსოფლმხედველობამდე მიიყვანა. მისივე სიტყვებით, ცოდვილთა შორის უდიდესი ცოდვილი ყოფილა: ღმერთსა ვგმობდი, გარყვნილსა და უგუნურ ხალხთან ვმეგობრობდი, მაგრამ აი, დადგა წამი გამოღვიძებისა და ამას იგი ერთ მღვდელს უნდა უმადლოდეს. მღვდელს, რომელიც მან უსირცხვილოდ შეურაცხყო. გამომშვიდობებისას ამ მღვდლის მიერ წარმოთქმული სიტყვები ღრმად ჩაუვარდა გულში და დარჩა იქ, ვიდრე წყალობითა ღვთისათა, მათ არ გარდაქმნეს და არ აქციეს ისეთად, როგორიც ამჟამად არის.

ტესი საოცრად განაცვიფრა არა იმდენად ქადაგებამ, რამდენადაც ხმამ, რომელიც , რა დაუჯერებელიც არ უნდა ყოფილიყო, საოცრად აგონებდა ალეკ დ'ერბერვილის ხმას. დაძაბული, განაწამები სახე ჰქონდა ტესს. მან შემოუარა ფარდულს და შედგა. ზამთრის მზე დაბლა დაშვებულიყო ჰორიზონტზე, ზედ ბეღლის ფართო ორსაგდულიანი კარის პირდაპირ. ერთი საგდული ღია იყო: მზის სხივები ჩრდილოეთის ქარისაგან ბეღლის კედლებით დაცულ ქადაგსა და მის მსმენელებს ეცემოდა. მსმენელები მხოლოდ და მხოლოდ გლეხები იყვნენ. მათ შორის ტესმა იმ კაცს მოჰკრა თვალი, საღებავით სავსე ვედროთი რომ შემოხვდა იმ ღირსსახსოვარ დღეს. მაგრამ ტესის მთელი ყურადღება ცენტრალური ფიგურისაკენ იყო მიპყრობილი. ქადაგი ხორბლით სავსე ტომრებზე იდგა კარისა და ხალხის პირისპირ. დღის სამი საათი იქნებოდა. მზის სხივები პირდაპირ სახეში სცემდა ქადაგს. ახდა ტესის უცნაური, ამაღელვებელი ვარაუდი — როგორც კი ჩაესმა ყურში ქადაგის სიტყვები. მყისვე გაურბინა აზრმა — ტესის წინაშე მისი მაცდუნებელი იდგა.

მეექვსე ფაზა
მოქცეული

XLV

ტრენტრიჯიდან გამგზავრების დღიდან ამ წუთამდე ტესს არც თვალი მოუკრავს და არც არა სმენია რა დ'ერბერვილზე.

და აი ისინი ტესის ცხოვრების უმძიმეს წუთებში შეხვდნენ ერთმანეთს, იმ დროს, როცა თვით ასეთი ადამიანის ნახვაც კი დიდად ვერ ააღელვებდა ქალის დამძიმებულ სულს. მაგრამ ისე კეთილგონიერია და უგუნური ადამიანის მახსოვრობა, რომ თუმცა ტესი სრულიად გარდასახულ ადამიანს უყურებდა, ადამიანს, რომელიც საქვეყნოდ ინანიებდა წარსულ ცოდვებს, მაინც შიშმა აიტანა: რეტდასხმული ვეღარც წასვლას ახერხებდა და ვეღარც ახლოს მისვლას.

ტესი იგონებდა ალეკის სახეს და მის ახლანდელ სახეს ადარებდა... ალეკს კვლავინდებურად ლამაზი, მაგრამ უსიამოვნო სახე შერჩენოდა, მხოლოდ შავი ულვაშები გამქრალიყო სადღაც. ახლა მას კოხტად შეჭრილი ძველმოდური ულვაშები ჰქონდა. მისი ტანსაცმელი მღვდლის ანაფორას ჩამოჰგავდა, ამის გამო ისე გარდაქმნილიყო ეს ძველი დენდი, რომ ტესს ეჭვმაც კი გაჰკრა, მართლა ის არის თუ არა, ხომ არ მეშლებაო.

— ეს რა საზარელი უაზრობაა; — გაუელვა ტესს, — როგორ შეიძლება ამ წმიდა წიგნის დიდებული სიტყვების მოსმენა ასეთი კაცის პირთაგან. ოთხი წელიც არ გასულა მას შემდეგ, და ახლა ეს კარგად ნაცნობი ხმა სრულიად სხვაგვარ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა და ამ სიტყვებს ახლა სრულიად სხვა მიზანი და ზრახვა ჰქონდათ, ვიდრე მათ, უწინ რომ გაუგია მისგან. ისე დიდი იყო ასეთი შეუსაბამობისა და არაბუნებრიობის ირონია, რომ ტესს ტკივილით გული შეეკუმშა.

ალეკ დ'ერბერვილი იმდენად შეცვლილი არ იყო, რამდენადაც გარდაქმნილი და გარდასახული თითქოს. სახე წინათგრძნობით რომ ჰქონდა აღსავსე, ახლა ღვთისმახურების ცეცხლით ანთებოდა. ბაგეთაგან, რომლებიც თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ცდუნებისათვის იყვნენ შექმნილნი, ახლა ღვარად მოდიოდა ლოცვა-ვედრება. ჯერ კიდევ გუშინ მის აელვარებულ ღაწვებზე იტყოდნენ, შმაგი ვნების ცეცხლი უკიდიაო, დღეს კი ამბობდნენ, ღვთისმოსაობით აგზნებიაო. ცხოველი ფანატიკოსად ქცეულიყო, წარმართი — წმიდა პავლეს მოძღვრების მიმდევარი გამხდარიყო. თვალებში, რომელნიც ოდესღაც ქედმაღლურად შეჰყურებდნენ ტესს. ახლა ღვთისმოსაობის შუქი ჩადგომოდა. უწინ პირქუშად იჭმუხნიდა სახეს, როცა არ სრულდებოდა მისი ნება-სურვილი, ახლა კი როცა კიცხავდა ლაფში ამოსვრილ გაუსწორებელ ცოდვილს.

იგი რაღაც სიბრალულსაც იწვევდა თითქოს. მისი სახის ნაკვთები ებრძოდნენ ბუნებით მინიჭებულ გამომეტყველებას, თავს ძალას ატანდნენ და ცდილობდნენ ისეთ გრძნობათა გამოხატვას შეგუებოდნენ, რისთვისაც სინამდვილეში არ იყვნენ შექმნილნი. უცნა-

ურია, მაგრამ მის სახეზე აღბეჭდილი ზეშთაგონების ცეცხლი უადგილოდ ეჩვენებოდა კაცს, აღფრთოვანება — სიყალბედ.

ნუთუ მართალია ჩემი ეჭვები? — ფიქრობდა ტესი, — არა, უსამართლობაა ასე ფიქრი, — აღიარებდა თავადვე. განა დ'ერბერვილი პირველი ცოდვილი იყო, ვინაც დაგმო საკუთარი უგუნურება და სიკეთის გზას დაადგა, რათა ეხსნა სული წარწყმედისაგან. როგორ შეუძლია ტესს ეჭვი ეპარებოდეს იმ ძველი წარმოდგენის გამო, რომელიც მასზე ჰქონდა შექმნილი, ტესი ვერა და ვერ ეგუებოდა, რომ მისთვის ნაცნობი უკეთური ხმა ახლა სრულიად სხვაგვარ და წმინდა სიტყვებს წარმოთქვამდა: რაც უფრო დიდი ცოდვილი ყოფილა კაცი, მით უფრო დიდი წმიდანი გამხდარა იგი, როცა სიკეთის გზას დასდგომია. ამაში ადვილად დარწმუნდება ადამიანი გინდაც დიდად არ ჩაუღრმავდეს ქრისტიანობის ისტორიას.

— ამ ფიქრებმა, თუმცა მთლად ვერ გაუფანტეს ეჭვები, ცოტა მოარბილეს ტესი. როგორც კი მოულოდნელობით გამოწვეულმა შეცბუნებამ და გაოცებამ გაუარა. ტესს მაშინვე წასვლა მოუნდა. ალეკ დ'ერბერვილს, რა თქმა უნდა, არ დაუნახავს იგი, რადგან მზისკენ ზურგით იდგა.

მაგრამ ერთი გატოკება და ალეკმა მაშინვე იცნო ტესი. თითქოს მეხი დაეცაო ალეკს, ასე ძლიერად ტესზეც არ უმოქმედია ამ მოულოდნელობას. ალეკის აღფრთოვანება და ცეცხლოვანი ენამზეობა თითქოს ერთბაშად სადღაც გაქრა, ტუჩები აუცახცახდა, სიტყვები ყელში გაეხირა. ხმა ვეღარ ამოიღო, ვიდრე ტესი მის წინ იდგა თვალი შეავლო ტესის სახეს. მერე მორცხვად აარიდა მზერა და სადღაც სივრცეს გახედა. ოღონდ კი მისთვის არ ეცქირა. მაგრამ თვალები ჯიუტად მაინც მისკენ გარბოდა. ალეკ დ'ერბერვილს აშკარად დამბლა დაეცა. მაგრამ ეს მძიმე წუთები დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი ალეკს თავდაჭერის უნარი წაერთვა, ტესს გამბედაობა და სიმხნევე დაეუფლა. გასცილდა ფარდულს და გზა განაგრძო, აზრი რომ მოიკრიბა, ტესი შეაძრწუნა ალეკსა და თვით მასში მომხდარმა ცვლილებამ. მას, მისი განადგურებისა და დაღუპვის მიზეზს, სულიერი აღორძინება განეცადა მაშინ, როდესაც თავად კვლავაც განადგურებული დადიოდა და ერთი ლეგენდისა არ იყოს, საკმარისი იყო გზააბნეული ავხორცი სახეების უეცარი გამოჩენა საკურთხევლის წინაშე, რომ ქურუმის მასულდგმულებელი ალი თითქმის გამქრალიყო.

უკანმოუხედავად მიდიოდა ტესი და თითქოს მხოლოდ სხეული კი არა, თვით ტანსაცმელიც კი შეიგრძნობდა უკნიდან მიპყრობილ დაჟინებულ მზერას. ასე ეჩვენებოდა, რომ ფარდულში მდგარი ალეკ

დ'ერბერვილი თვალებით აცილებდა. ვიდრე ალეკს შეხვდებოდა, ტესს დამძიმებული ჰქონდა სული დარდითა და ნაღველით, სხეული კი გახევებოდა. ახლა კი თითქოს გარდაიქმნა ერთიანად, სიყვარულის წადილით გამოწვეულმა სევდამ ადგილი დაუთმო ულმობელი წარსულის ფიზიკურ შეგრძნებას, ამ წარსულს ჯერ კიდევ ბრჭყალებში ჰყავდა გამომწყვდეული იგი. ამ ჭირს ზედ მიესართა საკუთარი დანაშაულის შეგრძნება და სასო წარეკვეთა. ტესი იმედოვნებდა, რომ წარსულსა და აწმყოს შორის ყრუ კედელი აღიმართებოდა, მაგრამ უმტყუნა იმედმა — წარსული ვერასოდეს იქცევა წარსულად, ვიდრე თავად მას არ შთანთქავს ეს წარსული.

— ამ ფიქრებით დამძიმებულმა ტესმა პირდაპირ გადაკვეთა ლონგეშ-ლეინის ჩრდილოეთი ნაწილი. მალე გამოჩნდა ზეგანზე ამავალი თეთრი გზა. ამ გზაზე ედო ტესს დარჩენილი სავალი, მტვრიანი, უფერული გზა შორს, უსასრულობაში მიიმართებოდა. გზაზე კაცი არ ჭაჭანებდა, არც საზიდარი მოჩანდა სადმე. მხოლოდ აქა-იქ თუ დაინახავდით მწირ გზაზე დაგდებულ ცხენის ჩონჩორიკს. ის იყო ნელ-ნელა შეუყვა აღმართს ტესი, რომ ზურგს უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. მოიხედა, მეთოდისტის ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს მოჰკრა თვალი. როგორ არ უნდოდა, რომ ამ კაცს შეხვედროდა ოდესმე ამქვეყნად.

ფიქრისა და გაქცევის დრო აღარ იყო. ისღა დარჩენოდა მხოლოდ, მშვიდად შეხვედროდა გარდუვალს. ფეხიც კი აითრია, რომ დასწეოდა უკან მომავალი. ძალზე აღგზნებული ჩანდა ალეკი. აშკარა იყო, სწრაფი სიარული არ იყო ამის მიზეზი, მოჭარბებულ გრძნობებს აეღელვებინა იგი.

— ტეს! — შესძახა მან. ტესს უკან არ მოუხედავს. მხოლოდ ნაბიჯი შეანელა.

— ტეს! — კვლავ დაუძახა მან, — მე გეძახი, ალეკ დ'ერბერვილი. მაშინ კი შემობრუნდა ტესი, ალეკი მივიდა ქალთან.

— გხედავთ, რომ თქვენა ხართ! — ცივად მიუგო ტესმა.

— მერე... მეტი არაფერი? თუმცა, მეტის ღირსი არცა ვარ! — ჩაიცინა მან და დასძინა, — ვატყობ, სასაცილო გეჩვენებით ასეთს რომ მხედავთ, მაგრამ რას ვიზამ, უნდა შევეგუო ამას... მე გავიგე, როცა გაემგზავრეთ, მაგრამ სად წახვედით არავინ იცოდა. ტეს, გიკვირთ, რომ დაგედევნეთ?

— დიახ, წარმოიდგინეთ, მიკვირს, და მთელი სულითა და გულით ვწუხვარ, რომ შემხვდით.

— თქვენ უფლება გაქვთ ასე ილაპარაკოთ, — მიუგო დაღვრემილმა ალეკმა. ისინი ერთად მიდიოდნენ. აღმართზე. ტესი უწადინოდ

მიყვებოდა ალეკს გვერდით.

— მხოლოდ არ შეცდეთ, იცოდეთ. მე ამას იმიტომ გთხოვთ, რომ უცილოდ დაიბნეოდით, როცა შენიშნეთ, თუ შენიშნეთ, რა თქმა უნდა, როგორ ამაღელვა თქვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ მაგრამ შეკრთომა წუთიერი იყო მხოლოდ, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა იყავით თქვენ ჩემთვის ღმერთმა გადამატანინა ყველაფერი და მყისვე მივხვდი რომ ჩემი ვალია ვიხსნა ღვთის გარდუვალი რისხვისაგან — იცინეთ, რამდენიც გნებავთ! — პირველ ყოვლისა ის ქალი, რომელსაც ამდენი ბოროტება და სიავე მივაყენე.

— თქვენ თავად კი იხსენით სული თქვენი?! „ესე მკურნალო, განიკურნე თავი შენიო“ — ეუბნებიან ექიმს: ცოტა არ იყოს, ზიზღითა და სიძულვილით მიუგო ტესმა.

— ყოველივე ჩემ უნებურად მოხდა! — გულგრილად განაცხადა ალეკმა, — როგორც უკვე ვუამბე ჩემს მსმენელებს, განგების ძალით მოხდა ყოველი როგორადაც არ უნდა გძულდეთ, ტეს, ვერავითარი სიძულვილი ვერ შეედრება იმ სიძულვილს, როგორადაც თავად მძულდა თავი მე — წარსულ დღეთა ძველ ადამს! მე შემიძლია მოგითხროთ ჩემი მოქცევის ამბავი. ვიმედოვნებ, დაგაინტერესებთ და ყურს დამიგდებთ. გაგიგონიათ ოდესმე ემინსტერელი მღვდლის სახელი? უთუოდ გაგეგონებათ. საკუთარი მრწამსის ამ ჭეშმარიტად გულმართალი მქადაგებლისა და დამცველის. ეკლესიებში აქა-იქ შემორჩენილ თავდადებულ ადამიანთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე მორწმუნის, მოხუცი კლერის სახელი. მართალია, იგი ისეთი თავდადებული და მგზნებარე მორწმუნე არ გახლავთ, ქრისტიანთა უკიდურესი ფრთაა, და რომელსაც მე განვეკუთვნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გამონაკლისს წარმოადგენს სასულიერო პირთა შორის, რადგანაც უფრო ახალგაზრდა მღვდლებმა ერთიანად გააქარწყლეს ჭეშმარიტი მოძღვრება თავიანთი სოფისტიკით და ახლა ამ ჭეშმარიტი მოძღვრებისაგან წინანდელის ჩრდილიღა დარჩა მხოლოდ. მე კლერს მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიისა და სახელმწიფოს საკითხში — „განერიდეთ მათ და იყავით ცალკე“, თქვა უფალმა — ტექსტის გაგებაში ვცილდები, სხვაგვარად ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ იგი ამ მხარეში სულთა ხსნის მშვიდი და წყნარი იარაღია. მას იმდენი სული უხსნია ინგლისში, რამდენიც არავის სხვას. იცით, ვისზე ვლაპარაკობ?

— ვიცი, — მიუგო ტესმა.

— ორი თუ სამიოდე წლის წინ კლერმა მისიონერული საზოგადოების დავალებით ტრენტრიჯში იქადაგა: მე მაშინ დიდი რეგვენი

ვიყავი და შეურაცხვყავი მაშინ, როცა იგი მთელი სულითა და გულით ცდილობდა გონს მოვეყვანე და ჭეშმარიტი გზა ეჩვენებინა ჩემთვის. კლერმა შეურაცხყოფისათვის განა შემრისხა, მითხრა მხოლოდ — ოდესმე იგემებ პირველ ხილს სულისას და მიხვდები, რომ ისინი, ვინც ზოგჯერ დასაცინად და საქირქილოდ მიდიან, სალოცავად რჩებიანო. უცნაური ძალა ჰქონდა მის სიტყვებს. ღრმად შეიჭრნენ ჩემს გონებაში, მაგრამ ყველაზე დიდი ბიძგი მაინც დედაჩემის სიკვდილი იყო. ჰოდა, თანდათანობით ნელ-ნელა ლიბრგადაკრულ თვალებში ნათელი ჩამიდგა და ამეხილა. ეს იყო და მას შემდგომ ჩემი სანუკვარი წადილი იყო, სხვებისთვისაც გამეზიარებინა ჭეშმარიტება. აი, ამისათვის ვიღვწოდი დღესაც. დიდი ხანი არ არის, რაც ამ მხარეში ვქადაგებ. ჩემი მსახურების პირველი თვეები ჩრდილოეთ ინგლისში გავატარე, უცხო ადამიანებთან. ჯერ კიდევ გამოუცდელმა იქ ვარჩიე პირველი ნაბიჯის გადადგმა, რათა გამბედაობა მომეკრიბა მკაცრი გამოცდისათვის, რაკიღა მომავალში იმათთვის უნდა მექადაგა, ვინაც ადრე მიცნობდა და ზოგიერთი მონაწილეც კი იყო ჩემი ცოდვებისა. ტეს, თქვენ რომ იცოდეთ რა დიდი სიამოვნებაა საკუთარი თავისათვის სილის გაწვნა, დარწმუნებული ვარ...

— გაჩუმდით! — შესძახა ტესმა ცხარედ, ზურგი შეაქცია და ღობეს მიეყრდნო, — მე არა მწამს ასეთი უეცარი გარდაქმნებისა! აღშფოთებული ვარ, რომ შეგიძლიათ ასე მელაპარაკოთ. თუმცა კარგად იცით... იცით რა ბოროტებაც მომაყენეთ თქვენ და მსგავსნი თქვენნი ტკბებით ცხოვრებით და ჩემისთანებს კი უწამლავთ სიცოცხლეს... ხოლო როცა ყველაფერი მოგყირჭდებათ, სწორედ რომ არ არის ურიგო, ღმერთსაც მიხედოთ, რათა ამით სამოთხე დაიმკვიდროთ სასუფეველში! მე არა მწამს თქვენი! ზიზღსა მგვრის თქვენი საქციელი.

— ტეს, — ნუ ლაპარაკობთ ასე! მე სული გამინათდა და სხივი ჩამიდგა! თქვენ კი არა გწამთ ჩემი? რა არა გწამთ?

— არც თქვენი მოქცევისა მწამს და არც თქვენი მორწმუნეობისა! — რატომ? ტესმა ხმას დაუწია.

— იმიტომ, რომ კაცს, რომელიც თქვენა გჯობიათ, არა სწამს ამისა.

— აი, როგორ მსჯელობთ ქალები. ვინ არის ეს კაცი? — ვერ გეტყვით.

— კეთილი, — ისე მიუგო მან, გეგონებოდათ, გაღიზიანებული თავს ვეღარ შეიკავებს და საცაა აფეთქდებაო.

— ღმერთმა დამიფაროს ჩემს თავს კარგი კაცი ვუწოდო, თქვენც ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ ამას არც ვამბობ. მართლაცდა ახალბედა

ვარ სიკეთისა და სათნოების გზაზე, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ: ზოგჯერ ახალმოქცეულები შორსმჭვრეტელები არიან ხოლმე.

— ჰო, — კაეშნით თქვა ტესმა, — მაგრამ მე არა მჯერა თქვენი მოქცევისა ახალ რჯულზე. აი, რომ თქვენმა აღტკინებამ შეიძლება დიდხანს არ გასტანოს. უეცრად მოვლენილი შუქი უცებ არ ჩაქრეს — თქვა ტესმა, ღობეს მოსცილდა და ალეკისაკენ შემობრუნდა. ალეკმა თვალი შეავლო ნაცნობ სახეს, ნაცნობ სხეულსა და თვალი ვეღარ მოწყვიტა. ცხოველური საწყისი და სულმდაბალი არსება თავს არ ახსენებდა, მაგრამ ძირფესვიანად როდი გახლდათ ამოგდებული ბუდიდან; საბოლოოდ დათრგუნვილი და დამარცხებულიც კი არ იყო.

— ნუ მიცქერით ასე! — უთხრა ალეკმა უცებ.

დარცხვენილმა ტესმა, რომელიც წუთით არ დაფიქრებია არც თავის საქციელსა და არც გარეგნობას, ძირს დახარა თავისი დიდი, შავი თვალები.

— მაპატიეთ!

წაიბურტყუნა მან და კვლავ დაეუფლა ის საძაგელი გრძნობა, რომელსაც ხშირად განიცდიდა ხოლმე წინათ. რაღაც დანაშაულის გრძნობა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, რომ ბუნებამ ასეთ ხორციელ საფარველში გახვია და ასეთი გარეგნული სახე მისცა.

— არა, ნუ მოითხოვთ ჩემგან პატიებას! — მაგრამ აი, ეს პირბადე რომ გაგიკეთებიათ, რატომ მალავთ ლამაზ სახეს?

— ქარისაგან მიფარავს, — სწრაფად მიუგო ტესმა და პირბადე ჩამოიწია.

— შესაძლოა, ცოტა მეტისმეტი იყოს ჩემ მხრივ ამის განცხადება, მაგრამ მე მგონი, ხშირად არ უნდა შემოგხედოთ კაცმა, სახიფათოა.

— ჩუ..

— გააჩუმა ტესმა.

— ქალის სახეებს მუდამ დიდი ძალა ჰქონდათ ჩემზე და რა გასაკვირია, რომ მეშინოდეს მათი! ღვთისმოსავს რა ესაქმება მათთან. ისინი წარსულს მაგონებენ, მე კი ამ წარსულის დავიწყება მსურს.

გზა განაგრძეს. თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს. ტესი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ნეტავ თუ დიდხანს აპირებს ეს კაცი ჩემთან ერთად სიარულსო, ფიქრობდა, არ უნდოდა თავად ეთქვა და უხეშად მოეშორებინა თავიდან. გზადაგზა ხშირად ხვდებოდა ჭიშკრებსა თუ ღობეებზე წითელი ან ლურჯი საღებავებით დაწერილი შეგონებები ბიბლიიდან. ნეტა ვინ იკისრა ეს საპატიო საქმე? — დაინტერესდა ტესი. ალეკმა მიუგო: მე და რამდენიმე სხვა ღვთის მოსავმა, რომლებიც ამ მხარეში ვქადაგებთ, საგანგებოდ

დავიქირავეთ კაცი ამ წარწერების დასაწერად, რადგან ყოველი ხერხი უნდა იხმარო კაცმა, რათა შესძრა ცოდვილთა შებილწული გული და მოაქციო ისინი.

როგორც იქნა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც „ჯვარი ხელში“ ჰქვია. გადახრიოკებულ-გადათეთრებულ ზეგანს ყველაზე გასაცოდავებულ-განაწირი ადგილი იმდენად იყო მოკლებული იმ მომხიბვლელობას, რომელსაც ეძიებენ ბუნების წიაღში მხატვრები და ლამაზი ბუნების მოყვარულნი, რათა როგორმე ახლებურად შეიცნონ მშვენიერება, რომ თვით სიმახინჯე მისი რაღაც თავისებურ ტრაგიკულ და დაღვრემილ სილამაზედ ქცეულიყო. სახელწოდება ამ ადგილს იმ სვეტიდან მიეღო, რომელიც რაღაც გამძლე ქვებისაგან გამოეკვეთათ და აქ დაედგათ. ასეთი ჯიშის ქვა ადგილობრივ ქვის სატეხებში არც მოიპოვებოდა. სვეტზე უხეშად იყო ამოკვეთილი ადამიანის სული. ამ სვეტის ისტორიასა და მისი დადგმის მიზეზზე ათასგვარი სულ სხვადასხვანაირი ლეგენდა დადიოდა ხალხში. ერთნი ამბობდნენ, უწინ აქ ჯვარი მდგარა, რომლისაგანაც ახლა ეს ქვის სვეტიღაა დარჩენილიო. სხვები ამბობდნენ: არაფერი ჯვარი აქ არა ყოფილა, დასაბამიდან ასეთი იყო და სარყედ დაუდგამთ რომელიღაც საზღვრისა თუ შეხვედრის ადგილის აღსანიშნავადო. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ამ სვეტის ისტორია, ეს ადგილი, სადაც იგი აღმართულა, რაღაც ავისა თუ კარგის მომასწავებლად ეჩვენებოდა და ეჩვენება კაცს გუნებ-განწყობილების მიხედვით და რაღაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს თვით ყველაზე უსიცოცხლო და გულგრილ მგზავრებზეც კი.

— ახლა უნდა დაგცილდეთ, — უთხრა ალეკმა, როდესაც სვეტს გაუსწორდნენ — დაპირებული ვარ, საღამოს ექვს საათზე ებოტს-სერნელში ვიქადაგო. ჩემი გზა აქედან მარჯვნივ უხვევს. თქვენ კი სულიერი წონასწორობა დამირღვიეთ ტეს... არ შემიძლია და არცა მსურს გითხრათ, რატომ უნდა წავიდე და ძალა მოვიკრიბო. რა კარგი ლაპარაკი გისწავლიათ. სად დაეუფლეთ ასეთ სუფთა ინგლისურს?

— ბევრი რამ მასწავლა დარდმა და ვარამმა, — ორაზროვნად მიუგო ტესმა.

— რა გაქვთ სადარდებელი ან სავარამო?

ტესმა გაანდო მას პირველი და ერთ-ერთი, რომელიც ალეკსაც შეეხებოდა.

დ'ერბერვილი შეძრწუნდა.

— მე კი არაფერი ვიცოდი, — წაიბურდღუნა მან, — რატომ არ მომწერეთ, როცა მიხვდით, რომ უბედურება უნდა დაგტეხოდათ თავს.

ტესმა არაფერი უპასუხა. ისევ ალეკმა დაარღვია სიჩუმე:

— აბა, კარგად იყავით. ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

— არა, არასოდეს გაბედოთ მოსვლა.

— მე კიდევ ვიფიქრებ მაგაზე. მაგრამ ვიდრე ერთმანეთს დაცილდებით, მოდით აქ, — ალეკი ქვის სვეტთან მივიდა, — ოდესღაც აქ ჯვარი ყოფილა. წმინდა რელიკვიებისა მე არა მჯერა რა, მაგრამ ზოგჯერ თქვენ შიშს აღმიძრავთ, ახლა მე უფრო მეტად მეშინია თქვენი, ვიდრე თქვენ ჩემი. ჰოდა, რომ გაშოროთ ხიფათი, დაადეთ ხელი ამ ქვის ხელს და შემომფიცეთ, რომ არასოდეს მაცდუნებთ არც სილამაზით თქვენით და არც არა რაიმე სხვა საშუალებებით.

— ღმერთო ჩემო, რა უაზრო თხოვნაა! არც არასოდეს მიფიქრია ეგ! — ჰო, მაგრამ მაინც დაიფიცეთ, დაიფიცეთ!

ცოტა არ იყოს შეშინებულმა ტესმა დაუთმო ვაჟის დაჟინებულ თხოვნას. დაადო ქვას ხელი და შეჰფიცა.

— დიდად ვწუხვარ, რომ ურწმუნო ხართ, — განაგრძობდა ალეკი, — ვიღაც ათეისტი დაგპატრონებიათ და აუმღვრევია თქვენი სული, მაგრამ მოდით მეტად ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. სახლში ვილოცებ თქვენი სულისთვის, ვინ იცის, რა არ ხდება ქვეყანაზე. მაშ, წავედი, ნახვამდის.

ალეკ დ'ერბერვილი ჩატეხილი ღობისაკენ შეტრიალდა, გადაახტა და უკანმოუხედავად აუყვა ხეივანზე ებოტ-სერნელისაკენ მიმავალ გზას. სიარულზე შეამჩნევდა კაცი, რომ აღელვებული იყო. ცოტა ხანი რომ გამოხდა, თითქოს რაღაც აზრმა შეაგულიანაო, ჯიბიდან უეცრად ბიბლია ამოიღო, წიგნში ბევრი კითხვისა და გადაკითხვისაგან დაჭმუჭნილი და დათხუპნული წერილი იდო. დ'ერბერვილმა გაშალა წერილი. იგი მამაო კლერის მიერ რამდენიმე თვის წინ დაწერილი უსტარი გახლდათ. წერილის დასაწყისში მისტერ კლერი უსაზღვრო სიხარულს გამოთქვამდა დ'ერბერვილის მოქცევის გამო და დიდ მადლობას სწირავდა ასეთი სასიხარულო ამბის შეტყობინებისათვის. შემდგომ აუწყებდა და არწმუნებდა, სულითა და გულით შეგინდობ წარსულ დანაშაულს, რომელიც ახალგაზრდული უგუნურობით მოგივიდაო. კლერს აინტერესებდა მისი მომავალი გეგმები და ზრახვებიც. იგი, მისტერ კლერი, დიდად მოხარული იქნებოდა თუ მას ღვთისმსახურთა რიგებში იხილავდა. ღვთის მსახურებისა, რომელსაც თავად სიცოცხლის ამდენი წელი შესწირა. სიამოვნებით დაგეხმარებითო, წერდა, თუ გადაწყვეტთ და სასულიერო კოლეჯში შესვლას მოიწადინებთო. რა თქმა უნდა, არ დააძალებდა, თუ ამას არა სასურველად მიიჩნევდა. ყოველი კაცი უნდა მისდევდეს სული

წმიდას მცნებასა და მითითებებს და თავის ძალთა და შესაძლებლობათა მიხედვით შრომობდესო, დ'ერბერვილმა რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი, და თითქოს ცინიკურად ეცინებოდა გუნებაში. გზადაგზა ბიბლიის რამდენიმე ადგილიც გადაიკითხა, ვიდრე სრული სიმშვიდე არ მოეფინა სახეზე. ტესის სახე, ეტყობოდა, უკვე აღარ აკრთობდა მის ფიქრებს.

ამასობაში ტესი ხრამის პირზე მოკლე გზით მიდიოდა შინისაკენ. ერთი მილი არ ექნებოდა გავლილი, რომ ვიღაც მწყემსი შემოეყარა.

— ერთი მითხარი, რა ქვის სვეტია ის, ახლა რომ ჩამოვუარე? — ჰკითხა ტესმა.

— ჯვარი იყო იქ ოდესმე?

— ჯვარი? არასოდეს იქ ჯვარი არა ყოფილა! ცუდი ადგილია ის ადგილი, მის. ეს ქვა ძველად ერთი ბოროტმოქმედის ნათესავებს დაუდგამთ, ეს ბოროტმოქმედი ამ ადგილზე უწამებიათ თურმე. ცალი ხელი სვეტზე მიუჭედიათ ლურსმნით, მერე კი ჩამოუხრჩვიათ. მისი ძვლები იმ სვეტის ქვეშ აწყვია. ამბობენ, ეშმაკს მიჰყიდა სული და ზოგჯერ ამოდის საფლავიდანო.

მწყემსის ამ საშინელმა ნაამბობმა გული დაუმძიმა ტესს. შეეცადა მალე გასცლოდა იქაურობას. ბინდდებოდა, როცა ტესი ფლინკტომ-ეშში დაბრუნდა. სოფლის განაპირას ვიღაც გოგოსა და მის მიჯნურს გადაეყარა. წყვილმა ვერც შენიშნა ის. ხმამაღლა საუბრობდნენ. ყმაწვილი ქალის ლაპარაკი, ვაჟის საალერსო სიტყვებს ერწყმოდა. მკვეთრად გაისმოდა საღამოს გამჭვირვალე, ცივ ჰაერში და დამამშვიდებლად მოქმედებდა. მათმა დანახვამ ერთი წუთით გაახარა ტესი, ვიდრე არ გაახსენდა, რომ ეს პაემანიც იმ სწრაფვათა მიზეზი იყო, რომლის უბედურ მსხვერპლსაც წარმოადგენდა თავად. როდესაც ტესი მათ მიუახლოვდა. გოგონამ მშვიდად მოხედა და იცნო, დარცხვენილი ყმაწვილი კი შეეცადა გასცლოდა იქაურობას. დარცხვენილი ქალი იზ ჰუეტი გახლდათ. იმდენად დიდი იყო ინტერესი ტესის მოგზაურობისადმი, რომ გოგონას სულ გადაავიწყდა თავი. ტესმა მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა. ხოლო იზმა, რომელმაც ყოველთვის კარგად იცოდა, სად რა იყო საჭირო, მაშინვე თავის პატარა რომანზე წამოიწყო ლაპარაკი. ტესს პირველად ესმოდა ეს ამბავი.

— ეგ ემბი სიდლინგია. უწინ ტელბოტეისშიც მოდიოდა ხოლმე ზოგჯერ სამუშაოდ.

— გულგრილად უყვებოდა იზი.

— გაუგია, რომ აქ ჩამოვედი და ახლა აქ არ გამომეცხადა! რომ

კითხო, ორი წელია მიყვარხარო, ამბობს. მე წესიერად არც დავლა-პარაკებივარ.

XLVI

რამდენიმე დღე გავიდა ტესის უიღბლო მოგზაურობის შემდეგ. მინდვრად მუშაობდა ტესი. ძველებურად ქროდა ზამთრის სუსხიანი ქარი. ამ ქარისაგან ერთადერთი დაწნული მოძრავი ღობეები თუ დაიცავდა კაცს, მოფარებულ ადგილზე ახლად შეღებილი ღია ცისფერი ბოლქვსაჭრელი იდგა. მანქანის წინ გრძელი მიწაყრილი, ანუ „საფლავი“ გაჭიმულიყო. ამ „საფლავში“ ზამთრის პირველი დღეებიდან მარხავდნენ ფესვებს შესანახად. მიწაყრილის ერთ ბოლოში ორმო ამოეჭრათ, ორმოს თავზე ტესი იდგა. გაღუნული დანით აჭრიდა კორძებს ფესვებს. აცლიდა გაყინულ მიწას და თალგამს ბოლქვსაჭრელში ყრიდა. მოჯამაგირე ბიჭი მანქანის ტარს ატრიალებდა. მანქანის ღარიდან გარეთ იყრებოდა წვრილად დაჭრილი თალგამის ყვითელი ნაჭრები. მანქანის და ტყავის ხელთათმანიანი ტესის დანის კაკუნთან შერწყმული ახლად დაჭრილი თალგამის სურნელება ქარის გუგუნს უერთდებოდა და ვრცელდებოდა ჰაერში.

ვრცელი ველი, რომელზეც უკვე ამოეთხარათ თალგამი, მუქ ვარდისფრად დაღარულიყო და თანდათანობით სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ყოველი ღარის გაყოლებით დინჯად და შეუჩერებლად მოძრაობდა რაღაც ათფეხა არსება — ორი ცხენი და კაცი. მათ შორის კი — გუთანი. საგაზაფხულო ნათესებისათვის ხნავდნენ მიწას.

საათი საათს მიჰყვებოდა. არაფერი აფერხებდა უსიხარულო, მონოტონური მუშაობის რიტმს. სადღაც შორს მინდვრის გადაღმა შავი, წერტილი გამოჩნდა. წერტილი თითქოს გადანგრეული ღობის ძირიდან გამოცურდა და ახლა სულ ზევით, ზევით მიიწევდა ფერდობზე მანქანის მიმართულებით. წერტილი თავდაპირველად ერთი ციცქნა იყო, მერე პატარა ლაქად იქცა და მალე კეგლის ფორმა მიიღო. ბოლოს ფლინკტომ-ეშის მხრიდან მომავალი მამაკაცის ფიგურა ნათლად გამოისახა. მოჯამაგირე თან მანქანის ტარს ატრიალებდა, თან გულისყური მგზავრისათვის მიეპყრო, თვალს არ აშორებდა. ტესი კი თავჩაქინდრული წმენდდა თალგამს და არც შეუმჩნევია მომავალი, ვიდრე ამხანაგმა არ გაახედა.

ეს კაცი ტესის მკაცრი მეპატრონე ფერმერი გრობი არ იყო, მათკენ მომავალი მამაკაცის ჩაცმულობა სასულიერო პირის ტანისა-

მოსს ჩამოგავდა — სხვაგვარდ რომ ვთქვათ, ეს ოდესღაც თავქარიანი ალეკ დ'ერბერვილი გახლდათ. ახლა იგი არც საკუთარი ქადაგებით აღგზნებული ჩანდა, არც წინანდებურ ცეცხლს ამჟღავნებდა. პირიქით, ცოტა შემკრთალიც იყო, მოჯამაგირე ბიჭის იქ ყოფნა თუ აკრთობდა. ტესს უკმაყოფილო სახე გაუფითრდა. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა..

დ'ერბერვილი მივიდა ქალთან და წყნარად უთხრა: — მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, ტეს.

— არაფრად ჩააგდეთ ჩემი უკანასკნელი თხოვნა და მაინც მოხვედით? — მიუგო ტესმა.

— საამისოდ მნიშვნელოვანი მიზეზი მაქვს.

— ბრძანეთ!

— ჩემი სათქმელი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეიძლება თქვენ ფიქრობთ.

ალეკმა მიიხედ-მოიხედა — ყურს ხომ არავინ მიგდებსო. მოჯამაგირე მოშორებით იდგა. ესეც არ ყოფილიყო, მანქანა ისე ჭრიალებდა და ხრიალებდა, ყურთასმენა მიჰქონდა.

დ'ერბერვილმა ზურგი შეაქცია მოჯამაგირეს, რომ ტესს ჩამოფარებოდა.

— აი, რა უნდა გითხრათ, — წამოიწყო ალეკმა. მის ხმაში სინანული გაისმოდა, — როდესაც უკანასკნელად ერთმანეთს შევხვდით, თქვენსა და ჩემს საკუთარ სულზე ფიქრში, სულ გადამავიწყდა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე მეკითხა რამე. ფიქრადაც არ მომსვლია ასეთი რამ მეკითხა იმიტომ, რომ მდიდრულად გეცვათ. მაგრამ ახლა ვხედავ დიდად სახარბიელო ცხოვრება არა გქონიათ... გეტყობათ იმაზე უარესადაც ცხოვრობთ, ვიდრე მაშინ, როდესაც მე... გიცნობდით... უფრო უარესად, ვიდრე თქვენ ამას იმსახურებთ. იქნებ ბევრში მეცა მაქვს ბრალი.

ტესი დუმდა ალეკი გამომცდელად შეჰყურებდა.

ტესმა თავი ჩაქინდრა, სახე არ უჩანდა ქუდის ფურჩალებში. და კვლავ ხელი მიჰყო თალგამის წმენდას, რათა მღელვარება დაეფარა როგორმე.

— ტეს, — თითქოს კვნესისო, ამოიოხრა დ'ერბერვილმა.

— თქვენ წინაშე ისეთი დიდი დანაშაული მიმიძღვის, როგორიც არავის წინაშე! მე არც კი ვიცოდი რა მოჰყვა ყოველივე ამას, ვიდრე არ მიამბეთ. მე უღირსმა შევბღალე უბიწო სიცოცხლე! მთელი დანაშაული ჩემს კისერზეა... ჩემ მიერ ტრენტრიჯში ჩადენილი უდიდესი ცოდვა, საშინელი უკანონობაა. თქვენს ძარღვებში ჭეშმარიტ დ'ერბერვილთა სისხლი სჩქეფს, მე კი — ცრუ და თვითმარქვია ვარ. ო, რა

ბრმა ბალღი იყავით, ტეს! მე სერიოზულად ვლაპარაკობ: მშობლები ბოროტმოქმედებას სჩადიან, როცა ქალიშვილებს უმეცრებად ზრდიან, როცა არ უწყიან, რა მახე შეიძლება დაუგონ ცოდვის შვილებმა. მშობლები დამნაშავენი არიან, მიუხედავად იმისა, ამოძრავებდათ მათ კეთილი სურვილები, თუ უბრალოდ გულგრილები იყვნენ.

ტესი მდუმარედ უგდებდა ყურს. მანქანასავით შეუნელებლად ყრიდა ბოლქვსაჭრელში თალგამს თალგამზე და ველზე მომუშავე არც ერთ სხვა მოჯამაგირე ქალისაგან არ განსხვავდებოდა.

— მაგრამ მე აქ ამაზე სალაპარაკოდ როდი მოვსულვარ.

— გააგრძელა დ'ერბერვილმა, — ჩემი მდგომარეობა ასეთია: მას შემდეგ, რაც ტრენტრიჯიდან წახვედით, დედა გარდამეცვალა, ასე რომ, მთელი ადგილ-მამული ჩემს საკუთრებაში გადმოვიდა. მე მსურს გავყიდო იგი და მისიონერულ მოღვაწეობას შევწირო თავი აფრიკაში. შესაძლოა, რაიმე სასულიერო ხარისხიც მივიღო, ანდა, უბრალოდ, მისიის წევრად ჩავირიცხო, — ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ახლა აი, რა მინდა გკითხოთ: მომცემთ თუ არა საშუალებას, აღვასრულო ვალი და ჩემთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი საშუალებით გამოვისყიდო დანაშაული თქვენ წინაშე? სხვაგვარად რომ გითხრათ.

— თანახმა ხართ გახდეთ ჩემი ცოლი და ჩემთან ერთად გამოემგზავროთ აფრიკაში?.. დრო რომ უქმად არ დავკარგოთ, აი, ნახეთ, მე უკვე მივიღე ეს...

ალეკმა, ცოტა არ იყოს, უხერხულად ამოაძრო ჯიბიდან პერგამენტის ქაღალდის ნაგლეჯი.

— ეს რა არის? — იკითხა ტესმა.

— ქორწინების ნებართვა.

— ო, სერ, არა! — შესძახა ტესმა და უკან დაიხია.

— არა გსურთ? რატომ?

ალეკს სახეზე წყენა აღებეჭდა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალებას არ აძლევდნენ აღესრულებინა თავისი ვალი. აშკარა იყო: ალეკში კვლავაც იფეთქა ტესის ნდომის სურვილმა, რასაც მოვალეობაც თან სდევდა. სურვილი და მოვალეობა ერთმანეთს გადახლართვოდა ახლა.

— თქვენ ხომ, რა თქმა უნდა...

— ახლა უფრო ფიცხად წამოიწყო ალეკმა და გვერდზე გაიხედა. მოჯამაგირე ბიჭი მანქანის ტარს ატრიალებდა.

ტესი მიხვდა, რომ აქ ამაზე ლაპარაკის ადგილი არ იყო. ჩემთან ჯენტლმენი ჩამოვიდა და ცოტას გავივლიო, დაუტოვა სიტყვა ერთ

მუშა ქალს და გაჰყვა დ'ერბერვილს ზებრასავით აჭრელებულ ველზე. როდესაც ახლად დახნულ მიწის ზოლს მიუახლოვდნენ, ალეკმა ხელი გაუწოდა მისახმარებლად. ტესმა თითქოს ვერ შეამჩნიაო, ისე განაგრძო გზა ბელტებზე.

— არა გსურთ ჩემი ცოლობა, ტეს? არა გსურთ რომ პატივს ვცემდე ჩემს საკუთარ თავს? — წამოიწყო კვლავ დ'ერბერვილმა, როცა გადახნულ მიწას გასცდნენ.

— მე ვერ წამოგყვებით ცოლად.

— რატომ? — თქვენც ხომ იცით რომ არ მიყვარხართ.

— იქნებ თანდათანობით შემიყვაროთ კიდეც, როდესაც მაპატიებთ შეცოდებას.

— არა, არასოდეს! — რატომ ლაპარაკობთ ასე გადაჭრით? — მე სხვა მიყვარს. ტესის პასუხმა, ეტყობოდა თავზარი დასცა ალეკს.

— გიყვართ? — წამოიძახა მან.

— სხვა გიყვართ? კი მაგრამ, ნუთუ ზნეობრივი მოვალეობის გრძნობა არაფერს გავალდებულებთ?

— არა, მაგას ნუ ამბობთ!

— იქნებ თქვენი იმ კაცისადმი სიყვარული წუთიერი გატაცებაა, რომელსაც მალე გადალახავთ.

— არა... არა...

— ჰო, ჰო! ასეა, რატომ უარყოფთ ამას? — ვერ გეტყვით რატომ.

— ვალდებული ხართ მითხრა! — კარგით, გეტყვით... მე ცოლი ვარ მისი.

— ოჰ! — შესძახა ალეკმა და გაშეშდა, თუმცა თვალი არ მოუცილებია ტესისათვის.

— მე არ ვაპირებდი ამის თქმას, — წამოიწყო ტესმა, — აქ ეს ამბავი არავინ იცის. შეიძლება რაღაცას კი ხვდებიან, მაგრამ არ ლაპარაკობენ და თუ შეიძლება, ნურც თქვენ მკითხავთ რამეს. ერთი რამ დაიმახსოვრეთ მხოლოდ — ჩვენ უცხოები ვართ ერთმანეთისათვის ახლა.

— ჩვენ უცხოები? უცხოები!

წამით, როგორც უწინ სჩვეოდა, ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ მყისვე მოიცილა სახიდან.

— ის არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა დაბნეულმა და ხელი მოჯამაგირე ბიჭისაკენ გაიშვირა, რომელიც მანქანის სახელურს ატრიალებდა.

— ის კაცი? რა თქმა უნდა, არა! — ამაყად მიუგო ტესმა.

— მაშ, ვინაა?

— ნუ მეკითხებით, არა მსურს ამაზე ლაპარაკი! — თქვა ტესმა და

ვედრებით მიაპყრო წამწამებით დაჩრდილული დიდრონი თვალები.

დ'ერბერვილი შეკრთა და აირია.

— თუ გეკითხებით, ისევ თქვენივე გულისთვის გეკითხებით! — ცხარედ თქვა მან, — დალახვროს ეშმაკმა! ღმერთმა შემინდოს ამას რომ ვამბობ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი კეთილდღეობა მამოქმედებდა, როდესაც აქეთ მოვდიოდი! ტეს, ნუ მიცქერით ასე... არ შემიძლია თქვენი მზერის ატანა. არასოდეს არსებულა ამქვეყნად ასეთი თვალები, არც ქრისტეს დაბადებამდე და არც მის შემდეგ. არა, არ უნდა დავკარგო თავი. უფლება არა მაქვს! გამოგიტყდებით, თვალი მოგკარით თუ არა, მყისვე იფეთქა სიყვარულმა. მე კი დარწმუნებული ვიყავი, ისევე უკვალოდ იყო გამქრალი, როგორც მრავალი სხვა გატაცება. ვიმედოვნებდი ქორწინება განგვწმენდდა, „რამეთუ განწმინდდების ქმარი იგი ურწმუნო ცოლისაგან მორწმუნისა. უკეთუ არა, შვილნიმცა თქუენნი არაწმინდა იყუნეს, ხოლო აწ წმიდა არიან“.

— ვფიქრობდი ჩემთვის. მაგრამ ვაი, რომ მთელი ჩემი ფიქრები და ზრახვანი დაიმსხვრა და დაიფუშა და მე გაწბილებული ვარ!

დ'ერბერვილი წუთით დადუმდა და პირქუშად ჩააცქერდა მიწას.

— გათხოვდა! გათხოვდა... რაკიღა ასეა საქმე, — მშვიდად განაგრძო მან, შუაზე გადახია ქორწინების ნებართვა და ნაგლეჯები ჯიბეში ჩაიყარა.

— და მე თქვენი შერთვის უფლება არა მაქვს, მითხარით მაინც, იქნებ გამოგადგეთ რამეში თქვენ და თქვენს ქმარს, სულერთია, ვინც არ უნდა იყოს იგი. ბევრი რამ მინდოდა მეკითხა, მაგრამ რადგან არ გსურთ, ხმასაც არ ამოვიღებ. ერთს გეტყვით მხოლოდ: მე რომ თქვენს ქმარს ვიცნობდე, ჩემთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა დახმარების ხელი გამეწოდებინა თქვენთვისაც და მისთვისაც, სად არის, ამ ფერმაში მუშაობს?

— არა.

— წაიჩურჩულა ტესმა.

— შორსაა აქედან.

— შორს? შორს თქვენგან? ეგ სადაური ქმარია?

— ო, არ გამაგონოთ მასზე ძვირი! ყველაფერი თქვენ გამო მოხდა. მან გაიგო...

— აჰა, აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე... სამწუხაროა, ტეს! — ჰო!

— მაგრამ თქვენგან შორს ცხოვრობდეს... და გაიძულებდეთ ასეთ მძიმე სამუშაოზე იმუშაოთ!..

— ის არ მაიძულებს მუშაობას! — ცხარედ წამოიძახა ტესმა, რათა დაეცვა იქ არ მყოფი ადამიანი, — იმან არც იცის, თუ ვმუშაობ. მე თვითონ ვისურვე ეს.

— გწერთ მაინც?

— მე... მე არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი. არსებობს ბევრი რამ, რაც მხოლოდ მე და იმას შეგვეხება.

— ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ არა გწერთ, არა? მიტოვებული ცოლი ხართ, მაშ, ჩემო მშვენიერო ტეს!

ალეკმა უეცრად ხელი მოუჭირა ტესის ხელს, მაგრამ ქალს ტყავის სქელი ხელთათმანები ეცვა და მან ვერ შეიგრძნო მათი სითბო.

— არა, არ არის საჭირო! — წამოიძახა შეშინებულმა ტესმა, უცებ გამოსტაცა ხელი და ხელთათმანი ალეკს შეატოვა, — ოჰ, წადით გამცილდით! ჩემი და ჩემი ქმრის გულისათვის... ქრისტე ღმერთს გეფიცებით წადით.

— კარგით, კარგით, მივდივარ! — თქვა მან უეცრად, ხელთათმანი დაუბრუნა და წასვლა დააპირა. მერე ისევ შემობრუნდა: — ტეს, ღმერთმა უწყის, რომ არა მქონია უწმინდური აზრები, როცა თქვენს ხელს შევეხე!

საუბარში გართულებს, არც გაუგონიათ გადახნულ მიწაზე მომავალი ცხენის ჩლიქების თქარათქური. ცხენი შორიახლო შედგა, და უეცრად ყვირილი შემოესმათ:

— ეშმაკმა წაგიღოს, რას მიგიგდია სამუშაო და დაეხეტები ამ გახურებული მუშაობის დროს?!

ფერმერმა გრობმა შორიდანვე მოჰკრა თვალი მოსეირნე წყვილსა და გადაწყვიტა, გაეგო ვინ დააბოტებდა მის კუთვნილ ეზოგარემოში.

— არ გაბედოთ მასთან ასეთი ლაპარაკი! — გაცხარდა — დ'ერბერვილი და სიბრაზისაგან სულ მთლად ჩაულურჯდა სახე. სწორედ არ შეეფერებოდა ღვთისმოსავ ქრისტიანს ასეთი გაბრაზება.

— აჰ, მისტერ! რა ესაქმება მაგას მეთოდისტ პასტორებთან? — ვინ არის ეს ყმაწვილი? — მიუბრუნდა დ'ერბერვილი ტესს. ტესი ალეკს მიუახლოვდა.

— გემუდარებით, წადით!

— როგორ? წავიდე და თქვენ ამ არამზადასთან დაგტოვოთ? ზედ არ ეტყობა რა ხეპრეც არის!

— ეგ არ მაწყენინებს. შეყვარებული კი არ არის ჩემში. როგორც კი ხარება დადგება, წავალ ამ ფერმიდან.

— მორჩილების მეტი რაღა დამრჩენია. აბა... ნახვამდის!

როდესაც ტესის მოსარჩლემ, რომლისაც ქალს უფრო ეშინოდა,

ვიდრე შეურაცხმყოფლისა, უწადინოდ დატოვა იქაურობა. ფერმერმა ისევ დააყარა ლანძღვა-გინება ტესს. რაკი ტესს მისი არ ეშინოდა, როგორც მამაკაცისა, სხვა რაღა ადარდებდა. გულგრილად მოისმინა მისი ლანძღვა-გინება. ასეთ ჭკუათხელ მეპატრონესთან მუშაობა, რომელიც ალბათ სილასაც გააწნავდა მას, რომ გაებედა, დიდი შეღავათი იყო ტესისთვის წარსულ ტანჯვასთან შედარებით. მან თავი ჩაქინდრა და უსიტყვოდ გაემართა მინდვრის ბოლოსაკენ, სადაც წეღან მუშაობდა. მომხდარ ამბავს მთლიანად შთაენთქა ტესის გონება, ფიქრებში გართულმა ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგა ფერმერი გრობის ცხენი თავს.

— თუ კეთილ ინებე და მუშაობა იკისრე ჩემთან ხარებამდე, მე მოგივლი, თუ კაცი ვარ და შევასრულებინებ პირობას, — ჯიჯღინებდა ფერმერი.

— ფუი დაწყევლოს ეს ქალები ეშმაკმა. ხან ვის აეტორღიალებიან, ხანს ვის. იცოდე, შენსას არ გაგატანინებ და არც ბევრ ლოლიავს დაგიწყებ.

ტესი კარგად გრძნობდა, რომ ფერმერი მასავით არავის ავიწროებდა. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ეწვოდა ლოყა, იმ სილის მერე, კლერმა რომ გააწნა. ტესი სხვა ფიქრებმა გაიტაცა უცებ. ნეტავ როგორ მოეწყობოდა მისი ცხოვრება, ახლა თავისუფალი რომ ყოფილიყო და დათანხმებოდა შემოთავაზებულ წინადადებას. გამხდარიყო მდიდარი მემამულის ალეკ დ'ერბერვილის მეუღლე. მაშინ ხომ აღარ იქნებოდა იძულებული ამ ხეპრე მეპატრონეს დამორჩილებოდა და არც არავის, ვისაც, მისი ფიქრით, ის ეჯავრებოდა.

— არა! — წაიჩურჩულა მან, — ალბათ ვერ გავყვებოდი ცოლად, — სულ არ მომწონს!

იმავე საღამოს დაჯდა ტესი და დაიწყო კლერთან გრძნობით აღსავსე წერილის წერა. ყველაფერი დაუმალა ქმარს, რაც რამე უსიამოვნება და გაჭირვება ადგა თავს. წერდა მხოლოდ, სიკვდილამდე მეყვარებიო. ყველა, ვისაც უნარი შესწევს სტრიქონსა და სტრიქონშუა ჩამალული აზრი ამოიკითხოს, მიხვდებოდა, რომ მისი დიდი სიყვარულის მიღმა დიდი შიშიც იმალებოდა. შიში კი არა და, თითქმის სასოწარკვეთილება, გამოწვეული რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობით, რაზედაც წერილში სიტყვაც არ იყო თქმული... მაგრამ ვერც ამჯერად დაამთავრა ტესმა თავისი უსტარი... მისმა ქმარმა არ შესთავაზა იზს გამომყევი ბრაზილიაშიო?! ჰოდა, იქნება სულაც არ უყვარს ეს შენი ტესი. ნეტავ თუ მოხვდება ეს წერილი ოდესმე ენჯელის ხელში, — გაიფიქრა მან და წერილი სკივრში ჩაჩარა.

მთელმა ზამთარმა ილაჯგამწყვეტ მუშაობაში გაიარა. დაბოლოს, როგორც იქნა, დადგა ყველა მიწათმფლობელთათვის დიდმნიშვნელოვანი მირქმის ბაზრობის დღე. ამ ბაზრობაზე იდებოდა ხელშეკრულებები ხარებიდან მოკიდებული მთელი ერთი წლით. თუ რომელიმე მოჯამაგირეს სამუშაოდ სხვაგან გადასვლა ჰქონდა განზრახული, აუცილებლად მიდიოდა ამ ბაზრობაზე. ფლინტკომ-ეშის ყველა მოჯამაგირეს გაქცევაზე ეჭირა თვალი. კარგად გათენებულიც არ იყო, რომ ყველანი ქალაქისაკენ დაიძრნენ. ქალაქი ასე ათ თორმეტ კილომეტრზე იყო ფლინტკომ-ეშიდან. თანაც გზა სულ მთაგორებზე გადადიოდა. თუმცა ტესი ხარების შემდეგ აღარ აპირებდა ამ ფერმაში დარჩენას, მაგრამ შინ დარჩენილთა იმ მცირე ჯგუფში აღმოჩნდა, რომლებიც ბაზრობაზე არ წასულან. სადღაც გულში ტესს მაინც იმედის ნაპერწკალი უღვიოდა: იქნებ, ღმერთმა ქნას, ამასობაში რამე შეიცვალოს და ფერმაში მუშაობა აღარ დამჭირდესო, ფიქრობდა.

თებერვლის უჩვეულოდ თბილი დღე იდგა. კაცი იფიქრებდა, ბოლოს და ბოლოს ზამთარს სული აღმოხდაო. მარტოდ დარჩენილმა ტესმა სადილობაც ვერ მოასწრო, რომ კოტეჯის ფანჯრიდან მომავალ დ'ერბერვილს მოჰკრა თვალი.

ტესი წამოხტა, გაქცევა დააპირა, მაგრამ სტუმარი უკვე კარზე აკაკუნებდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ჰქონდა გასაქცევი. კაკუნიც, კარისაკენ მომავალი დ'ერბერვილის მიხრა-მოხრაც იმაზე მიუთითებდა, რომ ტესისა და ალეკის უკანასკნელი შეხვედრის დღიდან ალეკში რაღაც, ერთი შეხედვით თითქოს შეუმჩნეველი ცვლილება მომხდარიყო.

— თითქოს რცხვენოდა თავისი საქციელის. ტესს არ უნდოდა კარის გაღება, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას. გადასწია საგდული და მყისვე უკან დაიხია. დ'ერბერვილი შემოვიდა. შეხედა მას და არც მისალმებია, ისე დაჯდა სკამზე.

— ტეს, ვერაფერი გავაწყვე! — წამოიწყო სასოწარკვეთილმა უიმედოდ და მღელვარებისაგან აჭარხლებული სახე მოიწმინდა.

— ვერ მოვისვენე, ვგრძნობდი, რომ უნდა მოვსულიყავი და გამეგო, როგორ ცხოვრობდით. გეფიცებით, ერთხელაც არ გამხსენებიხართ, ვიდრე წარსულ კვირას შევხვდებოდით ერთმანეთს: ახლა კი სულ თან მდევს თქვენი სახება, ვერა და ვერ მოვიცილე თავიდან! სამწუხაროა, რომ კარგი და სათნო ქალი ბოროტებას სჩადის ათი მამაკაცის მიმართ, მაგრამ ვაი, რომ ასეა! თქვენ რომ ღმერთს შეევედრებოდით და გელოცათ ჩემი გულისათვის, ტეს!

ყრუ ტკივილი და წუხილი, რომელიც ალეკის ხმაში გამოსჭვიოდა, სიბრალულს იწვევდა მსმენელში, მაგრამ ტესს მაინც არ შესცოდებია იგი.

— როგორ უნდა ვილოცო თქვენთვის, — თქვა მან, — თუკი აკრძალული მაქვს მწამდეს, რომ ის დიდი ძალა, რომელიც ქვეყნიერებას განაგებს, ჩემი გულისათვის შეცვლის თავის გეგმებს.

— მართლა ასე ფიქრობთ?

— დიახ. მე განმკურნეს თვითდაიმედებისა და დარწმუნების ფიქრებისა და წარმოდგენებისაგან.

— განგკურნეს?! ვინ განგკურნათ?

— ვინა და ჩემმა ქმარმა, თუ ძალიან გსურთ იცოდეთ.

— აჰ, თქვენმა ქმარმა.. რა უცნაურია! ჰო, მახსოვს ამას წინათაც მითხარი ეგეთი რაღაც, მაშ, რა გწამთ, ტეს? — ჰკითხა მან, — თქვენ არავითარი რწმენა და რელიგია არ გაგაჩნიათ... და, შესაძლოა ამის მიზეზი მე ვიყო.

— რწმენა მაქვს, მაგრამ არაფერი ზებუნებრივი არა მწამს. დ'ერბერვილმა ურწმუნოდ გადახედა.

— მაშ, თქვენი აზრით, მე მცდარ გზას ვადგავარ? — დიახ, ცოტად თუ ბევრად ასეა.

— ჰმ... მე კი დარწმუნებული ვიყავი, — წაიდუდუნა შეშფოთებულმა.

— მე მწამს ქადაგების სიდიადე. ჩემს ძვირფას ქმარსაც სწამს, მაგრამ მე არა მჯერა...

და ტესმა სათითაოდ ჩამოთვალა, რასაც უარყოფდა რელიგიაში.

— მესმის, — ცივად წარმოთქვა დ'ერბერვილმა, — თქვენ იღებთ და ერწმუნებით ყოველივე იმას, რაც თქვენს ძვირფას ქმარს სწამს. ხოლო რასაც უარყოფს ქმარი, უარყოფთ თქვენც დაუფიქრებლად და განუსჯელად. აი, ნამდვილი დედაკაცური ჭკუა. მან დაგიმონათ თქვენ.

— დიახ, იმიტომ, რომ მან ყველაფერი იცის! — ისეთი მხურვალე და გულუბრყვილო რწმენით წამოიძახა ტესმა, როგორსაც არამცთუ ენჯელ კლერი, თვით უფრო სრულქმნილი არსებაც ვერ იმსახურებდა.

— ჰო, მაგრამ მაინც არ არის სწორი, ვიღაცის, ვინც არ უნდა იყოს ის, ნეგატიური შეხედულებების ასე ბრმად შეთვისება. კარგი ვინმე კი ბრძანებულა ეგ თქვენი ქმარი, თუ ასეთ სკეპტიციზმს გინერგავთ!

— იმას არასოდეს მოუხვევია ჩემთვის თავისი აზრები. და არც არასოდეს ჰქონია ჩემთან ამაზე ლაპარაკის სურვილი. მე კი ჩემ-

თვის ასე ვსჯიდი: ყოველივე, რაც მას, სხვადასხვა დოქტრინების საუკეთესო მცოდნეს, სწამს, — უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ჩემი საკუთარი მოსაზრებები, იმიტომ, რომ მე არასოდეს არავითარი დოქტრინა არ მისწავლია.

— მერე რაო, რას გეუბნებოდათ თქვენი ქმარი? ერთხელ ხომ მაინც გეტყოდათ რაღაცას?..

ტესი დაფიქრდა; ესმოდა თუ არ ესმოდა, სულ ზეპირად, სიტყვა სიტყვით იმახსოვრებდა ხოლმე ენჯელ კლერის ცალკეულ შენიშვნებს. ახლაც ის მკაცრი პოლემიკური სილოგიზმი გაიმეორა, რომელიც მისგან გაეგონა, როცა კლერი ხმამაღლა აზროვნებდა ხოლმე. ასეთი რამე კი იშვიათად როდი ემართებოდა კლერს. გასაოცარი იყო, ისე ზუსტად გაიხსენა ტესმა არა მარტო ტექსტი, თვით ლაპარაკის კლერისეული მანერა და ინტონაციაც კი.

— ერთხელ კიდევ თქვით, თუ შეიძლება, — სთხოვა დ'ერბერვილმა, რომელიც მთელი გულისყურით უსმენდა.

ტესმა შეუსრულა თხოვნა. დ'ერბერვილი კი ჩურჩულით იმეორებდა ტესის სიტყვებს.

— იქნებ კიდევ გახსოვთ სხვა რამე? — ჰკითხა მან ბოლოს.

— აი, ერთხელ რა მითხრა მან...

თქვა ტესმა და ისეთი არგუმენტები მოიყვანა, რომლებიც უამრავ წიგნში შეიძლებოდა ეპოვა კაცს, დაწყებული Dictionaire Philosophique.[5]

— როგორ დაიმახსოვრეთ ყველაფერი?

— მე მინდოდა მეწამა ყოველივე, რაც მას სწამდა. თვითონვე არ სურდა ეს. მე მაინც ვახერხებდი ხოლმე მეთქმევინებინა მისთვის ზოგიერთი რამ. ვერ გეტყვით, კარგად მესმოდა-მეთქი ყველაფერი, სამაგიეროდ მჯეროდა, რომ ეს სიმართლე იყო.

— ჰმ... საინტერესოა, რომ იმას მასწავლით, რისიც თავად არა გაგეგებათ რა.

დ'ერბერვილი ფიქრმა წაიღო.

— ჰოდა, აი, მეც გავყევი მის აზრებს, — თქვა ტესმა, — იმიტომ, რომ არ მინდოდა სხვადასხვანაირად გვეაზროვნა. რაც მისთვის კარგია — ჩემთვისაც კარგია.

— იცის იმან, რომ თქვენც ისეთივე ურწმუნო ხართ, როგორც ის?

— არა... მე არ ვიცი, ურწმუნო ვარ თუ არა, მაგრამ იმისთვის კი არასოდეს მითქვამს ეს.

---

5 ვოლტერის ფილოსოფიური ლექსიკონი

— ტეს, თქვენ ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ხართ, ვიდრე მე! თქვენ არა გწამთ ჩემი შეხედულებები და ჩემი რელიგია. ჰოდა, თქვენ არა გჭირდებათ მისი ქადაგება და არც სინდისი შეგაწუხებთ ამის გამო. მე კი მჯერა, რომ უნდა ვიქადაგო, მჯერა და ვცახცახებ, იმიტომ, რომ უარი ვთქვი ქადაგებაზე და ვერ მოვახერხე დამეთრგუნა ჩემი თქვენდამი სწრაფვა.

— რა?

— ჰო, — თქვა მან მოქანცული ხმით, — დღეს ამოდენა გზა იმისათვის გავლიე, რომ თქვენ მენახეთ. როცა შინიდან გამოვდიოდი, განზრახული მქონდა კესტერბრიჯის ბაზრობაზე წასვლა, დღეს იქ სამის ნახევარზე უნდა მექადაგა. ამ დროისათვის ყველა ჩემი თანამოძმენი იქ დამელოდებიან. აი, განცხადება.

დ'ერბერვილმა ჯიბიდან ამოიღო განცხადება, რომელზეც მითითებული იყო დღე, საათი და შეკრების ადგილი, სადაც მას, დ'ერბერვილს უნდა ექადაგა.

— მერე როგორ უნდა მოასწროთ იქ მისვლა? — იკითხა ტესმა და საათს შეხედა.

— მე იქ ვერ მოვასწრებ, მე აქ მოვედი.

— კი, მაგრამ თუ მართლა დაპირდით ხალხს?..

— ჰო, დავპირდი, მაგრამ არ შევასრულებ დანაპირებს და არ ვიქადაგებ. იმიტომ, რომ იმ ქალის ნახვის სურვილი მწვავს, ვინაც ოდესღაც მძულდა! არა, სინდისს გეფიცებით, თქვენ მე არასოდეს არა მძულებიხართ! ასე რომ ყოფილიყო, არც ახლა მეყვარებოდით. არა, მძულდით იმიტომ, რომ ყველაფრისდა მიუხედავად, თქვენ უბიწო ქალი ხართ; რა მტკიცედ და გადაჭრით გამშორდით, როდესაც ჩახედეთ შექმნილ ვითარებას. თქვენ როდი იქეცით ჩემ სათამაშო ტიკინად. ამიტომაც არსებობს ამქვეყნად ერთი ქვედატანი, რომელიც მე არასოდეს მძულებია და ეს ხართ თქვენ! აი, ახლა თქვენ შეგიძლიათ გძულდეთ. ვფიქრობდი, რომ ვმსახურებდი ღმერთებს მთის მწვერვალზე, მაგრამ თურმე ჯერ კიდევ დაბლობში ვწირავ. ჰა, ჰა, ჰა..

— ოჰ, ალეკ დ'ერბერვილ, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? რა ჩავიდინე ასეთი?

— რა ჩაიდინეთ? — ჩაეკითხა და თითქოს თავის თავს დასცინა — შეგნებულად არაფერი, მაგრამ თქვენ იყავით იარაღი, ბრმა იარაღი ჩემი რჯულზე გადასვლისა, როგორც ისინი ეძახიან ამას. მე ვეკითხები ჩემს თავს: ვარ განა „ცოდვის მონა“, რომელმაც „ერთხელ აირიდა ამქვეყნიური ბიწიერებანი, ისევ გაეხვია ხვანჯებში და ვერ დაძლია სისუსტე თვისი-მეთქი „და ვითომ უკანასკნელი შეცოდება

მისი უარესია, ვიდრე პირველი?“

ალეკმა მხარზე დაადო ქალს ხელი.

— ტეს, ჩემო ტეს, მე ჭეშმარიტებისა და ხსნის გზას ვადექი, საზოგადოების თვალში მაინც, ვიდრე თქვენ კვლავ გნახავდით! — წამოიძახა მან და ჟინიანად დაუწყო ტესს ნჯღრევა, თითქოს პატარა ბავშვი იყო.

— ჰოდა, რაღად მაცდუნეთ? მე მტკიცე ვიყავი როგორი მტკიცეც შეიძლება იყოს მამაკაცი, ვიდრე იგი კვლავ იხილავს ამ თვალებსა და ამ პირს... გეფიცებით, ევას შემდგომ არ არსებულა ასეთი მაცთუნებელი ბაგე!

ალეკმა ხმას დაუწია, მისმა შავმა თვალებმა ცბიერად, ეშმაკური ცეცხლით გაიელვეს.

— თქვენ მაცდური ხართ; ბაბილონელი ჯადოქარი ხართ... წინ ვერ აღვუდექ ამ ცდუნებას, როგორც კი კვლავ გიხილეთ.

— მე ვერ მოვახერხე, რომ არ გენახეთ კვლავ, — თქვა ტესმა და გაიწია.

— მე ვიცი ეს და გიმეორებთ არც გადანაშაულებთ-მეთქი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. როდესაც ვნახე, როგორ გექცევიან ფერმაში, სული ყელში მომაწვა, რომ კანონიერი უფლება არა მაქვს დაგიცვათ, არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს! ის კი, ვისაც უფლება აქვს უგულებელვყოფთ!

— არ გაბედოთ მასზე ცუდის თქმა! ის აქ არ არის! — ცხარედ წამოიძახა ტესმა, — პატივი ეცით და ზრდილობიანად მოიხსენიეთ, იმას თქვენთვის არა დაუშავებია რა! და თავი დაანებეთ მის ცოლს ვიდრე ჩხუბი და აურზაური ატყდებოდეს, რომელმაც შეიძლება ჩირქი მოსცხოს მის წმინდა სახელს! „

— ჰო! თქვა ალეკმა, საშინელი სიზმრისაგან გამოფხიზლებული კაცივით, — მე დავარღვიე მიცემული პირობა და მოვატყუე ის ცოდვილი ლოთბაზარები, რომლებთანაც უნდა მექადაგა. პირველად ჩავიდინე ასეთი ბოროტმოქმედება. ერთი თვის წინ ალბათ შემაძრწუნებდა ამის გაფიქრებაც კი. წავალ, გადავიკარგები... და ღმერთს დავუწყებ ლოცვა-ვედრებას... მომცეს ძალა და უნარი თქვენგან შორს ყოფნისა. მაგრამ, ოჰ, განა შემიძლია!..

თქვა ალეკმა და უეცრად სხვაგვარად ალაპარაკდა.

— ერთხელ ჩაგიკრავ გულში, ტეს, მხოლოდ ერთხელ! ძველი მეგობრობის ნიშნად!..

— მე უმწეო ვარ, ალეკ! მე მოვალე ვარ დავიცვა პატიოსანი კაცის წმინდა სახელი... დაუფიქრდით ამას... და შეგრცხვეთ!

— ოჰ, ჰო! ოჰ!, ღმერთო ჩემო! — საკუთარი სისუსტით აღშფოთებულმა დ'ერბერვილმა ტუჩები მოიკვნიტა. თვალთ დაუბნელდა. გაუქრა რწმენა რელიგიისაც და სიყვარულისაც. წარსულმა ბნელმა ვნებებმა, რომელნიც თითქოს ჩამკვდარიყვნენ მოქცევის შემდეგ, ახლა გაიღვიძეს და აღსდგნენ მკვდრეთით. ალეკი წამოდგა და გამოვიდა, რა გაეკეთებინა, სად წასულიყო, თავადაც არ იცოდა, თუმცა დ'ერბერვილმა განაცხადა დღევანდელი პირობის დარღვევაში რჯულზე გადასვლას ვხედავ, მაგრამ ტესის სიტყვებმა, რომლებიც ენჯელის აზრების გამოძახილს წარმოადგენდა, მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და დაცილების შემდეგაც დიდხანს არ დავიწყებია იგი. მდუმარედ მიაბიჯებდა ალეკი თითქოსდა დამძიმებული ისეთი ფიქრებითა და აზრებით, რომელიც ადრე თავში არასოდეს მოუვიდოდა. დიახ, ალეკი მიხვდა. ამიერიდან უმწეოა, აღარ ძალუძს ღვთისმსახურება. გონება არ იზიარებდა მის მოულოდნელ მოქცევას, რომელიც შესაძლო იყო დედის სიკვდილით შეძრწუნებული, ახალ-ახალ შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებს მოწყურებული ქარაფშუტა ყმაწვილი კაცის ახირება იყო.

ლოგიკის წვეთებმა, რომლებიც ტესმა ალეკის ენთუზიაზმის ზღვაში ჩააგდო, შეანელეს ალეკის ცეცხლი. კვლავ და კვლავ იხსენებდა ალეკი ტესისაგან მოსმენილ ფორმულებსა და ფიქრობდა: იმ ჭკვიანმა ყმაწვილმა რა უწყოდა, როცა ასეთ საკითხებზე ტესს ელაპარაკებოდა, რომ გზას მიკაფავდა ამ ქალისაკენ“.

XLVII

ფლინკტომ-ეშის ფერმაში პურის უკანასკნელი ზვინია გასალესი. საოცრად უფერული მარტის განთიადია. კაცი ვერ გაარკვევს საითაა აღმოსავლეთი. დაბინდული ცის ფონზე ტრაპეციის ფორმის ზვინის თავი აღმართულა. მთელი ზამთარი თოვლსა და წვიმაში განმარტოებით მდგარი ზვინი სულ მთლად ჩამორეცხილა და გამოთეთრებულა.

მხოლოდ ფაჩუნითა და შარიშურით მიხვდნენ ველზე მოსული იზ ჰუეტი და ტესი, რომ სხვებს მოესწროთ მათთვის. თანდათან ინათა და ზვინის თავზე ორი მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. გაცხარებულები მუშაობდნენ, შლიდნენ — თავს ხდიდნენ ზვინს, რომ მერე ძირს ჩამოეყარათ ძნები. ყავისფერწინსაფრიანი იზ და ტესი სხვა მოჯამაგირე ქალებთან ერთად იდგნენ და სიცივისაგან თახთახებდნენ. ფერმერმა გრობიმ ბრძანა: ხვალ ადრიან გამოდით, უნდა მოვათავოთ პურის ლეწვაო. ზედ ზვინთან ახლოს გაურკვევლად მოჩანდა

წითელი ურჩხული. მას უნდა მომსახურებოდნენ ქალები: ეს ღვედებიანი და ბორბლებინი ხის საოცარი მოწყობილობა, რომელიც სალეწი მანქანა გახლდათ, თითქოს შეუბრალებლად ცდიდა ადამიანთა კუნთებისა და ნერვების გამძლეობას.

ცოტა უფრო მოშორებით მეორე გაურკვეველი შავი საგანი იდგა, მოგუდული ხმით თავშეკავებულად შიშინებდა და ამით თავის დაფარულ ძალაზე მეტყველებდა. კოპიტის ხის გვერდით გრძელი მილი აღმართულიყო. იგი სითბოს გამოსცემდა და სიბნელეშიც კი მიხვდებოდით, რომ აქ ორი ორთქლის მანქანა იდგა, რომელიც ამ პაწია სამყაროს პრიმუმ მობილე უნდა გამხდარიყო, მანქანის გვერდით თითქოსდა ტრანსში ჩავარდნილი ჭვარტლით დაფარული შავი, მაღალი, უმოძრაო და პირქუში ადამიანი გაჩერებულაო. მის ფეხებთან ნახშირის გროვა ეყარა.

— ეს მექანიკოსი გახლდათ. მისი სახისა და ტანისამოსისათვის რომ შეგეხედათ, იტყოდით, ეს კაცი ჯოჯოხეთიდან გამოქცეულა და ამ გამჭვირვალე, უკვამლო ხორბლისა და უფერული მიწის, მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში შემოხეტებულა იმისათვის, რომ იშფოთოს და განაცვიფროს მისი ბინადარნიო რაც გარედან ჩანდა ეს ბიჭი, ის იყო შიგნითაც. მუშაობდა მიწათმოქმედებთან, მაგრამ მაინც შორს ეჭირა თავი. იგი ცეცხლსა და კვამლს ემსახურებოდა. მინდვრის მცხოვრებნი კი — მარცვლეულს, ამინდს, ყინვასა და მზეს. ფერმიდან ფერმაში და ერთი საგრაფოდან მეორე საგრაფოში მოგზაურობდა თავისი მანქანით. რადგანაც უესექსის ამ მხარეში ორთქლის მანქანა ჯერ კიდევ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა... ჩრდილოური საოცარი აქცენტით ლაპარაკობდა, თავის თავში ჩაღრმავებული კაცი იყო და ერთი წუთით არ აცილებდა თვალს თავის რკინის თანამგზავრს, თითქოს ვერც ამჩნევდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ და არც აინტერესებდა. ადგილობრივ მცხოვრებლებთან იმდენი საერთო ჰქონდა, რამდენიც აუცილებელი იყო. თითქოსდა ძველისძველი ბედისწერის ნება-სურვილით დაეხეტებოდა აქ და თავის უფალს პლუტონს ემსახურებოდა. მისი მანქანის გადამცემი ბორბლის ზვინის გვერდით მდგარ წითელ სალეწთან შემაერთებელი გრძელი ღვედი ერთადერთი რგოლი იყო, რომელიც ამ კაცს მიწათმოქმედებასთან აკავშირებდა.

ვიდრე სხვები ზვინს შლიდნენ, კაცი გარინდებული იდგა თავისი შავი და ცხელი ენერგიის მოძრავი სათავსოს გვერდით, რომლის გარშემოც დილის ჰაერი თრთოდა და ცახცახებდა მოსამზადებელ სამუშაოებში ის მონაწილეობას არ იღებდა. ნახშირი გავარვარებუ-

ლი იყო, ორთქლი შეკუმშული და ყოველ წუთს შეეძლო კაცს აემოძრავებინა გრძელი ღვედი, რომელიც მისი ნება-სურვილის მიხედვით საოცარი სისწრაფით შეიძლებოდა ამუშავებულიყო. სულერთი იყო მისთვის, რა იქნებოდა მისი მანქანის იქით: ხორბალი, ჩალა თუ ქაოსი, არაფერი არ აინტერესებდა. თუ ვინმე უსაქმური ცნობისმოყვარეობას გამოიჩენდა და ჰკითხავდა, ვინა ხარო, ის ბევრ ლაილაის როდი დაუწყებდა. „მექანიკოსიო“ — მოკლედ მოუჭრიდა.

უკვე კარგა გათენებული იყო, როდესაც ზვინი მთლიანად დამალეს. მამაკაცებმა თავთავიანთი ადგილები დაიკავეს. დედაკაცები ზევიდან მოექცნენ ზვინსა და გაჩაღდა მუშაობა: ფერმერი გრობი ან, როგორც ეძახდნენ ხოლმე „ის“ — დროზე გამოცხადდა და მისი განკარგულებით ტესი მანქანის ბაქანზე დადგა მოჯამაგირის გვერდით, რომელიც თავთავს სალეწში ყრიდა. ტესს ევალებოდა გაეხსნა ძნები, რომელსაც ის ჰუეტი მოაწვდიდა ზვინიდან, მოჯამაგირე გამოართმევდა გახსნილ ძნას, თავთავებს დატრიალებულ ბარაბანზე დაყრიდა, და გალეწილი ხორბალი წამში მზად იყო.

ხანშიშესული ხალხი ნამჯის ზვინს აყენებდა და თან იმ დროს იგონებდნენ, როცა პურს ბეღლის მუხის იატაკზე საცეხველით ცეხვავდნენ; ხორბალსაც კი ხელით ცხრილავდნენ. საქმე მძიმედ მიდიოდა, მაგრამ ეჰ, რა დრო იყო, მოსავალს ვერ აუდიოდნენ. ხორბლის ზვინზე მდგარი მუშებიც ლაყბობდნენ დროდადრო, მაგრამ იმ მუშებსა და, მათ შორის ტესსაც, რომელიც ოფლში გაღვრილები სალეწ მანქანას ემსახურებოდნენ, სიტყვის დაძვრის საშუალება არ ჰქონდათ, რომ ცოტათი მაინც შეემსუბუქებინათ შრომა. ჩაუფერხებელმა შრომამ ისე გატანჯა ტესი, თავბედს აწყევლინებდა. აღარასოდეს ამ ფერმაში სამუშაოდ ფეხს აღარ დავადგამო, ფიქრობდა.

ეკონომიური მოსაზრების გამო ამ სამუშაოზე ყოველთვის ქალებს ირჩევდნენ. ახლა კი გრობმა ტესი დააყენა, გარდა იმისა, რომ ჯანიანია და ამტანი, ძნებსაც სხვებზე სწრაფად ხსნისო, ამბობდა. კაცმა რომ თქვას, ეს მართალიც იყო, მოგუგუნე სალეწი მაშინვე აღრიალდებოდა ხოლმე, როგორც კი ხორბალი შემოაკლდებოდა. რაკი ტესი და ის მუშა, ტეს, რომ ძნებს აწოდებდა, თვალს ვერ აცილებდნენ მანქანას, ამიტომ ტესს არც ის შეუმჩნევია, როგორ მოვიდა საღილობამდე ცოტა ხნით ადრე ვიღაც კაცი და მეორე ზვინთან გაჩერდა. იდგა და თვალს არ აშორებდა მოჯამაგირეებს, განსაკუთრებით კი ტესს. უცხოს ახალ ყაიდაზე შეკერილი მაუდის კოსტუმი ეცვა და ხელში ტროსტს ატრიალებდა.

— ვინ არის ის კაცი? — ჰკითხა იზ ჰუეტმა მერიენს. რაკი ტესს ვერაფერი გააგებინა ამ ღრიალში.

— რომელიმეს სატრფო იქნება, — მაშინვე აუხსნა მერიენმა.

— გინეას დავდებ სანაძლეოდ, რომ ეგ კაცი ტესს დასდევს.

— არა, ამ ბოლოს მაგას ის ყბედი პასტორი ეარშიყებოდა, ეს კი ვიღაცა დენდის ჰგავს.

— ჰოდა, ეგაა სწორედ ის...

— ქადაგი? ღმერთო სულ არა ჰგავს.

— შავი სერთუკიც გაუხდია, თეთრი ჰალსტუხიც მოუძვრია, ულვაშებიც გაუპარსავს ვაჟბატონს, მაგრამ მაინც ისაა, ის.

— დარწმუნებული ხარ? მაშინ ვეტყვი ტესს, — აჩქარდა მერიენი.

— არ გინდა, თვითონ დაინახავს.

— მე მგონია, ვერაფერი საქმეა, ქადაგებდე კიდეც და გათხოვილ ქალსაც ეარშიყებოდე, გინდაც ცხრა მთას იქით იყოს მისი ქმარი, ქვრივივით ყავდეს მიტოვებული თავისი ცოლი.

— მერე რა, ტესს ცუდს ვერაფერს აკადრებს, — მშრალად მიუგო იზმა.

— ტესის ადგილიდან დაძვრა უფრო ძნელია, ვიდრე ტალახში ჩაფლული ურმის. ქმრის მეტი საფიქრალი არაფერი აქვს. როცა ძალიანაა საჭირო, სწორედ მაშინ ვერ შეანჯღრევ ქალს, ვერც არშიყობით, ვერც ქადაგებით, ცამაც რომ იქუხოს, იგრგვინოს და ფერხთით ჩამოვიდეს.

სადილობამ მოატანა: სალეწი მანქანა გააჩერეს. ტესმა დატოვა თავისი სამუშაო. აძაგძაგებულ მანქანაზე დგომისაგან მუხლები ისე მოკვეთოდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა.

— ხანდახან რომ მოგებაძა ჩემთვის და ცოტ-ცოტა გადაგეკრა, არ იქნებოდა ურიგო. ასეც არ გადაფითრდებოდი. კაცს ეგონება სული ამოართვესო.

კეთილმა მერიენმა იფიქრა, გატანჯულ ტესს იმ კაცის დანახვაზე სულ დაეკარგება მადაო და კიბისაკენ წაიყვანა, რომ ტვინის მეორე მხრიდან ჩასულიყვნენ, მაგრამ ჯენტლმენი წინ წამოდგა და თვალი შეავლო მათ.

ტესს ხმადაბლა ამოხდა — ოჰ-ო და, სწრაფად დასძინა: — მერიენ, მე აქვე ვისადილებ ზვინის თავზე.

ხშირად მუშაობდნენ ხოლმე ისინი ველად, ფერმიდან შორს, სადილობითაც მინდორში სადილობდნენ, მაგრამ დღეს სუსხიანი ქარი ქროდა, მერიენი და სხვა მოჯამაგირე ქალები კიბეზე დაეშვნენ და თივის ზვინის ძირში მისხდნენ პურის საჭმელად.

— ეს ჯენტლმენი მართლაც ჯერ კიდევ სულ ახლახან სახარების მქადაგებელი ალეკ დ'ერბერვილი გახლდათ. ვეღარც იცნობდით, ისე შეეცვალა გარეგნული სახეცა და ჩაცმულობაც. ნათელი იყო,

კვლავინდებურად „ამქვეყნიური ტკბობის“ წადილს შეეპყრო ყმაწვილი, თუმც სამმა თუ ოთხმა წელმა გაიარა მას შემდეგ, ალეკს კვლავაც დაებრუნებინა იმ მხიარული და აღვირახსნილი ყმაწვილი კაცის შეხედულება, როგორიც მაშინ ჰქონდა, როცა ტესმა პირველად იხილა თავისი თაყვანისმცემელი და ეგრეთ წოდებული ბიძაშვილი. რაკი ტესმა ზვინის თავზე დარჩენა გადაწყვიტა, იქვე ჩაჯდა კიდეც ძნებში ისე, რომ ქვევიდან არც ჩანდა და ჭამა დაიწყო. ფეხის ხმა შემოესმა: ვიღაც კიბეზე ამოდიოდა. წამიც და ალეკი ზვინის თავში გაჩნდა. ალეკმა გადააბიჯა ძნებს და უხმოდ დაჯდა ტესის პირდაპირ. ტესს არ შეუჩერებია ჭამა. შინიდან წამოღებული სქელი იალღოს ნაჭერი იყო მთელი მისი სადილი. სხვა მუშები მოხერხებულად მოკალათებულიყვნენ ზვინის ძირში გაშლილ თივაზე.

— როგორც ხედავთ, მე ისევ აქა ვარ, — წამოიწყო დ'ერბერვილმა.

— რატომ მაწამებთ! — ისე წამოიძახა ტესმა, თითქოს მთელი არსებით უსაყვედურებს და ამუნათებს ალეკსო.

— მე გაწამებთ თქვენ? მე მგონია, მე უნდა გეკითხებოდეთ — რატომ მაწამებთ-მეთქი?

— მე თქვენ არ გაწამებთ.

— ჰო, ცდებით! სულ მუდამ თან დამდევთ. როცა ახლა საყვედურით შემომხედეთ, კვლავ ვიხილე თქვენი თვალები, რომლებიც მოსვენებას მიკარგავენ დღითაც და ღამითაც ტეს, მას შემდეგ, რაც ჩვენი ბავშვის ამბავი მითხარით, ყველა ჩემი გრძნობა, რომლებიც მკაცრ პურიტანულ დინებას მიჰყვებოდა ახლა თქვენკენ წამოიმართნენ. თითქოს გამოსავალი ჰპოვა ნაკადმა, ერთბაშად იხუვლა და ახალ კალაპოტში გადავარდაო. რელიგიისა და რწმენის კალაპოტი ამიერიდან ამოშრა და ამის მიზეზი თქვენა ხართ!

ტესი მდუმარედ შესცქეროდა.

— ნუთუ სულ მთლად აიღეთ ხელი ქადაგებაზე? — ჰკითხა მან.

თუმცა ტესს კლერისაგან ენთუზიაზმის მქუხარე გამოვლენათა უნდობლობა შეეთვისებინა, ახლა მაინც შეშინდა წმინდა ქალურად.

დ'ერბერვილი კი კვლავაც განაგრძობდა მოჩვენებითი სიმკაცრით.

— სულ მთლად ყოველგვარი ვალდებულება დავარღვიე იმ დღეს ლოთბაზარებთან საქადაგებლად რომ უნდა წავსულიყავი კესტერბრიჯის ბაზრობაზე. ეშმაკმა უწყის რას ფიქრობენ ჩემზე ჩემი თანამოძმენი. ჰა, ჰა, ეჭვი აღარ მეპარება, რომ ისინი ახლა ტირიან და ღმერთს ევედრებიან ჩემ გამო. არა, კაცმა რომ თქვას, ცუდი როდია,

მაგრამ მე რა? განა შემეძლო კვლავინდებურად მეკეთებინა ის, რისი რწმენაც დავკარგე? ეს ხომ ბილწი თვალთმაქცობა იქნებოდა! ჰიმენასა და ალექსანდრეს მსგავსად, რომლებიც სატანასთან წარავლინეს, რათა ღვთისმგმობელობას გადაჩვეოდნენ. ო, როგორ იძიეთ შური. მე თქვენ შეგხვდით სრულიად უმწიკვლოსა და გაცდუნეთ. ოთხი წლის შემდგომ თქვენ შემხვდით მე, თავდადებულ ქრისტიანს, და ისე გამიტაცეთ, რომ შესაძლოა უფსკრულშიც გადავიჩეხო. არა, ტეს, ჩემო ბიძაშვილო, როგორც უწინ გიწოდებდით ხოლმე, ეს მხოლოდ ლაყბობაა და ნუ მიყურებთ ასე შეშინებული. რა თქვენი ბრალია, რომ ლამაზი სახე და აღნაგობა შეინარჩუნეთ. თქვენ შემჩნეულიც არა გყავდით, მე რომ თვალი მოგკარით ამ ზვინის თავზე, ეს ვიწრო წინსაფარი ნათლად ნაკვთავს თქვენს უზადო აღნაგობას, ხოლო ქუდი... თქვენ, ველზე მომუშავე გოგონებმა, უმჯობესია არ დაიხუროთ ხოლმე ეგ ქუდები თუ გინდათ, უბედურება აიცილოთ თავიდან.

ალეკი ერთ ხანს დუმილით შესცქეროდა ტესს, მერე კი დაცინვით თქვა.

— დარწმუნებული ვარ, თვით უცოლშვილოდ გადაგებული მოციქულიც კი, რომლის მიმდევრადაც მე ჩემს თავს ვრაცხდი, ვერ აღუდგებოდა წინ ასეთი ლამაზი სახის შემხედვარე, ცდუნებასა და ჩემსავით აღაღებდა ხელს თავის მოვალეობას!

ტესს რაღაც უნდოდა ეთქვა საწინააღმდეგოდ, მაგრამ ალეკის უკანასკნელმა სიტყვებმა თითქოს წაართვეს ხმის ამოღების უნარი. დ'ერბერვილი კი მაინც თავისას განაგრძობდა.

— ბოლოს და ბოლოს სამოთხე, რომელიც შეგიძლიათ თქვენ მიანიჭოთ კაცს, არა მგონია სხვა სამოთხეზე ნაკლები იყოს. მაგრამ მოდით სერიოზულად ვილაპარაკოთ ტეს.

ალეკი წამოდგა, უფრო ახლო მივიდა ტესთან, ძნებს იდაყვებით დაეყრდნო და იქვე მიწვა.

— მას შემდეგ რაც უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს, ღრმად ჩავუფიქრდი თქვენ მიერ გადმოცემულ იმ კაცის აზრებს და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ძველთაძველი, გაცვეთილი ქადაგებები მოკლებულნი არიან საღ აზრს. ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ გადამედო საწყალი პასტორ კლერის ენთუზიაზმი, ან როგორ მოვახერხე ისეთი ცეცხლით შევდგომოდი წმიდა საქმეს, რომ თავად მასაც კი გადავაჭარბე! ის კი, რაც თქვენ მითხარით უკანასკნელად, თქვენი საოცარი მეუღლის, რომლის სახელიც დღემდე არ ვიცი, სიტყვებით, რაღაც ესთეტიკური სისტემის შესახებ, რომელიც დოგმებს არ ემყარება, — მართალი გითხრათ, ჩემი საქმე არ არის.

— მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება სიყვარულის, სიკეთე-სათნოებისა და სიწმინდის სარწმუნოება გქონდეთ, თუ ვთქვათ, არ შეგიძლიათ გაიზიაროთ ის, რასაც თქვენ დოგმებს ეძახით.

— არა! მე მაგის ყმაწვილი არ გახლავართ. რაკი ამქვეყნად არავინაა, ვინაც ვთქვათ, მეტყოდა: „თუ შენ მოიქცევი ასე, ეს კარგია და სასუფეველს დაიმკვიდრებ სიკვდილის შემდეგ, მაგრამ თუ ასე იზამ, იცოდე ცუდია, შავი დღე მოგელის და ჯოჯოხეთის გაგანია არ აგცდებაო“. ამიტომაც ვერ აღვინთები. დალახვროს ეშმაკმა! მე ვერ ვიკისრებ პასუხისმგებლობას ჩემ საქციელზე, ვნებებზე, რაკი არავინაა ისეთი, ვის წინაშეც პასუხს ვაგებდი! და თქვენს ადგილზე, ჩემო ძვირფასო, მეც ასე ვიმსჯელებდი. ტესს უნდოდა ეთქვა; შენი ჩლუნგი გონება ერთმანეთში ურევს თეოლოგიასა და მორალს, მაშინ როდესაც დასაბამიდანვე ეს ორი მცნება ერთმანეთთან კავშირში არა ყოფილაო. მაგრამ რა ვქნა. ენჯელი მეტად თავშეკავებული იყო, როცა ასეთ რამეებზე ელაპარაკებოდა, თვითონ კი გაუნათლებელი იყო და არათუ გონებით, უფრო ემოციებით ცხოვრობდა ამქვეყნად. ჰოდა, ახლა არაფრის დამტკიცება არ შეეძლო.

— ღირს კი ამაზე ლაპარაკი? — თქვა ალეკმა, — მე კვლავაც თქვენ გვერდითა ვარ, როგორც ოდესმე, ჩემო ძვირფასო!

— არა, ისე არა, როგორც უწინ! ახლა სულ სხვაა! — შეევედრა ტესი, არასოდეს არ მყვარებიხართ. ოჰ, ჯობდა რწმენა შეგრჩენოდათ, მაშინ ასე ვეღარ ილაპარაკებდით ჩემთან!

— თქვენ წამართვით სარწმუნოება და დე, თქვენს ლამაზ თავს მოეკითხოს ჩემი ცოდვა! თქვენს ქმარს ეჭვიც არ შეჰპარვია, თუ მისი სიტყვები მისსავე საწინააღმდეგოდ წარიმართებოდნენ! ჰა! ჰა! დიდად მოხარული ვარ, რომ რჯულგარდასულად მაქციეთ! ტეს, მიყვარხართ, უფრო ძლიერად ვიდრე ოდესმე. გარდა ამისა, მებრალებით კიდეც. თქვენ დუმხართ, მაგრამ ხომ ვხედავ, რა მძიმე ცხოვრება გაქვთ. თქვენ უგულებელვყოფთ ის, ვისი ვალია ზრუნავდეს თქვენზე.

ტესს ლუკმა აღარ გადასდიოდა ყელში, ტუჩები გაუშრა, სუნთქვა ეკვროდა. ძლივს ესმოდა, ქვევით, თივაზე მოსადილეთა ლაპარაკი და სიცილი, თითქოს ისინი აქვე, ყურის ძირში კი არა და, სადღაც მეოთხედი მილის დაშორებით იყვნენ.

— თქვენ სასტიკი ხართ, უთხრა ბოლოს, — განა შეძლებდით ჩემთან ასე ლაპარაკს, ოდნავ მაინც რომ გიყვარდეთ?

— მართალია, მართალი! — მიუგო ალეკმა და მოიქუფრა, — მე აქ იმისათვის კი არ მოვსულვარ, რომ ჩემი დაცემა თქვენ გადაგაბრა-

ლოთ და გისაყვედუროთ. ტეს, მე არა მსურს, რომ ამდენს მუშაობდეთ, თქვენი გულისათვის მოვედი აქ. თქვენ ამბობთ, გათხოვილი ვარო, მე არა ვარ თქვენი ქმარი. იქნებ სიმართლე მითხარით, მაგრამ მე არასოდეს მინახავს ის, არც სახელი ვიცი მისი და საერთოდ ვიღაც მითიური არსება მგონია. მაგრამ გინდაც გყავდეთ ქმარი, ასე მგონია, მე უფრო ახლოსა ვარ თქვენთან, ვიდრე ის. მე ვცდილობ დახმარების ხელი გამოგიწოდოთ, ის კი — არა. ღმერთმა აკურთხოს სახელი ამ უჩინმაჩინისა! მკაცრი წინასწარმეტყველის ოსის სიტყვები მაგონდება: „მოსდევდნენ ტრფიალთა თვისთა, შევიქცე და მივიდე ქმრისა ჩემისა პირველისა რამეთუ უმჯობეს იყო ჩემდა ვიდრე აწ“. ტეს, ჩემი ორთვალა ბორცვის ძირში გვიცდის, ხოლო დანარჩენი თქვენც იცით, საყვარელო ჩემო... და არა მისო!

ტესი სულ მთლად წამოჯარხლდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

— თქვენ იყავით ჩემი განდგომის მიზეზი, — გააგრძელა ალეკმა და წელზე ხელის მოხვევა დაუპირა ტესს, — ამიტომაც ვალდებული ხართ გაიზიაროთ ჩემი ბედი და სამუდამოდ მიატოვოთ ის, ვისაც თქვენ ქმარს უწოდებთ.

ტესს მუხლებზე ედო ტყავის ერთი ხელთათმანი, რომელიც ჭამის წინ წაეძრო. მან უსიტყვოდ დაავლო ხელი ხელთათმანს, მოიქნია და შიგ ტუჩებში სთხლიშა ალეკ დ'ერბერვილს. ხელთათმანი მეომრის საბუხარივით კარგა სქელი და მძიმე იყო. აბჯარასხმულ ტესის წინაპრებს ალბათ არაერთგზის უგემებიათ მტრისათვის ასეთი დარტყმა. წინაპართა სისხლმა იჩინა თავიო, იფიქრებდა ფანტაზიის მქონე კაცი, ტესის საქციელისათვის რომ შეხედა. ძნებზე მიწოლილი ალეკი მყისვე წამოიჭრა ფეხზე. ალისფერმა წვეთმა გამოჟონა მის ტუჩებზე და წუთში წვეთ-წვეთად ჩამოეღვენთა თივაზე. მაგრამ მალე შეიკავა თავი, მშვიდად ამოიღო ცხვირსახოცი ჯიბიდან და გასისხლიანებული ტუჩები მოიწმინდა.

ტესიც წამოხტა უნებურად, მაგრამ მაშინვე ისევ ძნებზე დაეშვა.

— ახლა შეგიძლიათ დამსაჯოთ! — თქვა ტესმა და შიშითა და გამომწვევად ახედა ბეღურასავით, რომელსაც ჰა და ჰა, საცაა კისერს მოუგრეხენო.

— დამარტყით, მცემეთ! ნუ მოერიდებით ქვევით მდგარ ხალხს! მე არ ვიყვირებ. ერთხელ მსხვერპლის გაღება — მთელი სიცოცხლე მსხვერპლის გაღებაა, ასეთია კანონი.

— არა, ტეს, — რბილად მიუგო მან, — მე შემიძლია შეგინდოთ შეცოდება, მაგრამ იცოდეთ, მეტისმეტად უსამართლოდ მექცევით. გავიწყდებათ, რომ ვიქორწინებდი თქვენზე, თქვენ რომ არ მოგესპოთ ჩემთვის ამის საშუალება. განა არა გთხოვეთ ხელი? მიპასუხეთ..

— მთხოვეთ.

— თქვენ არ შეგეძლოთ თანხმობა მოგეცათ ჩემთვის. მაგრამ ერთი, რამ დაიმახსოვრეთ კარგად!

ალეკს ხმა გაუმკაცრდა. რისხვამ შეიპყრო იგი. რა გულწრფელად სთხოვდა ცოლობას, მან კი როგორი სამაგიერო მიუზღო. ალეკი მიუახლოვდა ტესს და ისე წაავლო მხრებში ხელი, რომ ქალი გადაქანდა.

— არ დაგავიწყდეს, ქალბატონო რომ ერთ დროს თქვენი ბატონი გახლდით. და ვიქნები კიდეც, ვისი ცოლიც არ უნდა ბრძანდებოდეთ, იცოდე, ჩემი ხარ მაინც, ჩემი!

ქვევიდან ხმაური მოისმა, მლეწავები წამოიშალნენ.

— მოვრჩეთ ჩხუბს, — თქვა ალეკმა და ხელი გაუშვა ტესს.

— ახლა დაგტოვებთ. ხოლო პასუხისთვის ცოტა მოგვიანებით მოვალ. თქვენ კიდევ კარგად არ მიცნობთ. სამაგიეროდ მე გიცნობთ.

თავზარდაცემული ტესი თითქოს დაყრუებულ-დამუნჯებული იჯდა. დ'ერბერვილმა გადააბიჯა ძნებს და კიბეზე დაეშვა. ლუდით დამძიმებული მუშები წამოშლილიყვნენ და იზმორებოდნენ. კვლავ აგრუხუნდა სალეწი მანქანა, აშრიალდა ნამჯა. ტესი მთვარეულივით წამოდგა, დაუბრუნდა თავის ადგილს მოგუგუნე ბარაბანთან და ძნების გახსნა დაიწყო.

XLVIII

სადილობის შემდეგ ფერმერმა მუშებს გამოუცხადა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მთვარის შუქზეც რომ მოგვიწიოს მუშაობამ ზვინი აუცილებლად დღეს უნდა გაილეწოს, რადგან ხვალ მექანიკოსი თავისი მანქანით სხვა ფერმაშია წასასვლელიო. წამით არ შეწყვეტილა განახლებული კაკუნი, გუგუნი და შრიალი.

სამი საათი იქნებოდა უკვე, რომ ტესმა, როგორც იქნა, წუთით დრო მოიხელთა, სამუშაოს აარიდა თავი და ირგვლივ მიმოიხედა; არც გაჰკვირვებია, უკან მობრუნებულ ალეკს რომ მოჰკრა თვალი ღობის ჭიშკართან. ალეკმა მყისვე დაიჭირა ტესის მზერა, ალერსიანად დაუქნია ხელი და ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა, ამით იმას ანიშნებდა, ყოველგვარი ჩხუბი და წყენა დავიწყებულიაო. ტესმა კვლავ დახარა თვალები და ყოველნაირად ცდილობდა, იქით აღარ გაეხედა.

ნელა მიიზლაზნებოდა დღე. გასალეწი ზვინი თანდათან დაჯდა

და დავიდა, ნამჯა კი ნელ-ნელა ამოიზარდა. ხორბლით სავსე ტომრებს ბეღლებში ეზიდებოდნენ. საღამოს ექვსი საათისათვის გასალეწი ზვინი ადამიანის მხარის სიმაღლეღა იყო, მაგრამ თითქოს სათვალავი არ უჩანდა დარჩენილ ძნებს. თუმცა კი გაუმაძღარმა მანქანამ უთვალავი შთანთქა. ყველა ძნამ, რომელიც ამ გველეშაპს აპურებდა, მოჯამაგირისა და ტესის ხელში გაიარა. ნამჯის გიგანტური ზვინი კი, რომელიც აღმართულიყო იქ, სადაც დილით არაფერი არ იყო, ამ მოგუგუნე მუცელამოუყორავი წითელი ღორმუცელას განავალს მიაგავდა. მოქურუშებული ღრუბლიანი დღის ბოლოს ცის დასავლეთ კიდურზე მზემ ავად გამოიჭყიტა. როგორ გაიმეტა ნეტავ ბორგნეულმა მარტმა ასეთი მომხიბლავი დაისი! სპილენძისფერი შუქი დაეფინა გაოფლილი მუშების ნაჯაფ სახეებსა და ქალების აფრიალებულ ტანსაცმელს, რომელიც მინავლული ცეცხლის ალივით ეტმასნებოდა მათ სხეულებს.

ქანცი გასცლოდა ყველას. ძალ-ღონე გამოელია მოჯამაგირესაც, რომელიც სალეწ მანქანას საკვებს აწვდიდა. აწითლებულ კისერზე მტვერი და ჩენჩო მიჰკვროდა. თავის სამუშაო ადგილს კი მაინც არ ტოვებდა. გახურებული, ოფლით დაცვარული სახე ხორბლის მტვერს დაეფარა და სულ მთლად შავად მოექცია მისი თეთრი ქუდი. აძიგძიგებული სალეწი მანქანის ბაქანზე ქალებიდან მხოლოდ ტესი იდგა. რაც უფრო მეტად ჯდებოდა გასალეწი ზვინი, მით უფრო შორდებოდნენ ტესს მერიენი და იზი. ამის გამო აღარც შენაცვლების საშუალება იყო. მანქანასთან ერთად ხტოდა ტესის ყოველი კუნთი. გაოგნებული ქალის ხელები მოწყვეტილებივით მოძრაობდნენ. ვეღარც გრძნობდა და გებულობდა, სად იყო, დაყრუებულმა ვეღარც იზის ძახილი გაიგონა ქვევიდან, თმა ჩამოგეშალაო, რომ უყვიროდა.

ყველაზე ჯანიან მუშებსაც კი გამოეცალათ არაქათი. მიწისფერი დასდებოდათ, თვალები ჩასცვივნოდათ, რამდენჯერაც თავს ასწევდა ტესი, წინ აღმართულ თივის ზვინს ხედავდა, ზედ მიფენილი მუშების ხალათები მკვეთრად გამოირჩეოდა ნაცრისფერი ცის ფონზე. იაკობის კიბესავით აღმართულიყო გრძელი, წითელი ამწე, ამწეზე უწყვეტ ნაკადად ადიოდა თივის ყვითელი მდინარე, როდესაც სულ ზევით მიისწრაფოდა და ზვინის თავზე იღვრებოდა.

ტესმა იცოდა, რომ ალეკ დ'ერბერვილი მინდვრიდან ადევნებდა თვალყურს, მაგრამ სად იდგა, ამას ვერ გეტყოდათ. მისი აქ ყოფნისათვის შეიძლებოდა კაცს ახლა გამართლება ეპოვა: ჩვეულებრივად, როგორც კი ძნის უკანასკნელი ფენა დარჩებოდა, იწყებოდა

თაგვებზე ნადირობა. ამ გართობაში ისეთი ხალხიც იღებდა მონაწილეობას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ლეწვასთან. ვინ გინდა, ტერიერებითა და საყვირებით აღჭურვილი ჯენტლმენები, ქვებითა და ჯოხებით შეიარაღებული ბიჭ-ბუჭები და სხვა ათასგვარი ჯურის გართობის მოყვარული, რომ აქ არ მოსულიყო.

ერთი საათის სამუშაო მაინც იყო დარჩენილი, რომ ზვინის ძირს შეკედლებულ თაგვებამდე მიეღწიათ, როდესაც მზემ უკანასკნელი სხივები აიკრიფა და დაისი ჩაქრა, ებოტს-სერნელის მახლობლად, ჯაინტს-ბილის გადაღმა, მარტის პირბადრი მთვარე ამოცურდა ჰორიზონტზე მიდლტონის საბატოსა და შოტსფორდის მხარეს. ბოლო ორი საათის განმავლობაში მერიენი ტესის დარდმა ააფორიაქა. ისე ახლოს მისვლაც ვერ მოახერხა, რომ როგორმე ხმა მიეწვდინა მისთვის. სხვა ქალები ჯანზე მოსასვლელად დროდადრო ლუდს სვამდნენ, ტესი კი არაფერს უშვებდა პირში, ბავშვობაშივე ეგემა, რასაც ნიშნავდა, ყელის ხშირ-ხშირი ჩაკოკლოზინება. სული ამოსდიოდა და მაინც ფეხზე იდგა, ხომ გააბუნძულეს ფერმიდან, ძალას რომ ეღალატა. ერთი-ორი თვის წინ ტესი ამ ამბავს ალბათ დიდად არ დაგიდევდათ. მაგრამ მას შემდეგ რაც დ'ერბერვილი აეტორღიალა, სამუშაოს დაკარგვის შიში ძრწოლას ჰგვრიდა.

მუშები, რომლებიც ზვინს შლიდნენ და ძნებს სალეწ მანქანაში ყრიდნენ, თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ქვევით მიწაზე მდგართ. ტესი გაოცებული დარჩა, როცა ბაქანზე გრობი ამოძვრა და ტესს წასვლა შესთავაზა. თუ გინდა წადი შენს მეგობართან, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შენს ადგილზე სხვას გამოვგზავნიო, უთხრა. მაშინვე მიხვდა ტესი ვინ იყო ეს „მეგობარი“. ეტყობა ფერმერი ამ მეგობრის თუ მტრის თხოვნით მიდიოდა ამ დათმობაზე. ტესს მუშაობაც არ შეუწყვეტია, ისე გაიქნია თავი უარის ნიშნად.

როგორც იქნა მიაღწიეს თაგვებს. დაიწყო გაცხარებული ნადირობა, რაც უფრო ძირს იწევდა ზვინი, მღრღნელები მით უფრო ღრმად მიძვრებოდნენ ხორბალში, ვიდრე ბოლოს შიშველ მიწაზე არ ამოყვეს თავები. როცა თივის უკანასკნელი ფენაც აიღეს, და თავზარდაცემული თაგვები აქეთ-იქით მიაწყდნენ, გამობრუჟებული მერიენის წივილმა ამცნო მის თანამშრომლებს, რომ ერთი თაგვი მის პატივცემულ გვამს მიხტომოდა. სხვა ქალებმა დროულად მიიღეს სათანადო ზომები და აიქალთავეს ქვედატანები, ზოგი კიდევ ამაღლებულ ადგილზე შედგა. როგორც იქნა, განდევნეს თაგვები, გაისმოდა ერთი ყეფა და ღავღავი, მამაკაცების ღრიალი, დედაკაცების წივილ-კივილი, გინება, ლანძღვა, ფეხების ბაკუნი. ბაბილონის გო-

დოლის შენების ორომტრიალში ტესმა უკანასკნელი ძნა გახსნა. გაიჩერეს სალეწი მანქანა, მიწყდა გუგუნი და ტესიც მანქანიდან მიწაზე ჩამოვიდა.

— მისი თაყვანისმცემელი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია თაგვებზე ნადირობაში, მყისვე მის ფერხთით გაჩნდა.

— თქვენ... ისევ აქა ხართ... ჩემი სილის მერე? — წაიჩურჩულა ტესმა, საბრალოს დაქანცულობისაგან ხმამაღლა ლაპარაკის თავიც აღარა ჰქონდა.

— როგორც არ უნდა მომექცეთ, რეგვენი უნდა ვიყო, რომ თქვენზე გაჯავრდე, — მიუგო ალეკმა შემპარავად, ასე იცოდა ლაპარაკი ტრენტრიჯშიც.

— როგორ ცახცახებენ პაწია ფეხების სნეულივით უსუსური ხართ და უღონო, თქვენც ხომ ხვდებით. არადა, შეგეძლოთ აღარ გემუშავათ, რაც მე მოვედი. რად ჯიუტობთ? ფერმერს ვუთხარი, უფლება არა გაქვს ასეთ საქმეზე ქალები ამუშაო-მეთქი. რა ქალის საქმეა ეს. განა თვითონ კი არ იცის, რომ ყველა კარგ ფერმაში აიღეს ხელი ამ საძაგელ ჩვეულებაზე? გაგაცილებთ, ტეს!

— გამაცილეთ.

— დაყაბულდა ტესი. ძლივს მილასლასებდა საბრალო, — გამაცილეთ, თუკი გნებავთ. მე მემახსოვრება, რომ თქვენ ჩემი ცოლად შერთვა გეწადათ, ვიდრე ჩემი გათხოვების ამბავს გაიგებდით. იქნება... იქნება თქვენ უფრო კარგი და კეთილი ხართ, ვიდრე მე ვფიქრობდი. ამ სიკეთის გამო დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ აი, სხვა რამის გამო ვჯავრობ. ზოგჯერ ვერ გამიგია, რა გაქვთ გულში.

— თუ მე უფლება არა მაქვს დავაკანონო ჩვენი ძველი ურთიერთობა, იმის უფლება ხომ მაინც მაქვს, რომ დახმარების ხელი გამოგიწოდოთ და გამოგიწოდებთ კიდეც. ვეცდები დავზოგო თქვენი სათნო სული და გრძნობები, რასაც უწინ ანგარიშს არ ვუწევდი. ჩემი სარწმუნოებრივი მანია, თუ რა დავარქვა ამას არ ვიცი, გაქრა და წავიდა, მაგრამ რაღაცრაღაც კარგი ჩემშიაც არის, — მე ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ არის. ყური მიგდეთ, ტეს, გეფიცებით ყოველივე წმინდას, რაც კი მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში არსებობს, მენდეთ! ფული სამყოფად მაქვს, სამყოფი კი არა და ზედმეტიცა მაქვს იმისათვის, რომ გაჭირვებიდან გიხსნათ თქვენც, თქვენი მშობლებიცა და და-ძმებიც. მე უზრუნველვყოფ იმათ, თუკი, რა თქმა უნდა, მენდობით.

— ამ ბოლო დროს გინახავთ ისინი? — სწრაფად ჰკითხა ტესმა.

— ჰო, იმათ არ იცოდნენ თქვენი ადგილ-სამყოფელი, რაღაც შემთხვევამ მაპოვნინა თქვენი თავი.

ცივად დაჰყურებდა ბაღის ლობიოს სარებს შორის გამომზირალი მთვარე ტესის გატანჯულ სახეს. იგი თავის სახლთან იდგა, დ'ერბერვილი — მის გვერდით.

— ნუ ახსენებთ ჩემს პატარა და-ძმებს. ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი მეცლება, როცა იმათზე ლაპარაკობთ.

— შეევედრა ტესი, — თუ თქვენ მათი დახმარება გინდათ, და ღმერთმა ხომ იცის, როგორ ჭირდებათ მათ ეს, — დაეხმარეთ, მხოლოდ ისე, რომ მე ნურაფერს მეტყვით... არა, არა! მე არაფერს თქვენგან არ მივიღებ, არც მათთვის, არც ჩემთვის.

დ'ერბერვილი შინ არ შეჰყოლია ტესს. ტესი დიასახლისთან ერთად ცხოვრობდა და ყოველთვის ვიღაცა იყო ხოლმე შინ. ტესმა დაიბანა, ივახშმა სახლის პატრონებთან ერთად, და ფიქრებში ჩაიძირა, მერე კედელთან მიდგმულ მაგიდასთან დაჯდა და პატარა ლამპის მქრქალ შუქზე გრძნობებით აღსავსე წერილის წერა დაიწყო.

„ჩემო ძვირფასო ქმარო, ნება მომეცი ასე გიწოდო, სხვაგვარად არ შემიძლია, გინდაც ჯავრობდე, როცა ჩემისთანა უღირს ცოლს გაიხსენებ. ენჯელ, არ შემიძლია არ გაგიზიარო ჩემი დარდი და ნაღველი — შენს მეტი ვინა მყავს! ენჯელ, მე შეუბრალებლად მაცთუნებენ. ვინ, ამის თქმას ვერც გავბედავ და არც მინდა მოგწერო. ვერ წარმოიდგენ, როგორ მჭირდები! არ შეგიძლია ჩამოსვლა, ახლავე, დაუყოვნებლივ, ვიდრე რამე საშინელება არ მომხდარა? თუმცა, ხომ ვიცი, რომ არ შეგიძლია. შენ ისე შორსა ხარ! გეფიცები მოვკვდები თუ სასწრაფოდ არ ჩამოხვალ, ან არ შემომითვლი, შენ ჩამოდიო. მე დავიმსახურე სასჯელი, რომელიც შენ მომიზღე, ვიცი, დავიმსახურე და შენ სრული უფლება გაქვს ჩემზე გაჯავრებული იყო. სავსებით სამართლიანად მექცევი. მაგრამ ენჯელ გემუდარები, ნუ იქნები ასეთი სამართლიანი, იოტისოდენა სიკეთე მაინც გამოიჩინე ჩემდამი, გინდაც არ ვიმსახურებდე ამას და ჩამოდი! შენ რომ ჩამოსულიყავი მე სიკვდილს შევძლებდი შენს მკლავებში. და სიხარულით მოვკვდებოდი, რაკი მეცოდინებოდა, რომ შემინდე და ყველაფერი მაპატიე!

ენჯელ თუ სული მიდგას, მხოლოდ შენთვის იცოდე, ისე მიყვარხარ, ვერც გისაყვედურებ, რომ მიმატოვე და წახვედი. მე ვიცი, განა არ ვიცი, რომ ფერმა გქონდა შესაგულებელი. არც იფიქრო, რომ ოდესმე ავს ან მწარე სიტყვას გაგაგონებ ოღონდ დამიბრუნდი. ვდარდობ უშენობით, ჩემო საყვარელო. უჰ, როგორ ვდარდობ. რომ იცოდე! ის კი არაფერია, რომ ვმუშაობ. ერთი პატარა წინადადებაც რომ მოგეწერა: „მალე ჩამოვალ“.

— ოჰ, როგორ გამინათდებოდა სიცოცხლე!

მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიქორწინეთ, შენი ერთგულება სიტყვითაცა და საქმითაც სარწმუნოებად მექცა. ვინმემ ერთი ტკბილი სიტყვაც რომ მითხრას, ასე მგონია, შენი შეურაცხყოფაა-მეთქი. ნუთუ აღარავითარი გრძნობა აღარა გაქვს ჩემდამი და სიზმარივით გაქრა ყოველი, რაც ფერმაში ყოფნის დროს ჩვენ შორის იყო? თუ არადა, მაშ როგორ ძლებ ასე შორს ჩემგან? მე კვლავ ის ქალი ვარ, ენჯელ შენ რომ შეიყვარე: და არა ის, შენ რომ არ მოგწონდა. თუმცა კი ნახვით არც არასოდეს გინახავს ის რა იყო ჩემთვის წარსული, მას შემდეგ რაც შენ შეგეყარე? — არაფერი! ის მოკვდა! მე სულ სხვა ქალად ვიქეცი. შენ პირთამდე ამავსე ახალი სიცოცხლით. ჰოდა როგორ შემიძლია ისევ ის ძველი ტესი ვიყო? როგორ არ გესმის ეს, ენჯელ, საყვარელო, შენ რომ ცოტათი უფრო პატივმოყვარე იყო და საკუთარი თავისაც უფრო გწამდეს, ვიდრე გწამს, გეყოფოდა ძალა მთლიანად შეგეცვალე. ჰოდა, მაშინ შეძლებდი კიდეც ჩემთან — შენს საბრალო მეუღლესთან ჩამოსვლას.

რა უგუნური ვიყავი, როცა ბედნიერს შემეძლო მეწამა შენი სამარადისო სიყვარული ჩემდამი! ხომ უნდა მცოდნოდა, რომ ასეთი სიყვარული ჩემისთანა უბედურისათვის არ არსებობს! მაგრამ მე მხოლოდ წარსული როდი მტანჯავს და მაწამებს, არამედ აწმყოც. დაფიქრდი, ერთი წუთით დაფიქრდი, როგორ მიკვნესის გული, როცა მგონია, რომ აღარასოდეს ვეღარ გნახავ.

— აღარასოდეს! შენ რომ ასე ყოველდღიურად თუნდაც ერთი წუთით გიკვნესოდეს გული ისე, როგორც მე, მაშინ დამერწმუნე, შემიბრალებდი მე უბედურსა და მარტოხელას.

ენჯელ, მეუბნებიან, ისეთივე კარგი ხარო (სიმართლე ვთქვა, ლამაზსაც კი მეძახიან). ვინ იცის, იქნება მართალიცაა! მაგრამ აბა, რას ვაქნევ ჩემ სილამაზეს. მე ეს იმიტომ მიხარია, რომ ის შენ გეკუთვნის, ჩემო ძვირფასო და შესაძლოა მის მეტი შენი შესაფერი არ გამაჩნია რა. ჰოდა, ამიტომ, როცა ძალიან ჩამაცივდებიან და მოსვენებას არ მომცემენ, სახეს ხილაბანდით ავიხვევ ხოლმე და ვცდილობ, რაც შეიძლება დიდხანს არ ჩამოვიხსნა. ოჰ, ენჯელ, მე ამას პატივმოყვარეობის გამო კი არ გეუბნები, არა — შენ ხომ კარგად იცი, რომ პატივმოყვარე არა ვარ, — არამედ იმის გამო, რომ შენ ჩემთან ჩამოხვიდე!

— თუ მართლა არ შეგიძლია ჩამოსვლა, თქვი და მე ჩამოვალ. გეუბნები, დავიტანჯე. ისეთ რამეს მაიძულებენ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. შეუძლებელია, რომ მე, თუნდაც ერთი ბეწო დავთმო რამე, მაგრამ მაძრწუნებს ის, რაც შესაძლოა შემთხვევამ მოიტანოს.

ჩემი პირველი შეცოდების გამო მეტად უმწეო ვარ და უსუსური. ამაზე მეტს აღარ ვილაპარაკებ — ძალიან მიმძიმს მაგრამ თუ გადამიცდა ფეხი და მახეში გავები, ეს ჩემთვის ბევრად უფრო აუტანელი იქნება, ვიდრე პირველად; ღმერთო, ამაზე ფიქრიც კი მზარავს! ნუღარ დააყოვნებ თქვი და ახლავე წამოვალ, ანდა შენ თვითონ ჩამოდი. მოახლედაც რომ დამიყენო იმითაც კმაყოფილი ვიქნები, არა, კმაყოფილი კი არა — ბედნიერი! — რაკი არ შემიძლია, რომ ცოლი ვიყო შენი, ოღონდ შენს გვერდით მაცხოვრა, ხანდახან თვალი მომაკვრევინა და მაფიქრა, რომ შენ ჩემი ხარ და მეტი არაფერი მინდა!

მზის სხივი არ მახარებს, რაკი ჩემ გვერდით არ მეგულები. მინდვრად ჭილყვავებისა და შაშვების დანახვაც არ მინდა. იმიტომ, რომ ჩვენ ერთად შევცქეროდით მათ. ახლა კი მარტო ვარ და გული მტკივა. ერთ რამეზე ვოცნებობ მხოლოდ, ერთადერთი სურვილი მაქვს, ზეცაში მიწაზე თუ ქვესკნელში შეგხვდე შენ, ჩემო ძვირფასო! ჩამოდი ჩამოდი და მიხსენი უბედურებისაგან, რომელიც მემუქრება.

მარად შენი ერთგული და გულდაკოდილი ტესი“.

XLIX

უსტარი ადრიან დილით დროულად მივიდა თავისი დანიშნულების ადგილზე — პასტორის წყნარსა და მყუდრო სახლში, რომელიც ამ ველის დასავლეთ მხარეში მდებარეობს, სადაც ჰაერი ისეთი რბილია და მიწა ისეთი მსუყე, რომ მიწის დამუშავება დიდ ჯაფასა და ზრუნვას არ მოითხოვს, როგორც ფლინტკომ-ეშში, და სადაც ხალხიც კი, ტესის აზრით, რაღაც სხვა ჯიშისაა (თორემ სინამდვილეში ყველგან ერთნაირები არიან). იმისათვის, რომ წერილის დაკარგვის საფრთხე თავიდან აეცილებინა, ენჯელმა სთხოვა ტესს, წერილები მამამისის სახელზე გაეგზავნა, მამას კი ყოველთვის ატყობინებდა, როგორც კი მისამართს გამოიცვლიდა იმ ქვეყანაში, სადაც საქმეების მოსაგვარებლად ასეთი დამძიმებული გაემგზავრა.

— აი, — უთხრა მოხუცმა მისტერ კლერმა ცოლს, — როცა კონვერტზე დაწერილი მისამართი ამოიკითხა, — თუ ენჯელი, როგორც გვწერდა, მომავალი თვის ბოლოს რიოს დატოვებასა და შინ ჩამოსვლას აპირებს, მაშინ ალბათ ამ წერილის მიღების მერე ბევრს აღარ დააყოვნებს და ჩამოვა. ეს წერილი, მე მგონია, მისი ცოლისა უნდა იყოს.

პასტორმა ღრმად ამოიოხრა და წერილი მყისვე გადაუგზავნა ენჯელს.

— ღმერთო, შენ დამიბრუნე ჩემი ბიჭი შინ მშვიდობით, — წაიდუდუნა მისის კლერმა.

— მთელი სიცოცხლე ვერ მოვისვენებ, ისე უსამართლოდ მოვექეცით. დავაშავე, უნდა გამეგზავნა კემბრიჯში სასწავლებლად. ურწმუნო იყო, მაგრამ რა მოხდებოდა, მიგვეცა მისთვისაც ისეთივე გასაქანი, როგორც მის უფროს ძმებს მივეცით. იქნება კეთილი გავლენის წყალობით შეეცვალა თავისი აზრები და ვინ იცის, ბოლოსა და ბოლოს სასულიერო წოდებაც მიეღო. ყოველ შემთხვევაში ასე მოხდებოდა თუ ისე, ეს მაინც უფრო სამართლიანობა იქნებოდა მის მიმართ.

ეს ერთადერთი სამდურავი იყო, რომელსაც მისის კლერი შვილების გამო გამოთქვამდა ხოლმე. სხვა დროს არასოდეს აძლევდა თავს იმის უფლებას, რათა წუწუნით ქმრის სიმშვიდე არ დაერღვია. ის კი არა, ამასაც იშვიათად თუ იტყოდა, იმიტომ, რომ იგი არათუ მარტო ღვთისმოსავი, ზრდილი ქალიც გახლდათ. ხომ იცოდა, რომ ქმარსაც ღრღნიდა ეჭვები ამის გამო. ერთხელ ან ორჯერ როდი გაუგონია, რა მხურვალედ ლოცულობდა ხოლმე ენჯელისათვის. სხვათა შორის, ამ ურყევ ევანგელისტს ახლაც სჯეროდა, რომ უფლება არა ჰქონდა მიეცა თავისი ურწმუნო შვილისათვის ისეთივე აკადემიური განათლება, რაც მისმა უფროსმა შვილებმა მიიღეს. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ენჯელს თავისი ცოდნა იმ მოძღვრების უარსაყოფად და დასაგმობად გამოეყენებინა, რომელსაც იგი ასეთი მგზნებარებით ქადაგებდა, ხედავდა რა ამაში თავისი არსებობის აზრს. მამის მაგალითს მისდევდნენ მისი უფროსი შვილებიც. ერთი ხელით ორი მორწმუნესთვის კვარცხლბეკის აღმართვა, ხოლო მეორეთი — ურწმუნოსათვის, თავისი მრწამსის მდგომარეობისა და იმედების შეუსაბამო საქციელად მიაჩნდა.. ყოველივე ამისდა მიუხედავად, ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟიშვილი, რომელსაც ასე შეუფერებლად უწოდა ენჯელი[6] და განკიცხულ ისაკთან ერთად მთაზე ამავალი აბრამივით ჩუმად წუხდა თავისი გადაწყვეტილების გამო ენჯელის მიმართ. მისი უტყვი ურვა ცოლის საყვედურებზე უფრო მეტად მტანჯველი იყო.

— ეს რა არის, ენჯელის ბედუკუღმართი ქორწინებაც თავის დანაშაულად მიაჩნდათ. მას რომ ფერმერობა არ ჰქონოდა მიზნად დასახული, არც იმ სოფლელ გოგოს გადაეყრებოდა. მათ რა უწყოდნენ მათი განხეთქილების ნამდვილი მიზეზი. არც ის იცოდნენ როდის

[6] ანგელოზი(ინგლ)

მოხდა ეს. თავდაპირველად ამის მიზეზი რაღაც ერთურთისადმი გადაულახავი სიძულვილი ეგონათ, მაგრამ უკანასკნელ წერილებში გაკვრით იტყობინებოდა:

ჩამოსვლას და ცოლის წაყვანას ვაპირებო. ახლა უკვე იმედი მიეცათ, რომ მათი განხეთქილება ისეთი რამით იყო გამოწვეული, რისი თავიდან აცილებაც ბოლოს და ბოლოს არც ასე ძნელი იყო. ენჯელმა მათ დაუბარა: ჩემი ცოლი თავის მშობლებთან ცხოვრობსო. ერთი სიტყვით, თავი და ბოლო ვეღარ გაარკვიეს საწყლებმა და გადაწყვიტეს, არ ჩარეულიყვნენ იმ ურთიერთობაში, რომლის გამოსწორებაც მათ არ შეეძლოთ.

ის კი ვისადმიც ტესის წერილი იყო მიმართული, თვალშეუდგამ ველებს გასცქეროდა ახლა. იგი სამხრეთ ამერიკის ცენტრალური ოლქებიდან ჯორით სანაპიროსაკენ მოემართებოდა. ენჯელს არ გაუმართლა უცხო მხარეში, ვერ იქნა და ვერ გამომჯობინდა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ჩამოსვლა ვერ მოასწრო, რომ მაშინვე სენმა დარია ხელი. ლამის იყო ყველაფრისათვის თავის მინებება და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ფერმის შეძენაზე ხომ აღარც ფიქრობდა. თუმცა მშობლებს არაფერს უმხელდა, ვიდრე სულ არ გადაწურვოდა აქ დაფუძნების იმედი.

იოლი და თავისუფალი ცხოვრების იმედებით თვალდაბრმავებული უამრავი მიწათმოქმედი, რომლებიც ენჯელთან ერთად ჩამოსულიყვნენ ამ ქვეყანაში, იტანჯებოდა და კვდებოდა. რამდენ ინგლისელთა ფერმიდან მოსულ დედას გადააწყდა გზაზე. საბრალოებს ხურვებშეყრილი მომაკვდავი ბალღები მიეკრათ მკერდზე და ფეხით მილასლასებდნენ გზაზე; დედები საკუთარი ხელით უთხრიდნენ შვილებს სამარეს, ცრემლით ალპობდნენ, აყრიდნენ მიწასა და წელმოწყვეტილები განაგრძობდნენ გზას.

თავდაპირველად ენჯელი არც ფიქრობდა ბრაზილიაში ცხოვრებაზე. განზრახული ჰქონდა სამშობლოში ერთ რომელიმე ჩრდილო, ან აღმოსავლეთ საგრაფოში შეეძინა ფერმა და აქვე გაეჩაღებინა მეურნეობა. ბრაზილიაში იგი მწარედ სასოწარკვეთილი ჩამოვიდა. ენჯელის სურვილი — გაქცეოდა თავის წარსულ ცხოვრებას, იმ დროს დაემთხვა, როცა აქეთ გამდიდრების ჟინით შეპყრობილი ინგლისელი მიწათმოქმედების მთელი ჯგრო გამოემართა. ამ ხანში კლერს თითქოს თორმეტი წელი მაინც მოემატა. ახლა მისთვის მთავარი მნიშვნელობა უფრო ცხოვრების პათოსს ჰქონდა, ვიდრე მის სილამაზეს. კარგა ხნის უარყოფილი ჰქონდა რა ძველი მისტიკური სისტემები, მან ახლა მორალის ძველი კოდექსიც გადასინჯა და მას-

ში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა მიიჩნია საჭიროდ. ვის შეიძ-ლება ვუწოდოთ ზნეობრივი? და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო: ვის შეიძლება ვუწოდოთ ზნეობრივი ქალი? სილამაზე თუ სიმახინჯე ადა-მიანის ბუნებისა მხოლოდ მიღწეულსა და ჩადენილში კი არ მდგო-მარეობს, არამედ მის მისწრაფებებსა და იმპულსებში.

ადამიანის ჭეშმარიტი ისტორია იმით კი არ განისაზღვრება, რაც უკვე ჩაიდინა მან, არამედ იმით, თუ რისი ჩადენა ეწადა.

ჰოდა, თუკი ასეა, რა შეიძლება ითქვას ტესზე?

რაკი ტესის საქციელს ამ თვალსაზრისით უდგებოდა, ენჯელი მწარედ ნანობდა აჩქარებისა და ნაადრევად გამოტანილი განაჩე-ნის გამო. სამუდამოდ აიღო მან ხელი ტესზე თუ არა? — ენჯელი ვერ იჩემებდა ამას. ჰოდა, თუ ასეა, მაშასადამე, ურიგდებოდა კიდეც მას.

ენჯელის სითბომ და სინაზემ ტესის მიმართ სწორედ იმ ხანებში იჩინა თავი, როდესაც ტესი ფლინკტომ-ეშის ფერმაში მუშაობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაებედა ენჯელისათვის თავისი ცხოვრების ამბისა და განცდების გამჟღავნება და მიწერა. ეშინოდა, არ დაერ-ღვია კლერის სიმშვიდე. კლერი საგონებელში ჩაეგდო ტესის დუ-მილს, მიზეზს კი არ კითხულობდა. ასე რომ, ტესის მორჩილი დუმი-ლი არასწორად იქნა გაგებული. არადა რა მრავლისმთქმელი იყო ეს დუმილი, კლერს რომ სცოდნოდა! ტესი ხომ ზუსტად ასრულებდა ენჯელის ბრძანებას, რომელიც თავად გადაავიწყდა კიდეც. ბუნებით თამამი ტესი, მით უმეტეს უარს ამბობდა ყოველგვარ უფლებაზე, სა-მართლიანად მიაჩნდა მისი განაჩენი და მორჩილად იხრიდა ქედს კლერის წინაშე.

ენჯელს, რომელიც ჯორით მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ერთი ინგლისელი თანამგზავრიც ახლდა, იგი კუნძულის სხვა ნაწილის მკვიდრი იყო და ახლა იმავე მიზნით ჩამოსულიყო ბრაზილიაში, რა მიზნითაც კლერი იმყოფებოდა იქ. დაბეჩავებულნი და სასოწარკვეთილები საკუთარ ავ-კარგზე მოუთხრობდნენ ერ-თმანეთს. როცა ერთი გულახდილია მეორესთან, უცილოდ მეორე-საც მოუნდება გულის გადაშლა. შორეულ ქვეყნებში მოხეტიალე ადამიანებს წესადა აქვთ გულახდილობა, მზად არიან, ლამის პირ-ველ შემხვედრს გადაუხსნან გული და ისეთი ამბები გაანდონ, რაზე-დაც ალბათ კრინტსაც არ დაძრავდნენ მეგობრებთან; ენჯელსაც ასე დაემართა, გულახდილად უამბო თანამგზავრს თავისი ბედუკუღ-მართი ქორწინების ამბავი.

უცნობს უამრავი ქვეყანა მოევლო და ათასი ჯურის ადამიანებს გადაჰყროდა თავისი ცხოვრების გზაზე.

— ენჯელი რას მოვიდოდა იმასთან. სოციალური ნორმებიდან გადახვევებს, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე ოჯახურ ცხოვრებაში ამ კოსმოპოლიტურად მოაზროვნე კაცისათვის იოტისოდენა მნიშვნელობა არა ჰქონდა, ისე, როგორც დედამიწის სფეროსათვისა აქვს დაკარგული მნიშვნელობა ველ-მინდვრებისა თუ მთების ჯაჭვის არასწორ მოხაზულობას. ენჯელის ნაამბობს იგი სრულიად სხვა კუთხით მიუდგა. მისი აზრით, ტესის წარსულს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მთავარი ის იყო, როგორი იქნებოდა იგი მომავალში. ბოლოს კი გულახდილად უთხრა, დაგიშავებია, რომ წამოსულხარ და ქალი დაგიტოვებიაო.

მეორე დღეს მოგზაურებს ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა შემოესწროთ გზაში. კლერის თანამგზავრს ხურვება შეეყარა. ცოტა ხანს იავადმყოფა და კვირის ბოლოს გარდაიცვალა საწყალი. კლერი რამდენიმე საათით შეფერხდა გზაში, რომ მიცვალებული მიწისათვის მიებარებინა, მერე კი ისევ გზას გაუდგა.

— ამ გონებაგახსნილი კაცის მიერ სხვათა შორის წარმოთქმული სიტყვა თითქოსდა აკურთხა მისმა სიკვდილმა და უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა კლერზე, ვიდრე ეთიკის შესახებ ფილოსოფოსთა ათასგვარ მსჯელობებს შეიძლებოდა მოეხდინა. როცა თავი ამ კაცს შეადარა, შერცხვა კიდეც თავისი გონებაშეზღუდულობისა. საკუთარი სისუსტე, მერყეობა და არათანმიმდევრულობაც ნათელი გახდა მისთვის. აკი იგი მუდამ განადიდებდა ელინურ ცეცხლთაყვანისმცემლობასა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მაღლა აყენებდა მას. ელინელებში კი უკანონო კავშირი არ ითვლებოდა ქალისათვის სამარცხვინოდ. შესაძლოა მისი ზიზღი არა ქალწულთა მიმართ, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული მისტიკურ სჯულის მოძღვრებასთან ერთად, სულაც არ იყოს სწორი და სამართლინი, როცა ქალი ცხოვრებისა და მზაკვრობის მსხვერპლია. კლერმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. იზი ჰუეტის სიტყვები გაახსენდა, რომლებიც ღრმად ჩაბეჭდოდა გონებაში. იზს ჰკითხა, გიყვარვარ თუ არაო. ჰოო, უპასუხა, როცა ჰკითხა ტესზე მეტად თუ გიყვარვარო, მან თავი გადააქნია — არაო, უთხრა. ტესი საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებს თქვენთვის, ამაზე მეტი კი არც მე შემიძლიაო.

ტესი გაახსენდა ისეთი, როგორიც ქორწინების დღეს იყო, როგორ შესცქეროდა, როგორ ყურადღებით ისმენდა მის ყოველ სიტყვას, თითქოს მოკვდავს კი არა, ღმერთს უსმენსო! კიდევ ის საშინელი საღამო ბუხართან ქალმა რომ წინ გადაუშალა თავისი უმანკო სული. რა შესაბრალისი იყო მაშინ აალებული ცეცხლის ენებით შუქმოფენილი ტესი. ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ კლერს შეეძლო

უსიყვარულოდ და უპატრონოდ მიეგდო იგი.

ასე, თანდათანობით, ბრალმდებელი კლერი ტესის მოსარჩლედ იქცა. თავდაპირველად რაღაც ცინიკური აზრები მოსდიოდა თავში, ზოგად პრინციპებს ემორჩილებოდა, კერძო შემთხვევის თავისებურებას უარყოფდა. მაგრამ არავის ძალუძს მუდამ ცინიკური იყოს. ჰოდა, კლერმაც განდევნა ავი ფიქრები.

მაგრამ კლერის ფიქრებში ახალი არაფერი იყო. ყველა შეყვარებულსა თუ ქმარს ასე უფიქრია თუ უმსჯელია საკუთარ თავთან. ერთი რამ იყო მხოლოდ უდავო. კლერი მართლაც სასტიკად მოექცა ტესს. ხშირად, ძალზე ხშირად არიან ხოლმე მამაკაცები სასტიკნი იმ ქალთა მიმართ, რომლებიც უყვართ, ან უყვარდათ ოდესმე, ისე როგორც ქალები არ ინდობენ ხოლმე ხშირად მამაკაცებს. მაგრამ ეს სისასტიკე სინაზესა ჰგავს იმ დიდ სისასტიკესთან შედარებით, რომელიც მას წარმოშობს. სახელდობრ, გარემოების სისასტიკე, რომელსაც იგი ადამიანისადმი იჩენს. საშუალებათა სისასტიკე ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად და დღევანდელი დღის სისასტიკე ხვალინდელის მიმართ, ხოლო ხვალინდელისა დღევანდელის მიმართ.

ისტორიულმა ინტერესმა, რომელიც დაკავშირებული იყო ტესის ძლევამოსილ დ'ერბერვილთა გვართან და რომელსაც იგი სიძულვილით ეპყრობოდა, მისი განადგურება-გაღატაკების გამო, ახლა ზემოქმედება მოახდინა კლერის გრძნობებზე. რად არ ესმოდა მას განსხვავება პოლიტიკურ ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რომელიც შემოქმედებით ფანტაზიას აღვიძებს? ამ თვალსაზრისით ტესის წარმოშობა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო, ამჟამად ეს გვარი არავითარ როლს არ თამაშობდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, სამაგიეროდ, მეოცნებისა და მორალისტისათვის, რომელიც დაცემასა და განადგურებაზე მსჯელობს, ტესის წარმოშობა უაღრესად მნიშვნელოვანი სტიმული იყო. ამ ფაქტს — საბრალო ტესის სისხლსა და გვარში შემორჩენილ ამ მცირეოდენ სხვაობას — მალე დაივიწყებენ, და დავიწყებას მიეცემა მისი მემკვიდრეობითი კავშირი მარმარილოს ქანდაკებებთან და კინგსბირის აკლდამებთან. უმოწყალოდ აცამტვერებს დრო საკუთარი ხელით შექმნილ რომანტიკას. რაც უფრო მეტად იგონებდა კლერი ტესს, მით მეტად ხედავდა მასში იმ დიდებულების ანარეკლს, რომლითაც ალბათ მისი ღირსეული წინაპრები გამოირჩეოდნენ. ამ ხილვამ კვლავ აღუძრა კლერს ძველი გრძნობები, რომელსაც რაღაც ავადმყოფური შეგრძნებები სდევდა თან.

— თუმცა ტესის წარსული უმწიკვლო არ იყო, სამაგიეროდ მას გა-

აჩნდა სხვა რაღაც უფრო ძვირფასი, ვიდრე მისი მეგობრების უბიწოება იყო. განა ეფრემის მოკრეფილი ყურძენი უფრო გემრიელი არ არის, ვიდრე აბი-ეზეს რთველი?

ასე სჯიდა აღორძინებული სიყვარული, და ამით გზას უკაფავდა ტესის გულწრფელ აღსარებას, რომელიც ეს-ეს იყო გაუგზავნა კლერს მამამისმა, მაგრამ ვაი, რომ მანძილის სიშორის გამო მას მალე ვერ მოუსმენდნენ.

ამასობაში ტესის იმედები ხან ინთებოდნენ, ხანაც ქრებოდნენ იმიტომ, რომ გარემოებამაც ისინი განშორებამდე მიიყვანა, უცვლელი რჩებოდა. ვერც შეიცვლებოდა, თუკი ისინი დავიწყებას არ მიეცნენ და არ გარდავიდნენ წარსულში. მაშინ როცა ტესი კლერთან იყო, მით უფრო არ შეიძლება მომხდარიყო ეს უიმისოდ. და მაინც მიუხედავად ყველაფრისა, ტესი იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეწონებინა ქმრისთვის თავი, თუ ვთქვათ და ჩამოვიდოდა ენჯელი. ძალიან ნანობდა, რომ არ დაიმახსოვრა ის მელოდიები, რომლებსაც ენჯელი უკრავდა არფაზე, არ ათქმევინა, რომელი ბალადები უფრო უყვარდა. ტესმა ფრთხილად გამოკითხა ზოგიერთი რამე ემბი სიდლინგს, რომელიც იზის შემდეგ ჩამოვიდა ტელბოტეისიდან. იმ სიმღერებიდან, რომელსაც გოგოები ფერმაში ვმღეროდით ხოლმე, რომ შრომა შეგვემსუბუქებინა ჩემი აზრით კლერს ყველაზე მეტად „კუპიდონის ბაღები“, „მე ბაღი მაქვს და მყავს მწევრები“ და „ალიონზე“ მოსწონდა. „თერძის შარვალს“, „ეს რა ტურფა გავიზარდეს“ კი უფრო გულგრილად უსმენდა, თუმცა არც ეს სიმღერებია ცუდიო.

— უთხრა ემბი სიდლინგმა.

— ძალიან უნდოდა ტესს ეს სიმღერები კარგად ესწავლა. როგორც კი მარტო დარჩებოდა, დაჯდებოდა და ხმადაბლა ღიღინებდა თავისთვის გასაწაფავად. განსაკუთრებით „ალიონზე“ უნდოდა კარგად ემღერა...

გაიღვიძე, გაიღვიძე
და მერე კი ტურფას შენსას
მოუკრიფე ყვავილები,
ბაღში ბლომად რომ ჰყვავიან.
ყველა გვრიტი, იცი ბაღში
ტოტებშუა ბუდეს ხლართავს,
გაზაფხულის სიმწვანეზე
ადრე დილას, ჟამს ცისკრისას.

ქვა რაა, ქვასაც კი გული აუჩუყდებოდა, ტოლებიდან განმარტოებით მომუშავე ტესის სიმღერისათვის რომ მოეკრა ყური ცივი ზამთრის დღეებში. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ღაწვებზე. აბა,

რა ამღერებს, ენჯელი ხომ მაინც არ ჩამოვა, არ მოუსმენს მის სიმღერას, — ფიქრობდა ტესი, და სიმღერის უბრალო, ქარაფშუტული სიტყვები დაცინვასავით ჩაესმოდა, უკოდავდა ისედაც დატანჯულ გულს.

ოცნებებში ჩაფლული ტესი თითქოს ვერც კი ამჩნევდა დროის მსვლელობას, დღე დღეს მისდევდა, ღამეებმა იკლო, ხარებაც კარს მოადგა. კიდევ ცოტა ხანი და ფერმიდან წასვლის დროც დადგება.

მაგრამ ხარებამდე ისეთი რამ მოხდა, რამაც სრულიად სხვა მიმართულებით წარმართა ტესის ფიქრები. ერთ საღამოს, როცა ტესი ჩვეულებისამებრ სახლის პატრონებთან ერთად სასტუმრო ოთახში იჯდა, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა და ტესი იკითხა. კარებში ბინდით მოცულ ცის ფონზე მაღალი ფიგურა აისახა. ბავშვივით გამხდარი და ძვალწვრილი რომ არ ყოფილიყო, ვინმეს დიდი ქალი ეგონებოდა. ტესმა ვერ იცნო საღამოს ბინდბუნდში, სანამ მოსულმა სახელი არ დაუძახა.

— ნუთუ... ლიზა-ლუ ხარ? — გაოცდა ტესი.

წელზე მეტი იყო, თავისი და არ ენახა ტესს. სულ ბავშვი იყო, როცა დატოვა, ახლა კი როგორ გაზრდილა, დაქალებულა, ალბათ თავადაც კარგად არ გაეგებოდა მასში მომხდარი ცვლილებებისა. ოდესღაც გრძელი ქვედაწელი ახლა დამოკლებოდა. წაგრძელებული ხელ-ფეხი, რომლებიც უხერხულობისაგან აღარ იცოდა სად წაეღო, მის სინორჩესა და გამოუცდელობაზე მეტყველებდა.

— ჰო, ტეს, მთელი დღეა ფეხით მოვდივარ, — უთხრა ლიზა-ლუმ აუღელვებლად და სერიოზულად, რომ შენ მომენახე, დავიღალე.

— შინ როგორა ხართ?

— დედა ცუდად. ექიმმა თქვა, კვდებაო! არც მამაა კარგად. სულ იმას გაიძახის ჩემისთანა დიდებული გვარიშვილისათვის ცუდია ამდენი ჯაფა და მუშაობა, ან კი ვის გაუგია, გლეხი ხომ არა ვარო. აღარ ვიცით, რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ.

ტესი ისე დააფიქრა ამ ამბავმა, რომ გოგონას შინ შეყვანაც კი ვეღარ მოიფიქრა. მერე კი დასვა, ჩაი დაალევინა და შინ წასვლა გადაწყვიტა. რადაც უნდა დაჯდომოდა, მაინც უნდა წასულიყო. ხელშეკრულების ვადა ჯერ არ გასულიყო, ხარებამდე, რომელიც ექვს აპრილს უწევდა, მართალია, ორიოდე დღე კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც გადაწყვიტა წასვლა.

ამ საღამოს რომ წასულიყო, ერთ დღეს მაინც მოიგებდა, მაგრამ საწყალი ლიზა-ლუ ისეთი დაღლილი იყო, დილამდე ალბათ ფეხსაც ვერ გადადგამდა. ტესმა მერიენთან და იზთან გადაირბინა, შეატყობინა ამბავი და სთხოვა თითო სიტყვა შეეწიათ მისთვის ფერმერთან.

როცა მობრუნდა, ლიზა-ლუ ავახშმა, ჩააწვინა თავის ლოგინში, თავად კი ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ერთი მოწნული კალათი გაავსო, აიღო ხელში და გზას გაუდგა. ლუს კი დაუბარა, დილით წამოდიო.

L

ცივი, ბნელი ღამე იდგა. ათი საათი იქნებოდა, როცა შინიდან გამოვიდა, გასავლელი კი თხუთმეტი მილი მაინც ჰქონდა. ფოლადისფრად აციმციმებული ვარსკვლავებით მოჭედილიყო ცა. უდაბურ ადგილებში ბნელი ღამე საშიში არ არის მოგზაურისათვის. პირიქით, იცავს კიდეც. მოსალოდნელი ხიფათისაგან. ტესმაც იცოდა ეს. უმოკლესი გზა აირჩია სასიარულოდ და სოფლის შუკებს გაუყვა, ამ ადგილებზე გავლას ალბათ დღისით უფრო ვერ გაბედავდა. ქურდები და ყაჩაღები ამ მხარეში არ იყო. ასეც რომ არ ყოფილიყო, მძიმედ ავადმყოფ დედაზე ფიქრმა სულ დაავიწყა შიში. ასე იარა კარგა ხანს, ხან აღმართს მიუყვებოდა, ხან დაბლობში დაეშვებოდა. ვიდრე შუაღამის ხანს ბალბეროუს მთის წვერს არ ააღწია. თვალი მოავლო უკუნეთში ჩანთქმულ ქაოსს: აქ გადაშლილი ველის ერთ შორეულ ბოლოში დაიბადა იგი. ხუთიოდე მილი იარა მთლიან პლატოზე, ათი-თერთმეტი მილი კიდევ დაბლობში ჰქონდა გასავლელი, რათა მიზნამდე მიეღწია. ვარსკვლავების მქრქალ შუქზე ძნელი გასარჩევი იყო მიხვეულ-მოხვეული გზა, რომლითაც ტესი დაბლობში დაეშვა. განსხვავება ზეგანსა და დაბლობს შორის ისე დიდი იყო, რომ ყნოსვითაც კი იგრძნობდით. გარდა ამისა, მიწაც უფრო რბილი იყო ფეხქვეშ. ეს ნოყიერი ბლეკმურის ველის ის ნაწილი გახლდათ, სადაც ვერსად გზაზე საყარაულოს ვერ ნახავთ. ქვეყნის ასეთ ადგილებში ყოველთვის ღრმადა აქვს ხოლმე ფესვი გადგმული ცრურწმენებს. ოდესღაც ეს მიდამოები ხშირი ტყით ყოფილა დაფარული. ახლა ამ ღამის უკუნეთში თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყოს დიდი ხნის წინათ გადაშენებული ტყე. სივრცე აღარ ჩანდა, სასწაულებრივი სიდიდის იყო ყოველი ხე და ბუჩქი. ირმები, რომლებზეც ოდესღაც ნადირობდნენ, კუდიანები და ჯადოქრები, რომლებსაც აწამებდნენ და წყალში ახრჩობდნენ, მწვანე კილიტებით დაფარული ფერიები, რომლებიც ყოველი გამვლელის ზურგს უკან ხითხითებდნენ — ჯერ კიდევ ცოცხლობდა და სულს უდგამდა მთელ ამ უწმინდურობას.

ნოზლბერში სოფლის დუქანს ჩაუარა გვერდით. აბრამ გაიჭრიალა მისი ფეხის ხმის პასუხად. მაგრამ ტესის გარდა არავის გაუგონია

ჭრიალი. მიდის ტესი და ფიქრით იმ ადამიანებს ხედავს, რომლებსაც ახლა ამ ჩალის სახურავების ქვეშ, წითელ ოთხკუთხა საკერებლებით შეკოწიწებული საბნის ნაფლეთებში გახვეულებს სძინავთ, რათა ძალა და ღონე დაუბრუნონ ნაჯაფსა და დაუძლურებულ სხეულს, რომ ხვალ გამთენიისას, როგორც კი გადმოიღვრება ვარდისფერი ბურუსიანი მქრქალი შუქი ჰემბლდონ ჰილის თავზე კვლავ შეება შრომის უღელს.

დილის სამ საათზე ტესმა გაიარა უკანასკნელი მოსახვევი, გამოვიდა სოფლის შუკების ლაბირინთიდან და ფეხი შედგა მარლოტში. გვერდით ჩაუარა იმ მინდორს, სადაც პირველად იხილა ენჯელ კლერი კლუბის დღესასწაულზე. ენჯელმა არ იცეკვა იმ დღეს ტესთან. ამის მოგონება დღესაც გულს უკლავდა. დედამისის სახლიდან შუქი გამოდიოდა, საძინებელი ოთახის ფანჯარა განათებული იყო, და როგორც კი ქარი მის წინ მდგარ ხის ტოტს შეარხევდა, ფანჯარა თითქოს თვალს ჩაუკრავდა ტესს, თვალი მოჰკრა თუ არა მისი ფულით ახლად გადახურულ ჩალის სახურავიან სახლს, მაშინვე აღსდგნენ მის წარმოდგენაში ძველი, კარგად ნაცნობი სურათები: ეს სახლი, რომელიც ტესის ცხოვრების ნაწილი იყო შეცბუნებული და შემკრთალი ეჩვენა — დედა ავადაა.

ტესმა ფრთხილად შეაღო ოთახის კარი, რომ ძილი არ დაეფრთხო შიგ მყოფთათვის. სახლის ქვედა სართულში არავინ იყო. კიბეზე მეზობლის ქალი გამოეგება, ის დედას უვლიდა თურმე. ერთი ჩაძინება ახლა ჩაიძინა, მაგრამ უკეთესობისკენ პირი მაინც არ უჩანსო, უთხრა ქალმა. ტესმა მოიმზადა თავისთვის საუზმე, გამოემშვიდობა მეზობელს და მისი ადგილი დაიკავა დედის ოთახში. დილით ბავშვები ნახა, სულ რაღაც ერთი წელია შინ არ ყოფილა, როგორ კი გაზრდილან და ტანი აუყრით მის და-ძმებს. მათზე ზრუნვამ ისე გაიტაცა ტესი, რომ დროებით გადაავიწყდა თავისი ნაღველი.

— მამა, როგორც ყოველთვის, უქეიფოდ იყო და ჩვეულებისამებრ თავის სავარძელში იჯდა, მაგრამ მეორე დღესვე, როგორც კი ტესი ჩამოვიდა, ერთბაშად გამხიარულდა და მომავალი მოქმედების გეგმა შეიმუშავა.

— წერილები უნდა მივწერო ინგლისის ამ მხარეში მცხოვრებ ყველა ანტიკვარს, — გააცნო ჯონმა თავისი ჩანაფიქრი, როცა ტესი დაინტერესდა, — და ვთხოვ ხელმოწერით შეაგროვონ ფული ჩემ შესანახად. დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ძალზე საუცხოო და რომანტიკულია, ერთი სიტყვით, შესაფერისი მოეჩვენებათ. ჩეჩქივით ხარჯავენ ფულს სადღაც რაღაც ნანგრევების შესანახად და აღსადგენად,

ჩონჩხების აღმოსაჩენად და რა ვიცი კიდევ რამდენ ასეთ რაღაცებზე, ჰოდა, განა ცოცხალი ნეშტი უფრო საინტერესო არ იქნება! ახლა რომ წაიყვანა იმათთან ვინმე და აამბობინა, რა კაცი ვცხოვრობ აქ, იმათ რომ გაგონებითაც არ გაუგონიათ! აფსუს, მღვდელი ტრინგჰემი რომ ცოცხალი იყოს, აი, მე რომ სიმართლე აღმომიჩინა, არ დაიზარებდა ამას.

— მაშინ ეს გრანდიოზული გეგმა ტესმა მშვიდად მოისმინა, წინააღმდეგობა არ გაუწევია — ჯერ სხვა გადაუდებელი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი, რადგან მისი გამოგზავნილი ფულების მიუხედავად, ოჯახის მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესებულიყო. როცა მოაწესრიგა შინაური არეულ-დარეული საქმეები, ახლა გარეთ მუშაობაზე უნდა ეზრუნა. ხვნა-თესვის ალო დგებოდა. ბევრ გლეხს ბაღჩაბაღები უკვე დაემუშავებინა კიდეც, მაგრამ დარბეიფილდები მეზობლებს ჩამორჩებოდნენ. ტესმა მალე დაგვიანების მიზეზიც აღმოაჩინა. მთელი სათესლე კარტოფილი გამოეჭამათ.

— სწორედ რომ აღმაშფოთებელი იყო ასეთი უყაირათობა. ტესმა, როგორც იყო, იშოვა სადღაც კარტოფილი და დაიწყო მისი დარგვა. რამდენიმე დღეში კი მამამისი ისე გამოკეთდა, რომ შეისმინა ტესის ჩიჩინი, და ხელი მიჰყო ბაღის დამუშავებას, რომელიც იჯარით ჰქონდათ აღებული. სოფლიდან ასე ორასიოდე იარდის დაშორებით.

ტესს მოსწონდა ოთახში, დედის საწოლთან გატარებული დღეების შემდეგ ბაღში, ჰაერზე მუშაობა. თანდათან ჯანზე მოდიოდა. სულ მის გვერდით ყოფნა აუცილებელი აღარ იყო. ფიზიკური შრომა კი შემოსეულ ფიქრებს უფანტავდა. მათი ნაკვეთი ორმოცსა და ორმოცდაათ სხვა ნაკვეთთან ერთად ამაღლებულ, მშრალ, შემოღობილ ადგილზე იყო. როცა მოჯამაგირეების სამუშაო დღე მთავრდებოდა, სწორედ მაშინ აქ გახურებული მუშაობა იყო გაჩაღებული, ჩვეულებრივ ექვს საათზე იწყებდნენ ბარვას და დაღამებამდე, ზოგჯერ მთვარის შუქზეც მუშაობდნენ. ზოგიერთ ნაკვეთში ხმელი სარეველა ბალახისა და ნარჩენების კოცონი ენთო. მშრალ ამინდში კოცონი უფრო ბრიალებდა.

მშვენიერი დღე იდგა. ტესი და ლიზა-ლუ სხვა გლეხებთან ერთად მინდორში მუშაობდნენ. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ნაკვეთების სამანებს — ქვის პატარა ბოძებს ეცემოდა, წამოვიდა თუ არა ბინდი, ჭანგასა და კომბოსტოს ხვიტის კოცონები აბრიალდა. მუშები ხან გაიელვებდნენ, ხანაც გაუჩინარდებოდნენ სქელ კვამლს იქით, რომელიც ქარს მიჰქონდა თან. მიწაზე გართხმული, აბრიალებული

ცეცხლის კვამლის ბოლქვები მქრქალად ანათებდა, მუშები ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ და ახლა გასაგები იყო, რა აზრით ხმარობენ ხოლმე გამოთქმას „ღრუბლის სვეტი“ — დღისით იგი კედელივით იყო აღმართული, ღამით კი ანათებდა. საღამო ჟამს ზოგიერთებმა თავი ანებეს მუშაობას, უმრავლესობა დარჩა, უნდოდათ ბარემ მოემთავრებინათ საქმე. დარჩენილებში ტესიც ერია. ლიზა-ლუ შინ გაგზავნა, თავად კი იმ ნაკვეთში მუშაობდა, რომელზეც ჭანგა აებრიალებინათ. ფიწლის ოთხი მბზინავი კბილი ხან მიწის გოროხებს ეცემოდა, ხან ქვებს ხვდებოდა. ზოგჯერ ტესი სულ მთლად გაეხვეოდა კოცონის კვამლში, როცა კვამლი გაიფანტებოდა, მისი სპილენძისფრად აელვარებული ტანი მოუჩანდა. უჩვეულოდ გამოწყობილიყო დღეს და უცნაურად გამოიყურებოდა. ხშირი რეცხვისაგან გამოხუნებულ კაბასა და ზემოდან წამოცმულ შავ ჟაკეტში. საჭირო თუ გახდებოდა, ასეთი მორთულობით ჭირშიც თავისუფლად წავიდოდა და ლხინშიც. იქვე შორიახლო მომუშავე ქალებს თეთრი წინსაფრები ეკეთათ და თუ კოცონის შუქი არა სცემდათ სახეში, მხოლოდ წინსაფრები და ფერმკრთალი სახეები მოჩანდა.

კვლავ წკრიალებდა ფიწლის კბილები ქვებზე. ჯერ კიდევ გვიანი არ იყო. გრილოდა. მაგრამ ჰაერში უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ყველას და ტესსაც სიამეს ჰგვრიდა ამ დროს ღია ცის ქვეშ ყოფნა. ტკაცუნებდა კოცონი, ამო სახილავი იყო შუქ-ჩრდილების მისტერია. სუსხიან ზამთარში ღამე მტერივით დაგეცემა ხოლმე თავს, ზაფხულში მიჯნურივით გეწვევა; მარტის ამ საღამოს კი მყუდროება და უშფოთველობა მოეტანა.

ზედაც არ უყურებდნენ ერთმანეთს. თავები დაეხარათ და კოცონით განათებულ, გადათხრილ მიწას ჩაჰკირკიტებდნენ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ტესს, რომელიც ფიწლით მიწის გოროხებს აფხვიერებდა და თავის გულუბრყვილო სიმღერებს დაჰღიღინებდა ზედ, — თუმცა კი სულ მთლად გადაეწურა იმედი, რომ კლერი მათ ოდესმე მოისმენდა, — დიდხანს არ შეუმჩნევია უცნობი კაცი, რომელიც მათ შორიახლო მუშაობდა. კაცს ტანზე სამუშაო ხალათი ეცვა, რაკი ერთხელ შენიშნა, მერე ისიც შეამჩნია ტესმა, რომ კაცი მის ნაკვეთზე მუშაობდა. მამამ თუ გამოგზავნა დასახმარებლადო, ივარაუდა და მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა კაცი მიუახლოვდა, ზოგჯერ კვამლი ჩამოდგებოდა მათ შუა, მერე ქარი წაიღებდა კვამლს და ისევ დაინახავდნენ ერთმანეთს. სხვებისთვის კი უჩინარნი იყვნენ.

ტესს ხმა არ გაუცია თავისი თანაშემწისათვის. არც კაცი გამოლაპარაკებია. მუშაობაში გართულს მიავიწყდა კიდეც იგი. ერთი გაივლო მხოლოდ გუნებაში — ასეთი კაცისათვის თვალიც არ მოუკრავს

დღისით მარლოტის გლეხებში, მაგრამ რა გასაკვირია, ამ ბოლო წლებში თითქმის არ უცხოვრია მარლოტში. კაცი თანდათან მიუახლოვდა ტესს. კოცონის ალზე მისმა ფიწალმაც გაიელვა ტესის ფიწლის მსგავსად. ტესი კოცონს მიუახლოვდა სარეველა ბალახის ჩასაყრელად, ხედავს, კაცი კოცონს იქიდან მოსდგომია და ისიც ბალახს ყრის ცეცხლში. კოცონმა იბრიალა და ერთშაბად გაანათა მიდამო. ტესის წინ ალეკ დ'ერბერვილი იდგა.

ალეკის ერთბაშად გამოჩენამ და უცნაურმა ტანსაცმელმა, — ეს ნაკეცებიანი სამუშაო ხალათი, რომელსაც ახლა გადახრჩუებული ბერიკაცებიც აღარ ატარებდნენ, გროტესკული იყო და მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა, — ტესი შეზარა. დ'ერბერვილმა ჩაიხითხითა.

— გახუმრება რომ მინდოდეს, ახლა აუცილებლად ვიტყოდი: „ოჰ, როგორა ჰგავს აქაურობა ედემის ბაღს-მეთქი, — შენიშნა ალეკმა და ქვეშ-ქვეშ გახედა ტესს.

— რა თქვით? — წყნარად ჩაკითხა ქალმა.

— ხუმარა კაცი იტყოდა-მეთქი, რომ აქაურობა ედემის ბაღს ჰგავს. თქვენ ევა ხართ, მე კი თქვენ წინაშე მდაბალი ადამიანის სახებით გამოცხადებული მაცდური. ჩემი ღვთისმოსაობის დროს მუდამ ბრწყინვალედ წარმოვთქვამდი ხოლმე მილტონის სიტყვებს...

გზა არც გრძელია, მბრძანებელო და არცა ძნელი:
ამ ტვიის ბუჩქებს რომ გასცდები, მდინარის პირას,
აყვავებულ და სურნელოვან მირას ხეებთან
და დგას ის მცენარეც, ჩემს გაყოლას თუ მოისურვებ
მე გაგიძღვები და იმ ხესთან ახლავ მიგიყვან.

მაშ, წინ გამიძეხ! — უთხრა ევამ.

და ასე შემდეგ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ტეს. ამ სიტყვებს მე გიკარნახებთ, ხომ შეიძლება თქვენც წარმოიდგინოთ, ან იფიქროთ ეს სრულიად უსაბუთოდ, რადგან ძალზე ცუდი აზრისა ხართ ჩემზე.

— მე არასოდეს არ მიფიქრია და არც მიწოდებია თქვენთვის სატანა. საერთოდ არც მომდის თავში ასეთი აზრები თქვენზე. გულგრილი ვარ თქვენ მიმართ თუ, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფას არ მაყენებთ. ნუთუ მართლა მხოლოდ ჩემი გულისათვის მოხვედით აქ მიწის სათხრელად?

— მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გულისათვის! მინდოდა მენახეთ და მეტი არაფერი. გზაზე რომ მოვდიოდი გასაყიდად გამოკიდებულ ხალათს მოვკარი თვალი. ვიფიქრე, ამაში კი ვეღარ მიცნობენ-მეთქი და ვიყიდე. ტეს, ნუ მუშაობთ ამდენს ასეთ მძიმე სამუშაოზე.

— აი, ამის სათქმელად მოვედი მე.

— მომწონს ეს საქმე! მე ხომ მამაჩემისთვის ვმუშაობ.

— იმ ფერმაში აღარ წახვალთ სამუშაოდ?

— არა.

— რას ფიქრობთ მომავალში? თქვენს ძვირფას ქმართან ხომ არ მიდიხართ?

ამ შეკითხვაზე მეტად დამცირებულად იგრძნო ტესმა თავი და მწარედ განაცხადა:

— არ ვიცი... არა მყავს მე ქმარი!.

— სავსებით სწორია იმ აზრით, რა აზრითაც თქვენ ამბობთ. სამაგიეროდ თქვენ მეგობარი გყავთ... და მე თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, თქვენზე ზრუნვა გადავწყვიტე. აი, დაბრუნდებით შინ და ნახავთ, რა გავაგზავნე შინ თქვენთვის.

— ალეკ, მე არ მინდა თქვენი საჩუქრები. მე ვერაფერს ვერ მივიღებ თქვენგან! არ მინდა... ცუდია!

— არა, ტეს, ეს კარგია! — მტკიცედ მიუგო მან.

— შეიძლება განა ქალს, რომელიც ასე სათუთად მიყვარს, უჭირდეს და მე არ ვეხმარებოდე?!

— მე არ მიჭირს! ის მაწუხებს მხოლოდ... მხოლოდ ის... როგორ ვცხოვრობ, ეგ სულაც არ მაწუხებს!

ტესი უცებ შეტრიალდა და სასოწარკვეთილი მიწას მიუბრუნდა. ცრემლები ფიწალს ეცემოდა და მიწას ნამავდა.

— ბავშვების — თქვენი და — ძმების დარდი გაწუხებთ, — უთხრა ალეკმა, — მე უკვე ვიზრუნე მათზე.

ტესს გული შეეკუმშა. ალეკმა მტკივნეულ ადგილზე შეახო ხელი, მიუხვდა წუხილის მიზეზს. ძალიან მიეჩვია ბავშვებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, რაც მათთან ერთად ცხოვრობს.

— ვიღაცა ხომ უნდა ზრუნავდეს მათზე. დედათქვენს გამობრუნების პირი არ უჩანს. მამაა და აბა, იმას რა მუშაობა შეუძლია.

— მეც თუ მივეხმარები, მამაჩემი მოახერხებს რაღაცას. ვალდებულიცაა მოახერხოს.

— ჩემი შემწეობითაც...

— არა, სერ!

— აბა, ეს რა უღმერთო უაზრობაა! — გაცხარდა დ'ერბერვილი.

— იმას ჰგონია, ჩვენ ნათესავები ვართ, ჰოდა, დიდად კმაყოფილიც დარჩება.

— არა, არ მგონია, მე გადავარწმუნე.

— რა სისულელეა!

გაგულისებული დ'ერბერვილი მოსცილდა ტესს, ღობისაკენ მიდგა. გაიხადა ხალათი, რომელშიც სულ აღარ ჰგავდა თავს, დაჭმუჭნა,

ცეცხლში მოისროლა და გასცილდა იქაურობას.

ტესმა ვეღარ მოაბა თავი მუშაობას მისი წასვლის შემდეგ, სული აუფორიაქდა. ნეტავ მამაჩემთან ხომ არ წავიდაო, — გაუელვა ფიქრმა. აიღო ფიწალი და შინისაკენ გაეშურა.

სახლიდან ოციოდე იარდზე თავისი პატარა და შემოეყარა.

— ტეს, რა მოხდა? ლიზა-ლუ ტირის! ჩვენს სახლში იმდენი ხალხია. დედა ბევრად უკეთაა, ამბობენ მამა მოკვდაო.

გოგონა გრძნობდა, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მოხდა, მაგრამ რა სამწუხარო და სავალალო იყო ეს იმას კი ვერა ხვდებოდა. იდგა, ფართოდ გახელილი, ჭკვიანური თვალებით შეჰყურებდა დას და როცა დაინახა, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა დაზე, ჰკითხა:

— ჩვენ ვეღარასოდეს დაველაპარაკებით მამას, ტეს? — კი მაგრამ, რომ არც ისე ავად იყო?! — წამოიყვირა სასოწარკვეთილმა ტესმა.

ამასობაში ლიზა-ლუც წამოადგათ თავს.

— მამა დაეცა, დედასთან რომ ექიმი მოდის ხოლმე, ის იძახის: დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ ეწერა ამ ქვეყანაზე. მთელი გული ქონით აქვს გადავლილიო, — ჰო, ცოლ — ქმარმა დარბეიფილდებმა ადგილები გაცვალეს. მომაკვდავი სიკვდილს გადაურჩა. უქეიფოდ მყოფმა — სული განუტევა. ამ მოვლენას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლებოდა ჰგონებოდა კაცს. მამის სიცოცხლე აუცილებელი იყო ოჯახისათვის მარტო მისი პირადი ღირსების გამო კი არა, ეს თუ გინდა სულაც ნუ ჰქონია. მთავარი უბედურება ის გახლდათ, რომ იგი სამიდან ერთი იმ უკანასკნელთაგანი იყო, რომლის სიკვდილთან ერთად მთავრდებოდა სახლისა და ნაკვეთის იჯარის ვადაც, რომელზედაც ისედაც კარგა ხანია ილესავდა მოიჯარადე — ფერმერი კბილებს. მუდმივი მოჯამაგირეობისათვის სახლ-კარი არა ჰყოფნიდა. გარდა ამისა, სოფლებში საერთოდ ვერ იტანდნენ მუდმივ მოიჯარადრეებს. წვრილ-წვრილი კერძო მესაკუთრეებისა არ იყოს! — ისე ამაყად ეჭირათ თავი, ბუზს არ იფრენდნენ. ჰოდა თუკი ღვთის წყალობით იჯარის ვადა მიიწურებოდა, ვინ ოხერი გაგიგრძელებდა.

ასე და ამგვარად, ჩვენს დარბეიფილდებსა და ყოფილ დ'ერბერვილებს იგივე ბედი არგუნა ღმერთმა წილად, როგორიც არა ერთხელ ურგუნებიათ მათ უმოწყალოდ იმ ხანაში, როდესაც საგრაფოს ოლიმპიელ ღმერთებს წარმოადგენდნენ ისინი, ისეთივე უმიწაწყლო გლეხებისათვის, როგორებიც თავად იყვნენ ახლა. ასე იცვლება ქვეყნად ყოველი, — მოქცევას მიქცევა მოსდევს მუდამ.

LI

როგორც იქნა, მოვიდა ხარების წინა დღეც, და მიწათმოქმედთა მთელი სამყარო იმ ციებ-ცხელებამ შეიპყრო, ყოველი წლის ამ დროს რომ იფეთქებს ხოლმე. ამ დღეს ხდება გარიგებები, იდება ხელშეკრულებები, რომლითაც ხელ-ფეხს უბორკავენ მოჯამაგირეებს ერთი წლით. მომავალ ხარებამდე. მოჯამაგირეებს, ანუ „მუშა ხალხს“, როგორც ისინი ოდითგანვე უწოდებდნენ თავიანთ თავს. ვიდრე გარე სამყაროდან ახალი სიტყვა „მოჯამაგირე“ არ შემოიჭრა. ვისაც არ სურდა ძველ სამუშაო ადგილებზე დარჩენა, ახალ ფერმებში გადადიოდნენ.

წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ამ მხარეში ფერმიდან ფერმაში გადაბარგების ჩვეულება. ჯერ კიდევ ტესის დედის ბავშვობაში მარლოტისა და მისი მიდამოების თითქმის ყველა მოჯამაგირე მთელ თავის სიცოცხლეს ერთსა და იმავე ფერმაში ატარებდა; ეს ფერმები მათ მამათა და პაპათა სახლებად ქცეულიყო თითქოს. მაგრამ ამ ბოლო წლებში გადასვლა-გადმოსვლის სენი ყველას გადაედო. ახალგაზრდები ამაში ისეთ სიამოვნებას პოულობდნენ, რომლისგანაც სარგებლობის გამოდნობაც კი შეიძლებოდა. ფერმა, რომელიც ერთთათვის ეგვიპტეს წარმოადგენდა, მეორეთ, შორიდან მაცქერალთ, სამოთხედ ეჩვენებოდათ, მაგრამ მალე იმათთვისაც ეგვიპტედ იქცეოდა ხოლმე. ამიტომაც მომთაბარეობდნენ ასე ერთი ადგილიდან მეორეში.

სულ უფრო იზრდებოდა გადასახლებულთა რიცხვი, მაგრამ ამის მიზეზი მარტო მიწათმფლობელთა უჟმური და შეუგუებელი ხასიათი როდი იყო. სოფლის მოსახლეობა თანდათან თხელდებოდა. ძველ სოფელში მოჯამაგირეთა გვერდით სხვა კლასიც არსებობდა. იგი მოჯამაგირეებზე უფრო განათლებული და მაღლა მდგარი ხალხისაგან შედგებოდა. ამ კლასში, რომელსაც ტესის დედ-მამაც განეკუთვნებოდა, უმეტესწილად შედიოდნენ ხურო, მჭედელი, მეწაღე, მეწვრილმანე და სოფლის სხვა მცხოვრებნი, რომლებიც ქირით არ მუშაობდნენ. ეს ხალხი ბევრად უფრო მტკიცე იყო და მიზანდასახულიც, რაც უფრო იმით აიხსნებოდა, რომ ისინი ან სამუდამო მოიჯარადრენი იყვნენ, ტესის მამის მსგავსად, ან წვრილი მიწათმფლობელნი, ხოლო როცა მიიწურებოდა ამ გრძელვადიანი იჯარის ვადა, ამ სახლებს უმეტესწილად ანგრევდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ფერმერს მოჯამაგირეების დასაბინავებლად არ სჭირდებოდა. მათ, ვინც მიწას უშუალოდ თავად არ ამუშავებდა, ცოტა არ იყოს, ალმაცერად

უყურებდნენ, ხოლო ერთთა გასახლება მეორეთა გამომუშავებაზე ახდენდა ზეგავლენას, და ამ უკანასკნელთ თავის მხრივ უნდა დაეტოვებინათ სოფელი: ეს ოჯახები, რომლებიც ოდესღაც სოფლის ხერხემალს წარმოადგენდნენ, ახლა იძულებულნი ხდებოდნენ თავშესაფარი მსხვილ ცენტრებში ეძებნათ. სტატისტიკოსებმა, რომლებიც იუმორის გრძნობას როდი გახლდნენ მოკლებულნი, გაძლიერებული დენადობა ასე განსაზღვრეს: „სოფლის ბინადართა სწრაფვა დიდი ქალაქებისაკენ“. მაგრამ მდინარეც კი აღმა წავა, თუ მანქანებს უკუღმა დააბრუნებენ.

— რაკი ბევრი კოტეჯი დაინგრა მარლოტში, ფერმერები სულიმწარით ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ყოველ გადარჩენილ სახლს მოჯამაგირებისათვის. დღიდან ამ ამბისა, რომელმაც ასეთი ჩრდილი მიაყენა ტესს, დარბეიფილდთა ოჯახი (რომლის წარმოშობამაც ტესს ვერაფერი სიკეთე მოუტანა) უხმაუროდ იქნა განწირული გამოსასახლებლად იჯარის ვადის დამთავრებისთანავე, — თუნდაც მორალის სახელით. ჰოდა, ასეც იყო, სულაც არ გამოირჩეოდნენ ამ ოჯახის წევრები თავშეკავებულობით, კეთილგონიერებითა და სიწმინდით. დედა და მამა იყო და ხშირ-ხშირად სვამდნენ. პატარებისთვის ქუდი რომ შეგეგდოთ, იქნებ ძლივს შეეხედათ ეკლესიაში. უფროსი ქალიშვილი კი საეჭვოდ და საძრახისად იქცეოდა. ხომ უნდა ეზრუნათ სოფლის მორალური სიწმინდისათვის. ამიტომაც პირველსავე ხარებას, როგორც კი დარბეიფილდების გამოსახლების საშუალება გაჩნდა, მაშინვე წარადგინა მოთხოვნილება მათ კარგა მოზრდილ სახლზე წვრილშვილის პატრონმა მზიდავმა. ხოლო ქვრივი ჟოანი, მისი ქალიშვილები — ტესი, ლიზა-ლუ, ვაჟიშვილი აბრეჰემი და უმცროსი ბავშვები სადმე სხვაგან უნდა გადაბარგებულიყვნენ.

ადრიანად დაეშვა ბინდი გამგზავრების წინა საღამოს. ცას ღრუბლები გადაჰკვროდა, ჟინჟღლავდა. უკანასკნელი იყო ეს საღამო მათთვის ამ სოფელში, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ. მისის დარბეიფილდი ლიზა-ლუსა და აბრეჰემთან ერთად ნაცნობ-მეგობრებთან გამოსამშვიდობებლად წავიდნენ, ტესი შინ დარჩა სახლის მისახედად.

მუხლებით დაეყრდნო ფანჯარასთან მდგარ სკივრს და სახე ფანჯრის მინას მიადო. მინის მეორე მხარეს ღვარად ჩამოდიოდა წვიმის წვეთები. ტესი ობობას ქსელს მისჩერებოდა. ვინ იცის, საწყალი ობობა რა ხანია მოკვდა შიმშილით იმის გამო, რომ თავისი უმეცრებით ისეთ კუთხეში გაუბამს ქსელი, სადაც ერთი ბუზიც კი არ დაფრინავს. ქარი ქშუტუნით იჭრებოდა ხვრელში. ტესს ამცივნებდა, ტანში,

არა, ის რომ არ ჩამოსულიყო შინ, აუცილებლად მისცემდნენ დედასა და ბავშვებს ამ სახლში დარჩენის ნებას. ყოველკვირეული საიჯარო გადასახადის პირობით, — ფიქრობდა ოჯახის მძიმე მდგომარეობით შეჭირვებული ტესი და თავს დამნაშავედ თვლიდა, — ის კიდევ ჩამობრძანდა და მიიპყრო გავლენიან და მაღალზნეობრივ გვამთა ყურადღება, განა არა ხედავდნენ, ასტამით რომ დადიოდა სასაფლაოზე, მიწასთან გასწორებული ბავშვის საფლავის მოსავლელად. იმათ კიდევ, რაკი შეიტყვეს მისი ჩამოსვლის ამბავი, ჟოანს ლანძღვა-გინება დაუწყეს, რომ შეიკედლა და ასეთ ქალიშვილს თავშესაფარი მისცა. ჟოანი გაჯავრდა, მკვახედ უპასუხა და ამაყად გამოუცხადა: დღესვე შემიძლია დავტოვო აქაურობაო. იმათაც რა სინდისი შეაწუხებდათ, გამოიჭირეს სიტყვაზე და აჰა, მიბრძანდი ახლა, ბატონო, საითაც გენებოს.

„არა, არ უნდა ჩამოვსულიყავი შინ“, — წუხდა ტესი.

ისე გაიტაცა ფიქრებმა, რომ არც კი შეუმჩნევია თეთრ მაკინტოშიანი კაცი, რომელიც ცხენით მოდიოდა ქუჩაში. უცნობმა კი მაშინვე შენიშნა ფანჯარასთან მისკუპებული ტესი. ცხენოსანი ისე ახლოს მივიდა ფანჯარასთან, ლამის სულ მთლად გადაჯეგა ცხენმა კედლის გასწვრივ ჩაყოლებული ბუჩქები. ტესმა მხოლოდ მაშინ იცნო კაცი, როცა მან მათრახის ტარით მიუკაკუნა ფანჯარაზე. წვიმას თითქმის გადაეკარებინა. კაცმა ანიშნა, გააღე ფანჯარაო.

ტესი დაემორჩილა და გაღო.

— ვერ დამინახეთ? — ჰკითხა დ'ერბერვილმა.

— არ მიმიქცევია ყურადღება, — მიუგო ტესმა.

— მომესმა კი, რომ ვიღაც მოდიდა, მაგრამ ასე მეგონა, ეტლი იყო, ფიქრებში გავერთე.

— დ'ერბერვილთა ეტლის ბორბლების ჭრიალი თუ შემოგესმათ? გაგიგიათ ალბათ ეს ლეგენდა, არა?

— არა. ჩემი... ერთ კაცს უნდოდა ეამბნა, მაგრამ აღარ მიამბო.

— თუ ჭეშმარიტი დ'ერბერვილი ხართ, არც მე უნდა გიამბოთ. მე კი თვითმარქვია გახლავართ, ასე რომ, ჩემთვის სულერთია. მეტად სევდიანი ლეგენდაა: ამბობენ, ამ არარსებული ეტლის ბორბლების გრიალი მხოლოდ და მხოლოდ იმას შეუძლია გაიგონოს, ვის ძარღვებშიაც ჭეშმარიტი დ'ერბერვილის სისხლი სჩქეფს და მისთვის ეს ავისმომასწავებელი ნიშანიაო. ლეგენდაში მოთხრობილია ერთი მკვლელობის ამბავი, რომელიც საუკუნეების წინ დ'ერბერვილთა გვარის ერთ ნაშიერს ჩაუდენია.

— რაკი დაიწყეთ, ბოლომდე მომიყევით ბარემ:

— ვინმე დ'ერბერვილს ლამაზი ქალი მოუტაცია ეტლით. ქალს

ეტლიდან გადმოხტომა უცდია. გაჩაღებულა ხელჩართული ბრძოლა და კაცს მოუკლავს ქალი... თუ პირიქით ქალს მოუკლავს კაცი... კარგად არ მახსოვს, რომელმა რომელი. აი, მთელი ლეგენდა. მიემგზავრებით? რატომ ჩაგილაგებიათ მთელი ბარგი?

— ჰო, ხვალ. ხარებას.

— ყური მოვკარი მაგ ამბავს, მაგრამ არ მჯეროდა, ასე მოულოდნელად? რა მოხდა ასეთი?

— მამის გარდაცვალებასთან ერთად იჯარის ვადაც დამთავრდა და ჩვენი აქ ცხოვრება აღარ შეიძლება. თუმცა მე რომ არა, ალბათ ჩვენებს დატოვებდნენ ყოველკვირეული იჯარის პირობით, — თქვენ რა შუაში ხართ? — მე — ცუდი ყოფაქცევის ქალი ვარ. დ'ერბერვილი აენთო.

— რა საძაგლობაა! ფუ, ბილწი ფარისევლები! ეშმაკსაც წაუღია მაგათი უწმინდური სული! — იყვირა გაბოროტებულმა.

— მაშ, გაგდებენ და იმიტომ მიდიხართ, არა?

— არა, გაგდებით არ გვაგდებენ, მაგრამ რაკი ერთხელ გვითხრეს, აქაურობას უნდა მოცილდეთო, რაღას ვუყუროთ, ბარემ ხვალვე წავალთ სხვებთან ერთად, იქნებ ღმერთმა ჰქნას და დავბინავდეთ სადმე...

— სად მიდიხართ?

— კინგსბირში, ოთახები დავიქირავეთ. დედას მოსვენებას არ აძლევენ მამის წინაპრები. ჰოდა, უფრო ამიტომაც უნდა გადასვლა.

— მერე, როგორ მოთავსდებით მთელი ოჯახი პატარა ბინაში, ისიც იმისთანა ჯურღმულში. ის ქალაქი რომ არის. არა. ჯობია, ჩემთან ჩამოდით ტრენტრიჯში. ვითომ რატომ არა. დედის გარდაცვალების შემდეგ საქათმეში ერთი ფრინველიც აღარ ჭაჭანებს, სამაგიეროდ სახლი და ბაღი გადარჩა. ერთ დღეში შეიძლება ოთახების შეთეთრება და გასუფთავება. დედათქვენისთვისაც მოსახერხებელი იქნება, ბავშვებს მე შევიყვან სადმე კარგ სკოლაში. ხომ უნდა გავაკეთო ბოლოს და ბოლოს თქვენთვის რაღაცა.

— ჩვენ უკვე დავიქირავეთ ოთახები კინგსბირში, — განაცხადა ტესმა, — მერე დავუცდით...

— დაუცდით? ვის? ჰო, რა თქმა უნდა, თქვენს დიდებულ თანამეცხედრეს! ყური დამიგდეთ, ტეს, მამაკაცებს ჩემზე უკეთ ვინ იცნობს, თქვენი განხეთქილების მიზეზიც კარგად მესმის... ჰოდა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, თქვენი ქმარი აღარასოდეს აღარ დაგიბრუნდებათ. დაუშვათ, უწინ თქვენი მტერი ვიყავი, მაგრამ ახლა, თქვენ გჯერათ თუ არ გჯერათ, ხომ მაინც მეგობარი ვარ. გადმოდით ჩემს

კოტეჯში. მოვაშენებ ქათმების მთელ კოლონიას. დედათქვენი მოუვლის იმ ქათმებს. ბავშვები კი სკოლაში ივლიან.

ტესი მძიმედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— მე არ ვიცი, შეასრულებთ თუ არა თქვენს სიტყვას. შეიძლება შეხედულებები შეგეცვალოთ... და მაშინ ჩვენ... დედაჩემი ისევ ქუჩაში აღმოჩნდება.

— ო, არა! თუ ეს საჭირო იქნება და აუცილებელი, მე თქვენ წერილობითი ვალდებულების ქაღალდს მოგცემთ. აბა, დაფიქრდით.

ტესმა თავი გადააქნია. დ'ერბერვილი არ ეშვებოდა. არასოდეს უნახავს ტესს იგი ასე გაკერპებული და თავისნათქვამა, — დ'ერბერვილს უარის გაგონებაც არ უნდოდა.

— გადაეცით დედას ჩემი თხოვნა, — უთხრა მან მრავალმნიშვნელოვნად. ამ საკითხის გადაწყვეტა მისი საქმეა და არა თქვენი. მე მივალ შინ და განკარგულებას გავცემ, ხვალ დილითვე იატაკები მოხეხონ, კედლები შეათეთრონ და ბუხარი დაანთონ. საღამოსთვის კედლები უკვე გამშრალი იქნება, ასე რომ, პირდაპირ შეგიძლიათ გამოემგზავროთ, იცოდეთ, გელით.

ტესმა ისევ გადააქნია თავი. გული ეკუმშებოდა მღელვარებისაგან. თვალებში ვერ უყურებდა დ'ერბერვილს.

— გაიგეთ, მე უნდა გამოვისყიდო დანაშაული თქვენ წინაშე, — განაგრძობდა იგი, — გარდა ამისა, თქვენ განმკურნეთ ამ მორწმუნეობის სენისაგან. მე მოხარული ვარ...

— ჯობდა არ განკურნებულიყავით, მაშინ დაიცავდით იმას, რასაც იგი მოითხოვს.

— მე სულითა და გულით მიხარია, რომ თუნდაც ნაწილობრივ ვალის გადახდის საშუალება მეძლევა. იმედი მაქვს, ხვალ დედათქვენი მესტუმრება თავისი მონაგარით. აბა, დამპირდით, რომ შემისრულებთ თხოვნას მომეცით ხელი, საყვარელო ტეს, ჩემო ლამაზო ტეს!

ჩურჩულით უთხრა ალეკმა და ხელი გადაყო ღია ფანჯარაში. მრისხანედ გაიელვეს ტესის თვალებმა, ერთბაშად მიხურა ფანჯარა და ალეკმა, ქვის კედელსა და ფანჯრის ჩარჩოს შუა ხელი მოატანა.

— დალახვროს ეშმაკმა! რა სასტიკი ხართ! — შესძახა მან და ხელი გაითავისუფლა, — არა! ვიცი, რომ განზრახ არ გაგიკეთებიათ. აბა, მაშ გელით, ყოველ შემთხვევაში, თქვენს დედასა და და-ძმებს მაინც.

— არ ჩამოვალ! მე ბევრი ფული მაქვს — შესძახა ტესმა.

— მერე სად არი? — ჩემს მამამთილს აქვს! საკმარისია ერთი ვუთხრა და...

— ჰო, მაგრამ ხომ ვიცი, რომ თქვენ არა სთხოვთ. გიცნობთ, რაცა ხართ. შიმშილით მოკვდებით და არა სთხოვთ!

უთხრა ეს და გასცილდა ტესის ფანჯარას. ქუჩის კუთხეში კაცი შემოხვდა, ხელში საღებავით სავსე ვედრო ეჭირა. კაცი წინ გადაუდგა; მართლა მიატოვე შენი თანამოძმენიო? — ჰკითხა.

— ეშმაკს წაუღია შენი თავი, მოწყდი აქედან! — დაუცაცხანა დ'ერბერვილმა.

— ტესი დიდხანს იდგა გაუნძრევლად. ერთბაშად იფეთქა აღშფოთებამ მომხდარი უსამართლობის გამო და თვალებზე ცრემლები მოადგა. თვით მისი ქმარი, ენჯელ კლერიც კი, ისევე უსამართლოდ და სასტიკად მოექცა, როგორც სხვები ყველანი. დიახ, ასე უთქვამს ახლა!.. არ უნდოდა ასე ეფიქრა, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასეა მაინც. ტესი დაიფიცებდა, რომ არასოდეს თავის სიცოცხლეში ცუდი რამის ჩადენა არა სდომებია და აი, მაინც როგორი მკაცრი განაჩენი გამოუტანეს. რა ცოდვაც არ უნდა აწვეს კისერზე, არასოდეს შეგნებულად არ შეუცოდავს. ჰოდა, მაშ, რატომღა სჯიან ასე შეუბრალებლად?

ფიცხლად დასტაცა ქაღალდის ფურცელს ხელი და აჩქარებით დაწერა:

„ოჰ, რად მომექეცი ასე ულმობლად, ენჯელ? ღმერთმა ხომ იცის, რომ არა ვარ ამის ღირსი? ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქრე და ახლა უკვე არასოდეს, აღარასოდეს არ გაპატიებ ამას! შენ ხომ იცი, არასოდეს შენთვის ავი არა მდომებია. მაშ, შენ რაღად მომექეცი ასე ცუდად? სასტიკი ხარ, ჰო, სასტიკი! ყოველნაირად ვეცდები დაგივიწყო. შენ უსამართლო იყავი ჩემ მიმართ ყოველთვის! — ტ.“

ტესი დაელოდა, ვიდრე ფოსტალიონი გამოჩნდებოდა, დაინახა თუ არა, გამოირბინა, გადასცა წერილი და ისევ იმ ადგილას დაჯდა ფანჯა — რასთან.

განა სულერთი არ არის გულთბილ წერილს გააგზავნი თუ ასეთს? განა შეისმენს ვედრებას? არაფერი არ შეცვლილა, არაფერი ახალი არ მომხდარა საიმისოდ, რომ მას შეხედულებები შეაცვლევინოს.

დაბნელდა. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი ოთახს ანათებდა. ორი უფროსი შვილი დედას წაჰყვა. სამნახევარი წლის ასაკიდან მოკიდებული თერთმეტწლიანით დამთავრებული შავებში ჩაცმული ოთხი ბავშვი ცეცხლის პირს შემოსხდომოდნენ და თავისთვის რაღაცას პუტუნობდნენ. ტესს სანთელი არ აუნთია. ბავშვებთან მივიდა.

— ჩემო კარგებო, ჩვენ დღეს უკანასკნელად ვათევთ ღამეს ამ

სახლში, სადაც დავიბადეთ, — აბა, დაფიქრდით, ბავშვებო! — თქვა ტესმა ნაჩქარევად.

ბავშვები მიყუჩდნენ და უაღრესად მგრძნობიარე არსებანი, როგორიც საერთოდ არიან ხოლმე ბავშვები, მზად იყვნენ ატირებულიყვნენ, როდესაც ტესის სიტყვების შემდეგ რაღაცის ბოლო და დასასრული წარმოიდგინეს, თუმცა კი მთელი დღე სიხარულით დახტოდნენ და ახალ ადგილზე გადასახლებაზე ოცნებობდნენ.

— მიმღერეთ რამე, — თხოვა ბავშვებს ტესმა.

— რა ვიმღეროთ? — რაც გინდათ, ჩემთვის სულერთია.

წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ბავშვის სუსტმა ხმამ დაარღვია. მას მეორე შეუერთდა, მერე მესამე და მეოთხეც, ხმაშეწყობილად მღეროდნენ ისინი საკვირაო სკოლაში ნასწავლ ლექსს:

აქ რომ წამებას, ტკივილებს ვიტანთ,
ვხვდებით და... მერე გავშორდეთ უნდა,
მაგრამ იქ ზეცა შეგვყრის ერთმანეთს.

ისე უღიმღამოდ და უსიცოცხლოდ მღეროდნენ ბავშვები, თითქოსდა ეს საკითხი მათს ცხოვრებაში კარგა ხნის გადაჭრილ-გადაწყვეტილი იყო.

ამიტომ აღარც ფიქრი უნდოდა ამას. ბავშვებს სერიოზული გამომეტყველება მიეღოთ, ცდილობდნენ მკვეთრად გამოეთქვათ ცალკეული სიტყვა და თვალს არ აცილებდნენ ცეცხლის მოცახცახე ალს. როცა სხვები ჩერდებოდნენ, ყველაზე პაწიას სიმღერა კვლავ გაისმოდა.

ტესი შეტრიალდა და კვლავ ფანჯარასთან მივიდა. ბნელს მოეცვა გარემო. ლოყა მიადო მინას, თითქოს ღამეს ჩასცქეროდა თვალებში. უნდოდა ცრემლები დაემალა. ოჰ, რომ შეიძლებოდეს იმის დაჯერება, რასაც ბავშვები მღერიან. რომ არა ღრღნიდეს ეჭვები, ალბათ ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა. რა მშვიდად მიენდობოდა განგებას იმქვეყნიური ცხოვრებისათვის! მაგრამ სად იყო რწმენა! იქნებ მან უნდა გააკეთოს რაღაც, იქცეს მათ განგებად. განა ტესს, ისე როგორც მილიონობით ადამიანს, არ დასცინოდა პოეტი როცა წერდა:

ქვეყნად შიშველნი როდი მოვდივართ
არამედ გვმოსავს დიდების სხივი.

ტესისა და მსგავსთა მისთათვის თვით დაბადება დამამცირებელი ტანჯვა წამება და იძულება იყო, რომელიც თითქოსდა ბოლომდე გაუმართლებელი რჩებოდა. ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დიდი, დიდი შეენდოთ.

ტესმა სიბნელეში დედა, ლიზა-ლუ და აბრეჰემი გაარჩია. მისის

დარბეიფილდი მოაბაკუნებდა ხის ლანჩებს და მოდიოდა. ტესმა კარი გაუღო.

ცხენის ფლოქვების ნაკვალევი შევამჩნიე ფანჯარასთან. იყო აქ ვინმე? — იკითხა ჯოანმა.

— არა, — მიუგო ტესმა.

ცეცხლის პირას მსხდომმა ბავშვებმა გაოცებისაგან პაწია პირები დააღეს.

— ცხენიანი ჯენტლმენი რომ იყო ტეს?!" — წამოიყვირა ერთმა.

— შინ ხომ არ შემოსულა, ფანჯრიდან მელაპარაკა, ცხენიდანაც კი არ ჩამომხტარა, — მიუგო ტესმა.

— ვინ იყო, შენი ქმარი? — დაინტერესდა დედა.

— არა, ჩემი ქმარი არასოდეს, აღარასოდეს არ დაბრუნდება, — მიუგო იმედგადაწურულმა ტესმა.

— მაშ, ვინ იყო?

— ნუ მეკითხები, შენც გინახავს ის ადრე და მეც.

— მერე რაო, რა მინდაო?

— ხვალ კინგსბერგში ახალ სახლში რომ დავბინავდებით, მაშინ გიამბობ ყველაფერს. დაწვრილებით გიამბობ.

ჰმ, ჩემი ქმარი არ იყოო, დედას უთხრა, მაგრამ განა ის არ იყო მისი ნამდვილი ქმარი? — მწარედ გაივლო ტესმა გუნებაში.

LII

ჯერ ისევ ბნელოდა, როდესაც შარის პირას ჩამწკრივებული სახლების ბინადარნი საზიდრების ჭრიალმა და გრუხუნმა გამოაღვიძა. ეს ხმაური ყოველდღიურად მეორდებოდა თვის ამ რიცხვებში გათენების ხანს და ისევე გარდუვალი და აუცილებელი იყო, როგორც გუგულის გუ-გუ. ამავე თვის მესამე კვირას იგი საყოველთაო გადასახლების მაუწყებელი იყო. გზაზე მიდი-მოდიოდნენ ცარიელი ფურგონები და საზიდრები, რომლებსაც ჩვეულების მიხედვით ფერმერები აგზავნიდნენ დაქირავებული მოჯამაგირეების ოჯახების ბარგი-ბარხანის გადმოსაზიდად. ბარგი გამთენიისას უნდა გადაეტანათ ადგილზე, ამიტომაც საზიდრები ნაშუაღამევს უკვე გზას ადგნენ, რათა დილის ექვსი საათისათვის : იმ კოტეჯებთან ყოფილიყვნენ, საიდანაც მიემგზავრებოდა ოჯახი. მერე კი დატვირთვას იწყებდნენ.

არც ერთ ფერმერს არ უზრუნია ტესისა და დედამისის ბარგის გადასაზიდად ფურგონის გამოგზავნაზე. ისინი მოჯამაგირეები არ იყვნენ, არავის სჭირდებოდა ისინი და არც არავინ აპირებდა მათ მუქ-

თად გადაყვანას. ჰოდა, იძულებულნი იყვნენ საკუთარი ხარჯით დაექირავებინათ საზიდარი.

დილაადრიანად გამოიხედა ტესმა ფანჯარაში და შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ საზიდარი დროზე მოსულიყო და მათ კართან იდგა. აღარც წვიმდა, თუმცა ამინდი ღრუბლიანი იყო და ქარიც ქროდა. წვიმიანი ხარება დიდი უბედურება იყო ხოლმე გადასახლებულთათვის და დიდხანს აღარ ამოსდიოდათ გონებიდან. სველდებოდა ავეჯიც, ლოგინიც, ტანსაცმელიც, რასაც მერე ავადმყოფობა მოსდევდა თან.

დედამ, ლიზა-ლუმ და აბრეჰემმა გაიღვიძეს. გადაწყვიტეს, პატარები ჯერ არ აეყენებინათ. ისაუზმეს დილის ბინდბუნდში და საზიდრის დატვირთვას შეუდგნენ.

— მხიარულად მუშაობდნენ. რამდენიმე კეთილმა მეზობელმაც წაახმარა ხელი. შეაყუდეს საზიდარზე ვეებერთელა ავეჯი, ლოგინებისაგან მრგვალი ბუდე გააკეთეს, რომელშიაც ჟოან დარბეიფილდი უნდა ჩამჯდარიყო პატარა ბავშვებთან ერთად. მერე კარგა ხანს ლოდინი დასჭირდათ, ვიდრე გამოხსნილ ცხენებს მოიყვანდნენ და შეაბამდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დღის ორი საათისათვის დაიძრნენ ადგილიდან, საზიდრის გვერდზე ჩამოკიდეს ქვა, ხოლო მისის დარბეიფილდი თავისი ოჯახით ტვირთზე წამოჭიმულიყო. ოდნავ გადაფერდდებოდა თუ არა საზიდარი, საათიც აწიკწიკდებოდა, რომელიც მექანიზმის გაფუჭების შიშით ოჯახის დედას კალთაში ედო. ტესი და ლიზა-ლუ სოფლიდან გასვლამდე ფეხით მიჰყვებოდნენ საზიდარს.

გუშინ დილითა და წუხელ საღამოს დარბეიფილდებმა მეზობლებთან შეიარეს გამოსამშვიდობებლად. ჰოდა, ახლა რამდენიმე მეზობელი გამოვიდა მათ გასაცილებლად. სიკეთე და კარგად ყოფნა უსურვეს, თუმცა გულის სიღრმეში თითქმის არც ერთს არ სჯეროდა, რომ ოდესმე კეთილდღეობა ეღირსებოდა ისეთ ოჯახს, როგორიც დარბეიფილდებისა იყო. თუმცა ბოროტება არასოდეს არავისთვის მიუყენებიათ საკუთარი თავის გარდა. ველი გადაიარეს და გზა აღმართს აუყვა. ქარიც მომძლავრდა.

გზაზე სხვა საზიდრებიც ხვდებოდათ, დღეს ხომ ექვსი აპრილი და ხარება იყო. წამომსხდარიყვნენ ოჯახურ საზიდრებზე თავიანთ ხაბაკხუბაკთან ერთად. ფუტკრების ექვსკუთხედისა არ იყოს, გლეხებიც ერთი და იმავე და უცვლელი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ხოლმე საზიდრებზე ბარგის დალაგებისას. ტვირთის მთავარ ელემენტს შეადგენდა პრიალასახელურებიანი, ჭუჭყიანი თითების შეხე-

ბით დალაქავებული ხანგრძლივი სამსახურის სხვა ნიშნებით აღჭურვილი სამზარეულოს კარადა. იგი ამაყად ამართულიყო ყველაზე წინ ზედ ცხენების გავის თავზე, — იდგა ვითარცა სჯულის კიდობანი, რომელიც დიახაც ღირს არს, რომ სასოებით ატარო.

ზოგი ოჯახი მხიარულად მიემგზავრებოდა, ზოგი — მოღრუბლული. ზოგი გზისპირა დუქნებთან ჩერდებოდა. ბოლოს დარბეიფილდების საზიდარიც შედგა; ცხენებისთვისაც უნდა ეჭმიათ და ცოტა თავადაც მომაგრებულიყვნენ.

დუქნის წინ შეჩერებულმა ტესმა რატომღაც სამპინტიან ფათქს დაადგა თვალი. ფათქს ხან ზევით ააწოდებდნენ, ხან ისევ ჩამოაწოდებდნენ.

— მათსავით დუქნის წინ შეჩერებულ საზიდარზე მსხდარი ქალები ლუდს სვამდნენ. ხელიდან ხელში გადასული ფათქის ცქერაში ტესმა ერთი ქალი შეიცნო და მისკენ გაემართა.

— მერიენ, იზ! — დაუძახა მან გოგონებს, რომლებიც იმ ოჯახთან ერთად მიემგზავრებოდნენ ახალ ადგილზე, ვისთანაც ცხოვრობდნენ, — თქვენც გადადიხართ?

გოგონებმა თავი დაუქნიეს. მეტად მძიმე იყო ფლინკტომ-ეშში ცხოვრება. ისე წამოვიდნენ იქიდან, წინასწარ არც გაუფრთხილებიათ ფერმერი გრობი, — ასემც უქნია, სასამართლო ძიება გამოუცხადებია მათ წინააღმდეგ, თუ მოეპრიანება. გოგონებმა უთხრეს ტეს, სადაც მიდიოდნენ, თავის მხრივ ტესმაც მისცა თავისი მისამართი.

მერიენი გადმოხტა სახედრიდან და ყურში ჩასჩურჩულა ტესს:

— იცი, შენ რომ დაგდევდა, იმ ჯენტლმენმა მოგაკითხა ფლინკტომ-ეშში შენი წამოსვლის მერე, — ხომ ხვდები, ვიზეც გეუბნები. ჩვენ ვიცოდით, რომ არ გინდოდა მისი ნახვა და არ ვუთხარით სად იყავი.

— ჰო, მაგრამ მაინც მომძებნა და მნახა — წაიჩურჩულა ტესმა.

— ახლა სად მიდიხარ, იცის? — მე მგონია, იცის.

— ქმარი გამოგივიდა? — არა.

მზიდავები დუქნიდან გამოვიდნენ. ტესი დაემშვიდობა თავის მეგობრებს და საზიდრები სხვადასხვა მიმართულებით გაუდგა თავთავიანთ გზას. საზიდარი რომელზედაც მერიენი და იზი ისხდნენ იმ ოჯახთან ერთად, რომელთაც მათ თავიანთი ბედი დაუკავშირეს, ღია ფერის საღებავით იყო შეღებილი. შიგ სპილენძის ბრჭყვიალა ორნამენტებით დამშვენებული აღკაზმულობით მორთული სამი ცხენი ება. დარბეიფილდების დაფხავებულ საზიდარს კი ორად ორი ცხენი მიათრევდა. კარგა ხანია საღებავიც გადასცლოდა, იზნიქებოდა მძიმე ტვირთის ქვეშ და ძლივსღა მიღანტალებდა ჭრიალ-ჭრიალით. ეს

კონტრასტი ენამჭევრულად მეტყველებდა იმაზე, რომ პირველი ოჯახისათვის საზიდარი შეძლებულ ფერმერს გამოეგზავნა, მეორე კი საკუთარი ხარჯით აბარგებულიყო და არც არავინ ელოდა მათ ჩასვლას.

შორი გზა ედოთ წინ, ძალზე შორი გზა. ცხენები დიდის გაჭირვებით თუ ჩააღწევდნენ დღის სინათლით. ადრიანად გამოემგზავრნენ, მაგრამ უკვე ბინდი ეშვებოდა, როცა გრინჰილის ზეგანის ერთ-ერთ ბორცვს მიაღწიეს. ცხენები შეასვენეს. ტესმა მიდამო შეათვალიერა. წინ, ბორცვის ძირში მდებარეობდა მათი მოგზაურობის მიზანი, მიმკვდარებული ქალაქი კინგსბირი. მათი წინაპრების სავანე და მამამისის ლაპარაკის დაუშრეტელი წყარო. კინგსბირი მართლაც ერთადერთი ადგილი იყო დედამიწის ზურგზე, რომელიც ჭეშმარიტად შეიძლებოდა ჩათვლილიყო დ'ერბერვილების ჭეშმარიტად მშობლიურ სახლად. აქ ბინადრობდნენ ისინი მთელი ხუთასი წლის განმავლობაში. ქალაქის სანახებიდან ვიღაც კაცმა თვალი მოჰკრა დატვირთულ საზიდარს და მისკენ გამოეშურა. „

— თქვენ ხომ არ ბრძანდებით მისის დარბეიფილდი? — მიუბრუნდა იგი ტესის დედას, რომელიც საზიდრიდან გადმოსულიყო, რათა დარჩენილი გზა ფეხით გაევლო. ჟოან დარბეიფილდმა თავი დაუქნია. „

— დიახ, საკუთარი უფლებების დაცვას. თუ მოვიწადინებ, მე ვიტყოდი გაღატაკებული აზნაურის სერ ჯონ დ'ერბერვილის ქვრივი გახლავართ-მეთქი. და ახლა მისი წინაპრების სამფლობელოში მივემგზავრები.

— მართლა? არა, მე ეგ არ ვიცოდი, მაგრამ თუ თქვენ მისის დარბეიფილდი ბრძანდებით, მაშინ მე თქვენთან გამომგზავნეს, შეხვდი და გადაეცი, რომ ოთახები, რომლებიც თქვენ გინდოდათ, უკვე გაქირავებულიაო. ჩვენ არ ვიცოდით, თუ ჩამოხვიდოდით, ვიდრე თქვენი წერილი არ მივიღეთ ამ დილით, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ეგ არაფერია, სადმე სხვაგანაც იშოვით ბინას.

ტესს სახე მიწისფერი გაუხდა. დედამ სასოება დაკარგა — ახლა რაღა ვქნათ, ტეს? — იკითხა გამწარებულმა, — ესეც შენი წინაპართა სამფლობელო! რას ვიზამთ. სხვა რა ჩარაა, მაინც უნდა ვიაროთ.

შევიდნენ ქალაქში თუ არა ბინის ძებნა დაიწყეს. ტესი საზიდართან დარჩა ბავშვების მისახედად. დედა და ლიზა-ლუ ცნობებს. კრებდნენ. ერთი საათის ამაო ხეტიალის შემდეგ ჟოანი უკან დაბრუნდა. მზიდავმა კი გამოაცხადა, საზიდარი უნდა გადმოეტვირთათ, შუაღამისას მაინც აუცილებლად უნდა ვიყო შინო.

— კარგით, აქ გადმოტვირთეთ, — არც დაფიქრებულა, მაშინვე

დაყაბულდა ჟოანი.

— სადღაც როგორ არ ვიშოვით თავშესაფარს.

საზიდარი სასაფლაოს ღობის გვერდზე მიაყენეს. მზიდავმა საჩქაროდ გადმოზიდა ოჯახის საცოდავი ხაბაკხუბაკი. ჟოანმა გაუსწორა ანგარიში და მზიდავი თავის გზას გაუდგა, თან გულში უხაროდა, რომ ამ უთაურ ხალხს თავი დააღწია — წვიმით არა წვიმდა. სხვა მხრივ კი იმედი ჰქონდათ, რომ ცუდი არაფერი შეემთხვეოდათ.

ტესი ნაღვლიანად შესცქეროდა გადმოყრილ ბარგს. ჩამავალი მზის ცივი სხივები თითქოს მტრულად უმზერდნენ თიხის ჯამ-ჭურჭელსა და ქვაბებს, ქარზე მოცახცახე ბნელ ბალახს, სამზარეულოს კარადის სპილენძის სახელურებს, დაწნულ, დარბეიფილდების ყველა ბავშვის გამზრდელ აკვანსა და კედლის საათის ბუდეს. ამ ნივთების ადგილი ჭერქვეშ იყო, ამიტომაც საყვედურობდნენ, რომ გაუტანელი და უკუღმართი ბედის გამოისობით ახლა ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. ირგვლივ ბორცვები შემოჯარულიყო, ოდესღაც ტყით დაფარული მთის ფერდობები ახლა სამანებით დაყოფილ პატარ-პატარა სათეს ნაკვეთებს დაესერა. სიმწვანე მხოლოდ და მხოლოდ იმ მიდამოებში შემორჩენილიყო, სადაც ოდესღაც დ'ერბერვილების ციხესიმაგრე და მამულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ეგდონ ჰიტის მთის განშტოება აღმართულიყო. იქვე ახლოს უშფოთველად იდგა დ'ერბერვილების ეკვდერი.

— მე მგონია, საოჯახო აკლდამა ჩვენს პირად საკუთრებაში შემოდიოდა, — თქვა ტესის დედამ, როცა გარს შემოუარა ეკლესიას და სასაფლაო დაათვალიერა.

— რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა, ჰოდა, იქ შევეფაროთ ჩვენც, ვიდრე სხვა სამყოფელს ვიშოვიდეთ ჩვენი წინაპრების სამფლობელოში, ტეს, ლიზა-ლუ, აბრეჰემ, მოდით, მომეხმარეთ! ბავშვებს ბუდე მოვუწყოთ და მერე ისევ წავიდეთ სადმე ბინის საძებნელად.

ტესი უწადინოდ შეუდგა დედის სურვილის ასრულებას. თხუთმეტ წუთში შუაგულ ბარგიდან ამოთრეული და დანჯღრეული საწოლი ეკლესიის სამხრეთ კედლის გვერდით, დ'ერბერვილების ეკვდერთან წამოჯიმეს. ეკვდერის ქვეშ დ'ერბერვილთა უზარმაზარი აკლდამები იყო ჩამწკრივებული. ეკვდერის თავზე მოჩანდა ეკლესიის ფერადმინებიანი მოჩუქურთმებული სარკმელი, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნეში იყო გაკეთებული და დ'ერბერვილების სარკმელი ერქვა. სარკმლის ზემო ნაწილში ისეთსავე ჰერალდიკურ ემბლემებს შეამჩნევდით, როგორიც დარბეიფილდის ბეჭედსა და კოვზს ჰქონდა.

ჟოანმა ფარდები ჩამოაფარა, საწოლი მეტად მოხერხებულ კარავად აქცია და დააწვინა პატარები.

— საქმე თუ გაჭირდა, ერთ ღამეს აქაც გაათევს კაცი, — თქვა მან, — წასვლით მაინც წავიდეთ, ეგებ სადმე თავშესაფარი ვიშოვოთ. ბავშვებსაც ხომ უნდა მოვუტანოთ რამე წასაკნასი. ოჰ, ტეს, ტეს, შენ რა გითხარი, რაღას აეტორღიალებოდი ხოლმე ამ ჯენტლმენებს, თუკი მათგან არაფერი გამოდნებოდა, და ასე ვეყრებოდით ღია ცის ქვეშ.

კვლავ გაუდგა ჟოანი ლიზა-ლუს და აბრეჰემთან ერთად სოფლის შარაგზას, რომელიც ეკლესიას ქალაქისაგან ყოფდა. ქალაქში შევიდნენ თუ არა, ვიღაც ცხენოსანი კაცი შემოხვდათ. კაცი ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას. „

— ოჰ! მე თქვენ გეძებდით, — წამოიძახა კაცმა და მათკენ გამოემართა. ოჯახის ყველა წევრი შეგროვდით ამ ისტორიულ ადგილას?

ცხენოსანი კაცი ალეკ დ'ერბერვილი გახლდათ...

— ტესი სად არის? — იკითხა მან.

ჟოანს დიდად არ ეპიტნავებოდა ალეკი. დაბნეულმა ეკლესიაზე მიუთითა და გზა განაგრძო. დ'ერბერვილი გამოემშვიდობა, კიდევ გნახავთო უთხრა, თუ, რა თქმა უნდა, როგორც უკვე შევიტყვე, პირვანდელივით ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდება ბინის ძიება და ხელი მოგეცარებათო. დასცილდა თუ არა მათ, ალეკმა დუქანში შეიარა, დატოვა იქ ცხენი და ფეხით გაეშურა ეკლესიისაკენ.

ბავშვებთან დარჩენილი ტესი ერთ ხანს ელაპარაკა ბავშვებს, ხან ეს უთხრა, ხან ის, როცა ნახა, რომ მეტი არაფრის გაკეთება შეეძლო მათთვის, ღამის წყვდიადში ჩაფლულ სასაფლაოს გაუყვა. ეკლესიის კარი ღია იყო, პირველად გადააბიჯა ტესმა თავის სიცოცხლეში ამ ეკლესიის ზღურბლს.

სარკმელს იქით, სადაც საწოლი იდგა, მისი წინაპრების განსასვენებელი იყო, — აქ, ამ ადგილას ასაფლავებდნენ მათ საუკუნეების მანძილზე. ზოგი აკლდამა ძალზე უბრალო იყო, ზოგი თავისი მოყვანილობით საკურთხეველს მიაგავდა, ანდა გავალაკით იყო დაცული. ჩუქურთმა გაცვეთოდა, სპილენძის სამკაულები ბუდეებიდან ამოცვენილიყვნენ და ნახვრეტებს პირი ისე დაეფჩინათ, თითქოს ფრიალოზე გამოთხრილი კვერნის ხვრელებიაო: წარსულის დიდების ამ ნაშთთა ხილვამ ერთხელ კიდევ ყველაზე თვალნათლივ დაუდასტურა ტესს, როგორ დაიფერფლა მათი გვარი და დაკარგა ყოველგვარი სოციალური მნიშვნელობა.

ტესი ერთ შავ ქვას მიუახლოვდა და ზედ ამოკვეთილი წარწერა ამოიკითხა:

Ostum sepuichri antiguae familiae d'Urberville[7]

საეკლესიო ლათინურის ცოდნაში ტესი ალბათ მეტოქეობას ვერ გაუწევდა კარდინალებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მიხვდა, რომ აქ მის წინაპართა აკლდამის შესასვლელი იყო, ხოლო იქ, ქვევით განისვენებდნენ ბრგე და ახოვანი რაინდები, რომელთაც შექეიფიანებული მამამისი ხშირად უმღეროდა ხოლმე.

მდუმარედ გამობრუნდა ტესი გამოსასვლელისაკენ და ერთ ძველისძველ საფლავთან შედგა. საფლავს ვიღაცის თავდახრილი ქანდაკება ადგა თავზე. შემოსვლის დროს არ შეუნიშნავს ტესს იგი, ალბათ, არც ახლა მიაქცევდა ყურადღებას, რომ არ შენძრეულიყო, მიუახლოვდა თუ არა მაშინვე დარწმუნდა ქანდაკება კი არა, ცოცხალი ადამიანი იდგა. შეძრწუნებულმა ტესმა ლამის გონი დაკარგა და უსულოდ დაეცა, როდესაც ალეკ დ'ერბერვილი შეიცნო.

ალეკმა მაშინვე ხელი შეაშველა.

— მე დაგინახეთ, როცა შემოხვედით, — ღიმილით უთხრა მან, — და აქ შევჩერდი, რომ არ დამერღვია თქვენი მყუდროება და ფიქრები. ნათესაური სტუმრობა წინაპრებთან, რომლებიც აქ განისვენებენ, არა? ყური მიუგდეთ!

ალეკმა მთელი ძალით დაჰკრა ქუსლი იატაკს, ქვემოდან ექომ მისცა გამოძახილი.

— ეს ალბათ ცოტა შეანჯღრევთ იმათ! — განაგრძობდა იგი, — თქვენ ქვის ქანდაკება გეგონეთ, არა? არა, ახლა სხვა დროება დადგა. ცრუ დ'ერბერვილის ნეკს თქვენთვის მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ჭეშმარიტ დ'ერბერვილთა მთელ დინასტიაზე, რომლებიც ამ ქვის ლოდების ქვეშ განისვენებენ... მიბრძანეთ, რა გავაკეთო?

— წადით! — წაიჩურჩულა ტესმა.

— კარგით, წავალ, მოვნახავ დედათქვენს, — უთხრა მან დაყვავებით, — მაგრამ ერთი დაიმახსოვრეთ, დადგება დრო, რომ უფრო თავაზიანი გახდებით ჩემ მიმართ.

ალეკი წავიდა, ტესი ქვაზე დაეშვა, ქვის ეს ფილა აკლდამაში ჩასასვლელს ედო თავზე. „ღმერთო, რატომ მეც მიწაში არა ვარ“, — ინატრა ტესმა.

მერიენი და იზ ჰუეტი იმ საზიდრით მიემგზავრებოდნენ, რომელსაც გლეხის ავლადიდება განააის მიწა-წყალზე გადაჰქონდა. ეს ადგილი ეგვიპტე იყო, ალბათ, რომელიმე სხვა ოჯახისათვის, რომელიც ამ დილით გაემგზავრა იქიდან. მაგრამ გოგონები დიდად როდი დაგიდევდნენ სად იქნებოდნენ. საუბარი ენჯელ კლერს, ტესსა და

---

7 დ*ერბერვილთა უძველესი, საგვარეულო აკლდამა(ლათ)

მის შეუდრეკელ სატრფოს ეხებოდა. ამ ხნის მანძილზე გოგონებს ზოგი რამისთვის ყური მოეკრათ ტესის წარსულზე, ხოლო ზოგ რაღაცას თავადაც ხვდებოდნენ.

— აქამდე რომ მას ტესი არა სცნობოდა, მაშინ სხვა იყო, — ამბობდა მერიენი.

— მაგრამ მაინც უბედურება ისაა, რომ მან ერთხელ უკვე შეაცდინა. სწორედ ძალიან საწყენი იქნება, თუ ისევ მიაღწია თავისას. ეჰ, იზ, მისტერ კლერი ჩვენთვის მაინც დაკარგულია, ჰოდა, აბა, ტესზე ეჭვიანობას რაღა აზრი აქვს. ისევ ისა სჯობს, მათ შერიგებაზე ვიზრუნოთ. იმან რომ იცოდეს, რა დღეშია აქ ქალი, როგორ ევლებიან და დასტრიალებენ თავს სხვები, ალბათ აუცილებლად ჩამოვიდოდა და მიხედავდა თავის ცოლს.

— არ შეიძლება, ნეტავ, რომ შევატყობინოთ?

მთელი გზა ამაზე ფიქრსა და ლაპარაკში გაატარეს, მაგრამ ახალ ადგილზე ჩასულებს ერთბაშად გადაავიწყდათ მთელი გეგმები.

— ერთი თვის მერე ყური მოჰკრეს, კლერი სამშობლოში ბრუნდებაო. ტესზე კი აღარაფერი გაეგონათ. ახალი ძალით იფეთქა ძველმა სიყვარულმა, მაგრამ ტესთან ხომ მეგობრობა აკავშირებდათ. ჰოდა, გახსნეს პენის ფასად შეძენილი მელნის ახალი ბოთლი და გოგონებმა შეერთებული ძალით ასეთი წერილი შეთხზეს:

„პატივცემულო სერ. იზრუნეთ და მიხედეთ თქვენს მეუღლეს, თუკი ისევ გიყვართ იგი, როგორც მას უყვარხართ. მას დაუნდობლად აცთუნებს მეგობრად მოვლენილი მტერი. ტესის გვერდით ისეთი კაცი ტრიალებს, რომელიც შორს უნდა იყოს მისგან. ნუ დააყენებთ სუსტ ქალს ასეთი მძიმე გამოცდის წინაშე, ხომ გაგიგიათ, წყლის წვეთი ქვასაც ხვრეტს და ალმასსაცო.

თქვენი ორი კეთილისმოსურნე“.

მეშვიდე
ფაზა აღსასრული

LIII

საღამო ხანი იყო. ორი სანთელი იღვენთებოდა, როგორც ყოველთვის, ემინსტერის საბატოს მღვდლის ოთახში. თავად იქ არ გახლდათ. დროდადრო შემოვიდოდა, გააღვივებდა მინავლულ ცეცხლსა და გავიდოდა ისევ. ოთახში მაინც თბილოდა. გაზაფხული შედიოდა ძალაში. ზოგჯერ წინკართან შედგებოდა, მღვდელი, მერე

სასტუმრო ოთახში შევიდოდა, მობრუნდებოდა და ისევ კართან დადგებოდა.

წინკარი დასავლეთისაკენ იყო პირშექცეული. თუმცა შინ ბნელს დაეჯაბნა სინათლე, ჯერ კიდევ ნათლად მოჩანდა გარეთ ყველაფერი. სასტუმრო ოთახში მჯდარი მისის კლერი წამოდგა და ქმარს გამოყვა უკან.

— ჯერ ადრეა, — თქვა მღვდელმა, — ჩოკ-ნიუტონში, გინდაც მატარე — ბელმა არ დაიგვიანოს, ექვს საათამდე მაინც არ იქნება, იქიდან ჩვენამდე კი ათი მილია სავალი სოფლის გზაზე; აქედან ხუთი მილი სოფელ პრაიმერკროკზე გადის; სანამ ჩვენი ჯაგლაგი იმას აქ მოიყვანს, კიდევ კარგა ხანი გავა.

— ჩემო ძვირფასო, არ გახსოვს, ზოგჯერ ერთ საათშიც რომ ამოვუყვანივართ?

— ეჰ, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

ასე ამოკლებდნენ ისინი დროს, თუმცა ორივემ კარგად იცოდა, რომ ლაპარაკი წყლის ნაყვაა და საქმეს არ შველის, როცა ელი ვინმეს.

ბოლოს, როგორც იქნა, გაისმა ცხენის ფლოქვების სანუკვარი კაკუნი გზაზე და მოაჯირს იქით ეტლი გამოჩნდა. ეტლიდან კაცი ჩამოვიდა. ახლა, რა თქმა უნდა, ეჭვი აღარ შეპარვიათ, მაგრამ ქუჩაში რომ ენახათ, აუცილებლად გვერდით ჩაუვლიდნენ და ასე იქნებოდა, ალბათ, ახლაც ეტლი რომ ზუსტად იმ დროს არ მოსულიყო, როცა ელოდნენ.

მისის კლერი გავარდა ბნელ დერეფანში და კარს ეცა, უკან ქმარი მიჰყვა დინჯად.

ახალმოსულს შეეძლო დაენახა საღამოს შუქზე მათი აღელვებული სახეები და მბზინავი სათვალეები, შინ მყოფებმა კი კარებში მისი ფიგურა დაინახეს მხოლოდ.

ოჰ, ჩემო ბიჭო, ძლივს არ დაგინახე შინ! — შესძახა მისის კლერმა. სადღა ახსოვდა ახლა შვილის მწვალებლური შეხედულებები, რომლებიც მათ შორის განხეთქილების საბაბი გახდა. სინამდვილეში დედას ახლა ისე აინტერესებდა ეს, როგორც მისი შვილის ტანსაცმელზე დადებული მტვერი. ან კი რომელი, გინდაც ჭეშმარიტების მაძიებელი ქალი გინახავთ რომ ისე სწამდეს საღმრთო წერილის დაპირებებისა და მუქარის, როგორც საკუთარი ბავშვებისა, ან რომელი ქალი არ უარყოფს ღვთისმსახურებას, თუკი სასწორის მეორე პინაზე მისი შვილის ბედნიერება დევს. ყველანი მღვდლის ოთახში გავიდნენ. სანთლის შუქზე შეათვალიერა დედამ შვილი.

— ო, ეს ენჯელი არ არის, ეს ჩემი შვილი არ არის! მე ასეთი არ

გამიშვია აქედან! — შესძახა მან და სასოწარკვეთილმა მზერა ააარიდა ენჯელს.

მამაც შეაძრწუნა შვილის დანახვამ. ისე დაებეჩავებინა იგი ათასგვარ საზრუნავსა და უიღბლო მოგზაურობას უცხო ქვეყანაში, სადაც ასეთი თავაღებით გადაეშვა ბედით განწირული, რათა გაქცეოდა მის დაცინვას საკუთარ სამშობლოში. ასე ეჩვენებოდათ, მათ წინ ცოცხალი ადამიანი კი არა და, ჩონჩხი ან აჩრდილი იდგა. თითქოს მისგან გადაუხატავსო კრიველს გარდაცვლილი ქრისტეს სურათი: მიმქრალი, ჩავარდნილი თვალები მომაკვდავივით ჩალურჯებოდა. ნაოჭები, რომელთაც მისი მშობლების სახე დაეღარა, დროზე ოცი წლით ადრე გაჩენილიყო მის სახეზე.

— ვიავადმყოფე, — უთხრა მშობლებს, — ახლა არა მიშავს, ჯანმრთელადა ვარ.

თითქოს განზრახ მისი სიტყვების საწინააღმდეგოდ მუხლთ მოეკვეთა და რომ არ წაქცეულიყო, იქვე ჩაჯდა. მომქანცველ მოგზაურობისა და მშობლებთან შეხვედრით გამოწვეულ მღელვარების შემდეგ თავი შეახსენა სისუსტემ.

— წერილები არ მოსულა ჩემ სახელზე? უკანასკნელი წერილი თქვენ რომ გადმოგიგზავნიათ, რაღაც ბედად ჩამივარდა ხელში, ისიც დიდი ხნის შემდეგ. ქვეყნის შუაგულში ვიყავი სამოგზაუროდ წასული, თორემ უფრო ადრეც ჩამოვიდოდი.

— ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ის წერილი შენი ცოლისა იყო.

— ჰო, მისი იყო.

კიდევ ერთი წერილი მოსულიყო ენჯელის სახელზე. მაგრამ მალე ჩამოვაო, ფიქრობდნენ და აღარ გაუგზავნიათ.

ენჯელმა სულმოუთქმელად გახსნა კონვერტი და ძრწოლით ჩაიკითხა ტესის უკანასკნელი, ნაჩქარევად დაწერილი პატარა ბარათი.

„ოჰ, რად მომექეცი ასე ულმობლად, ენჯელ? ღმერთმა ხომ იცის, რომ არა ვარ ამის ღირსი? ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქრე და ახლა უკვე არასოდეს, აღარასოდეს არ გაპატიებ ამას! შენ ხომ იცი, არასოდეს შენთვის ავი არა მდომებია. მაშ, შენ რაღად მომექეცი ასე ცუდად? სასტიკი ხარ, ჰო, სასტიკი! ყოველნაირად ვეცდები დაგივიწყო. შენ უსამართლო იყავი ჩემ მიმართ ყოველთვის! — ტ.“

— ტესი მართალია! — თქვა ენჯელმა და ბარათი გადააგდო, — ვინ იცის, აღარ შემირიგდეს, აღარასოდეს აღარ შემირიგდეს!

— ნუ ღელავ, ენჯელ, განა ის ამქვეყნიური არ არის!

— ამქვეყნიური! ჩვენ ყველანი „მიწის შვილები“ ვართ. მოხარუ-

ლი ვიქნებოდი, მართლაც „მიწის შვილი“ იყოს იმ გაგებით, როგორადაც თქვენ გესმით. მაგრამ ახლა მოგახსენებთ იმას, რაზედაც აქამდე ვდუმდი. მამამისი, მამაკაცთა ხაზით ნორმანდიელთა ერთ-ერთი უძველესი გვარიდან წარმოსდგება იმ უამრავ სხვა გლეხივით, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს სოფლებში, არავინ არაფერი უწყის მათ შესახებ და „მიწის შვილებად“ იწოდებიან.

ენჯელი ადრიანად დაწვა დასაძინებლად. მეორე დღეს ისე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ოთახიდან არც გამოსულა. იყო და ფიქრობდა, ფიქრობდა დაუსრულებლად. როცა იგი შორს, ეკვატორის სამხრეთით იმყოფებოდა, ტესის სიყვარულით აღსავსე წერილის მერე, ასე ეგონა, ჩავალ სამშობლოში, როცა მომეგუნებება შერიგება, მივალ და გადავეხვევი. ამაზე ადვილი რა არისო. ახლა კი, როდესაც აქ არის და ყველაფერს უფიქრდება, ეს არცთუ ისე იოლი ეჩვენება. ტესი ბუნებით მეტად მგრძნობიარე იყო, მისმა უკანასკნელმა ბარათმა, რომელშიც წერდა, შენზე აზრი შევიცვალეო, და ისიც იძულებული იყო ეღიარებინა ტესის სიმართლე, ენჯელი დააფიქრა; გონივრული იქნება განა, წინასწარ გაუფრთხილებლად ჩააკითხოს ტესს მშობლებთან? თუ ამ უკანასკნელი კვირეების მანძილზე ტესის სიყვარულმა სიძულვილს დაუთმო ადგილი, მოულოდნელი შეხვედრა რამე ცუდსა და მწარეს ხომ არ ათქმევინებს ტესს?

ამიტომაც კლერმა გადაწყვიტა შეეტყობინებინა ტესისა და მისი ოჯახისათვის თავისი ჩამოსვლა და ამით, ასე თუ ისე მოესინჯა ნიადაგი. კლერი დარწმუნებული იყო, ტესი ისევ იქ ცხოვრობდა სადაც დათქვეს მისი ინგლისიდან გამგზავრების წინ. იმავე დღეს გაუგზავნა ენჯელმა წერილი, ხოლო კვირის ბოლოს მოკლე პასუხი მიიღო მისის დარბეიფილდისაგან. ბარათმა ვერ გაუფანტა კლერს დაბნეულობა; მისის კლერი მარლოტიდან არ იწერებოდა და არც თავის მისამართს სწერდა.

„ს ე რ; რამდენიმე სიტყვით მინდა გაცნობოთ, რომ ჩემი ქალიშვილი გაემგზავრა და არ ვიცი, როდის დაბრუნდება. როგორც კი ჩამოვა აუცილებლად შეგატყობინებთ. მე უფლება არა მაქვს გითხრათ, სად არის იგი ამჟამად დროებით. უნდა მოგახსენოთ აგრეთვე, რომ ჩემი ოჯახით ახლა მარლოტში აღარა ვცხოვრობ.

თქვენი მისის ჟ. დარბეიფილდი.

კლერმა შვებით ამოისუნთქა; ეტყობა, ტესი ცუდად არ ცხოვრობს, მართალია დედამისი დაჟინებით უმალავს მის ადგილსამყოფელს, მაგრამ რა უყოთ, ეს დიდად არ აწუხებს... ეტყობა, ყველანი გაჯავრებულები არიან მასზე. არაფერია, დაუცდის, ვიდრე მისის

დარბეიფილდი შეატყობინებს ტესის დაბრუნების ამბავს. დაბრუნებით კი როგორც წერილიდან ჩანს, მალე დაბრუნდება. ამაზე მეტს არც ის იმსახურებს. მისი სიყვარული ხომ „ცვალებადი იყო“. მოგზაურობის ჟამს უცნაური ფიქრები მოსდიოდა თავში: კორნელიაში იგი სათნო ფაუსტინას ხედავდა, ხოლო ხორციელ ფრინაში — მადლფენილ ლუკრეციუსს. ხშირად აგონდებოდა ის ქალი, ქვებით რომ უნდოდათ ჩაექოლათ, და კიდევ ურიას ცოლი, დედოფალი რომ გახდა. მაშინ, რატომღა აქცევდა ყურადღებას ტესის წარსულს, — ეკითხებოდა კლერი თავის თავს, — ოდეს განაჩენი გამოჰქონდა, და არა მის შინაგან სამყაროს, — მის საქციელსა და არა მისწრაფებებს?

დღე დღეს მისდევდა. ენჯელი მამასთან ცხოვრობდა, ელოდა მისის დარბეიფილდის დანაპირებ წერილს და გამოჯანმრთელებას ცდილობდა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. თანდათან მოიკეთა და მომაგრდა. წერილი კი არა და არ ჩანდა. ამოქექა ძველი ფლინტკომ-ეშიდან ბრაზილიაში გადაგზავნილი ტესის წერილი და კვლავ გადაიკითხა. წინანდებურად სული და გული შეუძრა წერილმა.

„ენჯელ, არ შემიძლია არ გაგიზიარო ჩემი დარდი და ნაღველი. შენს მეტი ვინა მყავს!.. გეფიცები, მოვკვდები თუ მალე არ ჩამოხვალ, ან არ შემომითვლი, შენ ჩამოდიო... გემუდარები, ნუ იქნები ასეთი სამართლიანი... იოტისოდენა სიკეთე მაინც გამოიჩინე ჩემდამი! შენ რომ ჩამოხვიდოდე, მე მშვიდად მოვკვდებოდი შენს მკლავებში, რაკიღა მეცოდინებოდა რომ შემინდე და ყველაფერი მაპატიე... ერთი პატარა წინადადებაც რომ მოგეწერა „მალე ჩამოვალ“ — ჰო, როგორ გამინათდებოდა სიცოცხლე... დაფიქრდი. ერთი წუთით დაფიქრდი. როგორ მიკვნესის გული, როცა მგონია, რომ ვეღარასოდეს ვეღარ განახავ! შენ რომ ასე, ყოველდღე, ერთი წუთით მაინც გიკვნესოდეს გული ისე, როგორც მე, მაშინ, დამერწმუნე, შემიბრალებდი მე უბედურსა და მარტოხელას. მოახლედაც რომ დამიყენებდე, ამითაც კმაყოფილი ვიქნებოდი. კმაყოფილი კი არა, — ბედნიერი! — რაკი არ შემიძლია, რომ ცოლი ვიყო მენი; ოღონდ შენს გვერდით მაცხოვრა, ხანდახან თვალი მომაკვრევინა და მაფიქრა. რომ შენ ჩემი ხარ და მეტი არაფერი მინდა... ერთ რამეზე ვოცნებობ მხოლოდ ერთადერთი სურვილი მაქვს: ზეცაზე, მიწაზე თუ ქვესკნელში შეგხვდე შენ, ჩემო ძვირფასო! გამოდი, ჩამოდი და მიხსენი უბედურებისაგან, რომელიც მემუქრება!

კლერმა გადაწყვიტა არ ერწმუნებინა უკანასკნელი მკაცრი ბარათი და დაუყოვნებლივ მოეძებნა ტესი დედამიწის პირზე იქნებოდა თუ ქვესკნელში. მამას ჰკითხა, ფული ხომ არ წაუღია შენგან ჩემს აქ

არ ყოფნაშიო. როცა მამის უარყოფითი პასუხი მოისმინა, მაშინღა ჩახვდა ენჯელი, სიამაყე არ მისცემდა ამის უფლებას, უსახსრობით კი ალბათ იტანჯებოდაო. კლერის ნართაული ლაპარაკიდან ბოლოს და ბოლოს მისი მშობლები მიხვდნენ ცოლ-ქმრის დაშორების ჭეშმარიტ მიზეზს. და აი, ქრისტიანობა მოვიდა შემწედ და მფარველად, ქრისტეს სჯული, რომელიც მათს განსაკუთრებულ მფარველობას მოუვლენდა ხოლმე ყველა ცოდვილს, ისეთი სითბოთი და თანაგრძნობით აღენთნენ ისინი ტესისადმი, როგორიც მათში ვერც მისმა სისხლმა, ვერც წარმოშობამ, ვერც უბრალოებამ და სისადავემ და ვერც სიღატაკემ ვერ წარმოშვა.

ენჯელი გასამგზავრებლად ემზადებოდა და აჩქარებით ალაგებდა ბარგს. თვალი წაატანა მერიენისა და იზისგან მიღებულ საცოდავ პატარა ბარათს და უცებ გადაიკითხა. ბარათი ასე იწყებოდა:

„პატივცემულო სერ. იზრუნეთ თქვენს მეუღლეზე, თუკი თქვენ ისევე გიყვართ იგი, როგორც მას უყვარხართ“... ქვეშ ეწერა „ორი კეთილმოსურნე“.

LIV

თხუთმეტ წუთში დატოვა კლერმა მშობლიური სახლი. დედამ მზერა გააყოლა თავის გამხდარ შვილს, ვიდრე თვალს არ მიეფარა. მამის ბებერ ჭაკზე უარი თქვა, იცოდა, მშობლებს დასჭირდებოდათ. იქვე დუქანში შეიარა და ორთვალა იქირავა. სული კბილით ეჭირა, ვიდრე ცხენს შეაბამდნენ. რამდენიმე წუთში დატოვა ქალაქი და ფერდობს აუყვა. სამი თუ ოთხი თვის წინ ჩამოდიოდა იმედებით აღსავსე ტესი ამ გზაზე, უკან კი ხელმოცარული და შეგინებული დაბრუნდა.

მალე კლერმა სოფელ ბენვილ ლეინის შარაგზაზე გადაუხვია. ხეებსა და ცოცხალ ღობეებს კვირტები დაებერათ. მაგრამ ენჯელს სად ეცალა მათთვის, აქეთ-იქით მხოლოდ იმისთვის იხედებოდა, რომ გზას არ ასცდენოდა. ნახევარ საათში კინგს-ჰინტოქის სამხრეთით მდებარე ნაღვლიანსა და უდაბნო ადგილზე ამოყო თავი. განმარტოებით აღმართულიყო აქ ავისმომასწავებელი ქვის სვეტი — „ჯვარი ხელში“. ამ სვეტთან დადო ტესმა ალეკის დაჟინებით ღმერთის წინაშე საშინელი ფიცი, რომ არასოდეს, აღარასოდეს აცთუნებდა ალეკს. მიწაყრილებზე შარშანდელი გამხმარი ჭინჭრის ღეროები მოჩანდა, ხის ძირებში კი უკვე აღმოცენებულიყო გაზაფხულის ლორთქო ნაყარი.

კლერი ჰინტოკის მამულებზე ამაღლებულ პლატოს პირს გაუყვა,

მერე მარჯვნივ კირის რაიონში, ფლინტკომ-ეშისაკენ გადაუხვია. ტესის წერილიდან იცოდა ამ ფერმის მისამართი, და იმედს არ კარგავდა, რომ ქალი აქ დახვდებოდა კვლავ. რაღა თქმა უნდა, გაუცრუვდა კლერს იმედი და სულ მთლად დაეცა სულით, როდესაც უთხრეს, ტესს კარგად ვიცნობთ, მაგრამ „მისტერ კლერის“ სახელი არც გლეხებს და არც ფერმერს არასოდეს გვსმენიაო. როგორც ჩანს, ტესი სულ მთლად მოკვეთილა მისგან განშორების ჟამს და აღარც მის გვარს ატარებდა, აღარც ახსენებდა.

— სწორედ ამაში ჩანდა ტესის დიდი კეთილშობილება. მამამისს რომ ფული არ სთხოვა და გაჭირვებაში ყოფნა ამჯობინა, ესეც ხომ იგივეს დადასტურება იყო.

ფერმაში უთხრეს, ტეს დარბეიფილდს არავინ გაუფრთხილებია, ისე დაჰკრა ფეხი და მშობლებთან წავიდა ბლეკმურის ველზეო. მაშასადამე, რადაც უნდა დაუჯდეს, ქვა უნდა გახეთქოს და მისის დარბეიფილდი მონახოს. მაგრამ როგორ? იმან ხომ მოსწერა მარლოტში არა ვცხოვრობო და რატომღაც არც თავისი ახალი მისამართი შეატყობინა. რა ჰქნას, როგორ მოიქცეს? სხვა გზა არ დარჩენია, უნდა ჩავიდეს მარლოტში და აი, იქ გაიგებს მის ასავალ-დასავალს. ფერმერი, რომელმაც ლამის შეჭამა ტესი, მეტად თავაზიანი გახლდათ კლერის მიმართ — ცხენებიც მისცა და მეეტლეც, რათა მარლოტამდე ჩასულიყო. ორთვალა კი, რომელიც მხოლოდ ერთი დღით დაიქირავა კლერმა, უკან გაგზავნა ემინსტერში.

ფერმერის ეტლით კლერი მხოლოდ და მხოლოდ ბლეკმურის ველამდე ჩავიდა, იქიდან კი უკან გაისტუმრა. თავად ღამე დუქანში გაათია და მეორე დღეს ფეხით გაუდგა იმ სოფლისაკენ მიმავალ გზას, სადაც მისი საყვარელი ტესი დაიბადა და ფეხი აიდგა. ადრეული გაზაფხული იდგა. ტყეები და ბაღები ჯერ კიდევ არ შეფერილიყვნენ ღია, კაშკაშა საღებავებით, ზამთარს თითქოს ენანება აქაურობის დატოვება და ფეხს ითრევსო — ჩუმ-ჩუმად მიმალულიყო სიფრიფანა მწვანე საფარველის ქვეშ. მწვანე ფერი კლერის სასოების განუყოფელი ნაწილი იყო.

სახლში, რომელშიც ტესმა თავისი ბავშვობა გაატარა, ახლა სხვა ოჯახი დაბინავებულიყო. მათ არც არასოდეს გაეგონათ ტესის სახელიც კი. ახალმოსახლენი ბაღში იყვნენ და ისეთი გატაცებით საქმიანობდნენ, თითქოსდა ეს სახლი დასაბამიდან სხვა ადამიანებთან არ ყოფილიყოს დაკავშირებული, ადამიანებთან, რომელთა ცხოვრებასთან შედარებით მათი საკუთარი ცხოვრება არარაობა იყო, საკუთარი ზრუნვითა და ფიქრებით დატვირთულნი მიდი-მოდიოდნენ ახალმობინადრენი ბაღის ბილიკებზე და თითქოს ყოველი მათი

მოძრაობა შეურაცხყოფდა წარსულის ბუნდოვან აჩრდილებს.

ლაპარაკით ისე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს თითქოს ის დრო, როდესაც აქ ტესი ცხოვრობდა, უფრო სისხლჭარბი არა ყოფილიყოს, ვიდრე დღევანდელი დღე. ფრინველები რაა, ისინიც კი ისე ჭიკჭიკებდნენ, თითქოს არც არავის მიეტოვებინოს იქაურობა.

კლერმა ამ ყეყეჩებს დ'ერბერვილების ამბავი გამოკითხა. მათ თავიანი წინამორბედების გვარიც ძლივს მოიგონეს. მისტერ დარბეიფილდი გარდაიცვალა, ქვრივი თავისი ბავშვებით მარლოტიდან გაემგზავრა. ამბობდა, კინგსბირში ვიცხოვრებთო, მაგრამ სხვაგან დასახლებულა და იმ ადგილს რა ჰქვია, აღარ გვახსოვსო, — უთხრეს კლერს. ენჯელს შესძაგდა სახლი, რომელშიც ტესი აღარ ცხოვრობდა, აჩქარა და ერთხელაც აღარ მოუხედავს მისკენ.

მინდორზე გადაუხვია, აი აქ ნახა თავისი ტესი საკლუბო დღესასწაულზე. სახლზე მეტად შესძაგდა კლერს ეს მინდორი. სასაფლაოსკენ წავიდა. საფლავის ახალ ქვებს შორის ერთს, უფრო გამორჩეულს, მიაქცია ყურადღება.

აქ განისვენებს ჯონ დარბეიფილდი, უფრო სწორად — დ'ერბერვილი ოდესღაც უძლიერესი და წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ვილჰელმ დამპყრობლის ერთ-ერთი რაინდის სერ პეგან დ'ერბერვილის პირდაპირი შთამომავალი. გარდაიცვალა მარტის 10-ს 18...

ასე ეცემიან ძლიერნი ამა ქვეყნისანნი.

ვიღაც კაცმა, რომელიც ეტყობოდა მესაფლავე უნდა ყოფილიყო შენიშნა საფლავთან მდგარი კლერი და გამოელაპარაკა:

— ეჰ, სერ, სწორედ, რომ არ უნდოდა ამ დალოცვილს აქ დაესაფლავებინათ. კინგსბირში, მისი წინაპრების სავანეში ეწადა განსვენება.

— მერე რად არ აუსრულეს წადილი?

— სახსარი არ იყო. ამ ღირსშესანიშნავ წარწერას ხომ ხედავთ, სერ... არა, მე ამას საჭორაოდ და გასაკიცხად კი არ ვამბობ... მაგრამ ამის ფული რა არის, ისიც კი არ გადაუხდიათ.

— ვინ წააწერა?

მესაფლავემ დაასახელა მარლოტელი კალატოზის გვარი. კლერმა დატოვა სასაფლაო და მისკენ გაეშურა. როცა დარწმუნდა, რომ მესაფლავის ნათქვამი სიმართლეს შეესაბამებოდა, გადაუხადა რაც ერგებოდა და გადასახლებულთა საძებნელად გაემგზავრა.

წინ გრძელი გზა ედო. მარტოობა სწყუროდა ენჯელს. ამიტომაც

ეტლი აღარ დაიქირავა, ფეხით გაუდგა გზას. ოლქის რკინიგზის სადგურსაც აუქცია გვერდი, თუმცა აქედანაც შეეძლო განზრახულ ადგილზე მისვლა. შესტონში იძულებული გახდა ცხენი ექირავა, მაგრამ გზა ისეთი ცუდი იყო, შვიდ საათზე ძლივს ჩავიდა სოფელში, სადაც ჟოანი ცხოვრობდა; ოცი მილით იყო ახლა კლერი დაშორებული მარლოტს.

სოფელი ძალზე პატარა იყო, კლერმა იოლად მიაგნო მთავარი ქუჩის მოშორებით ბაღში ჩადგმულ პატარა სახლს, სადაც მისის დარბეიფილდი შეგრიალდა თავისი უზარმაზარი ძველებური ავეჯით. აშკარა იყო, ჟოანს რატომღაც არ სურდა მისი ნახვა, დაუპატიჟებელი სტუმარივით გრძნობდა კლერი თავს. მისის დარბეიფილდმა თავად გამოხედა მოსულს. ჩამავალი მზის სხივები მოეფინა მის სახეს.

კლერმა პირველად ნახა ტესის დედა, მაგრამ ისე იყო გართული ფიქრებში, ერთი რამ შენიშნა მხოლოდ: ჟოანი ჯერ კიდევ ლამაზი იყო და ჩაცმითაც მოხდენილად ეცვა. როგორც დარბაისელ ქვრივს შეჰფერის. კლერი იძულებული გახდა გაეცნო თავი: ტესის ქმარი ვარო, უთხრა და ისიც განუმარტა, რისთვის იყო ჩამოსული. რაც მართალია, მართალია, ძალიან გაუჭირდა ამის მოხერხება.

— ტესის ნახვა მინდა ახლავე, — დასძინა მან ბოლოს, — მოგწერთო მპირდებოდით წერილში, მაგრამ არ აასრულეთ დანაპირები.

— იმიტომ, რომ ტესი არ დაბრუნებულა შინ, — მიუგო ჟოანმა — არ იცით, როგორ ცხოვრობს? — მე არ ვიცი, მაგრამ თქვენ კი უნდა იცოდეთ ეს, სერ, — მიუგო მან.

— მართალს ბრძანებთ. სად ცხოვრობს?

ჟოანს ხელი მიედო ლოყაზე და ისე ლაპარაკობდა — აშკარა იყო — აშფოთებდა რაღაც.

— მე... მე არ ვიცი, სად ცხოვრობს ტესი. ის... იყო... მაგრამ...

— სად იყო?

— ახლა აღარ არის იქ. მიკიბ-მოუკიბა ჟოანმა და ხმა ჩაიწყვიტა. ბავშვები დედას შემოეხვივნენ: ერთმა კაბის კალთა მოქაჩა და ჩურჩულით კითხა:

— ამ ჯენტლმენს უნდა ტესის შერთვა? — ამან უკვე შეირთო ტესი, — წასჩურჩულა ჟოანმა, — შინ შედით, შინ!

— როგორ ფიქრობთ, უნდა ტესს რომ მოვძებნო? თუ — არა, მაშინ მორჩა ყველაფერი...

— უთხრა კლერმა, რაკი შენიშნა, რომ მისის დარბეიფილდი რაღაცას უმალავდა.

— არა მგონია, უნდოდეს.

— დარწმუნებული ხართ?

— დარწმუნებული ვარ. ის იყო მობრუნებას და წასვლას აპირებდა კლერი, რომ ტესის წერილი გაახსენდა, სიყვარულით გამთბარი წერილი...

— მე კი მჯერა, რომ უნდა! — შესძახა აღელვებულმა, — მე თქვენზე უკეთ ვიცნობ მას!

— შესაძლოა, სერ, ძალიანაც შესაძლოა, მე სინამდვილეში არც არასოდეს ვიცნობდი ხეირიანად ჩემს ქალიშვილს და არც მესმოდა მისი.

— გემუდარებით, მითხარით მისი მისამართი, მისის დარბეიფილდ, შეიწყალეთ საბრალო მარტოხელა კაცი.

ისევ მოისვა დაბნეულმა დედამ ხელი ლოყაზე. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, იტანჯებოდა კაცი, წყნარად უთხრა:

— სენდბოურნშია.

— ჰო... მაგრამ, მაინც სად?.. სენდბოურნი ძალიან გაიზარდაო, ამბობენ...

— მე მარტო ეს ვიცი, რომ სენდბოურნშია. იქ არასოდეს ვყოფილვარ. აშკარა იყო, ჟოანი მართალს ამბობდა და მეტად აღარ ჩასციებია..

— ხომ არაფერი გჭირდებათ? — ალერსიანად ჰკითხა კლერმა.

— არა, სერ, — მიუგო ჟოანმა, — ჩვენ ახლა ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვართ.

—

კლერი შინაც არ შესულა, ისე დაემშვიდობა მათ და წავიდა აქედან სამიოდე მილზე სადგური იყო, მეეტლეს გაუსწორა ანგარიში და ფეხით გასწია სადგურისაკენ. მალე გავიდა სენდბურნში მიმავალი უკანასკნელი მატარებელი, ამ მატარებლით გაემგზავრა კლერიც. :
,

LV

ჩავიდა თუ არა სენდბურნში, კლერმა ნომერი დაიქირავა სასტუმროში. მამას დეპეშა გაუგზავნა და აცნობა თავისი ადგილსამყოფელი, მერე კი საღამოს, ასე, თერთმეტი საათისათვის, ქუჩაში გამოვიდა გასავლელად. ახლა, ასე გვიან რაიმეს გაგებაზე ფიქრი ზედმეტი იყო; იძულებული გახდა საქმე მეორე დილამდე გადაედო.

ეს მოდური ზღვისპირა კურორტი თავისი ორი — დასავლეთი და აღმოსავლეთი სადგურებით, ნავმისადგომებით, ფიჭვის ჭალებითა და ხეივნებით, ენჯელ კლერს ზღაპრული მხოლოდ ოდნავ მტვრიანი

ეჩვენებოდა. იგი თითქოს ჯადოსნური კვერთხის ერთი დაკვრით აღმოცენებულიყო ერთბაშად. აღმოსავლეთიდან ქალაქს თვალშეუდგამი მურაწითელი ეგდონის სტეპები ესაზღვრებოდა. უძველესი იყო ეს ქვეყანა, და მაინც აქ აღმოცენდა გართობის ქალაქი.

სენდბოურინის სანახებიდან ერთი მილის მანძილზე თავად მიწა მეტყველებდა წინა ისტორიულ ხანაზე. მიწის ერთი ბელტიც არ გადაებრუნებინათ კეისარის დროიდან, მაგრამ უეცრად, ვითარცა წინასწარმეტყველი კვახი, აღმოცენდა ეგზოტიკურ ქალაქად და მიიზიდა ტესი.

ფარნის შუქზე დაეხეტებოდა კლერი. ძველი სამყაროს ბურჯებზე შექმნილ ახალ სამყაროს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, ხეების კენწეროებში ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე მაღალი სახურავები და საწვიმარი მილები მოჩანდა, გოდოლებიან ფანტასტიკურ ვილებს დაეფარა მთელი ქალაქი. მხოლოდ და მხოლოდ ცალ-ცალკე მდგარ სახლებს თუ დაინახავდით. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან ლამანშანის ნაპირზე გადმოტანილი კურორტი კიდევ უფრო დიდებული და შთამაგონებელი ჩანდა ღამით, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ზღვა ზედ ერტყა ქალაქს, მაგრამ შიგ როდი იჭრებოდა თავმომაბეზრებლად. რაღაცას ბუტბუტებდა ზღვა, კლერს კი ფიჭვების შარიშური ეგონა. თუმცა ფიჭვებიც ზღვასავით შრიალებდნენ, მას კი მოქცევა ეგონა. სად შეეკედლა ნეტავ მისი გლეხის გოგონა. მისი ახალგაზრდა ცოლი, ამ მდიდარსა და ფეშენებელურ ქალაქს? რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო აოცებდა ეს კლერს. განა ჰყავთ აქ სადმე მეწველი ძროხები? ყოველ შემთხვევაში, სახნავ-სათესი ადგილები მაინც არ არის. ნამდვილად მოახლედ თუ დადგა სადმე ამ მდიდრულ სახლებში. კლერი დაეხეტებოდა ქუჩებში და საძინებელი ოთახების განათებულ ფანჯრებში იცქირებოდა. თანდათან ქრებოდა შუქი ოთახებში, კლერი კი ცდილობდა გამოეცნო, სად იყო ტესის ოთახის სარკმელი.

სულ ტყუილად იმარჩიელა. ნაშუაღამევს სასტუმროში დაბრუნდა და დასაძინებლად დაწვა. ვიდრე შუქს ჩააქრობდა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა ტესის გრძნობით აღსავსე წერილი. დაძინება მაინც ვერ მოახერხა; ასე ახლოს იყო ტესთან და თანაც ასე შორს... წამდაუწუმ გადაწევდა ფარდას, რომ მოპირდაპირე სახლში შეეხედა, ეწადა გაეგო ამ კედლის იქით ხომ არ ეძინა ტესს.

ენჯელს შეეძლო არც დაწოლილიყო ლოგინში. თვალიც არ მოუხუჭავს თავის მოსატყუებლად. დილის შვიდ საათზე ადგა, გამოვი-

და ქუჩაში და პირდაპირ მთავარი ფოსტისაკენ აიღო გეზი. კარში ვიღაც ფოსტალიონს გადაეყარა; ფოსტა მიჰქონდა. საზრიანი კაცის გამოხედვა ჰქონდა.

— მისის კლერის მისამართი ხომ არ იცით? — ჰკითხა მაშინვე კლერმა. ფოსტალიონმა თავი გადააქნია.

მერე იფიქრა, იქნებ ქალიშვილობის გვარს ატარებს და დასძინა.

— არც მისის დარბეიფილდისა?

— დარბეიფილდი? არც ეს გვარი გაეგონა ფოსტალიონს.

— აქ, იცით სერ, ერთნი ჩამოდიან, მეორენი მიდიან, რას გაიგებს იმათსას კაცი. თუ სახლი არ იცი, ვერვის მიაგნებ.

— უთხრა ბოლოს ფოსტალიონმა. „

ფოსტიდან ვიღაც სხვა ფოსტალიონი გამოვიდა კიდევ, კლერმა იმასაც გაუმეორა გვარები.

— დარბეიფილდისა არაფერი ვიცი, მაგრამ აი, „ყანჩაში“ ერთი დ'ერბერვილი ცხოვრობს, — მიუგო მან.

— აი, ეგ მინდა სწორედ! — შესძახა კლერმა, თან გაუხარდა დამახინჯებული გვარი გადაუსწორებიაო, — სად არის ეგ „ყანჩა“?

— კოხტა და მოდური საცხოვრებელი სახლია. აქ მხოლოდ ასეთი სახლებია საერთოდ.

კლერმა დაწვრილებით გამოკითხა, როგორ მისულიყო ამ სახლამდე, ნაბიჯს აუჩქარა და მერძევესთან ერთად მიადგა სახლის კარს. „ყანჩა“ ერთი ჩვეულებრივი ვილა გახლდათ. ეგ იყო მხოლოდ, განცალკევებით იდგა და უფრო კერძო ბინას ჰგავდა, ვიდრე დიდ სახლს, რომელშიც ოთახებს აქირავებენ.

— საბრალო ტესი, ალბათ მოახლედ დგას ვინმესთან — ფიქრობდა ენჯელი, — თუ ასეა, უკანა კარიდან გამოაკითხავს მერძევეს. ის იყო უნდოდა მერძევეს უკან მიჰყოლოდა, მერე გაუბედავად მივიდა სადარბაზო შესასვლელთან და დარეკა. ადრიანი დილა იყო. კარი დიასახლისმა გააღო.

— ტერეზა დ'ერბერვილი ან დარბეიფილდი თუ ცხოვრობს აქ? — ჰკითხა კლერმა.

— მისის დ'ერბერვილი? — დიახ.

კლერს გაუხარდა, მაშასადამე ტესი აქ გათხოვილ ქალად ითვლებოდა, თუმცა კი, როგორც ჩანს, საკუთარ გვარს ატარებს ისევ.

— გეთაყვათ, უთხარით, ნათესავი გკითხულობს-თქო.

— ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც მითხარით, როგორ მოვახსენო, ვინ ბრძანდება-მეთქი?

— უთხარით, ენჯელი მოვიდა-თქო.

— მისტერ ენჯელი? — არა, ენჯელი, ეს სახელია და არა გვარი.

თვითონ იცის.

— წავალ, ვნახავ, თუ ღვიძავს. კლერი სასადილო ოთახში შეიყვანეს. გამჭვირვალე ფარდებიდან კლერმა პატარა გუბურა, როდოდენდრონები და ბუჩქები დაინახა. ჩანს, ტესი არც ისე ცუდად ცხოვრობს, როგორც ფიქრობდა. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ ბრილიანტები ხომ არ გამოიტანა და გაყიდაო. მერე რა, ამისათვის არც დაადანაშაულებს. მის დაძაბულ სმენას ფეხის ხმა შემოესმა.

— ვიღაცა კიბეზე ჩამოდიოდა: გული აუკვნესდა, მუხლთ მოეკვეთა, — ღმერთო ჩემო, რას იფიქრებს ჩემზე? როგორ გამოვიცვალე! — წაიდუდუნა მან. კარი ფართოდ გაიღო. ზღურბლზე ტესი იდგა, — მაგრამ ის ტესი არა, რომელსაც ელოდა. შეცბუნებული კლერი გახევებული შეჰყურებდა. მისი ტანსაცმელი კიდევ უფრო ნათლად აჩენდა ტესის ღვთით მიმადლებულ სილამაზეს. ტანთ მოთეთრო — მონაცრისფრო შავი ძაფით დაქარგული ქიშმირის დილის ხალათი ეცვა. ფეხთ — ამავე ფერის ფოსტლები. ხალათის საყელოს ბუმბული ჰქონდა შემოვლებული. სქელი, მუქი წაბლისფერი თმა — რა კარგად ახსოვს ენჯელს მისი გრძელი ნაწნავი, — კეფაზე აეკრიფა, თმის კულულები მხრებზე სცემდა — ეტყობოდა, ეჩქარა.

ენჯელმა ხელი გაუწოდა. ტესი კარებში იდგა, ხელები ჩამოეშვა და მიახლოებას არ ფიქრობდა. ზიზღს თუ ჰგვრის ჩემი ყვითელი ტყავგადაკრული ჩონჩხის დანახვა, — გაუელვა კლერს. რა დიდი განსხვავებაა ახლა ჩვენს შორის.

— ტესსი! — ამოიხრიალა ენჯელმა, — მაპატიებ, რომ წავედი და მიგატოვე? არ მოხვალ ჩემთან? რატომ... რატომ გამოიცვალე ასე?..

— დაიგვიანე? — მკვეთრად გაისმა ტესის ხმა ოთახში, თვალებმა საოცრად გაიელვეს.

— უსამართლოდ მოგექეცი, თვალები დაბრმავებული მქონდა, ისეთს ვერა ვხედავდი, როგორიც სინამდვილეში იყავ! — ემუდარებოდა კლერი — ახლა ვიცი შენი ფასი, ჩემო ტესსი, საყვარელო!

— ძალზე დაიგვიანე! — გაიმეორა ტესმა და მოუთმენლად გაიქნია ხელი, თითქოს აწამებენ და ყოველი წუთი საათი ეჩვენებაო, — არ მომიახლოვდე, ენჯელ! არ შეიძლება! არ მოხვიდე!

— ნუთუ შეიძლება აღარ გიყვარდე, ჩემო ძვირფასო, იმის გამო, რომ ასე გამოვიცვალე ავადმყოფობის შემდეგ? არა, შენ არასოდეს ყოფილხარ უპირო და გაუტანელი... შენს წასაყვანად ჩამოვედი, ჩემი მშობლები სიხარულით მიგიღებენ!

— ჰო, ჰო! მაგრამ გეუბნები — გვიანაა-მეთქი, ძალიან გვიან! თითქოს სიზმარშიაო, გაქცევა სურდა ტესს და ვერ გაქცეულიყო.

— თუ არაფერი იცი მაშ, როგორ მოხველ, როგორ? — ყველგან

გიკითხე, გეძებე და გიპოვე.

— მე გელოდი! ო, როგორ გელოდი! — როგორც ოდესღაც ფლეიტასავით აჟღერდა ტესის ხმა, — შენ კი არ მოხველ. მოგწერე, — არ ჩამოხვედი! ის კი ჩამაცივდა: ბრიყვო, არ მოვა, აღარასოდეს დაგიბრუნდებაო. მამა რომ მომიკვდა, მეტად კეთილად მომექცა მეც, დედასაც და ყველას, მან...

— არაფერი მესმის.

— დამიყოლია, დავბრუნებოდი.

კლერმა გამჭვალავი მზერა ესროლა ტეს, მერე, როცა ჩახვდა მისი სიტყვების აზრს, თითქოს მეხი დაეცაო, თავი ჩაქინდრა და თვალები დახარა. ტესის ხელები დაინახა. ო, ეს ხელები ოდესღაც ვარდისფერი, ახლა სულ მთლად თეთრი იყო და ნაზი. „ტესი განაგრძობდა:

— ახლა ზევითაა. მე მძულს იგი იმიტომ, რომ მომატყუა: არ დაბრუნდებაო, ჩამძახოდა, შენ კი დაბრუნდი! ეს კაბა იმან მაჩუქა... ჩემთვის სულერთი იყო, როგორადაც არ უნდა მომქცეოდა, მაგრამ გემუდარები, ენჯელ წადი, წადი და ნურასოდეს, ნურასოდეს დაბრუნდები!

შეძრწუნებული და თავზარდაცემულნი გაუნძრევლად იდგნენ.

ნაღვლიანად შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ვიღაცას შესთხოვდნენ გვიხსენ სინამდვილისაგანო.

— ჩემი ბრალია!

ესღა თქვა კლერმა და მეტი ვეღარაფერი მოახერხა. ისევე ფუჭი და უსუსური იყო სიტყვებიც, როგორც დუმილი, ენჯელმა რაღაც ბუნდოვნად იგრძნო, — ნათლად კი მხოლოდ მერეღა მიხვდა: მისი ტესი სულიერად თითქოს განერიდა და გაემიჯნა სხეულს. სული იგი არც იყო მისი, თითქოს ნება მისცა თავისუფლად ენავარდა, თავად კი უსულო გვამი იყო, მისი ნებისაგან დამოუკიდებელ დინებას მინდობილი გვამი.

რამდენიმე წამი გამოხდა. ტესი წასულიყო. შეჭმუხნული და ჩამოვარდნილი სახე სულ მთლად გალიგვებოდა, ფიქრებში წასულ კლერს. ორიოდე წუთის შემდეგ ქუჩაში მიაბიჯებდა, მაგრამ საით, თავადაც არ უწყოდა.

LVI

„ყანჩას“ დიასახლისი და მთელი ამ ავეჯისა და მორთულობის ბატონპატრონი მისის ბრუკსი დიდი ცნობისმოყვარე არ გახლდათ. საწყალი, იძულებული გამხდარიყო სარფისა და ზარალის დემონს

მომსახურებოდა და ისე იყო ჩაფლული მატერიალურ საქმეებში, რომ თავის მდგმურების ჯიბის იქით ვეღარაფერს ხედავდა. უანგარო ცნობისმოყვარეობა უცხო იყო მისთვის და მაინც ენჯელ კლერის ვიზიტი მის მდიდარ მდგმურებთან, ცოლ-ქმარ დ'ერბერვილებთან, როგორც ისინი მიაჩნდა, იმდენად უჩვეულო იყო, თუ რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღებთ ასეთ ადრიან სტუმრობასა და კიდევ სხვა გარემოებებს, რომ მაინც იჩინა თავი ქალურმა ცნობისმოყვარეობამ, რომელიც კარგა ხანია ჩახშობილი ჰქონდა, რაკიღა მისი საქმის ინტერესებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო.

ტესი შიგ არ შედიოდა, სასადილო ოთახის კარში იდგა და იქიდან ელაპარაკებოდა ქმარს. მისის ბრუკსი დერეფნის ბოლოს თავის სასტუმრო ოთახის გამოღებულ კარს იქით იდგა. იქიდან უსმენდა მათ საუბარს, თუკი საუბარი შეიძლება ეწოდოს ამ ორი საცოდავი ადამიანის ლაპარაკს. ისიც გაიგონა, როგორ ავიდა ტესი კიბეზე, კლერი კი წავიდა და უკან მიიხურა სადარბაზო შემოსასვლელის კარი. მერე კარმა ზევით გაიჭრიალა და მიხვდა, რომ ტესი თავის ოთახში შევიდა. რაკი ახალგაზრდა ლედის ჯერ კიდევ არ მოეთავებინა დილის ტუალეტი, მისის ბრუკსმა ივარაუდა, რომ მალე არ გამოვიდოდა.

ფრთხილად ავიდა მისის ბრუკსი კიბეზე და ჩუმად შეჩერდა სასტუმრო ოთახის კართან. ეს ოთახი ორსაგდულიანი კარით გვერდით საძინებელ ოთახში გადიოდა. მთელი მეორე სართული, სადაც მისის ბრუკსის საუკეთესო ოთახები იყო განლაგებული დ'ერბერვილებს ეკავათ და ყოველკვირეულ ქირას იხდიდნენ. საწოლ ოთახში ჩამი-ჩუმი არ იყო, სასტუმროდან კი რაღაც ხმაური მოისმოდა.

— ჯერ გულამოსკვნილი კვნესა გაიგონა, თითქოს ვიღაცას იკსიონის ხორბალზე აწამებენო.

— ო-ო-ო!..

კვლავ სიჩუმე, მერე ღრმა ამოოხვრა და ისევ: — ო-ო-ო!..

დიასახლისმა გასაღების ნახვრეტში შეიხედა. ოთახის პატარა ნაწილი მოჩანდა მხოლოდ — მაგიდის კიდე და იქვე მიდგმული სკამი; მაგიდაზე უკვე ეწყო გამზადებული საუზმე. სკამის დასაჯდომზე მუხლებზე დაჩოქილი ტესის თავი მოჩანდა. ხელები შემოეჭდო თავზე, ღამის პერანგისა და ხალათის კალთა იატაკს გართხმოდა, ფოსტლები გაძრობოდა და ხალიჩაზე მისი შიშველი ფეხები მოჩანდა. უსაზღვრო სასოწარკვეთილებით ბუტბუტებდნენ მისი ლამაზი ბაგეები.

გვერდით ოთახიდან მამაკაცის ხმა მოისმოდა: — რა მოხდა?

ქალს არც უპასუხია. არც შეუწყვეტია სამგლოვიარო ზარისმაგვარი სევდიანი ზუზუნი. მისის ბრუკსმა მხოლოდ ზოგიერთი წინადადების ნაგლეჯებს მოჰკრა ყური.

— ... მერე საყვარელი ქმარი დამიბრუნდა... მე ეს არ ვიცოდი. შენ კი ულმობელი იყავი და ჩამძახოდი... ჰო, სულ ჩამძახოდი დები, ძმები, დედაჩემის გაჭირვება და სიღატაკე. აი, რით დამიყოლიე... სულ მეუბნებოდი, ქმარი არ დაგიბრუნდება, არასოდეს არ დაგიბრუნდებაო... დამცინოდი, ბრიყვი ხარ, თუ კიდევ იმის დაბრუნების იმედი გაქვსო... ბოლოს და ბოლოს მეც მოვტყდი. დაგიჯერე და დაგითმე... ის კი დაბრუნდა! და ახლა წავიდა: ისევ წავიდა და სამუდამოდ დავკარგე... მეტად აღარ ვეყვარები, შემიძულებს... ჰო, დავკარგე და ისევ შენი გულისათვის!

იატაკზე მოკრუნჩხული ტესი კარისაკენ შებრუნდა; დარდისა და ტკივილისაგან სახე მოქცეოდა. დაკბენილი ტუჩები დასისხლიანებოდა, თვალები მოეხუჭა, ცრემლით დალტობილი წამწამები ღაწვებზე მიჰკვროდა, და მაინც განაგრძობდა.

— ის კვდება... მთლად მომაკვდავსა ჰგავს!.. ჩემი ცოდვა იმას მოინელებს, მე კი არა!.. ოჰ, შენ დამიმსხვრიე მთელი ცხოვრება... მსხვერპლად მაქციე და საბრალო ჩიტივით გალიაში გამომამწყვდიე... ჩემი ქმარი კი არასოდეს, არასოდეს... ოჰ, ღმერთო, ამას ვერ ავიტან, ვერ ავიტან!

მამაკაცმა რაღაც უთხრა უხეშად. რაღაცამ გაიშრიალა თითქოს, ტესი წამოხტა, შეშინებული მისის ბრუკსი, ვაითუ გარეთ გამოვარდესო, ცუხცუხით დაეშვა კიბეზე.

მაგრამ მისის ბრუკსს არაფერი ჰქონდა საჩქარო და შესაშინებელი, ოთახის კარი არც გაღებულა. ბრუკსმა მაინც სახიფათოდ ჩათვალა კიბიდან ყურის გდება და ოთახისაკენ წავიდა.

ზემოდან ჩქამიც არ ჩამოდიოდა. თუმცა კი სმენა გამახვილებული ჰქონდა. მერე სამზარეულოში შევიდა და მიტოვებულ საუზმეს მიუბრუნდა. შემდეგ პირველი სართულის სასტუმროში დაბრუნდა და საკერავს მოკიდა ხელი. ელოდა, როდის დარეკავდნენ მისი მონადირენი. თავად უნდოდა აელაგებინა მაგიდა. იქნებ რაიმე საინტერესოსათვისაც მოეკრა ყური. ზემოდან იატაკის ჭრაჭუნი მოისმოდა. ეტყობოდა ვიღაცა ბოლთას სცემდა ოთახში. მერე კაბამ გაიშრიალა, გაიღო და მიიხურა სადარბაზოს კარი და ქუჩაში ტესი გამოჩნდა. როგორც ახალგაზრდა მდიდარ ლედის შეეფერებოდა გამოსასვლელი კაბა ეცვა. ამ კაბით მოვიდა ამ სახლში. მხოლოდ შავფრთიან შლაპაზე პირბადე ჩამოეფარებინა ახლა.

— მისის ბრუკსმა ყური ვერ მოჰკრა უთხრეს თუ არა მეორე სართულის მცხოვრებლებმა ერთმანეთს რამე ტესის წასვლის წინ. შეიძლება გაიბუტნენ, ან. იქნებ მისტერ დ'ერბერვილს სულაც სძინავს, წესად არ ჰქონდა ადრე ადგომა.

დიასახლისი ოთახში შებრუნდა და საქმე განაგრძო. ლედი არ ბრუნდებოდა, ჯენტლმენიც არ ურეკავდა. მისის ბრუკსი ცდილობდა გამოეცნო, რა მიზეზი იქნებოდა ასეთი შეყოვნების საბაბი. ან რა კავშირი ჰქონდა დილის სტუმარს ამ მეორე სართულზე მცხოვრებ წყვილთან. დიასახლისი სკამის ზურგს მიეყრდნო და ფიქრებში გართულმა მზერა ჭერს მიაპყრო. თეთრ ჭერზე ლაქა შეამჩნია. ადრე არასოდეს შეუნიშნავს ასეთი ლაქა. ლაქა ჯერ პაწია იყო, მერე გაიზარდა თანდათან და ხელისგულისოდენა გახდა. ახლა აშკარად გამოჩნდა, ლაქა წითელი ფერისა იყო. გრძელი ოთახის თეთრი ჭერი ნაზუქის ვეებერთელა ტუზს დაემსგავსა.

— მისის ბრუკსს გულმა რეჩხი უყო. უცნაურმა შიშმა შეიპყრო. შედგა მაგიდაზე და თითი მიადო სველ ლაქას. სისხლისაგან იყო სველი ნამდვილად.

ჩამოხტა მაგიდიდან და მაშინვე ზემო სართულისაკენ გასწია.

საწოლში შესვლა გადაწყვიტა. ეს ოთახი მისი ოთახის თავზე სასტუმროს გვერდით იყო. თუმცა მაგარი ნერვები ჰქონდა, მაინც გაუჭირდა კარის სახელურზე ხელის მოკიდება. ყური მიუგდო. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ წვეთების წკაპუნი არღვევდა.

— მისის ბრუკსი სირბილით დაეშვა კიბეზე, გააღო სადარბაზოს კარი და ქუჩაში გავარდა. ერთი მისი ნაცნობი მეზობელ ვილაში მომუშავე კაცი მიდიოდა ქუჩაში. შეევედრა, შინ შემოდი და ზემო სართულზე ამყევი, მეშინია, უბედურება რამე ხომ არ შეემთხვა ჩემს მობინადრესო. მუშა დაყაბულდა და უკან გაჰყვა.

დიასახლისმა სასტუმროს კარი შეაღო, წინ კაცი შეუშვა, თავად უკან მიჰყვა. სასტუმრო ოთახში არავინ იყო. საუზმე — ყავა, კვერცხი და ცივი შაშხი, ისევ ხელუხლებელი იდო მაგიდაზე. მაგიდა ისევე იყო გაშლილი, როგორადაც თავად გაშალა და დატოვა, მხოლოდ დიდი დანა არსად ჩანდა. ახლა მეზობელ ოთახში გასვლა სთხოვა მუშას.

— მან შეაღო კარი, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და მაშინვე უკან გამობრუნდა. სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო. საწოლზე უსულო ჯენტლმენი წევს! ეტყობა, დანა დაურტყამთ, იატაკზე სისხლის გუბე დგას!

ატეხეს განგაში. სულ ცოტა ხნის წინ მიყრუებული და წყნარი სახ-

ლი ფეხების ბრაგაბრუგმა აიკლო. მოვიდა ექიმიც. ჭრილობა პატარა იყო, მაგრამ დანის ალესილი პირი შიგ გულში მოხვედროდა მსხვერპლს! გაფითრებული და გახევებული მიცვალებული გულაღმა იწვა, — ეტყობოდა, არც განძრეულა დარტყმის მერე. ელვასავით მოედო თხუთმეტ წუთში ამ მოდური კურორტის ყველა ქუჩასა და ვილას ახალი ცნობა: ვიღაც ჩამოსული ჯენტლმენი მოუკლავთ დანით თავისსავე ლოგინშიო.

LVII

იმავე ქუჩებით ბრუნდებოდა უკან ენჯელ კლერი, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოიარა და თავადაც არ უწყოდა, როგორ ადგამდა ნაბიჯებს. სასტუმროში მივიდა, სასაუზმოდ დაჯდა და დაბნეული მიაშტერდა უსაზღვრო სივრცეს. ისე სვამდა და ჭამდა, ვერც გებულოდა რას აკეთებდა. მერე უცებ ანგარიში მოითხოვა, გადაიხადა დანახარჯი, წამოავლო ხელი თავის ერთადერთ ბარგს — სამგზავრო ჩანთას და გარეთ გამოვიდა.

კარებში დეპეშა შეაჩეჩეს ხელში — ორიოდე სიტყვით ატყობინებდა დედა: მივიღეთ შენი მისამართი, ძალიან გაგვიხარდა. შენმა ძმამ კათბერტმა ხელი სთხოვა მერსი ჩანტსა და თანხმობაც მიიღო.

კლერმა დაჭმუჭნა დეპეშა და სადგურისაკენ გაემართა, მატარებელი ერთ საათზე ადრე არ გავაო, უთხრეს: იქვე დაჯდა, თხუთმეტ წუთზე მეტი ვეღარ მოიცადა, მოთმინება ღალატობდა, მაგრამ სურდა მალე, რაც შეიძლება მალე გასცლოდა ამ ქალაქს, სადაც ასე ეწამა. გადაწყვიტა, ფეხით ჩასულიყო მორიგ სადგურამდე და იქ ჩამჯდარიყო მატარებელში.

ღარტაფისაკენ მიმავალ პირდაპირ გზას დაადგა. ის იყო მიაღწია კიდეც ღარტაფის ძირსა და დასავლეთის ფერდობს შეუდგა, რომ სულის მოსათქმელად შედგა — თითქოს რაღაცამ უბიძგაო, უკან მოიხედა. რატომ მოიხედეო, რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდათ. ლარივით გაჭიმულ სწორ გზას გახედა. თეთრი სივრცის ბოლოს რაღაც მოძრავ ლაქას მოჰკრა თვალი.

ვიღაც კაცი მორბოდა. კლერი დაელოდა. თითქოს ტანმა უაზრა, მე მომდევენო.

ფერდობზე ვიღაც ქალი ჩამორბოდა. რას მოიფიქრებდა, თუ მისი ცოლი იქნებოდა. მიუახლოვდა და მაინც ვერ მიხვდა, ვინ იყო ამ ახალ კოსტუმში გამოწყობილი ქალი, როდესაც გვერდით ამოუდგა, მაშინღა იცნო ტესი.

— ენჯელ, — უთხრა მან, — ის იყო სადგურს ვუახლოვდებოდი,

რომ შენ გასცდი იქაურობას და გზას დაადექი... მთელი გზა სირბილით მოგდევს ერთიანად ცახცახებდა ფერწასული, სუნთქვაშეკრული ქალი. მეტი არც არა უთქვამს, არც არა უკითხავს, ჩაავლო ხელი და თან წაიყოლა გამვლელებისათვის რომ თავი აერიდებინა, ნაძვებისაკენ გადაუხვია ბილიკზე, ხშირნარში გაუჩინარდნენ, ნაძვის ტოტები თითქოს თავს დაჰკვნესოდნენ. კლერი შედგა და გაოცებით მიაცქერდა ტესს.

— ენჯელ, — წამოიწყო ტესმა, — თითქოს მის შემოხედვას ელოდაო, — იცი, რატომ გამოგეკიდე? მინდოდა მეთქვა, მოვკალ-მეთქი!

თქვა ესა და შესაბრალისი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— რაო?! — შესძახა კლერმა თუ ბოდავსო, იფიქრა.

— ჰო, მოვკალ, მაგრამ როგორ მოვკალ, არ ვიცი, — განაგრძობდა ტესი, — სულერთია, მაინც უნდა მომეკლა შენი გულისათვის და ჩემი საკუთარი თავისთვისაც, ენჯელ. სულ მეშინოდა აი მაშინაც, როცა ხელთათმანი ჩავცხე ტუჩებში, რომ ოდესმე მოვკლავდი იმ სიავისათვის, რაც მან ყმაწვილქალობაში მარგუნა წილად მე და, მაშასადამე — შენც. ის მუდამ ჩვენ შორის იდგა და ორივე დაგვღუპა. თუმცა ახლა ვეღარ მოახერხებს ჩვენს წყენინებას. არასოდეს ის არა მყვარებია, ენჯელ ხომ იცი ეს? ხომ გჯერა ჩემი? შენ არ დამიბრუნდი და იძულებული გავხდი მე დავბრუნებოდი მას. რად წახვედი, რად მიმატოვე, როცა ასე ძალიან მიყვარდი? ვერ გამიგია, რად მოიქეცი ასე არ გადანაშაულებ, მაგრამ მაპატიებ შეცოდებას ახლა, როცა ის მოვკალი? მოგდევდი უკან და ვფიქრობდი, რაკი მოვკალი ის, ახლა კი აუცილებლად მაპატიებს-მეთქი. თითქოს ნათელი მომეფინა, რომ ასეთნაირად მაინც შემიძლია დაგიბრუნო, უშენოდ ცხოვრება აღარ შემეძლო. შენ არ იცი, რა მძიმე იყო ჩემთვის, როცა ვფიქრობდი: აღარ ვუყვარვარ-მეთქი! მითხარი, ჩემო ქმარო, ჩემო საყვარელო ქმარო, მითხარი, რომ გიყვარვარ ახლა, როცა ის მოვკალ!

— მიყვარხარ, ტეს, ისევე მიყვარხარ, როგორც მიყვარდი! — უთხრა ენჯელმა და მაგრად მიიკრა მკერდზე.

— მაგრამ რას ამბობ, ვერ გამიგია, შენ ის მოკალი?

— ჰო, მოვკალ...

— წაიბუტბუტა ტესმა, თითქო სიზმარშიაო, — მოვკალ, ცოცხალი აღარ არის! გაიგონა, რომ დაგტიროდი, დაცინვა დამიწყო, ბილწად მოგიხსენია, ჰოდა, მეც ავიღე და მოვკალ. გულმა ვეღარ აიტანა. ადრეც ხშირად მელაპარაკებოდა შენზე და დაგცინოდა. ჰო, მოვკალ, მე კი ჩავიცვი და შენს საძებნელად გამოვეშურე.

ბოლოს და ბოლოს კლერმა თითქმის დაიჯერა, — თუ არ მოუკლავს, ყოველ შემთხვევაში, უცდია მაინც მისი მოკვლაო. ქალის

საქციელით შეძრწუნებულ კლერს გაოცებაც მიემატა. რა დიდი, რა საოცარი სიყვარულით ჰყვარებია ტესს იგი, რომ მორალური ინსტინქტიც კი წაართვა. ტესი თითქოს ვერც გრძნობდა ჩადენილი საქციელის სიმძიმეს და ბედნიერიც კი იყო. კლერის მხარზე თავმიყრდნობილი სიხარულისაგან ქვითინებდა. ენჯელი კი შეჰყურებდა ტესს და ფიქრობდა: უთუოდ დ'ერბერვილების შავმა სისხლმა თუ შთააგონა ეს ბოდვა, თუ ეს მართლა ბოდვაა, მაგრამ, ჰო, — გაუელვა აზრმა კლერს, — ეს ხომ ოჯახური ტრადიციაა: — ეტლი და მკვლელობა. დ'ერბერვილებს სჩვევიათ მსგავსი ამბები ალბათ, — ივარაუდა მან და შეეცადა საღი აზრით ემსჯელა, რამდენადაც შემკრთალსა და შეშფოთებულს შეეძლო საღად ემსჯელა უსაზღვრო მწუხარების წუთებში, — როგორც ტესმა თქვა, — გონთ დაუბნელდა და ერთბაშად გადაეშვა ამ უფსკრულში.

თუ ტესი სიმართლეს ამბობს, — საშინელებაა. ხოლო თუ ბოდავს — სამწუხაროა და სავალალო, მაგრამ ასეა თუ ისე, მის წინაშე დგას მისი მიტოვებული ცოლი, უსაზღვროდ მოყვარული ქალი. იგი მიკედლებია, ჩაკონებია და წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ იგი მისი დამცველი იქნება უდაოდ. ბოლოს სითბომ და სინაზემ დასძლია ყველა სხვა გრძნობა. კლერი გაფითრებული ტუჩებით უსასრულოდ კოცნიდა ქალს. მერე ხელი მოკიდა და უთხრა:

— არასოდეს მიგატოვებ! რისი ჩამდენიც არ უნდა იყო, საყვარელო, მუდამ დაგიცავ, ვიდრე ძალა შემწევს და ღონე.

ხეების ჩრდილქვეშ განაგრძეს გზა. ტესი წინ მიდიოდა და წამდაუწუმ უკან იხედებოდა, რათა თვალი შეევლო მისთვის. თუმცა კლერი ძალზე გამხდარი და დაუშნოებული იყო, ტესი, როგორც ჩანდა, ვერაფერს ცუდს ვერ ამჩნევდა. როგორც ყოველთვის, ახლაც სრულქმნილი იყო მის თვალში. მისი ანტინოე, და უფრო მეტიც — აპოლონი იყო მისთვის, უსაზღვროდ შეყვარებული ქალისათვის. მისი მოღლილ-მოქანცული სახე დილასავით მშვენიერი იყო, და ისევე ლამაზი, როგორც მათი პირველი შეხვედრის დღეს.

— ეს ხომ ის ერთადერთი ადამიანის სახე იყო ამქვეყნად, რომელსაც წმინდად უყვარდა და სწამდა მისი სიწმინდისაც.

ორი ძირითადი ინსტიტუტი რაღაც ქვეშეუცნობელი შიშით შეპყრობილმა კლერმა სადგურისაკენ არ გადაუხვია. უფრო ღრმად შევიდა ტყეში, რომელიც რამდენიმე მილზე გადაჭიმულიყო. ჩახვეულები მიაბიჯებდნენ გამხმარი ნაძვის წიწვების ხალიჩაზე და ნეტარებით ტკბებოდნენ: ბოლოს და ბოლოს ერთად არიან და აღარავინ დგას ეკალივით მათ შუა. მიცვალებული აღარც აგონდებოდათ. ასე გაიარეს რამდენიმე მილი. ბოლოს გონს მოსულმა ტესმა მიიხედ-

მოიხედა და გაუბედავად იკითხა:

— ვიცით სად მივდივართ? — არა, ძვირფასო, რა იყო? — არაფერი.

— შეგვიძლია კიდევ რამდენიმე მილი ვიაროთ. როცა დაბნელდება, მოვძებნოთ სადმე თავშესაფარი, რომელიმე განცალკევებულ კოტეჯში. ხომ არ დაიღალე, ტეს?

— არა, უსასრულოდ შემიძლია შენ გვერდით სიარული.

ენჯელის გეგმა გონივრული იყო: ნაბიჯს აუჩქარეს, ცდილობდნენ გვერდი აექციათ სავალი გზებისათვის და ბილიკებით მიემართებოდნენ ჩრდილოეთისაკენ. მაგრამ მთელი დღე განუსჯელად მოქმედებდნენ. არც ენჯელს განუზრახავს გაქცევა, ან გადაცმა და სადმე დამალვა, არც ტესს, მომავალზე არც ფიქრობდნენ, ბავშვებივით წინდაუხედავად იქცეოდნენ.

შუადღისას გზისპირა დუქანს მიადგნენ: კლერთან ერთად უნდოდა ტესს შიგ შესვლა, მაგრამ კლერმა დაარწმუნა, აჯობებს თუ აქ დამელოდები, ხის ძირშიო. ამ მიდამოებში ტყეს ხშირად მანანით მოფენილი მდელოები ენაცვლებოდა. ტესი უკანასკნელ მოდაზე იყო ჩაცმული. სპილოსძვლისსახელურიანი ძვირფასი ქოლგაც კი მეტად მოდური ჰქონდა. ამ ყრუ, მივარდნილ ადგილას, სადაც ისინი შემოეხეტნენ, თვალითაც არავის ენახა ასეთი ქოლგა; ის კი არა, მის კაბასაც კი შეიძლებოდა მიექცია დუქანში მყოფთა ყურადღება. მალე მობრუნდა, სულ ცოტა, ექვსი კაცის სამყოფი სურსათ-სანოვაგითა და ორი ლიტრი ღვინით დატვირთული ენჯელი. ერთი-ორი დღე მაინც უნდა ჰყოფნოდათ ეს საგზალი, თუ ვთქვათ, რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მოხდებოდა.

ჩამოსხდნენ ხმელ ტოტებზე და ჭამა დაიწყეს. უკვე დღის ორი საათი იქნებოდა, როცა შეახვიეს დარჩენილი ხორაგი და გზას გაუდგნენ.

— მე გრძელი, ძალიან გრძელი გზის გასავლელადაც მეყოფა ძალა, — თქვა ტესმა.

— ქვეყნის შუაგულისაკენ წავიდეთ და შევეფაროთ სადმე დროებით. ძებნას ალბათ ზღვის სანაპიროზე დაგვიწყებენ უფრო, — თქვა კლერმა.

— მერე კი, როცა მივავიწყდებით ყველას, რომელიმე ნავსადგურს მივაშუროთ, ტესმა პასუხად ხელი მოხვია ენჯელს და არაფერი უთქვამს. ასე გაემართნენ ორივენი ქვეყნის გულისაკენ. თუმცა მაისი იდგა — ინგლისური მაისი, მაგრამ ნათელი და თბილი ამინდი იყო, კიდევ გაიარეს რამდენიმე მილი და ბილიკით „ახალ ტყეში“ შევიდნენ. საღამოს სოფლის გზაზე გადაუხვიეს. ერთ ლამაზ ჭიშკარზე ლამაზი აბრა ეკიდა — „ეს მშვენიერი სახლი ქირავდება თავისივე

ავეჯით“, — ეწერა აბრაზე თეთრი საღებავით, — შემდგომ დაწვრილებით იყო ახსნილი ყოველივე, ხოლო ცნობებისათვის მსურველთ ლონდონის სააგენტოში მოსვლას სთავაზობდნენ. ჭიშკარში შევიდნენ. მათ წინ მკაცრად გამომზირალი აგურით ნაშენი კარგა მოზრდილი სახლი იდგა.

— აქ ბრემსჰერტის კარ-მიდამოა. ეს სახლიც ვიცი, — თქვა კლერმა, — ხედავ, ჩარაზულია, ხეივანიც ბალახითაა სავსე.

— რამდენიმე ფანჯარა რომ ღიაა? — შენიშნა ტესმა.

— ალბათ, ოთახებს ანიავებენ.

— ცარიელია მთელი სახლი, ჩვენ კი თავშესაფარი არა გვაქვს! — გეტყობა, დაიღალე, ჩემო ტეს. არაფერია, მალე დავისვენებთ. კლერმა აკოცა ქალის მწუხარე ბაგეებს და კვლავ განაგრძეს გზა.

ენჯელიც დაქანცულიყო. სულ ცოტა, ოცი მილი მაინც გაიარეს. შესვენებაზე უნდა ეფიქრათ. შორიდან უთვალთვალებდნენ განმარტოებულ კოტეჯებსა და პატარა დუქნებს. უნდოდათ კიდევაც შესულიყვნენ შიგ, მაგრამ გამბედაობა ღალატობდათ. გზიდან გადაუხვიეს, ძლივს მიათრევდნენ ფეხებს, ბოლოს შედგნენ.

— იქნებ ჯობდა ტყეში გაგვეთია ღამე? — იკითხა ტესმა.

— არა, ჯერ კიდევ ცივა, — იუარა კლერმა.

— იმ ცარიელ სახლზე ვფიქრობ, გვერდით რომ ჩამოვუარეთ წეღან, — თქვა მან, — მოდი, უკან დავბრუნდეთ.

უკან დაბრუნდნენ. მთელი ნახევარი საათი დასჭირდათ, ვიდრე ჭიშკრამდე მივიდოდნენ. დამიცადეო, — უთხრა კლერმა ტესს, თავად კი იქაურობის შესათვალიერებლად გაემართა.

ტესი ბუჩქების ძირში ჩაჯდა. კლერი ფეხაკრეფით წავიდა სახლისაკენ. დიდხანს აღარ მობრუნებულა. ტესი შიშმა აიტანა — თავის თავს როდი დაეძებდა, კლერი ადარდებდა. კლერმა ვიღაც ბიჭს გამოკითხა სახლის ამბავი. ბიჭმა უთხრა, ერთი დედაბერი უდგას ამ სახლს, თავად მეზობელ სოფელში ცხოვრობს, კარგ ამინდში ამოვა, ფანჯრებს დააღებს და წავა. საღამო ხანს ისევ ამოვა, დახურავს და ისევ წავა. დღეს, მაგალითად, მზის ჩასვლის ხანს ამოვა და ფანჯრებს მიხურავსო.

— ქვედა სართულის ფანჯარაში გადავძვრეთ და დავისვენოთ, — უთხრა კლერმა ტესს.

ნელა გაემართნენ სახლისაკენ. ვერავინ დაინახავდა მათ: დარაბებმოხურული ფანჯრები ბრმა კაცის თვალებს მიაგავდა. კიბეებით ავიდნენ პარმაღზე. კარის გვერდით ფანჯარა იყო. კლერი გადაძვრა ფანჯარაში და ტესიც გადაიყვანა.

ზალის გარდა ყველა ოთახი წყვდიადში იყო ჩაფლული. მეორე

სართულზე ავიდნენ. აქაც მიეხურათ დარაბები. ჰაერი ჩახუთულიყო. ორად ორი ფანჯარა დახვდათ ღია, ერთი ქვემოთ — წინკარში და მეორეც — ზევით. კლერმა გააღო დიდი ოთახის კარი: ხელების ფათურით მივიდა ფანჯრამდე და ორ-სამ დუიმზე გამოაღო დარაბა. მზის წითელი შუქი შემოიჭრა ოთახში და დაეფინა ძველებურ ავეჯს, შინდისფერსახიან ფარდებსა და უზარმაზარ საწოლს, რომლის თავზე გაქცეული ადამიანის ფიგურები იყო გამოყვანილი, — ატალანტას გაქცევა თუ გამოესახათ.

ბოლოს და ბოლოს გვეღირსება დასვენება! — თქვა კლერმა და სამგზავრო ჩანთა და ფუთაში გამოკრული საჭმელი იატაკზე დაყარა.

ისხდნენ გარინდებულნი და ელოდნენ დედაბერს, რომელიც ფანჯრების დასაკეტად უნდა მოსულიყო. სიფრთხილისათვის კვლავ გადაუგდეს დარაბას ურდულები და სიბნელეში დარჩნენ დამფრთხალნი, დედაბერმა ოთახშიც არ შემოიხედოსო. ექვსი თუ შვიდი საათისათვის მოვიდა ბებერი, არც გაკარებია სახლის იმ მხარეს, სადაც ლტოლვილები იყვნენ შეფარებულები. მათ გაიგონეს, როგორ დაკეტა დედაბერმა კარ-ფანჯრები და წავიდა. ისევ გამოაღო დარაბა კლერმა და დღის სინათლე შემოუშვა ოთახში. ივახშმეს თანდათან ჩაიძირნენ ღამის წყვდიადში, სანთლები კი არ ჰქონდათ, რომ გაეფანტათ წყვდიადი.

LVIII

ღამე საოცრად წყნარი იყო. ნაშუაღამევს ჩურჩულით უამბო ტესმა ენჯელს, როგორ გადაიყვანა მან ერთხელ ძილში მდინარე ფორუმზე და ნანგრევებადქცეულ სააბატოში ქვის აკლდამაზე დააწვინა. კინაღამ ორივენი დაიღუპნენ მაშინ, კლერს არაფერი ახსოვდა.

— რატომ არ მითხარი მეორე დღესვე? — წამოიძახა კლერმა, — რამ — დენ გაუგებრობასა და დარდს აგვაცდენდა.

— წარსულზე ნუღარ ფიქრობ ენჯელ, — აწმყოზე ვიფიქროთ, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება! — შეევედრა ტესი.

მაგრამ ეს „ხვალ“ ეტყობოდა არაფერს ცუდს არ უქადდა მათ. ნისლიანი დილა გათენდა. რაკი დედაბერი მხოლოდ კარგ დარში მოდიოდა ფანჯრების გასაღებად, კლერმა გაბედა ოთახიდან გამოსვლა. მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, ვიდრე ტესს ეძინა. საჭმელი ვერაფერი იპოვა, წყალი იყო მხოლოდ. კლერმა დატოვა კარ-მიდამო და ნისლში გაუჩინარდა. გაიარა ორიოდე მილი, მივი-

და მეზობელ ქალაქამდე, იყიდა პატარა სავაჭროში პური, ჩაი და კარაქი, პატარა ქვაბი და სპირტქურა, რომ კვამლი არ დაეყენებინათ და უკან მობრუნდა. ამასობაში ტესმაც გაიღვიძა და ისაუზმეს.

აღარ უნდოდათ ამ სახლიდან წასვლა. გამოხდა დღე, ღამე, და კიდევ ორი დღე. ვერც კი შენიშნეს, როგორ გაირბინა წამისუსწრაფესად ხუთმა დღემ სრულ სიმარტოვეში. კაცს სულიერს არ დაურღვევია მათი მყუდროება და სიმშვიდე. თუ მას სიმშვიდე ეთქმოდა. ერთადერთი მოვლენა მათ ცხოვრებაში ამინდის ცვალებადობა იყო. ადამიანთა საზოგადოების მაგივრობას „ახალი ტყის“ ფრინველები ასრულებდნენ. უსიტყვოდ შეთანხმებულებივით კრინტს არა ძრავდნენ ქორწინების შემდგომ თვეებზე. ეს პირქუში და ბალღამით სავსე დღეები ქაოსში ჩანთქმულიყვნენ თითქოს. მათ თავზე კი უფრო შორეული წარსული და აწმყო შემოჯარულიყო. რამდენჯერაც კი კლერი კარ-მიდამოს დატოვებასა და საუთჰემპტონში ან ლონდონში წასვლაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ტესი ყოველთვის უარზე იყო, არ სურდა ადგილიდან დაძვრა.

— რატომ დავშალოთ და დავანგრიოთ, რატომ მოვუღოთ ბოლო ამ დიდებულსა და სიხარულით სავსე ცხოვრებას! — არწმუნებდა ტესი კლერს, — რაც მოსავალია, მაინც მოვა, წინ ვერ გადაეღობები, ყველა უბედურება იქაა ჩასაფრებული. აქ ყოფნას კი აბა, რა ჯობს, — თქვა მან ბოლოს და დარაბის ჭუჭრუტანაში გაიხედა.

ენჯელმა მიბაძა ტესს, და მანაც გაიხედა დარაბიდან. ტესი მართა —

ლია. აქ — სიყვარულია, ერთმანეთთან სიახლოვეა, თავდავიწყებაა, იქ, იქ კი — ულმობელი ბედია ჩასაფრებული.

— და იცი, — წამოიწყო ისევ ტესმა და ლოყით მიეკრა ენჯელის სახეს.

— ასე მგონია, შენ ყოველთვის ისე არ იფიქრებ ჩემზე, როგორც ახლა ფიქრობ. მე არა მსურს შენი სიყვარულის დაკარგვა, ჰო, არ მინდა: მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე შენს სიძულვილს მოვესწრებოდე. და დე, ნურც ნურასოდეს მეცოდინება, რომ გეჯავრები.

— მე შენ ვერასოდეს შეგიჯავრებ, ტეს.

— მეცა მაქვს მაგის იმედი, მაგრამ როგორც კი ჩემ ცხოვრებას გავიხსენებ, ვერ მირწმუნებია, რომ შეიძლება მოიძებნოს თუნდაც ერთი ადამიანი ამქვეყნად, რომელიც ადრე თუ გვიან არ შემიჯავრებს... რა ბოროტი ვიყავი და რა უგუნური! უწინ კი ხომ ჭიასაც არ დავაბიჯებდი ფეხს. რამდენჯერ მიტირია, გალიაში გამომწყვდეული ჩიტი რომ მინახავს.

კიდევ ერთი დღე და ღამე დარჩნენ ამ სახლში. ღამით მოღრუბლული ცა გამთენიისას მოიწმინდა: ადრიანად გაეღვიძა დედაბერს თავის კოტეჯში. თვალისმომჭრელმა მზის შუქმა გაამხნევა, კარ-მიდამოს დასახედად წასვლა გადაწყვიტა; ისარგებლებს კარგი ამინდით და ერთი კარგად გაანიავებს სახლს. დილის ექვსი საათიც არ იქნებოდა, რომ დედაბერმა ქვედა სართულის ფანჯრები გამოაღო. მერე ზედა სართულზე ავიდა და იმ ოთახის კარის გაღება დააპირა, სადაც მათ ეძინათ. უეცრად თითქოს ვიღაცის სუნთქვა შემოესმა. რბილლანჩებიანი ფეხსაცმელები ეცვა, თითქმის უხმაუროდ დადიოდა. წასვლა დააპირა. მერე, ვცდებიო, იფიქრა, შემობრუნდა და კარის ურდული გადაატრილა. საკეტი ჩაჟანგული და გაფუჭებული იყო, მაგრამ ვიღაცას შიგნიდან კარზე მოედგა რაღაც. ორიოდე დუიმზე მოახერხა მხოლოდ კარის შეღება. დარაბის ღრიჭოდან შემოსული მზის სხივი ქალისა და კაცის სახეებს დასცემოდა. ღრმად ეძინა ორივეს. ტესის გასაშლელად გამზადებული ყვავილივით ოდნავ გაღებული ბაგე კლერის ლოყას ეხებოდა. დედაბერი განაცვიფრა წყვილის უმანკოებამ; ტესის მოხდენილმა კაბამ, რომელიც სკამის ზურგზე ეკიდა, მისმა აბრეშუმის ჩულქებმა, ლამაზმა ქოლგამ და სხვა სამოსელმა. დედაბერი თავდაპირველად აღაშფოთა ამ დაუპატიჟებელი სტუმრების თავხედობამ, მაგრამ მალე მოულბო გული. უცილოდ კეთილგანწყობილი წარმოშობის შეყვარებული წყვილიაო. გამოქცეულან და აქაურობისათვის შეუფარებიათ თავი. გამოიხურა კარი, და როგორც ავიდა, ისევე ჩუმად დაუყვა კიბეს. მეზობლებს ვეტყვი, ამ საოცარი აღმოჩენის ამბავს. მირჩევენ რამესო, — ფიქრობდა გულში.

წუთს არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ ტესს გაეღვიძა. კლერიც გამოფხიზლდა. თითქოს უჟმური აჰყვათო, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა ორივეს.

— ასე ეჩვენებოდათ, თითქოს ვიღაცამ შეუშფოთათ ძილი და მოსვენება. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მაგრად დარია ამ უსიამო გრძნობამ ორივეს ხელი. საჩქაროდ ჩაიცვა კლერმა, დარაბის ღრიჭოში გაიხედა და ყურადღებით შეათვალიერა გარემო.

— დაუყოვნებლივ გავუდგეთ გზას, — თქვა მან, — მზიანი დარია. სულ მეჩვენება, რომ სახლში ვიღაცაა. დედაბერი დღეს ალბათ აუცილებლად მოვა.

ტესი უწადინოდ დაჰყვა ენჯელის ნებას. ოთახი მიალაგ-მოალაგეს, დაავლეს ხელი საკუთარ ნივთებს და უხმაუროდ გამოვიდნენ სახლიდან. ტყის პირიდან ტესმა ერთხელ კიდევ მოხედა კარ-მიდამოს, რათა უკანასკნელად შეევლო თვალი მისთვის.

— მშვიდობით, ბედნიერო სახლო! — თქვა მან, — სულერთია, რამდენიმე კვირაში მე ცოცხალი აღარ ვიქნები. რატომ არ დავრჩით აქ?

— ნუ ლაპარაკობ ასე, ტეს. სულ მალე გავერიდებით აქაურობას და უწინდებურად პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ ვივლით. ვერც ვერავინ მოიფიქრებს, რომ იქ გვეძებოს. თუ ჩვენი პოვნა გადაწყვიტეს, აუცილებლად უესექსის ნავსადგურში დაგვიწყებენ ძებნას. ჩვენ კი ჩრდილოეთით მივადგებით რომელიმე ნავსადგურს და გავემგზავრებით.

კლერმა დაარწმუნა და დაიყაბულა ტესი, გაეზიარებინა მისი გეგმა და პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ აეღოთ გეზი. ხანგრძლივმა შესვენებამ ძალა და მხნეობა შემატა მათ. ნაშუადღევი მოტანებული იყო, როდესაც პატარა ციხე-სიმაგრეების ქალაქ მელჩესტერს მიუახლოვდნენ.

დღისით შესვენება, ხოლო ღამის საფარველქვეშ სიარული ამჯობინა კლერმა. საღამოს ბინდი ჩამოწვა თუ არა, კლერი, ჩვეულებისამებრ, სასმელ-საჭმელის საძებნელად გაეშურა. მობრუნდა და გზაც განაგრძეს. რვა საათისათვის ქვემო და ზემო უესექსს შორის საზღვარზე გავიდნენ უკვე.

ტესს პირველად როდი უწევდა სავალი გზების გვერდაქცევით სიარული. ჰოდა, ახლაც უწინდებური მხნეობა გამოიჩინა, უძველეს ქალაქში მელჩესტერში უნდა შესულიყვნენ, რათა ქალაქის ხიდით გადაევლოთ გზაზე გადაღობებული ფართო მდინარე, შუაღამის სამ საათზე აქა-იქ მბჟუტავი ფარნებით განათებულ ქალაქის უკაცურ ქუჩებში მიაბიჯებდნენ. უკან ჩამოიტოვეს ტროტუარები და ახლა ქვაფენილზე მიდიოდნენ. მათი ფეხის ხმა ქალაქის მყუდროებასა და სიწყნარეს არღვევდა. მარცხნივ ბუნდოვნად მოჩანდა წითელი ტაძარი, მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ. ქალაქიდან გამოვიდნენ, გაიარეს რამდენიმე მილი გზატკეცილზე და უმალ ველზე გავიდნენ.

ცა მოქუფრულიყო, მაგრამ მთვარის დაფანტული სხივები ღრუბლებში იჭრებოდა და გზას ანათებდა. მთვარე ჩაცურდა, ღრუბლები ზედ თავზე დაეკიდა მგზავრებს. ისეთი წყვდიადი ჩამოწვა ირგვლივ, თითქოს ჯურღმულში მიაბიჯებენო. გზას მაინც სწრაფად მიიკვლევდნენ. ბალახზე სიარულს ცდილობდნენ, რათა ფეხის ხმა არავის გაეგონა. ეს არც ისე ძნელი იყო, ირგვლივ არც მესერი იყო და არც ცოცხალი ღობე სადმე. აღარაფერი მოჩანდა, გარდა უკაცური, გადაშავებული ველისა, რომელზეც ქარი დანავარდობდა მხოლოდ.

ასე გაიარეს უკუნეთში ორი თუ სამი მილი. კლერმა უეცრად შუა ველზე აღმართულ ვეებერთელა ნაგებობას მოჰკრა თვალი. ლამის იყო ზედ გადააწყდნენ.

— რა უცნაური ადგილია! — წამოიძახა ენჯელმა.

— თითქოს გუგუნებსო რაღაც, ყური მიუგდე, — მიუგო ტესმა.

კლერმა სმენა გაამახვილა. ქარი თავს ევლებოდა ნაგებობას და ისე გუგუნებდა თითქოს გიგანტური არფის სიმი ცახცახებსო. გუგუნის გარდა ჩქამიც არ ისმოდა. კლერმა ხელი გაიშვირა და წინ გადადგა ნაბიჯი — კედლის ზედაპირს გადააწყდა უეცრად. გეგონებოდათ, კედელი ცალცალკე აგურისაგან კი არ არის ნაგები — ერთი მთლიანი ქვის ლოდიაო, კლერმა ხელი გადაუსვა კედელს — მიხვდა, რომ უზარმაზარი სწორკუთხოვანი სვეტი იდგა მის წინ. მარცხენაც ასწია და მეორე ასეთ სვეტს მოხვდა ხელი. სადღაც მაღლა, ჩამუქებული ცის ფონზე შავი რაღაც მოჩანდა, ეს ბუღაური იყო, რომელიც ორ სვეტს ერთად აერთებდა. ფრთხილად გაიარეს სვეტებს შუა, მათი წყნარი ნაბიჯების ხმა ექოს გამოსცემდა. და მაინც ღია ჭერქვეშ ეგონათ თავი. ტესმა შიშით სული განაბა. გაოცებულმა ენჯელმა კი წაიდუდუნა.

— რა უნდა იყოს ეს?

მეორე მხარეს გაუხვიეს და ახლა სხვა სვეტს გადააწყდნენ. სვეტი ციხე-კოშკს მიაგავდა, პირველივით მკაცრი იყო და სწორკუთხა. კაცი იფიქრებდა, ირგვლივ ყველგან სვეტები და ბუღაურებია მხოლოდ ამ სვეტებს რომ აერთებსო.

— ჭეშმარიტი ქარის ტაძარია, — თქვა კლერმა.

ერთი სვეტი იქით გვერდზე აღმართულიყო. რამდენიმე მიწაზე იყო გაწოლილი და ისეთი ვეებერთელები იყვნენ, ეტლი გაივლიდა ზედ. აშკარა იყო, ბალახით დაფარული დაბლობის შუაგულში აღმართულ, მონოლითების ტყეში აღმოჩენილიყვნენ. ფეხი შედგეს ამ ღამის სავანეში და შედგნენ.

— ეს სტოუნჰენჯია! — წამოიძახა კლერმა.

— წარმართული ტაძარი?

— ჰო. საუკუნეზე მეტ წლებს ითვლის. თვით დ'ერბერვილებზე უძველესია! რა ვქნათ, ძვირფასო, ვეძიოთ კიდევ თავშესაფარი?

დაღლილ-დაქანცული ტესი მოგრძო ქვის ფილაზე დაწვა, ქარის მხრიდან ფილას სვეტი იცავდა. დღისით მზეს გაეთბო ის და ახლა, როცა ცვარს დაენამა ბალახი, ტესის კაბის კალთასა და ფეხსაცმელებს დაესველებინა. ქვას კვლავაც შემორჩენოდა სითბო და სიმშრალე.

— არ მინდა აქედან წასვლა, ენჯელ, — თქვა ტესმა და ხელი გაუწოდა, — აი შეიძლება აქ დავრჩეთ?

— ვაი, რომ ჩვენი აქ დარჩენა, არ იქნება, ახლა განმარტოებულია თითქოს, მაგრამ დღისით რამდენიმე მილზეც კი ხელისგულივით

მოჩანს ეს ადგილი.

— ახლა გამახსენდა, დედაჩემის ერთი ნათესავი მწყემსი ცხოვრობდა თურმე აქ. ტელბოტეისში რომ ვიყავით, შენ წარმართს მეძახდი ხოლმე, ესე იგი, მე უკვე შინ ვარ.

კლერი მუხლებზე დაეშვა ტესის გვერდით და ტუჩებით შეეხო მის ბაგეს.

— გეძინება, ძვირფასო? ასე მგონია, საკურთხეველზე წევხარ-მეთქი.

— მე მომწონს აქ ყოფნა, — წაიჩურჩულა ტესმა, — მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. აქ კი ისეთი დიდებულების ელფერი დაჰკრავს ყველაფერს და ისეთი სიმარტოვეა და არარაა სხვა, გარდა ზეცისა, რომ გეგონება, ჩვენ ორს გარდა სხვა აღარავინააო ამქვეყნად. რა კარგი იქნებოდა, მართლა მხოლოდ ორნი ვყოფილიყავით, ჩვენ და ლიზა-ლუ.

დილამდე დაისვენოსო, იფიქრა კლერმა, გადააფარა თავისი პალტო და გვერდით მიუჯდა.

— ენჯელ, მე თუ რამე შემემთხვა, ჩემი გულისათვის იზრუნებ ლიზა-ლუზე? — ჰკითხა ტესმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. ორივენი ყურს უგდებდნენ სვეტებს შუა მონავარდე ქარის ზუზუნს.

— ჰო.

— ის ისეთი კეთილია, გულუბრყვილო და უბიწოა... ო, ენჯელ, როგორ მინდა, ცოლად შეირთო, როცა მე აღარ გეყოლები. მე კი სულ მალე, ძალიან მალე აღარ ვიქნები შენთან. ო, შენ რომ შეირთავდე!..

— შენი დაკარგვით, მე ყოველსა და ყოველივეს ვკარგავ ამქვეყნად.

ლიზა-ლუ კი ჩემი ცოლის დაა.

— ეს არაფერია, საყვარელო, მარლოტში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირთავენ ცოლის დებს. ლიზა-ლუ ისეთი საყვარელი და უწყინარია. მერედა როგორ გალამაზდა! ო, მე არ ვიეჭვიანებდი ლიზა-ლუზე, როცა ჩვენი სულები ერთმანეთს შეხვდებოდა. შენ რომ აღზრდიდე და ასწავლიდე, ენჯელ, დაიმგვანებდე, შენნაირს გახდიდე. მასშია ყოველივე საუკეთესო, რაც ჩემში იყო და არ გააჩნია ჩემი ნაკლოვანებები. თუ ლიზა-ლუ შენი იქნება, ეს იმას ნიშნავს, სიკვდილიც ვერ დაგვჯაბნის, ვერ დაგვაშორებს. აბა, მე უკვე გითხარი სათქმელი, ამის შემდეგ არასოდეს აღარაფერს გეტყვი.

ტესი გაჩუმდა, კლერი ფიქრმა წაიღო, შორს, სვეტებს შორის, რაღაც ჰორიზონტალური ხაზი მოჩანდა. შავი ღრუბლის თაღი ქოთნის

სახურავივით იწეოდა და მომავალი დღის ნათელს ღვრიდა და აფრქვევდა დედამიწის კიდეს. თანდათან გამოიკვეთნენ შავი მონოლითები და ტრილიტონები.

— აქ მსხვერპლსა სწირავდნენ ღმერთს? — იკითხა ტესმა.

— არა, — მიუგო კლერმა.

— აბა, ვის?

— მე მგონია, მზეს. აი, ეს მაღალი ქვა განზე დგას და აღმოსავლეთისკენაა პირშექცეული. სულ მალე იქიდან მზე ამოანათებს.

— მახსოვს, საყვარელო, — თქვა ტესმა, — ვიდრე შემირთავდი, მუდამ ცდილობდი არასოდეს შეხებოდი ჩემს რწმენას, მაგრამ მე მაინც ვიცოდი შენი აზრები და შენსავით ვაზროვნებდი. იმიტომ კი არა, რომ მე ვფიქრობდი ასე და მჯეროდა ამისა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ფიქრობდი ასე. ახლა მითხარი, ენჯელ, შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს სიკვდილის შემდეგ? მინდა ვიცოდე.

კლერმა აკოცა, რომ თავი აერიდებინა პასუხისათვის ასეთ წუთებში.

— ო, ენჯელ... მეშინია, რომ შენი დუმილი არას ნიშნავს! — შესძახა მან, რათა ჩაეხშო ქვითინი, — მე კი ისე მინდოდა შეგხვედროდი, ისე მინდოდა! ნუთუ შენ და მეც კი არ შევხვდებით? ჩვენ ხომ ასე ძლიერ გვიყვარს ერთმანეთი?!

უფრო ძლიერ ადამიანთა მსგავსად, ვიდრე თავად იყო, კლერმა არა უპასუხა რა ქალს ამ საბედისწერო წუთში დასმულ საბედისწერო კითხვაზე. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ორი წუთის შემდეგ ტესს სუნთქვა თანაბარი გაუხდა. თითები, რომელიც ენჯელის ხელს შემოჭდობოდა, გაეშალა თავისთავად და ჩაეძინა. აღმოსავლეთით ანთებული დღის მქრქალ-მოვერცხლისფრო შუქზე დაბლობი თითქოს ჩაშავდა და უფრო მიუახლოვდა მათ. განთიადის წინამორბედმა დაჟინებულმა და დაძაბულმა სიჩუმემ მოიცვა ველი. ბუღაურებიანი აღმოსავლეთის სვეტები შავად აიმართნენ ნათელ ცაზე. იქით მზის ქვა მოჩანდა, თავისი მოყვანილობით ცეცხლოვან ენას მიაგავდა, ხოლო მის წინ იდო სამსხვერპლო. ღამის ნიავი ჩადგა. აღმოსავლეთით მოძრავი წერტილისმაგვარი პაწია ლაქა გამოჩნდა. ხეობაში მზის ქვის მიმართულებით მომავალი კაცის თავი მიაგავდა წერტილს. კლერმა მყისვე ინანა წაუსვლელობა. ახლა კი ადგილზე დარჩენა უფრო გონივრული იყო. კაცი პირდაპირ იმ სვეტებისაკენ მიეშურებოდა, რომლისთვისაც ლტოლვილთ შეეფარებინათ თავი. უკანა მხრიდან ფეხების ფრატუნი მოისმა. მიიხედა. ძირს გართხმული სვეტის იქით მეორე კაცს მოჰკრა თვალი. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ახლა მარჯვნივ, ტრილიტონს

ქვევით მესამე გამოჩნდა, ხოლო მარცხნიდან კიდევ — ერთი. განთიადის შუქზე ნათლად გაარჩია კლერმა პირდაპირ დასავლეთიდან მომავალი მაღალი კაცი თანაბარი ნაბიჯით მოაბიჯებდა. აშკარა იყო, ყველანი განსაზღვრული მიზნით გამოცხადებულიყვნენ აქ. მაშ, ტესს სიმართლე უთქვამს! წამოხტა, მიიხედ-მოიხედა, უნდოდა რაღაცისათვის წამოევლო ხელი — ან ქვისთვის ან იარაღისთვის. გაქცევის აზრმაც გაუელვა თავში, მაგრამ ერთი კაცი უკვე თავს წაადგა.

— ნუ გაირჯებით სერ, აზრი არა აქვს, — უთხრა ახალმოსულმა, — თექვსმეტამდე კაცი ვართ აქ, ამ ველზე. იქ კი მთელი ოლქი ფეხზე დგას.

— აცადეთ თავად გაიღვიძოს, — ჩურჩულით ემუდარებოდა ენჯელი გარშემორტყმულ ხალხს.

ეხლაღა შენიშნეს მოსულებმა, სად იწვა ქალი. წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. იდგნენ უძრავად ვითარცა სვეტი და დარაჯობდნენ მათ. ენჯელი ქვის ფილას მიუახლოვდა; დაიხარა და ტესის პატარა ხელი აიღო. ბავშვივით ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სუსტად სუნთქავდა. თენდებოდა. ყველანი ელოდნენ. შავ სხეულებს თითქოს სახესა და ხელებზე ვერცხლისფერი გადაღვროდათ. ბრწყინავდნენ მონაცრისფერო-მომწვანო ქვები, მაგრამ დაბლობი კვლავაც წყვდიადით იყო მოცული. მზე ამოცურდა, ამომავალი სხივი დაეცა მძინარეს სახეს, შეეხო მის წამწამებსა და გამოაღვიძა.

— რა მოხდა, ენჯელ! — წამოიწია ტესმა, — ჩემ წასაყვანად მოვიდნენ? — ჰო, საყვარელო, — მიუგო ენჯელმა, — მოვიდნენ.

— ასეც უნდა მომხდარიყო, — წაიჩურჩულა მან, — ენჯელ, მე თითქოს მიხარია... ჰო, მიხარია! არ შეიძლებოდა ჩვენი ბედნიერება ხანგრძლივი ყოფილიყო. მეტისმეტად დიდი იყო ეს ბედნიერება საამისოდ. მე ბედნიერი ვიყავი და ახლა, როცა მოვკვდები, შენ აღარ გექნება ჩემი სიძულვილი.

ტესი წამოდგა, თავი მაღლა ასწია და ნაბიჯი წინ გადადგა. არავინ დაძრულა ადგილიდან.

— მე მზად გახლავართ, — მშვიდად უთხრა მან მოსულთ.

LIX

უესექსის ყოფილი პატარა ლამაზი დედაქალაქი უინტონჩესტერი, რომელიც მთებსა და ხეობას შორის მდებარეობს, ივლისის დილის ნათელსა და თბილ სხივებში დაცურავს. აგურის, კრამიტისა და კირის სახლებზე მოდებული ხავსი თითქმის გამხმარა: ნაკადულები

მდელოზე დამეჩეჩიანებულა. ხოლო ჰაი-სტრიტზე, დასავლეთის ჭიშკრიდან შუა საუკუნეების ჯვარამდე და შუასაუკუნეობრივი ჯვრიდან ხიდამდე ზანტად გვიან ტროტუარს, როგორც ყოველთვის, ბაზრობის წინ.

როგორც უინტონჩესტერის ყველა მცხოვრებისთვისაა ცნობილი, დასავლეთის კართან იწყება გრძელი, პირდაპირი გზა. მილი სიმაღლეზე ადის მთაზე და თანდათან ცილდება სახლებს. ორი კაცი ისე მოიჩქარის ამ გზაზე, თითქოს ვერც კი ამჩნევსო ამ ცარცის აღმართს. ვერ ამჩნევდნენ დაღლილობის გამო კი არა, ფიქრსა და დარდში ჩაფლული იყვნენ ერთიანად. გზაზე მაღალ კედელში გამოკვეთილი ჭიშკრიდან გამოვიდნენ. გეგონებოდათ, სურთ, რაც შეიძლება შორს გასცილდნენ სახლებსა და ადამიანებს და ამიტომაც აურჩევიათ ეს გზა-სავალიო. თუმცა ახალგაზრდები იყვნენ ორივენი, თავჩაქინდრული და წელში მოხრილები მოდიოდნენ, მზე კი უღმერთოდ უღიმოდა და ანათებდა მწუხარე წყვილს.

ერთი ენჯელ კლერი იყო, მეორე — მაღალი ქალი, ახლად აფეთქებული კოკორის დარი, ნახევრად ბავშვი, ნახევრად ქალი, ტესის სულჩადგმული სახება, ოდნავ უფრო თხელი, ვიდრე ტესი, მაგრამ ისეთივე მშვენიერთვალა — ლიზა-ლუ, კლერის ცოლისდა გახლდათ. ფერმილეული სახეები ჩავარდნოდათ, ხელიხელ ჩაკიდებულები უხმოდ მიდიოდნენ, დუმდნენ. მათი ჩაქინდრული თავები ჯოტოს „ორ მოციქულს“ მოაგონებდა კაცს.

ის იყო ააღწიეს დასავლეთის ბორცვის თავს, რომ ქალაქის საათმა რვა ჩამოჰკრა. ორივე შეკრთა, შეაჟრჟოლა, მწვანე ბალახზე მოქათქათე უახლოეს საგზაო სვეტს მიუახლოვდნენ, ბალახზე გადააბიჯეს და რაღაც გადაულახავ ძალას დამორჩილებულებმა ნაბიჯი შეანელეს. ზედ სვეტთან შედგნენ. მობრუნდნენ და გაქვავდნენ თითქოს რაღაცის მოლოდინში.

თვალშეუდგამი სივრცე იშლებოდა თვალწინ ამ მწვერვალიდან. ქვევით, დაბლობში, ქალაქი გადაშლილიყო. ეს-ესაა ამოვიდნენ ისინი ამ ქალაქიდან, როგორც იზომეტრიულ ნახაზზე, მკვეთრად ისახებოდა ქალაქის მაღალი შენობები: ტაძრის ნორმანდიული ფანჯრებიანი, გრძედის ეკვდერიანი და ნეფიანი მასიური გოდოლი, წმინდა თომას ეკლესიის შპილი, კოლეჯის მრავალწვეტიანი კოშკი, ხოლო მარჯვნივ შუბლანი ძველისძველი მონასტრის თავშესაფარი სახლისა, სადაც მგზავრს დღესაც შეუძლია შეიწიოს პურის ნაჭერი და ჭიქა ლუდი. ქალაქის იქით აღმართულან წმინდა ეკატერინეს გუმბათისებური ბორცვი, ხოლო უსაზღვრო სივრცე ჩანთქმულა მზის თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში.

ქალაქის სხვა ნაგებობათა წინ აღმართულა ნაცრისფერსახურავიანი, დაბალი, მოაჯირებით დაცული, მრავალფანჯრიანი ვეებერთელა აგურის შენობა. მისი უღიმღამო და უფერული შესახედაობა დატყვევებულთა ბედზე ღაღადებდა. ეს შენობა მკვეთრად გამოირჩეოდა ახირებული და უცნაურხაზებიანი გოთური შენობებიდან. კარგად მოჩანდა იგი ბორცვის მწვერვალიდან, ხოლო გზის მხრიდან მარად მწვანე მესერი და ურთხმელი ფარავდა. ჭიშკარი, რომლიდანაც დიდი ხანი არ არის გამოვიდა კაცი და ქალი, ამ შენობისა იყო. შენობის შუაში აღმართულ მახინჯ რვაკუთხოვან ბრტყელსახურავიან კოშკს, პირი დაჩრდილული მხრიდან ბორცვებისაკენ შეექცია. თუ მზის შუქს პირდაპირ გახედავდით აქედან, კოშკი ერთადერთი ლაქა იყო ამ მშვენიერ ქალაქში, მაგრამ ქალაქის სილამაზე როდი იზიდავს ახლა ჩვენს მგზავრებს, ამ ლაქისაკენ მიუპყრიათ დაძაბული მზერა.

თვალს არ აცილებდნენ კოშკის ლავგარდანზე მიმაგრებულ გრძელ ლატანს. საათმა ჩამოჰკრა, რაღაცა აცოცდა ნელ-ნელა ლატანზე და გაიშალა; ქარმა აიტაცა შავი დროშა.

„მართლმსაჯულება“ აღსრულდა და „უკვდავთა მეთაურმა“, როგორც ესქილე იტყოდა, დაამთავრა თამაში ტესთან. დ'ერბერვილთა გვარის რაინდებსა და ქალბატონებს კი უშფოთველად ეძინათ თავიანთ აკლდამებში საუკუნო ძილით და არა უწყოდნენ რა. ორმა მდუმარე ადამიანმა მიწამდე დახარა თავი, ვითარცა მლოცველთ და დიდხანს, დიდხანს იდგნენ ასე უძრავად. წყნარად ირხეოდა დროშა. ძალა მოიკრიბეს, წელში გაიმართნენ, ხელი ხელს ჩაკიდეს და განაგრძეს გზა.